მითოლოგიური ლექსიკონი

შეადგინა **ნოდარ გაფრინდაშვილმა**

ქ 48611



გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1972

ზ(03)
4-03
4 (03)
მ 666

რედაქტორი აბაკი ურუშაძე

7-1-5
ბრძ. 57-72

წინასიტყვაობა

ცნობილია, რომ მითოლოგიამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ყოველი ერის, ქვეყნისა თუ სახელმწიფოს ისტორიის, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში, მითები, ლეგენდები და თქმულებები იქმნებოდა ხალხისათვის საყვარელ გმირებსა და კეთილ ღვთაებებზე (ასეთ მითთა პერსონაჟები ლამაზი ეპითეტებითა და თვისებებით არიან შემკულნი). მითებს, ლეგენდებსა და თქმულებებს ქმნიდნენ აგრეთვე ბოროტ გმირებსა და ღვთაებებზეც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მითის პერსონაჟები ხასიათდებიან უარყოფითი თვისებებით.

საუკუნეთა განმავლობაში ესა თუ ის მითი და ლეგენდა თანდათანობით იხვეწებოდა, ახალი დეტალებით იუსებოდა და სრულსა და მხატვრულ სახეს ღებულობდა. იშვიათად თუ მოიძებნება მსოფლიო ხელოვნების საგანძურში ისეთი ნაწარმოები, რომლის შემქმნელიც გარკვეულ ხარკს არ უხდიდეს თავისი ქვეყნის შორეულ წარსულში შექმნილ მითებს, ლეგენდებს, თქმულებებს... ბევრ გენიალურ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს სწორედ მითები და ლეგენდები. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ბერძენ ტრაგიკოსთა თხზულებანი.

მსოფლიო კულტურის საგანძურში საპატიო ადგილი უჭირავს ძველი ინდოეთის, ჩინეთის, სპარსეთის, შუამდინარეთის, ეგვიპტის, საბერძნეთის, რომისა და სხვა ქვეყნების წიაღში შექმნილ მითებს, ლეგენდებს, თქმულებებს...

მსოფლიო ხალხების მითოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბერძნულსა და რომაულ მითოლოგიას. ევროპულ ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელშიც მეტნაკლებად გამოყენებული არ იყოს ბერძნული და რომაული მითოლოგიის ელემენტები. ფრიდრიხ ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ: „იმ საფუძვლის გარეშე, რომელიც ძველმა საბერძნეთმა და რომმა ჩაყარა, არ იქნებოდა არც თანამედროვე ევროპა".

ბერძნული მითები და ლეგენდები გვაოცებენ თავიანთი სი-

დიადითა და უბრალოებით, გეიზიდავენ მაღალმხატვრული სახეებითა და ფილოსოფიური სიღრმით. გადაეყაეართ შორეულ სამყაროში.

საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობებს გადაეცემოდა თებეს, არგონავტებისა და ტროას ციკლის თქმულებები, მითები და ლეგენდები. გარკვეული ცვლილებებიც განიცადეს მათ სხვადასხვა მიზეზების გამო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰომეროსის პოემებში გადმოცემული მითები და ლეგენდები, და ამდენად მთელი ტროას ომი, მხოლოდ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფი ეგონათ; გერმანელი მეცნიერისა და მეცნიერის — შლიმანის მიერ ტროას აღმოსაჩენად გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა ცინიზმი, სკეპტიციზმი და უხეში კრიტიკაც კი დაიმსახურა. მაგრამ განვლო სულ ცოტა ხანმა და ადამიანის გონებამ და ფაქტმა დაადასტურა ჰომეროსის პოემებში აღწერილი სამყაროსა და მოვლენათა უმრავლესობის რეალობა.

ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში რომ მრავალი რამ რეალურია, ამაზე ჩვენს ერამდე შეიქმნა აზრი. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში (VIII—VII საუკუნეებში) ორფელები ცდილობდნენ თითქმის ყოველი მითისათვის რეალური საფუძველი მოენახათ და მათში გადმოცემული ამბები ისტორიულ ჭეშმარიტებად მიეჩნიათ. ისინი თამამად აცხადებდნენ, რომ ღმერთები, სხვა არაფერნი არიან, თუ არა ხალხისათვის საყვარელი იდეალიზირებული გმირებით. ორფელების მრავალი მოსაზრება, რა თქმა უნდა, კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ მათ შეხედულებაში ბევრი რამ საგულისხმო და მისაღებია. ანტიკურ სამყაროს რომ თავი დავანებოთ, შემდეგაც ხომ ახსოვს კაცობრიობას „მოკვდავთა გაღმერთების“ არაერთი შემთხვევა (მაგ. ბუდა, მუჰამედი და სხვა).

ჩვენ სრულებითაც არ ვცდილობთ იმის მტკიცებას, თითქოს ყოველ მითსა და ლეგენდას ისტორიული საფუძველი ჰქონდეს, ჩვენ მხოლოდ იმის თქმა და გახმეორება გვსურს, რომ ყოველ მითს, ისევე როგორც საერთოდ ყველაფერს, წარმოშობის რაიმე რეალური საფუძველი გააჩნია, რომლის ირგვლივაც უნდა ვეძიოთ ისტორიული ფაქტები და მოვლენები.

ურანოსის, კრონოსისა და ზევსის ძალა-უფლებათა ცვალებადობა უნდა იყოს ანტიკური სამყაროს მეუფეთა ცვალებადობის მითოლოგიაში ასახვა, მითებში ამბროსიის, ნექტარისა

და ღმერთთა უკვდავების შესახებ ჩანს ადამიანთა დაუოკებელი სურვილი სიცოცხლისა, მისი სამარადისო შენარჩუნებისა. ელისეს მინდვრები, ნეტართა კუნძული, სამოთხე სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნად დაჩაგრულ ადამიანთა სურვილი უზრუნველი, ბედნიერი ცხოვრებისა.

საბელოსნო წარმოების განვითარების მაღალმა დონემ ძველ საბერძნეთში და ადამიანის ცისაკენ სწრაფვის მარად დაუოკებელმა სურვილმა წარმოშვა მითი დედალოსის შესახებ. მითი მიდასის შესახებ ეს არის — ადამიანის ერთ-ერთი მანკიერი მხარის, სიხარბისა და მოუზომელი სურვილების ერთგვარი კრიტიკა — მისი უვიცობის გამომჟღავნება. რამ შექმნა მითი პოლინიკესა და ეტეოკლეს შესახებ? — სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში მიმდინარე რთულმა მოვლენებმა და ადამიანთა ლტოლვამ პატიემოყვარეობისაკენ. რამ გამოიწვია ოკეანის, დიდი მდინარეებისა და ციური მოვლენების გაღმერთება? — მათი სტიქიის შეუცნობელობამ.

ბერძნულ-რომაული სამყაროს მითოლოგიურ პირთ აქვთ რეალური, მიწიერი, ადამიანური სახე, თვით ღმერთებიც, ისევე როგორც ადამიანები, რეალურნი, ხორციელნი არიან, ისინიც ეჭვიანობენ, საჭირო შემთხვევაში ცრუობენ, ჯავრდებიან, მრუშობენ, ფიქრობენ როგორც ადამიანები. მათგან ისინი მხოლოდ უკვდავებითა და დიდი ძალაუფლებით განსხვავდებიან: უფლებრივი განსხვავებაა არა მხოლოდ ადამიანებსა და ღმერთებს შორის, არამედ თვით ღმერთებს შორისაც. არიან მაღალი და დაბალი რანგის ღვთაებანი, რომელთაც — ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე — ემორჩილებიან ადამიანები. თვით უზენაეს ღვთაებათა და ადამიანთა შორის ახლო ურთიერთობაც კი მყარდება. მართალია, ზოგიერთი მოკვდავი ისჯება ზედმეტი სითამამისათვის, მაგრამ საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ესა თუ ის მოკვდავი ამა თუ იმ ღმერთის სურვილის თანახმად უკვდავი ხდება.

ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში ხშირადაა წარმოდგენილი ურჩხულთა და ბოროტ არსებათა სახეებიც. ესენი, როგორც ირკვევა, ბუნების გამოუცნობ და ბოროტ ძალათა განსახიერებანი არიან. მაგალითად, ეტნას მთის ვულკანურმა მოვლენებმა შექმნა წარმოდგენა, თითქოს მის ფსკერზე ჰეფესტოს სამჭედლოა, ანდა, სხვა მითის მიხედვით, ეს მთა ზევსმა თავზე დაამხო დამარცხებულსა და დასჯილ ტიფონს, რომელმაც თავის დროზე ოლიმპიელების ამოხოცვაც კი განიზრახა. თითქოს

ტიფონის სუნთქვა თუ ჰეფესტოს საშჭედლოში დაგროვილი ქვაბული დრო: და დრო ვულკანურ ამოფრქვევებს იწვევს. საბარის უდაბნოს არსებობამ შექმნა მითი იმის შესახებ, რომ, თითქოს, გორგონა-მედუზას მოკვეთილი თავითურთ პერსევსმა აფრიკას გადაუფრინა, მედუზას თავიდან სისხლი სდიოდა, მიწას ეცემოდა და მათგან საშინელი გველები წარმოიქმნებოდნენ, რომელთაც უდაბნოდ აქციეს აფრიკა.

როგორიც არ უნდა იყოს ბერძნულ-რომაული მითოლოგიის წარმოშობის საფუძვლები, რაგვარი განმარტებებიც არ უნდა მისცენ მას ძველმა, ახალმა თუ მომავალმა მეცნიერებმა, რა კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ მას, ერთი რამ მაინც ცხადია: ბერძნულ-რომაული მითოლოგია გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას ძველი ცივილიზაციის ამ საოცარი ქვეყნის შესახებ.

ბერძნულ-რომაული მითოლოგია ამოუწურავი მასალაა. ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ლექსიკონებისა და ცნობარების შედგენა-გამოცემის საქმეს, ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან მოჰკიდეს ხელი კულტურულმა ერებმა. ასეთია, მაგალითად, როშერის მიერ გასული საუკუნის ოთხმოც ოთხმოცდაათიან წლებში გამოცემული უზარმაზარი ნაშრომი: **Ausfürliches Lexikon der griechischen und römischen Mythologie, Leipzig, 1884—1897...**

მსგავსი ლექსიკონები შეიქმნა ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და სხვა კულტურული ერების ენებზე. 1885 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა ლაუბქერის წიგნი: **Реальный словарь классических древностей СБб., 1885,** რომელშიც საკმაო რაოდენობითაა მოცემული მითოლოგიურ ერთეულთა განმარტებანიც. ახალი მითოლოგიური ლექსიკონი რუსულ ენაზე გამოვიდა 1959 წელს.

ქართულ ენაზე ასეთი წიგნი პირველად გამოდის. მისი შედგენისას წაეწყდით საკმაოდ ბევრსა და სერიოზულ წინააღმდეგობებს: პირველი და ყველაზე მთავარი წინააღმდეგობა იყო ბერძნული და რომაული სახელების ქართულად გადმოცემის საკითხი. ბერძნული და ლათინური ენებიდან თითქმის ყველა კულტურული ერის ენაში მრავალი საკუთარი თუ საზოგადო სახელი გადაეიდა. ცალკეულ ერს, იმის მიხედვით, თუ რა ხნის ისტორია აკავშირებს მას ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან, ამ სახელთა გადმოცემის საკუთარი ტრადიცია აქვს. საქართველოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა როგორც ანტიკურ,

ისე ბიზანტიურ საბერძნეთთან, ამ ხნის განმავლობაში კი ბერძნულმა ენამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, და შესაბამისად ეს აისახა ქართულ ენაშიც. კერძოდ, ბერძნულ ენაში ცნობილია ეგრეთწოდებული იტაციზმის პერიოდი, რის შედეგაც ბერძნულ η-ს გამოთქვამდნენ როგორც „ი“-ს, მსგავსი რამ შეეხო αι და ει დიფთონგებს, ასევე ბერძნული ბეტას გამოთქმაც „ვ“-დ შეიცვალა და სხვა. ქართულ ენაში ბერძნული სახელები გადმოსულია ორივე პერიოდში. ამან გამოიწვია ერთი და იგივე სახელთა სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა. ქართულში ზოგჯერ „os“ და „us“-ზე დაბოლოებული სახელები გადმოტანილია ამ დაბოლოებათა გარეშე, მაგრამ ქართული ენისათვის ღამახასიათებელია „os“ და „us“ ბერძნულ-რომაული დაბოლოების შენარჩუნება და მათზე ქართული ენის სახელობითი ბრუნვის ნიშნის მიმატება. უმრავლეს შემთხვევაში სახელები ჩვენც ასე გადმოვიღეთ.

χ თანხმოვანი ქართულად თითქმის ყოველთვის „ქ“-თი გადმოიცემა, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ბერძნულ ენაშიც, ეს თანხმოვანი იყო „ქ“ და არა „ხ“. შესაბამისად „θ“ თანხმოვანი გადმოვეცით „თ“-თი, ხოლო „φ“—„ფ“-თი. ძალზე იშვიათ შემთხვევაში ბერძნული „κ“ ქართულად „ქ“ თანხმოვნით გვაქვს გადმოცემული. რაც შეეხება „ευ“(ეუ) კომპლექსს, იგი ყველგან გადმოცემული გვაქვს „ევ“ კომპლექსით.

მიგვაჩნია, რომ ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში შექმნილი სახელები ისევე უნდა გამოითქმოდეს ახლაც, როგორც მაშინდელი ბერძნები და რომაელები გამოთქვამდნენ. ვცდილობდით ეს გაგვეხადა ჩვენს პრინციპად თითოეული სახელის გადმოცემისას.

გადმოცემულ სახელთა სიზუსტისათვის ყოველ განსამარტავ ერთეულს თან ახლავს შესაბამისი — ბერძნული ან ლათინური ტრანსკრიფცია, რაც მკითხველს მისცემს საშუალებას, თვითონვე შეამოწმოს სახელის ქართულად გადმოცემის სისწორე.

გასაგები მიზეზების გამო ყოველი მითი შემოკლებულია. გარდა ამისა, მითის ყველა ვერსია არ არის მოტანილი. ლექსიკოგრაფიაში დამკვიდრებული წესის თანახმად სახელწოდებები და ცნება-განმარტებანი დალაგებულია ანბანის მიხედვით.

ლექსიკონი განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრამ. იგი დადებითად შეაფასეს აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა და პროფესორმა აკაკი ურუშაძემ. კათედრამ ნაშრომს დაბეჭდვის რეკომენდაცია მისცა.

წიგნი, ალბათ, დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებათაგან. მაგრამ, თუ იგი მცირე სამსახურს მაინც გაუწევს ქართველ მკითხველს, ავტორი გამართლებულად ჩათვლის თავის შრომას.

ნ. გაფრინდაშვილი

ა ბ ა ნ ტ ე ბ ი, ბერძნ. (Ἄβαντες, οἱ) 1. კუნძულ ევბეის უძველესი მცხოვრებნი. ჰომეროსის ცნობით ტროის ომში ბერძნების მხარეზე იბრძოდნენ. ჰეროდოტეს მიხედვით, მოგვიანებით, ისინი იონიასა და მცირე აზიაში გადასახლდნენ. 2. ერთ-ერთი პელაზგური ტომი.

ა ბ ა ნ ტ ი, ბერძ. (Ἄβας -αντος, ბ) 1. ლინკევსისა და ჰიპერმნესტრას ვაჟი, დანაოსისა და ეგვიპტოსის შვილიშვილი, არგოსის მეთორმეტე მეფე, იდმონის მამა, დანაოსის ჯადოსნური ფარის მემკვიდრე. არგოსელი მეფეები თავიანთ თავს აბანტის შთამომავლებად თვლიდნენ. 2. მდინარე მცირე აზიაში, რომელიც ამ გმირთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ა ბ ა რ ი დ ი, ბერძნ. (Ἀβαρίς -ίδος, ბ) აპოლონის ქურუმი, აპოლონისაგან მიიღო წინასწარმეტყველების ნიჭი, შეეძლო უჭმელად არსებობა და ფრენა მისაგან ნაჩუქარი ჯადოსნური ისრით.

ა ბ დ ე რ ა, ბერძნ. (Ἄβδηρα, τά) იხ. აბდეროსი.

ა ბ დ ე რ ო ს ი, ბერძნ. (Ἄβδηρος, ბ) ჰერმესის ვაჟი, ჰერაკლეს საყვარელი პიროვნება. ჰერაკლემ მოსტაცა თრაკიის მეფე დიომედეს მძვინვარე, კაცისმჭამელი ულაყები და მოსავლელად მისცა აბდეროსს. ულაყებმა აბდეროსი დაგლიჯეს. ამ ამბით შეწუხებულმა ჰერაკლემ აბდეროსის დაღუპვის ადგილას გააშენა მისი სახელობის ქალაქი აბდერა.

ა ბ ი ე ბ ი, ბერძნ. (Ἄβιοι, οἱ) ჰომეროსთან დამოწმებული ერთ-ერთი პელაზგური თუ თრაკიული ტომი.

ა ბ ო რ ი გ ი ნ ე ბ ი, ლათ. (Aborigines) შუა იტალიის უძველესი მცხოვრებნი. რომაელებმა ეს ტერმინი აწარმოეს ლათინური სიტყვიდან ab origine (თავიდან, დასაწყისიდან). თანამედროვე გაგებით აბორიგინებს უწოდებენ მხარის, ქვეყნის ან ოლქის ძირეულ, ძველ, მუდმივ მცხოვრებლებს.

ა ბ უ ნ დ ა ნ ც ი ა, ლათ. (Abundantia — დოვლათი) დოვლათის

რომაული განსახიერება. ზოგჯერ ითვლებოდა ცერერას თანამგზავრად. ხელოვნებაში აბუნდანცია ლამაზ ქალად გამოისახებოდა, ხელში ეჭირა სიუხვის რქა, საიდანაც ოქროს მონეტებს ყრიდა.

აგავე, ბერძნ. (Ἀγαύη, ἡ) ჰარმონიასა და კადმოსის ასული, ავტონოესა და სემელეს და. ავაცე არ აღიარებდა დიონისეს ღვთაებრივ წარმოშობას, რისთვისაც ღვინის ღმერთმა გააგიჟა და დააგლეჯინა საკუთარი შვილი პენთევსი. ეს სიუჟეტი დაამუშავა ევრიპიდემ ტრაგედიაში „ბაკხელები“.

აგამედე, ბერძნ. (Ἀγαμήδη, ἡ) ავგეს ქალიშვილი, თესალიელი გრძნეული ქალი, სასწაულებრივი წამლების დამამზადებელი. ძველი ბერძნები ხშირად მედეასთან ერთად იხსენებდნენ და ზოგ მეცნიერთა აზრით შესაძლებელია მედეას სხვა სახელიც იყოს.

აგამედე, ბერძნ. (Ἀγαμήδης, ὁ) ორქომენის მეფის ერგინოსის ვაჟი, გმირი, ლეგენდარული მშენებელი, რომელმაც თავის ძმა ტროფონიოსთან ერთად ქრაველი დიდებული და საოცარი შენობა ააგო. (დელფოს ტაძარი, ავგეასა და ჰირიეუსის საგანძურთსაცავები და სხვ.). (იხ. ტროფონიოსი).

აგამემნონი, ბერძნ. (Ἀγαμέμνων, ὁ) მიკენის მეფე, ბერძენთა წინამძღოლი ტროის ომში, ატრევსის ვაჟი, მენელაოსის ძმა. როდესაც ატრევსი მოკლა ეგისთემ და მიკენის მეფე გახდა ეგისთეს მამა თიესტე, ჯერ კიდევ ყმაწვილები აგამემნონი და მენელაოსი სპარტაში გაიქცნენ და დაქორწინდნენ ტინდარეოსის ქალიშვილებზე; აგამემნონი კლიტემნესტრაზე, ხოლო მენელაოსი — ელენეზე. აგამემნონს შეეძინა ქალიშვილები: იფიგენია, ქრიზოთემიდა, ლაოდიკე (ტრაგიკოსებთან ელექტრა) და ვაჟი ორესტე. რამოდენიმე წლის შემდეგ, როცა მიკენში უკვე აგამემნონი იყო გამეფებული, მენელაოსის ცოლი ელენე მოიტაცა პარისმა, ადრევე დადებული ხელშეკრულების თანახმად აგამემნონმა შეკრიბა საუკეთესო ბერძენ ვაჟკაცთა დიდი ლაშქარი და თავს დაეცა პარისის სამშობლო ქალაქს, ტროას. ტროაში მისვლამდე ბერძენთა ლაშქარს აულიდთან პირქარი მოევლინა და წინ სვლის ყოველგვარი საშუალება მოუსპო. რადგან ქარი არ ისურებდა ჩადგომას, სამისნოს მიმართეს. სამისნომ განაცხადა, რომ ქარი მანამ არ ჩადგებოდა, სანამ აგამემნონი მსხვერპლად არ გაიღებდა თავის ქალიშვილ იფიგენიას. აგამემნონი იძულებული გახდა შეესრულებინა ღმერთის ეს მეტად არასასიამოვნო სურვილი. მითის ამ დეტალზე აგო ევრიპიდემ შესანიშნავი ტრაგედია „იფიგენია აულიდში“.

ტროის ომში აგამემნონმა დიდი გმირობა და სტრატეგიული ნი-

ჭი გამოიჩინა, მაგრამ პატივმოყვარეობითა და სიამაყით ხშირად ენებდა საერთო საქმეს. კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ აქილევსის რისხვის მიზეზი გახდა ის, რომ აგამემნონმა უსამართლოდ წაართვა ტყვე ქალი ბრიზეიდა, მანამ შეურაცხყო აპოლონის ქურუმი ქრიზე და სხვა, რითაც უდიდესი მორალური და მატერიალური ზარალი მიაყენა თანამებრძოლებს. ომის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებისას, უდიდესი გამარჯვებითა და შინ დაბრუნების სიხარულით აღფრთოვანებული აგამემნონი, რომელსაც იმდენად ბედნიერად მიაჩნდა თავი, რომ ღმერთებსაც კი შესძახა, გშურდეთ ღმერთებო ჩემი ბედნიერებაო, ვერაგულად მოკლეს ცოლმა კლიტემნესტრამ და მისმა საყვარელმა ეგისთემ.

ბეოტიასა და პელეპონესის ზოგ ადგილებში არსებული აგამემნონის კულტი იმაზე მიუთითებს, რომ იგი ადრე ადგილობრივი ღმერთი უნდა ყოფილიყო და გვიან ზევსისათვის დაეთმო ადგილი. ამაზე მიუთითებს მისი ერთ-ერთი საკულტო ზედმეტი სახელი: — ზევს — აგამემნონი. ხელოვნებაშიც აგამემნონი ზევსისმაგვარად გამოისახებოდა მშვიდი და დიდებული სახით, კვერთხით ხელში. აგამემნონის ტრაგიკული ბედი აღწერილია ესქილეს „აგამემნონში“, რასინის „იფიგენიაში“, ევრიპიდეს ტრაგედიაში „იფიგენია ავლიდში“ და სხვა.

აგამემნონიდი, ბერძნ. (Ἀγαμεμνονίδης, ὁ) აგამემნონის ვაჟი, ე. ი. ორესტე, ან საერთოდ აგამემნონის შთამომავალი.

აგანიპე, ბერძნ. (Ἀγανίππη, ἡ) 1. მუზების წმინდა წყარო ჰელიკონზე. 2. ეგვიპტოსის ქალიშვილი.

აგაპენორი, ბერძნ. (Ἀγαπήνωρ -ορος, ὁ) არკადიის მეფე, ტროის ომის მონაწილე.

აგენორი, ბერძნ. (Ἀγήνωρ -ορος, ὁ) 1. ფინიკიის მეფე, პოსეიდონისა და ლიბიეს ვაჟი, ბელოსის ტყუპისცალი. კადმოსის, ფენიქსისა და ევროპეს მამა. როდესაც ზევსმა ევროპე მოიტაცა, აგენორმა ვაჟები გაგზავნა მის საძებნელად და დის გარეშე შინ დაბრუნება სასტიკად აუკრძალა. ბევრი ეძებეს ძმებმა და, დიდხანს იხეტიალეს სხვადასხვა მხარეში, მაგრამ ევროპეს კვალსაც კი ვერ მიაგნეს და იძულებულნი გახდნენ სხვა ქვეყანაში ეძებნათ თავშესაფარი. ძმები სხვადასხვა ქვეყანაში დასახლდნენ.

2. ანტენორის ვაჟი, ერთ-ერთი ტროელი გმირთაგანი, რომელსაც იგი აქილევსს მარტო შეებრძოლა და როცა ამ უკანასკნელს უნდა ეჯობნა, აგენორის სახე თვით აპოლონმა მიიღო, ბრძოლა მან განაგრ-

ძო და სიკვდილისაგან იხსნა იგი. აგენორი ბოლოს ნეოპტოლემოსმა მოკლა.

აგენორიდები, ბერძნ. (Ἀγηνορίδαι, οἱ) თებელები, ე. ი. აგენორის შთამომავალნი.

აგენორიდი, ბერძნ. (Ἀγηνορίδης, ὁ) აგენორის ვაჟი, ე. ი. კადმოსი ან ფენიქსი.

აგლავროსი, ბერძნ. (Ἄγλαυρος, ἡ) კეკროპის ერთ-ერთი ქალიშვილთაგანი, რომელსაც ათენამ გადასცა ყუთი ახლადშობილი ერიხთონიოსით. ათენამ სასტიკად აუკრძალა ქალიშვილს ყუთის გახსნა, მაგრამ ამით უფრო დააინტერესა აგლავროსი და ამ უკანასკნელმა თავის დასთან ჰერსესთან ერთად მაინც გახსნა იგი. ამის გამო ათენამ დები უგონობით დასაჯა, დაბნეულები კლდეზე გადაცვივდნენ და დაიხოცნენ (სხვა მითის მიხედვით ჰერსა იყო ჰერმესის შეყვარებული. იგი დაზე ეჭვიანობის გამო ქვად იქცა). ათენის აკროპოლში არსებობდა აგლავროსის საკურთხეველი. ერთი მითის მიხედვით აგლავროსი კეკროპის ცოლი და ჰერსეს დედაა.

აგლაია, ბერძნ. (Ἀγλαΐα, ἡ) ნერევსის დედა. ერთ-ერთი ქარიტთაგანი.

აგრიონიები, ბერძნ. (Ἀγριώνια, τὰ) დიონისესადმი მიძღვნილი დღესასწაულები ორქომენში.

აგრიონიოსი, ბერძნ. (Ἀγριώνιος,- ου, ὁ) დიონისეს ერთ-ერთი ეპითეტი.

აგრიოსი, ბერძნ. (Ἄγριος, ὁ) 1. ნერევსის ძმა, კალიდონის მეფე. 2. ოდისევსისა და კირკეს ვაჟი, ლატინოსის და ტელეგონეს ძმა.

აგრონი, ბერძნ. (Ἄγρων -ωνος, ὁ) ნინოსის ვაჟი, ლიდიის პირველი მეფე. ჰერაკლიდთა შთამომავალი.

ადმეტე, ბერძნ. (Ἀδμήτη, ἡ) 1. ოკეანოსის ქალიშვილი, პერსეფონეს მეგობარი. 2. ევრისთევსის ქალიშვილი, რომლისთვისაც ჰერაკლემ იპოლიტეს ქამარი მოიპოვა.

ადმეტოსი, ბერძნ. (Ἄδμητος, ὁ) ქალაქ ფერეს მეფე, თესალიელი გმირი, კალიდონის ნადირობისა და არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე. ფერეტოსის ვაჟი, ევმელოსის მამა, იასონის ბიძაშვილი. ადმეტოსის ფარას ერთხანს აპოლონი მწყემსავდა. ადმეტოსს სურდა პელიასის ქალიშვილის ალკესტიდას ცოლად შერთვა, მაგრამ პელიასმა განაცხადა, რომ ადმეტოსს თავის ქალიშვილს ცოლად მისცემდა მხოლოდ მაშინ, თუ ქორწილზე მივიდოდა ეტლით, რომელშიც ლომი და გარეული ტახი იქნებოდა შებმული. ამ საქმის მოგვარებაში

ადმეტოსს აპოლონი დაეხმარა. სხვა თქმულების მიხედვით ადმეტოსმა ალკესტიდა ცოლად შეირთო პელიასის სიკვდილის შემდეგ. (იასონის დახმარებით). ქორწინების დროს ადმეტოსს დავიწყდა არტემიდესათვის მსხვერპლის შეწირვა, რის გამოც განრისხებულმა ღმერთქალმა გველები მიუსია, მაგრამ ამისაგანაც აპოლონმა იხსნა. აპოლონს ისე შეუყვარდა ადმეტოსი, რომ ბოლოს იმის შესაძლებლობაც კი მისცა, რომ ჰადესში (საიქიოში) თავის მაგიერ სხვა გაეგზავნა. ამ პირობაზე მას მხოლოდ უსაყვარლესი ცოლი — ალკესტიდა დათანხმდა. გმირმა ჰერაკლემ ქმრის მოსიყვარულე ალკესტიდა კვლავ დააბრუნა საიქიოდან და ქმარს მიჰგვარა. ამ თემაზე ევრიპიდემ დაწერა ტრაგედია „ალკესტიდა“.

ადონისი, ბერძნ. (Ἄδωνις -ιδος, ὁ) ფინიკიელთა ბუნების ღვთაების ბერძნული სახელწოდება. მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების გახსახიერება. ადონისის კულტის ცენტრი აღმოსავლეთში იყო ქალაქი ჰებალი. ჩვენს ერამდე V საუკუნეში ადონისის კულტი საბერძნეთში გადავიდა, ცოტა მოგვიანებით კი — რომშიც. ბერძნული მითების მიხედვით იგი მშვენიერი მირას ანუ სმირნას და მისი მამის, კვიპროსის მეფის ვაჟია. ადონისი ბავშვობიდანვე არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩეოდა. იგი შეუყვარდა აფროდიტეს, მშობლებს წაართვა და აღსაზრდელად მისცა მიწისქვეშა სამყაროს მფლობელ პერსეფონეს, როდესაც ვაჟი გაიზარდა, პერსეფონეს ისე მოეწონა იგი, რომ აფროდიტეს უარი განუცხადა მის უკან დაბრუნებაზე. ღმერთქალთა დავა დიდხანს გაგრძელდა და საქმე ზევსამდეც კი მივიდა. ზევსმა დაადგინა, რომ ადონისს წელიწადის ერთი მესამედი პერსეფონესთან უნდა გაეტარებინა. ერთი მესამედი აფროდიტესთან, დანარჩენი დრო კი — თავის ნებაზე, ამის შემდეგ მალე ადონისი ნადირობისას დაგლიჯა გარეულმა ტახმა. მისი სისხლის წვეთებისაგან ვარდები აღმოცენდნენო — გადმოგვცემს ლეგენდა.

სხვა მითის მიხედვით ღმერთქალთა დავა და ადონისის ქვეყნად დაბრუნება მოხდა მას შემდეგ, რაც იგი ტახმა დაგლიჯა. ზოგიერთი მითის მიხედვით ადონისმა თავისი სილამაზის წყალობით შეძლო საყვარლად გაეხადა ეერინომე, რაშაც ზევსის რისხვა გამოიწვია და ადონისი მოკლა. კიდევ სხვა მითის მიხედვით ადონისი მოკლა არესმა აფროდიტეზე ეჭვიანობის გამო. ადონისის მითი ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა რელიგიაში ბუნების მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი თვისების გამოხატვის სიმბოლოდ (მაგალითად, მითი ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ). ფინიკიასა და სირიაში ყოველწლიურად იხდიდნენ ადონისის დღესასწაულს, რომელ-

შიც მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. საბერძნეთში ადონისის სახელზე აშენებდნენ ყვავილთა ბაღებს, ადონისისათვის საჩუქრად მიჰქონდათ საკუთარი თმები და სხვა.

ხელოვნებაში ადონისი გამოისახებოდა იშვიათი სილამაზის ყმაწვილად (ჩვეულებრივ აფროდიტეს გვერდით), ზოგჯერ როგორც მკვდარი, ან მომაკვდავი. მითს აფროდიტესა და ადონისის შესახებ ხშირად იყენებდნენ ხოლმე ხელოვანნი (ტიციანი, ვერონეზე, რუბენსი და სხვა).

ადრასტეია, ბერძნ. (Ἀδράστεια, ἡ) 1. სასჯელისა და შურისძიების ღმერთქალი, ხშირად გაიგივებულია ნემესიდასთან, იონიაში კი — კიბელასთან. 2. ფერია, რომელიც ძეძეს აწოვებდა გადამალულ პატარა ზევსს.

ადრასტოსი, ბერძნ. (Ἄδραστος, ὁ) არგოსის მეფის ტალაოსის ვაჟი. ამფიარაოსისაგან განდევნილი გაიქცა ბაბუასთან სიკიონში და მისი სიკვდილის შემდეგ ამ ქვეყნის მეფე გახდა. მან დააწესა ნემეური თამაშობანი (იხ. ნემეური თამაშობანი). ადრასტოსს უწინასწარმეტყველეს, რომ მისი ქალიშვილები ცოლებად გაჰყვებოდნენ გარეულ ტახსა და ლომს. მართლაც მან ქალიშვილები გაატანა გმირებს: პოლინიკესა და ტიდეუსს, რომელთა ფარებზეც გამოსახულნი იყვნენ გარეული ტახი და ლომი. ადრასტოსის ქალიშვილის არგეასა და პოლინიკეს ქორწინება გახდა მიზეზი „შვიდთა თებეს წინააღმდეგ“ ლაშქრობისა. ცნობილია, რომ ეს ლაშქრობა უიღბლო გამოდგა და შვიდ მხედართმთავართაგან გადარჩა მხოლოდ ადრასტოსი, ისიც აპოლონისაგან ნაჩუქარი ჯადოსნური სიჩქარის მქონე ცხენის წყალობით. ათი წლის შემდეგ იგი ხელმძღვანელობს ძლევაწოსილ ეპიგონთა ლაშქრობას თებეს წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის დროს დაიღუპა მისი ვაჟი ეგიალევსი და თვით კი დარდს გადაყვა.

ადრასტოსის კულტი გავრცელებული იყო სიკიონში. შესაძლებელია იგი იყოს სიკიონის ძველი, მიწისქვეშა ძალების ღვთაება. საბერძნეთში ადრასტოსის კულტი შეერწყო დიონისეს კულტს.

აედონი, ბერძნ. (Ἀηδών -όνος, ბ— ბულბული) პანდარეოსის ქალიშვილი, ამფიონის ძმის—ძეთოსის მეუღლე, იტილის დედა. აედონს შეეხარხა ნიობეს ბედი, რომელიც ამაყობდა მშვენიერი შვილებით და გადაწყვიტა მისი ვაჟის შ.ოკვლა, მაგრამ სიბნელეში აერია თავისი და მისი შვილები და მოკლა საკუთარი ერთადერთი შვილი იტილი. ეს რომ ზევსმა გაიგო, აედონი ბულბულად აქცია, რათა ნიობად ეტირა საკუთარი ხელით მოკლული შვილი. ბულბული თითქოს მარად მწუხარედ იმეორებს შვილის სახელს: იტილ... იტილ... იტილ...

აეროპე, ბერძნ. (Ἀερόπη, ἡ) მიკენის დედოფალი, კატრევსის ქალიშვილი, მინოსის შვილიშვილი. კატრევსს უწინასწარმეტყველეს, რომ იგი მოკვდებოდა თავისი შვილების ხელით, ამიტომ მან ახლადშობილი აეროპე გადასაგდებად მისცა მეზღვაურ ნავპლუსს და მან იგი არგოსში გაყიდა. არგოსში აეროპე პლეისთენეს მისთხოვდა, შემდეგ კი პლეისთენეს ძმას ატრევსს. უფრო გავრცელებული მითის თანახმად აეროპეს შვილები აგამემნონი და მენელაოსი ატრევსისაგან ჰყავდა. ბოლოს აეროპეს თიესტე შეუყვარდა, ამიტომ განრისხებულმა ატრევსმა იგი ზღვაში გადააგდო.

აეგე, ბერძნ. (Αἰγή, ἡ) ათენას ქურუმი, არკადიის მეფის ქალიშვილი. აეგეს მამას უწინასწარმეტყველეს, რომ ბადიშის დაბადება უბედურებას მოუტანდა. მიუხედავად მამის სასტიკი წინააღმდეგობისა აეგემ შეიყვარა ჰერაკლე და მისაგან დაბადა ვაჟი ტელეფოსი. მამისათვის რომ დაეშალა, აეგემ იგი ათენას ტაძარში მიიყვანა. ასეთი საქციელის გამო გამძვინვარებულმა ღმერთქალმა ათენამ ქვეყანას შავი ჭირი მოჰფინა. როდესაც სამისნომ ჭირის გამეფების მიზეზი ახსნა, მეფემ ბრძანა, ჩვილი გზაში დაეგდოთ. ასეც მოიქცნენ და ამის მერე პატარა ტელეფოსს არტემიდეს ირემი კვებავდა. შემონებული აეგე მისიაში გაიქცა და ცოლად გაჰყვა მეფე ტეევთრანტს. როდესაც ტელეფოსი წამოიზარდა, დელფოს სამისნოსაგან გაიგო, თუ სად იმყოფებოდა დედამისი, მონახა და მას ქმარს ეშვილა. სხვა მითის მიხედვით აეგე მდევართაგან თავდაცვის მიზნით ტელეფოსთან ერთად გადავარდა ზღვაში, გადაცურა და შვილთან ერთად მივიდა მისიაში. აეგესა და ტელეფოსის მითი პერგამული წარმოშობისა ჩანს. ტელეფოსი ითვლებოდა პერგამოსის მეფეთა წინაპრად. პერგამოსის ტაძრის მცირე ფასადზე გამოსახულია სცენები ამ თქმულებიდან.

აეგეა, ბერძნ. (Αἰγεύς, ὁ) ელიდის მეფე, ჰელიოსის ვაჟი, არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე, მრავალი ათასი ბირუტყვის მეპატრონე. აეგეას თავლები არ გაუწმენდია 30 წლის განმავლობაში. ჰერაკლემ გზა გადაუღობა მდინარეს, მიმართულება პირდაპირ აეგეას თავლებისაკენ მისცა და ამგვარად ერთ დღეში დაასუფთავა. ესაა ჰერაკლეს მეშვიდე გმირობა.

აეგეას თავლები, ელიდის მეფის აეგეას პირუტყვთა სადგომი, რომელიც 30 წლის განმავლობაში არ გასუფთავებულა. გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ძალზე დანაგვიანებულ შენობას, რაიმე საქმეში მეტისმეტად არეულობას, რომლის მოწესრიგებაც დიდ ენერგიას მოითხოვს.

ავგურები, ლათ. (Augures) ქურუმები ძველ რომში, რომლებიც მომავალს ფრინველების მიმოფრენის მეშვეობით წინასწარმეტყველებდნენ. ქურუმთა ამ კოლეგიას საფუძველი ჩაეყარა ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში და იარსებია ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებამდე. ავგურებს ზოგჯერ დაცინვით უწოდებენ დაბნეულ წინასწარმეტყველებს. გადატანითი მნიშვნელობით ავგურებს უწოდებენ ტყუილის მთქმელ, ცრუ ადამიანებს. ციცერონის თქმით ავგურები მატყუარები იყვნენ და როდესაც დაინახავდნენ მორწმუნეებს, რომლებიც მთელი გულისყურით უსმენდნენ მათ, ერთმანეთს გადახედავდნენ და სიცილს ძლივს იკავებდნენ. აქედან მომდინარეობს მხატვრული გამოთქმა „ავგურის სიცილი“.

ავგუსტალები, ლათ. (Augustales) ქურუმთა კოლეგია ძველ რომში, რომლის მოვალეობას შეადგენდა იმპერატორის კულტის სხვადასხვა ქალაქში გავრცელება. კოლეგიაში მიიღებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ყოველმხრივ საიმედო მოქალაქეები.

ავერნუსი, ლათ. (Avernus) ტბა კამპანიაში (იტალია), საიდანაც მყრალი, მომწამვლელი ჰაერი ამოდიოდა, რის გამოც ამ ტბას ძველი რომაელები ჰადესში შესასვლელ ერთ-ერთ კარად მიიჩნევდნენ.

ავზონიუსი, ლათ. (Ausonius) იტალიის პირველი მეფე, ოდისევსისა და კირკეს (ან კალიფსოს) ვაჟი. ავზონიუსთანაა დაკავშირებული იტალიის მოსახლეობის პირველი სახელწოდება — ავზონები. ახალი დროის მთელ რიგ ნაწარმოებებში იტალიას ავზონია ეწოდება.

აილიუსი, ლათ. (Auilius) რომულუსისა და ჰერსილიას ვაჟი.

აერორა, ლათ. (Aurora) განთიადის ღმერთქალი (იხ. ეოსი). განთიადის სინონიმი და სიმბოლო, ჩრდილოეთის ავრორას ჩრდილოეთის ცისკრის ვარსკვლავს უწოდებენ. ავრორას მდევარს — დილის ვარსკვლავს.

ავტოლიკოსი, ბერძნ. (Αὐτόλυκος, ὁ) 1. ჰერმესისა და ქიონეს ვაჟი, ოდისევსის პაპა, ანტიკლეას მამა. ავტოლიკოსმა ჰერმესისაგან ისწავლა გაიძვერობა და ამის გამო დახელოვნებულ ქურდად ითვლებოდა. შეეძლო სასურველი სახის მიღება, საგნების უხილავად ქცევა, ან ისე შეცვლა, რომ პატრონს ვეღარ ეცნო. შემდეგ ავტოლიკოსმა ჰერაკლეს ასწავლა ბრძოლის ხელოვნება. 2. ერთ-ერთი არგონავტი, მას მიეწერება სინოპის დაარსება. 3. პოლიმედეს მამა, იასონის პაპა.

ავტომატია, ბერძნ. (Αὐτοματία, ἡ) შემთხვევითობის, მოულოდნელობისა და მოულოდნელი ბედნიერების მფარველი ღმერთქალი ძველ საბერძნეთში.

ავტონოე, ბერძნ. (Αὐτονόη, ἡ) ჰარმონიასა და კადმოსის ქალიშვილი, პენელოპეს მსახური, არისტეასის მეუღლე, აქტეონის დედა, ბაკხელებისაგან პენთევსის მოკვლის ერთ-ერთი მონაწილე.

ავტოხთონი, ბერძნ. (Αὐτόχθων, ὁ) ატლანტიდის მითიური მეფე.

ავქატები, ბერძნ. (Αὐχάται, οἱ) ერთ-ერთი სკვითური ტომი.

აზია, ბერძნ. (Ἀσία, ἡ) ტეთისის და ოკეანოსის ქალიშვილი, იაპეტის ცოლი, ატლანტოსის, პრომეთესა და ეპიმეთეს დედა. აზიის კონტინენტის ეპონიმი.

ათამანტი, ბერძნ. (Ἀθάμας -αντος, ὁ) მინიელთა მეფე (ბეოტიაში), ორქომენის მმართველი, მეფე ეოლოსის ვაჟი, ელინის შვილიშვილი, სალმონეუსის ძმა. ათამანტი შეუყვარდა ღრუბელთა ღმერთქალ ნეფელეს და მისაგან შეეძინა ფრიქსოსი და ჰელე. ქადმოსის ქალიშვილმა ინომ, როგორც კი ათამანტის მეუღლე გახდა, შეიზიზღა ნეფელესაგან ნაშობი გერები და მოახერხა ის, რომ ათამანტს მათი მსხვერპლად შეწირვა გადაწყვეტინა. ჰეროდორე სიცელიელის მიხედვით ათამანტი თემისტოს მეუღლეა და მათი ყველაზე უმცროსი შვილებია ფრიქსე და ჰელე. გვიან, როდესაც სამისნოს ბრძანების თანახმად ათამანტი უნდა შეეწირათ მსხვერპლად, კოლხეთიდან მოვიდა ფრიქსეს ვაჟი კიტისოროსი და მოხუცებული პაპა სიკვდილისაგან იხსნა. თუმცაღა ამის გამო ღმერთებმა მთელს მის თამამმავლობას ღვთის რისხვა დაატეხეს.

ჰერამ ათამანტს გონება დაუხშო და ინოს შვილები დაახოცინა. ბეოტიიდან გაძევებულმა ათამანტმა სამისნოს მიმართა რჩევისათვის, თუ სად დასახლებულიყო მოხუცებულობის ჟამს. სამისნომ ურჩია, რომ დამკვიდრებულიყო იქ, სადაც მხეცები უცხოდ მიიღებდნენ, მაგრამ არაფერს დაუშავებდნენ. ბევრი ხეტიალის შემდეგ იგი წააწყდა მგლის სროვას, რომლებმაც მის დანახვაზე თავი მიანებეს ცხვრის გლეჯას და გაიფანტნენ. ამ ადგილზე ააშენა მან ქალაქი, თავისი სახელი უწოდა და ზოგი თქმულების თანახმად თითქოს თემისტოც ამის მერე შეირთო.

ათენა, ბერძნ. (Ἀθηνᾶ, ἡ) საბერძნეთის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაებათაგანი. ძველმიკენური ღვთაება, ზევსის საყვარელი ქალიშვილი. ძველი მითების მიხედვით იგი ღრუბელთა ღმერთქალი, ცისა და ელვის მებრძანებელი, მშვიდობიანი ბრძოლის დამცველია. მან ასწავლა ადამიანებს ცხენის შეკაზმვა და ხარების დაუღლელა, სვლა და თესვა, ეტლების კეთება და გემთა აგება. მან აჩუქა მოკვდავთ ქავი, სახნისი, ფოცხი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მისივე

ნაბოძვარია თითისტარი და საქსოვი დაზგა. იგი ითელებოდა დახელოვნებულ ფეიქრად და ამდენად საფეიქრო საქმიანობისა და ქალთა შრომის დამცველად. ათენა ისევე, როგორც ჰეფესტო, თვითონაც არ გაურბის ფიზიკურ შრომას, კარგადაა ცნობილი მისაგან მოქსოვილი მრავალი საოცრებისო ნიეთი, ამით იგი უახლოვდება ჰეფესტოს და „ერგანე" (მშრომელი) ეწოდება. ამასთანავე ათენა არის მეცნიერების დამცველი. სიბრძნის ღმერთქალი. იგი მარად დგას გონიერებისა და სიბრძნის სადარაჯოზე, მან შეუქმნა ადამიანებს კანონები და დაუწესა არეოპაგი, იგი მუდამ წესრიგის დამცველად გვევლინება. ათენა არის ატიკისა და თავისი სახელობის ქალაქის უზენაესი ღვთაება. როდესაც ამ მხარის მმართველობაზე დავა გაიმართა პოსეიდონსა და ათენას შორის, მოსამართლეებმა გადაწყვიტეს გამარჯვებულად ეცნოთ იგი, ვინც ხალხს უკეთეს საჩუქარს მიართმევდა. პოსეიდონმა კლდეს სამკბილა დაჰკრა და ზღვის მარილიანი წყალი სამჭავლად წარმოადინა, ხოლო ათენამ მიწაში ხმალი ჩაასო და ზეთისხილად აქცია. მოსამართლეებმა შეაფასეს ორივეს საჩუქარი და აღნიშნეს, რომ ზღვის მარილიანი წყალი ყველგან დიდ ტალღებად ბობოქრობს და ადვილი საშოვარია, ზეთის ხილი კი ატიკელებს სიმდიდრესა და ბედნიერებას მოუტანს. ამიტომაც გამარჯვებული ათენაა და ამ მხარის პატრონობაც მას ეკუთვნისო. ზეთის ხილი ამის შემდე ათენას წმინდა ხედ ითვლებოდა.

მითებში გადმოცემულია ათენას საოცარი დაბადება ზევსის თავიდან. ჰესიოდე გვიამბობს, რომ ზევსის პირველი მეუღლე, ოკეანიდი მეტიდა შვილს ელოდებოდა. ზევსს უწინასწარმეტყველეს, რომ ეს ბავშვი მას გადააჭარბებდა სიძლიერითა და გონიერებით. ამ არასასიამოვნო მოვლენის თავიდან აცილების მიზნით ზევსმა გადაყლაპა მეტიდა, მაგრამ ბავშვმა განვითარება მამის თავში განაგრძო. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჰეფესტომ ჩაქუჩის დარტყმით გახსნა ზევსის თავი და ქვეყანას ათენა მოუვლინა.

ზოგი მითის მიხედვით ათენა ოკეანოსის ქალიშვილია. ჰომეროსის მიხედვით იგი ზევსის სატრფოა. ზევსი მას არაფერზე უარს არ ეუბნება. ათენა მონაწილეობდა „გიგანტომახიაში". შემდეგში ათენას პალანტას კულტი შეერწყა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს მისი ზედმეტი სახელი პალადა. ტროის ომში ათენა ბერძნების მხარეზეა, იგი განაწყენებულია იმის გამო, რომ პარისმა ოქროს ვაშლი აფროდიტეს არგუნა. ათენა მფარველობს არგონავტებს, იგი გამოსახული იყო „არგოს" კიჩოზე.

პერსევსი ათენას დახმარებით იმარჯვებს გორგონა-მედუზაზე და მის თავს საჩუქრად აძლევს ღმერთქალს, ათენამ გორგონას თავით

თავისი ფარი შეამკო. ათენა არის ჰერაკლეს მარადიული მფარველი. იგი ითვლება აგრეთვე ფლეიტის დამკვრელთა (და საერთოდ მუსიკის) მფარველად. ათენა ცნობილია როგორც სიჭაბუკისა და სათნოების განსახიერება, მისი მიბაძვით უნდა იყოს შექმნილი ღვთისმშობელი მარიამი. ათენას კულტი გავრცელებული იყო საბერძნეთის ბევრ ქალაქში, მაგრამ მისი მთავარი ტაძარი მისი სახელობის ქალაქში მდებარეობდა (პართენონი ათენში). პართენონში იდგა ოქროთი და სპილოს ძვლით დაფარული ათენას უმშვენიერესი ქანდაკება (ფიდიასის ნამუშევარი). პართენონის წინ იდგა ათენას მეორე, ბრინჯაოს ქანდაკება. ხელოვნებაში ათენა გამოისახებოდა მკაცრ და დიდებულ ქალიშვილად. ხშირად გრძელი ტანსაცმლით, ხმლით, ფარით და შუბით.., ათენას ფერხთით მუდამ ზის მისი წმინდა ფრინველი — ბუ. ხშირად ათენა გველთან ერთად გამოისახებოდა, (გველი სიბრძნის სიმბოლოა). რომში ათენა გააიგივეს ხელოვნების მფარველ ღმერთქალ მინერვასთან (იხ. მინერვა).

ა თ უ რ ი, ისიდას ეგვიპტური სახელწოდება.

ა ი ა, ბერძნ. (Αἰᾶ, ἡ) კოლხეთის ძველი სახელწოდება. მეფე აიეტის მეფობის დროს აქ მოვიდნენ არგონავტები და მოიტაცეს ოქროს საწმისი. აია ზოგ მკვლევარს მითიურად მიაჩნია, ზოგის აზრით, იგი თანამედროვე კოლხეთია, ზოგს კი — იტალიის მახლობლად გადააქვს.

კუნძულ აიაზე ბატონობდა გრძნეული ქალი — კირკე. აიას ხშირად კირკეს კუნძულსაც უწოდებენ (იხ. აიეტი. მედეა, არგონავტები, ოქროს საწმისი).

ა ი დ ი, — იხ. ჰადესი.

ა ი დ ო ნ ე ვ ს ი, ბერძნ. (Αἰδωνεύς, ὁ) მოლოსების მითიური მეფე ეპირში, პერსეფონეს ქმარი, კორას მამა.

ა ი ე ტ ი, ბერძნ. (Αἰήτης, ὁ) „მოკვდავთმანათობელი" ჰელიოსისა და პერსეს „მრისხანე" ვაჟი, კირკეს ძმა (ზოგი ვარიანტით მამა). მედეას მამა, ძველი კოლხეთის (აიის) მითიური მეფე, იდიიას ქმარი. სხვა მითის მიხედვით აიეტი ჰელიოსისა და ანტიოპეს ვაჟია, ალოევსის ძმაა. როდესაც ჰელიოსმა ვაჟებს ქვეყანა გაუნაწილა, აიეტს წილად ხვდა კორინთო, მაგრამ არ მოეწონა, სამფლობელოდ გადასცა ვინმე ბუნე ჰერმესის ძეს, დაავალა შეენახა იგი მისი შთამომავლობისათვის, თვითონ კოლხეთში გადასახლდა, იქ დამკვიდრდა და მისი სახელოვანი მეფე გახდა. აიეტი იყო ძლიერი და მკაცრი მეფე. რამდენიმე ხნის შემდეგ აიეტის ქვეყანას მიადგა ფრიქსე ოქროს ვერძით. მეფის თანხმობით ვერძი ზევსს შესწირა, ოქროსბეწვი-

ანი ტყავი კი აიეტს მიართვა, რომელმაც იგი არესის ჭალაში ხეზე ჩამოაკიდებინა. სხვა მითის მიხედვით ფრიქსე კოლხეთში ოქროს ვერძით კი არ მიფრინდა, არამედ გემით, გემზე მას ჰქონდა საბერძნეთიდან წამოღებული ოქროს ქანდაკება და ის უძღვნა აიეტს ქალიშვილის მითხოვების სამაგიეროდ. ამის შემდეგ აიეტს სამისნომ უწინასწარმეტყველა, რომ აღესრულებოდა მაშინ, როდესაც მის ქვეყანაში უცხოელები მივიდოდნენ და ფრიქსეს მირთმეულ საჩუქარს უკან წაიღებდნენ. ამ მიზეზითა და თავისი სისასტიკის წყალობითაც, გადმოგვცემენ ძველი ისტორიკოსები — აიეტმა გასცა განკარგულება: — ყველა უცხოელი, ვინც კი კოლხეთში რაიმე მიზეზით გამოჩნდებოდა, განუკითხავად შეეწირათ მსხვერპლად. ამას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მისი სისასტიკის ამბავი შორს წასულიყო და ვერავის გაებედა კოლხეთში მისელა ოქროს საწმისის წამოსაღებადო, გადმოგვცემენ ძველი კომენტატორები.

ყოველივე ამის მიუხედავად, გარკვეული დროის შემდეგ აიას მიადგნენ არგონავტები, (იხ. არგონავტები). მედეას მეშვეობით ისინი გადაურჩნენ მსხვერპლად შეწირვას, აიეტის სასახლეში მივიდნენ და ოქროს საწმისი მოითხოვეს. აიეტმა იასონს რამდენიმე ძნელი, თითქმის შეუსრულებელი დავალება მისცა, მაგრამ მედეას დახმარებით, რომელსაც შეუყვარდა ელინი ვაჟკაცი, მან ყველა დავალება შეასრულა და კვლავ აიეტს წარუდგა. გაოცებულმა, დაჭვებულმა და განრისხებულმა აიეტმა გმირები ვახშამზე მიიწვია და მათი ამოხოცვა (ზოგი ვარიანტით არგოს დაწვა) განიზრახა. იმ ღამეს აიეტი აფროდიტემ ცოლის სარეცელზე ჩააძინა, ამასობაში მედეამ იასონს ყველაფერი უამბო, მერე მასთან ერთად არესის ჭალაში წავიდა, საწმისის მცველი დრაკონი რაღაც წამლისა და ლოცვის მეშვეობით დააძინა (ზოგი ვარიანტით რაღაც ხერხების საშუალებით მოაკვლევინა იასონს), არგონავტებმა საწმისი მოიტაცეს და მედეაც თან გაიყოლეს. სხვა მითები გადმოგვცემენ, რომ აიეტმა მათ მიუსწრო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, შეებრძოლა, პირადად მან მოკლა იფიტე, მისი ამალიდანაც ბევრი დაიხოცა. ცხარე ბრძოლაში, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, აიეტი დაიღუპა მელეაგროსის ხელით. აიეტი ითვლება ჰელიოსის (მზის) ვაჟად.

მიუხედავად იმისა, რომ აიეტს გააჩნია მრავალი, ზებუნებრივი ნიშნები, შესაძლებელია იგი მაინც იყოს რეალური, ისტორიული პიროვნება, რომელსაც დროთა მსვლელობაში დიდი სიძლიერის, სიმკაცრისა და გავლენიანობის გამო ახალ-ახალი თვისებები და ეპი-

თეტები მოარგეს, ნახევრად ღმერთად აღიარეს და მითოლოგიის ლამაზი სამოსით შემოსეს.

აიუს ლოკუციუსი, ლათ. (Aius Locutius) რომაული ღვთაება. გადმოცემის თანახმად ერთ ღამეს, რომზე გალების თავდასხმამდე ერთი წლით ადრე, რომაელებს საიდუმლო ხმამ მტრის მოახლოვება აუწყა, მაგრამ მაშინ ამას ყურადღება არავინ მიაქცია და მიივიწყეს. ერთი წლის შემდეგ რომს მართლაც შეესივნენ გალები და მიწასთან გაასწორეს. როდესაც გალები წავიდნენ და რომაელებმა დანგრეული ქალაქის აღდგენა დაიწყეს, გაახსენდათ საიდუმლო ხმა, რომელმაც ეს უბედურება აუწყა და მათ კი არ მოუსმინეს. ამ დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, რომაელებმა საიდუმლო ხმას პალაციუმის ბორცვზე ტაძარი აუგეს. ცოტა მოგვიანებით დამოუკიდებელ ღვთაებად აღიარეს და აიუს ლოკუციუსი უწოდეს (სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვებიდან aio და loquor — ვლაპარაკობ, ვამბობ).

აკადემოსი, ბერძნ. (Ἀκάδημος, ὁ) ატიკელი გმირი, რომელმაც დიოსკურებს თეზევსისაგან მოტაცებული ელენეს ადგილსამყოფელი ასწავლა. ისტორიულ პერიოდში ქალაქის კედლის გარეთ ათენელები აჩენებდნენ აკადემოსის საფლავს. საფლავს გარს ერტყა ეგრეთწოდებული აკადემიის წმინდა ჭალა, რომლის სახელწოდება გმირის სახელთანაა დაკავშირებული. ჩვენს ერამდე IV საუკუნეში ამ ჭალაში ფილოსოფოსი პლატონი ლექციებს უკითხავდა თავის მსმენელებს. პლატონის ამ სკოლას აკადემია ეწოდებოდა. აქედან მომდინარეობს აკადემიის სახელიც.

აკა ლარენცია, ლათ. (Acca Larentia) ძველიტალიური ღვთაება. გვიანდელი მითების მიხედვით იგი მწყემს ფაუსტულუსის ცოლია. ფაუსტულუსმა იპოვა გადაგდებული რომულუსი და რომულუსი და აღსაზრდელად მიუყვანა თავის ცოლს აკა ლარენციას. გადმოგვცემენ, რომ აკა ლარენციას თორმეტმა ვაჟმა არვალელი ძმების პირველი კოლეგია შექმნეს. აკა ლარენციას ზოგჯერ დეა დიასთანაც აიგივებდნენ.

აკამანტი, ბერძნ. (Ἀκάμας, αντος, ὁ) 1. ათენელი გმირი, თეზევსისა და ფედრას ვაჟი. გადმოცემის თანახმად აკამანტი დიომიდესთან ერთად ტროაში გაგზავნეს მოსალაპარაკებლად ელენეს მშვიდობიანი გზით დაბრუნების თაობაზე. აკამანტს ტროაში პრიამოსის ქალიშვილი ლაოდიკე შეუყვარდა და მასთან კავშირით შეეძინა ვაჟი მუნიტოსი. მას შემდეგ, რაც ელჩთა მოთხოვნა უარყვეს და ტროის ომი დაიწყო, აკამანტი თავის ძმა დემოფონტესთან ერთად

ბერძნების მხარეზე იბრძოდა. აკამანტი სხვა გმირებთან ერთად იმყოფებოდა „ტროას ცხენში“. ომის დამთავრების შემდეგ სხვა ბერძენი გმირების მსგავსად აკამანტმაც დიდ ხანს იხეტიალა, სანამ შინ დაბრუნდებოდა. ხეტიალში იგი კუნძულ კვიპროსზე გადავიდა და იქ კოლონია დააარსა. შინ დაბრუნების შემდეგ აკამანტი დემოფონტესთან ერთად ათენის მმართველად ითვლებოდა. 2. ტროელების დასახმარებლად მისული თრაკიელების ბელადი. 3. ტროელი მეომარი, ანტენორისა და თეანოს ვაჟი.

აკარნანი, ბერძნ. (Ἀκαρνάν, ὁ) ალკმეონისა და კალიროეს ვაჟი. კალიროე ზევსს შეევედრა, რომ მისი ვაჟები მალე გაზრდილიყვნენ, რათა მოსწრებოდა მათგან მამის მკვლელისათვის სამაგიეროს მიზღვას. ზევსმა შეისმინა ქალის ვედრება და მისი შვილები მსწრაფლ ძლეგამოსილ გმირებად აქცია. მათ სამაგიერო მართლაც გადაუხადეს მამის მკვლელს — აიღეს და მიწასთან გაასწორეს ფსოტიდა ბეოტიაში. მოპოვებული განძეულება — ჰარმონიას სამკაულები და პეპლოსი დელფოს სამისნოს შესწირეს. ლეგენდის თანახმად აკარნანი აკარნანიის დამაარსებელი და ეპონიმია.

აკასტოსი, ბერძნ. (Ἄκαστος, ὁ) იოლკოსის მეფე პელიასისა და ბიანტის ქალიშვილის — ანაქსიბიას ვაჟი. ზოგი ვარიანტით პელიასისა და ამფიონის ქალიშვილის — ფილომაქეს ვაჟი. პელოპეას და ალკესტიდას ძმა. კალიდონის ნადირობისა და არგონავტთა ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე. მითები გადმოგვცემენ, რომ პელიასმა, რაკი მას სურდა არგონავტების დაღუპვა, (მან ხომ იასონი იმისათვის გაგზავნა ოქროს საწმისის დასაბრუნებლად, რომ იმედი ჰქონდა, იქ დაიღუპებაო) საიდუმლო ბრძანება გასცა, არვინ სუსტი სოლეგით გაემართათ, რათა ზღვაში გასვლისას მალე დაშლილიყო და არგონავტები დაღუპულიყვნენ. ამიტომ სასტიკი წინააღმდეგი იყო თავისი შვილის აკასტოსის არგონავტებთან გამგზავრებისა. როდესაც პელიასს შეეკითხნენ ასეთი სასტიკი წინააღმდეგობის მიზეზს, მან ვერაფერი უპასუხა და იძულებული გახდა, ნება დაერთო აკასტოსისათვის, გამგზავრებულიყო არგონავტებთან ერთად. მითის მიხედვით თითქოს იასონმა აკასტოსს მისცა პელეასის ტახტი. სხვა მითის მიხედვით, როცა აკასტოსი მეფე გახდა, თავისი სამეფოდან განდევნა იასონი და მედეა.

აკესო, ბერძნ. (Ἀκεσώ, ἡ) ქალურ ავადმყოფობათა მკურნალობის ღმერთქალი ძველ საბერძნეთში, ასკლეპიოსისა და ეპიონეს ქალიშვილი.

აკიდი, ბერძნ. (Ἄκις -ίδος, ἡ, ὁ) მდინარე აკიდის ღუთაე-

ბა სიცილიაში. გადმოცემის თანახმად ფაენუსის ვაჟს, სიცილიელ მწყემსს — აკიდს შეუყვარდა ფერია გალატეია და ამისათვის მოკლა პოლიფემოსმა. მოკლული აკიდის სისხლი მდინარედ გადაიქცა და მდინარეს მოსახლეობამ აკიდი უწოდა. მითი გამოიყენა და დაამუშავა ოვიდიუსმა.

აკმონი, ბერძნ. (Ἄκμων, ὁ) ერთ-ერთი დაქტილთაგანი, დაქტილესა და იდეას ვაჟი.

აკო, ალფიტო და მორმო, ბერძნ. (Ἀκκώ, Ἀλφιτώ, Μορμώ) ძველ საბერძნეთში არსებული საფრთხობელები, რომლებითაც ამინებდნენ ხოლმე მოუსვენარ და მტირალ ბავშვებს.

აკონტიოსი, ბერძნ. (Ἀκόντιος, ὁ) ერთ-ერთი დელოსური ლეგენდის გმირი, რომელიც ცნობილი იყო დიდი სიმდიდრითა და სილამაზით. მას შეუყვარდა ათენელი ქალიშვილი კიდიპე. დიდხანს უტრიალა აკონტიოსმა კიდიპეს, მაგრამ მიუხედავად მრავალი დადებითი თვისებისა, ქალი მაინც ვერ დაითანხმა. ბოლოს აკონტიოსმა ასეთი ხერხი იხმარა: ერთხელ, როდესაც კიდიპე არტემიდეს ტაძარში ლოცულობდა, აკონტიოსმა, რაკი იცოდა, რომ ღმერთქალის ტაძარში წარმოთქმული ფიცი უცილობლად უნდა შესრულებულიყო, კიდეპეს წინ ფარულად დააგდო ოქროს ვაშლი წარწერით: „ფიცს ვდებ, რომ ცოლად გავყვები მხოლოდ და მხოლოდ აკონტიოსს“. კიდიპემ ვაშლი აიღო და გულუბრყვილოდ ხმამაღლა წაიკითხა წარწერა. ქალმა რომ წარწერის შინაარსი გაიგო, განრისხდა და მაშინვე გადააგდო ვაშლი, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო — არტემიდეს ტაძარში წარმოთქმული ფიცი უნდა შესრულებულიყო. ეს ამბავი კიდიპეს არავისთვის გაუმხელია, მაგრამ როგორც კი გათხოვებას დააპირებდა, არტემიდეს სურვილის თანახმად ავად ხდებოდა. როდესაც ეს რამოდენიმეჯერ განმეორდა და კიდიპეს მამამ არტემიდეს ტაძარში მომხდარი ისტორია გაიგო, ქალიშვილი აკონტიოსს მისცა.

თავისთავად ცხადია, რომ მითს საფუძვლად უდევს არტემიდეს ტაძრის უდიდესი ავტორიტეტი.

აკრისიოსი, ბერძნ. (Ἀκρίσιος, ὁ) აგლაიას ვაჟი, არგოსის მეფე, დანაოსის მამა. იხ. პერსეევსი.

აკრონი, ბერძნ. (Ἄκρων, ὁ) საბინიის მეფე. საბინიელი ქალების მოტაცების შემდეგ გამართული ომის დროს ორთაბრძოლაში მოკლა რომულუსმა. აკრონის აბჯარი და ყოველგვარი სიმდიდრე რომულუსმა ფერეტრიელ იუპიტერს შესწირა. თითქოს ამის შემდეგ

დაიწყეს რომაელებმა ომში მოპოვებული საუკეთესო ნადავლის იუპიტერისათვის შეწირვა.

ალასტორი, ბერძნ. (Ἀλάστωρ, ὁ) 1. დანაშაულისათვის სამაგიეროს მისაგებად მდევნელი დემონი. 2. სარპედონის მეგობარი, ტროის ომის მონაწილე, მოკლა ოდისევსმა.

ალეტესი, ბერძნ. (Ἀλήτης, ὁ) 1. ჰერაკლეს შთამომავალი, მან დაიპყრო კორინთო და იქიდან განდევნა სიზიფოსის შთამომავლები. ალეტესი ათენის დაპყრობასაც ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო ათენის მეფის — კოდროსის მიერ თავის მსხვერპლად შეწირვის გამო. 2. ეგისთეს ვაჟი. როდესაც ორესტე ტავრიდაში გაემგზავრა, მიკენის ტახტს ალეტესი დაეუფლა, მაგრამ შემდეგ ტახტი კვლავ ორესტემ დაიბრუნა. ალეტესის შესახებ ტრაგედია დაუწერია სოფოკლეს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ალექტო, ბერძნ. (Ἀλληκτώ, ἡ) ერთ-ერთი ერინიათაგანი.

ალექტრიონი, ბერძნ. (Ἀλεκτρυών, ὁ — მამალი) არესის მოსამსახურე უმაწვილი. გადმოცემის თანახმად იგი დარაჯობდა ხოლმე არესსა და აფროდიტეს, როდესაც ისინი დროს ატარებდნენ. იგი ვალდებული იყო შეყვარებულებისათვის დღის მოახლოება ეცნობებინა, რათა „ყოველისმხილველი" ჰელიოსს ისინი ერთად არ დაენახა. ერთხელ ალექტრიონს ჩაეძინა, შეყვარებულებს დღის დადგომა ვერ აცნობა, ტრფიალებით გართული წყვილი ჰელიოსმა დაინახა და ამის შესახებ აფროდიტეს ქმარს — ჰეფესტოს უამბო. ჰეფესტომ მაშინვე რკინის ბადე გააკეთა, ერთიმეორეს ჩახვეული შეყვარებულები დაიჭირა და შესარცხვენად ყველას წინაშე წარადგინა. გაჯავრებულმა არესმა ალექტრიონი მამლად აქცია.

ალთაია, ბერძნ. (Ἀλθαία, ἡ) — მელეაგროსის დედა, ენეევსის მეუღლე.

ალთემენე, ბერძნ. (Ἀλθαιμένης, ὁ) კრეტის მეფის — კატრევსის ვაჟი, სამისნომ იწინასწარმეტყველა, რომ კატრევსი მოკვდებოდა თავისი ვაჟის ხელით. შეშინებული ალთემენე კუნძულ როდოსზე გაიქცა. ქარგა დრომ რომ გაიარა, მოხუცებულმა კატრევსმა გადაწყვიტა მოენახა შვილი და სახელმწიფო გადაეცა. როდესაც მეფე ამალითურთ კუნძულზე გადაიდგა, დამსვდურებმა მტრად მიიღეს და ომი გაუმართეს. კატრევსი მართლაც თავისი შვილის ხელით მოკვდა. როდესაც ალთემენემ საქმის ვითარება გაიგო, მეტისმეტად დამწუხრდა და ღმერთებს სიკვდილი შესთხოვა. ღმერთებმა თხოვნა შეისმინეს და ალთემენე მიწამ ჩაყლაპა, მითი მიეკუთვნება შვილთაგან მამის მოკვლის ფართოდ გავრცელებულ თქმულებათა ციკლს,

რომლებსაც ხშირად რეალური საფუძველიც ჰქონდა. (შდრ. ოიდიპოსი, ტელეგონე და სხვა).

ალკათოოსი, ბერძნ. (Ἀλκάθοος, ὁ) მეგარელი გმირი, პელოპისა და ჰიპოდამიას ვაჟი. როდესაც მეგარის მეფისწული ლომმა დაგლიჯა, მამამ გამოაცხადა: ქალიშვილს ცოლად მისცემდა მას, ვინც მისი ვაჟის დამგლეჯ ლომს მოკლავდა. ალკათოოსმა მოკლა ლომი და ეუხმე ცოლად შეირთო. სიმამრის სიკვდილის შემდეგ მეფობა მან განაგრძო. აპოლონის დახმარებით ალკათოოსმა აღადგინა ადრე კრეტელებისაგან დანგრეული ქალაქის კედლები. მოგვიანებით მეგარაში ააგეს ალკათოოსის საკურთხეველი და მის პატივსაცემად თამაშობებსაც მართავდნენ.

ალკესტიდა, ბერძნ. (Ἀλκηστις, ιδος, ἡ) პელიასის ქალიშვილი, ადმეტოსის მეუღლე, ევმელოსის დედა. როდესაც პელეადებმა მამა დაჩეხეს გაახალგაზრდავების მიზნით, ალკესტიდამ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღო.

ალკიმედე, ბერძნ. (Ἀλκιμέδη, ἡ) იასონის დედა. ერთი მითის მიხედვით როდესაც იასონის მამა კვდებოდა, მოიხმო ძმა პელითი, სახელმწიფო და შვილის მეურვეობა ჩააბარა იმ პირობით, რომ ასი, სახელმწიფო და შვილის მეურვეობა ჩააბარა იმ პირობით, რომ შემდეგ სამეფოს იასონს დაუბრუნებდა. მაგრამ პელიასს არ უნდოდა ტახტის დაკარგვა და ჩვილი იასონის მოკვლა განიზრახა. როდესაც ალკიმედემ მაზლის ბოროტი ზრახვები გაიგო განრიდების მიზნით იასონი აღსაზრდელად მისცა კენტავრ ქირონს.

ალკინოოსი, ბერძნ. (Ἀλκίνοος, ὁ) ფეაკთა მეფე კუნძულ სქერიაზე, პოსეიდონის შვილიშვილი. ბრძენი, ძლიერი და სტუმართმოყვარე მმართველი. მან კეთილად მიიღო მის ქვეყანაში შემთხვევით მოხვედრილი ოდისევსი და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა. მანვე ხელი შეუწყო მედეასა და იასონის დაქორწინებას. კერკირას კუნძულზე არსებობდა ალკინოოსის კულტი.

ალკიონე, ბერძნ. (Ἀλκυόνη, ἡ) 1. ეოლოსის ქალიშვილი, ქეიქსის მეუღლე. მითი დაამუშავა ოვიდიუსმა და შემდეგ ფართოდ გამოიყენეს პოეტებმა და მუსიკოსებმა. 2. ატლანტისა და პლეიონეს ქალიშვილი, პოსეიდონის სატრფო, ბეოტიის მეფე ჰირიევსის დედა.

ალკიონევსი, ბერძნ. (Ἀλκυονεύς, ὁ) ბუმბერაზი, ცდილობდა ჰერაკლეს დაღუპვას, ესროლა უზარმაზარი ქვლე. თითის გაკვრით გმირმა უკანვე ისროლა იგი, დასცა ალკიონევსს და მოკლა. სხვა თქმულების მიხედვით ერთ-ერთი გიგანტთაგანი, რომელიც აღსდგა ღმერთთა წინააღმდეგ და მოკლა ჰერაკლემ.

ალკიონიდები, ბერძნ. (Ἀλκυονίδες, αἱ) ალკიონევსის ქა-

ლიშვილები. მამის სიკვდილის შემდეგ ჩაცვივდნენ ზღვაში და ზღვის ფრინველებად იქცნენ.

ალკმენე, ბერძნ. (Ἀλκμήνη, ἡ) · იფიკლეს და ჰერაკლეს დედა. ჰერაკლე შეეძინა ზევსისაგან. იფიკლე კი პყოლია ქანონიერი მეუღლისაგან —ამფიტრიონისაგან. ზევსის სურვილისამებრ სიკვდილის შემდეგ გადაიტანეს ელისიაში, მკვდრეთით აღადგინეს და დააჯორწინეს რადამანთისზე. როგორც ჰერაკლიდების გვარის ფუძემდებელს, ალკმენეს ხშირად უმღეროდნენ პოეტები.

ალკმეონი, ბერძნ. (Ἀλκμαίων, ὁ) ერთ-ერთი ეპიგონთაგანი, ერიფილესა და ამფიარაოსის ვაჟი, „შვიდთა თებეს წინააღმდეგ ლაშქრობის“ მონაწილე, გამარჯვების შემდეგ დაბრუნებულმა ალკმეონმა მოკლა თავისი დედა, (როგორც მამის დაღუპვაში დაშნაშავე). ალკმეონს აედევნენ ერინიები და მოსვენებას არ აძლევდნენ. სამისნომ აუხსნა მას, რომ ერინიები მხოლოდ იმ ქვეყანაში დაეხსნებიან, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობდა. ასეთ ადგილად გამოდგა იმ ხანებში მდინარის ფსკერიდან ამოწეული კუნძული. ალკმეონი დასახლდა იქ, ცოლად შეირთო მდინარის ღვთაების ქალიშვილი კალიროე და შეეძინა ვაჟები: აკარნანი და ამფოტეროსი. ბოლოს ალკმეონმა დატოვა კუნძული, რათა მამის ჭონება დაებრუნებინა, მაგრამ გზაში მოკლეს. თებეში არსებობდა ალკმეონის ტაძარი. ალკმეონის მითი გახდა მრავალი ჩვენამდის მოღწეული ტრაგედიის წყარო.

ალოადები, ბერძნ. (Ἀλωάδαι, αἱ) ოტოსისა და ეფიალტეს საერთო სახელი. ალოევსის ვაჟები—პოსეიდონის შვილიშვილები (ზოგი ვარიანტით პოსეიდონის ვაჟები). ბავშვობიდანვე გამორჩეოდნენ დიდი ძალ-ღონით. ერთ-ერთი მითის მიხედვით ყმაწვილებმა გადაწყვიტეს მიეღწიათ ცისათვის, რათა ჰერასა და აფროდიტეს სიყვარული მოეპოვებინათ. ამისათვის მოისურვეს ოლიმპოზე დაედგათ ოსა, ოსაზე კი —პელიონი. ამაზე გაჯავრებულმა აპოლონმა ისინი დახოცა და თითქოს ამის შემდეგ შეძლეს ცაში ასვლა. სხვა ვარიანტის მიხედვით ალოადებმა დახოცეს ერთიმეორე, როცა მათ ახლოს შვილის სახით გარბენილი არტემიდეს დაჭერას ცდილობდნენ. ერთი მითის მიხედვით ალოადებმა 13 თვით დააპატიმრეს არესი. ამ პერიოდში ქვეყნად სიმშვიდე და ბედნიერება სუფევდა (არესი გაათავისუფლა ჰერმესმა). თავხედობისათვის ალოადებმა სიკვდილის შემდეგ ასეთი სასჯელი მიიღეს: ჰადესში მიაკრეს ბოძზე და ყურებში გამუდმებით ჩაჰკიოდნენ ბუები. კუნძულ ნაქსოსზე არსებობდა ალოადთა

კულტი. ალოადების მითში აისახა ოლიმპიელთა რელიგიის ბრძოლა ძველი კულტების წინააღმდეგ.

ალოევსი, ბერძნ. (Ἀλωεύς, ὁ) — ალოადების მამა, (იხ. ალოადები).

ალოპე, ბერძნ. (Ἀλόπη, ἡ) ელევსინელ ბუმბერაზ კერკიონის ქალიშვილი. პოსეიდონთან კავშირით შეეძინა ვაჟი, რომლის მიტოვებაც აუცილებელი შეიქმნა. გადაგდებული ბავშვი იპოვეს მწყემსებმა და ალოპეს მამას მიუყვანეს. ტანსაცმლით, რომელშიც გახვეული იყო ჩვილი, მან იცნო თავისი ქალიშვილის უკანონო შვილი და ალოპეს ჩამოხრჩობა ბრძანა. პოსეიდონმა ალოპე წყაროდ აქცია.

ალტარია, ლათ. (altaria — სამსხვერპლო). ძველად ღმერთების საამებლად მიჰქონდათ შესაწირავები, რათა აეცდინათ მათი რისხვა და მოეპოვებინათ მფარველობა. პირველად ალტარიებს წარმოადგენდნენ შეშის ხორები, რომელთაც მსხვერპლთან ერთად წვავდნენ. შემდგომ ალტარიები იგებოდა ქვის, თიხის, მიწის პატარა ამაღლებული ადგილების სახით, სადაც ხდებოდა მსხვერპლთშეწირვა. რადგანაც სჯეროდათ, რომ მსხვერპლიდან ასული კვამლი ადის ცაში და აღწევს ღმერთამდე, ალტარიებს ცის ქვეშ მართავდნენ. განსხვავდებოდნენ გმირთა და ღმერთთა ალტარიები. ღმერთთა ალტარიები უმეტესად დიდი მოცულობისანი იყვნენ და კეთდებოდნენ ტაძრებთან ახლოს, მოედნებზე, წმინდა ჯალებში. ზოგი ალტარია უზარმაზარი მოცულობისა იყო (მაგ. პერგამის ალტარია). გმირთა ალტარია დაბალი და მცირე მოცულობისა იყო, დასაფლეთის მხარეზე ჰქონდა ორმო, სადაც მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლი უნდა ჩასულიყო. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ალტარია ეწოდებოდა ეკლესიის ძირითად ნაწილს. გადატანითი მნიშვნელობით „ალტარია“ ნიშნავს ეკლესიას, რელიგიას. ალტარიაზე მსხვერპლის შეტანა კი — თავის დადებას კეთილი საქმისათვის.

ალფეოსი, ბერძნ. (Ἀλφειός, ὁ) მდინარე ალფეოსის ღმერთი პელეპონესში (იხ. არეთუსა).

ამალთეა, ბერძნ. (Ἀμάλθεια, ἡ) თხა, (სხვა ვარიანტით ფერია), რომელიც კუნძულ კრეტაზე ძუძუს აწოვებდა პატარა ზევსს. ზევსმა ამალთეა შემდეგ ცაში წაიყვანა და ვარსკვლავად აქცია. მითის თანახმად ამალთეას რქას ჰქონდა ჯადოსნური ძალა, უველაფერი სასურველი მიეცა მისი მფლობელისათვის.

ამაძონები, ბერძნ. (Ἀμαζόνες, αἱ) მითიური მებრძოლი ქალები, რომლებიც, თითქოს, ცხოვრობდნენ მეოტიდის (აზოვის) ზღვის სანაპიროზე ან მცირე აზიაში. მთამომავლობის შენარჩუნების

მიზნით ამაძონები უკავშირდებოდნენ უცხოტომელ მამაკაცებს და შემდეგ კვლავ სამშობლოში უშვებდნენ. ამის შემდეგ, თუ ვაჟი შეეძინებოდათ, მამასთან გზავნიდნენ, ხოლო ქალებს მეომრებად ზრდიდნენ. ზოგიერთი ძველი მითის მიხედვით ამ მიზნით, რომ მარცხენა ძუძუს იარაღის ხმარების დროს ხელი არ შეეშალა, ბავშვობაშივე ამოწვავდნენ ხოლმე. ამ მითს ეყრდნობა ზოგი მეცნიერი ამაძონის ეტიმოლოგიის ახსნისას, (ამაძონ-ი ბერძნულად შეიძლება უძუძოს მნიშვნელობით გავიგოთ), მაგრამ ხელოვნების ნიმუშებში ამაძონები გამოსახულნი არიან ლამაზ, კუნთმაგარ ქალებად ყოველგვარი დამახინჯებისა და ძუძუს ამოწვის გარეშე. ამაძონებთან მრავალი მითია დაკავშირებული, კერძოდ: 1. ჰერაკლე იტაცებს ამაძონების დედოფლის — იპოლიტეს ქამარს. 2. თეზევსი იტაცებს ამაძონების დედოფალს — ანტიოპეს და ცოლად ირთავს. 3. ამაძონები დედოფალ პენთესილეას მეთაურობით ეხმარებიან ტროელებს ტროის ომის დროს, პენთესილეას აქილევსი კლავს ომში.

ამაძონების იარაღს შეადგენდა: ორპირი ცული, მშვილდ-ისარი, შუბი, ნახევარმთვარისებრი ფარი... თქმულებები ამაძონების შესახებ შეიქმნა წინაბერძნულ საზოგადოებაში და უნდა ასახავდეს მატრიარქატის ეპოქას. ლეგენდამ ამაძონების შესახებ პოპულარობა მოიპოვა შუა საუკუნეებში, კერძოდ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში, როცა მათი ადგილსამყოფლის ძებნაც კი დაიწყეს. ამაძონების სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული ამერიკის უდიდესი მდინარის სახელწოდება „ამაზონკა". ამაძონთა სახეები მოცემულია მრავალ მხატვრულ ნაწარმოებში. მაგალითად ფართოდაა ცნობილი ფიდიასის მხატვრული ტილო „დაჭრილი ამაძონი". ამაძონებს გადატანით უწოდებენ მებრძოლ, ვაჟკაცური თვისებების მქონე ქალებს. ამაძონებს ქართულ ლიტერატურაში ამორძალებს უწოდებენ. არის ცდები ამაძონები რეალურ არსებებად მიიჩნიონ. ევჰემერისტები იმის დამტკიცებასაც კი ცდილობენ, რომ, თითქოს ამაძონები მამაკაცები არიან. მათი მტკიცებით ამაძონები სინამდვილეში არსებობდნენ, მაგრამ მართლა ქალები კი არ იყვნენ, როგორც ამას ძველი მითოგრაფები გადმოგვცემენ, არამედ წვერ-ულვაშგაპარსული და თმამოშვებული მამაკაცებიო. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამაძონებს ადამიანის ფანტაზიის ლამაზ ნაყოფად მიიჩნევს.

ა მ ა ტ ა, ლათ. (Amata) მეფე ლატინუსის მეუღლე, ლავინიუსის დედა. მან შეაფერხა თავისი ქალიშვილისა და ენეასის ქორწინება, რადგან უნდოდა ქალიშვილი ტურნუსისათვის მიეთხოვებინა. როდესაც ტურნუსი დაიღუპა, ამატამ თავი ჩამოიხრჩო.

ა მ ბ რ ო ს ი ა, ბერძნ. (ἀμβροσία) ოლიმპიელ ღმერთთა საკვები, რომლის მეშვეობითაც უკვდავებას და მარადიულ სიყმაწვილეს ინარჩუნებდნენ. ამბროსიით იკვებებოდნენ ოლიმპიელთა ცხენებიც. გადატანითი მნიშვნელობით ამბროსიის მიღება ნიშნავს უკვდავების მოპოვებას, დიდი და სასახელო საქმის გაკეთების შედეგად მიღებულ ქება-დიდების დამსახურებას. ამბროსია პოეზიაში — და საერთოდ ნიშნავს სიტკბოს, ჰარმონიულობას.

ა მ ი თ ა ო ნ ი, ბერძნ. (Ἀμυθάων, ὁ) კრეთევსისა და ტიროს ვაჟი, ბიანტოსის, მელამპოდისა და ეოლოსის მამა. ესონის ძმა, იასონის ბიძა.

ა მ ი კ ო ს ი, ბერძნ. (Ἄμυκος, ὁ) პოსეიდონისა და თებელი ფერის მელიასის (ზოგი ვარიანტით ბითვინისის) ვაჟი. ბებრიკების მეფე, გამოირჩეოდა დიდი ფიზიკური ძალით. როდესაც მის ქვეყანაში არგონავტები მივიდნენ, მათში ყველაზე ძლიერს — პოლიდევკეს მუშტით ბრძოლა შესთავაზა. პოლიდევკემ მიიღო გამოწვევა, ჩხუბის დროს ამიკოსს კეფაში მაგრად დაკრა და მოკლა. ბებრიკები დაესივნენ პოლიდევკეს, მაგრამ მას არგონავტები მიეშველნენ, მრავალი ბებრიკი მოკლეს და დანარჩენები უკუაქციეს.

ა მ ი მ ო ნ ე, ბერძნ. (Ἀμυμώνη, ἡ) დანაოსის ქალიშვილი, რომელსაც სატირი დევნიდა. ამიმონემ დასახმარებლად მოუხმო პოსეიდონს. პოსეიდონმა სატირს სამკბილა ჰკრა, სატირმა აიცდინა, კლდეს მოხვდა და სამი ჭავლი წყალი გადმოედინა. ამას შემდეგ სატირი დაემალა, ამიმონე კი პოსეიდონმა წაიყვანა და მისგან შეეძინა გმირი ნავპლუსი. ესქილემ ამიმონეს მითი გამოიყენა ერთ-ერთ სატირულ დრამაში.

ა მ ო ნ ი — ძველეგვიპტური ღვთაება, რომელსაც თავიდან ეგვიპტის თებეში, შემდეგ კი მთელს ეგვიპტეში ზეხის ღმერთად მიიჩნევდნენ. საბერძნეთსა და რომში მისი კულტი ზევსისა და იუპიტერისას შეერწყო. ამონის ტაძრები იყო სპარტაში, თებეში, რომსა და სხვა ქალაქებში. ამონს წარმოიდგენდნენ და გამოსახავდნენ ცხვრისთავიან მამაკაცად. აქედან მომდინარეობს მისი გამოსახულების ბერძნული ფორმა — მოწიფული, ზეესის მინამსგავსი მამაკაცი ვერძის რქებით. ამონს მეორენაირად მზის ღმერთი რა-ც ეწოდებოდა.

ა მ პ ე ლ ო ს ი, ბერძნ. (Ἄμπελος, ὁ — ყურძენი, ყურძნის ჩხა) დიონისეს სატრფო. დიონისემ ამპელოსს აჩუქა ყურძნის აკიდო, რომელიც ჩამოუკიდა მაღალ თელაზე. ამპელოსმა მოისურვა აკიდოს ჩამოღება, ფეხი დაუცურდა, ჩამოვარდა და მოკვდა. შეწუხებულმა დიონისემ იგი თანავარსკვლავედად აქცია.

ამპიჭსი, ბერძნ. (Ἄμπυξ, ὁ) ფერია ქლორიდას ქმარი, მოფსოსის მამა.

ამულიუსი, ლათ. (Amulius) ლათინური თქმულების მიხედვით ალბა ლონგას მეფე, ენეასის შთამომავალი. მან თავის უფროს ძმას — ნუმიტორს წაართვა სამეფო ტახტი, ხოლო მისი ქალიშვილი რეა სილვია ვესტას ქურუმად გაგზავნა. რეა სილვიამ მარსთან კავშირით დაბადა რემუსი და რომულუსი. ამულიუსმა ბრძანა მისი ჩამოხრჩობა და ბავშვების ტიბრში გადაყრა, მაგრამ ისინი მარსმა გადაარჩინა. როდესაც ბაუშვები გაიზარდნენ, მოკლეს ამულიუსი და ტახტი ქვლავ ნუმიტორს დაუბრუნეს.

ამური, ფრანგ. (Amour) სიყვარულის რომაული ღვთაების ამორის ფრანგული სახელი. ქართულ და რუსულ ენაში იგი სწორედ ფრანგული ფორმით იხმარება. იგივე ბერძნული ეროსი.

ამფიარაოსი, ბერძნ. (Ἀμφιάραος, ὁ) არგოსის მეფე, კალიდონის ნადირობისა და არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე. მონაწილეობდა ავრეთვე (სხვა მხედართმთავრებთან ერთად) თებეს წინააღმდეგ ლაშქრობაში, ცნობილი წინაწარმეტყველი. როდესაც ამფიარაოსმა ერიფილეს ცოლობა სთხოვა, ერიფილე იმ პირობით დათანხმდა, თუ ყოველგვარ სერეილს შეუსრულებდა. მისი ცოლად შერთვის შემდეგ ამფიარაოსმა ადრასტოსი არგოსიდან განდევნა. ერიფილემ აიძულა ამფიარაოსი მონაწილეობა მიეღო თებეს წინააღმდეგ ლაშქრობაში მიუხედავად იმისა, რომ ქმარმაც და ცოლმაც იცოდნენ, რომ ამფიარაოსი ამ ომში უნდა დალუპულიყო. ომში წასვლის წინ ამფიარაოსმა თავის შვილებს ალკმეონსა და ამფილოქეს დაავალა, სამაგიერო გადაეხადათ ერიფილესათვის. თებეს კარებთან წარუმატებლობის შემდეგ ამფიარაოსი გაქცეულისას მიწამ ჩაყლაპა. ამის შემდეგ მას ღმერთებმა უკვდავება აჩუქეს. ამფიარაოსის კულტი საბერძნეთის ბევრ ქალაქში იყო გავრცელებული. ამფიარაოსის ტაძრებთან იყო სამისნოებიც. ამფიარაოსი წინაბერძნული მოსახლეობის ღვთაება ჩანს.

ამფიქტიონი, ბერძნ. (Ἀμφικτύων, ὁ) პირასა და დეუკალიონის ვაჟი, მას მიეწერება დელფო-თერმოპილის ამფიქტიონიის შექმნა. მითის მიხედვით ამფიქტიონი პირველად თერმოპილში მეფობდა, შემდეგ იგი დაჭორწინდა ათენის მეფის ქალიშვილზე, საამაბრს სამეფო წაართვა და თვით განაგრძო მეფობა. ზოგიერთი მითის მიხედვით ამფიქტიონმა ღმერთქალ ათენას შესწირა ის ქალაქი, რომელსაც შემდეგ ათენი ეწოდა. ამფიქტიონის მეფობის პერიოდში ათენს მრავალჯერ ეწვია დიონისე და ამფიქტიონთანაც მივიდაო — გადმოგვცემს ერთ-ერთი ლეგენდა. ამფიქტიონი ბოლოს ერიხთონიოსმა განდევნა ათენიდან.

ამფიქტიონია, ბერძნ. (Ἀμφικτιονία, τὰ) ყველაზე მეტად პატივსაცემი სამლოცველოს ან კულტის ირგვლივ ტომთა ან ქალაქთა კავშირი, რომლის მიზანი იყო ტაძრებისა და საკრებულოების თავდამსხმელთაგან დაცვა. ამფიქტიონთა შეკრებებზე განიხილებოდა საერთო საკითხებიც: არიგებდნენ მოდაველებს, ორგანიზაციას უწევდნენ საღლესასწაულო თამაშობა-ზეიმებს... ამფიქტიონიის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ბერძნულ სახელმწიფოთა შორის სავაჭრო-ეკონომიურ შეთანხმებათა დადებასთან. უდიდესი მნიშვნელობის იყო დელფოში, აპოლონის ტაძართან არსებული დელფო-თერმოპილის ამფიქტიონია.

ამფინომე, ბერძნ. (Ἀμφίνομη, ἡ) 1. იასონის დედა ერთ-ერთი მითის მიხედვით. 2. პელიასის ერთ-ერთი ასული.

ამფილოქსი, ბერძნ. (Ἀμφίλοχος, ὁ) ამფიარაოსის ვაჟი, ალკმეონის ძმა, ელენეს ქმრობის ერთ-ერთი პრეტენდენტი, ტროის ომის მონაწილე. ჰქონდა წინაწარმეტყველების ნიჭი. ითვლებოდა კილიკიის ქალაქ მოლოსის დამაარსებლად. ამ ქალაქის პატრონობის თაობაზე იგი შეება წინასწარმეტყველ მოფსოსს და ორივენი ჩხუბის დროს დაიღუპნენ.

ამფიონი, ბერძნ. (Ἀμφίων, ὁ) ზევსისა და თებეს მეფის ქალიშვილის — ანტიოპეს ვაჟი, ნიობეს მეუღლე. ახლადდაბადებული ამფიონი და ძეთოსი ბედისაამარა გადაყარეს. ისინი მწყემსებმა აღზარდეს. დავაჟკაცების შემდეგ ძმებმა დაიპყრეს თებე, მოკლეს ბოროტი მმართველი ლიკოსი და მისი ცოლი დირკე, რომელიც ცუდად ეპყრობოდა მათ დედას. გარდა იმისა, რომ ორივე ძმა დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა, ისინი საუცხოოდ უკრაედნენ კითარაზე. როდესაც ძმები თებეს გარშემო კედელს აგებდნენ, მათი კითარის ხმაზე ქვები თავისით ლაგდებოდნენ ერთიმეორეზეო — გადმოგვცემს ლეგენდა.

ამფიტრიონი ბერძნ. (Ἀμφιτρύων, ὁ) ტირინთის მეფე, პერსეევსის შვილიშვილი, ჰერაკლეს დედის — ალკმენეს მეუღლე, იფიკლეს მამა. ამფიტრიონმა მოკლა თავისი ბიძა, — მიკენის მმართველი ელექტრიონი, რისთვისაც ალკმენესთან ერთად მიკენიდან განდევნეს. იგი გაიქცა თებეში მეფე კრეონტთან. თებეში მისულ ამფიტრიონს კრეონტმა დააკალა ქვეყანა ეხსნა მძვინვარე ტეუმესელი მელიისაგან, რომლისათვისაც ვერავის ვერაფერი მოეხერხებინა. ამფიტრიონმა მონადირე კეფალოსისაგან იშოვნა ჯადოსნური სიჩქარის

ძაღლი და მელიის შესაპყრობად გაემართა. ნადირობისას, როდესაც ის იყო ძაღლი მელას უნდა დაწეოდა, ძაღლიც და მელაც ქვებად გადაიქცნენ. ამფიტრიონი დაიღუპა მინიელებთან ბრძოლაში. ამფიტრიონზე არსებული მითის მიხედვით სოფოკლეს დაუწერია ტრაგედია, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ამ ფ ი ტ რ ი ტ ე, ბერძნ. (Ἀμφιτρίτη, ἡ) ზღვის ღმერთთა: ნერევსისა და დორიდას ქალიშვილი, პოსეიდონის მეუღლე. გვიან ხანებში გამოისახებოდა პოსეიდონის გვერდით ეტლში მჯდომარე; ეტლში შებმული იყვნენ ჰიპოკამპები ან ტრიტონები. ამფიტრიტეს ხელში უჭირავს სამკბილა. მითი წინაბერძნული წარმოშობისა ჩანს.

ა ნ ა ი ტ ი, გამანაყოფიერებელი წყლების სპარსული ღვთაება. ლიდიაში ანაიტი გააიგივეს დიდ დედასთან ანუ არტემიდესთან. ჩვენს ერამდე IV საუკუნეში ანაიტის კულტი ეროცელდება მცირე აზიაში, შემდეგ საბერძნეთში და შემდეგ რომშიც. ანაიტს სწირავდნენ ხარებს და შენაწირთა სისხლს შემწირველები სვამდნენ.

ა ნ ა ნ კ ე, ბერძნ. (Ἀνάγκη, ἡ—აუცილებლობა, ბედისწერა) აუცილებლობის ღმერთქალი. ძველი მოაზროვნეები ანანკეს იყენებდნენ თავიანთი ფილოსოფიური და რელიგიური სისტემის გასამაგრებლად. პლატონს ანანკე მოირების დედად მიაჩნია. ხალხის წარმოდგენებით ანანკე სიკვდილის ღმერთია (სიკვდილი გარდაუვალია). ტრაგიკოსებთან ანანკე, იგივე ბედისწერა, არის უზენაესი ღვთაება, რომელსაც თვით ღმერთებიც კი ემორჩილებიან. ანანკეს კულტი გავრცელებული იყო კორინთოში, სადაც მას ღმერთქალ ბიასთან ერთად ტაძარი აუგეს. რომაულ სამყაროში ანანკე წმინდა ლიტერატურულ სახედ დარჩა. ანანკეს მინამსგავსია ქართულში არსებული ეგრეთ წოდებული ბედის მწერალი.

ა ნ ა ტ ო ლ ი უ რ ი, აღმოსავლური ანუ მცირეაზიური ღ ვ თ ა ე ბ ა ნ ი.—მცირე აზიაში ცნობილი და გავრცელებული ღვთაებანი, რომელთა კულტებიც (განსაკუთრებით კოლონიზაციის პერიოდში) საბერძნეთში გადავიდა. ასეთებია მაგალითად: კიბელა, ატისი, ათარგატისი, მენი და სხვა. აღმოსავლური რელიგიისათვის დამახასიათებელია ერთდროულად ორი ღვთაების აღიარება, როგორც მაგალითად: კიბელა და ატისი. ზოგჯერ სამი ღვთაებაც გვხვდება ერთად, მაგალითად, დიდი დედა, მამა და ვაჟი. ასეთივეა ქრისტიანული მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა.

ა ნ ა ქ ს ი ბ ი ა, ბერძნ. (Ἀναξιβίη, ἡ) ბიანტის ქალიშვილი. ერთი მითის მიხედვით პელიასის მეუღლე, პისიდიკეს დედა.

ა ნ დ რ ე მ ო ნ ი, ბერძნ. (Ἀνδραίμων -ονος, ὁ) ეტოლიელების მეთაური, რომელსაც იასონმა პელიასის ქალიშვილი ამფინომე მიათხოვა.

ა ნ დ რ ო გ ე ო ს ი, ბერძნ. (Ἀνδρόγεως, ὁ) 1. კრეტის მეფის მინოსისა და პასიფაეს ვაჟი. როდესაც ანდროგეოსმა ტანვარჯიშში გაიმარჯვა, ათენის მეფეს შეშურდა კრეტის მეფის წარმომადგენლის გამარჯვება და მოახერხა, რომ ანდროგეოსი მოეკლა. განრისხებულმა მინოსმა ათენს ომი გამოუცხადა, დაამარცხა და აიძულა ყოველწლიურად ურჩხულ მინოტავრისათვის შესაშმელად გაეგზავნა 7 ქალიშვილი და ამდენივე ვაჟი. ანდროგეოსის პატივსაცემად კრეტაზე იმართებოდა ხოლმე ყოველწლიური დღესასწაულები. 2. ერთ-ერთი ბერძენი ბელადთაგანი.

ა ნ დ რ ო მ ა ქ ე, ბერძნ. (Ἀνδρομάχη, ἡ) „ილიადას“ ერთ-ერთი გმირთაგანი, ჰექტორის ცოლი, ასტიანაქტის დედა. ანდრომაქე საქვეყნოდაა განთქმული ქმრის,—ჰექტორის უებრო სიყვარულით. მას შემდეგ, რაც ჰექტორი დაიღუპა და ტროაც დაეცა, ანდრომაქე როგორც ტყვე, წილად ხვდა ნეოპტოლემოსს. რამოდენიმე ხნის შემდეგ მაშინდელი ჩვეულების თანახმად ანდრომაქე ცოლად გაჰყვა ჰექტორის ძმას და მისაგან შეეძინა ვაჟი პერგამოსი. მეორე ქმრის სიკვდილის შემდეგ ანდრომაქე ვაჟთან ერთად მცირე აზიაში გადასახლდა და მისმა ვაჟმა იქ თავისი სახელობის ქალაქი პერგამოსი დააარსა. ლიტერატურაში ანდრომაქე დარჩა იდეალური ცოლის სიმბოლოდ. „ილიადაში“ ანდრომაქეს ჰექტორთან განშორების სცენა არის მსოფლიო ლირიკის უშესანიშნავესი ნიმუში. მითი ანდრომაქეს შესახებ გამოიყენეს: ევრიპიდემ, რასინმა და სხვ.

ა ნ დ რ ო მ ე დ ა, ბერძნ. (Ἀνδρομέδα, ἡ) ეთიოპიის მეფის კეფევსისა და კასიოპეს ქალიშვილი. ანდრომედა სილამაზით იყო განთქმული; ამით გაამაყებულმა კასიოპემ გამოაცხადა: ჩემი ქალიშვილი ყველა ნერეიდაზე ლამაზი არისო. განაწყენებულმა ნერეიდებმა პოსეიდონთან იჩივლეს. ნერეიდების საამებლად პოსეიდონმა ეთიოპიაში გაგზავნა საშინელი ურჩხული, რომელმაც მესხრი გაავლო მთელ მხარეს. შეშფოთებულმა ხალხმა სამისნოს მიმართა და მისაგან პასუხად მიიღეს, რომ ურჩხული ქვეყანას მხოლოდ იმ პირობით დაეხსნებოდა, თუ ანდრომედას მისცემდნენ. სამისნოს ბრძანება, ცხადია, უნდა შესრულებულიყო. მოამზადეს კიდეც ანდრომედა ურჩხულისათვის შესაჭმელად, მაგრამ საბრალო ქალი გმირმა პერსევსმა იხსნა. პერსევსმა მოკლა ურჩხული, ანდრომედა ცოლად შეირთო და არგოსში წაიყვანა. სიკვდილის შემდეგ ანდრომედა თანავარსკვლავედად იქცა (ანდრომედას თანავარსკვლავედი). მითი ბევრ-

მა ხელოვანმა გამოიყენა. საყოველთაოდაა ცნობილი რუბენსის ნახატი „პერსევსი და ანდრომედა“.

ა ნ დ რ ო ფ ა გ ე ბ ი, ბერძნ. (Ἀνδροφάγοι, οἱ – კაცის მჭამელები) ერთ-ერთი ნახევრადლეგენდარული ტომის სახელწოდება, რომლებიც ბერძნების აზრით ადამიანებს ჭამდნენ და სადღაც, სკვითების მეზობლად ცხოვრობდნენ.

ა ნ თ ე ს ტ ე რ ი ე ბ ი, ბერძნ. ათენსა და იონიის სხვა ქალაქებში დიონისესადმი მიძღვნილი დღესასწაულები. ანთესტერიები იმართებოდა გაზაფხულის დასაწყისში, 11—13 ანთესტერიონს, როცა ბუნება ზამთრის ძილისაგან იღვიძებს და შემოდგომაზე დაწურული ღვინო დასალევად ვარგისი ხდება. პირველ დღეს ეწოდებოდა კასრთა გახსნის დღე, ამ დღეს ჭაშნიკს უსინჯავდნენ ახალ ღვინოს. ყოველი ოჯახი ახალი ღვინით ხელში ლოცვას აღავლენდა ღმერთის მიძართ (შდრ. შიობა). ამ დღეს მთელი ოჯახი, ღარიბი იქნებოდა თუ მდიდარი, მხიარულებდა, მონები ისვენებდნენ, ბავშვებს ასაჩუქრებდნენ, მასწავლებლებს ხელფასს აძლეულნენ, ყველა თავის თავს ემსახურებოდა და განცხრომას მიეცემოდა. ანთესტერიების მეორე დღეს „ქათხებია“ ეწოდებოდა, ყველას მოჰქონდა ღვინო და სვამდა საკუთარი ქათხიდან. დღესასწაულში მონაწილეობას იღებდნენ ბავშვებიც. ამ დღეს ბორბლებიანი ნაგით ქალაქში გამოიტანდნენ დიონისეს ქანდაკებას და ემართებოდა ღმერთის მისტიური ქორწინება. ზეიმის ბოლო დღეს, 13 რიცხვს, ეწოდებოდა „ჭოთნები“ და მიძღვნილი იყო ჰერმეს ფსიხოპომპისადმი, რომელიც გარდაცვლილთა სულებს იმ ქვეყანაში აცილებდა. ამ დღეს გარეთ გამოსდგამდნენ ხოლმე სხეულასხეა საჭმელებით სავსე ჭოთნებს და ჭილებს— თითქოს გარდაცვლილთა სულებისათვის. ბერძნებს სჯეროდათ, რომ ამ დღეს ყოველი გარდაცვლილი იმყოფებოდა თავისი ნათესავების ოჯახებში და არ წაიღიდა მანამ, სანამ, დღის ბოლოს, არ გაანდევნიდნენ შემდეგი სიტყვებით: «წადით სულებო, ანთესტერიები დამთავრდა».

ანთესტერიების ბოლო დღე უწმინდურად ითვლებოდა, ოლიმპიელთა ტაძრებს კეტავდნენ, სახლთა კარებებს თხუპნიდნენ ფისით, მოსახლეობა ემალებოდა სახლში სულებს.

ა ნ თ რ ო პ ო მ ო რ ფ ი ზ მ ი, ბერძნ. (ἀνθρωπόμορφος —ადამიანისნაირი), ადამიანთა თვისებების გადატანა ბუნების მოვლენებზე, ცხოველებზე, მცენარეებზე, ღმერთებზე... ბერძნები, ისევე როგორც ძველი დროის სხვა ხალხები, ღმერთებს ძლევამოსილი ბელადების სახით წარმოიდგენდნენ. კაცთაგან ისინი ძირითადად მხოლოდ

უკვდაეებით გამოირჩევიან, რასაც ამბროსიის მიღების საშუალებით ახერხებენ. მითოლოგიაში ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე ღმერთის სურვილით ესა თუ ის გამოჩენილი თუ ღმერთთათვის საყვარელი მოკვდავი უკვდაეებას ღებულობს.

ა ნ ი ო ს ი, ბერძნ. (Ἄνιος, ὁ) კუნძულ დელოსის მეფე, რიოსა და აპოლონის ვაჟი. როდესაც რიოს მამამ გაიგო, რომ მისმა ქალიშვილმა უკანონო შვილი უნდა დაბადოს, ყუთში ჩაკეტა და ზღვაში გადააგდებინა. ზღვის ტალღებმა დიდხანს ატარეს ყუთი, ბოლოს დელოსის (ზოგი ვარიანტით ევბეის) სანაპიროზე გარიყეს და რიომ იქ დაბადა ანიოსი. აპოლონმა ანიოსს წინასწარმეტყველების ნიჭი მისცა, გახადა კუნძულის მეფედ და თავისი ტაძრის მთავარ ქურუმად. ანიოსი ტროის ომში ბერძნების მხარეზე იბრძოლა. მითი ძალიან წააგავს პერსევსის შესახებ არსებულ ცნობილ ლეგენდას.

ა ნ ი მ ი ზ მ ი, ლათ. (Animismus) ბუნების მოვლენათა და ირგვლივ არსებულ საგანთა სულებად მიჩნევა. ანიმიზმი ძველი დროიდან მომდინარეობს და ეყრდნობა პირველყოფილი ადამიანების უძლურებას ბუნების მოვლენებს წინაშე. ცნობილია, რომ ბუნების ყოველ მოვლენას ძველად რაღაც უხილავ, ზეციურ ძალებს თუ სულებს მიაწერდნენ. ეს სულები, ისევე როგორც ღმერთები, ადამიანთა სახით წარმოიდგინებოდნენ. ასეთები იყვნენ მაგალითად დრიადები, ორეადები, ნაიადები, ფერიები, ნერეიდები და სხვა.

ა ნ კ ე ო ს ი, ბერძნ. (Ἀγκαῖος, ὁ) 1. არკადიელი გმირი, ლიკურგეს ვაჟი, კეფეევსის ძმა, არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე. 2. პოსეიდონის ვაჟი, ფენიქსის შვილიშვილი, არგოს მუსაიკე. გადმოგვცემენ, რომ არგოს მესაჭეობაში მას სხეულიც ეცილებოდნენ, მაგრამ ამხანაგებმა უპირატესობა მას მისცეს. კალიდონის ნადირობის მონაწილე. დაიღუპა კალიდონის ტახთან ბრძოლაში.

ა ნ კ ი ლ ი, ლათ. (Ancile) მარსის ფარი, ქურუმ სალიების ელიფსური ფორმის უწმინდესი საგანთაგანი. ლეგენდის თანახმად ანკილი || ანცილი ციდან ჩამოვარდა. რომის მეფემ — ნუმა პომპილიუსმა ფერია ეგერიასაგან გაიგო, რომ ფარი უნდა შეინახონ, როგორც რომის უშიშროებისა და უძლეველობის საწინდარი. ამის შემდეგ მეფის ბრძანებით გააკეთეს მისი მსგავსი კიდევ 11 ფარი, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ნამდვილის გამორჩევა. ანკილს ინახავდნენ ქურუმი სალიები და წელიწადში ერთხელ ომისშაგვარი ცერემონიალით თორმეტივე ფარი ქალაქში გამოჰქონდათ სახელმწიფოს სიძლიერის, სიმტკიცისა და უშიშროების საილუსტრაციოდ.

ა ნ ნ ა პ ე რ ე ნ ა, ლათ. (Anna perena) წელიწადის ძველ ით-

ლიელთა ღმერთქალი. რომაელებს ეგონათ, რომ ანნა პერენა იძლევა დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ანნა პერენას პატივსაცემად ყოველი წლის მარტის თვეში აწყობდნენ მხიარულ ზეიმებს. იმპერიის პერიოდში ანნა პერენა აურიეს დიანასა და იმ ანნაში, რომელიც ქართაგენიდან იტალიაში გაიქცა მეფე ენეასთან და მისი ცოლის დადევნების შემდეგ მდინარეში გადავარდა. ამ ამბის გამო ანნა პერენას თვლიდნენ ამ მდინარის ფერიად. ანნა პერენას სახე ორი კულტის — ძველიტალიური ღუთაებისა და მდინარის ფერიის მიხედვით შექმნილი ჩანს.

ანტენორი, ბერძნ. (Ἀντήνωρ, ὁ) ტროელთა ერთ-ერთი ბელადი ტროის ომში. იგი თავგამოდებით უმტკიცებდა ტროელებს, რომ საჭირო იყო ბერძნებთან შერიგება და ელენეს დაბრუნება, თორემ ამას ტროის დალუპვა მოჰყვებოდა. ტროელებმა მას ყური არ ათხოვეს და ომმა კიდეც უსასტიკესი დამარცხება. ტროის დაცემის შემდეგ ბერძნებს ანტენორი შეეცოდათ და გაათავისუფლეს.

ანტეოსი, ბერძნ. (Ἀνταῖος, ὁ) ლიბიის მფლობელი ბუმბერაზი, პოსეიდონისა და გეას ვაჟი. ანტეოსი ითვლებოდა დაუმარცხებელ გმირად. ჰერაკლემ გაიგო ანტეოსის უძლეველობის მიზეზი; თურმე, როცა გმირი დაიღლებოდა, თავის დედას გეას (დედამიწას) ხელს შეახებდა და კვლავ ენერგიით აღივსებოდა. ჰერაკლემ ანტეოსი ჰაერში აიტაცა, მიწასთან შეხების საშუალება არ მისცა და დაამარცხა.

ანტეროტი || ანტეროსი, ბერძნ. (Ἀντέρως -ωτος, ὁ —ეროსის საწინააღმდეგო), ურთიერთ ტრფიალების ძველბერძნული ღუთაება, აფროდიტეს ვაჟი.

ანტიგონე, ბერძნ. (Ἀντιγόνη, ἡ) ოიდიპოსისა და იოკასტეს ქალიშვილი, თავისი სურვილით გაჰყვა განდევნილ მამას კოლონოში. ოიდიპოსის სიკვდილის შემდეგ თებეში დაბრუნდა. ანტიგონეს საქმე ბიძია — კრეონტის აკრძალვის მიუხედავად დამარხა თავისი ძმა — პოლინიკე, რომელიც დასჯილი იყო იმით, რომ მკვდარი უნდა გდებულიყო ქუჩაში დაუმარხავი. ასეთი მოქმედებისათვის ანტიგონე ცოცხლად დაასაფლავეს. როცა ანტიგონეს სიკვდილი მისმა საქმრომ — მეფე კრეონტის ვაჟმა ჰემონმა გაიგო, მანაც თავი მოიკლა. ანტიგონეს სახე მამა-შვილური და დაძმური სიყვარულის, მოვალეობის შეგნებისა და სიმამაცის განსახიერებაა. ეს საუკეთესოდ აისახა სოფოკლეს ტრაგედიებში: „ოიდიპოსი კოლონოში“ და „ანტიგონე“.

---

1 ამ გმირს ქართველები, შეცდომით, ანთეოსს უწოდებენ. იხ. ა. ურუშაძე „ანტეოსი“. „ჭართული ფოლკლორი“. III, თბილისი, 1969, გვ. 104—112.

ანტიკლეა, ბერძნ. (Ἀντίκλεια, ἡ) ავტოლიკოსის ქალიშვილი, ოდისევსის დედა.

ანტილოქოსი, ბერძნ. (Ἀντίλοχος, ὁ) ნესტორის ვაჟი, აქილევსისა და პატროკლეს მეგობარი. ანტილოქოსი გაჰყვა თავის მამას — ნესტორს ტროის ომში. მოკლა ტროელთა მოკავშირემ — მემნონმა.

ანტინოოსი, ბერძნ. (Ἀντίνοος, ὁ) ოდისევსის მეუღლის პენელოპეს ერთ-ერთი საქმროთაგანი, პენელოპეს ცოლად შერთვის ყველაზე მეტად მოსურნე და ყველაზე მეტად თავხედი. იგი უხეშად მოექცა თავის ოჯახში მათხოვრის სახით დაბრუნებულ ოდისევსს. ანტინოოსი მოკლა ოდისევსმა სწორედ დაბრუნების დღეს.

ანტიოპე, ბერძნ. (Ἀντιόπη, ἡ) 1. თებეს მეფის — ნიკტევსის (ზოგი ვარიანტით მდინარის ღმერთ ასოპოსის) ქალიშვილი. ანტიოპემ ზევსთან კავშირით დაბადა ამფიონი და ძეთოსი. მამის რისხვის თავიდან არიდების მიზნით ანტიოპე სიკიონში გაიქცა და მეფე ეპოპეუსს მისთხოვდა. ნიკტევსმა ცნობა გაანაცხადა, რომ აუცილებლად დასჯიდნენ მათი გვარის შეურაცხმყოფელ — ანტიოპეს. მართლაც ნიკტევსის ძმა ლიკოსი შეებრძოლა მეფე ეპოპეუსს, მოკლა იგი და ანტიოპე მონად მისცა თავის მკაცრ მეუღლეს — დირკეს. დირკე მეტისმეტად მონად მისცა თავის მკაცრ მეუღლეს — დირკეს. დირკე მეტისმეტად აწვალებდა ანტიოპეს. როდესაც ამფიონი და ძეთოსი გაიზარდნენ, მათ სამაგიერო გადაუხადეს დედის მწვალებლებს. დირკე მძვინვარე ხარს მიაბეს რქაზე და დააგლეჯინეს. ცნობილია დირკეს ხარის რქაზე ჩამოხრჩობის სკულპტურული გამოსახულება. მითი გამოუყენებია ევრიპიდეს ერთ-ერთ ჩვენამდე მოღწეულ ტრაგედიაში. 2. ამაძონების დედოფალი.

ანუბისი, ბერძნ. (Ἄνουβις -ιδος, ὁ) ძველ ეგვიპტური სიკვდილის ღმერთის გაბერძნულებული სახელი. ძველად გაიგივებული იყო ტურასთან და შემდეგშიც ხშირად გამოისახებოდა ტურის ან ძაღლის თავით. მას შემდეგ, რაც რომის იმპერიაში ისიდასა და სერაპისის კულტი გავრცელდა, ბერძნები და რომაელები ანუბისს ამ ღმერთთა მსახურად მიიჩნევდნენ. ამავე პერიოდში მას მათ თანამგზავრადაც აღიარებდნენ.

ანქიზე, ბერძნ. (Ἀγχίσης, ὁ) დარდანთა მფლობელი, ტროის მეფის — ილოსის შვილიშვილი, აფროდიტეს საპატრო, რომელთანაც შეეძინა ვაჟი ენეასი (ამისათვის ანქიზე ზევსმა დააბრმავა). ტროის დამხობისას ენეასმა თავისი მხრებით გამოიყვანა ანქიზე ალმოდებული ქალაქიდან. ანქიზე გარდაიცვალა ცუნძულ სიცილიაზე.

ანციუმი, ლათ. (antium) რომას ძმა, ლაციუმში მდებარე მისი თანამოსახელე ქალაქის ეპონიმი.

აონიდები, ლათ. (Aonides) მუზების ერთ-ერთი ლათინური სახელწოდება. აონიას უწოდებდნენ ბეოტიის ერთ ნაწილს, სადაც გავრცელებული იყო მუზების კულტი. რომაულ პოეზიაში მუზებს უფრო ხშირად აონიდები ეწოდება.

აპისი, ბერძნ. (Ἆπις, -ιδος, ბ) 1. ძველ ეგვიპტელთა წმინდა ხარის ბერძნული სახელი, ბერძნები მას ეპაფოსსაც უწოდებენ. აპისის კულტის ცენტრი იყო ქალაქი მემფისი. ხარი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, უცილობლად უნდა ყოფილიყო შავი, შუბლზე კი თეთრი ნიშანი უნდა ჰქონებოდა. ელინისტურ ეპოქაში ბერძნებმა აპისი ზევსისა და იოს შვილად მიიჩნიეს. 2. ქალაქ მემფისის დამაარსებელი.

აპოთეოზი, ბერძნ. (ἀποθέωσις) გაღმერთება. გმირის, მეფის, იმპერატორის, საუკეთესო შემოქმედის, წამებულისა და სხვათა ღმერთად აღიარება, ღვთაებრივი პატივის საზეიმოდ, სახალხოდ შესხმა. ცნობილია, რომ მრავალი შემთხვევაა ისტორიაში, როცა ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანებს სიკვდილის შემდეგ (ზოგჯერ სიცოცხლეშიც) ღმერთად აღიარებდნენ და ეთაყვანებოდნენ. თანამედროვე გაგებით აპოთეოზი ეწოდება მოვლენის ან პიროვნების განდიდებას, შექებას, ხოტბის შესხმას. ავრეთვე სპექტაკლის ან რაიმე მოვლენის საზეიმოდ დასრულებას.

აპოლონი, ბერძნ. (Ἀπόλλων, -ωνος, ბ) ოლიმპიური რელიგიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. ღმერთქალ ლეტოსა და ზევსის ვაჟი. ლინოსისა და ასკლეპიოსის მამა, არტემიდეს ძმა. (აპოლონს ფებოსსაც უწოდებენ).

ზევსის საქციელით განრისხებული ჰერა ლეტოს დევნიდა და არ აძლევდა მოშობიარების საშუალებას, რადგან ჰერას მრისხანება უსაზღვრო იყო, ზევსმა ბრძანა და ხმელთაშუა ზღვაში კუნძული დელოსი ამოიზარდა, მან ლეტო იქ გადაიყვანა და ღმერთქალმა იქ დაბადა ტყუპები: აპოლონი და არტემიდე. აპოლონთან დაკავშირებულია მრავალი მითი, კერძოდ: 1. აპოლონმა მოკლა ურჩხული პითონი, მისი შკვლელობის ადგილზე კი ტაძარი აღმართა და აპოლონსაც ამის შემდეგ კიდევ ერთი ზედმეტი სახელი პითოსი ეწოდა. 2. აპოლონმა მონაწილეობა მიიღო გიგანტომახიაში. 3. აპოლონმა არტემიდესთან ერთად მოკლა ტიტანი ტიტიოსი, რომელმაც თავის დროზე მათ დედას — ლეტოს შეურაცხყოფა მიაყენა. 4. აპოლონმა და არტემიდემ გაანადგურეს აგრეთვე ნიობეს შვილები ასევე მათი

დედის წყენინების გამო. 5. აპოლონმა ტროის ომში ბერძნებს შავი ჭირი მოუვლინა, რადგანაც სარდალმა აგამემნონმა აწყენინა მის ქურუმს (ქრიზეს). 6. აპოლონმა ჰერმესისაგან მიიღო ლირა და ამგვარად გახდა მუსიკისა და მუზების ღმერთი (აქედანვე მიიღო ზედმეტი სახელი „მუზაგეტოსი“). 7. აპოლონმა ტყვეი გააძრო მისი მეტოქეობის მსურველს მუსიკაში — მარსიოსს და გამოქვაბულში ჩამოკიდა. 8. ტროის მეფის ქალიშვილი კასანდრა აპოლონმა წინასწარმეტყველების ნიჭით დააჯილდოვა, იმ პირობით, რომ შეიყვარებდა მას, მაგრამ კასანდრამ მოატყუა ღმერთი და გაჯავრებულმა აპოლონმა დასჯა იმით, რომ მისი წინასწარმეტყველებისა აღარავის სჯეროდა. 9. აპოლონს შეუყვარდა ფერია დაფნე, რომელმაც ღმერთის სიყვარული არ გაიზიარა და მისგან განრიდების მიზნით ხედ ითვლაიქცა. ამიტომაც დაფნა შემდგომში აპოლონის წმინდა ხედ ითვლებოდა. 10. ზევსზე შურისძიების მიზნით, რადგანაც ამ უკანასკნელმა მოკლა ასკლეპიოსი, აპოლონმა ამოხოცა კიკლოპები. ზევსმა აპოლონი ამისათვის დასჯა და აიძულა 7 წლის განმავლობაში ემწყემსა მეფე ადმეტოსის ნახირი (იხ. ადმეტოსი). 11. პოსეიდონთან ერთად აპოლონი მსახურობდა მეფე ლაომედონტთან და ააგო ტროის მიუდგომელი კედლები.

მეცნიერთა აზრით აპოლონის კულტი მცირე აზიიდან უნდა იყოს შემოსული. ამაზე მეტყველებს შემდეგი: 1. ტროის ომში აპოლონი ტროელთა მხარეზეა. 2. აპოლონის ტაძრების უმრავლესობა სწორედ მცირე აზიაშია განლაგებული. 3. არის ცდები აპოლონის სახელის ეტიმოლოგია მცირე აზიის ერთ-ერთი ენის მეშვეობით ახსნან, სადაც აპოლონი თითქოს კარებს უნდა ნიშნავდეს და ამიტომ ვარაუდობენ, რომ აპოლონი თავიდან შესაძლებელია კარების ღმერთი ყოფილიყო ე. ი. ღმერთი, რომელიც ოჯახის, ქალაქის, სახელმწიფოს კარებს იცავდა ბოროტმზრახველებისაგან. ამის დასადასტურებლად იმასაც იყენებენ, რომ აპოლონის ერთ-ერთი ეპითეტია „თიურაიოსი“, რაც ბერძნულ ენაზე „კარებისას“ აღნიშნავს. აპოლონის კულტი საბერძნეთში ადრევე, მიკენის ეპოქაში გაბატონდა. აპოლონის კულტის უძველესობასა და მის ტოტემურ ხასიათზე მიუთითებს მისი მრავალნაირი ეპიკლესი (ზედმეტი სახელი) როგორიცაა მაგალითად: აპოლონ ლიკეოსი (მგელი), აპოლონ სმინთეოსი (თაგვი) და სხვა ასეთი. ფიქრობენ, რომ აპოლონი თავიდან ამ ცხოველთა სახეს ღებულობდა, შემდეგ კი მიიღო ღმერთის სახე, რომელიც იცავდა ადამიანებს, მათ ნახირსა და მოსავალს თაგვების, მგლებისა და სხვა მავნე ცხოველებისაგან.

ათენსა და საბერძნეთის სხვა ქალაქებში აპოლონს თელიდნენ

გზების, მგზავრებისა და მეზღვაურების მფარველად. აპოლონთან, როგორც უბედურებათა უკუქმედებ ღმერთთან, დაკავშირებულია მითები მის ასკლეპიოსთან ნათესაობის შესახებ. შედარებით აღრე აპოლონს აღიარებენ აგრეთვე მზის სხივის ღვთაებად. ამასთან დაკავშირებით აღმოცენდება მისი კიდევ ერთი ზედმეტი სახელი აპოლონ ფებოსი (ბრწყინვალე), რაც შეიძლებოდა მომხდარიყო ადგილობრივი ღმერთქალის ფებეს კულტის უარყოფის შემდეგ. ბერძნული რელიგიის განვითარებასთან დაკავშირებით აპოლონმა შთანთქა ჰელიოსის კულტიც. აპოლონი ითვლება აგრეთვე მიწათმოქმედების ღმერთად, ამაზე მეტყველებენ აპოლონის პატივსაცემი ატიკური დღესასწაულები. აპოლონი, როგორც მიწათმოქმედების ღმერთი, ჩამორჩება აპოლონს როგორც ომის ღმერთს. ძველი ბერძნები აღიანის უეცარ გარდაცვალებას მხოლოდ და მხოლოდ აპოლონისაგან ნატყორცნი ისრის შედეგად მიიჩნევდნენ. იტალიაში არსებული ბერძნული კოლონიების გამო აპოლონის კულტი გადაეცა რომშიც და იქ, ჩვენს ერამდე 31 წელს, მას ტაძარიც კი აუგეს. იმპერატორმა ავგუსტემ აპოლონი თავის მფარველად გამოაცხადა და მის პატივსაცემად დაწერა თავაშობანი. პალატინის ახლოს მდებარე აპოლონის ტაძარი იმპერიის პერიოდში ერთ-ერთი უმდიდრესი ტაძარი იყო მთელს რომის იმპერიაში. აპოლონს სწირავდნენ დაფნას და პალმას. აპოლონის წმინდა ცხოველებია: მგელი, დელფინი, ქორი, თაგვი და სხვა. ძველ გამოსახულებებში აპოლონი მაღალი, გამართული, გრძელთმიანი და უწვერ-ულვაშო ახალგაზრდაა, მისი ატრიბუტებია: ლირა, ხმალი და ქითარა. ელინისტურ პერიოდში აპოლონი გამოისახებოდა მჯდომარე ყმაწვილად ლირის დაკვრის პროცესში. სხვადასხვა მოქანდაკეთა მიერ შესრულებულ აპოლონის ქანდაკებებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ჩვენ გვაქვს მხოლოდ მათი რომაული ასლები. თანამედროვე გაგებით აპოლონი მუსიკისა და პოეზიის ღვთაებაა. ფებოსი კი მზის პოეტური მნიშვნელობაა.

არატოსი, ბერძნ. (Ἄρατος, ὁ) 1. ნესტორის ვაჟი, 2. აქაველთა ჯარის მეთაური, 3. პრიამოსის ვაჟი.

არაქნე, ბერძნ. (ἀράχνη, ἡ—ობობა) ლიდიელი გოგონა, შესანიშნავი ხელმოსაწმე, რომელმაც გაბედა, ათენას შეჯიბრებოდა საფეიქრო საქმეში და განრისხებულმა ღმერთქალმა ობობად აქცია. მითის საფუძველი უნდა იყოს ობობას მართლაც »დიდი საფეიქრო ხელოვნება«.

არგადესი, ბერძნ. (Ἀργάδης, ὁ) არგადეველთა ტომის დამაარსებელი და წინამძღვარი, იონის ვაჟი.

არგეა, ბერძნ. (Ἀργεία, ἡ) არქასტოსის ქალიშვილი, რომლის პოლინიკესთან ქორწინება გახდა „შვიდთა თებეს წინააღმდეგ“ ლაშქრობის მიზეზი.

არგესი, ბერძნ. (Ἄργης, ὁ) იხ. კიკლოპები.

არგიოპე, ბერძნ. (Ἀργιόπη, ἡ) ფერია, მომღერალ თამირისის დედა.

არგო, ბერძნ. (Ἀργώ, ἡ—ჩქარი) არგოსისაგან აგებული ხომალდი, რომელითაც ბერძენი გმირები იასონის მეთაურობით კოლხეთში წავიდნენ ოქროს საწმისის ჩამოსატანად და შემდეგ არგონავტებად იქნენ წოდებულნი. არგოს უნდა გაევლო სიმპლეგადებს შორის, სადაც მას დალუპვა ელოდა. ფინეუსის || ფენიქსის რჩევით სიმპლეგადებს შორის ჯერ მტრედი გაუშვეს, კლდეები ერთმანეთს დაეჯახნენ და მტრედს კუდი მოაგლიჯეს, კლდეებმა რომ გაშლა დაიწყეს, მათ შორის შეცურდა არგო და გაასწრო კიდეც. ოღონდ მასაც ბოლო ოდნავ დაუზიანეს.

+არგონავტები, ბერძნ. (Ἀργοναῦται, οἱ) კოლხეთში ხომალდ „არგოთი“ ოქროს საწმისისათვის გამგზავრებული გმირები. ჰომეროსამდელ ეპოქაში შექმნილმა არგონავტების მითმა ჩვენამდე წარმოებითი წყაროებით მოაღწია. მითში ასახული მოვლენები ხდება ტროის ომამდე, ერთი თაობის მანძილზე, თესალიის ქალაქ იოლკოსიდან პელიასმა განდევნა თავისი ძმა, მეფე ესონი და როცა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო (ერთი ვარიანტის მიხედვით პელიასმა კი არ განდევნა მეფე, არამედ ესონმა სიკვდილის წინ სახელმწიფოს დროებითი მმართველობა და შვილის — იასონის მეურვეობა ჩააბარა მას, იხ. ალკიმედე), ტახტის ყველა მემკვიდრის მოსპობა გადაწყვიტა. როცა იასონი გაიზარდა, იოლკოსში მივიდა და ბიძას ტახტი მოსთხოვა. პელიასმა პირძანა, რომ იასონს ტახტის მილებამდე კოლხეთიდან ოქროს საწმისი მოეტანა. (პელიასი ეარაუდობდა, რომ იასონი ან ზღვაში დაიღუპებოდა, ან და აიეტის ქვეყანაში). იასონმა დაიწყო მზადება გასამგზავრებლად და გარს შემოიკრიბა საბერძნეთის საუკეთესო ვაჟკაცები, (მათ შორის პელეასის ვაჟი აკასტოსი. იხ. აკასტოსი). ანტიკური ეპოქის სხვადასხვა მწერალთან არგოთი გამგზავრებულ გმირთა სახელები სხვადასხვაა, მაგრამ საერთო რიცხვი მაინც ყველგან ორმოცდაათია. ზოგიერთი მითის მიხედვით ეს გმირები ძირითადად ბეოტიაში მცხოვრებ მინიელთა ტომს მიეკუთვნებოდნენ. შემდეგდროინდელ ლიტერატურაში არგონავტებს ახალი გმირები მიემატნენ: ორფევსი, ჰერაკლე, ამფიარაოსი, ბორეადები, მელეაგროსი, ტიდევსი, თეზევსი და სხვა. გმირებმა არგოსისა და იასონის ხელმ-

ძლევანელობით და ათენას შემწეობით ააგეს არგო და აიეტის სამეფოსაკენ გაემართნენ. გვიანდელ თქმულებებში ნაჩვენებია არგონავტების მიერ გავლილი მარშრუტებიც. იოლკოსიდან არგონავტები ლემნოსს მიადგნენ, შემდეგ კუნძულ სამოთრაკზე, შემდეგ ჰელესპონტში და დოლონთა ქვეყანაში. იქ არგონავტებს მხიარულად შეხვდა მეფე კიზიკოსი. კიოსის მახლობლად ერთ-ერთი არგონავტი ჰილასი ფერიებმა მოიტაცეს და მდინარის ფსკერზე ჩაიყვანეს. ჰერაკლე წავიდა ჰილასის საძებნელად და არგონავტებს ჩამორჩა. თრაკიის ქალაქ სალმიდესოსში არგონავტებმა ბრმა მოხუცი ფინევსი ჰარპიებისაგან გაათავისუფლეს, რომლებიც საცოდავ მოხუცს საჭმელს უბილწავდნენ და ჭამის საშუალებას არ აძლევდნენ. ფინევსმა ამ პატივისცემის სამაგიეროდ არგონავტებს ასწავლა, თუ როგორ გაეცლოთ მოძრავ კლდეებს — სიმპლეგადებს შორის. არგონავტები მივიდნენ ამაძონების ქვეყანაშიც, შემდეგ კი არესის კუნძულს ესტუმრნენ და იქ სპილენძისფრთებიანი, ჯადოსნური, ეგრეთ წოდებული სტიმფალური ფრინველები ამოსცეს. აქვე არგონავტები შეხვდნენ კოლხეთიდან საბერძნეთში მიმავალ ფრიქსეს შვილებს. როდესაც არგონავტები კოლხეთში მივიდნენ, აიეტს ეახლნენ და იასონმა მოსვლის მიზანი აუწყა. აიეტი შეპირდა ოქროს საწმისის მიცემას იმ პირობით, თუ სპილენძისჩლიქებიან, ცეცხლისმფრქვეველ ხარებს უღელში შეაბამდა, არესის ჭალას მოხნავდა და დრაკონის კბილებს დათესავდა. იასონმა ეს, თითქმის შეუძლებელი საქმე შეძლო აიეტის ქალიშვილის — მედეას შემწეობით, რომელსაც პირველსავე დღიდან შეუყვარდა იასონი. ამან აიეტის გაოცება, მწუხარება, რისხვა და უარი გამოიწვია. როდესაც აიეტთან არაფერი გაუვიდა იასონს, ისევ მედეამ უშველა. მედეამო, — გადმოგვცემს თქმულების ერთ-ერთი ვარიანტი — ღვიის ტოტიდან რაღაც წამალი შეაფრქვია საწმისის მცველ დრაკონს, შეულოცა, დააძინა. იასონმა საწმისი მოიტაცა და მედეასთან ერთად საბერძნეთისაკენ გასწია. ვანრისხებული აიეტი დაედევნა არგონავტებს, მაგრამ მათ მოკლეს მედეას თანწაყვანილი უმცროსი ძმა აფსირტოსი, ნაწილებად დაჭრეს და ზღვაში გადაყარეს იმ მიზნით, რომ აიეტს შვილის ნაწილების შეგროვება დაეწყო და არგონავტებს ვერ დასწეოდა. მათი ფიქრი გამართლდა; სანამ აიეტი შვილის ნაწილებს შეაგროვებდა, არგონავტები უკვე საშშვიდობოს იყვნენ გასულნი. ერთი თქმულების მიხედვით აიეტი პირადი მცველი რაზმით დაედევნა არგონავტებს, მიეწია კიდეც ზღვის სანაპიროზე, ომი გაუმართა და ამ ომში დაიღუპა. კოლხეთიდან მომავალი არგონავტები გზად შეხვდნენ სკილას, ქარიბდას და სხვა ურჩხულებს. არგონავტებმა ახლოს გა-

უარეს სირინოზების კუნძულს და კინაღამ მათი მსხვერპლნი გახდნენ. ბევრი ხეტიალის შემდეგ არგონავტები დაბრუნდნენ ელადაში და საწმისიც მიიტანეს. თქმულებაში შერწყმული უნდა იყოს ბერძნულ-კოლხური ურთიერთობის რაღაც რეალური ამბავი და ძველი თქმულება ოქროს შესახებ, რომელსაც უბედურება მოჰქონდა მისი მაძიებლისათვის. არგონავტების შესახებ არსებული მითი ძირითადად შეჯონახულია აპოლონიოს როდოსელის «არგონავტიკაში». ამ მითის მიხედვით ნაწარმოებები შექმნეს ევრიპიდემ, სენეკამ და სხვებმა. მითი ფართოდაა გამოყენებული ხელოვნების სხვადასხვა დარგში. გადატანითი მნიშვნელობით არგონავტებს უწოდებენ მამაც მეზღვაურებს. დაცინვით არგონავტებს უწოდებენ ოქროს თუ საერთოდ სიმდიდრის მოსაპოვებლად უცხო ქვეყნებში მოხეტიალე ადამიანებს.

არგოსი, ბერძნ. (Ἄργος, ὁ) 1. მრავალთავა ბუმბერაზი, აგენორის ვაჟი, ძილის დროს მისი ერთი თვალი ფხიზლობდა. ჰერამ არგოსს დაავალა ძროხად ქცეული იოს დარაჯობა. იოს გათავისუფლების მიზნით ჰერმესმა დააძინა არგოსი და მოკლა. ჰერამ მისი თვალები ფარშაევანგის ბოლოზე მოათავსა. 2. ზევსისა და ნიობეს ვაჟი, არგოსის მითიური მეფე. 3. ოდისევსის ერთგული ძაღლის ზედმეტი სახელი, 4. არგოს მშენებელი. ფრიქსოსის ვაჟი.

არეთუსა, ბერძნ. (Ἀρέθουσα, ἡ) ერთ-ერთი ნერეიდთაგანი, მისი თანამოსახელე წყაროების ფერია ელიდაში, რომლის კულტი არტემიდესას შეეწყო. გვიანდელი მითების მიხედვით მდინარის ღმერთს ალფეოსს შეუყვარდა არეთუსა და დევნა დაუწყო. რაღგანაც ალფეოსი არ მოეშვა არეთუსას, ამიტომ თავდაცვის მიზნით იგი წყაროდ გადაიქცა, მაგრამ ალფეოსიც მდინარედ იქცა და თანაც ისე, რომ არეთუსას წყალი მასში ჩაუდინებლად. მითი პელეპონესური წარმოშობისაა და სიცილიაში გადატანილა ბერძენი კოლონიზატორების მიერ. ხელოვნებაში არეთუსა ლამაზ, ახალგაზრდა, თევზებით გარშემორტყმულ ქალად გამოისახებოდა. არეთუსას მითმა შთააგონა მრავალი მხატვარი და კომპოზიტორი.

არეოსი, ბერძნ. (Ἄρειον, ονος, ὁ) ჰერაკლესა და ადრასტოსის ცხენი. არეოსის სიჩქარის წყალობით გადარჩა საკვდილს ადრასტოსი თებეზე ლაშქრობის დროს. არეოსი ითვლებოდა დემეტრესა და პოსეიდონის ვაჟად. თითქოს, როდესაც დემეტრე დაკარგულ ქალიშვილს — პერსეფონეს ეძებდა, შეყვარებული პოსეიდონი დევნა ღმერთქალს. დემეტრე პოსეიდონისაგან განრიდების მიზნით ფაშატ ცხენად იქცა. პოსეიდონიც ულაყ ცხენად გადაიქცა, რემის

შეერია, ცხენადქცეულ დემეტრეს დაუკავშირდა და ამ კავშირისაგან გაჩნდა არეიონი. მითში ასახულია ბერძნულ რელიგიაში შემოჩენილი ტოტემიზმის გადმონაშთები.

არესი, ბერძნ. (Ἄρης, ὁ) ჰომეროსის მიხედვით ომის ღმერთი ძველ საბერძნეთში. ჰერასა და ზევსის ვაჟი, ფობოსის, დეიმოსისა და ჰარმონიას მამა. არესი ტროის ომში ბერძნების მომხრე იყო. ომში იგი დაჭრა დიომედემ და დამარცხდა ათენასთან შერკინებაში. მრავალი მითის მიხედვით არესს უყვარდა სილამაზის ღმერთქალი აფროდიტე. „ოდისეაში“ მოთხრობილია, თუ როგორ დაიჭირა ტრფიალებით გართული არესი და აფროდიტე ჰეფესტომ. ზოგი მითი არესს ამაძონების წინაპრად თვლის. სხვადასხვა მითები არესს მთელი რიგი გმირების მამად ასახელებს. არესი სასტიკი ომის განსახიერებაა. საფიქრებელია, რომ ოლიმპიელთა შორის ადგილი არესმა მხოლოდ ჰომეროსის პოემების წყალობით დაიკავა. საბერძნეთში არესის კულტი ნაკლებად იყო გავრცელებული. თითქმის არც ერთი წყარო არ ასახელებს არესის საპატივცემულო ადგილებს.

რომში არესი გაიგივეს მარსთან. მარსის კულტი ადრე, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასთან, მაგრამ არესის კულტთან შერწყმის შემდეგ მიიღო ომის ღმერთის სახელი, ანტიკურ ხელოვნებაში მარსი || არესი გამოისახებოდა მაღალ, ღონიერ ვაჟკაცად. ხშირად სამარ ფარაჯაში გამოწყობილი. განთქმულია ლისიპეს მიერ შესრულებული არესის || მარსის ქანდაკება, რომლის მხოლოდ ასლმა მოაღწია ჩვენამდე. ერმიტაჟში დაცულია არესის რომაული ბიუსტი. აია-კოლხეთში არსებობდა არესის ჭალა, სადაც თითქოს ოქროს საწმისი ინახებოდა. მარსის || არესის შვილებს მეომრებს უწოდებენ.

არეტე, ბერძნ. (Ἀρήτη, ἡ) ფეაკების დედოფალი, მეფე ალკინოოსის მეუღლე, ჰომეროსის მიხედვით ალკინოოსი არეტეს ბიძა იყო. არეტე უდიდესი პატივით სარგებლობდა ფეაკებში. ნავსიყაას რჩევით ოდისევსი დახმარებისათვის მიმართავს არეტეს და არა ალკინოოსს. არეტე ხშირად მხსნელობას უწევს ფეაკ ქალებს. მითი შეიცავს ბერძნულ და მის მონათესავე თუ მეზობელ ტომებში არსებულ მატრიარქატის გადმონაშთებს. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ფეაკების ქვეყანაში ქალის კულტი მაღალ დონეზეა აყვანილი.

არეფორიები, ბერძნ. (ἀρρηφορία, ἡ) ათენას საპატივსაცემოდ გამართული ზეიმები ათენში. ამ დღესასწაულებში მთავარ როლს ასრულებდნენ ერთი წლით არჩეული 7—11 წლის გოგონები, ე. წ. არეფორები. არჩევის დღიდან ისინი მთელ წელს აკროპოლში ატარებდნენ და მხოლოდ ათენას სამსახურში ათენებდნენ და ალამებდნენ. გვიან არეფორიებმა ხელკალათებით ათენასათვის წმინდა საგნების მიტანა დაიწყეს. ყოველივე ამას მიზნად ჰქონდა მიწის ნაყოფიერების გაზრდა და საერთოდ ათენელ მოქალაქეთა კეთილდღეობის შენარჩუნება.

არვალელი ძმები, ლათ. (Fratres Arvales) რომაელ ჭურემთა კოლეგია, რომელიც დაკავშირებული იყო ძველიტალიურ ღმერთქალ დიას კულტთან. ზოგი გადმოცემის თანახმად არვალელი ძმების პირველი კოლეგია შექმნა აკა ლარენციას 12 ვაჟმა. დიას დღესასწაულზე მსხვერპლად სწირაულდნენ ცხვრებს, ძროხებს, გოჭებს... მონაწილეები მღეროდნენ განსაკუთრებულ, ე. წ. არვალურ სიმღერებს, ლოცულობდნენ მოსავლისათვის, რომელიც თითქოს ციდან გამოგზავნილი იყო. ზეიმის ბოლოს იმპერატორმა აუგუსტემ განახლა დავიწყებაშემობა გართობანი. იმპერატორმა აუგუსტემ განახლა დავიწყებაშედ მისული დღესასწაულის რიტუალი და არვალელი ძმების კოლეგიაში შეიყვანა 12 კაცი, მათ შორის თავისი თავი და ოჭავის წევრები. დღესასწაულის დროს გამოქონდათ ხორბლის თავთავი, ხილი, ყურძენი და სხვა... სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან arvum, რაც ჭარხლად სახნავ მიწას, ყანას ნიშნავს.

არიადნე, ბერძნ. (Ἀριάδνη, ἡ) მინოსისა და პასიფაეს ქალიშვილი. ძველი კრეტული ღვთაება. მინოტავრთან შესაბრძოლებლად კრეტაზე მისულ თეზევსს არიადნე შეხვდა, ქალს შეუყვარდა ლამაზი ვაჟკაცი და მისთვის დახმარება ვაჟიზრახა. სანამ თეზევსი ლაბირინთში შევიდოდა მინოტავრთან, არიადნემ აიღო ძაფი, ერთი ბოლო ლაბირინთის შესასვლელში მიამაგრა, მეორე კი თეზევსს მიაბა წელზე და ისე შეუშვა ლაბირინთში. თეზევსმა მოკლა მინოტავრი და მხოლოდ ამ ძაფის საშუალებით შეძლო ლაბირინთიდან თავის დაღწევა. თეზევსმა ცოლად შეირთო არიადნე და თან წაიყვანა, მაგრამ რატომღაც კუნძულ ნაქსოსზე მძინარე მიატოვა. თეზევსისაგან მიტოვების შემდეგ არიადნე ხდება დიონისეს მეუღლე და ქალღმერთ არიადნეს დიონისემ უძღვნა საქორწინო გვირგვინი, რომელიც შემდგომ ვარსკვლავად იქცა. კუნძულ ნაქსოსზე არსებობდა არიადნეს კულტი. დიონისეს ცოლად მას მხოლოდ ათენში მიიჩნევდნენ. ანტიკურ ხელოვნებაში არიადნე ჩვეულებრივ მძინარე გამოისახებოდა. არიადნეს სახე ხშირად გვხვდება მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნების სხვა დარგებში. საყოველთაოდაა ცნობილი შტრაუსის ოპერა „არიადნე ნაქსოსზე“.

არიადნეს ძაფი, ბერძნ. — იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. გზის მაჩვენებელი ძაფი, ძნელი მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალება (იხ. არიადნე).

არიმანი, სპარს. იხ. ორმუზდი.

არიონი, ბერძნ. (Ἀρίων -ονος, ὁ) ბერძენი პოეტი და მომღერალი. არიონთან დაკავშირებულია შემდეგი ლეგენდა: ერთხელ, გემით მგზავრობისას მეზღვაურებმა გადაწყვიტეს არიონის ზღვაში გადაგდება და მისი ქონების ხელში ჩაგდება. როდესაც არიონმა ამის შესახებ გაიგო, ითხოვა, მიეცათ უკანასკნელად სიმღერის უფლება. მეზღვაურებმა შეიბრალეს და ამღერეს. არიონი სიმღერის დროს თვითონვე გადაეყარდა ზღვაში, მაგრამ მისი სიმღერით აღტაცებული დელფინმა იგი ნაპირზე გაიყვანა. (ზოგი ვარიანტის მიხედვით არიონის გადასარჩენად დელფინი აპოლონმა გაგზავნა, ციდან სხვა ვარიანტის მიხედვით კი თვით აპოლონმა მიიღო დელფინის სახე).

არისტეოსი, ბერძნ. (Ἀρισταῖος, ὁ) ძველი, მიწათმოქმედების მფარველი ღვთაება. მისი კულტი გავრცელებული იყო თესალიაში, ბეოტიაში, ითნიაში, კირენესა და იტალიაში. 2. აპოლონისა და ფსამათეს ვაჟი. არისტეოსი ითვლებოდა ნათესების, ნახირის, ფუტკრის მფარველად, გზაარეულ მოგზაურთა შემწედ. მან ასწავლა ადამიანებს მევენახეობა, მეფუტკრეობა და სხვა. ერთი მითის მიხედვით არისტეოსმა უკვდავებაც კი მოიპოვა, შემდეგ ცოლად შეირთო ავტონოე და შეეძინა ვაჟი აქტეონი.

არისტოდემოსი, ბერძნ. (Ἀριστόδημος, ὁ) ერთ-ერთი ჰერაკლიდი, სპარტის მეფეების: ეურისთონისა და პროკლეს მამა.

არისტომაქოსი, ბერძნ. (Ἀριστόμαχος, ὁ) ერთ-ერთი ჰერაკლიდი. (იხ. ჰერაკლიდები).

არკადი, ბერძნ. (Ἀρκάς, -ᾰδος, ὁ) არკადიის მითიური მეფე. ზევსისა და კალისტოს ვაჟი. ერთხელ, ნადირობისას არკადმა კინაღამ მოკლა (შეცდომით) დათვად ქცეული დედა კალისტო. სიკვდილის შემდეგ არკადი და კალისტო ზეცამ დიდ და მცირე დათვის თანავარსკვლავედებად აქცია. არკადთან უნდა იყოს დაკავშირებული პელეპონესის ცენტრალური ნაწილის, პელასგთა უძველესი სამკვიდრებელის არკადიის სახელწოდება.

არკისიოსი, ბერძნ. (Ἀρκείσιος, ὁ) ზევსის ვაჟი, ლაერტეს მამა, ოდისევსის პაპა.

არმენოსი, ბერძნ. (Ἀρμένος, ὁ) არმენიონის მკვიდრი, რომელიც იასონთან ერთად წამოვიდა თესალიიდან და სახელწოდება მისცა შემდეგდროინდელ არმენიელებს.

არტემიდე, ბერძნ. (Ἄρτεμις, ιδος, ἡ) ზევსისა და ლეტოს ქალიშვილი, აპოლონის და. ბერძენთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღვთაებათაგანი. არტემიდეს კულტთან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა: 1. არტემიდესა და აპოლონის არაჩვეულებრივი დაბადება კუნძულ დელოსზე. 2. აპოლონისა და არტემიდეს მიერ მათი დედის — ლეტოს შეურაცხმყოფელის ტიტიოსის მოკვლა. 3. ნიობეს შვილთა ამოხოცვა. 4. აქტეონის შველად გადაქცევა. 5. იფიგენიას საიდარი გადარჩენა. 6. ორიონის მკვლელობა და სხვა. ბევრ მითში არტემიდე ქალწულ ღმერთქალის სახითაა ცნობილი. მხოლოდ ერთ მითშია ლაპარაკი არტემიდესაგან მშვენიერი ვაჟის — ენდიმიონის სიყვარულის შესახებ. არტემიდეზე სხვადასხვა მითის არსებობა და მისი მრავალი ზედმეტი სახელი გვაფიქრებინებს, რომ მის სახეში გაერთიანდა რამდენიმე ადგილობრივი ღმერთი.

არტემიდეს კულტში ჩანს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ადათის გადმონაშთები. მაგალითად, არტემიდეს დღესასწაულის დროს მამაკაცები ტყავს იძრობდნენ ყელზე. არტემიდე იყო ცხოველთა მფარველიც. აქედან წომდინარეობს მისი ზედმეტი სახელი ტავროპოლი (ხარებზე მონადირე). ყირიმის ძველმა სახელწოდებამ (ტავრიდა) შექმნა იმის შთაბეჭდილება, თითქოს არტემიდეს კულტი ყირიმიდან იყოს შესული საბერძნეთში, მაგრამ კულტის ადგილობრივ წარმოშობაზე მიუთითებს მისი ხსენება მიკენურ წარწერებში. რომაელ საბერძნეთს არავითარი საერთო არ ჰქონდა ყირიმთან. თავიდან არტემიდე მრავალი ცხოველის მფარველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას წვინდა ცხოველებად ბოლოს მხოლოდ შველა და ძუ დათვი დარჩა. ატიკაში არტემიდეს დღესასწაულზე რიტუალს ქალუშები დათვის ტყავში გადაცმულნი ასრულებდნენ. არტემიდეს კულტი ძველი დროიდან მომდინარეობს.

როგორც ხეებისა და მცენარეების ღვთაება, იგი ნაყოფიერების ღვთაებაც იყო. მისი კულტი ძირითადად გავრცელდა ეფესოში, სადაც არსებობდა არტემიდეს ცნობილი ტაძარი. არტემიდე ითვლებოდა შვილიერების ღმერთადაც. არტემიდესათვის საჩუქარი მიჰქონდათ ფეხმძიმე ქალებს. არტემიდესათვის უნდა მიეტანათ ქორწინების წინ შესაწირავი (იხ. ადმეტოსი). ჰომეროსის ეპოქაში არტემიდე ითვლებოდა ნადირობის ღმერთად და საუკეთესო მონადირედ. მან მოკლა ნადირობაში მისი მეტოქეობის მსურველი აქტეონი (იხ. აქტეონი). მოგვიანებით არტემიდე აღიქვეს მზეგარის ღმერთად და ხშირად აიგივებდნენ სელენესთან. რომში არ-

ტემიდეს კულტი დიანასას შეერწყა. არტემიდეს ყოველგვარი თვისება დიანაზე გადავიდა და ამრიგად იგი გახდა ნადირობის, ნაყოფიერების, შვილიერების და სხვათა ღმერთი. ხანდახან არტემიდეს ჰეკატესთანაც აიგივებენ. ანტიკურ ხელოვნებაში არტემიდე გამოიხატებოდა ახალგაზრდა ქალის სახით, რომლის გვერდით ჩვეულებრივ იდგა დედა და შვილი. როგორც მთვარის ღმერთს, არტემიდეს გამოსახავდნენ ნახევარმთვარით თავზე და ჩირაღდნით ხელში, — გრძელ ტანსაცმელში. ერმიტაჟში არის არტემიდეს რამოდენიმე ქანდაკება. ერთ-ერთი აქედან პრაქსიტელეს ნაშუშევრის ასლი უნდა იყოს. მისმა სახემ შთააგონა მრავალი ხელოვანი: რუბენსი, ბუშე და სხვა. თანამედროვე გაგებით არტემიდე-დიანა ნიშნავს საქალწულეს.

ასკალაფოსი, ბერძნ. (Ἀσκάλαφος, ὁ) ბეოტიელი გმირი, არესისა და ასტიოქეს ვაჟი. არგონავტი. ტროის ომში ორქომენელებს მეთაურობდა. მოკლა დეიფობოსმა.

ასკანიოსი, ბერძნ. (Ἀσκάνιος, ὁ) ენეასისა და კრეუსას ვაჟი, ხშირად აიგივებენ რომაელ გმირ იულიუსთან. მოგზაურობისას ასკანიოსი თან დაყვებოდა თავის მამას, ერთი მითის მიხედვით იგი ტროის დაცემის შემდეგ მისი მეფე გახდა. ენეასის სიკვდილიდან 30 წლის შემდეგ ასკანიოსმა იტალიაში დააარსა ქალაქი ალბა ლონგა. მისი ძმა სილვიუსი ალბების მეფეთა წინაპრად ითვლებოდა. ზოგი ვარიანტი ასკანიოსს ენეასის უფროს ვაჟად მიიჩნევს, ხოლო იულუსს უმცროსად.

ასკლეპიოსი, ბერძნ. (Ἀσκληπιός, ὁ) მკურნალობის ღმერთი. აპოლონის და კორონიდას ვაჟი. აპოლონმა ასკლეპიოსი აღსაზრდელად მისცა კენტავრ ჭირონს. მისგან ასკლეპიოსმა მკურნალობა ისწავლა. ასკლეპიოსს მიიჩნევდნენ სამეცნიერო ექიმად, რომელიც მკვდრებსაც კი აცოცხლებდა. ზევსმა ღმერთებისაგან დადგენილი კანონის დარღვევისათვის ასკლეპიოსი ელვით მოკლა. ამაზე განრისხებულმა აპოლონმა სამაგიეროდ კიკლოპები ამოხოცა. (იხ. აპოლონი). ამისათვის კი ზევსმა აპოლონი აიძულა გარკვეული ხნის განმავლობაში მოკვდავთა მოსამსახურე ყოფილიყო. ასკლეპიოსის კულტის მთავარი ცენტრებია: თესალია, ეპიდავრი და პერგამი. მისი წმიდა არსებებია გველი და მამალი. ეპითნე იყო ასკლეპიოსის მეუღლე, რომლისგანაც მას ჰყავდა ვაჟები. მაქაონი და პოდალეირიოსი, ქალიშვილები ჰიგია და პანაკეა. ხელოვნებაში ასკლეპიოსთან ერთად ხშირად გამოისახებოდა გამოჯანმრთელების დემონი ტელესფორი. ასკლეპიოსის გამოსახულება ზევსისას წააგავდა. რომში ასკლეპიოსი ესკულაპუსად აღიქვეს. ასკლეპიოსის მითის ყურადღებით განხი-

ლვამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ იგი იყო ისტორიული. რეალური პიროვნება, მაგრამ განსაცვიფრებელი და მაშინდელი დროისათვის მიუწვდომელი საექიმო ხელოვნებისა და საოცარი წამლების დამზადებისათვის აღიარეს ზეადამიანად, ღვთაებად, (რაც არც ისე იშვიათად ხდებოდა ხოლმე) და დროთა განმავლობაში ახალ-ახალი მითიური თვისებები მიაწერეს.

ასპასოსი, ბერძნ. (Ἄσωπός, ὁ) მდინარე ასოპოსის ღმერთი საბერძნეთში. ოკეანოსისა და თეტიდას ვაჟი. ასოპოსის ქალიშვილი ეგინა მოიტაცა ზევსმა და გამწარებული მამა სიზიფოსთან ერთად შეებრძოლა კაცთა და ღმერთთა მბრძანებელს.

ასტარტე, ბერძნ. (Ἀστάρτη, ἡ) ფინიკიური ნაყოფიერების ღვთაება. ასტარტე ითვლებოდა მთვარის ღმერთადაც, ბუნების გამაცოცხლებელი ძალების მფარველად, ქალ-ვაჟის სიყვარულისა და ჭორწინების ღმერთქალად. ბერძნულ-რომაულ სამყაროში ხშირად აიგივებდნენ აფროდიტესთან. ასტარტეს კულტი ბაბილონიდან და ასირიიდან მომდინარეობს. იქ მას იშტარას უწოდებდნენ.

ასტერია, ბერძნ. (Ἀστερία, ἡ) 1. ტიტანიდა, ტიტან კოიოსისა და ფებეს ქალიშვილი. ზევსისაგან განრიდების მიზნით ასტერია მწყრად გადაიქცა. სხვა მითის მიხედვით ასტერია ეგეოსის ზღვაში გადაეყარდა და კუნძულ დელოსად იქცა. 2. კორონეს ქალიშვილი. ოდმონის დედა. 3. ჰეკატეს დედა.

ასტერიონი, ბერძნ. (Ἀστερίων, ὁ) კრეტის მეფე, ევროპეს ქმარი ამ უკანასკნელის ზევსისაგან მოტაცების შემდეგ. კრეტის მეფობა მან მინოსს გადასცა.

ასტეროდეა, ბერძნ. (Ἀστερόδεια, ἡ) კავკასიელი ფერია, აფსირტოსის დედა, აიეტის საყვარელი თუ პირველი ცოლი, ოკეანოსისა და ტეთისის ასული. ზოგიერთი მითოგრაფი ასტეროდეას ევრილიტეს უწოდებს.

ასტეროპე, ბერძნ. (Ἀστερόπη, ἡ) ჰელიოსის მეუღლე, აიეტისა და კირკეს დედა.

ასტეროპია, ბერძნ. (Ἀστερόπεια, ἡ) პელიასის ერთ-ერთი ასული.

ასტიანაქტი, ბერძნ. (Ἀστυάναξ -άνακτος, ὁ) ქალაქის მბრძანებელს ნიშნავს. ჰექტორისა და ანდრომაქეს ვაჟის ზედმეტი სახელი, იგივე სკამანდროსი.

ასტიოქე, ბერძნ. (Ἀστυόχη, ἡ) 1. ტლეპოლემოსის დედა. ერა-

ხთონიოსის მეუღლე. 2. ლაომედონტის ქალიშვილი, ტელეფოსის მეუღლე.

ა ს ტ რ ა ლ უ რ ი კ ულ ტ ი. პლანეტებისა და სხვა ცაზე სხეულთა თუ მოვლენათა ღმერთებად მიჩნევა. ასტრალური კულტი მიწათმოქმედებასთან კავშირში ჩამოყალიბდა.

ა ს ტ რ ე ა, ბერძ. (Ἀστραία, ἡ) ზევსისა და თემიდას ქალიშვილის, სამართლიანობის ღმერთქალ დიკეს ზედმეტი სახელი. ოქროს საუკუნეში იგი მშვიდობიანობის საშმეს განაგებდა დედამიწაზე. როდესაც ადამიანებს ჩვეულებები შეერყვნათ, ასტრეამ მიატოვა დედამიწა და ცაში წავიდა. სხვა მითის მიხედვით ასტრეა თახავარსცლაველად იქცა.

ა ს ტ რ ე ო ს ი, ბერძნ. (Ἀστραῖος, ὁ) 1. ტიტან კრიოსისა და ევრიბეას ვაჟი. ეოსმა მასთან კავშირით დაბადა ქარის ღვთაებანი: არგესტესი, ძეფიროსი, ბორეასი და ნოტოსი. 2. ერთი გიგანტთაგანი. ტარტაროსისა და გეას ვაჟი. 3. პოსეიდონის ვაჟი, რომელმაც შეცდომით გაუპატიურა თავისი და ალკიპე და ამის გამო მდინარე ადუროსში თავი დაიხრჩო.

ა ტ ა ლ ა ნ ტ ე, ბერძნ. (Ἀταλάντη, ἡ) სახელგანთქმული არკადიელი მონადირე ქალი, არგონავტთა ლაშქრობისა (ზოგი მითის მიხედვით ატალანტეს დიდი სურვილი ჰქონდა გაყოლოდა არგონავტებს, მაგრამ არგონავტებმა არ წაიყვანეს) და კალიდონის ნადირობის მონაწილე. ახალშობილი ატალანტე პართენიონის მთაზე გადაგდეს; იქ მას ძუძუს დათვი აწოვებდა და მონადირეები ზრდიდნენ. კალიდონის ნადირობის დროს ატალანტემ პირველმა დაჭრა გარეული ტახი და მელეაგროსისაგან საჩუქრად მისი თავი და ტყავი მიიღო. მელეაგროსის ბიძამ ატალანტეს ეს ჯილდო წაართვა, რამაც ნათესავების დიდი დავა გამოიწვია.

ატალანტემ გახაცხადა, რომ ცოლად გაჰყვებოდა მას, ვინც სირბილში აჯობებდა, ხოლო მას, ვისაც დაეწეოდა, ხმლით მოკლავდა. მრავალთა შორის გაიმარჯვა მელანიპოსმა აფროდიტესაგან ნასწავლები ოინის მეშვეობით. სირბილის დროს, როდესაც ის იყო ატალანტე უნდა დასწეოდა მელანიპოსს და მოკვლა არ ასცდებოდა, ყმაწვილმა ღმერთქალისაგან საგანგებოდ მიცემული ვაშლი გადააგდო, ატალანტე დაიხარა ოქროს ვაშლის ასაღებად, მელანიპოსს ჩამორჩა და დამარცხდა მასთან შეჯიბრებაში. ისინი შეუღლდნენ და შეეძინათ ვაჟი პართენოპაიოსი. საბოლოოდ ატალანტე და მელანიპოსი ლომებად გადაიქცნენ. მსგავსი მითი არსებობდა ბეოტიაშიც, მაგრამ იქ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და ატალანტეს ქმრად დასახელებულია ვინმე ჰიპომენი. მითი გადაამუშავა და გამოიყენა ოვიდიუსმა.

ა ტ ა რ გ ა ტ ი დ ა, ბერძნ. (Ἀτάργατις -ιδος, ἡ) ნაყოფიერების სირიელი ღმერთქალის გაბერძნულებული სახელი. ატარგატიდას თავიდან აღიარებდნენ დასავლეთ სირიის ქალაქ ჰიეროპოლისში. ზოგიერთი მითი მას ღმერთქალ დერკეტოში ურევს და სემირამიდას დედად მიიჩნევს. ატარგატიდა იყო ელინისტური სამყაროს ყველაზე დედად მიიჩნევს. ატარგატიდა იყო ელინისტური სამყაროს ყველაზე მეტად სათაყვანებელი ღვთაება. მისი ტაძარი უდიდეს სამლოცველოდ ითვლებოდა სირიაში. იქ მრავალი რელიგიური დღეობა იმართებოდა. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ატარგატიდას კულტი საბერძნეთში ვაღაიდა და აფროდიტესას შეერწყა. რომში ატარგატიდას კულტი მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში გადავიდა. იქ მას დეა სირიას (სირიელი ღმერთქალი) უწოდებდნენ. გამოისახებოდა თევზქალად. მისი კულტი მალე განდევნა ქრისტიანულმა რელიგიამ.

ა ტ ლ ა ნ ტ ი დ ა, ბერძნ. (Ἀτλαντίς-ίδος, ἡ) ატლანტის ოკეანეში ოდესღაც არსებულ ნახევარლმითიური კუნძულის სახელწოდება. კუნძულზე დიდი ფიზიკური ძალის მქონე გოლიათები ცხოვრობდნენ. კუნძულის მცხოვრებთა განუზომელი თავხედობისა და სითამამის გამო ზეუსი განრისხდა და მთელი კუნძული ოკეანეში ჩაძირა. ზოგიერთები ატლანტიდას აიგივებენ ევროპის დასავლეთით, ატლანტის ოკეანის რომელსამე კუნძულთან. მრავალგზის იყო ცდა ატლანტიდა გაეიგივებინათ ამერიკასთან, აფრიკასთან და სხვა ქვეყნებთან, მაგრამ ყველა ეს ცდა გაბათილა მეცნიერებამ. ატლანტიდას მითს ხშირად წარღვნასაც უკავშირებენ. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად საკარაუდოა, რომ იქნებ მართლაც სინამდვილეში არსებობდა ატლანტის ოკეანეში რომელიმე დიდი კუნძული და გეოლოგიური თუ კოსმიური მოვლენების გამო ჩაძირა ზღვაში და მითი ატლანტიდას მცხოვრებთა დანაშაულებრივი საქმიანობების შესახებ სწორედ ამ მოვლენის შედეგად შეიქმნა.

ა ტ ლ ა ს ი ‖ ა ტ ლ ა ნ ტ ი, ბერძნ. (Ἄτλας -αντος, ὁ) მრავლის მომთმენი გოლიათი. იაპეტისა და კლიმენეს ვაჟი, პრომეთესა და ეპიმეთეს ძმა, პლეიადების მამა. (გვიანდელი მითები ატლასს მედეასა და კალიფსოს მამად მიიჩნევდნენ). იმის გამო, რომ ატლანტი აჯანყდა ღმერთების წინააღმდეგ, იგი დასაჯეს და აიძულეს თავისი მხრებით დაემაგრებინა ცის თაღი. გვიანდელი მითების მიხედვით ატლანტი აფრიკის მეფეა. ატლანტს ადგილსამყოფელად უკიდურე-

სი დასავლეთი მიაწნდათ. ატლანტთანაა დაკავშირებული ატლანტის ოკეანის სახელი.

ადრე რუკების კრებულებზე გამოსახული იყო ხოლმე ატლანტი || ატლასი, რის გამოც შემდეგში სახელწოდება მიიღო რუკების კრებულმა. არქიტექტურაში ატლანტებს უწოდებენ სვეტების მაგიერ დაყენებულ მამაკაცთა გამოსახულებებს, რომლებიც თითქოს შენობათა თაღებს ამაგრებენ.

ატრეუსი, ბერძნ. (Ἀτρεύς -έως, ὁ) მიკენის მეფე, პელოპისა და ჰიპოდამიას ვაჟი, აგამემნონისა და მენელაოსის მამა. მან მწვიდობიანად იმეფა პელოპონესში და ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა. (ჰომეროსი). სხვა მითებში საუბარია ძმების ატრეუსისა და თიესტეს წაჩხუბების შესახებ. ატრეუსმა, თიესტემ და მათმა დედამ მოკლეს პელოპის ვაჟი ქრისიპოსი. (სხვა მითის მიხედვით ქრისიპოსმა თავი მოიკლა ლაიოსისაგან შეურაცხყოფის შემდეგ). მკვლელობის შემდეგ ძმები მიკენის მეფე ეერისთევსთან გაიქცნენ, რომლის გარდაცვალების შემდეგ სამეფოს დაეპატრონა ატრეუსი. თიესტემ შეაცდინა ატრეუსის ცოლი აეროპე და მისი დახმარებით ცდილობდა სამეფოს ხელში ჩაგდებას. ატრეუსმა გაიგო თიესტეს განზრახვა და თავის სამეფოდან განდევნა. რამოდენიმე ხნის შემდეგ თიესტე მოელაპარაკა მასთან აღზრდილ ატრეუსის ვაჟს, რათა მამის წინააღმდეგ აჯანყებულიყო. შეთქმულება გაიხსნა და ატრეუსმა დამნაშავეები ჩამოახრჩო (არ იცოდა რომ მათ შორის მისი ვაჟიც იყო). ატრეუსმა ასეთი საშეცილისათვის მკაცრად გადაუხადა ძმას: როდესაც მასთან თიესტე შესარიგებლად მივიდა, ატრეუსმა მისი ვაჟების ხორცი აჭამა, აეროპე კი ზღვაში გადაიგდო. ამისათვის ღმერთებმა ატრეუსის მთელ შთამომავლობას სიდუხჭირე არგუნეს. სამისნოს ბრძანებით ატრეუსი გაქცეული თიესტეს საძებნელად წავიდა, მოგზაურობისას შეხვდა თიესტეს ჭალიშვილ პელოპეიას, ვერ იცნო და ცოლად შეირთო. ამაზე ცოტა ადრე პელოპეია დაუკავშირდა უცნობ მამაკაცს, რომელიც სინამდვილეში მამამისი იყო, და მისგან ეყოლა ვაჟი ეგისთე. რამდენიმე წლის შემდეგ ატრეუსმა უბრძანა ეგისთეს, თიესტე მოეკლა, მაგრამ თიესტემ ვაჟი იცნო და წარსულიც გაიხსენა. პელოპეიამ ამის გამო თავი მოიკლა, იმავე ხმლით ეგისთემ ატრეუსი მოკლა. მითის სიუჟეტი გამოიყენეს სოფოკლემ, ევრიპიდემ, სენეკამ და სხვებმა.

ატრიბუტი, ლათ. (ლათ. attribuo-დან) ატრიბუტი მითოლოგიაში არის საგნობრივი ნიშანი, რომელიც ითვლებოდა ღმერთთა შეუცვლელ საკუთრებად. მაგ. ზევსის ატრიბუტებია: ელვა, კვერ-

ხი, არწივი, ჭალმერთი ნიკე და სხვა. პოსეიდონისა — სამკბილა, ჰერაკლესი — კომბალი და ლომის ტყავი. ზოგჯერ ატრიბუტები იყვნენ დამოუკიდებელი ღვთაებანი ან დემონები, შემდეგ კი გახდნენ უმაღლეს ღვთაებათა თანამგზავრები. ნიკე-ზევსთან, სატირები — დიონისესთან და ა. შ. ატრიბუტები დამახასიათებელია წმინდანებისთვისაც. მაგ. პეტრე გასაღებით, იაკობი კიბით, და სხვ. ჩვეულებრივ ატრიბუტები ხელს უწყობენ ზოგ შემთხვევაში გაუგებარი გამოსახულების თუ არსების გამოცნობას.

ატროპოსი, ბერძნ. (Ἄτροπος, ἡ) სიცოცხლის ძაფის მაკრატლით გადამჭრელი მოირა. ატროპოსი ჭართულად დაუბრუნებელს ნიშნავს.

ატისი, ბერძნ. (Ἄττις -ιδος, ὁ) 1. ბუნების ფრიგიული ღვთაება, რომლის თაყვანისცემა დაკავშირებულია ღმერთთა დედის — რეა-კიბელას კულტთან. ატისი ფერია ნანას ჩაესახა ნუშის (ზოგი ვარიანტით ბროწეულის) ნაყოფისაგან. 2. ფლამაზესი ყმაწვილი მწყემსი, კიბელას სატრფო. ერთ-ერთ ლიდიურ თქმულებაში ნაამბობია ნადირობის დროს ტახისაგან მიყენებული ჭრილობის გამო ატისის სიკვდილზე და მის კვლავ გაცოცხლებაზე ღმერთების მიერ. ფრიგიული თქმულების თანახმად კიბელამ ატისი ჭკუაზე შეშალა, მან თავი მოიკლა ხმლით. სიკვდილის შემდეგ ატისი ფიჭვის ხედ იქცა. 204 წელს ჩვენს ერამდე ატისის კულტი გადადის რომში და თანდათან ხდება სახელმწიფოებრივი რელიგიის ნაწილად. ატისისათვის მიძღვნილი ზეიმები გრძელდებოდა 22-დან 27 მარტამდე. 25 მარტს იმართებოდა ლიდი ცერემონიალი, რომელიც მწუხარებით იწყებოდა: ინთებოდა კაშკაშა სინათლეები, ჭურჭელი გამოაცხადებდა ღმერთის მკვდრეთით აღდგომას და მწუხარება მხიარული ცეკვა-თამაშით იცვლებოდა. (შდრ. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა). 27 მარტს იმართებოდა ატისისა და კიბელას გამოსახულებათა მდინარეში განბანვა. საიდუმლო წესების აგება (მისტერიები) და სხვა ეზიარებოდნენ წმინდა ნაწილებს, (ატისის ხორცს -პურს და ატისის სისხლს — ღვინოს. შდრ. ზიარება). ატისის ჭურუმებს გალები ეწოდებოდათ, ხოლო მათ უფროსს — არხიგალი.

აფარევსი, ბერძნ. (Ἀφαρεύς, ὁ) 1. მესინის მეფე, იდასისა და ლინკევსის მამა. 2. ერთ-ერთი ბერძენი მეთაური ტროის ომში.

აფროდისია, ბერძნ. (Ἀφροδίσια, τὰ) აფროდიტესადმი მიძღვნილი ზეიმი.

აფროდიტე, ბერძნ. (Ἀφροδίτη, ἡ) ყველაზე მეტად გავრცელებული მითის მიხედვით ზევსისა და ოკეანიდ დიონეს ჭალიშვილი. ზოგი ვარიანტით აფროდიტე წარმოიშვა ზღვის ქაფისაგან, რომელიც

ურანოსის მოჭრილი სასქესო ორგანოდან ჩამოდენილი, ზღვაში მოხვედრილი წვეთებიდან წარმოიქმნა. სხვადასხვა მითებიდან ჩანს, რომ თავიდან აფროდიტე ნაყოფიერების ღმერთქალი იყო. ოლიმპიური რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ აფროდიტე ხდება სიყვარულისა და სილამაზის ღმერთქალი. V—IV სს. ფილოსოფოსები განარჩევდნენ ორგვარ აფროდიტეს — აფროდიტე პანდემოსს და აფროდიტე ურანიას. პირველი იყო უხეში, ხორციელი სიყვარულის, ხოლო მეორე — ცოცური სიყვარულის გახასიერება. პირველი უნერგავდა ადამიანებს სიძვისა და ხორციელი ლტოლვების, ხოლო მეორე სათნოებისა და სამშვიდის გრძნობას. ზოგიერთი მონაცემები (აფროდიტეს ზღვის ღმერთ დიონესაგან წარმომავლობა, აფროდიტეს კულტის ძირითადად კუნძულებზე და ნავსადგურებში გავრცელება, მისი ეპითეტები: ნავსადგურელი, კარგი ცურვის თვისების მომნიჭებელი, დაწყნარებული ზღვა და სხვა ამგვარი) გვაფიქრებინებენ, რომ აფროდიტე ზღვის, ნაოსნობის ღმერთქალადაც ითვლებოდა. აფროდიტეს კულტის მთავარი ადგილი იყო კუნძული კვიპროსი. ზოგი მითის მიხედვით თავდაპირველად აქ გამოჩნდა ზღვის ქაფისაგან შობილი აფროდიტე. ამიტომაც აქ ადგეს საერთო-ბერძნული მნიშვნელობის ტაძარი. აფროდიტეს კულტის მეორე მთავარი ცენტრი იყო კუნძული კითერა. აქედან მომდინარეობს აფროდიტეს საკულტო ზედმეტი სახელები კიპრიდა და კითერია. აფროდიტეს, როგორც ზღვის ღმერთს, სწირავდნენ დელფინს, ხოლო როგორც ნაყოფიერების ღმერთქალს — ბეღურას, მტრედს, კურდღელს... ეს მიუთითებს ტოტემიზმის გადმოხატებაზე. ღმერთქალის მუდმივი ატრიბუტი იყო მისი სასწაულმოქმედი ქამარი. გასათხოვრად გამზადებული ქალიშვილები ხშირად უძღვნიდნენ აფროდიტეს მოქსოვილ ქამარს. ტაძრებში მცხოვრები აფროდიტეს ქურუმები ღმერთქალის სამსახურს ასრულებდნენ ფულის მიტანით. მითების თანახმად აფროდიტეს მხოლოდ არესისაგან ჰყავდა ხუთი შვილი: ჰარმონია, ეროსი, ანტეროსი, ფობე და დეიმოსი. (ორ უკანასკნელს არაფერი კავშირი ჰქონდათ აფროდიტესთან, მაგრამ როგორც არესის თანამგზაერებს, მიიჩნევდნენ მას ვაჟებად აფროდიტესაგან). ჰერმესისაგან ჰყავდა მხოლოდ ჰერმაფროდიტი. გმირ ანქიზესაგან აფროდიტეს შეეძინა ენეასი. აფროდიტეს მუდმივი თანამგზაერები არიან: ჰორები, ქარიტები და მისი ვაჟი ეროსი.

სიყვარულისა და ნაყოფიერების ღმერთქალის კულტი ცნობილია მრავალ ქვეყანაში და ძირითადად დაკავშირებულია მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებასთან. აფროდიტეს კულტის ზოგიერთი ნიშანი მიუთითებს მის აზიურ წარმოშობაზე. აფროდიტეს კულტი გავრცელდა კუნძულ კვიპროსზე, მცირე აზიაში და ხმელთაშუა ზღვის რიგ კუნძულებზე. მოგვიანებით აფროდიტეს კულტი შედის მატერიკულ საბერძნეთშიც. ზოგი მოსაზრებით აფროდიტეს წინასახეობა იყო ფინიკიელი ასტარტე (იხ. ასტარტე). რომში აფროდიტეს კულტი ვენერასას შეუერთდა. ვენერა ითვლებოდა ცოლ-ქმრული სიყვარულის ღვთაებად დიმისპატივსაცემად დაწესდა ქალთა ღვესასწაული ბი აპრილის თვეში. იმპერიის პერიოდში ვენერას კულტი განსაკუთრებით პოპულარული ხდება, რადგანაც მას იულიუსთა დინასტიის წინაპრად მიიჩნევდნენ. მითები აფროდიტეს შესახებ შემონახულია „ილიადაში“ და „ოდისეაში“, ჰომეროსის ჰიმნებსა და ჰესიოდეს „თეოგონიაში“. ანტიკურ ხელოვნებაში აფროდიტე გამოისახებოდა სრულ და ლამაზ ქალად.

აფსირტოსი, ბერძნ. (Ἄψυρτος, ბ) კოლხეთის მეფის აიეტისა და ასტეროდეას ვაჟი, მედეას ძმა, იასონთან ერთად გაქცეულმა მედეამ თან წაიყვანა იგი. როდესაც არგონავტებს აიეტი დაედევნა, მათ მოკლეს აფსირტოსი, ნაწილებად დაჰკრეს და ზღვაში გადააგდეს. ღრმად დაჭუხრებულმა აიეტმა დაიწყო შვილის ნაწილების შეგროვება და ამასობაში ჩამორჩა ლტოლვილებს. მითის სხვა ვარიანტის მიხედვით აფსირტოსი აიეტის სასახლეშივე დაკლეს. ზოგი გადმოცემების თანახმად იგი ამ პერიოდში ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა იყო.

აქატე, ლათ. (Achates) ენეასის მეგობარი და თანამგზავრი. ვადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ნამდვილ, თავგადადებულ ამხანაგსა და მეგობარს.

აქელოიდები, ბერძნ. (Ἀχελωΐδες, αἱ) ნაიადები. აქელოოსის ქალიშვილები.

აქელოოსი, ბერძნ. (Ἀχελῷος, ბ) მდინარის ღვთაება. ოკეანოსის ვაჟი, რომელსაც შეეძლო მიეღო სასურველი სახე. მაგალითად ჰერაკლესთან ბრძოლის დროს იგი ხარად იქცა. ამ ხარს ჰერაკლემ რქა მოტეხა და ეს რქა აქელოოსის ქალიშვილებმა—ნაიადებმა სიუხვის რქად აქციეს. ჰერაკლესაგან ძლეული აქელოოსი მდინარეში დაიშალა, რომელსაც შემდეგ მისი სახელი ეწოდა. ზოგჯერ აქელოოსს სირინოზების მამად მიიჩნევდნენ. აქელოოსი გამოისახებოდა წვერიანი, პირგაღებული მოხუცის სახით.

აქერონტი, ბერძნ. (Ἀχέρων -οντος, ბ) მიწისქვეშა სამეფოს (ჰადესის) მდინარე, მისი შენაკადებია პირიფლეგეთონი და კოკიტი.

აქილევსი, ბერძნ. (Ἀχιλλεύς, ბ) ტროის ომის გმირი. ფთიაში მცხოვრებ მირმიდონების მეფე — პელეუსისა და ზღვის ღმერთქალ თეტიდას ვაჟი. იმისათვის, რომ აქილევსი უკვდავი გაეხადა,

თეტიდა ღრმით ამბროსიაში აბანავებდა, ღამ-ღამობით კი ცეცხლის ალით რუჯავდა. ერთხელ ეს შეჩიშნა პელევსმა და შეშინებულმა ბავშვი ცეცხლიდან გამოაყვანინა. ამის გამო თეტიდამ პელევსი მიატოვა. სხვა მითის მიხედვით თეტიდა აქილევსს ბანდა სტიქსის წყლით, რის გამოც არავითარ იარაღს არ შეეძლო მისი სხეულის დაზიანება. ცეცხლის ალისაგან თუ სტიქსეს წყლისაგან შეუხებელი რჩებოდა ბავშვის მხოლოდ ერთი ქუსლი, რომელზეც ხელი ეკიდა თეტიდას (ეს ადგილი იყო აქილევსის სუსტი ადგილი). თეტიდას წასვლის შემდეგ პელევსმა აქილევსი კენტავრ ქირონს მისცა აღსაზრდელად. ქირონი აქილევსს ლომებისა და გარეული ტახების შიგნეულით კვებავდა. მან აქილევსს ექიმობა და სხვა საუცხოო ხელოვნებანი ასწავლა. მოხუცმა ფენიქსმა კი ლამაზი მეტყველება და ომის ხელოვნება.

6 წლის აქილევსი ბოცავდა ლომებსა და ველურ ტახებს. სირბილში ჯობნიდა შველს. იზრდებოდა თავის მეგობარ პატროკლესთან ერთად. როდესაც აქილევსს უთხრეს, ხანგრძლივი და უსახელო სიცოცხლე ერჩია თუ მოკლე და სახელოვანი, აქილევსმა ეს უკანასკნელი აირჩია. აქილევსი სიამოვნებით დათანხმდა ტროის ომში მონაწილეობას, როდესაც მასთან ამის თაობაზე ნესტორი და ოდისევსი მივიდნენ. თავის მასწავლებელ ფენიქსთან, პატროკლესა და მირმიდონელ მხედრებთან ერთად 50 გემით აქილევსი ტროის მისადგომებისაკენ გაემართა. აქილევსის ტროის ომში მონაწილეობას სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ ჰომეროსის შემდეგდროინდელი ლეგენდებიც და მწერლებიც. ერთი თქმულების თანახმად წინასწარმეტყველმა კალქანტმა იწინასწარმეტყველა, რომ მხოლოდ აქილევსის დახმარებით შესძლებდნენ ბერძნები ტროის აღებას, მაგრამ ამ ომში თვით აქილევსი დაიღუპებაო. ამ უბედურების თავიდან აცილების მიზნით თეტიდამ აქილევსი ქალის ტანსაცმელში გამოაწყო და კუნძულ სკიროსზე დამალა. აქ აქილევსი ომალებოდა მეფე ლიკომედეს ქალიშვილებთან. აქედან ერთ-ერთთან, დეიდამიასთან მან რომანი გაბა და შეეძინა ნეოპტოლემოსი. როდესაც ოდისევსმა, ფენიქსმა და ნესტორმა აქილევსის ადგილსამყოფელი გაიგეს, მას ვაჭრების სახით ესტუმრნენ. როდესაც ვაჭრებმა საქონელი გაშალეს, მეფის ყველა ქალიშვილმა მშვილდად ჩაუარა ძვირფას ფარ-ხმალს, აქილევსი კი გასასინჯად წაეტანა. ამ საქციელით მან თავისი თავი გათქვა და იძულებული გახდა გაყოლოდა სტუმრებს ტროის ომში.

ჰომეროსის პოემებში მოთხრობილია აქილევსის წარმატებებზე ტროის აღების დროს. ომის დაწყებიდან ათი წლის შემდეგ აქილევსი წაეჩხუბა აგამემნონს და უარი განაცხადა ომის გაგრძელებაზე. ამის

მიზეზი გახდა ტყვე ქალი ბრისეიდა, რომელიც აგამემნონმა აქილევსს წაართვა. აქილევსის წაქეზებით გათამამებულმა ტროელებმა ბერძნები სასტიკად დაამარცხეს. მაშინ აქილევსის მეგობარმა პატროკლემ, აქილევსის თანხმობით, აიღო ხელში იარაღი ტროელების წინააღმდეგ. მან ბერძნების სასარგებლოდ შეაბრუნა ომის ბედი, მაგრამ თვით მალე დაიღუპა ჰექტორის ხელით. მეგობრის სიკვდილით შეშფოთებული აქილევსი ფიცს დებს, რომ სამაგიეროს გადაუხდის ჰექტორს. თეტიდას თხოვნით მას ჰეფესტომ გამოუჭედა ახალი იარაღი, მათ შორის საუკეთესო, შემდეგ საყოველთაოდ ცნობილი ფარი. აქილევსმა დაამარცხა ტროელები და მოკლა ჰექტორიც. ჰექტორის გვამი გამოაბა ეტლს და პატროკლეს ცხედრის ირგვლივ ათრია. ჰექტორის გვამის გამოსასყიდად აქილევსთან მივიდა ჰექტორის მამა პრიამოსი. იგი შეევედრა აქილევსს, მიეცა მისთვის საკუთარი შვილის გვამი. აქილევსმა შეისმინა მოხუცის ვედრება და ჰექტორის გვამი გაატანა. ჰექტორის გვამის დაწვის ცერემონიალით მთავრდება „ილიადა“.

ზოგი მითის მიხედვით აქილევსი, წინასწარმეტყველების თანახმად, მართლაც ტროის ომში დაიღუპა ჯერ კიდევ ქალაქის დაცემამდე. (ერთი ვარიანტის მიხედვით აქილევსი მოკლა პარისმა, რომლის ისარი აპოლონმა წარმართა აქილევსის ჭუპლისაკენ, რომელიც მისი ერთადერთი სასიკვდილო ადგილი იყო). ჰომეროსის მიხედვით აქილევსი საიქიოში მკვდართა მეუფე გახდა. ერთი მითის მიხედვით მკვდარი შვილი თეტიდამ კუნძულ ლევკოსზე წაიღო, გააცოცხლა და იფიგენიაზე (ზოგი ვარიანტით მედეაზე) დააქორწინა.

აქილევსის კულტი ვაგრცელებული იყო ელიდაში, სპარტაში, ოლვიაში და სხვა ქალაქებში. აქილევსის სახე ნათლადაა მოცემული „ილიადაში“. მას არ იცის საზღვარი არც რისხვაში და არც მწუხარებაში. ამავე დროს იგი კეთილი და დიდსულოვანია მტრებთანაც და საიმედოა მეგობრობაში. საფიქრებელია, აქილევსზე თქმულება იყოს რომელიმე ისტორიული პიროვნების რეალური თავგადასავალი. ამ ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ მიკენას წარწერებში (11 ათასეული წლეული ჩვენს ერამდე) ამოკითხულია სახელი აქილევსი. აქილევსის სახემ შთააგონა ანტიკური ხანის მრავალი ხელოვანი. უდიდესი პოპულარობით სარგებლობს პარიზში დაცული აქილევსის ქანდაკება. მას ბევრი არესისად მიიჩნევს. აქილევსის საუკეთესო ქანდაკება იხება ერმიტაჟშიც. მხატვრულ ლიტერატურაში აქილევსის სახე ჰომეროსის გარდა მოგვცა ევრიპიდემ, ვერგილიუსმა, ოვიდიუსმა და სხვებმა.

აქილევსის ფარი, ბერძნ. თეტიდას თხოვნით ჰეფესტოს მიერ აქილევსისათვის გამოჭედილი საუკეთო ფარი, რომელიც აღწერილია „ილიადას“ XVIII სიმღერაში. გადატანითი მნიშვნელობით აქილევსის ფარი ნიშნავს ხელოვნების შედევრს.

აქილევსის ჭუსტი, ბერძნ. აქილევსის ერთადერთი სუსტი ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა მისი სხეულის დაზიანება. გადატანითი მნიშვნელობით აქილევსის ჭუსტი ნიშნავს პიროვნების, მოძღვრების, ამა თუ იმ საქმის სუსტ წერტილს, სუსტ მხარეს.

აქსიოქე, ბერძნ. (Ἀξιόχη, ἡ) ფერია. პელოპის საყვარელი.

აქტეონი || აკტეონი, ბერძნ. (Ἀκταίων, ὁ) არისტეოსისა და ავტონოეს ვაჟი, მითიური მონადირე. ერთხელ, ნადირობისას, აქტეონმა დაინახა მობანავე შიშველი არტემიდე. ამის გამო განრისხებულმა ღმერთქალმა აქტეონი შველად აქცია და თავისივე ძაღლებს დააგლეჯინა. ეცრიპიდეს მიხედვით არტემიდეს რისხვა ამ ამბავმა კი არ გამოიწვია, არამედ აქტეონის მკვეხარობამ, თითქოს და არტემიდეზე უყეთესი მონადირე ვარო.

აქტორი || აკტორი, ბერძნ. (Ἄκτωρ -ορος, ὁ) იტალიელი მეომარი, მოკლა ტურნუსმა და ხშირად ამაყობდა მისაგან წამოღებული იარაღით. ძველ იტალიაში არსებობდა გამოთქმა: „აქტორის იარაღის მოპოვება“, რაც ნიშნავდა სხვისი წარმატებისა და გამარჯვების თავისთვის მიწერასა და ამით სიამაყეს. მითებში აქტორი მოხსენიებულია ავრუთვე ფორბანტის ვაჟად, მილონის ქმრად.

— ბ —

ბაიტილოსი, ბერძნ. (Βαίτυλος, ὁ) წმინდა ქვა, რომელიც ძველ საბერძნეთში გარკვეულ დღეებში თავლსაჩინო ადგილას გამოჰქონდათ, სხვა დროს კი ინახავდნენ როგორც თილისმას. ბაიტილოსად ხშირად მეტეორებს მიიჩნევდნენ. ყველაზე მეტად ცნობილი ბაიტილოსი ინახებოდა დელფოში, აპოლონის ტაძრის მახლობლად. მას ყოველდღიურად რთავდნენ და სურნელოვან ზეთს უსვამდნენ. ბერძნების წარმოდგენით ეს სწორედ ის ქვა იყო, რომელიც კრონოსმა ზევსის ნაცვლად ჩაყლაპა და შემდეგ ჩააყლაპა შვილებთან ერთად ზევსის დაძალებით წამოანთხია. ასეთივე ქვა, მეტეორიტი,

უძველეს დროში ციდან ჩამოვარდნილი, დღესაც ინახება მექაში: ცრუმორწმუნეები თვლიან, რომ ეს ქვა არის ციდან ღმერთისაგან ადამიანებისათვის ჩამოგდებული ნიეთი. იგი უწმინდეს საგნად ითვლება მთელ მაჰმადიანურ სამყაროში.

ბაკიდი, (Βάκις -ιδος, ὁ) ბეოტიელი წინასწარმეტყველი, რომელსაც მიაჩნევდნენ წინასწარმეტყველებათა კრებულის შემდგენლად. მოგვიანებით ბაკიდი წინასწარმეტყველთა საზოგადო სახელი გახდა.

ბაკხოსი, ბერძნ. (Βάκχος, ὁ) იხ. ბახუსი.

ბასარა, ბერძნ. (Βασσάρα, ἡ) 1. ლიდიასა და თრაკიაში ბაკხელთა გრძელი ჩასაცმელი, ითვლებოდა ლიდიელი ღვთაების — ბასარას ტანისამოსად. 2. ზოგიერთი მითის მიხედვით ბასარა დიონისეს ძიძაა.

ბასილეია, ბერძნ. (Βασίλεια, ἡ) 1. მეფის ხელისუფლების განსახიერება ძველ საბერძნეთში. ზევსის ქალიშვილი, მისი ელჩის მცველი. შვილობის დამცველი. მეფე ქალის ფოლკლორული სახე. 2. ურანოსის ქალიშვილი, ტიტანებისა და რეას და.

ბატოსი, ბერძნ. (Βάτος, ὁ) კირენეს სამეფოს დამაარსებელი.

ბაუბო, ბერძნ. (Βαυβώ, ἡ) ელევსინური თქმულების მიხედვით ქალი, რომელმაც გულითადად მიიღო ჭალიშვილის საძებნელად მის სამეფოში მოხვედრილი დემეტრე (ვარიანტით დემეტრეს ძიძა). ვერიანდელი მითების მიხედვით ბაუბო მძიმევარე კუდიანი ქალი, ჰეკატეს თანამგზავრი და თანამოსაქმეა.

ბახუსი, ბერძნ (Βάκχος, ὁ) ღვინისა და ლოთობის ღმერთი ძველ საბერძნეთში (იხ. დიონისე). ბახუსს ამჟამად ალკოჰოლს, ყოველგვარ მათრობელ სასმელს უწოდებენ. გადატანითი მნიშვნელობით ნაბახუსარი ხალხებს, ნაქეიფარ ადამიანს ეწოდება. ჭარბთულში დამკვიდრებული სახელწოდება ბახუსი ლათინური Bacchus-იდანაა.

ბებრიკები, ბერძნ. (Βέβρυκες, οἱ) (იხ. ამიკოსი, არგონავტები). ნახევრადმითიური ტომი.

ბელეროფონტი, ბერძნ. (Βελλεροφῶν -φῶντος, ὁ) კორინთელი გმირი, კორინთოს მეფე—გლავკოსის ვაჟი, სიზიფოსის შე-

ლიშვილი. მისი ნამდვილი სახელი ჰიპოხევსი იყო... ლეგენდის მი
ხედვით ბელეროფონტი მის შემდეგ დაერქვა, რაც კორინთელი ბე
ლერეესი მოკლა. (ბელეროფონტი ქართულად ბელერევსის მკვლელს
ნიშნავს). მკვლელობის შემდეგ ბელეროფონტი მეფე პროიტოს
თან გაიქცა არგოსში. პროიტოსის ცოლს შეუყვარდა ბელეროფონტი
მაგრამ როცა მისაგან თანაგრძნობა ვერ მიიღო, ცილი დასწამა,
თითქოს იგი ძალით ცდილობდა მის გაუპატიურებას. ასეთი საქ
ციელისათვის პროიტოსმა ბელეროფონტს შურისძიების მიზნით
ლიკიის მეფე იობატესთან წერილი გაატანა, რომელშიც ეწერა,
რომ მისულისთანავე მოეკლათ წერილის მომტანი. იობატესმა
სტუმარს რამოდენიმე ძნელადშესასრულებელი, თითქმის შეუძ
ლებელი საქმე დააყალა, რათა მისი შესრულების დროს დაღუ
პულიყო, მაგრამ გმირმა ყოველი მისი დავალება საესებითა და უ
ნაკლოდ შეასრულა. ფრთოსანი ცხენის – პეგასის დახმარებით მან
შეძლო მოეკლა სამსახოვანი ცეცხლის მფრქვეველი ჭიმერა. მანვე
დაამარცხა ლიკიელი მეომრები. ასეთი წარმატებებისა და ვაჟკაც
ობათვის მეფე იობატესმა ბელეროფონტი არათუ დასაჯა, არამედ
თანამმართველად გაიხადა და თავისი ქალიშვილი ცოლად მისცა. მი
სი ქალისაგან ბელეროფონტს შეეძინა შვილები: ისანდრე, ჰიპო
ლოქე და ლაოდამია. გაამაყებულმა ბელეროფონტმა მოისურვა
ფრთოსანი პეგასით ოლიმპოზე ასულიყო, რისთვისაც მან ღმერთების
რისხვა დაიმსახურა. ზევსმა იგი ოლიმპოს მწვერვალიდან გადმო
აგდო; მასთან ერთად დაისაჯნენ მისი შვილებიც. ოლიმპოდან ჩამოვ
დების შემდეგ ბელეროფონტი დახეიბრდა და დაბრმავდა. მითში
ასახულია წრნაპერძნული ზღაპრის ელემენტები, რომელიც მზის
ღმერთის შესახებ არსებულ ლეგენდას უფრო წაგავს. კორინთოში
არსებობდა ბელეროფონტის კულტი. მითი გამოიყენეს სოფოკლემ,
ევრიპიდემ. ევრიპიდეს მიხედვით ბელეროფონტმა სამაგიერო მი
უზღო ცილის დამწამებელს — იგი ფრთოსან პეგასზე შემოისვა და
ცქიდან ზღვაში გადააგდო.

ბ ე ლ ო ნ ა, ლათ. (Bellona) იტალიაში მიღებულია როგორც
ომის ღმერთქალი, მარსის მეუღლე (ზოგი ვარიანტით მისი ძიძა, ზო
გით, და). ბელონას ტაძარში ღებულობდნენ ძლევამოსილ მეთაურებს,
უცხოელ ელჩებს და სხვა პატივსაცემ ადამიანებს. ტაძართან ახლოს
იდგა სვეტი, რომელზეც ფეციალი ომის დაწყების ნიშნად ზემოდან
ხმალს გადააგდებდა ხოლმე. მცირე აზიაში, პონტოსა და თრაკიაში
ბელონა მთვარის ღმერთად მიაჩნდათ. ბელონას კულტი რომში მხო
ლოდ მითრიდატეს ლაშქრობის შემდეგ გადავიდა. ბელონას ქურუ
ძებს ბელონარიოსები ეწოდებოდათ, ისინი შავ ჩაჩებსა და შავ ტან-

საცმელს ატარებდნენ. ბელონა გამოისახებოდა გრძელ ტანსაცმელ
ში გამოწყობილ ქალად ხმლით, მახვილით, ფარითა და ჩირაღდნით
ხელში. თანამედროვე გაგებით ბელონასადმი სამსახური სამხედრო
სამსახურს ნიშნავს, ბელონას შვილებს მეომრებს უწოდებენ.

ბ ე ლ ო ნ ა რ ი ე ბ ი, ლათ. ბელონასადმი მიძღვნილი ზეიმები.

ბ ე ლ ო ს ი, ბერძნ. (Βῆλος, ὁ) ეგვიპტის მითიური მეფე, ლი
ბისა და პოსეიდონის ვაჟი. აგენორის ძმა, დანაოსისა და ეგვიპტო
სის მამა. ასირიულ-ბაბილონური ღვთაება. მისი კულტი საბერძნეთ
ში შედარებით გვიან გადავიდა.

ბ ე ნ დ ი დ ი, ბერძნ. (Βενδῖς ἴδος, ἡ) ფრიგიული ღვთაების
ბერძნული სახელწოდება. იგი მთვარის ღვთაებად ითვლებოდა და
ატიკაში ადრევე გააიგივეს არტემიდესთან. ზოგმა მითმა იგი ჰეკატეს
თან, ზოგმა პერსეფონესთან გააიგივა. მის პატივსაცემად ათენში ყო
ველწლიურად იმართებოდა დღესასწაულები. ამ დღესასწაულის
დროს მართავდნენ ჯირითს. ამხედრებული გმირები ათენიდან პირე
ოსისაკენ მიემართებოდნენ, სადაც მდებარეობდა ბენდიდის ტაძარი.
შეჯიბრში გამარჯვებულები სხვადასხვა სახის ჯილდოს ღებუ
ლობდნენ.

ბ ი ა, ბერძნ. (βία, ἡ – ძალა, დაძაბულება). ძალისა და შესაძ
ლებლობის განსახიერება ძველ საბერძნეთში, პალანტისა და სტიქსეა
ქალიშვილი, ნიკეს და. „გიგანტომახიაში“ ბია ღმერთების მხარეზე
იბრძოდა. ბია იყო ზევსის ნება-სურვილის შემსრულებელი. სწორედ
ზევსის ბრძანებით მიაჯაჭვა მან პრომეთე კლდეზე კავკასიაში და
გულ-ღვიძლის საჭიჭვნად ყვავ-ყორანი მიუჩინა. მითი გამოიყენა სო
ფოკლემ ტრაგედია „მიჯაჭვულ პრომეთეში“.

ბ ი ა ნ ტ ი, ბერძნ. (Βίας -αντος, ὁ) მელამპოდის ძმა. ბიანტს
შეუყვარდა პილოსის მეფის — ნელევსის ქალიშვილი პირო. ნელევ
სის ბრძანებას თანაბრად პიროს ქმარი გახდებოდა მხოლოდ ის, ვინც
მეტად სალიელი იფიკლეს საუკეთესო ხარებს მოგვრიდა. ბიანტს ამ საქ
მეში დახმარებია მისი ძმა — წინასწარმეტყველი მელამპოდი. იგი
ბიით გაემგზავრა ხარების მოსაპარავად, მაგრამ პატრონმა შეიპყ
რა და საკაბში გამოკეტა. მელამპოდს სიკვდილი მოელოდა, მაგრამ
იგი იხსნა მისმა წინასწარმეტყველებამ. მან უწინასწარმეტყველა
იფიკლეს, რომ მისი სახლი დაინგრეოდა. რადგანაც მისი წინასწარ
მეტყველება ახდა, ამიტომ იფიკლემ იგი გაათავისუფლა და ხარე
ბიც მისცა. როდესაც ბიანტმა ხარები მიიღო, სასწრაფოდ ნელევსს
მიაგვარა. ნელევსმაც პირობა არ დაარღვია და პირო ცოლად მისცა.

ბიბლიდი, ბერძნ. (Βυβλίς -ίδος, ἡ) მილეტოსის ქალიშვილი, რომელიც შემდეგ წყაროდ გადაიქცა.

ბითვინისი, ბერძნ. (Βιθυνίς -ίδος, ἡ) ამიკოსის დედა.

ბიძანტი, ბერძნ. (Βύζας -αντος, ὁ) პოსეიდონის ვაჟიშვილი. ბიზანტიის მითიური დამაარსებელი.

ბონა დეა, ლათ. (Bona dea — კეთილი ღმერთქალი). ნაყოფიერებისა და ქალთა მფარველი იტალიური ღვთაება. ბონა დეას კულტი შემდეგ მაიასი და ფაუნას კულტს შეუერთდა. მის პატივსაცემად იტალიაში ყოველწლიურად ორი დღესასწაული იმართებოდა. პირველ მაისს ზეიმობდნენ ავენტინუსზე მდებარე ტაძარში, ხოლო დეკემბრის დასაწყისში — კონსულის სახლში. ზეიმის მთავარი მონაწილეები იყვნენ ე. წ. ვესტალები, რომელთაც ხელმძღვანელობდა თვით კონსულის მეუღლე. მამაკაცებს ზეიმზე მისვლა სასტიკად ეკრძალებოდათ. ბონა დეას ტაძარი იდგა ავენტინუსის ბორცვზე.

ბონუს ევენტუსი, ლათ. (Bonus eventus) მოსავლისა და მინდვრის ნაყოფიერების ღვთაება ძველ იტალიაში. შემდეგში იგი წარმატებისა და სარფიანი შემოსავლის ღვთაებად იქცა. ზოგჯერ მას ტრიპტოლემოსთანაც აიგივებდნენ. გამოისახებოდა ეტლში მჯდომარე ვაჟკაცად. ეტლში შებმული იყვნენ დრაკონები. მას მარჯვენა ხელში ეჭირა სამსხვერპლო ჭურჭელი, ხოლო მარცხენაში—სიუხვის რქა და პურის თავთავი.

ბორეადები, ბერძნ. (Βορεάδαι, αἱ) ბორეასისა და ორითიას ფრთოსანი ვაჟები. ძეთოსი და კალაისი, არგონავტთა ლაშქრობაში მონაწილენი. ბორეადებმა გაათავისუფლეს თავიანთი დის ქმარი, ბრძა ფინეესი ჰარპიებისაგან. გვიანდელი მითების მიხედვით ბორეადები დახოცა ჰერაკლემ იმიტომ, რომ მათ ურჩიეს არგონავტებს მიეტოვებინათ ჰილასის საძებნელად წასული ჰერაკლე.

ბორეასი, ბერძნ. (Βορέας, დორ. Βορρᾶς, ὁ) ასტრეოსისა და ეოსის ვაჟი, ჩრდილოეთის ქარის ღვთაება. ზეფიროსის, ევროსისა და ნოტოსის ძმა. ბორეასის სამფლობელოდ ითვლებოდა სალმიდესი (თრაკიაში). ლეგენდის თანახმად ბორეასმა ცოლად შეირთო ათენის მეფის ერიხთონიოსის ქალიშვილი, რის გამოც მას ხშირად ათენელთა სიძესაც უწოდებენ ხოლმე. კუნძულ ევბეასთან ბერძნების მიერ სპარსეთის ფლოტის დამარცხების შემდეგ, ბორეასს სამლოცველო-ტაძარი აუგეს. ბორეასი გამოისახებოდა მფრინავ ვაჟკაცად უზარმაზარი ფრთებით. ბორეასი, იგივე იტალიური ბორა, გადატანით ეწოდება ცივ, სუსხიან ქარს. (შდრ. ქართ. ბორიო, ბორიაყი).

ბრანხოსი, ბერძნ. (Βράγχος, ὁ) აპოლონის საყვარელი პი-

როვნება, წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოებული. გადმოცემის თანახმად მან დიდიმში აპოლონის სამლოცველო-ტაძარი აგო. მისაგან აგებული ტაძარი და სამისნო ისტორიულ პერიოდში მეორე ადგილზე იდგა თავისი მნიშვნელობით, დელფოს სამისნოს შემდეგ. სამისნოს ჭურუმები თავიანთ თავს ბრანხოსის შთამომავლებად თვლიდნენ.

ბრიაროსი, ბერძნ. (Βριάρεως, ὁ) ერთ-ერთი ჰეკატონხეიროსის (ასხელიანის) ზედმეტი სახელი. ასხელიანი ბუმბერაზის სახე ხშირად გვხვდება ბერძნულ მითოლოგიაში.

ბრისეოსი, ბერძნ. (Βρισῆς || Βρισεύς, ὁ) ლელეგთა მეფე. ბრისეიდას მამა.

ბრისეიდა, ბერძნ. (Βρισηΐς -ίδος, ἡ) ბრისევსის ქალიშვილი. ბრისევსის ქალაქის დანგრევისა და ქმრის სიკვდილის შემდეგ ბრისეიდა ტყვედ ჩაუვარდა აქილევსსა და მის მეომრებს. აქილევსს ავამემნონმა წაართვა ბრისეიდა. სწორედ ეს გახდა აქილევსის აგამემნონთან წაჩხუბების, ე. წ. „აქილევსის რისხვის“ მიზეზი, აგამემნონმა აქილევსს ხელუხლებლად დაუბრუნა ბრისეიდა.

ბრიტომარტისი, ბერძნ. (Βριτόμαρτις, ἡ) მონადირეთა, მეთევზეთა და მეზღვაურთა მფარველი ღმერთქალი კრეტაზე. ზოგიერთი მითის მიხედვით ფერია, ზევსის ასული, არტემიდეს თანამგზავრი. ბრიტომარტის დაედევნა სიყვარულით აღგზნებული კრეტის მეფე მინოსი. ბრიტომარტისი შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით კლდის ქიმიდან ზღვაში გადაეყარდა, მაგრამ მეთევზეებმა ბადით დაიჭირეს და სიკვდილს გადაარჩინეს; (აქედანაა მისი მეორე სახელი — დიქტინა δίκτυον ბადე) კრეტიდან ბრიტომარტისის კულტი სპარტაში გადავიდა. მისი კულტი გავრცელდა აგრეთვე კუნძულ ეგინაზე და ხმელთაშუა ზღვის სხვა მრავალ კუნძულზე. ბოლოს ბრიტომარტისი გააიგივეს არტემიდესთან. ამის გამო იგი მთავარის ღმერთადაც ითვლებოდა. ბრიტომარტისის ზღვისაქენ გაქცევა და მისი მეთევზეთაგან გადარჩენის მითი დაკავშირებულია მთვარის გავსებისა და გალევის მოვლენასთან. ბრიტომარტისის გამოსახულებანი ძირითადად მონეტებზეა შემორჩენილი. იგი გამოწყობილია მოკლე სანადირო ჭიტონში, თავზე გვირგვინი აღგას და ხელში ჩირაღდანი უჭირავს.

ბრომიოსი, ბერძნ. (Βρόμιος, ὁ) დიონისეს ერთ-ერთი სახელი.

ბუსირისი, ბერძნ. (Βούσιρις -ίδος, ὁ) ეგვიპტის მეფე. პოსეიდონისა და ლისიანასეს ვაჟიშვილი (ზოგი ვარიანტით ეგვიპტო-

სის ვაჟი), როდესაც ქვეყანა ათწლოვანმა გვალვამ შეაწუხა და განადგურების პირას მიიყვანა, კრეტელმა მისანმა ფრასეოსმა იწინასწარმეტყველა, რომ გვალვას ბოლო მოეღებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ზევსს ყოველწლიურად ერთ უცხოტომელს შესწირავდნენ. ბუსირისმა პირველი თვით ფრასეოსი შესწირა ღმერთს. შემდეგ ბუსირისი სამსხვერპლოსთან კლავდა ყველა უცხოს, ვინც კი ეგვიპტეში მიეგდოდა. ერთხელ ეგვიპტეში მოხვდა ჰერაკლე და მასაც სხვებსავით სამსხვერპლოზე დაკვლა დაუპირეს, მაგრამ როცა სამსხვერპლოზე წაიყვანეს, გზაში თავი გაითავისუფლა და მოკლა თვით ბუსირისი და მისი ვაჟიც. მითში ასახულია ძველ დროში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება. მითი მრავალგზის აისახა ხელოვნებაში.

ბუტესი, ბერძნ. (Βούτης, ὁ) 1. თრაკიელი ბორეასის ვაჟი. ძმისაგან განდევნილი ბუტესი კუნძულ სტრონგილოსზე (ან ნაქსოსზე) დასახლდა. დიონისეს ღვინასმაულზე მან მოიტაცა ერთ-ერთი ბაკხელთაგანი, რითაც ღმერთებს აწყენინა და ამისათვის უგონობით დასაჯეს. გონებაარეული ბუტესი ზღვაში ჩავარდა. 2. მეფე პანდიონისის ვაჟი, ერეხთეუსის ძმა. ბუტიდ ქურუმთა გვარის მითიური წინაპარი, ათენასა და პოსეიდონის ქურუმი. 3. არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე. სირინოზების სიმღერით მოხიბლული მათ კუნძულამდე მისვლის მიზნით იგი პირველი გადახტა ზღვაში. ბუტესი დახრჩობას აფროდიტემ გადაარჩინა, ლილიბოსში (იტალია) წაიყვანა და საყვარლად გაიხადა. აფროდიტეს და ბუტესს შეეძინათ ვაჟი ერიქსი.

ბუტო, ბერძნ. (Βουτώ, -οῦς ἡ) ეგვიპტელი ღმერთქალი, ოსირისისა და ისიდას შვილების ძიძა. ბუტოს თანამოსახელე ქალაქში (ქვემო ეგვიპტე) არსებობდა ბუტოს კულტი.

— გ —

გალანთია, ბერძნ. (Γαλανθιάς, ἡ) ალკმენეს მსახური ან მეგობარი. პროიტოსის ქალიშვილი. როდესაც ალკმენეს ჰერაკლე უნდა ეშვა, ჰერა ხელს უშლიდა მშობიარობას. მაშინ ალკმენეს დიდად მოყვარულმა და თაყვანისმცემელმა მსახურმა თუ მეგობარმა ღმერთქალი ჰერა მოატყუა, თითქოს ალკმენეს უკვე მოემშობიარებინა. მოტყუებისათვის განრისხებულმა ჰერამ გალანთია სინდიოფალად აქცია.

გალატეა, ბერძნ. (Γαλατεία, ἡ) ერთ-ერთი ნერეიდთაგანი,

წყნარი და მოკამკამე ზღვის განსახიერება. გალატეას სიყვარულისათვის პოლიფემოსმა ლოდის სროლით მოჰკლა თავისი მეტოქე აკიდი. აკიდის სისხლი იქცა მდინარედ და მის სატრფოს, ზღვას შეუერთდა. 2. ბიგმალიონის სატრფო.

გალაქსავრე, ბერძნ. (Γαλαξαύρη, ἡ) ერთ-ერთი ოკეანიდი.

გალაქსიონი, ბერძნ. (Γαλάξιον, τὸ) აპოლონის ტაძარი ბეოტიაში.

გალენე, ბერძნ. (Γαλήνη, ἡ) ერთ-ერთი ნერეიდთაგანი.

გალია, ბერძნ. (Γαλλία, ἡ) ტელხინების და, რომელშაც შეიყვარა პოსეიდონი და დაბადა ფერია როდა.

გალოსი, ბერძნ. (Γάλλος, ὁ) კიბელას ქურუმი.

გამელია, ბერძნ. (Γαμηλία, ἡ) ჰერას ერთ-ერთი ზედმეტი სახელი, მომდინარეობს ბერძნული γαμέω -დან (ცოლს ვირთავ) (იხ. ჰერა).

განიმედე, ბერძნ. (Γανυμήδης, ὁ) დარდანის მეფის — ტროსის ვაჟი. არაჩვეულებრივი სილამაზის გამო მოიტაცეს ღმერთებმა და ოლიმპოზე წაიყვანეს. აქ იგი ზევსმა თავის საყვარლად და მერიქიფედ გაიხადა.

განიმედე გამოისახებოდა ულამაზეს ყმაწვილად, რომელსაც ხელში ხშირად ღვინით სავსე თასი ეჭირა. განიმედეს მოტაცების სიუჟეტი მრავალმა ხელოვანმა გამოიყენა. მათ შორის: მიქელ-ანჯელომ, ტიციანმა, რემბრანდტმა და სხვამ.

განხეთქილების ვაშლი, ბერძნ. გადატანითი მნიშვნელობით დავის, კამათის, ჩხუბის მიზეზი. გამოთქმა დაკავშირებულია განხეთქილების ღმერთქალის— ერიდას შესახებ არსებულ მითთან.

განრისხებულმა ერიდამ, რაკი პელევსის და თეტიდას ქორწილზე არ დაპატიჟეს, დამსწრეთა შორის შუღლის ჩამოგდების მიზნით, გადაისროლა ოქროს ვაშლი წარწერით: „უმშვენიერესს". ვაშლის მითვისებისათვის ღმერთქალებმა: ჰერამ, ათენამ და აფროდიტემ დიდხანს იდავეს. დავის გადასაწყვეტად ღმერთქალებმა ტროის მეფისწულს — პარისს მიმართეს. აფროდიტემ დაიმარტოხელა პარისი და სხვებისაგან ფარულად შეპირდა, რომ ცოლად შეართვევინებდა ქვეყნად ულამაზეს ქალს, თუკი ოქროს ვაშლს მას არგუნებდა. პარისმა ღმერთქალს თხოვნა შეუსრულა და აფროდიტემაც პარისს მოატაცებინა სპარტის მეფე მენელაოსის ულამაზესი ცოლი — მშვენიერი ელენე, რაც გახდა ტროის ომის მიზეზი.

გე, ბერძნ. (Γῆ, Γᾶ, Γαῖα, ἡ) დედამიწის განსახიერება. ჰესი-

ოდეს მიხედვით იგი პირველად თავისთავად გამოეყო ქაოსს და შვა ურანოსი (ცა), მთები, ზღვები, პლანეტები და სხვა ამგვარი. ურანოსისაგან გეამ შვა ტიტანები, კიკლოპები, ჰეკატონხეირები (ასხელოვანი გოლიათები) და სხვა. გეა ითვლებოდა აგრეთვე გიგანტების, ერინიებისა და მელოსელი ფერიების დედად. პონტოსისა (ზღვა) და გეას ქალშვილთა მოეკლინა ნერევსი, თავმანტი, ფორკინი, კეტო და ევრიბია. როგორც დედა. „გიგანტომახიაში“ გეა გიგანტებს ეხმარებოდა.

გეა ითვლებოდა ადამიანთა დამბადებლად და მკვდართა მეფედ წინაპართა მოხსენიებისას გეას კულტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი დაფიცება ყველაზე უფრო სარწმუნოდ და წმინდათაწმინდად ითვლებოდა. როგორც მოსაელის ღვთაებას, გეას მთელ საბერძნეთში აღიარებდნენ. არის გადმოცემები იმის შესახებაც, რომ დელფოს სამისნო აპოლონის კულტის გავრცელებამდე გეას სახელს ატარებდა. ზოგი მითი გეას ზევსის ცოლადაც მიიჩნევს, რის გამოც მისი კულტი აირია დიონეს, ჰერასა და დემეტრეს კულტში. ანტიკურ ხელოვნებაში გეას გამოსახულებას იშვიათად ვხვდებით. პერგამის ტაძრის ფრიზზე გეა გამოსახულია დედამიწის სარტყელზე, ხელში უჭირავს სიუხვის რქა და ზევსს ეევდრება, რათა დაივიწყოს მრისხანება და შეიბრალოს გიგანტები.

გ ე ლ ე ო ნ ტ ი, ბერძნ. (Γελέων -οντος, ὁ) იონის ვაჟი, ერთ-ერთი ძველატიკური ფილის ეპონიმი.

გ ე ლ ო, ბერძნ. (Γελλώ, ἡ) ლესბოსელი ბოროტი ღმერთქალი, რომელიც თითქოს ხელ ბავშვებს იტაცებდა.

გ ე ლ ო ნ ო ს ი, ბერძნ. (Γελωνός, ὁ) ეჭიდნესა და ჰერაკლეს ვაჟი, სკვითოსის ძმა. მის სახელთანაა დაკავშირებული სკვითების ქალაქის სახელწოდება გელონი.

გ ე ლ ო ს ი, ბერძნ. (γέλως — „სიცილი“) სიცილის განსახიერება. ლიკურგემ მას სპარტაში ქანდაკება აუგო. არსებობს გამოსახულება, სადაც იგი დიონისესა და კომოსთან ერთად მოსიარულე მდგომარეობაშია.

გ ე ნ ი უ ს ი, ლათ. (Genius) კეთილი სული რომაელთა წარმოდგენით, რომელიც მფარველობდა თვითეულ ადამიანს და აყალიბებდა მის ხასიათს. გენიუსი ითვლებოდა ადამიანის თანამგზავრად მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

გენიუსი ეხმარებოდა მხოლოდ მამაკაცებს, ქალთა შემწედ კი იუნონა ითვლებოდა. ყოველი რომაელის დაბადება გენიუსის დღესასწაულად მიაჩნდათ და უსისხლო მსხვერპლს სწირავდნენ. საკუ-

თარი გენიუსი ჰყავდა თვითეულ ქალაქს, ოჯახს, ხალხს, ტომს და ა. შ. რომში იდგა მისი ქანდაკება. მას თავზე გვირგვინი ედგა, სახეს ძეძელი წვერი უმშვენებდა, მარჯვენა ხელში სიუხვის რქა ეჭირა. ხოლო მარცხენაში — კვერთხი. ყოველი წლის 9 ოქტომბერს მას მსხვერპლს სწირავდნენ. იმპერიის პერიოდში გენიუსისათვის მსხვერპლი თვით იმპერატორსაც კი მიჰქონდა. ხალხი გენიუსს ზოგჯერ გველის სახითაც წარმოიდგენდა. ხელოვნებაში გენიუსი ჩვეულებრივ ფრთოსან არსებად გამოისახებოდა.

გ ე რ ი ო ნ ი, ბერძნ. (Γηρυών -όνος, ὁ) ოკეანიდ კალიროესა და ქრისაოსის ვაჟი, ექიდნეს ძმა, სამთავიანი გოლიათი, რომლის ძროხებიც ქუნძულ ერითეიდან ჰერაკლემ მოიტაცა.

გ ი გ ა ნ ტ ე ბ ი, ბერძნ. (Γίγαντες, οἱ) უკიდურეს დასავლეთში მცხოვრები ჯანყისმოყვარე ბუმბერაზები, ღმერთთა და გოლიათთა ნათესავები. გეასა და ურანოსის ვაჟიშვილები. გვიანდელი მითები ერთიმეორეში ურევენ გიგანტებსა და ტიტანებს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ტიტანებისა და ღმერთების ომის საფუძველზე „ტიტანომახიის“ ნაცვლად სახელწოდება „გიგანტომახია“ წარმოიშვა.

გ ი გ ა ნ ტ ო მ ა ხ ი ა, ბერძნ. (γιγαντομαχία, ἡ — გიგანტთა ომი) იმის გამო, რომ გვიანდელ მითებში ტიტანები გაიგივეს გიგანტებთან, „ტიტანომახიის“ ნაცვლად წარმოიშვა „გიგანტომახია“. გიგანტომახია ხშირი სიუჟეტია ძველბერძნულ სკულპტურულ ხელოვნებაში. პერგამის ტაძრის კედლებზე შემორჩენილია გიგანტომახიის აღმნიშვნელი დიდებული სცენები. ეს ტაძარი აღმოაჩინეს მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში. იგი ითვლებოდა შვიდი საოცრებიდან ერთერთად.

გ ი გ ე ს ი, ბერძნ. (Γύγης, ὁ) იხ. კანდავლე.

გ ლ ა ვ კ ე, ბერძნ. (Γλαύκη, ἡ) 1. კორინთელი მეფის ქალიშვილი, რომლის ცოლად შერთვას აპირებდა იასონი. განრისხებულმა მედეამ გლავკე ქორწინების დღეს საშინელი წამებით მოკლა მორწამლული ძვირფასი საჩუქრის საშუალებით. გლავკეს ზოგჯერ კრეუსას სახელითაც მოიხსენიებენ. 2. ერთ-ერთი ნერეიდთაგანი. 3. არკადიელი ფერია, რომლის გამოსახულებაც სხვა ფერიების გამოსახულებასთან ერთად იპოვეს ათენას ტაძარში. 4. დანაოსის ქალიშვილი. 5. ერთერთი ამაძონი.

გ ლ ა ვ კ ო ს ი, ბერძნ. (Γλαῦκος, ὁ) 1. ანტენორისა და თეანოს ვაჟი. ტროის ომში იგი დიომიდეს წინააღმდეგ იბრძოდა და მოკლა აგამემნონმა. 2. ბელეროფონტის ვაჟი (ზოგი მითის მიხედვით ბელეროფონტის მამადაც ითვლებოდა). 3. კრეტის მეფის-

მინოსისა და პასიფაეს ვაჟი. ბავშვობისას ჩაეარდა თაფლით სავსე ჭურჭელში და დაიხრჩო. ჯადოსნური ბალახების საშუალებით იგი კვლავ გააცოცხლა წინასწარმეტყველმა პოლიეიდოსმა. 4. კორინთოს მეფე, სიზიფოსისა და მეროპეს ვაჟი, ბელეროფონტის მამა. გლაუკოსი ითვლებოდა ჯირითის დროს ცხენების შემშინებელ დემონად. ბოლოს იგი დაგლიჯეს საკუთარმა ცხენებმა. 5. მეზღვაურთა და მეთევზეთა ბეოტიური ღვთაება. ნერევსისა და პროტევსის მსგავსად მას შეეძლო ამოეცნო მომავალი და გადაეცა ადამიანებისათვის. ერთი მითის მიხედვით გლაუკოსი არგონავტთა ლაშქრობის მონაწილეა. მან მონაწილეობა მიიღო ხომალდ „არგოს“ აგებაში, შემდეგ კი მისი მესაჭეც გახდა. სხვა მითის მიხედვით გლაუკოსი იყო ერთი ჩვეულებრივი ბეოტიელი მეთევზე, რომელმაც გაღეჭა რაღაც ჯადოსნური ბალახი და გაბოროტებული ზღვაში გადახტა. აქ იგი ოკეანოსმა და ტეთისმა ზღვის ღვთაებად აქციეს. მოგვიანო მითების მიხედვით გლაუკოსს შეუყვარდა სკილა. გლაუკოსი გამოისახებოდა თევზკაცად (მოხუცის სახით), დიდი წვერითა და მხრებზე დაყრილი თმებით.

გორგონა, ბერძნ. (Γοργών -ονος, ჩ) ქალი — ურჩხული, რომლის თავიც ყველას, ვინც მას შეხედავდა, ქვად აქცევდა. ჰომეროსი ახსენებს ერთ გორგონას, ჰესიოდე კი — სამს (სტენოსი, ევრიალეოსი, მედუზა). გორგონები ცხოვრობდნენ უკიდურეს დასავლეთში. სამი გორგონადან მხოლოდ ერთი, მედუზა იყო მოკვდავი. იგი მოკლა პერსევსმა. მედუზას მოჭრილი თავიდან დადენილი სისხლის წვეთები გველებად იქცეოდნენ. თითქოს გველებმა წარმოქმნეს საჰარის უდაბნო აფრიკაში. მედუზას თმების მაგივრად თავზე გველები ჰქონდა მოხვეული. გვიანდელი მითების მიხედვით გორგონა მედუზა იყო პოსეიდონის საყვარელი, ულამაზესი ქალი, რომლისაგანაც შეეძინა ქრისაოროსი და პეგასი. კიდევ სხვა მითების მიხედვით, მედუზა ადრე მიწისქვეშა ძალების დემონი უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით მედუზას ძველი გაგება შეიცვალა; მედუზად ზოგჯერ ათენასაც მიიჩნევდნენ. ხელოვნებაში მედუზა ხშირად გამოყოფილი ენით გამოისახებოდა. ასეთი გამოსახულებები გვხვდება ფარებზე. შენობათა და ქალაქთა შესასვლელებში, როგორც საშიშროებისაგან დამცველი თილისმა. ერთი მითის მიხედვით გორგონას მოჭრილი თავი ათენას ფარზე იყო გამოსახული. ზოგი მითის მიხედვით თითქოს გორგონა მედუზა შეხვდა კოლხეთიდან მომავალ არგონავტებს.

გორგოპა, ბერძნ. (Γοργώπα, ჩ) ერთ-ერთი საშინელი შესახედაობის ღმერთქალი.

გორგოფონა, ბერძნ. (Γοργοφόνα, ჩ) ანდრომედასა და პერსევსის ქალიშვილი. ზოგჯერ ათენასაც ეძახდნენ გორგოფონას.

გორგოფონოსი, ბერძნ. (Γοργοφόνος, ბ) გორგონას მკვლელი, ე. ი. პერსევსი.

გორდიასი, ბერძნ. (Γορδίας, ბ) ფრიგიელთა ლეგენდარული მეფე, მცირე აზიაში მდებარე მისი თანამოსახელე ქალაქის ეპონიმი. გორდიასი იყო უბრალო მიწათმოქმედი. ხვნის დროს მისი ხარების უღელზე არწივი შემოჯდა, რაც წინასწარმეტყველებმა ისე ახსნეს, რომ გორდიასი ოდესმე მეფე გახდებოდა. მართლაც, მალე ფრიგიელებმა მეფე გადააყენეს და სამისნოს მიმართეს ახალი მეფის კანდიდატურისათვის. სამისნოს რჩევით მეფედ უნდა აერჩიათ ის, ვისაც პირველად შეხვდებოდნენ ურემზე მჯდომარეს და პირველი, ვისაც შეხვდნენ ურემზე მჯდომარეს, იყო გორდიასი. წინასწარმეტყველება ახდა. გამეფების შემდეგ გორდიასმა ააშენა თავისი თანამოსახელე ქალაქი. ქალაქში ტაძარი ააგო, ტაძარში თავისი ურემი დადგა და ზედ უღელი მიაბა ურთულესი ნასკვებით. გადმოცემის თანახმად ხალხს სწამდა, რომ ის, ვინც ამ ნასკვებს გახსნიდა, მთელი აზიის მბრძანებელი გახდებოდა. აქედან მომდინარეობს მხატერული გამოთქმა „გორდიასის კვანძის გახსნა“, რაც ნიშნავს რთული მდგომარეობიდან გამოსვლას.

ამბობენ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა მოისურვა ნასკვის გახსნა, მაგრამ ვერ შეძლო და ხმლით მთლიანად დაჭრა. არსებობს ასეთი ხატოვანი გამოთქმაც: „გორდიასის კვანძის გაჩეხვა“. — რაიმე დახლართული, არეული საქმის დაუფიქრებლად გადაწყვეტის აღსანიშნავად.

გრაები, ბერძნ. (Γραῖαι, αἱ — დედაბრები) სიბერის განმასახიერებელი ღმერთქალები. გორგონების დები. ჰესიოდე ასახელებს ორ გრაიას. გრაიები ლამაზები იყვნენ, მაგრამ დაბადებიდანვე თეთრი თმები ჰქონდათ. მეხუთე საუკუნის ავტორები სამ გრაიას ასახელებენ. გადმოცემის თანახმად სამ გრაიას ჰქონდა ერთადერთი საერთო თვალი და ასევე ერთი კბილი.

გრაციები, ლათ. (Graliae) იხ. ქარიტები.

გრიფები, ბერძნ. (γρύψ -ῦπος) ლომისტანიანი და არწივისთავიანი ურჩხულები.

— დ —

დავნუსი, ლათ. (Daunus) სამხრეთ იტალიის მითიური მეფე. ისევე, როგორც მრავალ სხვა იტალიელ გმირს, დავნუსსაც ბერძნულ

მითებს უკავშირებდნენ და ლიკაონის ვაჟად მიიჩნევდნენ. იტალიაში გადასული დაენუსი აპულეის მეფე ხდება და სამეფოს უწოდებს თავის სახელს.

დამასტე, ბერძნ. (Δαμάστης, ὁ) ბუმბერაზი, რომელსაც უფრო მეტად ზედმეტი სახელით (პროკრუსტე) მოიხსენიებენ ხოლმე.

დანაე, ბერძნ. (Δανάη, ἡ) არგოსის მეფის აკრისიოსის ქალიშვილი. პერსევსის დედა. დანაეს დაუკავშირდა ოქროს წვიმად ქცეული ზევსი, რის შედეგადაც დაიბადა პერსევსი. აქედან მომდინარეობს მხატვრული გამოთქმა „ოქროს წვიმა“ უეცარი, მოულოდნელი გამდიდრების, ან რაიმე სხვა ბედნიერების უეცრად მოპოვების აღსანიშნავად.

მითი დანაეს შესახებ გამოიყენეს: ტიციანმა, კორეჯომ, რემბრანდტმა და სხვებმა.

დანაელთა საჩუქარი, ბერძნ. სხარტი გამოთქმაა, როდესაც ბერძნებმა (დანაელებმა) ტროის აღება ვერ შეძლეს, ხერხს მიმართეს: აიგეს უზარმაზარი ხის ცხენი, შიგ ჩასვეს საუკეთესო მებრძოლები, მიაყენეს ტროის კარებს და ჯარი კი უკან გამოაბრუნეს; ვითომ ხელი აიღეს ტროაზე. ტროელებმა ცხენი ღვთაებრივ საჩუქრად მიიჩნიეს და დიდი ზარ-ზეიმით შეაგორეს ტროის კედლებს შიგნით. ღამით, როცა ყველამ დაიძინა, მეომრები ცხენიდან გამოვიდნენ, თავისიანებს კარები გაუღეს და ქალაქი აიღეს. გამოთქმა სწორედ აქედან მომდინარეობს, რომ ტროელთა ჭურუმმა ლაოკოონმა, როცა ცხენი ქალაქში უნდა შეეგორებინათ, წამოიძახა: მეშინია დანაელთა მოძღვნილი საჩუქრისაო. დანაელთა საჩუქარს უწოდებენ მტრისაგან მოძღვნილ საჩუქარს ან წინადადებას, რომელიც ძტერს შეიძლება რაიმე ოინის მოსაწყობად ჰქონდეს განზრახული.

დანაიდები, ბერძნ. (Δαναΐδες, αἱ) დანაოსის 50 ქალიშვილი (იხ. დანაოსი).

დანაიდების კასრი, ბერძნ. იხ. დანაოსი.

დანაოსი, ბერძნ. (Δαναός, ὁ) ეგვიპტის მეფის — ბელოსის ვაჟი. უფროსი ძმის ეგვიპტოსის ორმოცდაათი ვაჟისაგან თავისი ქალიშვილების დასაცავად დანაოსი არგოლიდაში გადასახლდა. მან ადგილობრივ მცხოვრებლებს ასწავლა ჭების გათხრა და სასმელი წყლის მოპოვება. შემდეგ დანაოსი არგოსის მეფე გახდა. ეგვიპტოსის ვაჟებმა მაინც მონახეს დანაოსი და აიძულეს ცოლად მიეცა თავისი 50 ქალიშვილი. მაშის ბრძანებით ქალიშვილებმა ქორწინების ღამეს დახოცეს საქმროები. მხოლოდ ერთმა, ჰიპერმნესტრამ შეიბრალა თავისი ქმარი ლინკევსი. საქმროების დახოცვისათვის დანაიდები დასაჯნენ იმით, რომ სიკვდილის შემდეგ საიქიოში უძირო ქასრის გავსება დაევალათ. აქედან მომდინარეობს მხატვრული გამოთქმა „დანაიდების ქასრში წყლის სხმა“, რაც ნიშნავს უსასრულო და უშედეგო საქმის კეთებას.

გადარჩენილმა სიძემ — ლინკევსმა მოკლა დანაოსი და სამეფო ტახტს თვით დაეუფლა. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით დანაოსმა თვით დაუთმო გადარჩენილ სიძეს სამეფო ტახტი.

მაშის ბრძანების თანახმად საქმროების დახოცვა საკმაოდ გავრცელებული სიუჟეტია.

დარდანოსი, ბერძნ. (Δάρδανος, ὁ) 1. ზევსისა და ელექტრას ვაჟი, იასიონის ძმა, ილოსის მამა (ზოგი ვარიანტით პაპა). იდას მთასთან მოსახლე დარდანოსთა ტომის მითიური დამაარსებელი და წინაპარი. 2. რომაელთა შორეული, მითიური წინაპარი.

დარეტი, ბერძნ. (Δάρης -ητος, ὁ) ჰეფესტოს ტროელი ჭურუმი.

დაფნე, ბერძნ. (Δάφνη, ἡ) ფერია, მდინარის ღმერთის ქალიშვილი. იგი შეუყვარდა აპოლონს და მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, მაინც გამუდმებით დევნიდა. ერთხელ, როცა აპოლონი წამოეწია დაფნეს და ის იყო უნდა დაეჭირა, დაფნემ ხელები ცისაკენ აღმართა და ღმერთებს შეევედრა, რათა ხედ ექციათ, რათა თავი დაეღწია აპოლონისაგან. ღმერთებმა შეისმინეს დაფნეს ვედრება და დაფნის ხედ აქციეს. გაწბილებულ აპოლონს ისღა დარჩა, რომ დაფნის ხე თავის წმინდა მცენარედ გაეხადა. დაფნის ცისაკენ აღმართული ტოტები და ფოთლები თითქოს დაფნეს ცისაკენ აღმართული ხელებია. მითი გამოყენებულია ხელოვნების მრავალ სფეროში. საყურადღებოა, რომ მცენარე დაფნას ეს სახელი მხოლოდ ბერძნულად და ქართულად ჰქვია.

დაფნისი, ბერძნ. (Δάφνις -ιδος, ὁ) ლეგენდარული სიცილიელი მწყემსი. (ზოგი ვარიანტით ფრიგიელი მომღერალი და პოეტი) მას მიეწერება მწყემსური სიმღერების შექმნა.

ერთ-ერთ ფერიას ჰერმესთან კავშირით შეეძინა დაფნისი. ახლადშობილი მშობლებმა მიატოვეს. ბავშვი ფერიებმა გაზარდეს და მისგან დადგა არაჩვეულებრივი სილამაზის ყმაწვილი. მას პანმა სალამურზე დაკვრა ასწავლა. მწყემსური პოეზიის საუკეთესო სიუჟეტად ითვლებოდა დაფნისის ცხოვრების აღწერა.

არსებობს დაფნისის დაღუპვის სხვადასხვა ვარიანტი. ერთი მათგანის მიხედვით დაფნისმა დაარღვია თავისი სატრფოს — ფერია ნომიასადმი მიცემული ფიცი და ამ უკანასკნელმა დააბრმავა იგი. ამის

შემდეგ დაფნისი თურმე მთელ კუნძულზე დაეხეტებოდა და გულის ჯავრს სიმღერითა და მუსიკით იქარვებდა. ბოლოს დაფნისი კლდიდან ზღვაში გადავარდა. ერთი ვარიანტის მიხედვით იგი კლდედ იქცა. დაფნისის დაღუპვის ადგილას ჰერმესმა წყარო გააჩინა. მითის გვიანდელი ვარიანტის მიხედვით დაფნისი უიმედო, ცალმხრივ სიყვარულს შეეწირა. კიდევ სხვა მითის მიხედვით მშვენიერმა დაფნისმა უარყო აფროდიტესაგან მიგზავნილი ქალი, რის გამოც გაჯავრებულმა ღმერთქალმა სიკვდილით დასაჯა. დაფნისის მითი მრავალგზის გამოიყენეს ლიტერატურასა და ხელოვნებაში (თეოკრიტე, ვერგილიუსი, რაბლე და სხვა). გადატანითი მნიშვნელობით დაფნისი ნიშნავს არაჩვეულებრივი სილამაზის ვაჟს.

დ ა ქ ტ ი ლ ე ბ ი, ბერძნ. (Δακτύλοι, οἱ) თრაკიაში, იდას (ზოგი ვარიანტით დაქტილების) მთაზე მცხოვრები დემონები. მათ მიაწერენ რკინის აღმოჩენასა და პირველად დამუშავებას. დაქტილები რეა კიბელას თანამგზავრებად ითვლებოდნენ. ბოლოს ისინი გააიგივეს კურეტებთან და კორიბანტებთან. დაქტილებს ზოგჯერ კაბირებსა და ტელხინებშიც ურევდნენ.

დ ე ა დ ი ა, ლათ. (Dea dia) ნაყოფიერების ძველიტალიური ღმერთქალი, ზოგჯერ აჯა ლარენციასთან აიგივებდნენ.

დ ე ა რ ო მ ა, ლათ. (Dea Roma) რომის მფარველი ღმერთქალი, იმპერიის პერიოდში მისი კულტი იმპერატორისას ერწყმის. დეა რომას ხშირად აიგივებდნენ ფორტუნასა და ვიქტორიასთან.

დ ე ა ს ი რ ი ა, ლათ. (Dea Syria) სირიულ-ფრიგიული ღმერთქალის სინკრეტული კულტი, რომლის კულტში შეირწყნენ: ათარგატისის, დერკეტოს, ასტარტეს, კიბელასა და აფროდიტეს კულტები. დეა სირიას კულტი რომში სელევკიდებიდან უნდა იყოს შესული. თავიდან მას მხოლოდ რომის დაბალი მასები აღიარებდნენ. სიცილიელი მონების პირველი აჯანყების მეთაური ევნუსი დეა სირიას თავის მფარველად აღიარებდა. მაღალ კლასებში დეა სირიას კულტი იმპერიის პერიოდში გავრცელდა.

დ ე დ ა ლ ი ო ნ ი, ბერძნ. (Δαιδαλίων, ὁ) ჭიონეს მამა. ავტოლიკოსისა და მომღერალ ფილამონის ბაბუა.

დ ე დ ა ლ ო ს ი, ბერძნ. (Δαίδαλος, ὁ) ნაბევრად მითიური მშენებელი და მხატვარი. მას მიაწერენ სადურგლო ხელსაწყოების გამოგონებას. დედალოსმა თავისი ხელოვნება ასწავლა თავის ნათესავს პერდიქს (ზოგი ვარიანტით ტალოსს). ამ უკანასკნელმა ხელოვანებით თავის მასწავლებელს გადააჭარბა და შურით შეპყრობილმა დედალოსმა მოკლა თავისი შეგირდი, რის გამოც იძულებული შეიქმ-

ნა კუნძულ კრეტაზე, მეფე მინოსთან გაქცეულიყო. მინოსის დაკვლებით დედალოსმა კრეტაზე აგო ლაბირინთი მინოტავრისათვის. მანვე მისცა არიადნეს ძაფის გორგალი, რომლის მეშვეობითაც რამდენიმე ხნის შემდეგ თეზევსმა თავი დააღწია გამოუვალ ლაბირინთს (იხ. არიადნე, არიადნეს ძაფი). იმისათვის, რომ დედალოსმა არიადნეს ძაფის გორგალი მისცა, ის და მისი ვაჟი იკაროსი მინოსმა იმითომ დასაჯა, რომ ლაბირინთში გამომამწყვდია. მაშინ დედალოსმა გააკეთა ფრთები თავისთვის და იკაროსისათვის, სანთლით მხრებზე მიაგრეს და კუნძულიდან გაფრინდნენ. ფრენისას იკაროსი მეტისმეტად მაღლა აფრინდა, თითქოს მზეს მიუახლოვდა იმდენად, რომ სანთელი მისმა მცხუნვარებამ დაადნო, ფრთები ჩამოცვივდა და იკაროსი ზღვაში ჩავარდა. ამბობენ, რომ ყმაწვილის გვამი კუნძულს მიეკრა. მას შემდეგ კუნძულს მისი სახელი ეწოდა. იკაროსი იქვე დაასაფლავეს, დედალოსი კი სიცილიაში მეფე კოკალოსთან მივიდა. დედალოსს დადევნებული მინოსიც მიადის სიცილიაში, მაგრამ კოკალოსის ქალიშვილებმა იმდენად შეიყვარეს დედალოსი თავისი ხელოვნების გამო, რომ მინოსი მოკლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ დედალოსი იქვე (ზოგი ვარიანტით სარდინიაში) გარდაიცვალა. სხვა მითის მიხედვით დედალოსი თეზევსთან ერთად კრეტიდან ათენს დაბრუნდა.

ათენში არსებობდა დედალიდების გვარი, რომლებიც თავიანთ წინაპრად ასახელებდნენ დედალოსს. კრეტის წარწერები ადასტურებენ, რომ თავიდან დედალოსი ხელოვნებისა თუ ხელოსნობის მფარველი ადგილობრივი ღვთაება უნდა ყოფილიყო. გვიანდელ წარწერებში იგი ზოგჯერ ჰეფესტოსთანაა გაიგივებული. უძველეს ნაგებობების ამენებას ძველ საბერძნეთში ხშირად დედალოსს მიაწერდნენ ხოლმე.

დ ე ვ ე რ ა, ლათ. (Deverra) ახალშობილთა და მშობიარეთა ძველიტალიური ღვთაება. ზოგი ნიშნის მიხედვით აიგივებდნენ ხოლმე ინტერციდონასა და პილუმნუსთან.

დ ე ვ კ ა ლ ი ო ნ ი, ბერძნ. (Δευκαλίων, ὁ) თესალიის ქალაქ ფთიას მეფე, პრომეთესა და კლიმენეს ვაჟი, პიროს მეუღლე, ელინის მამა. როდესაც ადამიანების მიერ ჩადენილმა დანაშაულმა საზღვარს გადააჭარბა და ზეუსმა მათ დასასჯელად მსოფლიოს წყლით დაფარვა გადაწყვიტა, დევკალიონმა პრომეთეს რჩევით აგო გემი, რომელშიც ჩასხდნენ იგი და მისი ცოლი პირო და ამდენად ერთადერთნი გადარჩნენ დაღუპვას და კაცობრიობა გადაშენებისაგან იხსნეს. ლეგენდის თანახმად გემი ცხრა დღის ტივტივის შემდეგ გაჩერდა პარნასთან, ეტნასთან თუ ათონის მთასთან.

მითი აღმოსავლური (შუამდინარული) წარმოშობისა ჩანს, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული მითი წარღვნის შესახებ. ამ მითთან უნდა ჰქონდეს კავშირი ბიბლიურ მითს წარღვნის შესახებ (იხ. ნოეს კიდობანი).

დეიანეირა, ბერძნ. (Δηϊάνειρα, ἡ) 1. ნერევსისა და დორისის ქალიშვილი. 2. კალიდონის მეფის ენევსის ქალიშვილი, გმირ მელეაგროსის და, ჰერაკლეს ცოლი. ჰერაკლე მისი ხელის მოპოვებისათვის შეებრძოლა აქელოოსს, დაამარცხა იგი და დეიანეირა ცოლად შეირთო. მაგრამ დეიანეირა მისი დაღუპვის მიზეზი შეიქმნა (იხ. ნესსოსი).

დეიდამია, ბერძნ. (Δηϊδάμεια, ἡ) ბელეროფონტის ქალიშვილი, ლიკიის მეფის ეუანდრუსის მეუღლე. 2. სკირიის მეფის ლიკომედეს ქალიშვილი, ნეოპტოლემოსის დედა.

დეიკოონი, ბერძნ. (Δεικόων, ὁ) ჰერაკლესა და მეგარას ვაჟი.

დეიმა, ბერძნ. (Δεῖμα -ατος, τό — შიში) შიშისა და საშინელების განსახიერება ძველ საბერძნეთში. თითქოს კორინთოში, მედეას შვილის საფლავზე, პავსანიას ეპოქამდე, იდგა დეიმას ქალური გამოსახულება.

დეიმოსი, ბერძნ. (Δεῖμος, ὁ) საშინელი დემონი, არესის თანამომავალი და მსახური.

დეინო, ბერძნ. (Δεινώ, ἡ) აპოლოდორეს მიხედვით მესანე გოგონა.

დეიონი, ბერძნ. (Δηϊων, ὁ) ეოლოსის ქალიშვილის — ენარეტეს ვაჟი. კრეთევსის, სიზიფოსის, ათამანტის, სალმონევსის, მაგნესის, პერიერევსის (ფოკიდის მეფე) ძმა. 2. ევრიტოსის ვაჟი.

დეიპილე, ბერძნ. (Δηϊπύλη, ἡ) აპოლოდორეს მიხედვით ადრასტოსისა და ამფითეას ქალიშვილი.

დეიპილოსი, ბერძნ. (Δηϊπύλος, ὁ) 1. იასონისა და ჰიფსიპილეს ვაჟი. ევნეოსის ძმა. 2. თრაკიის მეფის პოლიმესტორისა და პრიამოსის უფროსი ქალიშვილის ილიონეს ვაჟი.

დეიფობოსი, ბერძნ. (Δηΐφοβος, ὁ) პრიამოსის ვაჟი. ტროის ერთ-ერთი დამცველთაგანი. პარისის სიკვდილის შემდეგ დეიფობოსმა ცოლად შეირთო ელენე. ტროის აღების ღამეს ელენემ გასცა დეიფობოსი და მენელაოსს მოაკვლევინა.

დელოსი, ბერძნ. (Δῆλος, ἡ) კუნძულ დელოსის განსახიერება. აპოლონის დაბადებისა და მისი კულტის განდიდების ადგილი.

ზევსის საქციელით განრისხებული ჰერა ლეტოს არ აძლევდა მიწაზე მომშობიარებას სამეულებას. მაშინ ზევსის ბრძანებით ზღვიდან ამოიზიდა კუნძული დელოსი, სადაც ლეტომ დაბადა და-ძმა არტემიდე და აპოლონი.

დელფო, ბერძნ. (Δελφοί, αἱ) 1. საერთო ბერძნული რელიგიის ცენტრი ფოკიდაში. პარნასის მთის ძირას მდებარეობდა სახელგანთქმული დელფოს სამისნო და აპოლონის ტაძარი. გზაჯვარედინზე მდებარეობამ და მორწმუნეთა განუწყვეტელმა ნაკადმა განაპირობა დელფოს უდიდეს კულტურულ, სამრეწველო-სავაჭრო და ფინანსურ ცენტრად გადაქცევა. უძველესი ტაძარი აქ აუშენებიათ ჩვენს ერამდე მეცხრე საუკუნეში. ერთ-ერთი მითის მიხედვით ეს ადგილი თვითონ ამოირჩია აპოლონმა და მისი სურვილის თანახმად ტაძარი ააგეს ლეგენდარულმა ხუროთმოძღვრებმა: ტროფონიოსმა და აგამედემ. სულ მალე დელფოში აუარებელი სიმდიდრე დაგროვდა. ტაძრის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა კოლონიზაციის პერიოდში. ბერძენთა არც ერთ კოლონიას არ შეეძლო საბერძნეთიდან წასვლა დელფოს სამისნოს ჩარევისა და ამასთან დაკავშირებით უდიდესი შესაწირავის გარეშე. მოგვიანებით დელფოს სამისნოს გავლენა საბერძნეთის საზღვრებს გარეთაც გავრცელდა. ჩვენს ერამდე VI საუკუნეში დელფოს სამისნო დაიწვა და მაშინვე მის მაგიერად ააშენეს ძველზე გაცილებით უკეთესი. ამის შემდეგ არაერთგზის დაინგრა სამისნო თავდამსხმელებისაგან, ბოლოს კი, დაახლოებით 390 წელს ჩვ. წელთაღრიცხვით, სამუდამოდ გაანადგურა იმპერატორმა თეოდოსიოს პირველმა.

XX საუკუნეში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს დელფოს ტაძრის ანგრევები, თეატრის, ჰიპოდრომის, შენაწირი ძეგლებისა და მრავალ წარწერათა ნიმუშები, რის საფუძველზეც შეძლეს აღედგინათ ტაძრის საერთო ხედი.

აპოლონის ტაძარი იდგა ამაღლებულ ტერასაზე, აგებული იყო დოროული სტილით. ეზოში შესასვლელი ჭიმკრიდან ტაძრისაკენ მიემართებოდა მოკირწყლული გზა. აღმოსავლეთის კლდოვანი კედლის ძირას მიედინებოდა წმინდა წყაროს ნაკადული და ავსებდა ქვის ორმოს, სადაც მორწმუნენი ცოდვათაგან განიბანებოდნენ ხოლმე. გზის ორსავე მხარეზე იდგა მრავალი ქანდაკება. სამხრეთის კლდოვან ფერდობზე განლაგებული იყო საგანძურთსაცავები. ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა ჰიპოდრომი, ხოლო ჩრდილოეთით თეატრი და საკრებულო შენობა, რომელთა კედლებზე გამოსახული იყო მითიური სცენები და ცალკეული პერსონაჟები: (ტროას დაცემა, ჰადესი და სხვა). ტაძრის შესასვლელში იდგა აპოლონის

ქანდაკება. სხვა წმინდა საგნებთან ერთად ტაძარში ინახებოდა ნახევრად მრგვალი ქვა — „ომფალოსი", რომელიც დედამიწის ჭიპად მიაჩნდათ. სამისნოში ჭურუმებს გარდა შესვლა არავის შეეძლო. ჭურუმი, იგივე პითია, გადაყლაპავდა წმინდა ნაკადულის ერთ ყლუპს, გაღეჭავდა წმინდა დაფნის ფოთოლს და დაჯდებოდა სამფეხა ოქროს სკამზე დაშლილი კლდის მაღლა. პითია ექსტაზში ვარდებოდა, რაღაც გაურკვეველ სიტყვებს წამოიძახებდა და სხვა ჭურუმები მას განმარტავდნენ როგორც აპოლონის ნება-სურვილს. ძველთაგანვე შეამჩნიეს, რომ პითიას გაბრუებას იწვევდა დაშლილი კლდიდან გამომავალი მოწამლული ჰაერი, თუმცა საფიქრებელია ისიც, რომ პითია ზოგჯერ შეგნებულად წამოიძახებდა ხოლმე გაურკვეველ სიტყვებსა და ფრაზებს ისე, რომ ჩვეულებრივი მსმენელისათვის გაუგებარი ყოფილიყო და ჭურუმებს თავიანთი სურვილის შესაბამისად განემარტათ.

დ ე ლ ფ ო ს ს ა მ ი ს ნ ო, იხ. დელფო.

დ ე მ ე ტ რ ე, ბერძნ. (Δημήτηρ, ἡ) მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ღმერთქალი, ხორბლის დამწიფების მფარველი ღვთაება. კრონოსისა და რეას ქალიშვილი, ზევსის და, პერსეფონეს დედა. თავდაპირველად დემეტრე მხოლოდ მიწის ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა, შემდეგ კი მიწათმოქმედების მფარველიც გახდა, შემდეგ დემეტრე ხდება კანონმდებლობის, ოჯახისა და ქორწინების მფარველი ღმერთქალი.

გვაროვნული არისტოკრატიის ბატონობის ეპოქაში დემეტრე მეორეხარისხოვან ღვთაებად ითვლებოდა. ჰომეროსის მიხედვით იგი არ შედის ოლიმპიელთა ოჯახში, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბერძნეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი მიწათმოქმედებამ დაიჭირა, დემეტრეს კულტმაც ფართო აღიარება ჰპოვა. პისისტრატემ დემეტრესა და დიონისეს სახალხო კულტი ოლიმპიელი ღმერთების კულტს დაუპირისპირა. ჩვენს ერამდე VI—V ს. ს. დემეტრემ საპატიო ადგილი დაიკავა ოლიმპიელთა შორის. დემეტრეს შესახებ არსებულ მითთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია მითი, რომელშიც საუბარია მისი ქალიშვილის — პერსეფონეს მოტაცებაზე მიწისქვეშეთის ღვთაების — ჰადესის მიერ. გამწარებულმა დემეტრემ ცხრა დღე-ღამის განმავლობაში უშედეგოდ ეძება ქალიშვილი, მხოლოდ მეათე დღეს ყოველისმხილველი ჰელიოსისაგან შეიტყო, — რომ მისი ქალიშვილი მოიტაცა მიწისქვეშეთის მბრძანებელმა ჰადესმა. განრისხებულმა დემეტრემ ხელი აიღო თავის ღვთაებრივ უფლებებზე, მიატოვა ოლიმპო, დედაბრის ტანსაცმელი გადაიცვა და დედამიწაზე დაიწყო ხეტიალი. ამან გამოიწვია მიწის ნაყოფიერების შეწყვეტა; ჩამოვარდა დიდი შიმშილი, ადამიანებმა თავი მიანებეს ღმერთებისათვის

მსხვერპლის შეწირვას. ასეთი მდგომარეობის შექმნის გამო ზევსის ბრძანებით ჰადესმა დაუბრუნა დემეტრეს ქალიშვილი. ამის შემდეგ დემეტრე დაუბრუნდა ოლიმპოს და მიწამაც განაახლა ნაყოფის მოცემა.

სხვა მითის მიხედვით ოლიმპოდან წამოსული დემეტრე დედაბრის სახით ელევსინში მივიდა. აქაური მეფის ცოლმა — მეტანირემ იგი თავისი ვაჟის — ტრიპტოლემოსის (დემოფონტეს) ძიძად აიყვანა. დემეტრემ გადაწყვიტა ბავშვი უკვდავი გაეხადა, ამბროსიაში ბანდა და ღამ-ღამობით ცეცხლის ალზე რუჯავდა ხოლმე. ერთხელ, როცა დემეტრეს ყმაწვილი ცეცხლის ალით გარსმოხვეული ეჭირა, მეტანირემ დაინახა და ძიძის დასჯა განიზრახა (მითი კავშირშია აქილევსის აღზრდასთან დაკავშირებულ თქმულებასთან), მაგრამ დემეტრემ ყველაფერი უამბო მის ქმარს — მეფე კელეოსს და მანაც სიამოვნებით მიიღო ღმერთქალის წინადადება.

ელევსინიდან წამოსვლის წინ დემეტრემ ტრიპტოლემოსს ბურის თავთავი აჩუქა, ასწავლა მიწის დამუშავება და დაავალა ხალხისათვის მიწათმოქმედება ესწავლებინა.

ზოგიერთი ხთონიური მითის მიხედვით დემეტრე პოსეიდონის მეუღლეა (პოსეიდონი ითვლებოდა სინოტივის განსახიერებად, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მიწათმოქმედება). ჰომეროსთან და ჰესიოდესთან საუბარია დემეტრესა და იასიონის ქორწინების შესახებ. მათი ქორწინების შედეგად დაიბადა სიმდიდრის ღმერთი პლუტოსი.

დემეტრეს საკულტო ცენტრი იყო ელევსინი. სადაც იმართებოდა ხოლმე ე. წ. „ელევსინიის მისტერიები". დემეტრესა და პერსეფონესადმი იყო მიძღვნილი მრავალი დღესასწაული საბერძნეთში. დემეტრეს სწირავდნენ ხარებს, ძროხებს, ღორებს, მცენარეთა ნაყოფს, ფიჭას, ხეხილს, ხორბლის თავთავებს, ყაყაჩოს და სხვა.

რომში დემეტრეს კულტი იტალიური ღვთაების — ცერერას კულტს შეერწყო. ისევე, როგორც საბერძნეთში, რომშიც ცერერა-დემეტრეს კულტი უფრო მეტად მშრომელ გლეხობაში გავრცელდა. აპრილის თვეში რომში იმართებოდა ცერერა-დემეტრესადმი მიძღვნილი ზეიმები. შემდეგში ეს კულტიც შეუერთდა გეასა და რეა კიბელას კულტს. ანტიკური ხელოვნების აყვავების პერიოდში დემეტრე ჰერას მსგავსად გამოისახებოდა (მხოლოდ შედარებით მსუბუქი სახის ნაკეთებით), თავზე თავთავების გვირგვინი ედგა და ხელში ხილით სავსე კალათა ეჭირა. გადატანითი მნიშვნელობით ცერერას (იგივე დემეტრეს) საიუბილეო უწოდებენ მიწათმოქმედების შედეგად მიღებულ სიმდიდრეს.

დემოდიკე, ბერძნ. (Δημοδίκη, ἡ) ათამანტის მეორე ცოლი და ფრიქსეს დედინაცვალი ზოგი მითის მიხედვით.

დემოდოკოსი, ბერძნ. (Δημόδοκος, ὁ) ბრმა მომღერალი ჰომეროსის მიხედვით. როდესაც ზღვის ტალღებმა ოდისევსი ფეაკების ქვეყანაში გარიყა და აქაური მეფის ქალიშვილმა — ნავსიკაამ იგი თავის მამასთან მიიყვანა, მეფე ალკინოოსმა სტუმრის პატივსაცემად ლხინი გამართა, სადაც ბრმა მომღერალმა — დემოდოკოსმა იმღერა არესისა და აფროდიტეს სიყვარულზე. შემდეგ კი ტროას გმირებზე და მათ შორის ოდისევსზეც, რამაც ოდისევსს ცრემლი მოჰგვარა.

დემონასა, ბერძნ. (Δημώνασσα, ἡ) 1. ფილოქტეტეს დედა. 2. არგონავტების: ეერიტიონისა და ევრიდამანტის დედა. 3. ამფიტრიონისა და ევრიბიელეს ქალიშვილი, თერსანდრეს ცოლი, ტისამენოსის დედა. 4. ტროელთა ერთ-ერთი თანამებრძოლი.

დემონები, ბერძნ. (δαίμων -ονος, ὁ, ἡ — ღმერთი) ღვთაებრივ არსებათა გარკვეული ჯგუფი, სულები, რომლებიც ღმერთებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათ, როგორც ღმერთებს, არა ჰქონდათ ადამიანთა მსგავსი გარეგნობა. ძველად ადამიანები ყოველგვარ ბუნებრივ მოვლენას, რომლის ახსნაც მათ არ შეეძლოთ, დემონებს მიაწერდნენ. ჰომეროსის მიხედვით ყოველი აუხსნელი, გაუგებარი თუ საოცარი მოვლენა „დემონურია". დემონებითაა აღსავსე მთელი სამყარო და ადამიანთა ცხოვრება. გარკვეული, განსაკუთრებული ზღვარი დემონების, ღმერთებსა და გმირებს შორის არ არსებობდა. ხშირად დემონები გარკვეული ხნის შემდეგ ღმერთებად იქცეოდნენ ხოლმე და პირიქით, ღმერთებიც იქცეოდნენ ხოლმე გმირებად და დემონებად. ჰომეროსის მიხედვით დემონები თითქოს ნეიტრალურ, თითქოს მტრულ დამოკიდებულებაში არიან ადამიანებთან. ხშირად ისინი ართმევენ ადამიანს გონებას, ზოგჯერ აბრმავებენ და სხვა. მოგვიანებით განასხვავებდნენ კეთილსა და ბოროტ დემონებს. ბერძენი იდეალისტი ფილოსოფოსების მოძღვრების თანახმად ყოველ ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე ჰყავს საკუთარი დემონი, რომელიც განაგებს მის ყოველგვარ ცხოვრებას. შემდეგ ბერძნები დემონებს უწოდებდნენ რაღაც ზებუნებრივ ძალებს, რომელთა კულტი არ არსებობდა. რომში დემონები გენიუსებთან გაიგივეს. ოლიმპიური რელიგიის დამხობის შემდეგ მრავალ ხალხში დარჩა წარმოდგენები დემონების შესახებ. ქრისტიანულმა რელიგიამ დემონები ბოროტ არსებად მიიჩნია.

დემოფონტე, ბერძნ. (Δημόφοων -όωντος, ὁ) 1. ელევსინის მეფის — კელეოსის ვაჟი. ტრიპტოლემოსის ძმა. ათენის მეფე. 2. თეზევსისა და ფედრას ვაჟი. დემოფონტე ტროასთან იბრძოდა და ბევრი ბებია—ეთრა გაათავისუფლა ელენეს მონობისაგან. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით დემოფონტემ დიომედეს მოსტაცა ტროის პალადიუმი და ატიკაში წაიღო. დემოფონტემ შეიფარა დედის მოკვლის შემდეგ გაქცეული ორესტე. მანვე დიდი დახმარება გაუწია ეგინისთევსისაგან შევიწროებულ ჰერაკლიდებს. ერთ-ერთი მითის მიხედვით დემოფონტეს შეუყვარდა თრაკიის მეფის ასული — ფილიდე. მან ფილიდე დანიშნა, მაგრამ დანიშნულ დროს ვერ დაბრუნდა მასთან, ფილიდეს მკედარი ეგონა და თავი ჩამოიხრჩო. ჩამოხრჩობილი ფილიდე ნუშის ხედ გადაიქცა. როდესაც დემოფონტე დაბრუნდა და ფილიდეს თავგადასავალი გაიგო, გრძნობამორეული ჩაეხვია ნუშის ხეს. ამბობენ, რომ ამ მომენტში ნუში აყვავდა. ტრადიცია დემოფონტეს რამოდენიმე რელიგიური დღესასწაულის შემოღებას მიაწერს.

დენდრიტიდა, ბერძნ. (Δενδρῖτις -ιδος — ხასა) პრეისტორიული ელენეს ზედმეტი სახელი კუნძულ როდოსზე. ადგილობრივი მითის მიხედვით მენელაოსის სიკვდილის შემდეგ ელენე როდოსში მივიდა და იქ ხეზე თავი ჩამოიხრჩო. იმ ხეს უწოდეს ელენეს ხე. ეს მითი ძველად არსებულ ხეთა და მცენარეთა კულტის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

დერკეტო, ბერძნ. (Δερκετώ, ἡ) სირიელთა ღმერთქალი, რომლის კულტი საბერძნეთშიც გავრცელდა. ზოგიერთი მითის მიხედვით სემირამიდას დედა.

დერცენუსი, ლათ. (Dercenus) ამბრიგენების უძველესი მეფე. ზოგიერთები ლატინუსთან აიგივებენ.

დიანა, (ლათ. (Diana) — არტემიდეს მსგავსი რომაელთა ღმერთქალი, რომლის კულტი არტემიდეს კულტის რომში გავრცელების შემდეგ ამ უკანასკნელს შეერწყა. დიანა სუფთა იტალიური წარმოშობისაა და თავიდან არტემიდესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. დიანა, როშერის განმარტებით, მთვარის ღმერთი კი არ არის, როგორც იგი შემდგომში აღიქვეს, არამედ სინათლისა და ამასთანავე მფარველია და მეთვალყურე მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ნაყოფიერებისა. დიანას სახელის ეტიმოლოგია div—ana-დან გამოყავთ. მოგვიანებით დიანას კულტი არტემიდეს კულტს შეერწყა და არტემიდეს ყველა ძირითადი ნიშანი გავრცელდა მასზე.

დიდიმი, ბერძნ. (Δίδυμα, τά) აპოლონის ტაძარი და სამლოცველო მილეტის მახლობლად. ტაძარს ბრანხიდების ბერძნული

გული ხელმძღვანელობდა. ბრანხიდები თავიანთ წინაპრად ათენელ გმირს — ბრანხოსს თვლიდნენ. სპარსეთ-საბერძნეთის ომის დროს სამლოცველო დაწვეს სპარსელებმა. იმის გამო, რომ ბრანხიდები ომის დროს სპარსელებს ეხმარებოდნენ, იძულებული გახდნენ ბერძნების გამარჯვების შემდეგ სპარსეთში გაქცეულიყვნენ. დიდი ხნის შემდეგ მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელმა შეძლო ვასწორებოდა მათ შთამომავლებს. ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში ტაძარი და სამლოცველო აღადგინეს. გარკვეულ პერიოდში ეს სამისნო მეორე ადგილზე იდგა მთელს საბერძნეთში დელფოს სამისნოს შემდეგ; ახლად აღდგენილი ტაძრის მმართველობა მთელი ქალაქის ხელში გადაეცა. II საუკუნიდან (ძვ. წელთაღრიცხვით) დიდიმის დღესასწაულმა საერთო ბერძნული ხასიათი მიიღო.

დიდონა, ლათ. (Dido-onis) თავიდან ითვლებოდა ფინიკიურ ღვთაებად. სიცილიელმა ბერძნებმა დიდონა მოკვდავ ქალთან, ტიროსის მეფის—პიგმალიონის დასთან გააიგივეს. პიგმალიონმა მოკლა დიდონას ქმარი და მისი სიმდიდრე ხელში ჩაიგდო. ფინიკიიდან დიდონა ჩრდილო აფრიკაში გადასახლდა. მეფე იარბესმა მას პირობა მისცა, რომ მისცემდა იმდენ მიწას, რამდენსაც ერთი ხარის ტყავი დაფარავდა. დიდონამ წვრილ თოკებად დაჭრა ხარის ტყავი. ერთი მეორეზე გადაება, იგი დიდი ფართობის მიწას შემოავლო და მეფეს პირობის ასრულება მოსთხოვა. იარბესმა პირობა კი შეასრულა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ამ მიწაზე დიდონას მიერ დაარსებულ ქალაქს — კართაგენს ომი გამოუცხადა. მეფეს, უპირველეს ყოვლისა, დიდონას ხელში ჩაგდება უნდოდა. საყვარელი ქალაქის გადარჩენის მიზნით დიდონამ თავი მოიკლა. ჩრდილოეთ აფრიკაში არსებობდა დიდონას კულტი. კართაგენში დიდონა ერთ-ერთ მთავარ ღვთაებად ითვლებოდა. დიდონამ შთააგონა მრავალი ხელოვანი.

დიკაიოსი, ბერძნ. (Δίκαιος, ბ) პოსეიდონის ერთ-ერთი ვაჟი, რომელმაც თრაკიაში მისი თანამოსახელე ქალაქი დააარსა.

დიკე, ბერძნ. (Δίκη, ჩ — სამართლიანობა) სამართლიანობისა და სამაგიეროს გადახდის ღმერთქალი. სამართლიანობის განსახიერება. ზევსისა და თემიდას ქალიშვილი. დიკე როდესაც შეამჩნევდა უსამართლობას, იგი ამის შესახებ ზევსს აცნობებდა. ზევსი კი უსწორდებოდა უსამართლოს.

ტრაგედიებში დიკე გამოყვანილია მრისხანე, შურისმაძიებელ ღმერთქალად, რომელიც ბასრი ხანჯლით გულს უპობს ყოველ უმართებულო ადამიანს. დიკეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელია ასტრეასი (ვარსკვლავოვანი), დიკე გამოისახებოდა მკაცრი სახის ქალად, რომელსაც ხელში პატარა ჯოხი ეჭირა.

დიომედე, ბერძნ. (Διομήδης, ბ) 1. არგოსის მეფე, ტიდევსის ვაჟი, ადრასტოსის შვილიშვილი. ეპიგონთა ლაშქრობისა და ტროის ომის მონაწილე. ტროას ომში სიმამაცით მას მხოლოდ აქილევსი თუ ჯობნიდა. დიომედე ათენას მფარველობით იბრძოდა არესისა და აფროდიტეს წინააღმდეგ. ერთ-ერთი შეტაკებისას დიომედემ დაჭრა კიდეც ისინი. ტროის ომში იგი შეერკინა ჰექტორს და კინალამ მოკლა, მაგრამ ზევსმა მათ შორის ელვა გაატარა და გმირები ერთიმეორეს დააშორა. დიომედემ ოდისევსთან ერთად დაიჭირა ტროელი მზვერავი — დოლონი და მისგან შეიტყო, თუ სად იმყოფებოდა ტროელთა მოკავშირე. — თრაკიის მეფე რესოსი. მან მოკლა მეფე რესოსი და მისი ჯადოსნური ცხენები თან წამოიყვანა.

დიომედემ და ოდისევსმა ტროიდან პალადიუმი მოიტაცეს.

ტროის დამხობის შემდეგ იგი მშვიდობიანად დაბრუნდა არგოსში, მაგრამ ერთ-ერთი, ყველაზე გაერცელებული მითის მიხედვით შურისძიების მიზნით აფროდიტემ მის ცოლს მისი არგოსიდან გაძევების აუცილებლობა შთააგონა. განდევნილი დიომედე წავიდა თავისი მამის სამშობლოში — ეტოლიაში, სადაც თავის პაპას დაეხმარა ნათესავებისაგან მიტაცებული ტახტის დაბრუნებაში. როდესაც დიომედე ეტოლიიდან არგოსში ბრუნდებოდა, გზაში ქარიშხალი ამოვარდა და მისი ნაები იტალიაში გარიყა. აქ იგი დაეხმარა დავნუსს, მისი ქალიშვილი ცოლად შეირთო და მისი მემკვიდრე გახდა. დიომედეს სიკვდილის შესახებ არსებობს რამოდენიმე ვარიანტი: ერთი მითის მიხედვით იგი კვდება დაუნუსში, მეორე მითის მიხედვით—არგოსში, მესამის მიხედვით კი — მისი სახელობის ერთ-ერთ კუნძულზე. გადმოცემის თანახმად მან იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე რამოდენიმე ქალაქი და სამლოცველო დააარსა.

2. არესის ვაჟი, თრაკიელთა ტომის — ბისტონების მეფე, რომელიც თავის მძვინვარე, კაცისმჭამელ ცხენებს ხელში შემთხვევით ჩავარდნილი მგზავრების ხორცით კვებავდა. ჰერაკლემ აჯობა დიომედეს და თვით იგი გადაუგდო ცხენებს შესაჭმელად (ჰერაკლეს მეცხრე გმირობა).

დიონე, ბერძნ. (Διώνη, ჩ) ოკეანოსის ქალიშვილი. ზოგი მითი მას ურანოსისა და გეას ქალიშვილად მიიჩნევს. ტიტანიდა, რომელიც დოდონაში ზევსის მეუღლედ და აფროდიტეს დედად მიაჩნდათ. გვიანდელ მითებში დიონე ჰერასთან გააიგივეს.

დ ი ო ნ ი ს ე || დ ი ო ნ ი ს ო ს ი, ბერძნ. (Διώνυσος, ბ) მცენარეულობის ღმერთი, მეეენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება. ერთ-ერთი ყველაზე მეტად პოპულარული ღმერთი ბერძნულ პანთეონში. ზევსისა და სემელეს ვაჟი. ჰომეროსის მიხედვით დიონისე არ შედის მთავარ ღმერთთა შემადგენლობაში, რის გამოც მისი კულტი ნაკლებად იყო გავრცელებული არისტოკრატიულ წრეებში, მაგრამ სამაგიეროდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა დაბალ კლასებში. ყველაზე მეტადაა გავრცელებული მითი დიონისეს საოცარი დაბადების შესახებ.

ზევსისა და სემელეს ურთიერთსიყვარულით გაჯაერებულმა ჰერამ სემელეს ურჩია ზევსისათვის ეთხოვა, რომ მშობიაროპის წინ მას ღმერთთა და კაცთა მამა მთელი თავისი დიდებულებით ჩვენებოდა. სემელეს თხოვნაზე ზევსი ჯერ არ დასთანხმდა, მაგრამ რაკი სემელე აღარ მოეშვა, თხოვნა აუსრულა, თავისი ნამდვილი სახით — ჭექა-ქუხილად მოევლინა და სემელე ფერფლად აქცია. ზევსმა მოასწრო მისი მუცლიდან ჩვილი დიონისეს გამოყვანა და თავის ფერდში ჩაისვა (შდრ. ამირანის დედის მუცლიდან ამოყვანისა და ხარის ფაშვში ჩასმის მითი). იქ დიონისე მომაგრდა და თავის დროზე დაიბადა.მითის სხვა ვარიანტის მიხედვით, სემელეს დაფერფლების დროს დიონისე უკვე დაბადა. იგი სიკვდილს გადაარჩინა მის ირგვლივ სასწრაფოდ აღმართულმა სუროს მწვანე კედელმა. ამ კედლის იქით ღვთიური ცეცხლი გიზგიზებდა, რომელმაც დიონისე უკვდავად აქცია. ზევსის ბრძანებით ჰერმესმა პატარა დიონისე ფერიებს გადასცა აღსაზრდელად.

არსებობს სხვა მითი, თითქოს, დიონისეს ზრდილა სემელეს და ინო, რომელიც ჰერამ კიდეც დასჯა ამისათვის. დიონისეს შემდგომი აღზრდა დაევალა სილენოსს.

დიონისეს საბერძნეთში მისვლის შესახებ არსებობს მრავალი მითი. კუნძულ იკაროსიდან ნაქსოსზე მიმავალი დიონისე მოხვდა ტირენიელ მეკობრეთა გემზე. მეკობრეებმა დიონისე ანძაზე მიაბეს და მონად გაყიდვას უპირებდნენ. დიონისეს ბორკილები თავისთავად სცვიოდნენ ხელ-ფეხიდან. გემის ანძას გარს შემოეკვლო სურო და იალქნებზე ყურძნის მტევნები ჩამოეკიდა. ამ ამბით შეშინებული მეკობრეები ზღვაში გადაცვივდნენ და დელფინებად იქცნენ. საბერძნეთისაკენ მიმავალ დიონისეს გზაში შეხვდა იეზევსისაგან მიტოვებული არიადნე და ცოლად შეირთო. სადაც კი დადიოდა დიონისე, ყველგან ავრცელებდა თავის კულტს. ბოლოს მიაჩნდათ, რომ დიონისემ იმოგზაურა ელიდაში, სირიაში, აზიაში ინდოეთამდე და საბერძნეთში თრაკიის გზით დაბრუნდა. მთელი მოგზაურობის განმავლობაში იგი სასწაულებს ახდენდა და ყველას ყურძნის მოყვანასა და მეღვინეობას ასწავლიდა. იგი ადამიანებს თხის, ლომის, ხარის, ჯიქის და სხვა ცხოველთა სახით ეჩვენებოდა. მიწიდან ადენდა ღვინის, თაფლისა და რძის შადრევნებს.

ზოგიერთ მითში ვხვდებით იმ წინააღმდეგობების ანარეკლს, რომელიც თავიდან სდევდა დიონისეს კულტის გავრცელებას. დიონისეს კულტის აღიარების შემდეგ სემელეც ოლიმპიელთა გვერდით დააყენეს და მას ახალი სახელი — თიონა უწოდეს.

დიონისეს შესახებ არსებული მითები და მისი რამოდენიმე ნიშან-თვისება მიუთითებს მის არაბერძნულ წარმოშობაზე: მისი ყველაზე მეტად გავრცელებული ზედმეტი სახელი, ბახუსი, ბერძნული სიტყვა არ არის.

ნისა, სადაც დიონისე ფერიებთან იზრდებოდა, ძველი ისტორიკოსების აზრით ხან ეგვიპტეში, ხან არაბეთში და ხანაც ინდოეთში მდებარეობდა. სიტყვა ბასარა, რაც დიონისეს სამოსს ნიშნავს, ბერძნულში არ არის. ჯერ კიდევ ახლო წარსულში არსებული შეხედულება, რომ დიონისეს კულტი საბერძნეთში შევიდა პირველ ათასწლეულში, უარყოფილია ახალი აღმოჩენებით. სახელი დიონისე ამოკითხულია პილოსის წარწერებში, რომლებიც მეორე ათასწლეულს განეკუთვნებიან, რის საფუძველზეც დიონისეს კულტის საბერძნეთში გადასვლის პერიოდი შედარებით მორეულ წარსულში უნდა ვიგულისხმოთ. დიონისეს კულტის სიძველეზე მიუთითებს მისი ტოტემური ხასიათი. მეღვინეობის ღმერთად დიონისე მხოლოდ კლასიკურ პერიოდში გადაიქცა. დემოკრატიულ ათენში, სადაც მეღვინეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად ითვლებოდა, დიონისეს კულტი დემეტრეს კულტის მსგავსად მეტად პოპულარული გახდა, ხოლო პისისტრატეს მმართველობის დროს დიონისეს კულტი სახელმწიფოებრივ რელიგიად იქცა. იმდენად, რამდენადაც დიონისე მცენარეულობის ღვთაებად ითვლებოდა, მას მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების ღმერთადაც მიიჩნევდნენ.ორფეელები ამტკიცებდნენ, რომ დიონისეს დედა იყო პერსეფონე, შემდეგ დიონისე ტიტანებმა დაგლიჯეს და განმეორებით დაბადა სემელემ. ამავე მითის ელევსინური ვარიანტის მიხედვით პირველად შობილ დიონისეს ერქვა არა ძაგრეუსი, როგორც საერთოდ უწოდებდნენ, არამედ იაკხოსი || ბაკხოსი.

რომში დიონისეს ბახუსს უწოდებდნენ. მოგვიანებით იტალიაში დიონისე—ბახუსის კულტი ერწყმის ადგილობრივი ღვთაების ლიბერის (იხ. ლიბერი) კულტს. საყურადღებოა, რომ ლიბერის ლათინური სახელწოდება ისევე, როგორც დიონისეს ერთ-ერთი ბერძნული ზედ-

მეტი სახელი ლისიოსი, განმათავისუფლებელს, ნების მიმცემს ნიშნავს, რაც, რასაკვირველია, დაკავშირებულია ღვინით მთვრალი ადამიანის თავაშვებულობასთან. ანტიკურ ლიტერატურაში დიონისეს მითი გამოყენებულია ჰომეროსის პოემებში და ევრიპიდეს ტრაგედიაში „ბაკხელები". დიონისეს წარმოიდგენდნენ გრძელ ტანსაცმელში გამოწყობილ დიდი ტანის ჯანმრთელ მამაკაცად. ერმიტაჟში ინახება რუბენსისა და პუსინის მიერ შესრულებული დიონისეს სურათები. დიონისესი და ბაბუსის სახემ შთააგონა მრავალი ხელოვანი. თანამედროვე გაგებით დიონისე (ბახუსი) აღნიშნავს ღვინოს. ბახუსის მონას უწოდებენ ლოთს, ნაბახუსარს — მთვრალს ან ნამთვრალებს, ბახუსის ველს — საქეიფო მაგიდას.

დ ი ო ნ ი ს ი ე ბ ი, ბერძნ. (Διονύσια, τά) დიონისესადმი მიძღვნილი ზეიმი ატიკაში. ზეიმი წელიწადში ოთხჯერ იმართებოდა. პირველად ყურძნის კრეფის დამთავრებასა და მაჭრის დაყენებასთან დაკავშირებით. ამას მცირე დიონისობას უწოდებდნენ. ამ დღეს ცალკეული ოჯახის, სოფლისა თუ ქალაქის წარმომადგენლები დიონისეს ტაძარში მიდიოდნენ, მიჰყავდათ შესაწირავი ცხოველები (უმეტესად თხა), ჭურჭლით მიჰქონდათ ღვინო. პროცესიის წევრებს ხელში ეჭირათ ყურძნის ყიდოები და მამაკაცის სასქესო ორგანოს მოდელი, ე. წ. ფალოსი, როგორც ბუნების საწარმოო ძალათა სიმბოლო. მღეროდნენ დიონისესადმი მიძღვნილ მხიარულ სიმღერებს, მსხვერპლთშეწირვის შემდეგ აწყობდნენ ქეიფებსა და თამაშობებს. მეორე დიონისობა იმართებოდა იანვარ-თებერვალში. ზეიმი იწყებოდა თვის ე. წ. გამელეონის მეთორმეტე დღეს და ფაქტიურად მცირე დიონისობის გაგრძელებას წარმოადგენდა. მესამე დიონისობას ანთესტერიონი ეწოდებოდა (იხ. ანთესტერიები.). მეოთხე დიონისობა იმართებოდა ე. წ. ელაფებიონის თვეში (მარტი—აპრილი). ამას დიდი, ანუ საქალაქო დიონისობა ეწოდებოდა. ზეიმი თითქმის მთელ კვირას გრძელდებოდა. ამ პერიოდში არ ახდევინებდნენ ვალს, პატიმრებს თავდებით უშვებდნენ, არავის აპატიმრებდნენ, რათა ყველას ჰქონოდა ზეიმში მონაწილეობის უფლება. დიდი დიონისობის მთავარ ნაწილს თავიდან დიონისეს ხის ძველი ქანდაკების გადასვენების ცერემონიალი წარმოადგენდა. შემდეგ კი დღესასწაულებში მთავარი ადგილი დაიკავეს დიდებულმა თეატრალურმა წარმოდგენებმა, რომლებიც ხშირად ორ დღესაც კი გრძელდებოდა. დიონისობა ითვლებოდა უდიდეს ანტიკურ დღესასწაულად, მას ესწრებოდნენ არა მარტო ადგილობრივი მცხოვრებნი, არამედ მოსული სტუმრებიც. დღესასწაულების დაწესება იკარიოსს მიეწერება.

დ ი ო ს კ უ რ ე ბ ი, ბერძნ. (Διόσκουροι, οἱ) ტინდარეოსისა და ლედას ტყუპების — პოლიდევკესა და კასტოროსის ზედმეტი სახელი. გვიანდელი მითების მიხედვით კასტოროსი კი არის ტინდარეოსის ვაჟი, მაგრამ პოლიდევკეს მამად ზევსია მიჩნეული. ზევსმა თითქოს თავისი ვაჟი უკვდავი გახადა. სხვა, გვიანდელი მითის მიხედვით ორივე დიოსკური ზევსის ვაჟია. ყველაზე მეტად გავრცელებულ მითებში საუბარია დიოსკურების სამ გმირობაზე. ერთია მათი დის — ელენეს განთავისუფლება თეზევსის ტყვეობიდან. მეორე — არგონავტთა ლაშქრობაში მონაწილეობა, სადაც პოლიდევკემ დაამარცხა ამიკოსი. მესამე კი აფარეევსის ვაჟებთან — იდასთან და ლინკევსთან შებრძოლება, რომელთაც დიოსკურებმა მოსტაცეს საცოლეები — ლევკიპეს ქალიშვილები — ფებე და ჰილაირე.

სხვა მითის მიხედვით მათ მოიტაცეს ლევკიპეს ფარა. ჩხუბში იდასმა მოკლა კასტოროსი, ხოლო პოლიდევკემ — ლინკევსი. ამის შემდეგ ზევსმა იდასი ელვით დაფერფლა. ძმის დაღუპვის გამო მეტად შეწუხებული პოლიდევკე ზევსს შეევედრა ისიც მოეკლა. მაშინ ზევსმა ნება დართო მას თავისი ძმისათვის გაეყო უკვდავება. პოლიდევკე სიამოვნებით დათანხმდა და ამის შემდეგ მოყვარული ძმები ერთ დღე-ღამეს ჰადესში ატარებდნენ, მეორეს კი ოლიმპოზე ღმერთთა შორის. მოგვიანო მითის მიხედვით, როდესაც ერთი ძმა ოლიმპოზე იყო ღმერთებთან, მეორე სწორედ მაშინ იმყოფებოდა ჰადესში. როგორც ჩანს, გვიანდელი მითი დღისა და ღამის, სინათლისა და სიბნელის სიმბოლიზაციის გზით უნდა იყოს შექმნილი. გადმოცემის თანახმად ასეთი ძმური სიყვარულისათვის ზევსმა დიოსკურები ვარსკვლავებად აქცია და ცაზე მოათავსა. დიოსკურები (უმეტესად კასტოროსი) ზოგ ადგილას ცხენთა მოშთეინიერებლად და მფარველად ითვლებოდა. დიოსკურების კულტი საბერძნეთის სხვადასხვა ადგილებში გავრცელდა. სპარტაში მათ მიიჩნევდნენ სახელმწიფოს დამცველად, სპორტული შეჯიბრებების, მეომართა და მეზღვაურთა მფარველად. დიოსკურების კულტი იტალიაშიც გავრცელდა. ჩვენს ერამდე 484 წელს მათ რომში ტაძარიც კი აუგეს.

ხელოვნებაში დიოსკურები ლამაზ ვაჟებად გამოისახებოდნენ, თავზე ბერძენ მეზღვაურთა დამახასიათებელი ოვალური ქუდი ეხურათ. გადატანითი მნიშვნელობით დიოსკურებს უწოდებენ ერთიმეორის მეტისმეტად მოყვარულ ძმებს. რომში კვირინალიის სახახლესთან დგას დიოსკურების ქანდაკება, რომლის შემცირებული ასლიც ამშვენებს ლენინგრადის ყოფილი მანეჟის შესასვლელს.

დ ი რ კ ე, ბერძნ. (Δίρκη, ἡ) ობებეს მეფის ლიკოსის მეუღლე (იხ. ანტიოპე).

დისკორდია, ლათ. (Discordia — განხეთქილება). განხეთქილების რომაელთა ღმერთქალი (იხ. ერიდა).

დისპატერი, ლათ. (Dispater) ბერძნული აიდის (ჰადესის) რომაული შესატყვისი. მიწისქვეშა სამეფოს მბრძანებელი რომაელთა წარმოდგენით.

დიქტინა, ბერძნ. (Δίκτυννα, ἡ) კრეტელი ღმერთქალი, იგივე ბრიტომარტისი (იხ. ბრიტომარტისი).

დიქტისი, ბერძნ. (Δίκτυς, ὁ) კუნძულ სერიფოსის მბრძანებლის — პოლიდექტეს ძმა, ან სერიფოსელი მეთევზე, რომელმაც დანაე და პერსეევსი გადაარჩინა.

დოდონეს სამლოცველო, ბერძნ. ზევსის სახელობის ძველი ტაძარი დოდონეში (ეპირი). ეპირული გადმოცემის თანახმად ზევსის მეუღლე იყო არა ჰერა, არამედ დიონე (იგივე დოდონე). დოდონეს სამლოცველოში საკულტო ცენტრად უძველესი დროიდან ითვლებოდა ასწლოვანი მუხა, რომლის ფესვებიდან წყარო გამოედინებოდა. ქურუმები თითქოს სწორედ ამ მუხის ფოთლების შრიალით გებულობდნენ მომავალს და ადამიანებს გადასცემდნენ. კლასიკურ პერიოდში დოდონეს სამლოცველოს მდიდრულ და ძვირფას საგნებს სწირავდნენ. 1875-77 წლების არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ სამისნოს ჰქონდა აკროპოლისი, ტაძარი და თეატრი. აკროპოლისის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობდა აუზი, მის პირას იდგა ბიქუნას ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ხელში ეჭირა წკეპლა, ქარის დაბერვისას წკეპლა ქანაობდა და იქვე მდგარ პურმელს ხვდებოდა. წკეპლას მოხვედრით გამოცემული ხმის მეშვეობით, თითქოს, გებულობდნენ ქურუმები, თუ რა უნდა ეპასუხათ მორწმუნეთაგან მიცემულ შეკითხვებზე. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სამისნოსაღმი შეწირული მრავალი ნივთი: ძვირფასი და უბრალო ჭურჭელი, სხვადასხვაგვარი ქანდაკება, მრავალნაირი ტყვიის ფირფიტა, რომლებზეც ამოკვეთილია სამისნოს პასუხები მორწმუნეთა შეკითხვებზე და სხვა. ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების შემდეგ დოდონეს სამლოცველოც, იმავე როგორც სხვა მრავალი წარმართული საკულტო ადგილ-დაწესებულება, თანდათან დაქნინდა და ბოლოს დავიწყებას მიეცა.

დოდონი, ბერძნ. (Δώδων, ὁ) ზევსისა და ოკეანიდ ევროპეს ვაჟი. მის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული დოდონეს ცნობილი სამლოცველო-საკურთხეველი.

დოლონი, ბერძნ. (Δόλων, ὁ) ტროელთა მზვერავი, რომელიც ოდისევსმა და დიომედემ დაიჭირეს და მისგან შეიტყვეს ტროელთა ძალების განლაგება, რის საშუალებითაც შეძლეს რესოსის მოკვლა და მისი ცხენების გამოტაცება.

დომიდუკა და იტერდუკა, ლათ. (Domiduca, Iterduca) სახლიდან პირველად გამოსული ბავშვის გზის დამლოცველი, გამცილებელი დემონები.

დორიდა, ბერძნ. (Δωρίς ιδος, ἡ) თეტისისა და ოკეანოსის ქალიშვილი. ნერევსის მეუღლე და ნერეიდების დედა.

დოროსი, ბერძნ. (Δῶρος, ὁ) ელინის ვაჟი, დორიელების მითიური წინაპარი და მათი ეპონიმი.

დრაკონი, ბერძნ. (Δράκων, ὁ — გველი) 1. მითიური, სასწაული თვისებისა და შესახედაობის მქონე ურჩხული, დრაკონები ხშირად ამა თუ იმ ძვირფას საგანს ან სხვა რაიმეს დარაჯობდნენ ხოლმე. დრაკონი იცავდა კოლხეთში, არესის ჭალაში მუხის ხეზე ჩამოკიდებულ ოქროს საწმისს. დრაკონი ქართულად გველეშაპს ნიშნავს.

დრაკონის კბილები, ბერძნ. თებეს ციკლის თქმულებების გმირმა — კადმოსმა მოკლა დრაკონი და სამისნოს ბრძანების თანახმად მისი კბილები დათესა. დათესილ კბილებიდან შეიარაღებული მეომრები აღმოცენდნენ და კადმოსს შეებრძოლენ, მაგრამ მან მათ შორის ქვა ჩააგდო, მეომრები ერთიმეორეს დაერივნენ და ერთმანეთი ამოხოცეს, გადარჩა მხოლოდ ხუთი, რომლებმაც კადმოსთან ერთად თებე დააარსეს და დაასაბამი მისცეს ცნობილ გვარებს თებეში. გადატანითი მნიშვნელობით დრაკონის კბილების დათესვა ნიშნავს მეომრების გამოზრდას, ომისათვის სამზადისს.

დრიადები, ბერძნ. (Δρυάδες, αἱ) ხეთა მოდგმის დამცველი ფერიები. ძველ ბერძენთა წარმოდგენით ყოველ ხეს თავისი დრიადა ჰყავს, — იბადება და კვდება მასთან ერთად. დრიადებს ზოგჯერ ჰამადრიადებს უწოდებენ, რაც ქართულად ხესთან შეერთებულს ნიშნავს. ძველების წარმოდგენით ხეების დამრგველსა და მომვლელ ადამიანებს დრიადები მფარველობენ. ამ კულტის წარმოშობა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მეხილეობა-მევენახეობის განვითარებასთან.

დრიანტი, ბერძნ. (Δρύας -αντος, ὁ) ლიკურგოსის მამა, არესის ვაჟი. კალიდონის ნადიმობის მონაწილე.

დრიოპე, ბერძნ. (Δρυόπη, ἡ) პანის დედა, დრიოფსის ქალიშვილი. პერმესის ცოლი. აპოლონის სატრფო.

დრიოფსი, ბერძნ. (Δρύοψ -οπος, ὁ) თესალიელი გმირი. წინაბერძნული მოსახლეობის — პელაზგების ერთ-ერთი ტომის — დრი-

ოფსების ეპონიმი. ერთ-ერთი დანაიდისა და მდინარის ღვთაების ვაჟი. მითის არკადიული ვერსიის მიხედვით დრიოფსის ქალიშვილს — დრიოპეს შეუყვარდა ჰერმესი და მასთან კავშირით დაბადა პანი. ოვიდიუსის მიერ დამუშავებული მითი დრიოპეს აპოლონის საყვარლად მიიჩნევს.

— ე —

ეაგროსი, ბერძნ. (Οἴαγρος, ὁ) მდინარის ღმერთი ძველ საბერძნეთში. ერთ-ერთი მითის მიხედვით ორფეოსის მამა.

ეაკიდე, ბერძნ. (Αἰακίδης, ὁ) ეაკოსის ვაჟი ან საერთოდ შთამომავალი. ეაკიდად ძირითადად აქილევსს მიიჩნევდნენ.

ეაკოსი, ბერძნ. (Αἰακός, ὁ) ზევსისა და ფერია ეგინას ვაჟი, კუნძულ ეგინას მითიური მეფე, ეაკთა გვარის დამაარსებელი, ტელამონისა და პელევსის მამა. ეანტოს დიდის პაპა. ეაკოსის თხოვნით ზევსმა უკაცრიელი კუნძული ეგინა ხალხით დაასახლა — ჭიანჭველები ადამიანებად აქცია. სხვა მითის მიხედვით ზევსმა კუნძულის მცხოვრებნი მიწისაგან შექმნა. ეგინაზე არსებობდა ეაკოსის კულტი, აქ მას წვიმის მომგვლინებელ ღვთაებად მიიჩნევდნენ, მის სატივცემოდ იმართებოდა თამაშობანი (ეაკიები). გვიანდელი მითების მიხედვით ეაკოსმა პოსეიდონთან და აპოლონთან ერთად ააშენა ტროის კედლები. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კედლებზე შეცოცდნენ გველები. ორი მათგანი მოკლა აპოლონმა და პოსეიდონმა, ხოლო მესამემ შეაღწია ქალაქში. იგი სწორედ მოკვდავი ეაკოსის აშენებული კედლის ნაწილზე გადაეიდა. ეს მოვლენა წინასწარმეტყველებმა ახსნეს, თითქოს ეაკოსის შთამომავალნი გახდებოდნენ ტროის მფლობელნი. სიკვდილის შემდეგ ეაკოსი, როგორც კეთილსინდისიერი და სამართლიანი, ღმერთებმა საიქიოს მოსამართლეთა სამეულში შეიყვანეს (მინოსთან და რადამანთისთან ერთად). გადატანითი მნიშვნელობით ეაკოსი იხმარება სამართლიანი ადამიანის, მოსამართლის მნიშვნელობით.

ეანტები, ბერძნ. (Αἴαντες, οἱ) ორი გმირის სახელი: 1. დიდი ანუ ბუმბერაზი ეანტი იყო სალამინის მეფის — ტელამონის ვაჟი, გამოირჩეოდა დიდი ფიზიკური ძალით. მშვენიერი ელენეს ხელის ერთ-ერთი მაძიებელი, ტროის ომის ერთ-ერთი მონაწილე. დიდი ეანტი ჰექტორს დაეჯიდა და მიწაზე დაანარცხა. მოწინააღმდეგეები გააშველეს ღმერთებმა. გმირებმა ერთმანეთს საჩუქრები უძღვნეს: ეანტმა აჩუქა ქამარი, ხოლო ჰექტორისაგან მიიღო ხმალი. ეანტი ცნობილია აქილევსის გულმისათვის თავდადებულ მებრძოლად. ერთ-ერთი გვიანდელი მითი გვიამბობს: როდესაც აქილევსის დედამ (თეტიდამ) განაცხადა, რომ დაღუპული შვილის აბჯარს მისცემდა მებრძენთა შორის უმამაცესს, ოდისევსმა მოისყიდა ტროელები და ათქმევინა, რომ არა ეანტმა, არამედ ოდისევსმა დახოცა ყველაზე მეტი ტროელი. ამიტომ მან მიიღო აქილევსის აბჯარი. უსამართლობით გაშმაგებული ეანტი მოთმინებიდან გამოვიდა და თავი მოიკლა. კუნძულ სალამინზე არსებობდა ეანტის კულტი და გმირის პატივსაცემად ყოველწლიურად იმართებოდა ეანტის თამაშობანი. ეანტის შთამომავლებად ითვლებოდნენ: მილტიადი, კიმონი, ისტორიკოსი თუკიდიდე და სხვა. ეანტის სახე მოცემულია ესქილეს, სოფოკლესა და სხვათა თხზულებებში. 2. ეანტი მცირე — ლოკრიდის მეფის — იოლევსის ვაჟი, დიდი ეანტის ამხანაგი და მეგობარი, ტროის ომის მონაწილე. კარგი მებრძოლი. პატროკლეს დაკრძალვის დღეს თავი გამოიჩინა საუკეთესო ცხენოსნობით. ტროის აღებისას ათენას ტაძარში გააუპატიურა აქ მფარველობის მისაღებად მისული კასანდრა, რისთვისაც განრისხებულმა ათენამ ხომალდი დაუმსხვრია, მაგრამ პოსეიდონის სურვილით გმირი გადატყორცნილ იქნა კლდის ქიმზე. მაშინ გაბრაზებულმა ეანტმა წყაროიძახა: გადარჩიო ღმერთთა სურვილის საწინააღმდეგოდ. გაჯავრებულმა პოსეიდონმა კლდე ზღვაში ჩაძირა. სხვა მითის მიხედვით ეანტი დაიღუპა ეგებელთან ბერძენთა ხომალდების დამსხვრევისას.

ეანტთა მეგობრობის სიუჟეტს ხშირად იყენებენ ხელოვნებაში, გადატანითი მნიშვნელობით ორი ეანტი განუყრელ მეგობრებს ნიშნავს.

ეგეოსი, ბერძნ. (Αἰγεύς -εως, ὁ) ათენის მეფე, კეკროპის შვილიშვილი, პანდიონის ვაჟი. მამის სიკვდილს შემდეგ ეგეოსი გამეფდა. ეგეოსმა ცოლად შეირთო მეფე პიტთევსის ქალიშვილი — ეთრა და მისაგან შეეძინა ვაჟი — თეზევსი (სხვა მითის მიხედვით თეზევსის მამა პოსეიდონია).

როცა თეზევსი წამოიზარდა, გაემგზავრა კუნძულ კრეტაზე საშინელი ურჩხულის მოსაკლავად, რომელსაც ათენელები ყოველწლიურად (ზოგი ვარიანტით სამ წელიწადში ერთხელ) აძლევდნენ შვიდ ვაჟსა და შვიდ ქალიშვილს. ურჩხული მინოტავრი მეტად ძნელად დასამარცხებელი იყო და თეზევსმა არც კი იცოდა ცოცხალი დაბრუნდებოდა თუ არა, ამიტომაც მამას დაუბარა: თუ მშვიდობიანად დავბრუნდები სამშობლოში, ჩემს გემს ანძაზე შავი იალქნის

ნაცვლად თეთრი ექნებაო, თეზევსმა გმირულად შეასრულა თავისი დავალება, მაგრამ უკან დაბრუნებისას იალქნის გამოცვლა დაავიწყდა, ეგეოსმა როცა დაინახა გემზე შავი იალქანი, იფიქრა, ვაჟი დაღუპაო და გამწარებული ზღაპში გადავარდა. ეგეოსი დაიხრჩო და ამის შემდეგ ამ ზღვას ეგეოსის ზღვა ეწოდა. ეგეოსის დაღუპვის შემდეგ ათენს თეზევსი განაგებდა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით ადრე ეგეოსი პოსეიდონის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი იყო. ათენელებმა სხვადასხვა ადგილებზე დასახლების შემდეგ პოსეიდონი ზღვის საერთო ბერძნულ ღვთაებად გადაიქცა, ეგეოსი კი ადგილობრივ, დამოუკიდებელ ღვთაებად დარჩა. პოსეიდონთან ეგეოსის კულტის კავშირს ამტკიცებს პოსეიდონის ერთი საკულტო სახელიც, პოსეიდონ-ეგეოსი. ათენში არსებობდა ეგეოსის კულტი და ტაძარი. ეგეოსის ტაძარს ეგეიონი ეწოდებოდა.

ეგერია, ლათ. (Egeria, ae) მისი თანამოსახელე წყაროს იტალიელი ფერია, პომპილიუსის მეუღლე, იმ პომპილიუსისა, რომელმაც მისი რჩევით რომში რელიგიური დღესასწაულები დააწესა. თავისი ქმრის — ნუმა პომპილიუსის სიკვდილის შემდეგ ეგერია წყაროდ იქცა. რომაელები ეგერიას მომშობიარების ფერიადაც მიიჩნევდნენ. ამიტომაც, მოგვიანებით, მისი კულტი დიანასას შეერწყა. გადატანითი მნიშვნელობით ეგერიას უწოდებენ მრჩეველ, ხელმძღვანელ ქალს.

ეგვსტატე, ლათ. (Egestas, atis) რომაელთა წარმოდგენით სიღარიბისა და მათხოვრობის განსახიერება (იხ. პენია). რომაელი პოეტები (მაგ. ვერგილიუსი) ეგესტატეს წარმოსახავდნენ ხელგაშვერილს ჯოჯოხეთის კარებთან.

ეგვიპტოსი, ბერძნ. (Αἴγυπτος, ბ) ეგვიპტის მითიური მეფე, ბელოსის ვაჟი, დანაოსის ძმა. 50 ვაჟის მამა. როდესაც მისი ვაჟები დანაიდებმა დახოცეს, ეგვიპტოსი დარდისაგან გარდაიცვალა (იხ. დანაიდები).

ეგიალევსი, ბერძნ. (Αἰγιαλεύς, ბ) ამფითეასი და არგოსის მეფის ადრასტეს (ადრასტოსის) ვაჟი, ერთ-ერთი ეპიგონთაგანი. ზოგი მითის მიხედვით მედეასი და კრეკეს ძმა. იგივე აფსირტოსი.

ეგიალეია, ბერძნ. (Αἰγίλεια, ჰ) არგოსის მეფის ადრასტოსის ქალიშვილი ან შვილიშვილი. დიომედეს ცოლი.

ეგიდე, ბერძნ. (Αἰγίς -ίδος, ბ) ზევსის, ათენას და ზოგჯერ აპოლონის ატრიბუტი. ჰომეროსის მიხედვით ეგიდე ჰეფესტოს მიერ ზევსისათვის გაკეთებული ფარია, რომლის გარხევითაც ზევსი თავზარს სცემდა თავის მოწინააღმდეგეებს. აქედან მომდინარეობს

ზევსის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი — ეგიოხი — ეგიდეს მპყრობი. მამის ფარს ხშირად ათენაც ხმარობდა ხოლმე. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითების მიხედვით ეგიდე ზევსის აღმზრდელი თხის — ამალთეას ტყავია. ტიტანებთან ბრძოლის დროს ზევსმა ფარზე გადაჭიმა ამალთეას ტყავი და ზედ გორგონა მედუზას თავი მიაკრა. მითის სხვა ვარიანტების მიხედვით ეგიდე არის დემონი, იგი დაბადა გეამ, მას შეეძლო ცეცხლის ამოფრქვევა და მან ამით ბევრი ადგილი უკაცრიელი გახადა. ათენამ მოკლა ეგიდე და მისი ტყავისაგან ფარი გააკეთა. ჩვენს ერამდე VI საუკუნიდან ეგიდე (ფარი) ათენას უცდმივი ატრიბუტია. ფარზე გამოსახულია გველი და გორგონა მედუზას თავი. ეგიდე ითვლებოდა აგრეთვე პირქუში ღრუბლის განსახიერებად. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეგიდე თავიდან იყო ბუნების მრისხანე ძალების განსახიერება, რის გამოც იგი მეხთამტყორცნელ ზევსს დეუკავშირეს. გადატანითი მნიშვნელობით ეგიდე მფარველობას, დაცვას, ფარს ეწოდება.

ეგიკორეოსი, ბერძნ. (Αἰγικορεύς, ბ) იონიელთა მითიური წინაპრის — იონის ვაჟი. არგადესის ძმა. ერთ-ერთი ატიკური ფილის ეპონიმი.

ეგიმიოსი, ბერძნ. (Αἰγιμιός, ბ) დორიელთა მითიური მეფე, პამფილოსის მამა. ჰერაკლეს მოკავშირე.

ეგინა, ბერძნ. (Αἴγινα, ჰ) ფერია. მდინარის ღმერთის — ასოპოსის ქალიშვილი. მოიტაცა ზევსმა და კუნძულ ენოპზე წაიყვანა. ამის შემდეგ კუნძულს ეგინა ეწოდა. ამ კუნძულზე ეგინამ შვა ეაკოსი (პატროკლეს მამა). კუნძული ეგინა დაკავშირებულია მირმიდონელთა მითთან.

კუნძულზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს აფროდიტეს ტაძრის შუბლის საუცხოო სკულპტურული ნამუშევრები, სადაც გამოსახულია სცენები ტროის ომიდან.

ეგიოხი (ეგიოხოსი, ბერძნ. (Αἰγίοχος, ბ — ეგიდეს მპყრობელი) — ზევსის ერთ-ერთი ეპითეტი.

ეგისთე, ბერძნ. (Αἴγισθος, ბ) თიესტესა და მისი ქალიშვილის პელოპეიას ვაჟი. როდესაც პელოპეიას მამისაგან შვილი შეეძინა, მამამ მაშინვე შორს წაადებინა და გადააგდებინა. ბავშვი მწყემსებმა იპოვეს და გაზარდეს. ეგისთე დაუახლოვდა ტროის გმირის — აგამემნონის ცოლს — კლიტემნესტრას და მასთან ერთად მოღალატურად მოკლა შინ მშვიდობიანად დაბრუნებული აგამემნონი. აქედან მოყოლებული ეგისთე შვიდი წლის განმავლობაში მბრძანებ-

ლობდა მიკენში მანამ, სანამ არ მოკლა (კლიტემნესტრასთან ერთად) აგამემნონის ვაჟმა — ორესტემ (იხ. ორესტე).

ე დ უ ს ა, ლათ. (Edusa) ბავშვის კვების მფარველი რომაელთა ღმერთქალი.

ე ვ ა დ ნ ე, ბერძნ. (Εὐάδνη, ἡ) კაპანევსის ცოლი. ევადნემ ეერ აიტანა ქმრის დაღუპვა და დაიწვა იმ ცეცხლში, რომელშიც მის მეუღლეს წვავდნენ.

ე ვ ა ნ დ რ უ ს ი, ლათ. (Euandrus) — ბერძნ. (Εὐανδρος, ὁ) იტალიურ თქმულებათა გმირი, ჰერმესისა და არკადიელი ფერიის — ნიკოსტრატეს ან თემიდას ვაჟი. გადმოცემის თანახმად ტროის ომამდე სამოცი წლით ადრე დააარსა კოლონია, რომელსაც პალანტეუმი დაარქვა. შემდეგში ბორცვს, რომელზეც ქალაქი იყო გაშენებული, პალაცინიუმის მთა უწოდეს. ამბობენ, რომ სწორედ ევანდრუსმა შეასწავლა ადგილობრივ მოსახლეობას წერა-კითხვა. მანვე გაავრცელა იტალიაში დემეტრეს, პოსეიდონის, ნიკეს, ჰერაკლეს, პანისა და სხვა ბერძნულ ღვთაებათა კულტი. ევანდრუსის ვაჟი—პალანტესი ენეასის მხარეზე იბრძოდა და ტურნუსთან ორთაბრძოლაში დაიღუპა. რომში არსებობდა ევანდრუსის კულტი: პალაცინიუმის მთის ძირას იდგა სამისნო. სამისნოსთან იდგა ევანდრუსისა და მისი ვაჟის — პალანტუსის ქანდაკებები.

ე ვ ბ უ ლ ო ს ი, ბერძნ. (Εὔβουλος — კეთილი მრჩეველი) 1. მრავალი ღმერთისა და გმირის ზედმეტი სახელი (ზევსის, ჰადესის დიოსკურებისა და სხვათა). 2. ტრიპტოლემოსის ძმა.

ე ვ ე ნ ო ს ი, ბერძნ. (Εὔενος, ὁ) მისი თანამოსახელე მდინარის ღმერთი. არესის ძე. იდასის მეუღლის — მარპესას მამა.

ე ვ ე რ ე ს ი, ბერძნ. (Εὐήρης, ὁ) ტირესიას მამა.

ე ვ ე ხ მ ე, ბერძნ. (Εὐαίχμη, ἡ) 1. მეგარევსის ქალიშვილი, ალკათოოსის მეუღლე. 2. ნილოსის ქალიშვილი.

ე ვ ი პ ე, ბერძნ. (Εὐίππη, ἡ) ეპირის მეფის ქალიშვილი. ერთერთი გვიანდელი მითის მიხედვით ოდისევსი პენელოპეს საქმროების ამოხოცვის შემდეგ ეპირში გაემგზავრა, რათა სამისნოში რჩევა მიეღო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ამის შემდეგ. ეპირში მან გაიცნო და შეიყვარა ევიპე. მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც სახელად ევრიალოსი დაარქვეს. როდესაც ყმაწვილი წამოიზარდა, დედამ იგი მამასთან გაგზავნა კუნძულ ითაკაზე და თან რაღაც ფილები გაატანა, რომელზეც ამოკვეთილი ნიშნებითაც ოდისევსს შვილი უნდა ეცნო. როდესაც ყმაწვილი ითაკაზე მივიდა, ოდისევსი შინ არ დაუხვდა, როდესაც ოდისევსი დაბრუნდა, დაეჭვებულმა პენელოპემ უთხრა, უცნობი შენს მოსაკლავად არის მოსულიო. განრისხებულმა ოდისევსმა განუკითხავად მოკლა ევრიალოსი. სხვა მითის მიხედვით ოდისევსისა და ევიპეს ვაჟს ლეონტოფრონოსი ერქვა.

ე ვ კ ლ ე ი ე ბ ი, ბერძნ. (Εὔκλεια, τά) კორინთოსსა და დელფოში არტემიდესადმი მიძღვნილი დღესასწაული (ღმერთქალ არტემიდეს კორინთოსსა და დელფოში ევკლეიესაც უწოდებდნენ).

ე ვ მ ა ი ო ს ი || ე ვ მ ე ო ს ი ბერძნ. (Εὔμαιος, ὁ) ოდისევსის მონა, რომელიც ითაკაზე ღორებს მწყემსაედა. როდესაც დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ოდისევსი მალულად დაბრუნდა საშობლოში, პირველად ევმეოსს გაანდო თავისი საიდუმლო. იგი დაეხმარა თავის პატრონს პენელოპეს აბეზარი საქმროების ამოხოცვაში.

ე ვ მ ე ლ ო ს ი, ბერძნ. (Εὔμηλος, ὁ) ალკესტიდასა და თესალიის მეფის ადმეტოსის ვაჟი.

ე ვ მ ე ნ ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Εὐμενίδες, αἱ) იხ. ერინიები.

ე ვ მ ო ლ პ ო ს ი, ბერძნ. (Εὔμολπος, ὁ) ღმერთქალ დემეტრეს ლეგენდარული ქურუმი, ევმოლპიდთა ტომის მითიური დამაარსებელი, მიიჩნევდნენ პოსეიდონისა და ქიონეს ვაჟად.

ე ვ მ ო ლ პ ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Εὐμολπίδαι, αἱ) ატიკელ ქურუმთა კოლეგია, რომლებიც ელევსინურ დღესასწაულებს განაგებდნენ.

ე ვ ნ ე ო ს ი, ბერძნ. (Εὔνεως, ὁ) იასონისა და კუნძულ ლემნოსის დედოფლის — ჰიფსიპილეს ვაჟი. როდესაც არგონავტები კუნძულ ლემნოსზე მივიდნენ, იქაურ ქალებს დაუკავშირდნენ. იასონმა ცოლად შეირთო კუნძულის დედოფალი ჰიფსიპილე და მისგან შეეძინა ვაჟი — ევნეოსი. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჰიფსიპილე ტყვედ ჩაუვარდა ნემეიელთა მეფე ლიკურგოსს. ევნეოსმა ძმასთან ერთად დედა ტყვეობიდან გაათავისუფლა და სამშობლოში დააბრუნა. ევნეოსი მართალია არ მონაწილეობდა ტროის ომში, მაგრამ მაინც აქაველთა (ბერძენთა) მხარე ეჭირა.

ე ვ ნ ო მ ი ა, ბერძნ. (Εὐνομία, ἡ) მშვიდობიანი ცხოვრების მფარველი ღვთაება. ითვლებოდა აგრეთვე წესრიგის დამცველად და მფარველადაც. 2. თემიდას ერთ-ერთი ქალიშვილი.

ე ვ ნ ო მ ო ს ი, ბერძნ. (Εὔνομος, ὁ) სპარტის მეფე, პოლიდექტეს ვაჟი (ზოგი მითის მიხედვით მამა).

ე ვ რ ი ა ლ ე, ბერძნ. (Εὐρυάλη, ἡ) ერთ-ერთი გორგონათაგანი. ორიონის დედა.

ევრიალოსი, ბერძნ. I (Εὐρύαλος, ὁ) ოდისევსისა და ევიპეს ვაჟი (იხ. ევიპე).

ევრიბატესი, ბერძნ. (Εὐρυβάτης, ὁ) კუნძულ ითაკას მცხოვრები. გარეგნობით მახინჯი, ოდისევსის მაცნე ტროის ომის დროს და მისი თანამგზავრი მოგზაურობისას. ის იყო ოდისევსის ერთგული მგობარი, გამოირჩეოდა დიდი გონებამახვილობით, ამიტომ ოდისევსი მას დიდ პატივს სცემდა.

ევრიბია, ბერძნ. (Εὐρυβίη, ἡ) ერთ-ერთი ტიტანიდა, პონტოსისა და გეას ქალიშვილი. ასტრეევსის, პალანტევსისა და პერსევსის დედა.

ევრიდიკე, ბერძნ. (Εὐρυδίκη, ἡ) ორფევსის მეუღლე. (იხ. ორფევსი).

ევრიკლეა, ბერძნ. (Εὐρύκλεια ἡ) ოდისევსის ძიძა. როდესაც ოდისევსი ოცი წლის ხეტიალის შემდეგ სამშობლოში ფარულად დაბრუნდა და თავის სახლში სტუმრისა და მათხოვრის სახით მივიდა, მოხუცმა ევრიკლეამ წესისამებრ ფეხი დაბანა. ფეხზე არსებული ნაჭრილობების მიხედვით, რომელიც მას ახალგაზრდობაში ტახმა მიაყენა, ევრიკლეამ მათხოვარში იცნო თავისი გაზრდილი ოდისევსი, მაგრამ ოდისევსის თხოვნით ეს ამბავი გარკვეულ დრომდე არ გაამჟღავნა.

ევრილიტე, ბერძნ. (Εὐρυλύτη, ἡ) აიეტის ცოლი და აფსირტოსის დედა „ნავპაქტიკის“ მიხედვით.

ევრილოქე || ევრილოქოსი, ბერძნ. (Εὐρύλεχος, ὁ) ოდისევსის ნათესავი და თანამგზავრი. ევრილოქე იყო ოდისევსის ამხანაგთა იმ პირველ ჯგუფში, რომელიც კირკემ ღორებად აქცია. მან ერთადერთმა შეძლო არ მოტყუებულიყო ჯადოქრის ოინებით და ღორად არ ქცეულიყო. შემდეგში მან კუნძულ ტრინაკრიაზე ამხანაგებს ურჩია დაეკლათ და შეეჭამათ ჰელიოსის წმინდა ხარები, ამით დაღუპა ისინიც და თავისი თავიც.

ევრიმაქოსი, ბერძნ. (Εὐρύμαχος, ὁ) პოლიბოსის ვაჟი.

ევრიმედე, ბერძნ. (Εὐρυμέδη, ἡ) 1. ბელეროფონტის დედა, გლავკოსის ცოლი. 2. ენევსისა და ალთაიას ქალიშვილი, მელეაგროსის და.

ევრიმედონტი, ბერძნ. (Εὐρυμέδων -οντος, ὁ) 1. გიგანტების მეფე, რომელიც ღმერთებმა გაანადგურეს თავის ქვეშევრდომებთან ერთად. 2. აგამემნონის მეეტლე, მოკლა ეგისთემ. 3. ჰერმესის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.

ევრინომე, ბერძნ. (Εὐρυνόμη, ἡ) 1. ოკეანოსის ქალიშვილი, რომელიც განსაკუთრებული სისუფთავისა და სიჭკვიანისათვის შეიყვარა ათენამ და არტემიდემ, აფროდიტეს კი, პირიქით, ეჯავრებოდა. მან ზევსს შეაყვარა გოგონა, იმიტომ რომ ამისათვის ევრინომე ჰერას დაესაჯა. ჰერა პირიქით მოიქცა და ზევსისაგან ქალიშვილის განრიდების მიზნით იგი ცოლად შეართვევინა ადონისს. გამძვინვარებულმა ზევსმა ელვით მოკლა ადონისი, მაგრამ მოგვიანებით უფლება მისცა მის აჩრდილს (სულს) კვლავ დედამიწაზე დაბრუნებულიყო. არტემიდემ ევრინომე ფარშავანგად აქცია, შემდეგ კი კვლავ ადამიანური სახე დაუბრუნა.

2. ერთ-ერთი ოკეანიდი, რომელიც თეტიდას დაეხმარა ჰერას ცოლ ოლიმპოდან გადმოგდებული ჰეფესტოს დამალვაში. ჰესიოდეს მიხედვით ევრინომე ქარიტების დედაა. არკადიაში არსებობდა ევრინომეს სამლოცველო.

ევრინომოსი, ბერძნ. (Εὐρύνομος, ὁ) ჰადესში მცხოვრები დემონი, რომელიც მიცვალებულთა გვამებით იკვებებოდა. ხრწნადობის განსახიერება. პოლიგნოტმა ევრინომოსი გამოსახა ლურჯსახიან და კბილებმოღრეჯილ ურჩხულად.

ევრიპილოსი, ბერძნ. (Εὐρυπύλος, ὁ) 1. პოსეიდონის ვაჟი, კუნძულ კოსოსის მეფე. მოკლა ჰერაკლემ ტროიდან დაბრუნებისას. 2. ასტიოქესა და ტელეფოსის ვაჟი, პრიამოსის ძმა. ერთ-ერთი მისიური ტომის მეფე. ტროელთა მოკავშირე, მოკლა ნეოპტოლემოსმა ტროის დაცემისას. 3. ტროის ომის ერთ-ერთი უმამაცესი მონაწილე, თესალიელი გმირი. ებრძოდა ჰექტორსა და პარისს. ამ უკანასკნელმა დაჭრა იგი, მაგრამ მისი ჭრილობები პატროკლემ მოარჩინა.

ევრისთევსი, ბერძნ. (Εὐρυσθεύς, ὁ) ტირინთოსისა და მიკენის მეფე. სთენელოსისა და პელოფსის ქალიშვილის—ნიკოპეს ვაჟი. (იხ. ჰერაკლე, კერბერი).

ევრიტიონი, ბერძნ. (Εὐρυτίων, ὁ) მწყემსი, რომელიც გერიონის ფარას მწყემსავდა და მოკლა ჰერაკლემ. 2. ერთ-ერთი კენტავრი (იხ. პეირითოოსი).

ევრიტოსი, ბერძნ. (Εὔρυτος, ὁ) 1. ექალიის მეფე, რომელმაც განაცხადა, რომ თავის ულამაზეს ქალიშვილს იოლეს მიათხოვებდა მას, ვინც მშვილდოსნობაში აჯობებდა. ასეთი აღმოჩნდა ჰერაკლე, მაგრამ ევრიტოსმა არ ისურვა პირობის შესრულება. მაშინ ჰერაკლემ პირობის დამრღვევი მოკლა და იოლე ძალით შეირთო ცოლად. სხვა მითის მიხედვით ევრიტოსი მოკლა არა ჰერაკ-

ლემ, არამედ აპოლონმა იმისათვის, რომ თავხედმა მოკვდავმა გაბედა ღმერთს გაჯიბრებოდა მშვილდოსნობაში. 2. არგონავტი, ჰერმესის ვაჟი. 3. ერთ-ერთი მოლიონიდთაგანი.

ევროპე, ბერძნ. (Εὐρώπη, ἡ) წინაბერძნული მიწათმოქმედების ღვთაება, გვიანდელი თქმულებები მას ფენიქსის ქალიშვილად მიიჩნევენ, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებული მითების მიხედვით იგი ფინიკიის მეფის — აგენორის ქალიშვილია. ერთხელ, როდესაც ევროპე თანატოლებთან ერთად ზღვის პირას თამაშობდა, ზევსი გამოეცხადა ხარის სახით, მოიტაცა და კუნძულ კრეტაზე წაიყვანა. კრეტაზე ევროპემ ზევსისაგან შვა მინოსი და რადამანთისი (ჰესიოდეს მიხედვით — სარპედონიც). შემდეგ ევროპე ცოლად შეირთო კრეტის მეფემ ასტერიონმა, რომელმაც გარკვეული დროის შემდეგ სამეფო გვირგვინი მინოსს გადასცა. ევროპეს კულტი გავრცელებული იყო თებეში და კრეტაზე.

მრავალმა ხელოვანმა გამოიყენა ევროპეს მოტაცების მითი (ტიციანი, კლოდ-ლორენი, სეროვი და სხვა). ამ მითიდან მომდინარეობს კონტინენტ ევროპას საბელწოდებაც.

ევროსი, ბერძნ. (Εὖρος, ὁ) აღმოსავლეთის (განთიადის) ქარის ღვთაება. ბორეასის, ზეფიროსისა და ნოტოსის ძმა. მოგვიანებით ევროსს უწოდებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარსაც.

ევტერპე, ბერძნ. (Εὐτέρπη, ἡ) ერთ-ერთი ცხრა მუზათაგანი, ლირიკული პოეზიის მფარველი. გამოისახებოდა ახალგაზრდა ქალად, ხელში ორმაგი ფლეიტა ეჭირა.

ევფემოსი, ბერძნ. (Εὔφημος, ὁ) არგონავტი, პოსეიდონის ვაჟი. მან აფრინა მტრედი სიმპლეგადებს შორის, რათა არგონავტებს გაეგოთ, არგოს შეეძლო თუ არა გაესწრო სიმპლეგადებისათვის.

როდესაც არგონავტები ტრიტონების ტბაში მოხვდნენ, ტრიტონმა ევფემოსს მისცა მიწის დიდი ბელტი. მედეას წინასწარმეტყველებით, თუ ევფემოსი ამ ბელტს ტენაროსის მთამდე მიიტანდა, მისი შვილები თაობა ლიბიაში გამეფდებოდა. ბელტი დანიშნულ ადგილამდე ვერ მიიტანეს, იგი გემიდან ზღვაში გადაუვარდათ და ამიტომაც ევფემოსის მხოლოდ მეჩვიდმეტე თაობას ხვდა წილად ლიბიაში გადასახლება და იქ ქალაქ კირენეს დაარსება. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მითი შექმნილია აფრიკაში ბერძენთა კოლონიზაციის პერიოდში.

ევფორბოსი, ბერძნ. (Εὔφορβος,ὁ ὁ) ტროელი გმირი, პანთოოსის ვაჟი, მოკლა მენელაოსმა.

ევფორიონი, ბერძნ. (Εὐφορίων, ὁ) აქილევსისა და ელე-

ნეს ვაჟი. ერთი მითის მიხედვით აქილევსი სიკვდილის შემდეგ გადაიყვანეს ჯადოსნურ კუნძულზე (ლევკოსზე), სადაც თეტიდა მას და ელენეს დროდადრო სიცოცხლეს უბრუნებდა ხოლმე. ამ პერიოდში ელენესა და აქილევსს შეეძინათ ევფორიონი. იგი იშვიათი სილამაზის პატრონი იყო. მისი სილამაზით აღტაცებულმა ზევსმა მას დეენა დაუწყო და ერთ-ერთი დადევსების დროს უცაბედად ელვით მოკლა. ევფორიონი დაასაფლავეს ფერიებმა, რისთვისაც ისინი ზევსმა ბაყაყებად აქცია.

გოეთეს „ფაუსტის“ მიხედვით ევფორიონი ფაუსტისა და ელენეს ვაჟია. მან ძამისაგან მემკვიდრეობით მიიღო მშფოთვარე სული და დიდი აღფრთოვანების უნარი.

ევფროსინე, ბერძნ. (Εὐφροσύνη, ἡ) ერთ-ერთი ქარიტთაგანი.

ევჰემერიზმი — საბერძნეთში გავრცელებული ძოძღვრება ევჰემერიზმის პერიოდში, რომელიც გადმოცემული იყო სიცილიელი ფილოსოფოს-უტოპისტის ევჰემეროსის წიგნში „სამოგზაურო განათლება“. ევჰემეროსის ისტორიულ-ფილოსოფიური შეხედულებები წარმოადგენს მას წინაპარ ფილოსოფოსთა მატერიალისტური შეხედულებების თავისებურ გაგრძელებას. მისი მტკიცებით ღმერთები სხვა არაფერი არიან, თუ არა დიდი წინაპრები, რომლებიც სიკვდილის შემდეგ გაალმერთა მადლიერმა შთამომაელობამ და ზებუნებრივი თვისებებით შეამკო იმავე, როგორც თვით მის დროს ალმერთებდნენ ელინ მეფეებს. ევჰემეროსის წარმოდგენით, ბერძნულ მითებში ასახული თანმიმდევრობით ცეცლა ურანოსის, კრონოსისა და ზევსის მმართველობისა იყო მიწიერი დიდებული და კეთილი მეფეებია ნამდვილი ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოძღვრება ვერ სწვნის შრავალ მითოლოგიურ მოვლენას, მან მაინც გავრცელება და გამოხმაურება ჰპოვა. წიგნი თარგმნეს ლათინურადაც. ამავე შეხედულებისაა დიოდორე სიცილიელი თავის წიგნში „ისტორიული ბიბლიოთეკა“.

ეთე, ბერძნ. (Αἰθή, ἡ) ოგაჩენონის ცხენის სახელი.

ეთერი, ბერძნ. (Αἰθήρ -έρος, ὁ) ჰაერის მაღალი ფენის განსახიერება, ზევსის ადგილსამყოფელი. ჰესიოდეს მიხედვით იგი ერებოსისა და ნიკტის ვაჟია (ან ქაოსისა და ერებოსის). მას ზოგჯერ ჰემერას მეუღლედ მიიჩნევენ, ზოგჯერ — გეას ქმრად. მოგვიანებით ეთერი მიიჩნიეს მსოფლიოს უმაღლეს სფეროდ, საიდანაც წარმოიშვა შზე, ვარსკვლავები, სადაც ცხოვრობდნენ ღმერთები. იგი მიიჩნიეს

სამყაროს პირველსაწყისად. გადატანითი მნიშვნელობით ეთერი სუფთა ჰაერს ნიშნავს.

ეთილა, ბერძნ. (Αἰθ λλα, ἡ) ლაომედონტის ქალიშვილი, პრიამოსის და, ტროის დამხობის შემდეგ წილად ხვდა პროტესილაოსს.

ეთიოპელები, ბერძნ. (Αἰθίοπες, οἱ) ჰომეროსის მიხედვით დედამიწის ორიეე კიდეზე, ოკეანის სანაპიროებზე მოსახლე ნეტარი და ბედნიერი ხალხი. ეთიოპი ბერძნული სიტყვაა და ქართულად სახე დამწვარ, გარუჯულ ადამიანს ნიშნავს. ეთიოპელები სხვებისაგან გამოირჩეოდნენ სიცოცხლის ხანგრძლივობითა და ჯანმრთელობით. მითების მიხედვით მათ ქვეყანაში ხშირად მიდიან ღმერთები და მათთან ერთად ქეიფობენ. ზოგიერთი მითის მიხედვით ეთიოპელებს ოქროს სხვენში დამწყვდეული ჰყავთ მზის შუქი და განთიადისას გამოუშვებენ ხოლმე, თითქოს ამიტომაა, რომ მზე ყოველთვის მათი ქვეყნიდან ამოდის.

ეთიოპელების მეფე — გოლიათი მემნონი ტროის ომის მეათე წელს მიეხმარა პრიამოსს და მოკლა აქილევსმა. ფაქტია, რომ ეთიოპელთა მითში ასახულ ხალხთან კავშირი აქვს დღევანდელ ეთიოპიას.

ეთუსა, ბერძნ. (Αἰθουσα, ἡ) ალკინოოსისა და პოსეიდონის ქალიშვილი. აპოლონის სატრფო.

ეთრა, ბერძნ. (Αἴθρα, ἡ) 1. პიტთევსის ქალიშვილი. ეგეოსის ცოლი, თეზევსის დედა. ეთრა მოიტაცეს დიოსკურებმა. მოგვიანებით ეთრა ელენეს მოსამსახურე ხდება და მასთან ერთად მიდის ტროაში. 2. ოკეანიდი, ატლანტოსის ცოლი, ჰიადებისა და ჰიასის დედა.

ეიდოთია, ბერძნ. (Εἰδοθέα, ἡ) ზღვის ღვთაება. ზღვის ღმერთის — პროტევსის ქალიშვილი. მან ასწავლა მენელაოსს, თუ როგორ უნდა ჩაეგდო ხელში პროტევსი, რომელიც მენელაოსს უჩვენებდა სამშობლოში დასაბრუნებელ გზას. მენელაოსმა შეიპყრო მძინარე პროტევსი და მიუხედავად იმისა, რომ პროტევსი გადაიქცა ლომად, გველეშაპად, ჯიქად, ხედ და სხვა, მენელაოსმა მაინც არ გაუშვა მანამ, სანამ არ შეირიგა იგი და არ ათქმევინა თავისი და მისი სხვა მეგობრების მომავალი ბედისა და სამშობლოში დასაბრუნებელი გზების ამბავი.

ეირენე || ირინე (ბერძნ. (Εἰρήνη, ἡ) მშვიდობის მფარველი ღმერთქალი ძველ საბერძნეთში, ერთ-ერთი ჰორათაგანი. მშვიდობიანობის განსახიერება. სიმდიდრის ღმერთის—პლუტოსის დედა, თუ ძიძა. როგორც კანონიერებისა და წესრიგის დამცველნი, საერთოდ, ჰორები ანტიკურ მითოლოგიაში დიდ როლს ასრულებდნენ და ეირენეს, როგორც მშვიდობის მფარველ ღმერთქალს, კიდევ მეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი კულტი ყველაზე მეტად ათენში გავრცელდა. არანაკლები პატივით სარგებლობდა ეირენე, იგივე იტალიური პაქსი (მშვიდობა)რომში. ავგუსტეს დროს რომში, მარსის ველზე, აღმართეს ეირენე || პაქსის სამისნო-სამსხვერპლო, როგორც მშვიდობის სიმბოლო ომის ღმერთის კუთვნილ მიწდორზე. ამ სამსხვერპლოში ყოველწლიურად მრავალ შესაწირავს სწირავდნენ მშვიდობიანობის დამცველი ღმერთის პატივსაცემად. ანტიკურ ხელოვნებაში ეირენე გამოისახებოდა ახალგაზრდა ლამაზ ქალად. ხელში ეჭირა სიუხვის რქა, ზეთისხილის რტო, ჰერმესის კვერთხი და ხორბლის თავთავები, ჩვენამდე მოღწეულია ანტიკური ქანდაკება, რომლის სიუჟეტია ის, რომ მშვიდობიდან მომდინარეობს სიმდიდრე—ეირენეს ხელში უჭირავს სიმდიდრის განმასახიერებელი ჩვილი პლუტოსი. (ქანდაკება მიუნხენშია დაცული).

ელარე, ბერძნ. (Ἐλάρη, ἡ) ორქომენის ქალიშვილი. ტიტიოსის დედა. ზევსის საყვარელი (იხ. ტიტიოსი).

ელევსინი, ბერძნ. (Ἐλευσίς -ῖνος, ὁ)| ერთ-ერთი გმირი. ელევსინის მეფე და ეპონიმი. ერთ-ერთი მითის მიხედვით ტრიპტოლემოსის მამა.

ელევსინიები, ბერძნ. (Ἐλευσίνια, τὰ) დემეტრესა და პერსეფონეს პატივსაცემი წინაბერძნული წარმოშობის აგრარული დღესასწაულები ელევსინში. თესლიდან მცენარის აღმოცენება ძველად უდიდეს საიდუმლოებად მიაჩნდათ, რასაც დემეტრე თითქოს მხოლოდ რჩეულებს თუ უმჟღავნებდა. სწორედ ეს დაედო საფუძვლად ელევსინიების, ე. წ. ელევსინიური დღესასწაულების, ანუ მისტერიების წარმოშობას. ელევსინიები ადრე მხოლოდ სოფლებში იმართებოდა და მიწათმოქმედებას უკავშირდებოდა. გაზაფხულზე ბუნების კვლავ ამწვანებამ და ხმელი თესლიდან ცოცხალი მცენარის აღმოცენებამ ძველ ბერძნებს შეუქმნა წარმოდგენა მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ელევსინიების დაწესებას მიაწერენ დემეტრეს. მოგვიანებით ელევსინიებზე იმოქმედა დიონისეს კულტმა და ორფეელების მოძღვრებამ. ელევსინიების გამართვა შემდეგ ათენშიც დაიწყეს წელიწადში ორჯერ: ერთხელ შემოდგომაზე, როცა თითქოს პერსეფონეს ჰადესი წაიყვანს ხოლმე და ბუნება თითქოს კვდება — მეორედ კი გაზაფხულზე, როდესაც ჰადესი პერსეფონეს დროებით კვლავ უბრუნებს დედამისს და ამის გამო ბუნება კვლავ გაცოცხლდება ხოლმე.

ზეიმებზე ეშეებდნენ მხოლოდ ისეთ ბერძნებს, რომლებსაც არასოდეს არაფერთარი საბრალწე არ ჩაუდენიათ და პატრიოტად აღიარებულნი. ისინი, ვინც მისტერიებს ესწრებოდნენ ერთმეორეს შეჰფიცავდნენ ხოლმე, რომ არავისათვის ეთქვათ რაც აქ ნახეს და გაიგონეს. შეიძლება ამიტომ იყოს, რომ ჩვენ ბალიან ცოტა ვიცით იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ რელიგიურ ზეიმებზე. მისტერიები გრძელდებოდა ათი დღის განმავლობაში. მის მიხარეობას განაგებდნენ ქურუმები, ე. წ. ევმოლპიდები. ელინისტურ პერიოდში ისედას კულტმა დაჩრდილა ელევსინიები. დემეტრესა და ელევსინიების კულტმა მრავალი დიდი შემოქმედის ყურადღება იმიქცია.

ელენე. ბერძნ. (Ἑλένη, ἡ) ძველმაინოსური მცენარეულობის ღვთაება, პელეპონესში კი მას ნაყოფიერებისა და სიხალისის ღვთაებად აღიარებდნენ. გვიანდელი თქმულებების მიხედვით იგი არის ზევსისა და ტინდარეოსის მეუღლის— ლედას ქალიშვილი, დიოსკურებისა და კლიტემნესტრას და. ძველბერძნული ეპოსის უპირველესი ქალი. მისი არაჩვეულებრივი სილამაზის გამო მასთან დაკავშირებულია მრავალი ანეკდოტური მოვლენა და ბევრი გმირის სახიფათო თავგადასავალი. ახალგაზრდობაშივე ელენე თეზევსმა მოიტაცა, მაგრამ დიდი ბრძოლის შემდეგ გაათავისუფლეს ძმებმა დიოსკურებმა და სპარტაში დააბრუნეს. მრავალ ცნობილ გმირს იტაცებდა ელენეს სილამაზე, მაგრამ ტინდარეოსმა ელენე მენელაოსს მიათხოვა მას შემდეგ, რაც ოდისევსის რჩევით ელენეს ყველა საქმროსაგან პირობა მიიღო, რომ ელენეს ქმარს ყოველგვარ გაჭირვებაში დაეხმარებოდნენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ელენე მოიტაცა პარისმა და ტროაში წაიყვანა; მენელაოსმა, პირობის თანახმად, დასახმარებლად მოუხმო ბერძენ გმირებს — ტროაზე გასალაშქრებლად. ასე დაიწყო ტროის ომი.

პარისის სიკვდილის შემდეგ ელენე შეირთო პარისის ძმამ— დეიფობოსმა, მაგრამ ქალმა ტროის დაცემის დღეს იგი მოაკლვინა თავის ქმარს— მენელაოსს და მასთან ერთად სპარტაში დაბრუნდა.

მითის სხვა ვარიანტის მიხედვით პარისმა ტროაში ელენეს მხოლოდ აჩრდილი წაიყვანა. ნამდვილი ელენე კი ჰერმესმა გაიტაცა ეგვიპტეში და პროტეოსთან დამალა. სწორედ აქ ნახა იგი მენელაოსმა, როდესაც ტროიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. მენელაოსის ასაკვდავის შემდეგ ელენე სპარტიდან გაიდევნეს. იგი კუნძულ როდოსზე გაიქცა და იქ მოკლეს. კუნძულ როდოსზე არსებობდა ელენეს კულტი. სხვა მითის მიხედვით ღმერთებმა მკვდრეთით აღადგენეს ელენე და კუნძულ ლევკოსზე აქილევსის ცოლი გახადეს. (იხ. ევფორიონი). ელენეს მითი არსებობდა აგრეთვე ლაკონიაში, სადაც იგი დაკავშირებული იყო მოკედავ და კვლავ გაკოცხლებად ბუნებასთან. თავისი ძმების — დიოსკურების მსგავსად ელენეც ითვლებოდა მეზღვაურთა მფარველად.

სოფოკლემ და ევრიპიდემ დაწერეს ტრაგედიები „ელენე“; გორგიოსმა და ისოკრატემ უძღვნეს ამ თემას ნაწარმოებები. გოეთეს „ფაუსტის“ მიხედვით ელენე ფაუსტის ცოლია. ელენეს სახემ შთააგონა ბრავალი მხატვარი: ზეუქსისი, პოლიგნოტი, რაფაელი, კლოდ ლორენი და სხვა. კომპოზიტორები: გლიუკი, სენ სანსი, შტრაუსი, ოფენბახი და სხვები. გამოთქმა — „ულამაზესი ელენე“ განზოგადდა ულამაზესი ქალის მნიშვნელობით.

ელენოსი ‖ ჰელენოსი, ბერძნ. (Ἕλενος, ὁ) პრიამოსისა და ჰეკაბეს ვაჟი. იგი დაჯილდოებული იყო წინასწარმეტყველების ნიჭით, წინასწარ იცოდა ტროის დაცემის შესახებ და თავისი სურვილით გადავიდა ბერძნების მხარეზე. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით იგი ბერძნებმა ტყვედ ჩაიგდეს. ელენოსმა უწინასწარმეტყველა ბერძნებს, რომ ტროას ალებდნენ მხოლოდ ნეოპტოლემოსისა და ფილოქტეტეს დახმარებით. ნეოპტოლემოსის სიკვდილის შემდეგ ეპირს განაგებდა ელენოსი.

ელეფენორი, ბერძნ. (Ἐλεφήνωρ, ὁ) ქალკედონტის ვაჟი. ეგების ტომის ბანტების წინამძღოლი.

ელექტრა, ბერძნ. (Ἠλέκτρα, ἡ) 1. ოკეანიდი. თავმანტის ცოლი, ირიდასა და ჰარპიების დედა. 2. ერთ-ერთი პლეიადთაგანი, იასიონისა და დარდანოსის დედა. 3. აგამემნონისა და კლიტემნესტრას ქალიშვილი, ორესტესა და იფიგენიას და. როდესაც ორესტემ მამის შურისგებისათვის დედა — კლიტემნესტრა და მისი საყვარელი ეგისთე მოკლა, მას, როგორც წესი, პასუხი უნდა ეგო დანაშაულისათვის. ორესტეს უთანაგრძნობდა მისი და ელექტრა. როდესაც ორესტე გამართლდა და მიკენში დაბრუნდა, ელექტრა ცოლად გაჰყვა ორესტეს უახლოეს მეგობარს — პილადეს. მიკენში არსებობდა ელექტრას კულტი. მითი გამოიყენეს სოფოკლემ და ევრიპიდემ. ელექტრას მითზე ნაწარმოებები დაწერეს სხვა დრამატურგებმაც.

ელექტრიონი, ბერძნ. (Ἠλεκτρυών, ὁ) 1. ელექტრიონის ქალიშვილი, ე. ი. ალკმენე. ჰერაკლეს დედა. 2. ჰელიოსის ქალიშვილი.

ელექტრიონი, ბერძნ. (Ἠλεκτρύων, ὁ) პერსევსისა და ანდრომედას ვაჟი, ალკმენეს მამა, მიკენის მითიური მეფე.

ელინი||ჰელენი, ბერძნ. (Ἕλλην, ბ) პირასა და დეკალიონის ვაჟი. ეოლოსის, დოროსისა და ქსუთოსის მამა. ელინთა მითიური წინაპარი. ელადას ეპონიმი. ელინის სახე შექმნილი ჩანს გვიან, ბერძენთა სხვადასხვა ტომის სახელწოდების ასახსნელად.

ელისიები||ელისიის მინდვრები, ბერძნ. (Ἠλύσια πεδία) ნეტართა და ცხონებულთა საცხოვრებელი ადგილები იქიერ ქვეყანაში, სადაც მარტო დრმად მორწმუნე და ღირსეული ადამიანები ხვდებიან სიკვდილის შემდეგ. მითი წინაბერძნული წარმოშობისა ჩანს. საუკუნეთა განმავლობაში წარმოდგენები ელისიებზე თანდათანობით იცვლებოდა. ბერძენთა წარმოდგენით ჰადესში ყველა მიცვალებული შესაფერის ადგილას ცხოვრობდა და მათ სამეფოს ჰადესი და მისი ცოლი პერსეფონე განაგებდა.

ჰომეროსმა ელისიის მინდვრები საქაოზეც წარმოიდგინა. მისი გადმოცემით ის მდებარეობს ოკეანის სანაპიროზე, უკიდურეს დასავლეთში. იგი გამოირჩეოდა მეტისმეტი სილამაზით. იქ არ იცის ზამთარი, მარად ჭროლავს სუსტი, სასიამოვნო სიო. აქ მოკვდავთაგან შეუმჩნევლად მარადიულად ცხოვრობენ გმირები, რომელთაც ზევსის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს და ამით უკვდავნი გახდნენ. იქ არიან მაგალითად: ზევსის ვაჟი — რადამანთისი, მენელაოსი, აქილევსი და სხვა ცნობილი და საყვარელი გმირები. ჰესიოდეს მიხედვით ელისიები ნეტართა კუნძულებია, სადაც მეფობს კრონოსი და ბედნიერად ცხოვრობენ: პელევსი, კადმოსი, აქილევსი, ზევსთან შერიგებული ტიტანები და სხვა გმირები. იქ წელიწადში სამჯერ იღებენ მოსავალს ყოველგვარი ხვნა-თესვის გარეშე. იქ არ არსებობს არაფითარი ავადმყოფობა, სატანჯველი და სიკვდილი.

პლატონისა და პითაგორელების მოძღვრებათა გავლენით ელისიის მინდვრები ისეთ სამყაროდ ჰიიჩნიეს, სადაც მხოლოდ ისინი ხვდებიან, ვისაც ამის უფლებას მიანიჭებენ ამ ქვეყნის შესასვლელში მყოფი მოსამართლეები, იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდნენ სიცოცხლეში. წარმოდგენები ელისიების შესახებ რომშიც გავრცელდა. ტრადიციის მიხედვით ამ სამყაროს ვერგილიუსიც მიწოსქვეშეთში წარმოიდგენდა. წარმოდგენები ელისიის მინდვრებზე სხვადასხვაგვარი ვარიანტით თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიაშია გავრცელებული. ამ უშესანიშნაეს ადგილს სხვადასხვა ხალხი სხვადასხვაგან ათავსებდა — ზოგი ზღვის შუაგულში, ზოგი მიუვალ მთებში, ზოგი უკიდეგანო უდაბნოს იქით, სადაც მიღწევა შეუძლებელია. მითი გამოიყენა ქრისტიანულმა რელიგიამაც და მას სამოთხე შეარქვა, სადაც თითქოს მხოლოდ ქრისტიანობისათვის თავდადებული ადამიანები შეიძლება მოხვდნენ. სამოთხეშიც, როგორც ელისიის მინდვრებში, ცხოვრება მარადიული, ტკბილი და უზრუნველია.

გადატანითი მნიშვნელობით ელემი, სამოთხე, ნეტართა კუნძული, ელისიის მინდვრები სილამაზისა და ბედნიერების. მუდმივი განცხრომის სინონიმია.

ელპენორი, ბერძნ. (Ἐλπήνωρ, ბ) ოდისევსის ერთ-ერთი თანამგზავრი. როდესაც ოდისევსი (ჯადოქარ კირკესთან ყოფნის დროს) ჰადესში იმყოფებოდა, ელპენორი დათვრა, დასაძინებლად სახურავზე ავიდა, ჩამოვარდა და მოკვდა. ჰადესში მყოფი ოდისევსი შეხვდა თანამგზავრის აჩრდილს, რომელიც უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა ამის გამო, რომ მისი გვამი დაუმარხავი მიეტოვებინათ. ოდისევსი შეპირდა თანამგზავრის აჩრდილს, რომ მის გვამს მაშინვე დაასაფლავებდა, როგორც კი დედამიწაზე დაბრუნდებოდა. ოდისევსი მალე დაბრუნდა ჰადესიდან და თავისი პირობაც შეასრულა.

ემათიონი, ბერძნ. (Ἠμαθίων, ბ) ტითონოსისა და ეოსის ვაჟი. მემნონის ძმა. მოკლა ჰერაკლემ ჰესპერიდების ვაშლის მოტაცებისას.

ემპუსა, ბერძნ. (Ἔμπουσα, ჩ) ჰეკატეს თანამგზავრი, რომელთანაც მას ხშირად აიგივებდნენ ხოლმე. ღამის დემონი, ჰადესის ერთ-ერთი უსაშინლესი ურჩხული. იგი მიეკუთვნება საფრთხობელების—მორმოს, აკოს, ალფიტოს, ლამიასა და სხვათა ჯგუფს. ლეგენდების მიხედვით ემპუსას შეეძლო მიეღო სასურველი სახე. იგი აშინებდა ქალებს, ბავშვებს, მგზავრებს. გადმოცემის თანახმად ემპუსა იტაცებდა ბავშვებს, ჯერ მათ სისხლს სვამდა და შემდეგ ხორცსაც ჭამდა. ემპუსას ულამაზესი ქალის სახითაც წარმოიდგენდნენ, რომელიც ახრჩობდა თავის შეყვარებულებს. ზოგჯერ ემპუსას ვირისფეხებიან ქალადაც წარმოიდგენდნენ ხოლმე.

ენარეტე, ბერძნ. (Ἐναρέτη, ჩ) მეფე ეოლოსის ცოლი, ათამანტის, სიზიფოსისა და სალმონეევსის დედა.

ენდეიდე, ბერძნ. (Ἐνδηΐς -ΐδος, ჩ) კენტავრ ჭირონის ქალიშვილი. ეაკოსის ცოლი. პელევსისა და ტელამონის დედა.

ენდიმიონი, ბერძნ. (Ἐνδυμίων, ბ) ყმაწვილი, რომელიც ზევსმა სილამაზის გამო ცაში წაიყვანა. ოლიმპოზე ყოფნისას იგი ჰერამ შეიყვარა და ზევსმა ამისათვის ენდიმიონი მარადიული ძილით დასაჯა. სხვა მითის მიხედვით ენდიმიონი დაძინა მთვარის ღვთაებამ —სელენემ ანუ არტემიდემ, რათა მძინარე ყმაწვილისათვის სურვილისამებრ ეკოცნა ხოლმე. ენდიმიონს 30 წელიწადს ეძინა გამო-

ქვაბულში. სხვა მითის მიხედვით ენდიმიონს იმიტომ ეძინა, რომ ზევსი სურვილის თანახმად არტემიდემ (სელენემ) ზეძლს სთხოვა მისთვის მარადიული ძილი, რათა ამით უკვდავება მიენიჭებინა. ენდიმიონის კულტი გავრცელებული იყო ელიდასა და კარიაში. ერთი მითის მიხედვით ენდიმიონსა და სელენეს 50 ქალიშვილი ჰყავდათ. ცდილობით მნიშვნელობით ენდიმიონი ულამაზეს ვაჟკაცს ნიშნავს.

ენეასი, ბერძნ. (Αἰνείας, ὁ) ანქიზესი და აფროდიტეს ვაჟი. ტროის მეფის — პრიამოსის ხათესავი. ტროის ომის გმირი, დარდანოსთა მბრძანებელი. დაიბადა იდას მთაზე და ალზარდეს იქაურმა ფერიებმა. იგი თავიდან არ მონაწილეობდა ტროის ომში, მაგრამ მას შემდეგ, რაც აქილევსი მას ფარას თავს დაეცა, გაილაშქრა ბერძნების წინააღმდეგ. ებრძოდა აქილევსსა და დიომედეს. ომსა და ცოცველგვარ გაჭირვებაში ენეასს აფროდიტე და ასოლონი ეხმარებოდა. ომში ენეასს ეხმარებოდა პოსეიდონიც მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს ბერძნების გამარჯვება სურდა.

ჰომეროსის პოემაში „აფროდიტესადმი" ლაპარაკია იმაზე, რომ ტროის დაშლობის შემდეგ ენეასი მაინც რჩება ტროაში და ტროელ ხალხის ბედს განაგებს. ზოგი მითის თანახმად ენეასი ეპირში ან იტალიაში გადასახლდა. ჩვენს ერამდე VI საუკუნეში წარმოიშვა მითი ენეასის ბესპერიაში (საღამოს ქვეყანა — საბერძნეთისათვის საღამოს ქვეყნად იტალია ჩაითვლება) გადასახლების შესახებ; რომის სახელმწიფოს ხრდასთან დაკავშირებით წარმოიშვა მითი იმის შესახებ, რომ ენეასი გადარჩენილ ტროელებთან ერთად ლაციუმში დასახლდა და მისმა შთამომავლებმა რომი დააარსეს. რომაელთა იმპერატორები და საერთოდ იულიუსთა გვარის წარმომადგენლები თავიანთ თავს ენეასის შთამომავლად მიიჩნევდნენ. (იულიუსები თავიანთი გვარის ფუძემდებლად ენეასის ვაჟს — იულიუსს ასახელებენ). რომაელი პოეტები ენეასს მოგზაურობისა და მისგან ქალაქების დაარსების ისტორიას სხვადასხვანაირად ხოგეთხრობენ. ვერგილიუსის გადმოცემის თანახმად ენეასმა მიატოვა ცეცხლმოდებული ტროა, ხერგით გამოიყვანა მოხუცი მამა — ანქიზე, თან წაიყვანა თავისი ვაჟი — იულიუსი, ცოლი — კრეუსა, შეკრიბა გადარჩენილი ტროელები და 20 გემით ირაკიას მიადგა.

იმის გასაგებად, თუ რა ბედი ეხოლოდა შემდეგში, ენეასი ჰადესში ჩავიდა. იქ მას შეხვდა თავისი მამის ანქიზეს აჩრდილი და მომავალი უწინასწარმეტყველა.

ჰადესიდან ამოსვლის შემდეგ ენეასი ლაციუმში გაემგზავრა, სადაც სიამოვნებით მიიღო მეფე ლატინუსმა და ხუკეთესო ადგილი მისცა ქალაქების ასაშენებლად. ლატინუსის ქალიშვილი — ლავინია

ცოლად შეირთო ენეასმა. ამიტომ მას ომი გამოუცხადა ტურნუსმა. ომებში ენეასმა მოკლა ტურნუსი. ენეასმა ლავინიას სახელობის ქალაქი დააარსა. ამ მითს კავშირი უნდა ჰქონდეს სინამდვილესთან, რადგანაც 1958 — 1959 წლებში ამ ადგილებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა აქ ქალაქ ლავინიას არსებობა დაადასტურა. მითების მიხედვით ღმერთებმა ენეასი ცოცხლადვე წაიყვანეს ოლიმპოზე და ღმერთად აქციეს. ანტიკურ ხელოვნებაში ფართოდაა ცნობილი ენეასის გამოსახულება, რომელშიც ენეასს მხრებზე ჰყავს ანქიზე და ტროიდან გამოჰყავს. მითის სიუჟეტი გამოიყენეს მხატვრებმა: ტინტორეტომ, რუბენსმა, ლორენმა, ტიეპოლომ და სხვებმა. ცდილობით მნიშვნელობით ოდისევსის მაგიერ ენეასსაც უწოდებენ ხრაკელთა-ცდილ. ბევრი ტანჯვა-წამების გადამტან გმირს.

ენეასი, ბერძნ. (Οἰνεύς, ὁ) კალიდონის მეფე. დეკალიონის შთამომავალი, ალთაიას ქმარი. მელეაგროსის, ტიდევსისა და დეიანირას მამა. მელეაგროსის სიკვდილის შემდეგ ალთაიამ თავი მოიკლა და ენეუსმა პერიბოია შეირთო, რომლისაგანაც შეეძინა ტიდევსი (ცოლიმედეს მამა). მოგვიანებით მას ნათესავებმა კალიდონის ძმასი (ცოლიმედეს მამა). მოგვიანებით მას ნათესავებმა კალიდონის ძმასრთველობა წაართვეს; დიომედე მის შთამომავლებს ძალადგენაში მოეხმარა.

ენიო, ბერძნ. (Ἐνυώ, ἡ) ომის ღმერთქალი, არესის თანამგზავრი, ერთ-ერთი გრაია. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითების მიხედვით იგი ზღვის ღმერთის — ფორკოსის ქალიშვილია, ამიღენად მას მიიჩნევენ ბრძოლის ღმერთის — პოლემოსისა და დრაკონ ლაიდონის დედ. ზოგიერთი მითი მას არესის დედად, ზოგი კი — ძიძად მიიჩნევს. რომში იგი ბელონასთან გაიგივებულ.

ენიპევსი, ბერძნ. (Ἐνιπεύς, ὁ) თესალიის ან ელიდის მდინარის ღვთაება. ენიპევსი შეუყვარდა მეფის ქალიშვილს — ტიროს. ეს გამოიყენა პოსეიდონმა, ენიპევსის სახე მიიღო და ტიროს დაეკავშირდა. ამ კავშირის შედეგად დაიბადნენ პელიასი და ნელეუსი. ახლადშობილები მიატოვა ტირომ და ისინი მწყემსებმა ალზარდეს ცხენის რძით.

ენომაოსი, ბერძნ. (Οἰνόμαος, ὁ) ელიდის მეფე, არესის გაიე, პლეიად სტეროპეს საყვარელი, რომლისაგანაც ჰიპოდამია შეეძინა. ენომაოსს უწინასწარმეტყველეს, რომ ქალიშვილის გათხოვება დიდ ტაბედურებას მოუტანდა. ამიტომ მან გამოაცხადა, რომ ქალიშვილს მხოლოდ მას გაყვანდ, ვინც ეტლით სრბოლაში მაჯობებდა. მას იმედი ჰქონდა არესისაგან ნაჩუქარი ძლიერი ცხენებისა. შეჯი-

ბრში ენომაოსი ყველას სჯობნიდა, დამარცხებულებს ხმლით კლავდა. მხოლოდ მეთოთხმეტემ — პელოპმა შეძლო სასიმამროს დამარცხება. მან მოისყიდა მეეტლე მირტილოსი და ეტლის ბორბალი ჰინჯილაქით წესიერად არ დაამაგრებინა. ამისათვის იგი მას დაპირდა, რომ გამარჯვების შემდეგ სახელმწიფოს ნახევარს მისცემდა. შეჯიბრების დროს, ენომაოსის ეტლს უეცრად ბორბალი მოძვრა, მეფე გადმოვარდა და დაიღუპა. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით პელოპმა გამარჯვება სრულიად ნორმალურად, პოსეიდონისაგან ნაჩუქარი ცხენებით შეძლო და ენომაოსმა თავი მოიკლა. პელოპს საერთოდ ოლიმპიური თამაშობების დამაარსებლადაც მიიჩნევდნენ. მითის სიუჟეტი გამოიყენეს სოფოკლემ და ევრიპიდემ.

ენოპიონი, ბერძნ. (Οἰνοπίων, ὁ) დიონისესა და არიადნეს (იგივ. რადამანთისისა და არიადნეს) ვაჟი. ფერია ჰელიკეს ქმარი. მეროპეს მამა. კუნძულ ჭიოსზე, სადაც ენოპიონი კრეტიდან გადასახლდა, ორიონმა გაიუპატიურა მისი ქალიშვილი მეროპე. ამისათვის შეურაცხყოფილმა მამამ ორიონი დააბრმავა. მზის სხივებმა განკურნეს ორიონი და მან ძებნა დაუწყო ენოპიონს სამაგიეროს გადასახდელად. შვილებმა მამა ჰის ფსკერზე დამალეს.

ენტორია, ლათ. (Entoria) პლუტარქეს მიხედვით იტალიელი მიწათმოქმედის — იკარიოსის ქალიშვილი. იკარიოსი და მისი ქალიშვილი ოქროს საუკუნეში ცხოვრობდნენ მეფე სატურნუსის დროს. ერთხელ იკარიოსს სატურნუსი ეწვია სტუმრად. სტუმარს მოეწონა მასპინძლის ქალიშვილი ენტორია და ცოლად შეირთო. ამ ქორწინების შედეგად დაიბადნენ: იანუსი, პიმნოსი, ფაუსტუსი და ფელიქსი. მითი ერიგონესა და იკარიოსის ბერძნული მითის რომაული ვარიანტი უნდა იყოს.

ეოლია, ბერძნ. (Αἰολία, ἡ) 1. ქართა მბრძანებლის — ეოლოსის კუნძული და სამეფო. 2. ამითაონის ქალიშვილი, კალიდონის ცოლი.

ეოლოსი, ბერძნ. (Αἴολος, ὁ) 1. ელინისა და ფერია ორსიეიდეს ვაჟი; დეყალიონის (ზოგი ვარიანტით ზევსის) შვილიშვილი. ერთ-ერთი ბერძნული ტომის — ეოლიელების მითიური წინაპარი და ეპონიმი. ეოლიელები ცხოვრობდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და არქიპელაგის პატარა კუნძულებზე. ეოლოსს მრავალი შვილი ჰყავდა: კრეთევსი, სიზიფოსი, ათამანტი, სალმონევსი და სხვები. ამ მრავალ შვილთაგან თითოეულმა თავისი სახელობის ქალაქი დააარსა. 2. კუნძულ ეოლიის მმართველი, ქართა მბრძანებელი. ამ კუნძულ-

ზე ცხოვრობდნენ მხოლოდ ეოლოსი, მისი ცოლი, მათი ექვსი ვაჟი და იმდენი ქალიშვილი. მათ საცხოვრებელს გარს ერტყა სპილენძის კედლები და პატარა კლდეები და გარე სამყაროსთან ურთიერთობა იშვიათად ჰქონდათ. ამიტომაც ეოლოსის ვაჟებმა ცოლებად თავისი დები შეირთეს. კუნძულზე ეოლოსთან მოხვედა მოხეტიალე ოდისევსი. მეფემ კარგად მიიღო სტუმარი, შესაფერისად გაუმასპინძლდა და გამომშვიდობებისას ზურგქარს უბრძანა დაებერა ოდისევსის გემის იალქნისათვის. თანაც მასპინძელმა სტუმარს არუქა თავმოყრილი ტიკი, რომელშიც ყოველგვარი მიმართულების ქარები იყო ჩამწყვდეული და საჭიროებისამებრ მათი გამოყენება შეიძლებოდა მიუხედავად ოდისევსისაგან აკრძალვისა, მისმა თანამგზავრებმა ჩუმად ტიკს თავი მოხსნეს, უხეშურად ქარები გამოუშვეს, ატყდა დიდი ქარიშხალი და ოდისევსის გემი კვლავ კუნძულ ეოლიაზე გაიტაცა. ეოლოსი გაუწყრა ოდისევსსა და მის მეგობრებს დაუკერებლობის გამო და თავის სამეფოში აღარ მიიღო.

ჰომეროსის პოემებისა და შემდგომდროინდელი მითების მიხედვით ეოლოსი არის არა ქარების ღმერთი, არამედ ქართა მბრძანებლის პოეტური სახე. ეოლოსი ჩამოყალიბება ხოლმე იმ გამოქვაბულის თავზე, რომელშიც ქარები ჰყავს გამომწყვდეული და საჭიროებისდამიხედვით უშვებს მათ. ხელში ეოლოსს ხშირად ფლეიტა უჭირავს.

გადატანითი მნიშვნელობით ეოლოსი ქარს ეწოდება. მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომლის სიმები ქარის დაბერვით ღერენ, ეოლოსის არფას ეძახიან.

ეონი, ბერძნ. (Αἰών -ῶνος, ὁ) ქრონოსის ვაჟი, დიკეს ძმა, მარადიულობის განსახიერება. ორფელების მოძღვრების თანახმად ეონი ნიკტის (ღამის) ვაჟია. ზევსის მრჩეველი და დროის ბორბლის მაბრუნებელი მოხუცია. გვიანდელი მითები ეონს ისიდას ვაჟად მიიჩნევდნენ. ეონის დაბადების დღედ 6 იანვარი აღიარეს და ამ დღეს საბერძნეთში დიდი ზეიმები იმართებოდა ხოლმე. ზეიმის მონაწილენი ისიდას ტაძრიდან ეონის ქანდაკებას გამოიტანდნენ და ყველას გასაგონად დიდი ხმით გაიძახოდნენ: „ქალწულმა შვა ეონი"! ეონი გამოისახებოდა გრძელთმიან მფრინავ მოხუცად. როგორც ჩანს, ეონის დაბადება ახალი წლის დადგომის სიმბოლური სახე უნდა იყოს და მითოლოგიური პერსონაჟიც სწორედ ამის გამო იყო შექმნილი. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი ყოველი ახალი წლის დასაწყისში იბადებოდა.

ეოსი, ბერძნ. (Ἠώς, ἡ) განთიადის ღმერთქალი, რომელსაც ხში-

რად ჰქმერასთან აიგივებენ ხოლმე. ტიტან ჰიპერიონისა და ტიტანიდა თეიას ქალიშვილი. ჰელიოსის (მზის) და სელენეს (მთვარის) და. ზოგი მითის მიხედვით იგი ჰელიოსისა და ნიკტის (ღამის) ქალიშვილია. ასტრეუსისაგან ეოსს ოთხი ქარი (არგესტოსი, ბორეასი, ნოტოსი და ზეფირი) და მრავალრიცხოვანი ვარსკვლავი შეეძინა. ჰომეროსთან ეოსი გრძელ და ოქროსფერ ტალღოვანი თმებით შემკულ, ვარდისფერტანიან და ვარდისფერ ტახსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდა ქალად წარმოგვიდგება. პოეტები მას ღამაზკულულას, ვარდისფერთითებას და სხვა ასეთ ეპითეტებს მიაკუთვნებენ. ეოსი თითქოს ოკეანის აღმოსავლეთით კიბეობრობს და დილაადრიან გამორბის ორცხენიანი ეტლით, ან მოფრინავს თეთრი ფრთებით, რათა ჭეშეანას თავისი ძმის — ჰელიოსის მობრძანება აუწყოს. მომავალ ეოსს ესალმება დილის ვარსკვლავი, დანარჩენები კი მის გამოჩენაზე იბნიდებიან და ქრებიან. არსებობს გადმოცემები, რომლებიც ეოსს ღამაზი ყმაწვილების მოტრფიალედ და მათ მომტაცებლად ასახელებს, მან მოიტაცა ორიონი, კეფალოსი, ტითონოსი და სხვები. ეოსმა ტითონოსი ქმრად გაიხადა და ზეცას შეევედრა, რომ მისი ქმარი უკვდავი გაეხადა. ზეუსმა შეისმინა ეოსის ვედრება, ტითონოსი მართლაც არ კვდებოდა, მაგრამ მეტისმეტად დაბერდა და დაჩაჩანაკდა. (ეოსს დაავიწყდა ზეუსისათვის ეთხოვა ისიც, რომ მისი ქმრისათვის სიყმაწვილეც შეენარჩუნებინა) მოხუცი ქმრის უძლურებით გაბრაზებულმა ეოსმა იგი ჭრიჭინად აქცია. რამოდენიმე მითის მიხედვით ეოსი არესსაც უყვარდა, რაც ხშირად აფროდიტეს ეჭუიანობის მიზეზი ხდებოდა. ტითონოსისა და ეოსის ვაჟი — მემნონი ტროის ომში მოკლა აქილევსმა. ეოსმა დაასაფლავა ვაჟი და ყოველ დილით ცრემლებს აფრქვევდა მის საფლავს. (თითქოს ეოსის ცრემლები დილის ნამია). ეოსის კულტი ნაკლებად გავრცელდა საბერძნეთში. იტალიაში მას ავრორას უწოდებენ. მხატვრები ხშირად ეოსს ჩირაღდნით ხელში წარმოიდგენენ, ზოგჯერ — ეტლში მჯდომარეს.

ეპაფოსი, ბერძნ. (Ἔπαφος, ὁ) ზევსისა და ძროხადქცეული ის ვაჟი. ეგვიპტის მეფე, მემფისის დამაარსებელი. ლიბიოსის მამა (იხ. ამისი).

ეპეოსი, ბერძნ. (Ἐπειός, ὁ) ელიდას მითიური მეფე. ეპეელების მითიური წინაპარი — ეპეოსი ელიდას მმართველობისათვის ძმებს შეებრძოლა, დაამარცხა და გაქცევდა 2. ტროის ომში მონაწილე ერთ-ერთი გმირი, რომელიც დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა, იყო შესანიშნავი მხატვარი და ხელობის მცოდნე. უდიდესი

სახელი მან კერძოდ ტროის ცხენის აგებით მოიხვეჭა. მითები გადმოგვცემენ, რომ ეპეოსმა მრავალი ქალაქი დააარსა.

ეპიგონები, ბერძნ. (Ἐπίγονοι, οἱ) თებეს კარებთან შეიღი გმირის დალუპვიდან ათი წლის შემდეგ არგოსელმა გმირებმა გაიმეორეს წყევლის მაჭების სისხლი აეღოთ და ქალაქის მტკიცერებში დაესაჯათ. ასთ ეპიგონები ეწოდათ (შდრ. ბერძნ. ἐπίγονος, ὁ — შემდეგ შობილი, შთამომავალი). ეპიგონებს ადრასტოსი მეთაურობდა და ლამქრობა წარმატებით დასრულდა. ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული ეპიგონი ზოგადი სახელი გახდა და ყოველი მხედართმთავრის შვილსა და შთამომავალს უწოდებდნენ. ზოგ შემთხვევაში ეპიგონი ამა თუ იმ მხედართმთავრის მიმდევრებს ან უბრალოდ მის ხელქვეითებსა და თანამებრძოლებს ეწოდებოდა ხოლმე. ასე იხსენიებდნენ ალექსანდრე მაკედონელის მეომრებს. გაძატანითი მნიშვნელობით ეპიგონებს რაიმე მიმართულების მიმდევრებს უწოდებენ, რომელთაც აკლიათ ორიგინალურობა.

ეპიკასტე, ბერძნ. (Ἐπικάστη, ἡ) ზოგიერთი მითის მიხედვით იოკასტეს მეორე სახელი (იხ. ოიდიპოსი).

ეპიკლესი, ბერძნ. (ἐπίκλησις, εως, ἡ) რომელიმე ღმერთის ან გმირის ხელმეტი სახელი, რომელიც ძირითადად, ორი კულტის შერწყმის შედეგად წარმოიშობოდა ხოლმე. მაგალითად ათენას ეპიკლესი არის პალადა. ათენამ გაიმარჯვა პალანტოსზე, მისი უფლებები გადაეცა ათენაზე, პალანტოსი კი მიეცა დაეწყვეპას. ეპიკლესი ქართულად ხელმეტ სახელს ნიშნავს.

ეპიმეთე, ბერძნ. (Ἐπιμηθεύς, ὁ) იაპეტის ვაჟი, პრომეთეს ძმა, პანდორეს ქმარი. იგი სრულიად განსხვავდება პრომეთესაგან და მისი საწინააღმდეგო ტიპია. იგი შეშაარაა და უბედო. მან არ დაუჯერა პრომეთეს და მისი რჩევის საწინააღმდეგოდ, ცოლად შეირთო ზევსისაგან შეთავაზებული ქალი — პანდორე და ამით ადამიანებს ათასი ჭირი, ვარამი და ავადმყოფობა მოუტანა. ეპიმეთესა და პანდორეს შეეძინათ ქალიშვილი პირრა.

ეპიმელიდები, ბერძნ. (Ἐπιμηλίδες, αἱ) პირუტყვთა მფარველი ფერიები.

ეპიმენიდე, ბერძნ. (Ἐπιμενίδης, ὁ) ნახევრად მითიური პოეტი და წინასწარმეტყველი. გვიანდელი მითები გვიამბობენ, რომ ეპიმენიდეს 57 წლის განმავლობაში ეძინა მოჯადოებულ გამოქვაბულში. როდესაც მან გამოიღვიძა და გამოქვაბულიდან გამოვიდა, მას, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, თაყვანი უმცროსი ძმა ღრმად მოხუ-

ცებული დახედა, რამაც იგი მეტისმეტად გააოცა. გადმოცემის თანახმად ეპიმენიდემ ძალზე ხანგრძლივად იცოცხლა.

ეპაითე, ბერძნ. (Ἠπαίτη, ἡ)ასკლეპიოსის თანამგზავრი და მეუღლე. იასოს, პანაკეასა და აკესოს დედა. კოსოსში ეპაითე ასკლეპიოსის ქალიშვილად მიაჩნდათ.

ეპიტოსი, ბერძნ. (Ἔπιτος, ὁ) ჰიპოთეოსის ვაჟი, არკადიის მითიური მეფე; მოისურვა პოსეიდონის ტაძარში ძალით შეჭრა, რისთვისაც იგი პოსეიდონმა დააბრმავა და მალე სიკვდილიც მოუვლინა. 2. მეროპესა და მესინიის მეფის — კრესფონტის უმცროსი ვაჟი.

ეპონა, ლათ (Epona) მეცხენეობის გალიური ღმერთქალი. მფარველობდა ცხენებს, აქლემებს, ვირებს, მეზრეებს და მეეტლეებს. გალების ქვეყნიდან ეპონას კულტი მთელს რომის იმპერიაში გავრცელდა. ცხენზე ან აქლემზე მჯდომარე ღმერთქალის გამოსახულებას ათავსებდნენ თავლებსა და სამხედრო ბანაკებში. ღმერთქალს ხელში ყვავილები ან ხილი ეჭირა, რომში არსებობდა ეპონეს მონათესავე ღვთაების — ბუბონას კულტი, რომელიც რქიანი პირუტყვის მფარველად ითვლებოდა.

ეპონიმი, ბერძნ. (Ἐπώνυμος, ὁ)ბერძნული სიტყვაა და ქართულად სახელის მიმცემს ნიშნავს. როდესაც რომელიმე გეოგრაფიულ ადგილს ამა თუ იმ გმირის ან ღვთაების სახელი დაერქმევა, ამ გმირს თუ ღვთაებას ეპონიმი ეწოდება.

ეპოპეევსი, ბერძნ. (Ἐποπεύς, ὁ) ალოეევსის ვაჟი (ან პოსეიდონის ვაჟი და ალოევსის ძმა). ჰელიოსის შვილიშვილი, მარათონის მამა, სიკიონის მეფე. ეპოპეევსმა შეიფარა ზევსის შვილების — ძეთოსისა და ამფიონის დედა — ანტიოპე, რომელიც შემდეგ მისი ცოლიც გახდა. ეპოპეესი დაიღუპა თებეს მეფე — ლიკოსთან ბრძოლაში. მითს მიიჩნევენ ჰომეროსის შემდგომდროინდელად.

ერატო, ბერძნ. (Ἐρατώ, ὁ) სასიყვარულოს, საყვარელს ნიშნავს ქართულად. სასიყვარულო, ეროტიკული პოეზიის მუზა. გამოისახებოდა ლამაზ ყმაწვილ ქალად. ხელში ჩეჩულებრივ ლირა ეჭირა. ერატოს სახე არაერთგზის გვხვდება ლიტერატურაში.

ერგანე, ბერძნ. (ἐργάνη, ἡ — მშრომელი ქალი) ათენას, როგორც საქმოსნობის მფარველი ღმერთქალის ეპონიმი.

ერგინოსი, ბერძნ. (Ἐργῖνος, ὁ) 1. ორქომენის მეფე. ხუროთმოძღვრების: ტროფონიოსისა და აგამედეს მამა (სხვა მითის მიხედვით მათი მამა აპოლონია). ერგინოსმა თებელებს მძიმე ხარკი დაადო,

რომლის მოხსნა კარგა ხნის შემდეგ მხოლოდ ჰერაკლეს შემწეობით შესძლეს. 2. „არგოს“ მესაჭე ტიფისის დაღუპვის შემდეგ.

ერებოსი, ბერძნ. (Ἔρεβος, ὁ — სიბნელე) მარადიული სიბნელის განსახიერება. სიბნელის მიწისქვეშა სამეფო. მიცვალებულთა სულები ერებოსში გავლის შემდეგ ხვდებიან ჰადესში. ჰესიოდეს მიხედვით იგი ქაოსის შვილი და ნიკტის მამაა. ზოგიერთი მითები, ერებოსს ნიკტის ქმრად და ჰემერასა და ეფირის (ეთერის) მამად მიიჩნევს.

ერეხთევსი, ბერძნ. (Ἐρεχθεύς, ὁ) 1. გეასა და ჰეფესტოს ვაჟი. ატიკელი გმირი. აღზარდა ათენამ. ერეხთევსს ჰქონდა ათენას საზიარო ტაძარი. როგორც ჩანს, პირველად იგი მიწის ნაყოფიერებას ღვთაება იყო. მაგრამ შემდეგ პოსეიდონის კულტს შეერწყო. მოგვიანებით ერეხთევსის სახე გაორდა და ამ ორი გმირის გასარჩევად ერთს ერიხთონიოსი უწოდეს. შემდეგში ერეხთევსი ერიხთონიოსის შვილიშვილად, ბუტოსის ტყუპისცალად, კეკროპის, პროკრიდეს, ხთონიას, კრეუსასა და სხვათა მამად მიიჩნიეს. გადმოგვცეს, რომ მან დიდი ომები აწარმოვა ქალაქ ელევსინთან. ელევსინელების დასახმარებლად მივიდნენ თრაკიელები პოსეიდონის ვაჟის — ევმოლპოსის, თუ ამ უკანასკნელის ვაჟის — იმმარადოსის ხელმძღვანელობით. გაჭირვების ჟამს ერეხთევსმა სამისნოს მიმართა. სამისნომ იწინასწარმეტყველა, რომ იგი მხოლოდ მას შემდეგ გაიმარჯვებდა, თუ თავის ქალიშვილს მსხვერპლად შესწირავდა ღმერთებს. კენჭის ყრის შედეგად მსხვერპლად ხთონია შესწირეს. (ერთი მითის მიხედვით მსხვერპლად შესწირეს ერეხთევსის ყველა გაუთხოვარი ქალიშვილი მცირეწლოვან კრეუსას გარდა). ამის შემდეგ ერეხთევსმა მართლაც დაამარცხა მოწინააღმდეგე და მოკლა კიდეც. მაგრამ სულ მალე იქიც მოკლა პოსეიდონმა, თუ ზევსის ელვამ მისივე თხოვნით.

მითის სიუჟეტი გამოუყენებია ევრიპიდეს ჩვენამდე მოღწეველ ტრაგედიაში „ერეთხევსი“. 2. პოსეიდონის ერთ-ერთი ეპიკლესი (ზედმეტი სახელი).

ერეხთიდები, ბერძნ. (Ἐρεχθεῖδαι, οἱ) ერეხთევსის შთამომავლები. ათენელებს ზოგჯერ ერეხთიდებსაც უწოდებენ.

ერიგონე, ბერძნ. (Ἠριγόνη, ἡ) 1. იკარიოსის ქალიშვილი. 2. ეგისთესა და კლიტემნესტრას ქალიშვილი. გადმოცემის თანახმად, როდესაც ორესტემ ეგისთესა და კლიტემნესტრას მოკვლის შემდეგ მათი შვილების დახოცვაც მოინდომა, ერიგონე არტემიდემ გადაარჩინა და ატიკაში ქურუმად წაიყვანა. სხვა მითის მიხედვით ორესტემ

ერიგონე შეუყვარა, ცოლად შეირთო და მისგან ვაჟიშვილი პენტილოსი შეეძინა.

ერიდა, ბერძნ. (Ἔρις, -ιδος, ἡ– განსჯათქმილება, შეუთანხმებლობა). განსჯათქმილების ღმერთქალი. ჰომეროსის მიხედვით არესის და და მისი თანამგზავრი ომების დროს. ნიკტის ქალიშვილი. უბედობის, დავრდომა და შიმშილის დედა. ყველაზე მეტად ცნობილი მითი ერიდას შესახებ დაკავშირებულია განსჯათქმილების ვაშლთან (იხ. განსჯათქმილების ვაშლი). ერიდას კულტი არ არსებობდა. რომში არსებობდა ერიდას მსგავსი თვისებების მქონე განსჯათქმილების ღმერთი დისკორდია (უთანხმოება), რომელიც ომის ღმერთის – ბელონას თანამგზავრად ითვლებოდა.

ცუდი თვისებების მქონე ერიდას გარდა მოგვიანებით განარჩევდნენ კეთილი თვისებების მქონე ერიდას. იგი ადამიანებს კეთილ საქმეებს აკეთებინებდა, მაგრამ ზოგჯერ ბოროტი ერიდა სჯობნიდა კეთილ ერიდას.

ერიდანოსი, ბერძნ. (Ἠριδανός, ὁ) მითიური მდინარე ჰიპერბორეების ქვეყანაში, რომლის ადგილსამყოფელად მიიჩნევდნენ ხან ჩრდილოეთ და ხან დასავლეთ ევროპას. თითქოს ზევსის ელვით გაჩენილი ფაეთონტი მდინარე ერიდანოსში ჩავარდა. სხვა მითის მიხედვით ფაეთონტი ჩაქლაპა ერიდანოსის ერთ-ერთმა შვილთაგანმა, შემდეგში უკვე ფაეთონტად წოდებულმა მდინარემ. ფაეთონტი დიდხანს და მწარედ იტირეს დებმა. მათი ცრემლები ზურმუხტებად იქცნენ და მდინარე ერიდანოსმა ზღვაში ჩაიტანა. მოგვიანებით ბერძნებმა ერიდანოსი გააიგივეს მათთვის ცნობილ დასავლეთის მდინარეებთან (პო, რონა და სხვა). სხვა მითების მიხედვით ერიდანოსი მიწისქვეშეთის ერთ-ერთი მდინარეა. 2. მდინარის ღმერთი, ოკეანოსისა და ტეთისის ვაჟი.

ერიდანოსის ტახი, გარეული ტახი, რომელიც ერთიმანთოსის მთაზე ცხოვრობდა და მთელი არკადია გააუკაცრიელა. ჰერაკლემ მოახერხა მისი ცოცხლად შეპყრობა. (ჰერაკლეს მეშვიდე გმირობა).

ერინიები, ბერძნ. (Ἐρινύες, αἱ) შურისძიების ღმერთქალები, რომლებიც ჰადესში ცხოვრობდნენ და დედისეული გვარის დამცველები იყვნენ. ისინი განუწყვეტლივ სდევნიდნენ ფიცის გამტეხებს, სტუმართმოყვარეობის უარმყოფებს და განსაკუთრებით მკვლელებს. დამწაშავეს, უმეტესად, გონებას ართმეუდნენ და ამხაირად ღუპავდნენ. ჰომეროსი ასახელებს ხან ერთ და ხან რამოდენიმე ერინიას. ჰესიოდეს მიხედვით ერინიები გეას შვილები არიან, რომლებიც დედამიწაზე ერანოსის მოკრილი სააქსით ორგანოდან დაცვენილი სისხლის წვეთისაგან წარმოიშვნენ. სხვა მითის მიხედვით ერინიები ნიკტისა და ერებოსის ქალიშვილები არიან. მოგვიანებით ალიარეს მხოლოდ სამი ერინია: ტისიფონე, ალექტო, მეგარა. ერინიები სდევნიდნენ მათაც, ვინც მოკლულის ნათესავის სიბრალულ არ იღებდა. თუ ერინიები ადრე შურისმაძიებელ ღმერთქალებად ითვლებოდნენ, მოგვიანებით ისინი ცოდვათა მომტევებელ ღმერთქალებად გადაიქცნენ. ამის შემდეგ მათ ევმენიდებსაც უწოდებენ. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მითი ერინიების, როგორც შურისძიების ღმერთქალების შესახებ, დაკავშირებულია ორესტესა და მეღუაგროსთან. ერინიების სახე გვხვდება ესქილეს ტრაგედიაში „ევმენიდები", სოფოკლესთან „ოიდიპოსი კოლონში", ევრიპიდესთან „ორესტესში" და სხვა.

ერინიები გამოისახებოდნენ საშინელ, მახინჯ, მოხუც დედაკაცებად. მათ თავზე ომების მაგვრად გველები ეხვიათ. ხელში ჩირაღდნები ეჭირათ და დამნაშავეს მისდევდნენ. ჩვენამდე მოღწეულია ქანდაკება „მძინარე ერინია", გადატანითი მნიშვნელობით ერინიას შურისძიებას უწოდებენ ბოლმე.

ერისიხთონი, ბერძნ. (Ἐρυσίχθων, ὁ) თესალიელი გმირი, რომელმაც დემეტრეს წმინდა ჭალაში სეება ამება სახლის ასაშენებლად და დანაშაულისათვის ღმერთებმა მარადიული შიმშილით დასაჯეს. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ერისიხთონმა სწორედ ის ხე მოჰკრა რომელზეც დრიოპა ცხოვრობდა.

შიმშილისაგან შეწუხებულმა ერისიხთონმა საკუთარი შიგნეული ამოიჭამა და გარდაიცვალა.

ერიფილე, ბერძნ. (Ἐριφύλη, ἡ) ადრასტეს და, ამფიარაოსის ცოლი, ალკმეონის დედა. როდესაც პოლინიკესაგან ჰარმონიის სამკაულები მიიღო საჩუქრად, ქმარს თებეს წინააღმდეგ გალაშქრება ურჩია, რადგანაც იცოდა ,რომ იგი იქ დაიღუპებოდა და პოლინიკესთან ურთიერთობაში ხელის შემშლელი არ ეყოლებოდა. ქორწინებისას მიცემული ფიცის თანახმად ქმარმა დაუჯერა ცოლს და დაღუპა კიდეც ბრძოლის ველზე. ასეთი საქციელისათვის ერიფილე მოკლა მისმა შვილმა ალკმეონმა.

ერიქსი, ბერძნ. (Ἔρυξ, υκος, ὁ) ამფიტრიტესა და პოსეიდონის (ზოგი ვარიანტით ბუტესისა და აფროდიტეს) ვაჟი. სირინოზების სიმღერით მოხიბლული ბუტესი „არგოდან" წყალში გადახტა მათ კუნძულამდე მიღწევის მიზნით, მაგრამ ტალღებმა ჩაიხვეს და იხრჩობოდა აფროდიტეს რომ არ გადაერჩინა.

ლიაზე წაიყვანა და მისგან შეეძინა ვაჟი ერიქსი. ერიქსი მოკლა ჰერაკლემ გერიონის ჯოგიდან ხარის მოტაცებისას. თანამოსახლე მითისა და ქალაქის ეპონიმი. ამავე მითზე აფროდიტეს ტაძრის ამშენებელი.

ერიხთონიოსი, ბერძნ. (Ἐριχθόνιος, ὁ) 1. ათენის მითიური მეფე. ჰეფესტოსსა და გეას ვაჟი. აღზარდა ათენამ. პირველად ათენამ დახურულ ყუთში ჩასმული ყმაწვილი კეკროპის ქალიშვილებს გაღასცა აღსაზრდელად და აუკრძალა ყუთში ჩახედვა. მაგრამ ცნობისმოყვარე ქალებმა ყუთი მაინც გახსნეს. მითის თანახმად ათენამ თითქოს მიტომ აუკრძალა ქალიშვილებს ყუთის გახსნა, რომ ბავშვთან ერთად ყუთში გველი იყო ჩამწყვდეული (ზოგი ვარიანტით ბავშვს ტანის ქვემო ნაწილი გველისა ჰქონდა). ყუთის გახსნისათვის აგლაეროსი და ჰერსე უგონობით დაისაჯნენ და აკროპოლისის კლდიდან გადმოხტნენ (ზოგი ვარიანტით დაახრჩო გველმა). ამის შემდეგ ათენამ თვით დაიწყო ბავშვის აღზრდა თავისსავე ტაძარში. სხვა მითის მიხედვით ათენამ ბავშვი აღსაზრდელად გადასცა პანდროსოსს. ერიხთონიოსი ითვლებოდა ათენის მეხუთე ლეგენდარულ მეფედ მას შემდეგ, რაც დამპყრობელი ამფიქტრიონი განდევნა ქალაქიდან. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ათენის სამეფო მან კეკროპისაგან მიიღო. ერიხთონიოსს მიაწერენ ატიკაში ათენას კულტის შემოტანას, საერთო ათენური დღესასწაულების დაწესებას, პოსეიდონისა და ათენას საერთო ტაძრის აგებას. ტრადიციის მიხედვით იგი ე. წ. „ქვადრიგა“ ეტლის გამომგონებლადაც ითვლებოდა და ამისათვის სიკვდილის შემდეგ იგი თითქოს ეტლის თანავარსკვლავედად იქცა. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ათენასა და პოსეიდონს შორის ატიკის მმართველობაზე ამტყდარი დავის დროს მოსამართლედ ერიხთონიოსი იყო.

თავიდან ერიხთონიოსი იგივე ერეხთევსი იყო, მაგრამ ათენელმა ტრაგიკოსებმა შექმნეს გეასაგან შობილი ყმაწვილის დანაცალკევებული მითიური სახე. როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, მითი ხთონიური წარმოშობისაა.

ეროსი, ბერძნ. (Ἔρως -ωτος, ὁ) ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი უძველესი ღვთაება. იგი სამყაროს საწყისად მიაჩნდათ. ითვლებოდა ბუნების სტიქიური, შემოქმედებითი ძალების ღვთაებად. ეროსის მშობლებად ჭაოსი და ერანოსი (ზოგჯერ ჭაოსი და გეა) ითვლებოდა. ეროსის მამად ზოგჯერ კრონოსსაც მიიჩნევენ. მოგვიანებით ეროსი არესისა და აფროდიტეს, (ზევსისა და აფროდიტეს, ზეფირისა და ირიდას) ვაჟად მიიჩნიეს. გვიანდელი მითების თანახმად

ახლადშობილი ეროსი კინალამ მოკლა ზევსმა, მაგრამ იგი აფროდიტემ იხსნა და ყრუ, დაბურულ ტყეში გადამალა, სადაც მას ძუ ლომი ზრდიდა.

ზოგჯერ ეროსი გაზაფხულის ღმერთადაც მიაჩნდათ. ეროსი განაგებდა და მფარველობდა ადამიანებისა და ღმერთების შინაგან ბუნებასა და ზნეობას. ეროსის სიძლიერის წინაშე უკან იხევდნენ როგორც ადამიანები, ისევე ღმერთები. შედარებით გვიან ხდება ეროსი სიყვარულის ღმერთი, აფროდიტეს თანამგზავრი და მოციქული. ეროსის მშვილდიდან ნასროლი ოქროს ისარი არ ცდება არც ღმერთებს და არც ადამიანებს, შეაქვს მათს სულსა და ხორცში სიყვარულის მძაფრი გრძნობა, რომელსაც თან ახლავს სიხარული, ბედნიერება, ტკივილი და ზოგჯერ დაღუპვაც. ეროსის ისრისაგან თავს ვერ იცავს თვით ზევსიც კი. ეროსი ითვლებოდა არა მარტო ქალ-ვაჟის, არამედ მეგობრული სყვარულის ღმერთადაც. ეროსმა დიდი ხნის დაკვირვებისა და მრავალგზის გამოცდის შემდეგ ფსიხე (სული) ცოლად შეირთო. ორფელების მოძღვრების თანახმად ეროსი სამყაროს შემოქმედია. ელინისტურ ეპოქაში წარმოიშვა აზრი მრავალი ეროსის არსებობის შესახებ. რომში ეროსს ხან ამორს უწოდებდნენ (ლათ. amor — სიყვარული, ჩვენში ფრანგულიდანაა შემოსული და ამური ეწოდება). ხან კუპიდონს (cupido — გულით ნდომა, ვნებიანი სიყვარული). თანდათანობით ეროსი მწუხარებაში დამამშვიდებელი ღვთაება გახდა. ამიტომაა, რომ საფლავებზე ხოგჯერ მისი პატარა ქანდაკებებიც გვხვდება. მართალია საბერძნეთში ფართოდ იყო გავრცელებული ეროსის კულტი, მაგრამ მისი ტაძრები მაინც ნაკლებად იყო. ყველაზე მეტად ცნობილი ეროსის ტაძარი იყო თესპიაში, სადაც ხუთ წელიწადში ერთხელ ეროსისადმი მიძღვნილი დღესასწაულები, ე. წ. ეროტიდიები იმართებოდა.

სპარტელები ომის დაწყებამდე ეროსს მსხვერპლს სწირავდნენ. ეროსი გამოისახებოდა ოქროსფერთმიან ყმაწვილად, რომელსაც ხელში მშვილდ-ისარი, კაპარჭი ან ჩირაღდანი ეჭირა. ელინისტურ ეპოქაში ეროსს ცელქ ბიჭუნად გამოსახავდნენ. ხშირად ეროსის გამოსახულებანი შესრულებულია თასზე, ქვაზე. ჩვენამდე მოღწეულია ეროსის მრავალი ქანდაკება.

გადატანითი მნიშვნელობით ეროსი, კუპიდონი, ამური სიყვარულს ნიშნავს.

ერულუსი, ლათ. (Erulus) ღმერთქალ ფერონიოას ვაჟი. საშტანიანი და სამსულიანი გოლიათი. მასთან შებრძოლებულმა ევანდრესმა იგი სამჯერ მოკლა.

ესაკოსი, ბერძნ. (Αἴσακος, ὁ) პრიამოსის ერთ-ერთი ვაჟი.

ესკულაპი, ლათ. (Aesculapus) ასკლეპიოსის ლათინური სახელწოდება. მკურნალობისა და განკურნების ღვთაება ძველ იტალიაში. გადატანითი მნიშვნელობით, ესკულაპს უწოდებენ ხოლმე ექიმებსა და ექიმებს.

ესონი, ბერძნ. (Αἴσων -ωνος, ὁ) იოლკოსის ფუძემდებელისა და მეფის — კრეთევსისა და სალმონევსის ქალიშვილის — ტიროს ვაჟი. იასონის მამა. ამოლიდორეს მიხედვით ესონი პელიასმა მოიტაცა და არგონავტებს ჩამოტოვა. განაწყენებულმა ესონმა რაღაც ცხოველის სისხლი დალია და თავი მოიკლა. დიოდორე სიცილიელის მიხედვით ეს მან პელიასის ბრძანებით გააკეთა. გვიანდელი ვითების მიხედვით იგი მედეამ გააცოცხლა და გააახალგაზრდავა.

ეტეოკლე, ბერძნ. (Ἐτεοκλῆς, ὁ) ოიდიპოსისა და იოკასტეს ვაჟი, პოლინიკეს ძმა.

ეტნე, ბერძნ. (Αἴτνη, ἡ) ვულკანი კუნძულ სიცილიაზე. ერთ-ერთი მითის მიხედვით ეს მთა ზევსმა თავზე დაადგა ურჩხულ ტიფონს, რომლის სუნთქვის შედეგიც არის ითქმის ვულკანური ამოფრქვევები. სხვა მითის მიხედვით ეტნეს მთის სიღრმეში მოთავსებულია ჰეფესტოს სამშვილდო.

ეტოლოსი, ბერძნ. (Αἰτωλός, ὁ) 1. ენდიმიონისა და ფერიოფიანასას ვაჟი. 2. კალიდონის მამა, ეპოლიის ოლქის ეპონიმი.

ეფიალტე, ბერძნ. (Ἐφιάλτης, ὁ) ალოევსისა და იფიმედეას ვაჟი, პოსეიდონის შვილიშვილი. ლეგენდარული გოლიათი. მან თავის ძმა ოტოსთან ერთად ღმერთების წინააღმდეგ ილაშქრა და მათი დამხობა სცადა. ეფიალტე მოკლეს აპოლონმა და არტემიდემ.

ექიდნა, ბერძნ. (Ἔχιδνα, ἡ) საშინელმოქმედი დემონი, ნახევრად ქალი, ნახევრად გველი. ტარტაროზისა და გეას ქალიშვილი. ტიფონთან კავშირის შედეგად ექიდნამ შვა ძრიელი ურჩხულნი: ქიმერა, კერბერი, ლერნეოსის ჰიდრა, ნემეოსის ლომი, სფინქსი და მრავალი სხვა ექიდნას ადგილ-სამყოფელად თვლიდნენ ხან სკვითეთს, ხან ჰადესს, ხან კი ერთ-ერთ გამოქვაბულს კილიკიაში. გვიანდელი მითების მიხედვით ექიდნას ჰერაკლესაგან ჰყავდა სამი ვაჟი, რომელთაგან ერთ-ერთი სკვითების ტომის დამაარსებლად და ეპონიმად ითვლებოდა. ექიდნა მოკლა არგუსმა ძილის დროს. გადატანითი მნიშვნელობით ექიდნას უძახიან ბოროტ, დაუნდობელ და ცბიერ არსებას, გველს.

ექიონი, ბერძნ. (Ἐχίων, ὁ) 1. კადმოსისაგან დათესილი დრაკონის კბილებიდან აღმოცენებული ერთ-ერთი მეომარი. არგონავტი. 2. ერთ-ერთი არგონავტი. ჰერმესის ვაჟი, ევრიტოსის ძმა.

ეჭო, ბერძნ. (Ἠχώ, ἡ) ექოს განსახიერებული ფერია. ერთი მითის მიხედვით ექოს შეუყვარდა პანი და მისგან ქალიშვილი იხსნა შეეძინა. გვიანდელი მითის მიხედვით ექომ შეურაცხყო პანი და მან პოხსრნა ექო. სხვა მითის მიხედვით ექოს შეუყვარდა ულამაზესი ნარცისი, მაგრამ ნარცისმა უარყო მისი გრძნობა და ექო ცალმხრივი სიყვარულისაგან ისე ჩამოიხმა, რომ მისგან მხოლოდ ხმა დარჩა. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ექო საუბრით ართობდა და აცდენდა დაეჭვებულ ჰერას, როდესაც ზევსი სხვა ღმერთქალებთან სიყვარულით ერთობოდა, ამიტომ ღმერთქალმა დაამუნჯა იგი და ამის შემდეგ ექოს, თითქოს, გაგონილი სიტყვების მხოლოდ დაბოლოებების განმეორება შეეძლო. ეს მითი უნდა იყოს ექოს (გამოძახილის) მიზეზის გულუბრყვილო ახსნა.

— 3 —

ვაკუნა, ლათ. (Vacuna, ae) ძველ საბინიელთა მოსავლიანობის ღმერთქალი, რომლისათვისაც გლეხებს მიჰქონდათ შესაწირავი მოსავლის აღების შემდეგ, რაც ძირითადად სამადლობელი მინაძღვნად ითვლებოდა. იტალიაში რომის ბატონობის დამყარების შემდეგ ვაკუნას კულტი დავინწყდა და მალე დავიწყებას მიეცა. მისი ფუნქციები შეუერთდა ცერერას, მიხვრეასა და გენერას კულტს.

ვატიკანი, ლათ. (Vaticanus) ჩვილ ბავშვის პირველი წამოყვირებისა და ტირილის დაბადების მფარველი რომაული ღვთაება. რომელთა წარმოდგენით ბავშვის ყოველგვარი მოქმედება გარკვეული ღვთაების მფარველობის ქვეშ მიმდინარეობს.

ვედიოვისი, ლათ. (Vediovis) ხან აპოლონისა და ხან ოპიტერის კულტთან გაიგივებული რომაული ღვთაება, რომლის კულტი მიწისქვეშეთის ღვთაებათა კულტთან იყო დაკავშირებული. რომში იყო მისი ორი სამლოცველო-ტაძარი. ერთი კაპიტოლიუმის ბორცვზე, მეორე კი მდინარე ტიბრში შედგარე კუნძულზე. ვედიოვისი ითვლებოდა ათლიუსთა გვარის მფარველად. გამოისახებოდა ახალგაზრდა, ლაშაზ, ტუჩგრეულვაშო ყმაწვილად, ისრებით ხელში.

ვენერა, ლათ. (Venus-eris) რომაელებისათვის ვენერა იგივე

იყო, რაც ბერძნებისათვის აფროდიტე. (იხ. აფროდიტე). გადატანითი მნიშვნელობით ულამაზესი ქალი, ლამაზმანი.

ვენილია, ლათ. (Venilia) 1. ძველი იტალიური ზღვის ღმერთქალი. მეზღვაურთა მფარველი. ნეპტუნესის (იანუსის) მეუღლე. ვერგილიუსის მიხედვით იგი ფავნუსის მეუღლეა. 2. ფერია, ტურნუსის დედა.

ვერგილიები, ლათ. (Vergiliae) იხ. პლეიადები.

ვერტუმნუსი, ლათ. (Vertumnus) 1. ბაღებისა და მიწათმოქმედების ეტრუსკული ღვთაება, პომონას მეუღლე. მისი კულტი მთელს იტალიაში გავრცელდა. ძველ იტალიაში იგი ითვლებოდა ცვალებადობისა და გარდაქმნის ღვთაებად. მასვე მიიჩნევდნენ გრძნობათა ცვალებადობის ღმერთადაც. ვერტუმნუსის ქანდაკება იდგა რომის ეტრუსკულ კვარტალში, ხოლო ტაძარი — ავენტინში. მისადმი საპატივცემულო დღეობა იმართებოდა 13 აგვისტოს. გამოისახებოდა ვაჟად, ერთ ხელში სანამყენე დანა ეჭირა, ხოლო მეორეში ხილით სავსე კალათა.

ვესპერი, ლათ. (Vesper, eris) იხ. ჰესპეროსი.

ვესტა, ლათ. (Vesta, ae) იგივე ჰესტია. ოჯახის კერისა და ცეცხლის მფარველი უძველესი ღვთაება, რომლის კულტი გავრცელებული იყო თითქმის ყველა ხალხში. რომაელთა წარმოდგენით საკუთარი ვესტა ჰყავდა თითოეულ გვარს და ამას გარდა არსებობდა საერთო ვესტას კულტიც. ვესტას ტაძარში ენთო მარადიული ცეცხლი. იქიდან მოტანილი ცეცხლით ანთებდნენ ხოლმე კერას ახალი კოლონიები და ახალმოსახლეები. თუ ტაძარში რაიმე მიზეზის გამო ცეცხლი ჩაქრებოდა, ამას დიდ უბედურების მომასწავებლად მიიჩნევდნენ (იხ. ვესტალები). მოგვიანებით ვესტას კულტი შეერწყა იანუსისა და ე. წ. ბონა დეას კულტს. გარკვეულ პერიოდში ვესტა ითვლებოდა პურის მზრუნველთა და მეფუტურნეთა მფარველად. 9 ივნისს ვესტას პატივსაცემად იმართებოდა დღესასწაულები ე. წ. ვესტალიები. ამ დღეს ცნობილი რომაელი ქალები ფეხშიშველა მიდიოდნენ ვესტას ტაძარში და ღმერთქალს თავიანთი ოჯახების კეთილდღეობას შესთხოვდნენ. ჩვენამდე მოღწეულია ვესტას როგორც მდგომარე, ისე მჯდომარე გამოსახულებები. იგი ხშირად გვხვდება პირზე ჩადრჩამოფარებული, ხელში უჭირავს თასი, ჩირაღდანი და კვერთხი.

ვესტალები, ლათ. (Vestalis, is) ღმერთქალ ვესტას ქურუმები რომში. უმაღლესი პონტიფიკის ბრძანებით, ვესტალებად ირჩევდნენ 20 გოგონას, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ 6 — 10 წლისა, არ უნდა ჰქონოდათ არავითარი ფიზიკური ნაკლი, მშობლები უნდა

ყოლოდათ ცოცხალი და ცნობილი გვარის წარმომადგენელი. ამის შემდეგ ისინი მაშას აღარ ემორჩილებოდნენ და მთლიანად უზენაესი პონტიფიკის მფარველობის ქვეშ ექცეოდნენ. ვესტალების მოვალეობას შეადგენდა ვესტას ტაძარში მარადიული ცეცხლის შენარჩუნება. თუ მათ ცეცხლი ჩაუქრებოდათ — გაროზგავდნენ, ხოლო თუ ქალწულობას დაკარგავდნენ — ცოცხლად დამარხავდნენ. ვესტალების სამსახური გრძელდებოდა 30 წელიწადს. 30 წლის შემდეგ ისინი თავისუფლდებოდნენ და უფლება ჰქონდათ გათხოვილიყვნენ 36 — 40 წლის ასაკში. საზოგადოებაში ვესტალები უდიდესი პატივით სარგებლობდნენ: შეეძლოთ სასამართლოში ყოფილიყვნენ მოწმეები ყოველგვარი ფიცის გარეშე. მათი შეურაცხმყოფელი გაუსამართლებლად ისჯებოდა სიკვდილით. თუ დასასჯელად წაყვანილ ბოროტმოქმედს გზაში შემთხვევით ვესტალი შეხვდებოდა, დამნაშავეს სასჯელისაგან ათავისუფლებდნენ. ვესტალები არსებობდნენ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. გადატანითი მნიშვნელობით ვესტალს ქალწულ ქალს უწოდებდნენ.

ვინალიები, ლათ. (Vinalia, ium) მევენახეობასა და ღვინოსთან დაკავშირებული დღესასწაულები ძველ რომში. იმართებოდა 23 აპრილს და 19 აგვისტოს. ვინალიები დაკავშირებული იყო იუპიტერისა და ვენერას კულტთან.

ვირბიუსი, ლათ. (Virbius, i) იტალიელი გმირი. მისი კულტი იტალიის ერთ-ერთ ოლქში დიანასას უკავშირდებოდა. ძველი ადათის მიხედვით ვირბიუსის ჯალაში ცხენების შესვლა არ შეიძლებოდა. ამ მიზეზის აუხსნელობით უნდა შექმნილიყო მითი, რომელმაც ვირბიუსი იპოლიტოსთან გააიგივა. თითქოს ასკლეპიოსმა გააცოცხლა ცხენებისაგან მოკლული იპოლიტოსი, რომელიც არტემიდემ იტალიაში გადაიყვანა, სადაც მან დაიწყო ახალი ცხოვრება და სახელად ვირბიუსი დაირქვა.

ვირგო, ლათ. (Virgo, inis) ქართულად ქალწულს ნიშნავს. ასტრეიას ერთ-ერთი რომაული სახელი.

ვირილისი, ლათ. (Virilis) ფორტუნას ერთ-ერთი ზედმეტი სახელი (იხ. ფორტუნა).

ვირტუტი, ლათ. (Virtus-utis) ლათინთა ღვთაება, გამარჯვების მფარველი. ვირტუტი მარსის თანამგზავრად ითვლებოდა. მარსის სამლოცველოს მახლობლად იდგა მარსისა და ვირტუტის საერთო ტაძარი. ვირტუტი მთლიანად შეიარაღებული და ამაძონის სამოსით გამოისახებოდა. ვირტუტს ზოგჯერ ბელონასთან აიგივებდნენ.

ვიქტორია, ლათ. (Victoria — გამარჯვება) გამარჯვების ღმერთის რომაული სახელწოდება (იხ. ნიკე).

ვოლტურნი || ვოლტურნუსი, ლათ. (Volturnus, i) მდინარის რომაელთა ღვთაება. ზოგჯერ ტიბერინთანაც აიგივებდნენ. მისადმი მიძღვნილი დღესასწაულები იმართებოდა 27 აგვისტოს.

ვოლუპია, ლათ. (Volupia) 1. ფსიქეს ქალიშვილი ეპულეუსის მიხედვით. 2. განცხრომის ღმერთქალი.

ვულკანი || ვულკანუსი, ლათ. (Vulcanus) ცეცხლისა და ჭედლობის მფარველი ღმერთი რომში, იგივეა რაც ბერძნული ჰეფესტო. ვულკანის ადგილსამყოფელად ეტნას ძირი მიაჩნდათ და მისი კრატერიდან ამომავალი ლავური ბოლი მისი სამჭედლოს მიერ გამოყოფილი კვამლი და ცეცხლი ეგონათ. აქედან მომდინარეობს ვულკანის სახელწოდებაც. ვულკანის კულტის ცენტრად რომში ვულკანალი ითვლებოდა — რაც ფორუმს ზემოთ ამაღლებულ მოედანს წარმოადგენდა. აქ იმართებოდა ხოლმე პატრიციებისა და სენატის ყრილობები. 23 აგვისტოს რომში ვულკანისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს, ე. წ. ვულკანალიებს ზეიმობდნენ. ვულკანი გამოსახებოდა ღონიერ ვაჟკაცად, რომელსაც ხელში სამჭედლო ურო ეჭირა.

— ზ —

ზევსი, ბერძ. (Ζεύς, Διός, ἐ) ღმერთთა და კაცთა მამად წოდებული ბერძენთა უზენაესი ღვთაება. რეასა და კრონოსის ვაჟის გამოც მას ხშირად კრონიდადაც მოიხსენიებენ ხოლმე. ზევსის მარადიულ ადგილსამყოფელად ოლიმპოს მთა მიაჩნდათ. ძველ ბერძენთა წარმოდგენით ზევსი წარმართავდა ყოველგვარ ცოცხ ბუნებას და განსაკუთრებით კი ელვასა და ჭექა-ქუხილს. თავდაპირველად საბერძნეთის ცალკეულ ოლქებში აღიარებდნენ თავიანთ განსაკუთრებულ ღვთაებებს, რომლებიც წარმართავდნენ ზეცის ძალებს, კერძოდ კი ელვას, ჭექასა და ქუხილს. ასეთები იყვნენ მაგალითად: თებებში ამფიტრიონი, არგოსში აგამემნონი და სხვა. როდესაც საერთო ბერძნული რელიგია ჩამოყალიბდა, ეს ადგილობრივი მნიშვნელობის ღმერთებიც ერთი საერთობაბერძნული ღვთაების — ზევსის სახეში გაერთიანდნენ. ამის გამო ზევსი გახდა ყველაფრისა და ყველას მბრძანებელი. ამის შემდეგაც ზევსს საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში შემორჩა თავისი ძველი სახელებიც. მაგ. ზევს-ამფიარაოსი, ზევს-ამფიტრიონი, ზევს-აგამემნონი და სხვა. როგორც ზეციურ

ძალთა მბრძანებელი, ზევსი თავის მოწინააღმდეგეებს სცეშს მეხს, წარმოშობს ჭექა-ქუხილს, შეკრებს და ფანტავს ღრუბლებს, რამაც გამოიწვია მისი მარადიული ეპითეტების შექმნა: ღრუბელთშემკრები, მეხთამტყორცნელი და სხვა. როდესაც ზევსი ეგიდეს გაარხევს, წარმოიქმნება ქარი და წვიმა. ზევსი მბრძანებლობს არა მარტო ადამიანებს, არამედ ყველა ღმერთსაც. იგი განაწესებს ქვეყნად კეთილსა და ბოროტს. ზოგჯერ მას პირდაპირ ბედისწერასთან აიგივებენ, ანდა მოირების (ბედისწერის ღმერთქალების) მბრძანებლად მიიჩნევენ. მისთვის ნათელია მომავალი და ადამიანებს ბედის განაჩენს აცნობს სიზმრების, ელვა-ჭექა-ქუხილის, ფრინველთა გადაფრენის, საღმრთო ხეთა ფოთლების შრიალის საშუალებით. ყოველგვარი საზოგადოებრივი წესრიგი ზევსისაგანაა დაწესებული. მან მისცა ადამიანებს კანონები, დააწესა მეფის ხელისუფლება. მთელს ბერძნულ მითოლოგიაში ზევსი ოლიმპიელთა მეთაურია. ზევსის მბრძანებლობა ღმერთებზე წააგავს ძველ მიკენელ მეფეთა დამოკიდებულებას თავიანთი ქვეშევრდომებისადმი. ზევსის უმთავრეს საკულტო ადგილად ოლიმპია და ელიდა ითვლებოდა, სადაც მისი სახელგანთქმული ტაძრებიც იმყოფებოდა და დაწესებული იყო მის საპატივცემულოდ შემოღებული ოლიმპიური თამაშობანი.

მისი წმინდა ცხოველებია: არწივი და ხარი. ზევსის მარადიული ატრიბუტებია: ეგიდე და კვერთხი. (ზოგჯერ ჩაქუჩი). როგორც ომებში და შეჯიბრებებში გამარჯვების მიმნიჭებელს, მას ხშირად ხელში უკრავს გამარჯვების ღმერთქალის — ნიკეს გამოსახულება. ცნობილია მითი იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა დედამიწა ზევსი მამამისისაგან:

როდესაც ზევსის დედა-რეა შვილს დაბადებდა, კრონოსი მაშინვე ატაცებდა და ყლაპავდა, რადგანაც ეშინოდა წინასწარმეტყველების ახდენისა: შენი შვილი შენზე ძლიერი იქნება და უფლებას წაგართმევსო, მაგრამ როდესაც ზევსი დაიბადა, რეამ მის მაგივრად ჩვრებში ქვა გაახვია და კრონოსს მისცა ვალმაყლაპავად. პატარა ზევსი კი საიმედოდ გადამალა. როდესაც ზევსი გაიზარდა და დაავადცა, მაშას თავისი და-ძმების დასჯის საშაგიერო გადაუხადა, შეებრძოლა მას, დაამარცხა და აიძულა მუცლიდან ამოეტანებია ყველა ჩაყლაპული შვილი, განრისხებულმა ზევსმა დამნაშავე მამა მიწისქვეშეთში (ქვესკნელში) ჩაგდო და სამყარო თავის ძმებს — პოსეიდონსა და პოსეიდონს გაუნაწილა: პოსეიდონს წილად ხვდა ზღვები და ოკეანეები, ჰადესს მიწისქვეშა სამყარო და მიცვალებულებზე ბატონობა, ხოლო ზევსს ამიერ ქვეყნისა, ყველაფრისა და ყოველივეს მბრძანებლობა. ზევსმა ამის შემდეგ ცოლად შეირთო ჰერა და შეე-

ძინა შვილები: ჰებე, არესი და ზოგი მითის მიხედვით — ჰეფესტო. მათ გარდა სხვა ღმერთქალებისგან თუ მოკვდაეთაგან ზევსს ჰყავდა კიდევ მრავალი შვილი. ზევსის შესახებ უამრავი მითი არსებობს. მითთა უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოცემულია ჰომეროსის პოემებსა და ჰესიოდეს „თეოგონიაში“.

დოდონაში, არკადიასა და კრეტაზე არსებული მითები ზევსის შესახებ საკმაოდ განსხვავდებიან საბერძნეთის სხვა მხარეებში გავრცელებული მითებისაგან. დოდონაში ზევსი მიაჩნდათ ნაყოფიერებისა და ყოველგვარი საჭმლის მომცემ ღვთაებად, ეთერის მბრძანებლად, რომელიც თავის ნება-სურვილს საღმრთო მუხის ფოთოლთა შრიალით ატყობინებს ადამიანებს. ამ მითის მიხედვით ზევსის ცოლია არა ჰერა, არამედ დიონე. კრეტაზე ზევსი ბუნების საიდუმლო ძალათა ღვთაებად მიაჩნდათ. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს ვარიანტი დაედო საფუძვლად საერთო ბერძნულ მითს. ამ ვარიანტის მიხედვით რეამ კრონოსისაგან ფარულად ზევსი კრეტაზე დაბადა, მას იცავდნენ და ზრდიდნენ ჭურუმი — კურეტები. ფერიები: ადრასტეა და იდე მას ფარულად კვებავდნენ თხა — ამალთეას რძით. ერთ დროს კრეტაზე ზევსის საფლავსაც კი აჩვენებდნენ. ელინისტურ პერიოდში ზევსის კულტი ხშირად ირეოდა ამონისა და სერაპისის კულტში. ძველ რომში ზევსი იუპიტერთან გააიგივეს. ანტიკურ ხელოვნებაში ზევსი ყოველისშემძლე, ზვიად და დიდებულ მბრძანებლად გამოისახებოდა. ხელში ეპირა კვერთხი და გამარჯვების ღმერთქალი — ნიკე; ფერხთით ჩვეულებრივად უზის არწივი. ზევსის ასეთი ჭანდაკება ინახება ერმიტაჟში. ზევსის საუკეთესო ქანდაკებად ითვლება ვატიკანში დაცული გამოსახულება. ანტიკურ ნაწარმოებებში ზევსი მოქმედ პირადაა გამოყვანილი ჰომეროსთან, ლუკიანესთან (აქ მას მიცემული აქვს სატირული სახე) და ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეში.“ გადატანითი მნიშვნელობით ზევსი ნიშნავს ღიარებულ მეთაურს, ხელმძღვანელს, დიდ შემოქმედს. გერცენი გოეთეს უწოდებდა ხელოვნების ზევსს.

ზევსიპე, ბერძნ. (Ζεύξιππος, ბ) 1. პანდიონოსის მეუღლე, ერეხთევსის დედა. 2. პროკნესა და ფილომელეს დედა. იგივე ძევსიპე.

ზეფიროსი, ბერძნ. (Ζέφυρος, ბ) დასავლეთის ქარი. წვიმის მომტან დასავლეთის ქარის განსახიერება. ეოსის ვაჟი. ბორეასის, ევროსისა და ნოტოსის ძმა. ზეფიროსს შეუყვარდა ქლორიდა (ფლორე) რომლისგანაც შეეძინა ნაყოფის ღვთაება კარპოსი. ჰარპია პოდარგეს ზეფიროსისაგან შვა მძვინვარე ცხენები. ზეფიროსმა ეჭვიანობის საფუძველზე მოკლა იაკინთე. ჰომეროსის მიხედვით ზეფიროსი ნეტართა კუნძულზეც კი უბერავს, სადაც მუდამ კარგი ამინდია. გადატანითი მნიშვნელობით ზეფიროსი დასავლეთის სუსტ, სასიამოვნო ქარს — სიოს ეწოდება. იგივე ძეფიროსი.

ზოდიაკი, ბერძნ. (Ζῳδιακός, ბ — ცხოველთა წრე) თორმეტი ვარსკვლავი, რომელთა შორის გაივლის მზე თავისი წლიური მოძრაობის დროს ხილულ სამყაროში, მათ ადრე ბერძნული მითოლოგიიდან გამომდინარე, ძირითადად ცხოველთა სახელები ერქვათ. იგივე ძოდიაკი.

— თ —

თავმაკოსი, ბერძნ. (Θαύμακος, ბ) არგონავტ პოიანტის მამა.

თავმანტი, ბერძნ. (Θαύμας αντος, ბ) პონტოსისა და გეას ვაჟი. ირიდასა და ჰარპიების მამა. ოკეანიდ ელექტრას ქმარი. ნერევსის, ფორკოსის, კეტოსა და ევრიბიას ძმა. ზღვის ერთ-ერთი ღვთაება.

თალია, ბერძნ. (Θάλεια, ჭ) 1. ერთ-ერთი ნერეიდა, ნერევსისა და დორიდას ქალიშვილი. ერთ-ერთი ჭარიტთაგანი. ერთ-ერთი ცხრა მუზათაგანი. 2. კომედიის მფარველი მუზა, გამოისახებოდა მსუბუქ ტანსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდა ლამაზ ქალად. მარცხენა ხელში ეპირა კომიკური ნიღაბი, ხოლო მარჯვენაში — მწყემსის კომბალი. თავზე ედგა სუროს გვირგვინი. გადატანითი მნიშვნელობით თალიას შვილებს ან გაზრდილებს მსახიობებს უწოდებენ, ხოლო თალიას ტაძარს — თეატრს.

თალო, ბერძნ. (Θάλλω — აყვავება, აყვავებული) მცენარეთა ყვავილობის მფარველი და ხელისმეწყობი ღმერთქალი ძველ საბერძნეთში.

თალპიოსი, ბერძნ. (Θάλπιος, ბ) ეპეელთა წინამძღოლი ტროას ომში.

თამირისი, ბერძნ. (Θάμυρις, ბ) მითიური თრაკიელი მომღერალი. მუსიკოს ფილამონისა და ფერია არგიოპეს ვაჟი. (ზოგი ვარიანტით ფერია ერატოს ან მელპომენეს ვაჟი). თამირისი იმდენად გააამაყა სიმღერის საუცხოო ნიჭმა, რომ გაბედა შეჯიბრებოდა მუზებს. გამარჯვებულმა მუზებმა მას ხმა და კითარზე დაკვრის ნიჭი

წაართვეს. მეორანდელი მითის მიხედვით, თითქოს, მეზებმა დასჯილ პომღერალი ჰადესში ჩააგდეს. ამ თემაზე სოფოკლეს დაუწერია ტრაგედია, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ ტრაგედიაში თვით ავტორიც თამაშობდა.

თ ა ნ ა ტ ო ს ი, ბერძნ. (Θάνατος, ὁ — სიკვდილი) ძილის ღმერთის —ჰიპნოსის ტყუპისცალი. სიკვდილის განსახიერება და ღმერთი თანატოსის სახე, შესაძლოა, ფოლკლორის ნაყოფი იყოს. ჰესიოდეს მიხედვით თანატოსი არის ნიკტის ვაჟი. ჰიპნოსის ძმა. თანატოსს აქვს რკინის გული და ამიტომაც არავინ ებრალება. იგი ძალიან ეჯავრებათ არა მარტო ადამიანებს, არამედ ღმერთებსაც. რადგანაც იგი ერთადერთი არსებაა, რომელზეც არ მოქმედებს არავითარი პატივისცემა და საჩუქრები. ბერძნული ტრაგედიების მიხედვით თანატოსი შაბტანსაცმელში გამოწყობილი ფრთოსანი არსებაა. მას ხელში ხმალი უჭირავს. სპარტაში არსებობდა თანატოსის კულტი. მოგვიანებით, ხელოვნებაში, თანატოსი ფრთოსან ყმაწვილად გამოისახებოდა, რომელსაც ხელში ჩამქრალი ჩირაღდანი ეჭირა. სიზიფოსის მითის მიხედვით თანატოსი სამაცილო არსებაა. შემდეგ პერიოდში თანატოსი ულამაზო და გამხდარ მამაკაცად წარმოიდგინეს. მას ხელში ბედაცელი უჭირავს ადამიანთა სიცოცხლის მოსათიბავად. თანატოსი ახლა კაენის შეილადაა მიჩნეული.

თ ა რ გ ე ლ ი ე ბ ი, ბერძნ. (Θαργήλια, τά) აპოლონისა და არტემიდესადმი მიძღვნილი ზეიმები (თიბვის დროს) ძველ საბერძნეთში. აქედან მიიღო სახელწოდება ატიკური წელიწადის ერთმა თვემ — თარგელიონმა. (მაისს ბოლო და ივნისის დასაწყისი). სწორედ ამ თვეში იმართებოდა ეს დღესასწაულები.

თ ე ა ნ ო, ბერძნ. (Θεανώ, ἡ) თრაკიის მეფის —კისევსის ქალიშვილი, ანტენორის ცოლი, ათენას ქურუმი ტროაში.

თ ე ზ ე ვ ს ი, ბერძნ. (Θησεύς, ὁ) ათენის მეფის— ეგეოსისა (ზოგი ვარიანტით პოსეიდონის) და ეთრას ვაჟი. ატიკელი გმირი, ანტიკურ საბერძნეთში თეზევსი ისტორიულ პიროვნებად ითვლებოდა და პლუტარქემ მისი ბიოგრაფიაც კი დაწერა, ერთ-ერთი მითი გვიამბობს, რომ ერთხელ, მოგზაურობისას, მეფე ეგეოსმა ცოლად შეირთო ადგილობრივი მეფის ქალიშვილი — ეთრა, ათენში დაბრუნების წინ ეგეოსმა თავისი ხმალი და სანდლები უზარმაზარი ლოდის ქვეშ დადო და ეთრას დაუბარა: თუ მას ვაჟი შეეძინებოდა, როცა წამოიზრდებოდა, მისთვის ეს ქვა აეწევინებინა და თუკი ამას შესძლებდა, დატოვებული ნივთები მისი ხელით მიეტანა მამისათვის ათენში. ბევშვი მართლაც ვაჟი გამოდგა და პაპის სანდლის იზრდე-

ბოდა. მის ზედამხედველთა შორის ერთ-ერთი კენტავრი ქირონიც იყო. როდესაც ყმაწვილი წამოიზარდა, დედამ გაუმხილა, თუ ვინ იყო მისი მამა და გადასცა დანაბარებიც. თეზევსმა თავისუფლად დაადაბრუნა ქვა, მამის ნივთები გამოიღო და ათენს გაემგზავრა, მაგრამ არა ზღვით, არამედ უფრო საშიშარი გზით —ხმელეთით, რის გამოც ათენში ძისკლამდე ახალგაზრდა გმირს ბრძოლის თავგადასავალი გადახდა:

1. ეპიდავრის მახლობლად მოკლა პეფსატოს ვაჟი — ყანაღი პერიფეტე, რომელიც მუხის კომბლით ხოცავდა უდანაშაულო მგზავრებს.

2. ისთმიის ტყეში გაელაშა თეზევსს შეხვდა ყანაღი, რომელსაც პიტიოკამპტს (ფიჭვის მზნექელს) ეძახდნენ. იგი დაიჭერდა მგზავრებს, მოხრიდა ორ მაღალ ფიჭვს, ტყვის ერთ ფეხს ერთი ხის კენწეროზე მიაბამდა, მეორეს — მეორეზე, ხეებს გაუშვებდა და ამგვარად შეაზე ხლეჩდა. თეზევსმა დაიჭირა ყანაღი და მისივე გამოგონილი მეთოდით მოკლა.

3. მეგარიდასა და ატიკის საზღვარზე თეზევსმა მოკლა სკირონი, რომელიც გამვლელებს იძულებით ჯერ ფეხებს აბანინებდა, შემდეგ კი კლდიდან ზღვაში აგდებდა.

4. ელევსინში თეზევსმა დაამარცხა ბუქპერაზი კერკიონი.

5. მდინარე კეფისოსთან თეზევსმა მოკლა დამასტესი, რომელსაც ზედმეტ სახელად პროკრუსტეს ანუ გამწელავს უწოდებდნენ. (იხ. პროკრუსტე) როდესაც თეზევსი ათენში მივიდა, ეგეოსის ცოლმა — მედეამ იცნო იგი. იმის შიშით, რომ თეზევსს მისი ვაჟისათვის ტახტის მემკვიდრეობა არ წაერთმია, მედეამ ქმარს შთააგონა მისი მოწვევის აუცილებლობა. ეგეოსი ცოლის რჩევას შეასრულებდა, მაგრამ თეზევსმა მოასწრო მამისეული ნივთების გამოჩენა და მედეას განზრახვაც გამოაშკარავდა. ამ ამბის შემდეგ მედეა კოლხეთში გაქრა. ეგეოსმა თეზევსი ტახტის კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადა. გაბოროტებულმა ეგეოსის ძმისშვილებმა ამბოხება მოაწყვეს, თეზევსმა ისინი დაამარცხა.

თეზევსის მრავალ გმირობათაგან აღსანიშნავია მარათონის ხარის დაჭერა და აპოლონიათვის მსხვერპლად შეწირვა. თეზევსის მთავარ გმირობად ითვლება მინოტავრის მოკვლა.

კრეტის მეფის — მინოსის ცოლმა ანდროგეოსმა შეჯიბრებაში გაიმარჯვა, რის გამოც მოკლეს მეტოქეებმა (ზოგი ვარიანტით თავისივე ნების წაგებით გამწყრალებულმა ეგეოსმა ანდროგეოსი განზრახ გაგზავნა მარათონის ხართან საბრძოლველად და ხარმა მოკლა იგი). გან-

რისხებულმა მინოსმა ათენელებს შვილის მოკვლისათვის უმძიმესი ხარკი დაადო, მათ კრეტაზე მცხოვრებ მინოტავრისათვის ყოველ წლიურად უნდა გაეგზავნათ შვიდი ვაჟი და შვიდი ქალი. ურჩხული მოკლა თეზევსმა. მითების მიხედვით თეზევსს მიეწერება ატიკის გაერთიანება, მისი მცხოვრებლების ერთ ქალაქში თავმოყრა, საერთო ათენური დღესასწაულების ე. წ. პანათენიების დაწესება, მრავალი ჩვეულებისა და რიტუალის შემოღება-დამკვიდრება. ატიკელებს თეზევსი თავიანთ ეროვნულ გმირად მიაჩნდათ და დორიელ ჰერაკლეს უპირისპირებდნენ, ცდილობდნენ, რომ გმირობით თეზევსს ჰერაკლესათვის გადაეჭარბებინა, რის გამოც თეზევსი ხდება არგონავტიკის, კალიდონის ნადირობისა და სხვა საგმირო საქმეთა მონაწილე. ზოგჯერ თეზევსის შესახებ არსებული მითები ჰერაკლესას ერწყმიან. თეზევსი მონაწილეობდა ჰერაკლეს ლაშქრობაში ამორძალების წინააღმდეგ. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით კი ეს ლაშქრობა მხოლოდ თეზევსმა მოაწყო. თეზევსმა თან წამოიყვანა ამორძალების დედოფალი და ცოლად შეირთო. თავისი დედოფალის დასაბრუნებლად ამორძალები თავს დაესხნენ ატიკას. სისხლისმღვრელი ომი არეოპაგთან მებრძოლ ქალთა დამარცხებით დამთავრდა. ომში ამორძალების დედოფალი ანტიოპე უკვე ატიკელების მხარეზე იბრძოდა, მაგრამ დაიღუპა. თეზევსისა და ანტიოპეს ვაჟის — იპოლიტოსსა და თეზევსის მეორე ცოლთან ფედრასთან დაკავშირებული ფართოდ ცნობილი მითი (იხ. ფედრა, იპოლიტოსი). კიდევ ერთი მითის მიხედვით თეზევსი დიდი მეტოქეობისა და ბრძოლების შემდეგ უმეგობრდება ლაპითების მეფეს — პეირითოოსს და მასთან ერთად იბრძვის კენტავრების წინააღმდეგ. მასთან ერთად იტაცებს თეზევსი ელენეს, პეირითოოსმა და თეზევსმა განიზრახეს ჰადესიდან პერსეფონეს ამოყვანა, მაგრამ ამისათვის ისინი ღმერთებმა დასაჯეს და ქვესკნელში კლდეზე მიაჯაჭვეს. მეგობრები ჰერაკლემ გაათავისუფლა. სანამ თეზევსი მიწისქვეშეთში იტანჯებოდა, ათენში ტახტი ხელთ იგდო ეგეოსისაგან განდევნილი მეფის ვაჟმა — მენესთეევსმა. თეზევსის ჰადესიდან დაბრუნების შემდეგ ათენელებმა ახალი მეფის მხარე დაიჭირეს. გაწბილებულმა თეზევსმა დაწყევლა თანამოქალაქეები და კუნძულ სკიროსზე გადაიხვეწა, სადაც მალე მოკლა მეფე ლიკომედისმა. (ზოგი ვარიანტით თვით გადავარდა ზღვაში და თავი დაიხრჩო). თეზევსის ვაჟმა — დემოფონტემ დაიბრუნა მამის ტახტი და მოლალატეებს აპატიმრისი მიუზღო. ატიკაში თეზევსი გმირად და ათენის სახელმწიფოს დამაარსებლად ითვლებოდა. საფიქრებელია, რომ თეზევსი იყოს პოსეიდონის ერთ-ერთი ადგილობრივი სახელწოდება, რომელიც შემდეგ დამოუკიდებელ მითოლოგიურ პერსონაჟად იქცა. შესაძლოა თეზევსი თავდაპირველად ისტორიული პიროვნება იყო, მაგრამ ეროთა განმაელობაში გადაიქცა მითოლოგიურ გმირად. თეზევსი ჰერაკლეს მსგავს ძლიერ მამაკაცად გამოისახებოდა.

თ ე ი ა, ბერძნ. (Θεία, ჩ) ტიტანიდა. ურანოსის უფროსი ქალიშვილი. ჰიპერიონის და და მეუღლე. ჰელიოსის, სელენესა და ეოსის დედა. ერთ-ერთი გვიანდელი მითის მიხედვით ტიტანებმა მოკლეს ჰიპერიონი და ამოხოცეს მისი შვილები, მაგრამ ღმერთებმა სელენე (მთვარე) და ჰელიოსი (მზე) მნათობებად აქციეს. თეია კი უკვდავყვეს და ცაში წაიყვანეს. ამის შემდეგ თეიას მსოფლიოს საწყისის ღვთაებად მიიჩნევდნენ. (მზის, მთვარის და განთიადის ღმერთქალი). თეიას ზოგჯერ დიდ დედასთან — კიბელასთან აიგივებდნენ.

თ ე მ ი დ ა, ბერძნ. (Θέμις -ιδος, ჩ) ტიტანიდი, ზევსის ცოლი. მორების დედა (ესქილეს მიხედვით პრომეთეს დედა) სიმართლის, მართლმსაჯულებისა და წინასწარმეტყველების ღმერთქალი. მოგვიანებით თემიდა დიკესთან ერთად უზენაეს ღვთაებათა მრჩეველი ხდება. იგი გადაწყვეტილებას აღძრავდა ზევსის ბრძანებებსა და ნებაყოფლებს. თემიდა ითვლებოდა მოსაყიდავი და ობიექტური მსაჯულების მფარველად. თემიდა გადატანითი მნიშვნელობით მართლმსაჯულებას, სიმართლეს ნიშნავს. ხშირად მოსამართლეებსა და იურისტებს თემიდას მსახურებს უწოდებენ. თემიდა ხელოვნებაში გამოისახებოდა თვალებახვეულ ქალად, რომელსაც ხელში სასწორი და სიუხვის რქა ეჭირა.

თ ე მ ი ს კ ი რ ა, ბერძნ. (Θεμίσκυρα, ჩ) შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ლეგენდარული მხარე, სადაც, თითქოს, ცხოვრობდნენ მეომარი ქალები — ამორძალები (ამაძონები).

თ ე მ ი ს ტ ო, ბერძნ. (Θεμιστώ, ჩ) ათამანტის ცოლი. როდესაც ათამანტი თავის ადრინდელ ცოლს ინოს დაუბრუნდა, გამწარებულმა თემისტომ შურისძიების მიზნით გადაწყვიტა, ინოს შვილები დაეხოცა. მან მოიხმო მსახური და უბრძანა ინოს ბავშვები შავი ტანსაცმელით შეემოსა, ხოლო მისი — თეთრით, რათა შეძლებოდა ღამის სიბნელეში ინოს ბავშვების გამორჩევა თავისი შვილებისაგან. მსახური გადაკეთელი ინო აღმოჩნდა და ბავშვები პირიქით შემოსა. ინოს ნამოქმედარი თემისტომ ვერ გაიგო და საბანელში თავისი შვილები დახოცა. როდესაც ეს უბედურება თემისტოსათვის ცნობილი გახდა, მან თავი მოიკლა.

თ ე ო გ ო ნ ი ა, ბერძნ. (Θεογονία, ჩ — ღმერთების დაბადება, შექმნა). ძველი ბერძნების წარმოდგენით ღმერთები და სამყარო

შემდეგნაირად შეიქმნა: უპირველესად წარმოიქმნა ქაოსი, მის შემდეგ კი ფართომკერდიანი გეა (დედამიწა), შემდეგ — ტარტაროზი (ქვესკნელის ბოროტ ძალათა მფლობელი) და ეროსი (სიყვარული). გეამ შვა ურანოსი (ცა) და პონტოსი (ზღვა). ქაოსისაგან დაიბადნენ ნიქტი (დამე) და ერებოსი (სიბნელე). მათი ქორწინების შემდეგ სამყაროს მოეფინა ნათელი ეთერი და ციშუქმა ჰემერა (დღე). გეა დაქორწინდა ურანოსზე და დაბადა: okეანოსი, იაპეტი, რეა, თემიდა, მნემოსინე, კრონოსი და სხვა ტიტანები და ტიტანიდები. გეამ შვა აგრეთვე კიკლოპები, ჰეკატონხეირები (ასხელოვანი ბუმბერაზები). როდესაც ურანოსმა მეტისმეტად შეაწუხა გეა, დედის თხოვნით მამას კრონოსი ჩაუსაფრდა და როდესაც ამის საშუალება მიეცა, ცელით სასჭესო ორგანო მოაკვეთა. ურანოსის დანაღვენი სისხლიდან გეამ დაბადა გიგანტები და ერინიები. მამის დამარცხების შემდეგ ძალაუფლება ხელთ იგდო კრონოსმა და ქვეყნად იგი გამეფდა. იმის შიშით, რომ მასაც მამამისის ბედი არ სწეოდა, როგორც კი მისი ცოლი — რეა ბავშვს დაბადებდა, მაშინვე ყლაპავდა ახალშობილს. როდესაც ამან სერიოზული ხასიათი მიიღო და რეა უშვილო რჩებოდა, ქმარს ახალდშობილი ზევსის ნაცვლად ჩვრებში შებღეული ლოდი გადააყლაპა, ბავშვი კი საიმედოდ გადამალა (იხ. ზევსი, ამალთეა). როდესაც ზევსი გაიზარდა, შეებრძოლა მამას, დაამარცხა და აიძულა ამოვნთხიო ჩაყლაპული შვილები. ამის შემდეგ ქვეყნად ზევსი გამეფდა და სამყარო შემდეგნაირად გაანაწილა თავის ძმებს შორის: თვითონ მიიკუთვნა საერთო მბრძანებლობა და ცა, პოსეიდონს ზღვები, okეანეები და საერთოდ წყლის სტიქიაზე მბრძანებლობა უბოძა, ხოლო ჰადესს მიწისქვეშეთი და მიცვალებულთა სამყარო.

იაპეტის ვაჟი — პრომეთე ადამიანთა წინაპარი გახდა და მათთვის ზევსს ცეცხლი მოსტაცა, რისთვისაც იგი სასტიკად დასაჯა ზევსმა. ზევსისა და საერთოდ olიმპიელებისაგან ტიტანების დამარცხების შემდეგ საბოლოოდ განმტკიცდა მათი ძალაუფლება. ეს უკვე ღმერთების მესამე თაობაა. ზევსმა ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ცოლად შეირთო მართლმსაჯულების განმასახიერებელი ღმერთქალი — თემიდა. თემიდას გარდა ზევსს ცოლებად სხვადასხვა მითი მიიჩნევს ევრინომეს, მნემოსინეს, დემეტრეს, ლეტოს, ჰერას და სხვა. შემდეგდროინდელ მითებში ჰერა გვხვდება ზევსის განუყრელ მეუღლედ. თეოგონიის ზოგიერთი მითი ადმოსავლური წარმოშობისა ჩანს. ჩვენს ერამდე VIII საუკუნეში ჰესიოდემ დაწერა პოემა „თეოგონია".

თ ე ო კ ლ ი მ ე ნ ო ს ი, ბერძნ. (Θεοκλύμενος, ბ) არგოლიდელი წინასწარმეტყველი, მელამპოდოსის შთამომავალი. არგოლიდა-

ში მკვლელობის ჩადენის შემდეგ იგი პილოსში გაიქცა, იქ ტელემაქეს შეხვდა და ითაკაში გაჰყვა. მან აუწყა პენელოპეს ოდისევსის დაბრუნების შესახებ. მანვე იწინასწარმეტყველა ოდისევსის მიერ პენელოპეს საქმროების ამოხოცვა.

თ ე ო ნ ო ე, ბერძნ. (Θεονόη, ჩ) კალქანტისა და ლეუკიპეს და.

თ ე რ ს ა ნ დ რ ო ს ი, ბერძნ. (Θερσάνδρος, ბ) ერთ-ერთი ეპიგონთაგანი, პოლინიკეს ვაჟი. თებეს მეფე ქალაქის ეპიგონთაგან აღების შემდეგ. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითების მიხედვით თერსანდროსი მონაწილეობდა ტროის ომში და მოკლა ტელეფოსმა მისიაში ბერძნების პირველად გადასელისას.

თ ე რ ს ი ტ ე, ბერძნ. (Θερσίτης, ბ) უბრალო ბერძენი მეომარი, რომელმაც ტროის ომის დროს აგამემნონთან შეკამათება გაბედა. თერსიტე შეეკამათა სხვა მხედართმთავრებსაც და ამის გამო სცემა ოდისევსმა. გვიანდელი მითების მიხედვით თერსიტე მოკლა აქილევსმა მისთვის მტრობა-დაბეზღებისა და ამორძალების მოკლული დედოფლის — პენთესილეას გვამის შეგინებისათვის. თერსიტე არის დაბეჩავებული კლასის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც ხმა აიმაღლა მჩაგვრელებისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ჰომეროსმა, როგორც გაბატონებული კლასის წარმომადგენელმა და მისი ინტერესების დამცველმა, თერსიტეს სახე კარიკატურულად დახატა.

თ ე ს ა ლ ო ს ი, ბერძნ. (Θεσσαλός, ბ) 1. ჰერაკლეს ვაჟი. 2. ჰემონის ან იასონის ვაჟი. მისი სახელი ეწოდა თესალიას. 3. ჰერაკლეს შთამომავალი, რომელიც დაიღუპა ფინიკიელებთან ბრძოლაში სიცილიაში კოლონიის დაარსების შემდეგ.

თ ე ს მ ო ფ ო რ ო ს ი, ბერძნ. (Θεσμοφόρος, ბ, ჩ — კანონმდებელი). დემეტრესა და პერსეფონეს ეპიკლესი (ზედსახელი).

თ ე ს მ ო ფ ო რ ი ე ბ ი, ბერძნ. (Θεσμοφόρια, τά) დემეტრესადმი, როგორც მიწათმოქმედების, ქორწინების, სამოქალაქო წესრიგის დამფუძნებელი ღმერთქალისადმი მიძღვნილი ზეიმები, რომელიც საბერძნეთის მრავალ ქალაქსა და საკულტო ადგილებში იმართებოდა. პელეპონესში ამ ღღესასწაულს უძველესი დროიდან აღნიშნავდნენ და იქ თითქოს დანაოსის ქალიშვილებმა შემოიტანეს ეგვიპტიდან. ზეიმებს აწყობდნენ ე. წ. პიანეფსიონის თვეში (ოქტომბერ — ნოემბერი) და მიმდინარეობდა ხუთი დღის განმავლობაში. ზეიმში მონაწილეობდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი (არა მონა) გათხოვილი ქალები. ზეიმზე მისვლა მამაკაცებს სასტიკად ეკრძალებოდათ.

თესტიოსი, ბერძნ. (Θέστιος, ბ) არესის (ზოგი ვარიანტით აგენორისა და დემონიკეს) ვაჟი. ზოგი მითის მიხედვით ეტოლიის მეფე. იფიკლეს, ევროპეს, ევრიპილოსის, ლედას და სხვათა მამა. ლეკიპეს, ლაოფონტესა და დეიდამიას ქმარი.

თესტორი, ბერძნ. (Θέστωρ -ορος, ბ) იდმონისა და ლაოთოეს ვაჟი. კალჭანტის, ლევკიპესა და თეონოეს მამა. მისი ქალიშვილი თეონოე მოიტაცეს მეკობრეებმა და კარიის მეფეს — იკაროსს მიჰყიდეს. მეფეს შეუყვარდა მსახური და ცოლად შეირთო. თესტორი ქალიშვილის ძებნის დროს ტყვედ ჩაუვარდა იკაროსს და მისი მსახური გახდა. მან ვერ იცნო უკვე დედოფალი თავისი შვილი და ვერც შვილმა იცნო მამა. დაკარგული მამისა და დის მოსაძებნად წავიდა თესტორის მეორე ქალიშვილი, — ვაჟურად ჩაცმული ლევკიპე. ისიც კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ კარიის მეფის კარზე მოხვდება. ვაჟურად ჩაცმული ლევკიპე მოეწონება და შეუყვარდება დედოფალ თეონოეს. როდესაც დედოფალს ლევკიპემ თანაგრძნობა ვერ გაუწია, განრისხებულმა დედოფალმა ციხეში ჩააგდო და მის მოსაკლავად თესტორი გაგზავნა. ლევკიპემ თესტორს ვინაობა გაუმჟღავნა. აღტაცებული მამა-შვილი დედოფალთან მიეიდნენ და ყველაფერი უთხრეს. ამ შემთხვევამ დედოფლის ვინაობაც გამოარკვია. მოულოდნელი და დიდი სიხარულით კმაყოფილი მამა და მისი ქალიშვილები დიდხანს მხიარულებდნენ მეფესთან ერთად. იკაროსმა დიდი პატივით გამოისტუმრა ბეღნიერი მამა და მისი ქალიშვილები.

თეტალოსი, ბერძნ. (Θετταλός, ბ) მედეას და იასონის ვაჟი. როდესაც იასონზე გამარჯვებულმა მედეამ შვილები დახოცა, თეტალოსი გადარჩა, იგი კორინთოში აღიზარდა და შემდეგ იასონის სამშობლოში — იოლკოსში მიეიდა. აქ მემკვიდრეობით მიიღო სამეფო ხელისუფლება და თავისი სახელის მიხედვით ქვეშევრდომებს თეტალები უწოდა.

თეტიდა, ბერძნ. (Θέτις -ιδος, ჩ) ზღვის ღმერთქალი, ნერეიდი. ნერევსისა და დორიდეს ქალიშვილი. მითის ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით იგი კენტავრ ქირონის ასულია. როგორც ნერევსის უფროსი ქალიშვილი, თეტიდა ითვლებოდა ნერეიდების უფროსად და ხელმძღვანელად. თეტიდა ხშირად ეხმარებოდა ღმერთებს და ამით მათ პატივისცემას იმსახურებდა. მაგალითად, მან მოუხმო ბრიარეოსს ზევსის დასახმარებლად, იგი მალაედა ათი წლის განმავლობაში ოლიმპოდან გადმოგდებულ ჰეფესტოს, დიდი დახმარება აღმოუჩინა დიონისეს და ა. შ. ზევსმა და პოსეიდონმა შეძლეს თეტიდასთან გამიჯნურება, მაგრამ როდესაც სამისნომ იწინასწარმეტყ-

ველა თეტიდას ვაჟი სიძლიერით მამას გადააჭარბებსო, ზევსმა ხელი აიღო მასთან ჭორწინებაზე და იძულებით მიათხოვა მოკვდავ პელევსს. თეტიდას არ უნდოდა პელევსს გაჰყოლოდა და ამისათვის გადაიქცა ლომად, გველად, წყლად, ცეცხლად და სხვა, მაგრამ პელევსმა მაინც მოახერხა თეტიდას შერთვა. თეტიდასა და პელევსის ჭორწილზე ყველა ღმერთი დაპატიჟეს განხეთქილების ღმერთქალის — ერიდას გარდა. ამით აღშფოთებულმა ერიდამ მეჭორწილეებს სამაგეროს გადახდის მიზნით, ოქროს ვაშლი შეუგდო წარწერით „ულამაზესს", (იხ. განხეთქილების ვაშლი) რამაც ტროის ომი გამოიწვია. პელევსისაგან თეტიდას გაუჩნდა აქილევსი. ზოგი მითის მიხედვით თეტიდასა და პელევსს კიდევ ჰყავდათ ექვსი ვაჟი, მაგრამ ყველანი დაიღუპნენ თეტიდას მიერ ცეცხლზე წვრთობისას). აქილევსი, როგორც მოკვდავი პელევსის ვაჟი, მიუხედავად იმისა, რომ დედამისი უკვდავი იყო, მოკვდავად რჩებოდა. თეტიდა ცეცხლის ალით აწვრთობდა აქილევსს, რათა მისთვის უკვდავება მიენიჭებინა. პელევსმა ვერთხელ შენიშნა ეს და თეტიდას აქილევსი ხელიდან გამოსტაცა, ამით მან აქილევსს უკვდავება დააკარგვინა. ამ ამბის შემდეგ თეტიდა გასცილდა პელევსს და ზღვაში ნერევსთან დაიმალა, თუმცა შვილს მაინც მუდამ თვალს ადევნებდა და გაჭირვებაში ეხმარებოდა. იმის გამო, რომ თეტიდამ იცოდა აქილევსი ტროის ომში უნდა დაღუპულიყო, მან შვილი გადამალა, მაგრამ რაკი მაინც იპოვა ოდისევსმა და აუცილებელი შეიქმნა მისი ომში ჩაბმა, თეტიდამ ჰეფესტოს აქილევსისათვის საუცხოო საჭურველი გააკეთებინა, რომელთაგან განსაკუთრებით ფარი გამოირჩეოდა (იხ. აქილევსის ფარი). თეტიდამ დაარიგა შვილი, რათა პირველი მაინც არ გადასულიყო ტროის ხანაპირობაზე, რადგანაც პირველ გადამსვლელს უცილობელი სიკვდილი ელოდა.

თეტიდა ზოგჯერ ვერცხლისფეხება ღმერთქალადაა აღიარებული და მისი ფეხები ხშირად ქალის ულამაზესი ფეხების ეპითეტადაა გამოყენებული.

თიესტე, ბერძნ. (Θυέστης, ბ) მიკენის მეფე, ეგისთეს მამა, პელოპის ვაჟი, ატრევსის ძმა.

თიესტიადი, ბერძნ. (Θυεστιάδης, ბ) თიესტეს ვაჟი (ე. ი. ეგისთე).

თიონე, ბერძნ. (Θυώνη, ჩ) დიონისეს დედის — სემელეს სახელი მისი გაღმერთების შემდეგ.

თირსისი, ბერძნ. (Θύρσις, ბ) დიონისესა და მისი თანამგზავრების კვერთხი, ჯოხი, რომელიც დაწნული იყო სეროთი და ვაზის ფოთლებით. შემკული იყო ნაძვის გირჩებით.

თისბე, ბერძნ. (Θίσβη, ἡ) პირამოსის სატრფო. ფერაია (იხ პირამოსი.)

თოანტი, ბერძნ. (Θόας -αντος, ὁ) 1. ანდრემონის ვაჟი, ეტოლიის მეფე. ტროის ომში იბრძოდა ბერძნების მხარეზე. 2. ბახუსისა და არიადნეს ვაჟი, ლემნოსის მეფე. 3. ტროელი გმირი, ტროის ომში მოკლა მენელაოსმა. 4. ტავრიდის (ყირიმის) მითიური მეფე. მან აიძულა ოფიგენია გამხდარიყო არტემიდეს ქურუმი. 5. იასონისა და ჰიფსიპილეს ვაჟი.

თრასიდემოსი, ბერძნ. (Θρασύδημος, ὁ) სარპედონის მეეტლე.

თრასიმედე, ბერძნ. (Θρασυμήδης, ὁ) პილოსელი ნესტორის ვაჟი.

თრიები, ბერძნ. (Θριαί, αἱ) ფერიები, რომლებიც პარნასის მთაზე ცხოვრობდნენ და აპოლონს ძუძუს აწოვებდნენ.

თრონია, ბერძნ. (Θρονία, ἡ) ბეოტოსის ქალიშვილი, ეგვიპტოსისა და დანაევსის და.

თუია, ბერძნ. (Θυία, ἡ) კეფისოსის ქალიშვილი, აპოლონის სატრფო, მას მიეწერება დიონისესადმი მიძღვნილი დღესასწაულების, ეგრეთ წოდებული „ორგიების“ დაარსება — ჩამოყალიბება. ზეიმები პარნასის მთაზე იმართებოდა და მისი ჩამომყალიბებლის თუიას სახელს ატარებდა. ზეიმის მონაწილეებს თუიადები ეწოდებოდათ.

— 0 —

იაკინთოსი||ჰიაკინთოსი. ბერძნ. (Ὑάκινθος, ὁ) მცენარეულობის წინაბერძნული ღვთაება, რომლის კულტი შემდეგ აპოლონისას შეუერთდა. გვიანდელი მითების მიხედვით იაკინთოსი ულამაზესი ყმაწვილია, იგი უყვარს აპოლონსა და ქარის ღმერთს — ზეფიროსს. იმისათვის, რომ იაკინთოსისათვის აპოლონი შეეძულებინა, ზეფიროსმა ვარჯიშობის დროს აპოლონისაგან გატყორცნილი დისკო იაკინთოსისაკენ წარმართა და მას მოახვედრა. მოხვედრის ადგილიდან სისხლი წამოუვიდა იაკინთოსს და აპოლონმა ამ სისხლისაგან ყვავილი იაკინთი (იგივე იაცინტი) აღმოაცენა. იაკინთოსის კულტის ცენტრად ამიკლოსი ითვლებოდა, სადაც მისა და აპოლონის პატივ-

საცემად სამდღიანი ზეიმები იმართებოდა. კლასიკურ ეპოქაში ამიკლოსში მიუთითებდნენ იაკინთოსის საფლავს, იგი აპოლონის ქანდაკების ფერხთით მდებარეობდა.

იაკხოსი, ბერძნ. (Ἴακχος, ὁ) ელევსინური ღვთაება. ბგერათა მსგავსებისა და ქღერადობის გამო გაიგივეს ბახუსთან (ბაკხოსთან). ელევსინში იგი ითვლებოდა ხან დემეტრესა და ხან პერსეფონეს ვაჟად. იაკხოსი დაგლიჯეს ტიტანებმა, მაგრამ ღმერთებმა მკვდრეთით აღადგინეს და ხელახლა დაიბადა დიონისეს სახით. იაკხოსს ზოგჯერ, როგორც პერსეფონეს ვაჟს, თრაკიელ ძაგრეუსთან, ან ფრიგიელ საბაძიოსთან აიგივებდნენ. ზოგი მითი იაკხოსს დემეტრეს ქმრადაც მიიჩნევს, ზოგი კი დიონისეს ვაჟად.

იამოსი, ბერძნ. (Ἴαμος, ὁ) აპოლონისა და ევადნეს ვაჟი, პოსეიდონის შვილიშვილი. ოლიმპიელ ქურუმთა ქადაგი და მითიური წინაპარი. იამოსი აზრდებოდა არკადიაში (მეფის სასახლეში). საყმაწვილეში იგი აპოლონის დავალებით ოლიმპიაში წავიდა, სადაც მყრთხაობდა ფრინველთა ჭიკჭიკისა და შეწირულ ცხოველთა ცხელი ტყავის საშუალებით.

იანირა, ბერძნ. (Ἰάνειρα, ἡ) 1. ერთ-ერთი ნერეიდი. 2. ერთერთი ოკეანიდი. 3. კაპანევსის ცოლი, სავარაუდოა იყოს ევადნეს ზედმეტი სახელი.

იანუსი, ლათ. (Ianus) დასაწყისისა და დროის ღვთაება ძველ იტალიაში, რომლის სახელწოდება ლათინური სიტყვიდან („Ianua“ — კარი) უნდა მომდინარეობდეს. წელიწადის დაწყებასთან დაკავშირებულია პირველი თვის — იანვრის სახელწოდება, რაც თავისთავად იანუსიდან მომდინარეობს. თავიდან იანუსი ითვლებოდა მზისა და სინათლის ღმერთად. დილით იგი აღებს ცის კარებს და უშვებს ნათელ დღეს, საღამოს კი, როგორც კი მზე კარებში შევა, მასთან ერთად შედის ღამეც, იანუსი კეტავს ცის კარებს და აღარ აღებს მეორე დილამდე. მოგვიანებით იანუსი შესასვლელებისა და გამოსასვლელების ღმერთი ხდება. იგი ყოველი დასაწყისის ღვთაებად ითვლებოდა, ლოცვის დაწყებისას, უპირველეს ყოვლისა, იანუსის სახელს ახსენებდნენ. ძველი რომაელების წარმოდგენით იანუსმა მისცა დასაწყისი თვით ქაოსბრიობას, მან შექმნა პირველი ადამიანები, მასვე მიეწერება ყველა მდინარის, წყაროსა და ნაკადულის შექმნა. იგი ითვლება წყლის ფერია იუტურნას მეუღლედ და შადრევნებისა და წყაროების ღვთაების — ფონსის მამად. ზოგი მითის მიხედვით იანუსი ზღვის ღმერთქალის — ვენილიას ქმარია. იანუსია გზებისა და მგზავრების მფარველი. რომაელ მეზღვაურებს იანუსი

თავიანთ მფარველად მიაჩნდათ, ეგონათ რომ მან ასწავლა ადამიანებს ზღვაოსნობა და გემების აგება. რომაულ მონეტებზე ხშირადაა გამოსახული იანუსი და გემი. იანუსი წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხებსაც. რომში იანუსის რამოდენიმე ტაძარი არსებობდა, მაგრამ ფორუმზე მდებარე ტაძარი ყველაზე მეტად იყო ცნობილი. მშვიდობიანობის დროს ამ ტაძრის კარები დახურული იყო, ხოლო ომის გამოცხადებისთანავე აღებდნენ. სალაშქროდ მიმავალი ჯარები ამ კარებზე გავლით მიდიოდნენ. იანუსისადმი, როგორც დროის ღვთაებისადმი, იყო მიძღვნილი კალენდები (რომაული წელიწადის ყოველი თვის პირველი რიცხვები). კალენდების დროს იანუსს სხვადასხვა ხასიათის მსხვერპლს სწირავდნენ. იანუსის სახელობის თვემ დღემდე შემოინახა თავისი ძველი სახელწოდება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნიდან მოყოლებული ზეიმობდნენ იანუსის სახელობის თვის დასაწყისს და ჩვენს დროში იგი ახალი წლის დღესასწაულმა შეცვალა. ამ დღეს არ შეიძლებოდა ყვირილი, გინება, დავა, ჩხუბი და სხვა არასასურველი საქციელი, რათა იანუსი არ გაეჯავრებინათ და მისი რისხვა არ დაემსახურებინათ. ამ დღეს იწყებდა მოღვაწეობას ყოველი ახალი კონსული. იანუსს უმაღლესი მაგისტრის თანდასწრებით სწირავდნენ თეთრ ხარს. იანუსი გამოისახებოდა ორსახოვან მამაკაცად, ერთი სახე მიპყრობილი იყო წარსულისაკენ, ხოლო მეორე მომავლისაკენ. ზოგიერთ ეტრუსკულ გამოსახულებაში იანუსი ოთხსახიანია. ძველ გამოსახულებებში იანუსის ორივე სახე წვერითაა დაფარული, შემდეგდროინდელი კი ორსახოვან, მაგრამ უწვერო მამაკაცად გამოისახება, ერთი სახე აქვს ყმაწვილისა, ხოლო მეორე შედარებით მოხუცებულის. მარჯვენა ხელის თითებზე იანუსს გამოსახული ჰქონდა რიცხვი 300, ხოლო მარცხენაზე 65, ე.ი. დღეთა რაოდენობა წელიწადში. იანუსის ორსახოვნება გახდა მიზეზი, რომ სახელი იანუსი (გაღატანითი შნიშვნელობით) ორპირი, გაიძეერა, ფლიდი კაცის სიმბოლოდ ქცეულიყო.

იაპეტი, იაპეტოსი, ბერძნ. (Ἰαπετός, ὁ) ტიტანი, აზიის ან კლიმენეს მეუღლე. პრომეთეს, ეპიმეთეს, ატლანტოსისა და მენეტიოსის მამა. მის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში მონაწილეობისათვის ზევსმა იაპეტიც სხვა ტიტანებთან ერთად ქვესკნელში ჩაგდო. იაპეტის სახე გამოყენებულია ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეში“.

იაპეტიონიდე, ბერძნ. (Ἰαπετιονίδης, ἡ) იაპეტის ქალიშვილი.

იაპეტიონიდი, ბერძნ. (Ἰαπετιονίδης -ίδου, ὁ) იაპეტის ვაჟი, ე. ი. პრომეთე, ეპიმეთე, ატლანტოსი ან მენეტიოსი.

იარდანოსი, ბერძნ. (Ἰάρδανος, ὁ) იუდეველთა მეფე. ომფალოსის მამა. იორდანიის ეპონიმი.

იასიონი, ბერძნ. (Ἰασίων -ωνος, ὁ) მიწათმოქმედების უძველესი ღვთაება კრეტაზე. მითების მიხედვით ზევსისა და პლეიად ელექტრას ვაჟი. დარდანოსის ძმა. დემეტრეს შეყვარებული იასიონი განგმირა ზევსის ელვამ. სხვა მითის მიხედვით იასიონის სიკვდილმა დემეტრეს უდიდესი მწუხარება გამოიწვია და განრისხებულმა ღმერთქალმა მიწას ნაყოფის მიცემა შეაწყვეტინა. მაშინ ღმერთებმა ნება დართეს იასიონს დროდადრო დაეტოვებინა ხოლმე მკვდართა სამეფო და დაბრუნებოდა დემეტრეს. (თქმულება პერსეფონეს მოტაცების მითის ანალოგიურია). დემეტრეს მწუხარება და იასიონის საიქიოდან დაბრუნება სიმბოლურად წელიწადის დროთა ცვლას წააგავს. სხვა მითის მიხედვით იასიონი დემეტრეს ქანონიერი ქმარია, რომელსაც იგი პირველად დაუკავშირდა სამგზის გახნულ მინდორზე. ამ კავშირის შედეგად დაიბადა პლუტოსი (სიმდიდრე). დიოდორე სიცილიელის მიხედვით იასიონი იყო კადმოსის ცოლის — ჰარმონიის მამა. დემეტრემ იასიონს ხორბლის მარცვალი მისცა და დაავალა, ადამიანებისათვის ხორბლის მოყვანა ესწავლებინა. მოგვიანებით იასიონმა ცოლად შეირთო კიბელა, რომლისაგანაც შეეძინა კორიბანტოსი.

იასო, ბერძნ. (Ἰασώ, ἡ) ასკლეპიოსის ქალიშვილი.

იასონი, ბერძნ. (Ἰάσων, ὁ) ძველი ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. არგონავტთა ლაშქრობის ხელმძღვანელი. იოლკოსის მეფის ესონისა და პოლიმედეს ვაჟი. იასონი იოლკოსის ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო, მაგრამ მისმა—პელიასმა მისი დაღუპვა და ამგვარად ტახტის შენარჩუნება მოისურვა. პელიასის მოთხოვნით იასონს ჯერ კოლხეთიდან ელადის ოქროს საწმისი უნდა ჩამოეტანა და მხოლოდ ამის მერე მიითვის ოქროს საწმისი უნდა ჩამოეტანა და მხოლოდ ამის მერე მიეცა სამეფო ტახტს. იასონმა შეკრიბა საბერძნეთის რჩეული ვაჟკაცები, ააგეს გემი „არგო“ და კოლხეთისაკენ გასწიეს. არგოს მშენებლობას და არგონავტების მოგზაურობას ღმერთქალი ათენა მფარველობდა. დიდი ხნის მგზავრობისა და ვრცელი ხიფათის გადატანის შემდეგ არგონავტებმა იასონის მეთაურობით აიეტის სამეფოს მიაღწიეს. იასონმა ცოლად შეირთო აიეტის ასული მედეა, რომელიც მას დაეხმარა ოქროს საწმისის მოპოვებაში (იხ. არგონავტები).

იასონს და მედეას შეეძინათ ვაჟიშვილები. როდესაც იასონი სამშობლოში დაბრუნდა, გაიგო, რომ პელიასს მოეკლა მისი მამა და ძმა, დედა კი დარდს გადაჰყოლოდა. სამაგიეროს გადახდის მიზნით,

მედეას დახმარებით იასონმა შური იძია პელიასზე (იხ. პელიასი). რამოდენიმე ხნის შემდეგ იასონმა მიატოვა მედეა და აპირებდა ცოლად შეერთო კრეონტ მეფის ქალიშვილი კრეუსა (ზოგი ვარიანტით გლაკე). მაგრამ მედეამ ეს ქორწინება ჩაშალა (იხ. მედეა). მარტოდმარტო დარჩენილი უკიდურესობამდე შეშფოთებული იასონი გარდაიცვალაო არგოს ნამსხვრევების ქვეშ — გადმოგვცემს ლეგენდა. როგორც საერთოდ მითი არგონავტების შესახებ, იასონზე თქმულებაც ცოტად თუ ბევრად შეცვლილი სახით გვხვდება. იასონისა და მედეას მითის მიხედვით შეიქმნა ცნობილი ნაწარმოებები: ევრიპიდესი, სენეკასი, ოვიდიუსის და სხვათა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებობდა იასონის კონცხი.

იდა, ბერძნ. (Ἴδα, ἡ) 1. მთაგრეხილი ტროის მახლობლად, სადაც შედგა პარისის სასამართლო. 2. მთაგრეხილი კრეტაზე, სადაც ზოგიერთი მითის მიხედვით ზევსი დაიბადა, აქ აღიარებდნენ და ეთაყვანებოდნენ ე. წ. იდელ ზევსს. იდას მთის ეპონიმი. 3. იდელი დაქტილების დედა. ზევსის სატრფო. 4. კორიბანტის ქალიშვილი, რადამანთისის ვაჟის — ლიკასტოსის ცოლი, მინოს II-ის დედა.

იდალია, ბერძნ. (Ἰδάλια, ἡ) აფროდიტეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელი. დაარქვეს კვიპროსის ერთ-ერთი მთის სახელის მიხედვით, სადაც მისი ტაძარი მდებარეობდა.

იდასი, ბერძნ. (Ἴδας, ὁ) 1. აფარეუსის ვაჟი, ლინკეუსის ძმა. 2. მარპესას ქმარი, კლეოპატრას მამა. მონაწილეობდა ელენეს მოტაცებაში.

იდები, ლათ. (Iduum, Idus) იუპიტერისადმი მიძღვნილი თვის შუა რიცხვები ძველ იტალიაში: მარტის, მაისის, ივლისისა და ოქტომბრის 15, ხოლო დანარჩენი თვეების 13 რიცხვები. ამ დღეებში იუპიტერს მსხვერპლად სწირავდნენ ცხვრებს.

იდოია, ბერძნ. (Ἰδυῖα, ἡ) ოკეანოსისა და ტეთისის ქალიშვილი. აიეტის ერთ-ერთი ცოლი, მედეას დედა, ფრიქსეს დედინაცვალი (ზოგი ვარიანტით დედა).

იდომონი, ბერძნ. (Ἰδμων -ονος, ὁ) 1. არგონავტების ლაშქრობის მონაწილე. აპოლონისა და ასტერიას ვაჟი. ზოგიერთი მითი მას დედად ფერია კირენეს მიიჩნევს. იდომონს გააჩნდა წინასწარმეტყველების ნიჭი და კარგად იცოდა, რომ დაიღუპებოდა არგონავტთა ლაშქრობაში მონაწილეობისას, მაგრამ მაინც გაჰყვა ბერძენ გმირებს. მართლაც რამოდენიმე ხნის შემდეგ იგი მოკლა გარეულმა

ტახმა. 2. არაქნეს მამა. 3. ეპიდავრელი გმირი, ადრასტეს ეშმი. 4. ეგვიპტოსის ვაჟი. 5. აბანტის ვაჟი.

იდომონიდე, ბერძნ. (Ἰδμονίδης, ὁ) ორფევსის შვილიშვილი, ჰომეროსის ერთ-ერთი საგულვებელი წინაპარი.

იდომენევსი, ბერძნ. (Ἰδομενεύς, ὁ) კრეტის მეფე. მინოსის შვილიშვილი. ელენეს ცოლად შერთვის მსურველი ერთ-ერთი გმირი და ტროის ომის მონაწილე. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითის თანახმად, როდესაც იგი საშობლოში ბრუნდებოდა, ქარიშხალში მოყვა და იღუპებოდა, მაშინ იდომენევსი პოსეიდონს შეპირდა, რომ თუკი ამ გაჭირვებიდან იხსნიდა, მსხვერპლად შესწირავდა მას, ვინც კრეტაზე პირველი შეხვდებოდა. პოსეიდონმა უშველა იდომენევსს და მანაც შეასრულა თავისი პირობა მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უბედური მისი ვაჟი აღმოჩნდა. ღმერთებმა იდომენევსის საქციელი დიდ დანაშაულად ჩასთვალეს და ამის გამო მთელი კრეტა დასაჯეს. იდომენევსი კუნძულიდან განდევნეს. იგი კოლოფონში გაიქცა და იქვე გარდაიცვალა.

ეეოსი, ბერძნ. (Ἠέως, ὁ) აპოლონის ზედმეტი სახელია.

ეინჭსი, ბერძნ. (Ἰυγξ—Ἴυγγος, ἡ) ფერია. პანისა და პეითოს (ზოგიერთი ვარიანტით ექოს) ქალიშვილი. მაგისა და ჯადოს საშუალებით მან შეძლო ზევსისათვის ირა შეეყვარებინა. არსებობს მითი, რომლის მიხედვითაც მან ზევსს ირა კი არა, თავისი თავი შეაყვარა, რის გამოც დასაჯა ჰერამ.

იკადიოსი, ბერძნ. (Ἰκαδίος, ὁ) აპოლონისა და ფერია ლიკიას ვაჟი. ის მხარე, სადაც იგი დაიბადა, დედამისის სახელს ატარებდა. ლიკიაში მან აპოლონის სამლოცველო დააარსა. ერთხელ, როდესაც იგი აქედან იტალიაში მიდიოდა, ნავის კატასტროფის დროს ნაპირზე გადაიყვანა დელფინმა. ამ დელფინის პატივსაცემად ქალაქი ააშენა და დელფი უწოდა.

იკარიოსი, ბერძნ. (Ἰκάριος, ὁ) 1. ათენელი მოქალაქე, რომელსაც დიონისემ ღვინით სავსე რუმბი აჩუქა. ამის შემდეგ მან ათენელებს (ატიკელებს) ღვინის მოყვანა და დამზადება ასწავლა, მაგრამ როდესაც ათენელმა მწყემსებმა ღვინო დალიეს და დათვრნენ, თანამოქალაქეებს ეგონათ მოიწამლნენ და იხოცებიანო. ამ ამბით განრისხებულმა ატიკელებმა იკარიოსი შეიპყრეს და მოკლეს, მისი გვამი კი ერთ-ერთი ხის ფესვების ქვეშ ჩაფლეს. მისმა ქალიშვილმა — ერიგონემ დიდხანს ეძებნა მამის საფლავი და კარგა ხნის შემდეგ ძაღლის — მერას დახმარებით იპოვნა იგი. მამის სიკვდილით შეშფოთებულმა ერიგონემ მის საფლავზე თავი დაიხრჩო. მომხდარი

ამბის გამო გაჯავრებულმა დიონისემ ქვეყანას ჭირი მოჰფინა და უმოწყალოდ ხოცავდა ადამიანებს მანამ, სანამ იკარიოსი დიდის პატივით არ შეიწყნეს და გმირად არ აღიარეს. მამასთან ერთად დიდი პატივით შეამკეს ერიგონეც. რამოდენიმე ბნის შემდეგ იკარიოსი, ერიგონე და მერა ღმერთებმა თანავარსკვლავედად აქციეს. ატიკაში მამა-შვილის პატივსაცემად ზეიმები იმართებოდა ხოლმე. ზეიმის დროს იკარიოსისა და ერიგონეს გამოსახულებებს ხეებზე კიდებდნენ. 2. პენელოპეს მამა. სპარტის მეფის — ტინდარეოსის, აფარეესისა და ლიკიპეს ძმა.

ი კ ა რ ო ს ი, ბერძნ. (Ἰκάριος, ὁ) იხ. დედალოსი. 1. ელატოსის მამა, ტაინაროსის პაპა. 2. ერიგონეს მამა (როგორც ჩანს იკარიოსში უნდა იყოს არეული). 3. კარიელების მეფე, რომელმაც თესტორის ქალიშვილი — თეონოე იყიდა და შემდეგ ცოლად შეირთო (იხ. თესტორი).

ი კ ა ს ტ ო ს ი, ბერძნ. (Ἰκαστος, ὁ) ეოლოსის ვაჟი.

ი კ ე ლ ო ს ი, ბერძნ. (Ἰκελος, ὁ) ღმთაება ძველი ბერძნების წარმოდგენით, რომელიც ადამიანებს სიზმრებს მოუელენდა ხოლმე. მას ხშირად ფობეტორსაც ეძახდნენ. ოვიდიუსის მიხედვით ეს სახელი მას ღმერთებმა დაარქვეს და ისინი მიმართაედნენ ასე.

ი კ მ ა ი ო ს ი, ბერძნ. (Ἰκμαιος, ὁ) ზეესის ზედმეტი სახელი.

ი კ მ ა ლ ი ო ს ი, ბერძნ. (Ἰκμάλιος, ὁ) მითიური ითაკელი ღურგალი, რომელმაც პენელოპეს საუცხოო, ვერცხლით შემკობილი სპილოს ძვლის სავარძელი გაუკეთა.

ი ლ ი ა, ლათ. (Ilia) რომის მითიური დამაარსებლების: რემუსისა და რომულუსის დედის — რეა სილვიას მეორე სახელი.

ი ლ ი თ ი ა, ბერძნ. (Εἰλείθυια, ἡ) ქალთა მშობიარობის ბერძნული ღმთაება. ჰესიოდეს „თეოგონიას“ მიხედვით იგი არის ჰერასა და ზეესის ქალიშვილი, ჰებეს და. ასევე მიიჩნიათ: პინდარეს, ეპოლოდორეს და სხვა ბერძენ ავტორებს. თავიდან იგი კრეტელთა ღმთაება უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი უნდა გავრცელებულიყო საბერძნეთსა და იტალიაში. ილითიას ხშირად არტემიდეში ურევდნენ. გამოისახებოდა ყმაწვილ, ლაბადაში გამოწყობილ ქალად, ხელში ეჭირა ჩირაღდანი.

ი ლ ი ო ნ ე, ბერძნ. (Ἰλιόνη, ἡ) პრიამოსისა და ჰეკაბეს უფროსი ქალიშვილი.

ი ლ ი ო ნ ე ვ ს ი, ბერძნ. (Ἰλιονεύς, ὁ) ამფიონისა და ნიობეს უმცროსი ვაჟი.

ი ლ ი ო ნ ი, ბერძნ. (Ἴλιον, τὸ) ტროის ერთ-ერთი სახელწოდება.

ი ლ ო ს ი, ბერძნ. (Ἶλος, ὁ) 1. აპოლოდორეს მიხედვით დარდანოსისა და ტეევროსის შვილიშვილი. გარდაიცვალა უშვილოდ. ჰომეროსი მას ტროსისა და სკამანდროსის ქალიშვილ კალიროეს ვაჟად მიიჩნევს. ილოსმა ფრიგიაში გაიმარჯვა ათლეტურ თამაშობა — შეჯიბრებებში და საჩუქრად მიიღო 50 ვაჟი და 50 ქალიშვილი. ამავე თანავე ილოსს გადასცეს ზრუნვა ძროხა. ზეესის დავალებით ილოსს იმ ადგილზე, სადაც ეს ძროხა დაწვებოდა, ქალაქი უნდა გაეშენებინა. ღიდხანს სდია ილოსმა ძროხას ფეხდაფეხ და ბოლოს მცირე აზიაში ერთ-ერთი ბორცვის ძირას, როგორც იქნა, ძროხა დაწვა. ილოსმა აშენა ამ ადგილზე ქალაქი და სახელად ილიონი (იგივე ტროა) უწოდა. მსგავსი მითები, რომლებშიც საუბარია ამა თუ იმ ქალაქის დაარსების შესახებ, ხშირად გვხვდება საერთოდ ძველ და კერძოდ ანტიკურ მითოლოგიაში. მითებს შეიძლება გააჩნდეს რეალური საფუძველიც და შეიძლება ფანტაზიით იყოს შექმნილი რომელიმე ქალაქის სახელწოდების ასახსნელად. 2. ეპირის მბრძანებელი, მერმეროსის ვაჟი. იასონისა და მედეას შვილიშვილი, შეეძლო სასიკეთილო შხამების დამზადება, მაგრამ როდესაც მასთან ოდისევსი მივიდა იარაღებისათვის შხამის დასამზადებლად, ილოსმა, შეეშინდა რა ღმერთების რისხვისა, უარი განუცხადა.

ი მ ე ვ ს ი მ ო ს ი, ბერძნ. (Ἰμεύσιμος, ὁ) აპოლოდორეს მიხედვით იკარიოსისა და პერიბოეს ვაჟი. პენელოპეს ძმა.

ი ნ ა ქ ო ს ი, ბერძნ. (Ἴναχος, ὁ) ოკეანოსის ვაჟი, ფორონევსისა და იოს მამა. წარღვნის შემდეგ ადამიანები ინაქოსმა ჩამოიყვანა მთიდან, სადაც ისინი ავიდნენ გადარჩენის მიზნით. მანვე დააარსა ქალაქი არგოსი.

როდესაც პოსეიდონი და ჰერა ერთიმეორეს ედავებოდნენ კეფისის ველისათვის, მოსამართლეობას ინაქოსი უწევდა. როდესაც მოსამართლემ დავა ჰერას სასარგებლოდ გადაწყვიტა, განრისხებულმა პოსეიდონმა მთელი მხარის დასჯის მიზნით ყველა მდინარე დაამშრო. სწორედ ამ მითს უკავშირებდნენ ბერძნები არგოლიდის გვალვიან კლიმატს, შესაძლოა, ეს დიდი გვალვები დაედო საფუძვლად ამ მითის შექმნას.

როდესაც ზეესმა ინაქოსის ქალიშვილი შეიყვარა და დენია დაუწყო, მამამ კატეგორიულად განუცხადა ღმერთს, რომ ჩამოშორებოდა მას ქალიშვილს, მაგრამ ზეესმა არა თუ შეისმინა ინაქოსის მოთხოვნა, არამედ დასაჯა კიდეც და ერინიებისა-

გან თაყვანცემის მიზნით გამწარებული ინაჭოსი მდინარეში გადავარდა. ამ მდინარეს ამის შემდეგ მისი სახელი ეწოდა.

ი ნ დ ო ს ი, ბერძნ. (Ἰνδός, ბ) 1. დედამიწის (გეას) ვაჟი. ინდოელთა მითიური წინაპარი. 2. ფერია კალაურიას ქმარი. მოკლა ზევსმა.

ი ნ ი ც ი ა ც ი ე ბ ი, ლათ. (Initiatia-დან) ძველი ბერძნებისა და რომაელების ჩვეულება. მიაჩნდათ, რომ, თუ ღამით ტაძარში დარჩებოდნენ, ნახავდნენ რაიმე სიზმარს, რომლითაც გაიგებდნენ მომავალს. ავადმყოფები თითქოს ასე გებულობდნენ განკურნების საშუალებებს.

ი ნ ო, ბერძნ. (Ἰνώ, ჩ) კადმოსისა და ჰარმონიას ქალიშვილი, ათამანტის მეორე ცოლი, ფრიქსოსისა და ჰელეს (იხ. ჰელე) დედინაცვალი. იმისათვის, რომ ინომ გაზარდა დიონისე, მას გამუდმებით ავიწროებდა ჰერა, ჰერამ ათამანტი, ინოს მეუღლე გააგიჟა და ლეარქოსი მოაკვლევინა. როდესაც ათამანტმა მეორე ცოლი — მელიკერტე მოკვლაც განიზრახა, ინო თავის ვაჟთან ერთად ზღვაში გადავარდა და ზღვის ღვთაება ლევკოთეად გადაიქცა. მელიკერტე, როგორც მითი გადმოგვცემს, იქცა ზღვის ღვთაებად და სახელად პალაიმონი ეწოდა. ინოს კულტი ფართოდ იყო გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის აუზში.

ი ნ უ უ ს ი, ლათ. (Inuus) მესაქონლეობის ძველიტალიური ღვთაება. ფავნის რომელიმე ადგილობრივი სახელი (იხ. პანი).

ი ო, ბერძნ. (Ἰώ, ჩ) გვიანდელი მითების მიხედვით ინაჭოსის ქალიშვილი. ძველარგოსელი მთავარის ღვთაება. იო შეიყვარა ზევსმა და ჰერას თვალის ასახვევად იგი ძროხად აქცია და მასთან მაინც ჰქონდა კავშირი. ჰერამ იოს ბუზანკალი მიუჩინა, რომელიც მას დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდა. გამწარებული იო სირბილით ცდილობდა განრიდებოდა ამ საშინელებას. დიდი ხნის სირბილის შემდეგ იომ ეგვიპტეს მიაღწია და აქ ზევსმა კვლავ ადამიანად აქცია. ჰერამ ვერაფერი გააწყო ზევსთან და იოს ბუზანკალი ჩამოაშორა, მაგრამ მოახერხა ის, რომ იო ტელეგონოსისათვის გაეტანებინა ცოლად. ელინისტურ პერიოდში იოს ისიდასთან აიგივებდნენ. ბერძნების წარმოდგენით იონიის ზღვა იოს სახელს უნდა ატარებდეს, თუმცა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ზღვას ეს სახელი იონიელთა ტომის მიხედვით უნდა დარქმეოდა, რომლებიც ოდითგანვე ცხოვრობდნენ ამ ზღვის სანაპიროზე.

ი ო ბ ა ტ ე ს ი, ბერძნ. (Ἰοβάτης, ბ) ლიკიის მეფე. ანტეოსის ან სთენებოიას მამა (იხ. ბელეროფონტი).

ი ო კ ა ს ტ ე, ბერძნ. (Ἰοκάστη, ჩ) თებელი მენეკევსის ქალიშვილი, კრეონტ მეფის და, ლაიოს მეფის მეუღლე, ოიდიპოსის დედა და მეუღლე (იხ. ოიდიპოსი).

ი ო კ ა ს ტ ო ს ი, ბერძნ. (Ἰόκαστος, ბ) ეოლოსის ვაჟი, რეგიონის მეფე იტალიაში.

ი ო ლ ა ო ს ი, ბერძნ. (Ἰόλαος, ბ) იფიკლესა და ავტომედუზას ვაჟი. ჰერაკლეს ნათესავი, გულითადი მეგობარი და თანამებრძოლი. მას ჰერაკლეს მეეტლედაც თვლიდნენ. ჩვენამდე მოღწეულია თასი, რომელზეც იოლაოსი გამოსახულია ჰერაკლესთან ერთად. იგი მარჯვენა ხელით შუბზეა დაყრდნობილი.

ი ო ლ ე, ბერძნ. (Ἰόλη, ჩ) ექალიელი მეფის ქალიშვილი, ჰერაკლეს სატრფო. როდესაც ჰერაკლე კვდებოდა, იოლე ცოლად მისცა ჰილასს.

ი ო ლ კ ი ა, ბერძნ. (Ἰωλκία, ჩ) არტემიდეს ზედმეტი სახელი მაგნეზიის ნახევარკუნძულზე.

ი ო ლ მ ო ს ი, ბერძნ. (Ἰόλμος, ბ) მენელაოსისა და ელენეს ვაჟი, ნიკოსტრატოსის ძმა.

ი ო ნ ი, ბერძნ. (Ἴων -ωνος, ბ) ქსუთოსისა და კრეუსას ვაჟი. იონიელების მითიური წინაპარი. ერთი თქმულების მიხედვით ატიკიდან ერეხთევსის ვაჟისაგან განდევნილი ქსუთოსი პელეპონესში გადასახლდა, იქვე დაქორწინდა და შეეძინა ვაჟი — იონი, რომლის სახელის მიხედვითაც თითქოს პელეპონესის მოსახლეობის ერთ ნაწილს იონიელები უწოდეს. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით იონის მამა აპოლონია. იონის შესახებ არსებული მითი დაამუშავა ევრიპიდემ ტრაგედიაში „იონი“.

ი ო ნ ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Ἰωνίδες, αἱ) ოთხი ფერიას ზედმეტი სახელი, რომელთა კულტი, როგორც გადმოგვცემენ, დააარსა იონმა. მათი სახელებია: კილიფეა, სინალაქსი, პეგანე და იასისი.

ი ო ფ ო ს ი, ბერძნ. (Ἰοφῶσσα ჩ) აიეტის ქალიშვილი, რომელმაც ფრიქსოსისაგან ოთხი ვაჟი დაბადა. ზოგი მითი მას ქალკიოპეს ორეულად მიიჩნევს.

ი პ პ ო ლ ი ტ ე, ბერძნ. (Ἱππολύτη, ჩ) 1. არგონავტ აკასტოსის ცოლი, შეუყვარდა პელიასს, შემდეგ პელიასმა მოკლა იპოლიტე და აკასტოსიც. 2. ამაძონების (ამორძალების) დედოფალი. თეზევსის ცოლი.

ი პ ო ლ ი ტ ო ს ი, ბერძნ. (Ἱππόλυτος, ბ) 1. ანტიოპესა და ათენის მეფის — თეზევსის ვაჟი. თეზევსის მეორე ცოლს ფედრას შეუყ-

ვარდა იპოლიტოსი, მაგრამ ვაჟმა, როგორც მამის ცოლსა და ღედის მაგიერს, ფედრას თანაგრძნობა არ გაუწია. ფედრამ, რომელსაც ეშინოდა იპოლიტოსს თეზევსისათვის არ ეამბნა ფედრას გრძნობების შესახებ, იპოლიტოსი დააბეზღა მამასთან, თითქოს იგი ფედრას სასიყვარულო ინტრიგებს უწყობდა. ამით განაწყენებულმა და გაბრისებულმა თეზევსმა პოსეიდონს შესთხოვა მკაცრად დაესაჯა იპოლიტოსი. მართლაც, ერთხელ როდესაც იპოლიტოსი ეტლით ზღვის პირას მიდიოდა, ზღვის ტალღებიდან მოულოდნელად დელფინი, ე. წ. პოსეიდონის ხარი გამოჩნდა, იპოლიტოსის ცხენები დააფრთხო, იპოლიტოსი ჩამოვარდა გაბანებული ეტლიდან და დაიღუპა.

ერთ-ერთი მითის მიხედვით ასკლეპიოსმა გააცოცხლა იპოლიტოსი და ამის შემდეგ ვირბიოსის სახელით განაგრძო ცხოვრება. კიდევ სხვა მითის მიხედვით იპოლიტოსი სიკვდილის შემდეგ ეტლის თანავარსკვლავედად იქცა. იპოლიტოსი ითვლებოდა არტემიდეს მუდმივ თანამგზავრად. იპოლიტოსის მითის სიუჟეტზე ნაწარმოებები შექმნეს: ევრიპიდემ, სენეკამ, რასინმა და სხვებმა. 2. ერთ-ერთი გიგანტი.

ირა, ლათ. (Ira—რისხვა.) მრისხანების ღვთაება ძველ ლათინურ მითოლოგიაში. ეთერისა (ეფირისა) და გეას შვილი.

ირბოსი, ბერძნ. (Ἴρβος, ὁ) ამფისთენეს ვაჟი, ასტრაბაკოსისა და ალოპეკოსის მამა.

ირისი||ირიდა, ბერძნ. (Ἶρις -ιδος, ἡ) ცისარტყელას ღმერთქალი. ძველი ბერძნების წარმოდგენით ცისარტყელა ცას დედამიწასთან აერთებდა, რის გამოც ოლიმპიური რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ ირიდას ადამიანთა და ღმერთთა შუამავლად მიიჩნევდნენ. ჰერმესისაგან განსხვავებით, ირიდა ძირულებს მხოლოდ ზევსისა და ჰერას ბრძანებებს. ჰესიოდეს მიხედვით ირიდა თავმანტისა და ოკეანიდ ელექტრას ქალიშვილი და ჰარპიების და. ირიდა გამოისახებოდა ახალგაზრდა, ლამაზ ქალად, ჩვეულებრივ ჰერას გვერდით. ირიდას ხშირად ხელში კათხა უჭირავს, რომლითაც იგი თითქოს ღრუბლებს წყალს აწვდის.

იროსი, ბერძნ. (Ἶρος, ὁ) 1. აქტორის ვაჟი, პოლიმელეს ძმა. 2. „ოდისეას“ ერთ-ერთი მოქმედი პირი, მათხოვარი, რომელიც ეხმარებოდა ახლადდაბრუნებულ ოდისევსს სასიძოების ამოხოცვაში. გადატანითი მნიშვნელობით იროსს ხშირად მათხოვარს უწოდებენ ხოლმე.

ისა, ბერძნ. (Ἴσσα, ἡ) 1. ლესბოსელი ფერია, მაკარის ანუ მაკარევსის ქალიშვილი, რომლის მიხედვითაც ლესბოსს თუ სხვა რომელიღაც ქალაქს ისა ეწოდა. 2. აქილევსის სახელი, როდესაც იგი ქალის ტანსაცმელში გადაცმული სკიროსზე ლიკომედეს ქალიშვილებში იმალებოდა.

ისაია, ბერძნ. (Ἰσαΐα, ἡ) ფინიკიის მეფე აგენორის ქალიშვილი. ბელოსის შვილიშვილი. ეგვიპტოსის ერთ-ერთი ცოლი.

ისანდროსი, ბერძნ. (Ἰσανδρος, ὁ) ბელეროფონტის ვაჟი. დაიღუპა სოლიმერებთან ბრძოლაში.

ისთმიური თამაშობანი, — პოსეიდონისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები, რომლებიც იმართებოდა კუნძულ ისთმოსზე, სადაც მდებარეობდა ისთმიელი პოსეიდონის ტაძარი. თამაშობანი ტარდებოდა ყოველწლიურად კორინთოს ახლოს მდებარე ჭალაში. ეს თამაშობანი საბერძნეთში მესამე ადგილზე იდგა თავისი მნიშვნელობით ოლიმპიური და პითიას თამაშობებს შემდეგ. გადმოცემის თანახმად ამ თამაშობების საფუძველი ჩაეყარა ინოს ვაჟის— მელიკერტეს დასაფლავებაზე გამართული ასპარეზობის შემდეგ. სხვა მითის მიხედვით ეს შეჯიბრებები დააწესა თეზევსმა სკიროსზე გამარჯვების აღსანიშნავად. ეს მითი შეიძლება შექმნილიყო იმის ასახსნელად, თუ რატომ ეკავათ ათენელებს ამ თამაშობებში ყველაზე უკეთესი ადგილები. (ზოგიერთი ბერძნული ტომი საერთოდ არ დაიშვებოდა თამაშობებზე). თამაშობებს თავიდან კორინთელები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო რომაელთაგან კორინთოს დამხობის შემდეგ — სიკიონელები. ქრისტიანული რელიგიის განმტკიცების შემდეგ ისთმიური თამაშობანი აიკრძალა.

ისიდა, ძველი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება, ოსირისის და და ცოლი, ოსირისის კულტთან უმჭიდროეს კავშირშია ისიდას კულტი. ისიდა იყო ნაყოფიერების, დედობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ღმერთქალი. ერთი ეგვიპტური მითის მიხედვით ოსირისი მოკლა ბოროტმა სეტოსმა და მისი სხეულის ნაწილები მთელ დედამიწაზე მოაბნია. გამწარებულმა ისიდამ მთელი დედამიწა შემოირბინა, რათა შეეგროვებინა მისთვის უსაყვარლესი ადამიანის სხეულის ნაწილები. იგივე მითის მიხედვით რამოდენიმე ხნის შემდეგ ოსირისი აღსდგა მკვდრეთით და იმქვეყნიური სამეფოს მმართველი გახდა. ისიდას კულტი საბერძნეთში ადრევე გადავიდა, ხოლო ელინიზმის პერიოდში გავრცელდა დუნაიდან ბნდოეთამდე. რომში ისიდას კულტი გადავიდა I საუკუნეში ჩვენს ერამდე. იმპერიის პერიოდში ისიდას კულტს სახელმწიფო იცავდა და უდიდესი აღიარება მოიპოვა ყველგან, სადაც კი რომაელთა ბატონობა გავრცელდა.

ბერძნულ-რომაულ სამყაროში ისიდა ითვლებოდა მიწისა და მეზ-

ღვაურთა მფარველად, ციურ მნათობთა შემქმნელად. იალქნის გამომგონებლად და სხვა. იმ ტანჯვა-წამებისა და განსაცდელის გამო, რომელიც ისიდამ განიცადა ოსირისის ნაწილების შეგროვებისა და ბოროტ სეტოსთან ბრძოლისას, იგი დაბეჩავებულთა ღვთაებად, ქალთა შემწედ, დამცირებულთა ქომაგად და მფარველად აღიარეს. (ისიდას ეს თვისებები ქრისტიანობამ მარიამ ღვთისმშობელს მიაწერა). ისიდას დღეობებს მისტერიების ხასიათი ჰქონდა და დემეტრეს ელევსინურ მისტერიებს წააგავდა. რომში ისიდას დღესასწაულს 5 მარტს აღნიშნავდნენ. ძველ ეგვიპტურ გამოსახულებებში ისიდა უფრო ხშირად ტახტზე მჯდომარეა, ხელში უპირავს ძროხის რქები და რქებს შორის მოჩანს ამომავალი მზის დისკო. ბერძნულ-რომაულ ხელოვნებაში ისიდა ჰერას მსგავსად გამოისახება: გრძელი ტანსაცმლით, მშვიდი, საკმაოდ ამაყი და დიდებული სახით. მისი ატრიბუტებია: გველი, ლოტოსი, თავთავი, სიუხვის რქა... ისიდას ზოგჯერ ხელში უპირავს ჩვილი ჰოროსი, რომელიც ქრისტიანობამ ქრისტესთან გააიგივა (ძირითადად ისიდას მარიამთან გაიგივების გამო). საბერძნეთში ერთხანს იგი აფროდიტედ მიაჩნდათ, ხოლო ჰოროსი ეროსად (შდრ. ჰოროსი — ეროსი). ისიდას მითს ხშირად უკავშირებდნენ სერაპისის მითს. ჩვენამდეა მოღწეული ქანდაკება, რომლის მიხედვითაც ისიდა და სერაპისი წელს ზემოთ ადამიანები არიან, ხოლო წელს ქვემოთ — გველები. გველების ქვემო ნაწილები ერთიმეორეზეა გადახვეული. ისიდას კულტი აირია და შეერწყო მრავალი ქვეყნის ბევრი ღვთაების კულტს.

ი ს მ ე ნ ე, ბერძნ. (Ἰσμήνη, ἡ) 1. ასოპოსის ქალიშვილი, არგოსის მეუღლე, იასოს დედა. 2. ოიდიპოსისა და იოკასტეს ქალიშვილი. ანტიგონეს და. როდესაც ანტიგონეს სიკვდილი მიუსაჯეს ძმისპოლინიკეს გვამის დამარხვის გამო, ისმენეც მის თანამზრახველად მიიჩნიეს და ისიც სიკვდილით დასაჯეს. ისმენე მოჭედი პირია სოფოკლეს ტრაგედიებისა: „ოიდიპოსი კოლონში“ და „ანტიგონე“.

ი ს ტ რ ო ს ი, ბერძნ. (Ἴστρος, ὁ) ნაკადის ღვთაება ძველ საბერძნეთში. ტეთისისა და ოკეანოსის ვაჟი. ანტიკური წყაროები ისტროსად მდინარე დუნაის მოიხსენიებენ.

ი ს ხ ი ი, ბერძ. (Ἴσχυς, ὁ) ელატოსის ვაჟი. ასკლეპიოსის დედის — კორონიდეს მოტრფიალე. მასთან ერთად მოკლა აპოლონმა.

ი ტ ა ლ ო ს ი, ლათ. (Italos) სიკიელების უძველესი მითიური მეფე. იტალიელების მითიური წინაპარი. იგი გადასახლდა ლაციუმში,

ცოლად შეირთო ლატინის ქალიშვილი და მხარეს თავისი სახელი უწოდა.

ი ტ ე რ დ უ კ ა, ლათ. (Iterduca) იხ. დომიდუკა.

ი ტ ი ლ ი ‖ ი ტ ი ს ი, ბერძნ. (Ἴτυς—Ἴτυλος, ὁ) ჰომეროსისა და ჰესიოდეს მიხედვით აედონის ვაჟი. შეცდომით მოკლა დედამ (იხ. აედონი).

ი უ დ ა ი ო ს ი, ბერძნ. (Ἰουδαῖος, ὁ) 1. ტიფონის ვაჟი, ჟუდეველთა საგულეებელი ეპონიმი. 2. ერთ-ერთი სპარტოითაგანი (იხ. სპარტები).

ი უ ვ ე ნ ტ ა, ლათ. (Iuventas) სიყრმისა და სიყმაწვილის რომაელთა ღმერთქალი. მას ხშირად ჰებესთან აიგივებდნენ.

ი უ ლ უ ს ი, ლათ. (Iulus) ვერგილიუსის მიხედვით ენეასისა და კრეუსას ვაჟი. ტიტუს ლივიუსს კი იგი ენეასისა და ლავინიას ვაჟად მიაჩნია. ხშირად მას ენეასის ვაჟთან — ასკანიუსთან აიგივებდნენ. ზოგიერთი მითის მიხედვით იულუსი ასკანიოსის უმცროსი ძმა ან ვაჟია. იულუსი, იგივე იულიუსი ითვლებოდა რომაული ცნობილი გვარის—იულიუსების მითიურ წინაპრად.

ი უ ნ ო ნ ა, ლათ. (Iuno—onis) რომაელთა ღმერთქალი. იუპიტერის ცოლი. წვიმის, მოსავლისა და გამარჯვების მომნიჭებელი ღმერთქალი. მას მსხვერპლად სწირავდნენ თეთრ ძროხებს. მოგვიანებით იუნონა ქალთა მფარველ ღმერთქალად აღიარეს და ჰერასთან გააიგივეს. შემდეგ იგი ქორწინების, ორსულობისა და მშობიარების ღვთაებად იქცა. იუნონას ტაძარი იდგა რომში, კაპიტოლიუმის ბორცვზე და ესკვილინზე. 1 მარტს აქ იმართებოდა ზეიმები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ შვილიანი ქალები. ეს ზეიმები მიძღვნილი იყო იუნონასადმი. ხელოვნებაში იუნონა მაღალ, ლამაზ და მკაცრ ქალად გამოისახებოდა.

ი უ ნ ო ნ ე ბ ი, ლათ. (Iunones) ქალთა მფარველი რომაული ღვთაებანი, რომლებიც თავიანთი ფუნქციებითა და ნიშნებით გენიებს უახლოვდებოდნენ.

ი უ პ ი ტ ე რ ი, ლათ. (Iuppiter) ცის რომაული ღვთაება. აიგივებდნენ ზევსთან. იგი უპირველესად სინათლის ღმერთია და ხშირად ლუცეტიუსს (სინათლის მომცემს) უწოდებენ. რადგანაც იუპიტერი ცის ღმერთად ითვლებოდა, ამიტომ, როცა რომაელებს სურდათ ეთქვათ „ღია ცის ქვეშ“ — ამბობდნენ „იუპიტერის ქვეშ“ (Sub jove). იუპიტერი წვიმის ღმერთადაც ითვლებოდა, რომაელთა აზრით მასზე იყო დამოკიდებული წვიმიანი ამინდები და მასთან

დაკავშირებული მოსაელიანობა თუ მოუსავლიანობა. ქუბილი და მუხი იუპიტერის ნებასურვილის გამოხატულებად მიაჩნდათ და აღგილს, სადაც მუხი დაეცემოდა, წმინდად აღიარებდნენ. იუპიტერ სტატორი (მცველი) მფარველობდა რომაელთა ჯარებს. იუპიტერ ვერსორი (შემბრუნებელი) მტერს უკუაგდებდა. ხოლო იუპიტერ ვიქტორს (გამარჯვებული)გამარჯვება მოჰქონდა. თვით ძლევამოსილ მხედართმთავრის დიდი გამარჯვება რომის მფარველისა და პატრონის — იუპიტერის რელიგიურ აქტად მიაჩნდათ. რომის იმპერიის უმნიშვნელოვანესი ტაძარი სწორედ იუპიტერისა იყო. ახალი წელთაღრიცხვის II—III საუკუნეებში რომში მრავალი უცხო ღმერთის კულტი შემოიჭრა და იუპიტერი დაჩრდილა. მასთან ხშირად აიგივებდნენ ეგვიპტელთა ღმერთს — ამონსს. ძირითადად კი მისი კულტი სირიულ ღვთაებათა კულტებში აირია. გარკვეულ პერიოდში იუპიტერს მიაწერეს ზევსის მრავალი ეპითეტი და ფუნქცია. ამიტომაა, რომ ზევსისა და იუპიტერის ქანდაკებები თითქმის არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. დაცინვით იუპიტერს უწოდებენ გაბღენძილ, ცხვირაწეულ, ყოყოჩ ადამიანს. ძველი დროიდანვე იუპიტერი ეწოდება მზის ოჯახის უდიდეს პლანეტას.

იუსტიცია, ლათ. (Iustitia) სიმართლისა და სამართლიანობის, მართლმსაჯულების რომაული განსახიერება.

იუტურნა, ლათ. (Iuturna) წყლების ფერია. მის პატივსაცემად 21 იანვარს ეწყობოდა ზეიმები, ე. წ. იუტურნალიები. ითვლებოდა იუპიტერის სატრფოდ. სწორედ იუპიტერისაგან მიიღო მან უკვდავება და წყალთა მფლობელობა. იანუსისაგან იუტურნას შეეძინა წყაროთა და შადრევანთა (ფონტების)მფარველი ღვთაება — ფონსუსი.

იფიანასა, ბერძნ. (Ἰφιάνασσα, ἡ) 1. ერთ-ერთი მითის მიხედვით აგამემნონისა და კლიტემნესტრას ქალიშვილი. ლაოდიკესა და ქრიზოთემიდას და. 2. ენდიმიონის ცოლი, ეტოლოსის დედა.

იფიგენია, ბერძნ. (Ἰφιγένεια, ἡ) კლიტემნესტრასა და აგამემნონის (ზოგი ვარიანტით თეზევსისა და ელენეს) ქალიშვილი. ორესტეს და. ერთი მითის მიხედვით, როდესაც ბერძენთა ხომალდები ტროისაკენ მიცურავდნენ, აგამემნონმა ისარი ესროლა შველს, რომელიც თურმე არტემიდეს ეკუთვნოდა. გაჯავრებულმა ღმერთქალმა ბერძნებს პირქარი მოუვლინა და წინსელის საშუალება მოუსპო. მაშინ აგამემნონმა შეჰფიცა ღმერთქალს, რომ მსხვერპლად შესწირავდა საკუთარ ქალიშვილს, თუკი მათ მხარეს დაიჭერდა ომში და ამჟამად ხურგქარს მოუვლენდა. მითის ზოგი ვარიანტის მიხედ-

ვით აგამემნონმა იფიგენიას დაბადებისთანავე შეჰფიცა ღმერთქალს მისი მსხვერპლად შეწირვა, მაგრამ აღარ აუსრულა და სწორედ ეს იყო ხსენებული პირქარის მიზეზი. აგამემნონმა, თითქოს აჭილევსზე დასაქორწინებლად, იფიგენია თავისთან მიაყვანინა ავლიდში მსხვერპლად შესაწირავად, მაგრამ სამსხვერპლოზე მიყვანილი იფიგენია არტემიდემ შეილით შესცვალა, იფიგენია კი ტავრიდაში (ყირიმში) წაიყვანა და თავის ქადაგად გაიხადა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სამისნომ ბრძანა, რომ არტემიდე ტავრიდელის ქანდაკება ტავრიდიდან ატიკაში უნდა დაებრუნებინათ. ამისათვის ტავრიდაში იფიგენიას ძმა — ორესტე და მისი მეგობარი პილადე წავიდნენ. ორესტემ არტემიდეს ქანდაკებასთან ერთად სამშობლოში წამოიყვანა თავისი და იფიგენიაც. სხვა მითის მიხედვით არტემიდემ იფიგენია უკვდავი გახადა და კუნძულ ლევკოსზე აქილევსს გააყოლა ცოლად. ჰესიოდეს მიხედვით, სიკვდილის შემდეგ იფიგენია ხელახლა იშვა და მას ჰეკატე დაარქვეს. ჰომეროსი იფიგენიას იფიანასას ეძახის. ცნობილია ევრიპიდეს ტრაგედია „იფიგენია ავლიდში“.

იფიკლე, ბერძნ. (Ἰφικλῆς, ὁ) 1. ალკმენესა და ამფიტრიონის ვაჟი. კალიდონის ნადირობისა და ჰერაკლეს რამოდენიმე გმირობის მონაწილე. ჰერაკლეს ნახევარძმა. 2. თესალიის მეფე, პროტესილაოსის მამა. არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე. გამოირჩეოდა სირბილის არაჩვეულებრივი ნიჭით. იფიკლეს ჰყავდა საუკეთესო ხარები, რომლებიც შემდეგ მელამპოდოსს აჩუქა.

იფიმედეა, ბერძნ. (Ἰφιμέδεια, ἡ) ალოადების დედა, ალოევსის ცოლი.

იფისი, ბერძნ. (Ἴφις -ιος, ὁ) 1. ეევადნესა და ეტეოკლეს მამა. არგოსის მეფე. 2. სალამინელი ყმაწვილი, რომელსაც შეუყვარდა ლამაზი ქალიშვილი ანაქსარეტე, მაგრამ ქალმა უარყო მისი სიყვარული და იფისმა თავი მოიკლა. სიყვარულის ღმერთქალმა ამისათვის ანაქსარეტე დასაჯა და ქვად აქცია.

იქსიონი, ბერძნ. (Ἰξίων -ονος, ὁ) ლაპითების მეფე. პეირითოოსის მამა, დიას მეუღლე. როდესაც მისმა სიმამრმა ჭალიშვილის მიცემისათვის შეპირებული საჩუქრები მოითხოვა, იქსიონმა ყურადღება არ მიაქცია ადათ-წესებს და მოხუცი გავარვარებული ნახშირით სავსე ორმოში ჩააგდო. ზევსმა ყოველივე ეს აბატია იქსიონს და ოლიმპზეც კი მიიწვია. ოლიმპზე მყოფმა იქსიონმა ჰერას გული მოინადირა, მაგრამ ზევსმა ჰერა ნეფელეთი (ზოგი ვარიანტით ჰერას აჩრდილით) შესცვალა და იქსიონმა მასთან განაგრძო სიყვა-

რული. იქსიონისა და ნეფელეს ქალიშვილით დაიბადნენ კენტავრები. იქსიონმა თავისი საქციელის სამაგიერო საიქიოში მიიღო. იგი მიჯაჭვეს მარადმბრუნავ გავარვარებულ ბორბალზე. იქსიონის სახე გამოყენებულია სხვადასხვა მხატვრულ გამოთქმაში. მაგ. „საცოდავი იქსიონი ღმერთის მაგიერ ღრუბელს (იგულისხმება ღრუბელთა ღმერთქალი ნეფელე) ეხვევა“ და სხვა.

ი ხ თ ი ო კ ე ნ ტ ა ვ რ ე ბ ი, ბერძნ. (Ἰχθυοκένταυροι, οἱ) კენტავრთა გარკვეული სახესხვაობა, რომლებსაც ძველი ბერძნების წარმოდგენით თევზის ბოლო ჰქონდათ (იხ. ტრიტონი).

— კ —

კ ა ბ ი რ ე ბ ი, ბერძნ. (Κάβειροι, οἱ) დაბალი რანგის ღვთაებები ძველ საბერძნეთში, რომლებიც განაგებდნენ ნაყოფიერებას, მიწისქვეშეთის ცეცხლს და სხვა. ისინი მფარველობდნენ მეზღვაურებს ქარიშხლის დროს. მეცნიერების რწმენით კაბირების კულტი საბერძნეთში აღმოსავლეთიდან უნდა იყოს შეტანილი. ამას იმითაც ადასტურებენ, რომ ფინიკიურად კაბირები დიდ ღმერთებს ნიშნავს. შესაძლებელია ამით იყო გამოწვეული კაბირების კულტის საბერძნეთის მატერიკულ ნაწილში ნაკლებად გავრცელება. საფიქრებელია, რომ ეს კულტი წარმოშობილი იყოს წინაბერძნულ პერიოდში. ისტორიულ პერიოდში კაბირების კულტი კუნძულ სამოთრაკიაზე შეერწყა დემეტრეს კულტს. მოგვიანებით კუნძულ ლემნოსზე კაბირები ჰეფესტოს თანამგზავრებად და თანაშემწეებად მიიჩნიეს. ზოგიერთ ადგილებში კაბირებს დიოსკურებში ურევდნენ. საბერძნეთში კაბირებთან დაკავშირებულმა ზეიმებმა მისტერიების ხასიათი მიიღო. მითების მიხედვით კაბირების რიცხვი ორსა და ოთხს შორის მერყეობს.

კ ა დ მ ო ს ი, ბერძნ. (Κάδμος, ὁ) ბეოტიური მითების გმირი, თებეს მითიური დამაარსებელი, ფინიკიის მეფის — აგენორის ვაჟი (ზოგი ვარიანტით ფენიქსის ვაჟი). მითები კადმოსის დედად ტელეფასას მიიჩნევენ. კილიქსის, ფენიქსისა და ევროპეს ძმა. ჰარმონიას მეუღლე. როდესაც ხარადქცეულმა ზევსმა ევროპე მოიტაცა, აგენორმა დის მონახვა მის ძმებს დაავალა და დის გარეშე შინ დაბრუნება აუკრძალა. ფენიქსმა და კილიქსმა მალევე მიატოვეს ევროპეს

ძებნა და დააარსეს ქალაქები: ფენიქსმა — ფინიკია, კილიქსმა კი — კილიკია. კადმოსმა დიდხანს მარტოდ-მარტომ ეძება ევროპე. მაგრამ ძებნა უშედეგო აღმოჩნდა. სამისნოს რჩევით კადმოსსაც თავი უნდა დაენებებინა ევროპეს ძებნისათვის და ქალაქი აეშენებინა იქ, სადაც დაწევებოდა ის ძროხა, რომელიც მას პირველად შეხვდებოდა სამისნოდან გასვლის შემდეგ. მართლაც კადმოსი გამოვიდა თუ არა გარეთ, ძროხა დაინახა, აედევნა მას და დიდხანს სდია. მანამ, სანამ ძროხა ერთ ტრიალ მინდორზე არ დაწვა. კადმოსმა მადლი შესწირა ათენასა და იქვე სასწრაფოდ სამსხვერპლო ააგო. მსხვერპლის შესაწირავად საჭირო წყლისათვის კადმოსმა მსახურები გაგზავნა. მსახურები წყლის მფლობელმა დრაკონმა (არესის შვილმა) დახოცა. განრისხებულმა კადმოსმა ძებნა დაუწყო მათ დამხოც დრაკონს, ისიც მალე იპოვნა, შეებრძოლა და მოკლა. დრაკონის მოკვლისთანავე კადმოსს ათენა გამოეცხადა და უბრძანა — დაეძრო დრაკონისათვის კბილები, მიწა მოეხნა და დაეთესა. კადმოსმა ათენას ბრძანება შეასრულა. მაგრამ ის იყო უნდა გამობრუნებულიყო, რომ დათესილი კბილებიდან შეიარაღებული მეომრები აღმოცენდნენ და ერთი მეორეს დაერივნენ. მათგან მხოლოდ ხუთიღა დარჩა, ისინი კადმოსს შეურიგდნენ და თანაშემწეობა შესთავაზეს. ამ მეომრებს ხშირად სპარტებს ე. ი. დათესილებს უწოდებდნენ ხოლმე (სხვა მითის მიხედვით თითქოს ათენამ და არესმა მისცეს მას დრაკონის კბილები დასათესად).

როდესაც კადმოსი მისგან მოკლულ დრაკონს გააცებულა უყურებდა, საიდანღაც იდუმალი ხმა შემოესმა: რად უყურებ გაოცებული შენს მიერ მოკლულ დრაკონს, ბოლოს შენც დრაკონად იქცევი და ასევე გააოცებ ადამიანებსო. შეშინებულმა კადმოსმა მიატოვა მკვდარი დრაკონი და სასწრაფოდ გაცილდა იმ ნაკადულს. დანიშნულ ადგილზე მან თანაშემწეებთან ერთად ქალაქი ააშენა და აქვე დაიწყო ცხოვრება (ერთი მითის მიხედვით კადმოსი რვა წლის განმავლობაში არესს ემსახურებოდა მისი ვაჟის მოკვლის გამო). რამოდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთმა სპარტთაგანმა ცოლად შეირთო კადმოსის ქალიშვილი,—ჰარმონია. ზოგი მითის მიხედვით მანამდე, ხოლო ზოგით დრაკონის მოკვლისა და არესთან სამსახურის შემდეგ, კადმოსმა ცოლად შეირთო არესისა და აფროდიტეს ასული ჰარმონია. ქორწილს ყველა ღმერთი დაესწრო და ნეფე-დედოფალს ძვირფასი საჩუქრები მიართვეს. (ეს საჩუქრები შემდეგ ხშირად მათი მფლობელებისათვის უბედურების მომტანი შეიქმნა). კადმოსსა და ჰარმონიას შეეძინათ შვილები: პოლიდორისი, ავტონოე, ინო. სემელე და ავგავე. მოხუცებულობაში ბევრი უსიამოვნება შეხვდა კადმოსს და ერთხელ მოკლული გველეშაპი (დრაკონი) გაახსენდა. გაახ-

სენდა ის იდუმალი ხმაც, მაშინ რომ შემოესმა, შეეშინდა და გაიფიქრა, ხომ არ სრულდება წინასწარმეტყველებაო... და უცებ მისი ტანი დაგრძელდა. დაიჭიმა, გველის ფორმა მიიღო, ტანი ქერცლმა დაუფარა და გამწარებულმა მოხუცმა მაღალი ხმით შესძახა ჰარმონიას: დამეხმარეო, მაგრამ მისი პირიდან მხოლოდ გველის საზიზღარი სისინი აღმოხდა. გამწარებული ჰარმონია მივარდა ქადმოსს, მაგრამ რაღას უშველიდა, იგი უკვე დრაკონი იყო. ორად გაყოფილი გველის ენით დიდხანს ლოკავდა ქადმოსი ჰარმონიას, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და ჰარმონიაც მისივე დაჟინებული თხოვნით ღმერთებმა დრაკონად აქციეს. ამის მერე ღმერთების ბრძანების თანახმად ქადმოსი და ჰარმონია ელისიაში წავიდნენ.

გველეშაპთან (დრაკონთან) მებრძოლი ქადმოსი ხშირადაა გამოსახული თასების მოხატულობაში. ამ სიუჟეტიდან შეიძლება მომდინარეობდეს წმინდა გიორგის გველეშაპთან შებრძოლების მითიც. მითის შექმნას და გავრცელებას, საფიქრებელია, მრავალ სხვა მიზეზთან ერთად ხელი შეუწყო იმანაც, რომ ქადმოსს მიეწერება ფინიკიური ანბანის შექმნა.

ქ ა დ უ ც ე უ ს ი, ლათ. (Caduceus) ორგველშემოვლებული კვერთხი. ჰერმეს — მერკურის ატრიბუტი. ითვლებოდა მაცნეების, ელჩების, პარლამენტარების და სხვა მსგავსთა ემბლემად, რაც მათ ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა. ამჟამად იგი ვაჭრობის ემბლემაა.

ქ ა ვ კ ა ს ე ვ ს ი, ბერძნ. (Καυκασεύς, ბ) აპოლონის ზედმეტი სახელი კავკასიაში.

ქ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი, — 1. ძველი ბერძნების წარმოდგენით კავკასიონი, ისევე როგორც მის დაბლა მდებარე კოლხეთი, ლეგენდარული, მითიური მხარე იყო. მათ სჯეროდათ, რომ კავკასიონის მწვერვალები ვარსკვლავებამდე აღწევდნენ. ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი მითის მიხედვით კავკასიონის ერთ-ერთ კლდის ჭიმზე მიჯაჭვული იყო პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს გადასცა (შდრ. ამირანი). ვარაუდობენ, რომ მითები კავკასიონის შესახებ, საბერძნეთში, პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ გავრცელდა. თუმცაღა საფიქრებელია, რომ არგონავტებმაც იცოდნენ კავკასიონის შესახებ. 2. მწყემსი, რომელიც მოკლა კრონოსმა, რომლის სახელიც შემდგომში კავკასიონის მთას ეწოდა.

ქ ა ვ ნ ო ს ი, ბერძნ. (Κάνος, ბ) მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქის — კავნოსის მითიური დამაარსებელი და მისი ეპონიმი. მილეტოსისა და ეიდოთეას ვაჟი, ბიბლიდას ტყუპისცალი.

ქ ა კ უ ს ი, ლათ. (Cacus) ავენტინუსის ბორცვზე, გამოქვაბულში მცხოვრები ცეცხლის ფრქვეველი ურჩმეხაზი, ვულკანის ვაჟი. ქაკუსი კლავდა ყველას, ვინც კი მისი საცხოვრებლის მახლობლად გაივლიდა. როდესაც ჰერაკლეს იტალიაზე გაევლით გერიონის ძროხები მიჰყავდა, ნაწილი ქაკუსმა მოსტაცა და გამოქვაბულში გადამალა. განრისხებული ჰერაკლე შეებრძოლა ქაკუსს და მოკლა.

ქ ა ლ ა ი ს ი, ბერძნ. (Κάλαϊς -ῖδος, ბ) არგონავტთა ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე, ერთ-ერთი ბორეადი.

ქ ა ლ ა უ რ ი ა, ბერძნ. (Καλαύρια, ჰ) ინდოსის მეუღლე.

ქ ა ლ ი დ ო ნ ი, ბერძნ. (Καλυδών -ῶνος, ბ) ეტოლოსის ვაჟი. — კალიდონის მხარის ეპონიმი. ზოგი მითის მიხედვით კალიდონი იყო არესის ვაჟი, რომელიც არტემიდემ ქვად აქცია კალიდონის მთაზე იმის გამო, რომ მან არტემიდე ბანაობისას შიშველი დაინახა.

ქ ა ლ ი დ ო ნ ი ს ტ ა ხ ი, ბერძნ. იხ. მელეაგროსი.

ქ ა ლ ი დ ო ნ ი ს ნ ა დ ი რ ო ბ ა, ბერძნ. იხ. მელეაგროსი.

ქ ა ლ ი ო პ ე, ბერძნ. (Καλλιόπη, ჰ) (სიტყვა-სიტყვით საუკეთესო ხმის მქონებელს ნიშნავს). ცხრა მუზათაგან შეცხრე. მუზების მეთაური. ადრე, ეყრდნობოდნენ რა მის სახელს, სიმღერების ღმერთქალად მიიჩნეოდნენ. კლასიკურ პერიოდში კალიოპე ეპიკური პოეზიის მუზად აღიარეს. კალიოპეს მუდმივი ატრიბუტებია საწერი ჯოხი და დაფა.

ქ ა ლ ი რ ო ე, ბერძნ. (Καλλιρρόη, ჰ — „ლამაზად მდინარი“). მდინარის ფერია. მისი სახელი გვხვდება საბერძნეთის სხვადასხვა კუთხის მრავალ მითში და უველგან მდინარ წყალთანაა დაკავშირებული. ზოგი მითის მიხედვით კალიროე ოკეანოსის ქალიშვილია, ზოგით კი მდინარის ღმერთის აქელოოსისა. ერთი მითი მას მცირეაზიული მდინარის ღმერთის სკამანდროსის ქალიშვილად, განიმედესა და ილოსის დედად მიიჩნევს. კალიდონური მითის მიხედვით კალიროე შეუყვარდა დიონისეს ქურუმს — კორეოსს. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოხდა ისე, რომ კორეოსს მსხვერპლად უნდა შეეწირა კალიროე. ვაჟმა ვერ გაიმეტა კალიროე და თავი მოიკლა სამსხვერპლოზე. დამწუხრებულმა კალიროემაც იქვე მოიკლა თავი.

ქ ა ლ ი ს ტ ო, ბერძნ (Καλλιστώ. ჰ) არკადიელი ფერია. ლიკაონის ქალიშვილი. შეიყვარა ზევსმა. ზევსსა და კალისტოს შეეძინათ არკადი. დაეჭვებულმა და განრისხებულმა ჰერამ კალისტო ძუ დათვად აქცია. სხვა მითის მიხედვით კალისტო დათვად აქცია არა ჰერამ, არამედ თვით ზევსმა ჰერასაგან განრიდების მიზნით. დათვად ქცეული კალისტო მოკლა არტემიდემ (სხვა მითის მიხედვით კა-

ლისტო კინაღამ მოკლა მისმა შვილმა — არკადმა ნადირობის დროს). ზევსმა კალისტო მკეცრეთით აღადგინა და დიდი დათვის თანავარსკვლავედად აქცია.

კალიფსო, ბერძნ. (Καλυψώ, ἡ) კუნძულ ოგიგიაზე მცხოვრები ფერია. ატლანტოსის (ზოგი ვარიანტით ოკეანოსის) ქალიშვილი. მრავალი მითის მიხედვით კალიფსო კირკეს და ა. ითაკაში მიმავალი ოდისევსი მოხვდა კუნძულ ოგიგიაზე თავის თანამგზავრებთან ერთად. შვიდი წლის განმავლობაში ჰყავდა კალიფსოს ოდისევსი გამოქვაბულში. მეშვიდე წელს მას ჰერმესმა ღმერთების ბრძანება გადასცა ოდისევსის გაშვების შესახებ და კალიფსოც იძულებული შეიქმნა დამორჩილებოდა ღმერთების სურვილს.

კალქასი, კალქანტი, ბერძნ. (Κάλχας -αντος, ὁ) ლეგენდარული წინასწარმეტყველი. ტროის ომის მონაწილე. აულიდში, როდესაც ქარი ხელს უშლიდა ბერძენთა გემების წინ სვლას, სწორედ მან იწინასწარმეტყველა იფიგენიას მსხვერპლად შეწირვის აუცილებლობა. მანვე იწინასწარმეტყველა ის, რომ ტროის ომი ათ წელს გაგრძელდებოდა. მან ახსნა ტროის ალყის დროს ბერძენთა ჯარში ეპიდემიის გავრცელების მიზეზი. კალქასი დარდით მოკვდა იმის გამო, რომ მოფსოსმა აჯობა წინასწარმეტყველებაში. სამხრეთ იტალიაში არსებობდა კალქასის ტაძარი და სამსხვერპლო.

კამენა, ლათ. (Camena) იტალიური ფერია. დაჯილდოებული იყო წინასწარმეტყველების ნიჭით. მოგვიანებით აღიარეს ხელოვნების მფარველ ღვთაებად და მუზასთან გააიგივეს.

კამილა, ლათ. (Camilla) მეფე მეტაბუსის ქალიშვილი. როდესაც მეფე საბელშწიფოდან განდევნეს, თან წაიყვანა ჩვილი კამილა. კარგა ხნის მგზავრობის შემდეგ მათ გადასაცურავი დახვდათ მდინარე. მამამ ჩვილი ბავშვი ხმალზე მიაკრა, მისი ბედი დიანა ღმერთქალს მიანდო და მდინარის მეორე ნაპირზე გადაისროლა, თვითონ კი გაცურა მდინარე. კამილა გადარჩა და მისგან მამაცი მონადირე და მეომარი დადგა. იგი ტურნუსის მხარეზე იბრძოდა ენეასის წინააღმდეგ.

კამპე, ბერძნ. (Κάμπη, ἡ) ურჩხული ლიბიაში. მოკლა დიონისემ (ზოგი ვარიანტით ზევსმა).

კანაკე, ბერძნ. (Κανάκη, ἡ) ეოლოსისა და ენარეტეს ქალიშვილი. პოსეიდონთან კავშირით დაბადა ნერევსი, ეპოპევსი და სხვა.

კანდავლე, ბერძნ. (Κανδαύλης, ὁ) ომფალოსისა და ჰერაკლეს უკანასკნელი შთამომავალი, ლიდიის პირველი, ნაბეერადლეგენდარული მეფე. თქმულების მიხედვით, ერთხელ კანდავლემ თავის მეგობარს — გიგესს აჩვენა გაშიშვლებული დედოფალი (თავისი ცოლი). შეურაცხყოფილმა დედოფალმა გიგესს განუცხადა: ან სიცოცხლით ეგო პასუხი მისი შეურაცხყოფისათვის, ან მოეკლა კანდავლე და იგი შეერთო ცოლად. გიგესმა, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ამჯობინა, კანდავლე მოკლა, მისი ცოლი თვითონ შეირთო და ლიდიის მეფე გახდა.

კაპანევსი, ბერძნ. (Καπανεύς, ὁ) ჰიპონევსის ვაჟი. არგოსის მეფე. თებეზე გალაშქრებულ შვიდ გმირთაგან ერთ-ერთი. თებეზე გალაშქრებისას კაპანევსმა დაიკვეხნა, რომ ქალაქს თვით ზევსიც ვერ იხსნიდა. ამით გაჯავრებულმა ზევსმა იგი ელვით განგმირა ქალაქის კედელზე გადასვლისას. კაპანევსის დასაწვავ ცეცხლში (ბერძნები მიცვალებულებს წვავდნენ) ჩაეარდა მისი ცოლი ევადნეც. კაპანევსი არის თითქმის ყველა ხალხთა მითოლოგიაში ფართოდ გავრცელებული ღმერთთა წინააღმდეგ მებრძოლი, ძლიერი ადამიანის განსახიერება.

კარდეა, ლათ. (Cardea) ძველ ციხე-სიმაგრეთა დამცველი რომაული ღმერთქალი. იგი იყო ცალკეულ ოჯახთა მფარველიც.

კარი || კაროსი, ბერძნ. (Κάρ ან Κάρος, ὁ) 1. კარიელების მითიური წინაპარი. ფორონევსის ვაჟი. თითქოს მან ააგო აკროპოლი მეგარაში, მანვე შეიტანა იქ დემეტრეს კულტი.

კარიატიდები, ბერძნ. (Καρυάτις -ίδος, ἡ) სვეტის ნაცვლად გამოყენებული ქალთა ქანდაკებები, რომელთა მრავალი ნიმუში პირველად საბერძნეთშია ცნობილი. განსაკუთრებით განთქმულია ათენის ერეხთიონის კარიატიდი. მოგვიანებით კარიატიდები გვხვდება სხვა ხალხთა არქიტექტურაშიც.

კარმენტა, ლათ. (Carmenta) ევანდრეს დედა. არკადიელი ფერია, ნიკოსტრატოსთან გაიგივებული წინასწარმეტყველი. მის პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა რომის ერთ-ერთ კარებს. კარმენტას ტაძარი იყო კაპიტოლიუმის მთის ძირას.

კარნა, ლათ. (Carna) ადამიანის სხეულის მფარველი რომაული ღმერთქალი. სიტყვა „Carna“ ლათინურში სხეულს, ტანს აღნიშნავს.

კარნეიები, ბერძნ. (Κάρνεια, τά) კარნეიელი აპოლონის სახალხო-სატივმცემლო დღესასწაული, რომელიც იმართებოდა სპარტაში აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში. ზეიმი მიმდინარეობდა 9 დღეს. იგი სამხედრო ხასიათისა იყო. ჩვენს ერამდე VII საუკუნეში ზეიმებს მუსიკალური შეჯიბრებები დაუმატეს. სპარტის გარდა კარნეიები იმართებოდა მესენიაში, სიკიონში და სხვაგან.

კარნეოსი, ბერძნ. (Κάρνειος, ὁ) 1. ზევსისა და ევროპეს ვაჟი. აპოლონის სატრფო. 2. აპოლონის ზედმეტი სახელი სპარტაში.

კარპოსი, ბერძნ. (Καρπός, ὁ —ნაყოფი) 1. ნაყოფის დამწიფების ხელისშემწყობი ღმერთქალი. 2. ძეფიროსისა და ქლორიდეს ვაჟი.

კარპოფოროსი, ბერძნ. (Καρποφόρος — ნაყოფის მომტანი) ღმერთქალ გეას ეპითეტი.

კასანდრა, ბერძნ. (Κασσάνδρα, ἡ) პრიამოსისა და ჰეკაბეს ქალიშვილი. ტროის მეფის ასული. კასანდრა შეუყვარდა აპოლონს და წინასწარმეტყველების ნიჭით დააჯილდოვა, მაგრამ როდესაც კასანდრამ უარყო აპოლონის სიყვარული, მაშინ განრისხებულმა ღმერთმა საქმე ისე მოაწყო, რომ კასანდრას წინასწარმეტყველებას არავინ უჯერებდა. კასანდრას არ დაუჯერეს ტროის დაცემის წინასწარმეტყველება. ტროის დაცემისას კასანდრა ცდილობდა დამალულიყო ათენას ქანდაკების უკან, მაგრამ ლოკრიდელმა აიანტმა შენიშნა და დაიჭირა. ნადავლის განაწილების შემდეგ კასანდრა ერგო აგამემნონს და მასთან ერთად დაიღუპა მიკენში ეგისთესა და კლიტემნესტრას ხელით. ერთი მითის მიხედვით კლიტემნესტრამ სწორედ კასანდრას თანხლების გამო მოკლა ქმარი. ლაკონიაში გავრცელებული იყო კასანდრას კულტი, რომელიც შემდეგ ადგილობრივი გმირი ქალის ალექსანდრას კულტს შეერწყო. მითი გამოიყენა ესქილემ ტრილოგია „ორესტეაში“. თანამედროვე გაგებით კასანდრას უწოდებენ ისეთ ადამიანს, რომელიც წინასწარ გრძნობს მოსალოდნელ დიდ უბედურებას, მაგრამ განრიდება არ შეუძლია.

კასიოპე (კასიეპეია) ბერძნ. (Κασσιόπη, ἡ ან Κασσιέπεια, ἡ) კეფევსის მეუღლე. ანდრომედას დედა. მის სახელს ატარებს ერთ-ერთი თანავარსკვლავედი.

კასიფონე, ბერძნ. (Κασσιφόνης, ἡ) კორკეს და ოდისევსის ქალიშვილი. ტელეგონეს და.

კასტალია, ბერძნ. (Κασταλία, ἡ) მდინარის ღმერთის — აქელოოსის ქალიშვილი. მდინარის ფერია. კასტალიას დაედევნა მასზე შეყვარებული აპოლონი, მაგრამ თავის დაცვის მიზნით კასტალია პარნასის მთაზე წყაროდ გადაიქცა. კასტალიის წყაროში იბანებოდნენ ხოლმე დელფოში მისული მლოცველები. თანამედროვე გაგებით კასტალიის წყაროს აღფრთოვანების წყაროს უწოდებენ.

კასტალიის წყარო — იხ. კასტალია.

კასტორი, ბერძნ. (Κάστωρ, ὁ) 1. პოლიდევკესა და ლედას ძმა. ცხენების მფარველი ღვთაება. 2. ოდისევსის სავარაუდო მამა.

კატრევსი, ბერძნ. (Κατρεύς, ὁ) მინოსისა და პასიფაეს ვაჟი, აეროპეს, კლიმენესა და ალთემენეს მამა. კატრევსს უწინასწარმეტყველეს, რომ მოკლავდნენ საკუთარი შვილები. ამ უბედურების თავიდან აცილების მიზნით იგი როდოსში გაიქცა. მაგრამ ბედისწერას მაინც ვერ დაემალა.

კებრენი, ბერძნ. (Κεβρήν, ὁ) მდინარის ღვთაება (იხ. პარისი).

კებრიონე, ბერძნ. (Κεβριόνης, ὁ) პრიამოსის ვაჟი, ჰექტორის ნახევარძმა და მეეტლე, რომლის სახელიც თითქოს კებრენიას ეწოდა ერთ-ერთი მითის მიხედვით.

კეიქსი, ბერძნ. (Κήυξ, ὁ) ჰესპერას (ზოგი ვარიანტით ფოსფორის) ვაჟი. ქარების ღმერთის — ეოლოსის ქალიშვილის — ალკიონეს ქმარი. თესალიის ქალაქ ტრაქიონის მმართველი. კეიქსთან დაკავშირებულია შემდეგი მითი: მიუხედავად იმისა, რომ ალკიონესა და კეიქსს უბედნიერეს წყვილად მიაჩნდათ თავი, გარკვეული დროის გავლის შემდეგ კეიქსი რაღაც მტანჯველმა წინათგრძნობამ შეიპყრო და გადაწყვიტა დელფოს სამისნოში წასვლა. რათა შეეტყო თავისი მომავალი ბედი. რადგანაც სახმელეთო გზა მტრებს ეჭირათ, კეიქსი იძულებული გახდა ზღვით წასულიყო. როდესაც თავისი სურვილი ალკიონეს გაუმჟღავნა, ცოლმა სთხოვა ქმარს, ხელი აეღო განზრახვაზე, მაგრამ, რადგან კეიქსმა არ დაიშალა, ცოლმა სთხოვა თან მაინც წაეყვანა, რათა საყვარელი ქმრის ბედი გაეზიარებინა, მაგრამ კეიქსმა ამაზეც უარი უთხრა და წავიდა. კეიქსი ცოლს შეპირდა, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა მანამ, სანამ მთვარე მეორედ გაივსებოდა. როდესაც კეიქსის გემმა შუა გზას მიაღწია, ქარიშხალი ამოვარდა, გემი ჩაძირა და კეიქსი დაიღუპა. დიდხანს ელოდა ალკიონე ქმარს და ღმერთებს ევედრებოდა, რომ მშვიდობით დაებრუნებინა იგი. ჰერას მოსწყინდა დაღუპულ ადამიანზე ამდენი ვედრება, ჰიპნოსს ალკიონესადმი სიზმარი მიავლინებინა და აცნობა, რომ კეიქსი დაღუპული იყო, მას აღარავითარი ვედრება აღარ უშველიდა. მეორე დილით, განთიადისას, ალკიონე მივიდა ზღვის ნაპირას, დიდხანს უყურა ზღვას და უცებ დაინახა, რომ ტალღებს ნაპირისაკენ კეიქსის გემი მოჰქონდა. ალკიონემ აიწია და მაღალი ფლატედან ზღვაში გადახტა, მაგრამ სანამ წყალს შეეხებოდა, ღმერთებმა თეთრ თოლიად აქციეს, იგი დააჯდა კეიქსის გემს და ნისკარ-

ტით ალერსი დაუწყო. კეიქსმა თითქოს გაიგო საყვარელი მეუღლის ალერსი და ისიც, ღმერთების სურვილის თანახმად, თოლიად იქცა. ისინი მიფალერსნენ ერთმანეთს და ნაპირისაკენ გასწიეს. ამის შემდეგ ტკბილად განაგრძო ახლებური სიცოცხლე მოყვარულმა ცოლ-ქმარმა. მითის სხვა ვარიანტის მიხედვით ცოლ-ქმარი დასჯის მიზნით თოლიებად გადააქციეს ღმერთებმა, რადგანაც მათ თავი ისეთ ბედნიერ წყვილად მიაჩნდათ, რომ თავიანთ თავს ზევსსა და ჰერას უწოდებდნენ. მითი განეკუთვნება ადამიანთა ფრინველად გადაქცევის გავრცელებულ მოტივს. შეიძლება ამ მითის გაელენის შედეგი იყოს ისიც, რომ მთელს დედამიწაზე მეზღვაურებს დიდ ცოდვად მიაჩნიათ თოლიას მოკვლა.

კეკროპი, ბერძნ. (Κέκροψ -οπος, ბ) დედამიწის ძველატიკური ღვთაება. დედამიწის საერთო ბერძნული ღმერთქალის — გეას ვაჟი. მას მიეწერება ათენის აკროპოლისა და ატიკის თორმეტი ქალაქის დაარსება, რის გამოც ხშირად მთელ ამ მხარეს კეკროპია, ხოლო ათენელებს კეკროპიდები ეწოდება. ლეგენდა კეკროპს ათენის პირველ მეფედაც მიიჩნევს. კეკროპთან დაკავშირებულია შემდეგი მითი: როცა მან ათენის აკროპოლი ააგო, ღმერთებს შორის დავა გაიმართა ჭალაქის მფლობელობაზე. ერთიმეორეს ედავებოდა ზღვის ღმერთი — პოსეიდონი და ათენა პალადა. დავის გადასაწყვეტად ზევსმა კრება მოიწვია და კეკროპსაც, როგორც ათენის მეფეს, დაუძახა. ზევსმა გამოაცხადა, რომ ქალაქის პატრონობა მას ერგებოდა, ვინც მხარეს რაიმე ძვირფასს შესძენდა. პოსეიდონმა სამკბილა კრა კლდეს და ზღვის მლაშე წყალი სამ ჭავლად წამოვიდა, ხოლო ათენამ მიწაში ხმალი ჩაასო და ზეთის ხილი აღმოაცენა. ამის შემდეგ სიტყვა მიეცა კეკროპს და ამ უკანასკნელმა განაცხადა: „ოლიმპოს ბრწყინვალე ღმერთებო, ზღვის მლაშე ტალღები ყველგან ხმაურობენ, ზეთის ხილი კი იშვიათია და მოსახლეობას სიმდიდრეს მოუტანს“! აქედან გამომდინარე, ქალაქის მფარველობა ათენას ერგო და ამიერიდან კეკროპის ქალაქს ათენას სახელი ეწოდა. კეკროპმა ათენში ათენას სამლოცველო დააარსა და თავისი ქალიშვილები ღმერთქალის პირველ ქურუმებად აქცია. კეკროპმა მისცა ათენელებს კანონები და მანვე მოაწესრიგა მთელი სახელმწიფო. კეკროპის ქალიშვილებს ათენამ გადასცა ყუთში ჩასმული პატარა ერიხთონიოსი და კატეგორიულად აუკრძალა ყუთის გახსნა, მაგრამ გოგონებს ცნობისმოყვარეობამ სძლია და ყუთი მაინც გახსნეს. როდესაც ყუთში გველისებრლოთიანი ყმაწვილი დაინახეს, შიშისაგან აკროპოლის კლდიდან უფსკრულში გადაცვივდნენ და დაიღუპნენ (მითის სხვა ვარიანტის მიხედვით ქალიშვილები დასჯის მიზნით გააგიჟა ღმერთქალმა).

კელეოსი, ბერძნ. (Κελεός, ბ) ელევსინის მითიური მეფე, მეტანირეს ქმარი. დემოფონტესა და ტრიპტოლემოსის მამა.

კენევსი, ბერძნ. (Καινεύς, ბ) ლაპითი. კალიდონის ნადირობისა და არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე, მტერთაგან უვნებელი ბუმბერაზი. კენტავრების ლაპითებთან ბრძოლის დროს კენტავრებმა კენევსი ხის წვერებით გაგლიჯეს და ამის შემდეგ დაძარხეს მიწაში, რადგანაც სხვაგვარად მისი მოკვლა შეუძლებელი იყო. ელინიზმის პერიოდში შეიქმნა მითი იმის შესახებ, რომ თითქოს პირველად კენევსი ქალი იყო და სახელად კენიდე ერქვა. კენიდე იმდენად შეუყვარდა პოსეიდონს, რომ მისი თხოვნით იგი მტერთაგან უვნებელ ვაჟკაცად აქცია. როდესაც კენევსმა სიძლიერე და უვნებლობა იგრძნო, თავი მიანება ღმერთების პატივისცემას და მათ წინააღმდეგ გალაშქრებაც კი გაბედა, ამიტომაც დაისაჯა კენევსი ღმერთებისაგან ლაპითებთან ომის დროს — გადმოგვცემს შედარებით გვიანდელი მითი.

მსგავსი მაგალითები საკმაოდ გვხვდება როგორც ბერძნულ, ისე სხვა ხალხთა მითოლოგიაში. მითი შეიძლება წარმოქმნილი იყოს დედისეული გვარის დაშლის შემდეგ, როცა მამაკაცს მეტი უფლებები მიეცა და ქალი დაიჩაგრა. ძველად ჩვენშიც სწამდათ ასეთი რამ: თუ ქალი ცისარტყელას გადააბიჯებდა, მამაკაცად იქცეოდა და — პირიქით.

კენიდე, ბერძნ. (Καινίς -ίδος, ბ) (იხ. კენევსი).

კენიდი, ბერძნ. (Καινείδης, ბ) 1. კენევსის ვაჟი ე. ი. კორონოსი. 2. კენევსის შთამომავალი, ე. ი. ეეტიონი.

კენტავრები, ბერძნ. (Κένταυροι, თ) ტყის დემონები, მითიური არსებანი. ნახევრად-ცხენები და ნახევრად-ადამიანები. გადმოცემის თანახმად ისინი გელურები და ღვინის მოტრფიალენი ყოფილან. ყველაზე მეტად გავრცელებული მითის მიხედვით ისინი იქსიონისა და ნეფელეს შთამომავლები არიან. თავიდან კენტავრები თესალიაში ცხოვრობდნენ პელიონის მთაზე, მაგრამ ლაპითებმა კენტავრების ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი ეპირის საზღვარზე განდევნეს. ფართოდაა ცნობილი მითი ჰერაკლესა და კენტავრების ბრძოლის შესახებ. სატირების მსგავსად კენტავრებიც დიონისეს თანამგზავრებად ითვლებოდნენ, რამაც შეიძლება წარმოშვა მითი მათი ლოთობის შესახებ. ყველაზე ცნობილი კენტავრები იყვნენ: ჭირონი, ევრიტიონი, ნესოსი. მითი კენტავრების შესახებ დაკავშირებული უნდა იყოს რელიგიის განვითარების ტოტემურ საფეხურთან. შესაძლებელია მითს დასაბამი მისცა გადმოცემამ ერთ-ერთ თესალიელ

ტომზე, რომლებიც, თითქოს ცხენიდან არასოდეს არ ჩამოდიოდნენ გადმოცემები კენტავრების შესახებ შემონახულია ჰომეროსთან, სოფოკლესთან, ევრიპიდესთან და ოვიდიუსთან. ძველი მოქანდაკეები და მხატვრები კენტავრის სახის შესაქმნელად ადამიანის ზემო ნაწილს უერთებდნენ ცხენის უკანა ტანს, მოგვიანებით კი ცხენის უკანა ტანსა და მკერდს მიამატეს ადამიანის ტანის ზემო ნაწილი.

არკადიაში აპოლონის ტაძრის ფასადზე, გამოსახულია ლაპითებისა და კენტავრების ბრძოლის რელიეფური სცენა.

კერბერი ან კერბეროსი, ბერძნ. (Κέρβερος, ბ) ტიფონისა და ექიდნეს ვაჟი. მიწისქვეშა სამყაროს (ჰადესის) კარიბის მცველი საშინელი ურჩხული. მას ჰქონდა სამი თავი, მის კისერზე გველები იკლაკნებოდნენ და კუდი ლაშდაღრენილი გველეშაპის თავით უმთავრდებოდა. კერბერი ჰადესში ყველას უშვებდა, იქედან კი — არავის, მხოლოდ ერთადერთმა — ორფეოსმა შეძლო ჯადოსნური სიმღერით დაეძინებინა კერბერი და გამობარულიყო ჰადესიდან. მიკენის მეფემ — ევრისთევსმა დაავალა ჰერაკლეს ჰადესიდან კერბერის ამოყვანა. დიდი ხნის სიარულისა და მრავალი თაეგადასავლის შემდეგ ჰერაკლე მივიდა მიწისქვეშეთის მეფე ჰადესთან და კერბერის გატანება მოსთხოვა. ჰადესს გაუკვირდა ჰერაკლეს ნახვა და სათხოვარი, დაეთანხმა, მაგრამ იმ პირობით, თუკი გმირი კერბერს ცარიელი ხელით დაიმორჩილებდა. რკინასავით მაგარი ხელები შემოაჭდო გმირმა ურჩხულს და მოსთხოვა გაჰყოლოდა. მაგრამ კერბერი არ ნებდებოდა. დიდხანს აწამა ურჩხული ჰერაკლემ და ბოლოს, ნახეკრად მკვდარი აიტაცა და წამოიყვანა. მეტისმეტად შეაშინა უკუნეთის მკვიდრი დღის სინათლემ, იგი მთლიანად ცივმა ოფლმა დაფარა, აცახცახდა და დაღრენილი ლაშებიდან მომწამლველი დუჟი სდიოდა, დუჟისაგან შხამიანი ბალახები იზრდებოდნენ. ჰერაკლემ კერბერი მიკენში მიიყვანა და ევრისთევსს მიჰგვარა, მაგრამ მეფე დანახვისთანავე შიშმა შეაბყრო და შეეცვედრა გმირს, კვლავ ჰადესში წაეყვანა ეს საშინელება. ჰერაკლემ შეისმინა მეფის ვედრება და კვლავ თავის სამყოფელში დააბრუნა კერბერი. — ეს იყო ჰერაკლეს XII გმირობა. გადატანითი მნიშვნელობით კერბერს უწოდებენ ავ, მრისხანე დარაჯს. იგივე ლათინური ცერბერი.

კერები, ბერძნ. (Κῆρες, αἱ) ნიკტის შვილები, ბოროტი დემონები. ჰომეროსის მიხედვით ისინი სიკვდილს ანსახიერებენ. ხალხურმა გადმოცემებმა ისინი უსაშინლესი თვისებებით აღჭურვეს.

კერინიის შველი, ბერძნ. — ჯადოსნური სიჩქარის მქონე, ოქროს რქებიანი და სპილენძის ჩლიქებიანი შველი, რომელმაც

სახელწოდება არკადიაში მდებარე კერინიის მთისაგან მიიღო. როდესაც ევრისთევსმა ჰერაკლეს ამ შველის მიყვანა მოსთხოვა, გმირმა მთელი წლის განმავლობაში სდია მას და როდესაც მიეწია, ისარი ფეხში მოარტყა (ჰერაკლეს მეოთხე გმირობა). დაჭრილი შველი შეიპყრო და მეფეს მიჰგვარა. ეს შველი არტემიდესადმი იყო შეწირული და ევრისთევსმა კვლავ მას დაუბრუნა.

კერკიონი, ბერძნ. (Κερκυών -ονος, ბ) ელევსინელი ბუმბერაზი, პოსეიდონის ან ჰეფესტოსი და ამფიქტიონის ერთ-ერთი ქალიშვილის ვაჟი. ტრიპტოლემოსის ნახევარძმა. შეამბოხე. მოკლა თეზევსმა.

კერკისერა, ბერძნ. (Κερκυσέρα, ἡ) ზოგი მითის მიხედვით ქილევსის სახელი, როდესაც იგი ქალურად გადაცმული იმალებოდა ლიკომედეს ქალიშვილებში კუნძულ სკიროსზე.

კერკოპები, ბერძნ. (Κέρκωπες, οἱ) ჰაიმუნისმაგვარი ჯამბაზი ქაცუნები.

კერკოფსი არის მაიმუნის მაგვარი ადამიანი, რომელთა ტომიც, გადმოცემის თანახმად, თერმოპილის მხარეში ცხოვრობდა. ერთხელ კერკოპები თავს დაესხნენ მძინარე ჰერაკლეს. როდესაც გმირმა გამოიღვიძა, ყველანი შეიპყრო და თან წაიყვანა. კერკოპებმა იმღერეს იხუმრეს და იმაიმუნეს გზაში, რომ გამხიარულებულმა ჰერაკლემ შეიბრალა ისინი და გაათავისუფლა.

კეროსი, ბერძნ. (Κῆρός, ἡ) ნაძალადევი, ნაადრევი სიკვდილის, საბედისწერო დასასრულის ღვთაება, (იხ. კერები) მისაგან განსხვავებით თანატოსი ბუნებრივი სიკვდილის ღვთაებაა.

კეტო, ბერძნ. (Κητώ, ἡ) ტიტანიდა, პონტოსი და გეას ქალიშვილი. ფორკოსის და და მეუღლე, გრაების, გორგონასა და ლადონას დედა.

კეფალოსი, ბერძნ. (Κέφαλος, ბ) ჰერსას ვაჟი. მთელ საბერძნეთში სიღამაზით განთქმული ყმაწვილი. იგი იყო შეუდარებელი მონადირე. პროკრიდეს მეუღლე. ერთხელ, განთიადისას, როცა იგი სანადიროდ მიდიოდა, შენიშნა განთიადის ღმერთქალმა — ეოსმა, მოიტაცა და თავისთან წაიყვანა. კეფალოსი ძლიერ დაღონდა, რადგან მას მხოლოდ პროკრიდე უყვარდა. ამიტომაც იგი დიდხანს ემუდარებოდა ეოსს უკანვე გაეშვა, მაგრამ ღმერთქალს ენანებოდა ლამაზი ყმაწვილის მოშორება. ბოლოს ეოსმა კეფალოსს უთხრა: კარგი, გაგიშვებ, მაგრამ დღეს იქნება თუ ხვალ, შენ ინანებ პროკრიდესათვის ასეთ თავდადებას, შენ დარწმუნდები მის ორგულობაში. გაშვების წინ ეოსმა დაითანხმა კეფალოსი, გამოეცადა ცოლი

ერთგულებაში. ეოსმა მას სახე შეუცვალა და ათენში გაუშვა. იგი, ვითომც უცხო, მივიდა პროკრიდესთან და სიყვარული აუხსნა. დიდხანს არ მიიკარა ქალმა უცხო მამაკაცი, მაგრამ ბოლოს მისი ხასიათიც მოტყდა და უცნობს გაუღიმა. მაშინ კეფალოსმა თავის სახე მიიღო და შესძახა: „უპირო, მე ხომ შენი ქმარი ვარ!“ გაოგნებულმა პროკრიდემ ხმა ვეღარ ამოიღო, თავი დახარა და ქმრის სახლიდან გავიდა. ვერ გაძლო დიდხანს კეფალოსმა საყვარელი ცოლის გარეშე, წავიდა, მონახა და კვლავ დაიბრუნა. დიდხანს იცხოვრეს ცოლ-ქმარმა ბედნიერად, კეფალოსი დილაადრიან კვლავ სანადიროდ დადიოდა და გვიან საღამოს ბრუნდებოდა საყვარელ მეუღლესთან. ერთხელ, ნადირობისას, იგი ჩვეულებრივ მღეროდა: „ო, გრილო სიო, მოდი ჩემთან, მომეალერსე, შემოეხვიე ჩემს ღია გულ-მკერდს“! ერთ გამვლელს კეფალოსის სიმღერა გაუგონია და პროკრიდესათვის ამბავი მიუტანია — შენი ქმარი ტყეში ვიღაც ფერიას ეძახდა და მისკენ ევედრებოდაო. დაეჭვებული პროკრიდე მეორე დღეს მალულად გაჰყვა კეფალოსს ტყეში და ბუჩქების უკან დაიმალა. როდესაც კეფალოსმა იგივე სიმღერა გაიმეორა, პროკრიდე თითქოს დარწმუნდა მის ღალატში, გული აუძგერდა და შეირხა. ბუჩქებს იქით მოქანავე არსება კეფალოსს ნადირი ეგონა, ხმალი კრა და მოკლა. როდესაც ქალის კვნესა გაიგონა, კეფალოსი მივარდა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. პროკრიდე შეევედრა მას, ღვთის გულისათვის ის სიო მაინც არ შეირთო ცოლად, რომელსაც ახლა ეძახდიო. ქმარმა რომ პროკრიდეს აქ მოსვლის მიზეზი გაიგო, დაუწყო ფიცით მტკიცება, რომ არაფერი მსგავსი არ არსებობსო, მაგრამ პროკრიდეს უკვე აღარაფერი ესმოდა. გადმოცემის თანახმად კეფალოსი, თუმცა უნებურად, მაგრამ მაინც, როგორც ცოლის მკვლელი, ათენიდან გაასახლეს არეოპაგის ბრძანებით და ამის შემდეგ თებეში გადავიდა. დიდხანს იგლოვა მან ასე უნებურად დაკარგული პროკრიდე. თებეში იგი დაეხმარა ამფიტრიონს ჯადოსნური მელას დაჭერაში. მან მელას მიუსია პროკრიდესათვის არტემიდესაგან ნაჩუქარი ძაღლი. სირბილის დროს, თითქოს, — გადმოგვცემს მითის ერთი ვარიანტი — ძაღლიც და მელაც ქვებად იქცნენ. ნადირობის შემდეგ კეფალოსმა მონაწილეობა მიიღო ომში და ერთ-ერთი კუნძულის მეპატრონე გახდა, რომელსაც შემდეგ მისი სახელი ეწოდა. იგი აქვე ცხოვრობდა გარდაცვალებამდე.

კ ე ფ ე ვ ს ი, ბერძნ. (Κηφεύς, ბ) 1. ეთიოპიის მითიური მეფე, ბელოსის ვაჟი, ანდრომედას მამა. 2. ლიკურგოსის ვაჟი, არგონავტი, ანკეოსის ძმა.

კ ე ფ ი ს ო ს ი, ბერძნ. (Κηφισός, ბ) მდინარის ღვთაება, ნარცისის მამა. მდინარე კეფისოსის ეპონიმი.

კ ვ ა დ რ ი გ ა, ლათ. (quadriga) ჩვეულებრივ ორბორბლიანი ეტლი, რომელშიც ოთხი ცხენია შებმული. მეეტლე ფეხზე მდგომარე მიაქროლებს ცხენებს. კვადრიგა არის პულიოსის მუდმივი ატრიბუტი. კვადრიგაში მჯდომარე აპოლონის გამოსახულება არის მოსკოვის დიდი თეატრის ფრონტონზე და ლენინგრადის პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში.

კ ვ ი ნ კ ვ ა ტ რ ი ე ბ ი, ლათ. (quinquatruum) მინერვას საპატივცემლო დღეობები ძველ რომში. ზეიმები იმართებოდა მარტის თვეში და ხელოსანთა დღესასწაულებად ითვლებოდა. ამ პერიოდში უხდიდნენ ხელფასს მასწავლებლებსაც.

კ ვ ი რ ი ნ ა ლ ი ე ბ ი, ლათ. (quirinalium) კვირინუსის საპატივცემლო რომაული დღესასწაულები, რომლებიც იმართებოდა თებერვლის თვეში. ზეიმის მთავარი ცერემონიალი იყო კვირინუსისადმი საზეიმოდ მსხვერპლთშეწირვა, რომელსაც ჭურუში ფლამინოსი ასრულებდა. გადმოცემის თანახმად ეს ზეიმები შემოიღეს რომის ლეგენდარულმა მეფეებმა.

კ ვ ი რ ი ნ უ ს ი, ლათ. (Quirinus) იტალიის ერთ-ერთი უძველესი ღვთაებათაგანი, რომელსაც ეტრუსკები აღიარებდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე იტალიელების დასახლებამდე. მისი კულტი იტალიაში საბინიელებს უნდა შემოეტანათ. მარსისა და იუპიტერის შემდეგ კვირინუსი მესამე ადგილზე იდგა. მოგვიანებით მისი კულტი მარსის კულტში აურიეს. კვირინუსს ხშირად „მშვიდ მარსს“ ან „მშვიდობიანობის მარსს“ და სხვა ასეთს უწოდებდნენ. მოგვიანებით კვირინუსის კულტი რომულუსის კულტს შეერწყო. ამაზე მიუთითებს რომულუსისა და კვირინუსის საერთო ტაძარი. რომაელთა ძველი სახელწოდება — კვირიტები კვირინუსის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. კვირინუსის ქალაქს რომს უწოდებენ, კვირინუსის ერს — კი — რომაელებს || იტალიელებს.

კ ვ ი რ ი ტ ი, ლათ. (Quiris — itis) სრულუფლებიანი რომაელი მოქალაქე, რომლის სახელიც დაკავშირებულია ძველიტალიურ ღვთაება კვირინუსთან.

კ ვ ი ტ ა ი ს ი, ბერძნ. (Κυταΐς, ჩ) მედეას ერთ-ერთი ზედმეტი სახელი მამამისის ქალაქ—კეიტაიას მიხედვით. მას ხშირად კვიტაიკეს ე. ი. კვიტაიელსაც ეძახიან.

კ ი ბ ე ლ ა || კ ი ბ ე ლ ე, (Κυβέλη, ჩ დორ. Κυβέλα, ჩ) ფრიგიული ღმერთქალი, დიდი დედა, ღმერთთა და ყოველ არსთა დედა

დედამიწაზე. მკვდარი ბუნების აძალორძინებელი და ყოველგვარი ცოცხალი არსებისათვის ნაყოფიერების მიმნიჭებელი. ძველ ფრიგიელებს მიაჩნდათ, რომ კიბელე ცხოვრობდა მთათა მწვერვალებზე. მოგზაურობდა ეტლით, რომელშიც შებმული იყვნენ ლომები და ჯიქები. ერთი მითის მიხედვით კიბელეს შეუყვარდა ატისი. პირველ ხანებში ატისიც თანაუგრძნობდა კიბელეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გადაიყვარა და გადაწყვიტა მოკვდავი ქალი შეერთო ცოლად. ამის გამო განაწყენებული კიბელე მივიდა ქორწილზე და ყველა დამსწრეს უგონობა მოუვლინა. უგონობით შეპყრობილი ატისი მთაში გაიქცა და თავი მოიკლა. ატისის დასატირებელი სამგლოვიარო ცერემონიალი, როგორც გადმოგვცემენ, კიბელემ დაწესა და დაამკვიდრა; იგი კიბელეს კულტის მისტერიებში მთავარ როლს თამაშობდა. კიბელეს კულტი ფართოდ გავრცელდა მცირე აზიაში და შედარებით ადრე შეერწყო ბერძნული ღმერთქალის — რეას კულტს. რომში რეა გააიგივეს ადგილობრივ ღმერთქალთან — ოპსთან. ელინურ და რომაულ პერიოდში კიბელეს თაყვანისცემის ცენტრი იყო გალებით დასახლებული მცირეაზიის ქალაქი პესინუნტი. ამიტომაა, რომ კიბელეს ჭურუმებს რომში გალებს უწოდებდნენ, მთავარ ჭურუმებს კი — არხიგალებს. პალაცინუმის ბორცვზე აღმართეს კიბელეს სახელობის ტაძარი. კიბელესა და ატისის პატივსაცემად რომაელები გაზაფხულზე მართავდნენ ზეიმებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რომში კიბელეს კულტი შევიდა პუნიკური ომების დროს. მას შემდეგ, რაც რომის გავლენა გაძლიერდა მცირე აზიაში.

კ ი დ ი ა ე, ბერძნ. (Κυδίππη, ἡ) 1. ათენელი ქალიშვილი, რომელიც უნებური შეფიცვის გამო იძულებული გახდა ცოლად გაჰყოლოდა აკონტიოსს (იხ. აკონტიოსი). 2. კლეობისისა და ბიტონოსის დედა.

კ ი თ ა ი რ ო ნ ი, ბერძნ. (Κιθαιρών, ὁ) ქალაქ პლატეიას მითიური მეფე, კითაირონის მთის ეპონიმი. ამ მთაზე მდებარეობდა კითაირონელ წინასწარმეტყველი ფერიების თავშესაფარი გამოქვაბული.

კ ი თ ე რ ი ა, ბერძნ. (Κυθέρεια, ἡ) აფროდიტეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელი. სახელწოდება მომდინარეობს კუნძულ კითერადან, სადაც მდებარეობდა აფროდიტეს კულტის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი.

კ ი კ ლ ო პ ე ბ ი || ც ი კ ლ ო პ ე ბ ი, ბერძნ. (Κύκλωπες, οἱ ლათ. Ciclopes) მითიური ცალთვალა ბუმბერაზები. ფიქრობენ, რომ მითი კიკლოპების შესახებ შექმნილი უნდა იყოს იმ მონუმენტალური შე-

ნობების აგების მიზეზის აუხსნელობის გამო, რომლებიც აშენებულია მიკენის ეპოქაში და დღესაც გვხვდება საბერძნეთისა და რომის სხვადასხვა ადგილებში. ბერძნებს მიაჩნდათ, რომ პირველად მთელი დედამიწა კიკლოპებით იყო დასახლებული. ეს დიდი შენობები თითქოს ააშენეს ლიკიიდან საბერძნეთში მოსულმა ბუმბერაზებმა — კიკლოპებმა. ბერძნების წარმოდგენით სადაც ე. წ. „კიკლოპური“ შენობები გვხვდება, იქ კიკლოპები ცხოვრობდნენ ოდესღაც (არგოლიდა, არკადია, ეპირი, ლაციუმი). ჰომეროსის პერიოდში წარმოდგენები კიკლოპებზე კიდევ უფრო გაზარდა ბერძნებისაგან კაცისმჭამელი ტომების მიგნებამ. ჰომეროსის წარმოდგენით კიკლოპები გამოქვაბულებში მცხოვრები ძლევამოსილი ბუმბერაზები არიან, არ მისდევენ მიწათმოქმედებას და არ აღიარებენ ღმერთებს. ბერძნული მითოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით კიკლოპები გარკვეულ ადგილს იკავებენ ოლიმპიურ რელიგიაში. ჰესიოდეს მიხედვით კიკლოპები გეას და ურანოსის შვილებია, — ისინი სულ სამნი არიან: ბრონტოსი, სტერაპოსი, არგესი. როგორც ყველა სხვა შვილები, ურანოსს ისინიც მიწის წიაღში ჰყავდა გამომწყვდეული. როდესაც დავა გაიმართა კრონოსსა და ურანოსს შორის ქვეყნიერების მბრძანებლობაზე, კიკლოპები კრონოსს მიემხრნენ, მაგრამ კრონოსს მათი სიძლიერისა შეეშინდა და გამარჯვების მერე ყველანი ჯაჭვებით შეკრა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ზევსმა გაათავისუფლა კიკლოპები და ჰეფესტოს დაუმეგობრა, რომელსაც ისინი ეხმარებოდნენ მეხთამტყორცნელისათვის ელვის შექმნასა და გმირთათვის იარაღის გამოჭედვაში. სხვა მითის მიხედვით კიკლოპები ამოხოცა აპოლონმა ზევსისაგან ასკლეპიოსის მოკვლის სამაგიეროდ. ანტიკურ ხელოვნებაში კიკლოპები გამოისახებოდნენ ერთი დიდი თვალით შუბლზე (გამოისახებოდნენ ორივე თვალითაც). კიკლოპების მითის მიხედვით ევრიპიდემ შექმნა დრამა „კიკლოპი“. გადატანითი მნიშვნელობით კიკლოპებს, როგორც ჰეფესტოს თანაშემწეებს, უწოდებენ მჭედლებს. კიკლოპი||ციკლოპი აღნიშნავს დიდი ფიზიკური ძალის მქონე ცალთვალა გოლიათს. კიკლოპურს || ციკლოპურს უწოდებენ დიდი ქვებით ნაშენებ გრანდიოზულ შენობას.

კ ი კ ნ ო ს ი, ბერძნ. (Κύκνος, ὁ) 1. აპოლონის ვაჟი, ულამაზესი ყმაწვილი, მონადირე, რომელიც ერთხელ, ნადირობის დროს, ტბაში ჩაეყარდა და აპოლონმა გედად აქცია. 2. პოსეიდონის ვაჟი, კოლონის მეფე ტავრიდაში. იბრძოდა ტროის ომში ტროელების მხარეზე. მოკლა აქილევსმა. 3. არესისა და პელოპეას (ზოგი ვარიანტით პიროენეს) ვაჟი, მოკლა ჰერაკლემ. 4. ლიგურიელების მითიური მეფე, ფეთონტის ნათესავი და მეგობარი.

კილარაბესი, ბერძნ. (Κυλλαράβης, ὁ) სთენელოსის ვაჟი, კაპანევსისა და ევადნეს შვილიშვილი.

კილენე, ბერძნ. (Κυλλήνη, ἡ) ერთ-ერთი ოკეანიდა.

კილიკსი, ბერძნ. (Κίλιξ -ικος, ὁ) კადმოსის ძმა. კილიკიის ოლქის ეპონიმი.

კინირასი, ბერძნ. (Κινύρας, ὁ) აპოლონის ვაჟი. კუნძულ კვიპროსის მეფე, აფროდიტე პაფოსელის ქურუმი და მისი ქურუმების წინაპარი. ხოგიერთი მითი მას ადონისისა და სმირნას ვაჟად მიიჩნევს.

კინთია, ბერძნ. (Κυνθία, ἡ) არტემიდეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელი, რომელიც მთა კინთიიდან მომდინარეობს, სადაც, ერთი მითის მიხედვით, ლეტომ დაბადა აპოლონი და არტემიდე. შექსპირია ტრაგედიაში „რომეო და ჯულიეტა", კინთია მთვარეს ეწოდება ლამაზი ქალის მნიშვნელობით.

კიპარისოსი, ბერძნ. (Κυπάρισσος, ὁ) ტელეფოსის ვაჟი, ულამაზესი ყმაწვილი, აპოლონის საყვარელი პიროვნება. მასთან დაკავშირებულია შემდეგი მითი: კუნძულ კეოსზე იყო ფერიებისადმი შეწირული ირემი, რომელიც ადამიანებთან იყო შეჩვეული. ირემი მეტისმეტად ლამაზი იყო, — ჰქონდა მოოქროვილი რქები, ყელზე შემოვლებული მარგალიტის სამკაულები, ყურებზე უძვირფასესი ლამაზი საყურეები ეკეთა. მთელი კუნძულის მრავალრიცხოვან მოსახლეობას მეტისმეტად უყვარდა იგი, მაგრამ განსაკუთრებით მაინც კეოსის მეფის ვაჟს — კიპარისოსს. ერთი ზაფხულის ცხელ დღეს ირემი ხის ჩრდილს შეეფარა, ამ დროს, სრულიად შემთხვევით, იქ კიპარისოსი ნადირობდა, ფოთლებს მოფარებული თავისი ირემი შეეშალა და სასიკვდილოდ დაჭრა. როდესაც კიპარისოსმა ირემი იცნო, გამწარებულმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ აპოლონმა თავის მოკვლის ნება არ დართო. მაშინ კიპარისოსმა თხოვა აპოლონს მარადიული მწუხარება მიენიჭებინა მისთვის. აპოლონმა შეისმინა ყმაწვილის ვედრება, იგი კიპარისის ხედ აქცია. მწუხარედ ამოისუნთქა და ხედ ქცეულ კიპარისოსს მიმართა: „მარადის ვიწუხებ შენზე, მშვენიერო ყმაწვილო, შენც მარად იწუხებ უცხო წუხილით, მარად მწუხარეთა თანამგზავრი იქნები". აქედან უნდა მომდინარეობდეს ის ჩვეულება, რომ ძველი ბერძნების მიცვალებულთა სამყოფელ ოთახებს, მიცვალებულთა დასაწვავ შუშის ხორებს (წინათ ბერძნები მიცვალებულებს წვავდნენ) და მიცვალებულთან დაკავშირებულ ადგილებს კიპარისის ტოტებით ამკობდნენ. მას შემდეგ რაც მიცვალებულთა დამარხვა დაწესდა, კიპარისის ტოტებით ამკობდნენ მის ცხედარს და საფლავზე კიპარისის ხეს ურგავდნენ. კიპარისს დაახლოებით ასეთივე დანიშნულება აქვს დღესაც ჩვენში. ჩვენში დამკვიდრებულია სახელი კვიპაროსი.

კიპრიდა, ბერძნ. (Κύπρις -ιδος, ἡ) იხ. აფროდიტე. კვიპროსელი ღმერთქალი. კიპრიდას უწოდებენ სიყვარულის ძლიერ განცდას.

კირენე, ბერძნ. (Κυρήνη. ἡ) ფერია (იხ. არისტეოსი, იდმონი).

კირკე || ცირცეა, ბერძნ. (Κίρκη, ἡ) ლათ. (Circe) ჰელიოსისა და პერსეს ქალიშვილი. ჯადოქარი კუნძულ აიადან. აიეტის და. მან გაწმინდა არგონავტები აფსირტოსის მკვლელობის ცოდვებისაგან. კირკემ ღორებად აქცია ოდისევსის თანამგზავრები. სხვა მითის მიხედვით კირკემ ოდისევსის თანამგზავრებს პრამნეს ღვინოში აზელილი ყველის, ქერისა და ყვითელი თაფლის კერძი მოუშზადა, შიგ ჯადოსნური წამალი შეურია და გმირებს სამშობლო დავიწყა. ოდისევსი კი ერთ წელს თავისთან გააჩერა და ცდილობდა ქმრად გაეხადა. ოდისევსისაგან კირკემ დაბადა ვაჟი — ტელეგონოსი.

კისევსი, ბერძნ. (Κυσσεύς, ὁ) პეკაბეს მამა, თრაკიის მეფე, მელანიპოდოსის ვაჟი. ტურნუსის ერთ-ერთი მეომართაგანი. მოკლა ენუასმა ბრძოლის დროს.

კიტისოროსი, ბერძნ. (Κυτίσωρος, ὁ) აიეტის შვილიშვილი, ფრიქსოსის ძე. კიტისოროსმა გამოიხსნა მსხვერპლად შესაწირავად გამზადებული ათამანტი, რის გულისათვისაც ღმერთებმა კიტისოროსის შთამომავალთ მრავალგვარი უბედურება მოუვლინეს. კიტისოროსს, იგივე კვტისოროსს, ეტიმოლოგიურად კვტაიასთან აკავშირებენ.

კიქრევსი, ბერძნ. (Κυχρεύς, ὁ) პოსეიდონის ვაჟი. სალამინელი გმირი, სალამინის მითიური მეფე, ძველი ბერძნების რწმენით კიქრევსი გველად გადაიქცა და დემეტრეს ტაძარში დაიწყო ცხოვრება.

კლეიო, ბერძნ. (Κλειώ, ἡ) მუზა — მახარობელი. გვიანდელი გადმოცემით ეპოსისა და ისტორიის მუზა. გამოისახებოდა პაპირუსის ან პერგამენტის გრაგნილით ხელში.

კლეიტო, ბერძნ. (Κλειτώ. ἡ) ლევკიპეს ქალიშვილი. პოსეიდონის საყვარელი, ატლანტიდის მოსახლეობის წინაპარი.

კლეობისი და ბიტონი, ბერძნ. (Κλέοβις, ὁ და Βίτων-ωνος, ὁ) ჰერას ქურუმის — არგოსელი კიდიპეს ვაჟები. ცნობილი იყო, რომ კიდიპე მეტისმეტად უყვარდათ თავის ვაჟებს. ერთხელ, ჰერას ღღე-

სასწაულის დროს, უეცრად აღმოჩნდა, რომ ჯორები, რომლებიც კიდიპეს ეტლში უნდა შეებათ, ადგილზე არ იყვნენ. მაშინ ვაჟები თვით შეებნენ უღელში და დედა ღმერთქალის ტაძრამდე მიიყვანეს. მაშინ კიდიპემ შესთხოვა ჰერას, მისი ვაჟებისათვის სამაგიეროდ რაიმე კარგი გაეკეთებინა. ღმერთქალმა შეისმინა დედის ვედრება და მის ვაჟებს დიდი ხნის შემდეგ სიკვდილი ძილის დროს მოუვლინა და ყოველგვარი განცდების გარეშე მოკლა.

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა, ბერძნ (Κλεοπάτρα, ή) 1. ბორეასისა და ორითიას ქალიშვილი, კალაისისა და ძეთოსის და. მეფე ფინეუსის ცოლი. 2. კლეოპატრა ანუ ალკიონე ერქვა იდასისა და მარპესას ქალიშვილს, მელეაგროსის ცოლს.

კ ლ ი მ ე ნ ე, ბერძნ.(Κλυμένη, ή)1. ოკეანიდი. იაპეტის ცოლი. ატლანტოსის, პრომეთესა და ეპიმეთეს დედა. სხვა მითების მიხედვით პრომეთეს ცოლი, დევკალიონის ან ფაეთონტის დედა. 2. ელენეს მოსამსახურე, რომელიც მას ყველგან დაყვებოდა. ტროას დაცემის შემდეგ ტყვედ ჩაუვარდა აქამენტს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა, ბერძნ. (Κλυταιμ[ν]ήστρα, ή) აგამემნონის ცოლი, ტინდარეოსისა და ლედას ქალიშვილი. ელენეს, კასტოროსისა და პოლიდევკეს და. ორესტეს, იფიგენიასა და ელექტრას დედა. როდესაც აგამემნონი ტროასთან ჯარებს ხელმძღვანელობდა, კლიტემნესტრამ შეიყვარა ეგისთე და მისივე დახმარებით მოკლა ნათმარი, ძლევამოსილი, შინ დაბრუნებით მეტისმეტად აღტაცებული ქმარი. სხვა მითის მიხედვით კლიტემნესტრასაგან აგამემნონის მოკვლის მიზეზი ეგისთეს სიყვარული კი არ იყო, არამედ კასანდრაზე ეჭვიანობა, რომელიც თან მოიყვანა შინ დაბრუნებულმა მხედართმთავარმა. აგამემნონისა და კლიტემნესტრას ვაჟმა —ორესტემ შური იძია და მოკლა როგორც დედის საყვარელი — ეგისთე, ასევე მამამისის შეურაცხმყოფელი და ქმრის მკვლელი დედა — კლიტემნესტრა.

კ ლ ი ტ ი ა, ბერძნ. (Κλυτία, ή) 1. ოკეანიდა, ოკეანოსისა და ტეთისის ქალიშვილი. 2. მეროპის ქალიშვილი, ევრიპილოსის მეუღლე, მან და მისმა ქმარმა ჰოისურვეს დემეტრეს მოტაცება და თავიანთ სამეფოში გადმოყვანა. 3. ამფიდამანტის ქალიშვილი, 4. ტანტალოსის ქალიშვილი, პელოპის დედა. 5. ნიობეს ქალიშვილი. 6. კანდავლოსის ქალიშვილი. ოკეანიდი კლიტია შემდეგ ჰელიოტროპად გადაიქცა (ოვიდიუსის მიხედვით).

კ ლ ი ტ ი ო ს ი, ბერძნ. (Κλύτιος, ό) 1. ერთ-ერთი გიგანტი, რომელიც გიგანტომახიის დროს ჰეფესტომ (ზოგი ვარიანტით ჰეკატემ) მოკლა. 2. ლაომედონტის ვაჟი, პრიამოსის ძმა.

კ ლ ო თ ო, ბერძნ.(Κλωθώ, ή) სამი დის— მოირების უფროსი და. ჰესიოდეს, პლატონისა და სხვათა მიხედვით ცხოვრების ძაფის მრთველი მოხუცი.

კ ო დ რ ო ს ი, ბერძნ.(Κόδρος, ό) მელანთოსის ვაჟი, ატიკის უკანასკნელი მეფე. კოდროსმა თავი მოიკლა როცა მის სამშობლოს დორიელები თავს დაესხნენ. კოდროსის შემდეგ, — გადმოგვცემს ლეგენდა, ატიკაში მეფე აღარ ყოფილა, მეფის ფუნქციებს ე. წ. ეპატრიდები ასრულებდნენ. უმეფობის მიზეზი იყოო, განაგრძობს თქმულება, ის, რომ ატიკელთაგან არავინ აკადრა კოდროსის ხსოვნას, რომ მის მაგივრად ტახტზე დამჯდარიყო.

კ ო ი ო ს ი, ბერძნ. (Κοῖος, ό) ურანოსისა და გეას ვაჟი, ერთ-ერთი ტიტანი, ლეტოსა და ასტერიას მამა.

კ ო კ ა ლ ო ს ი, ბერძნ. (Κώκαλος, ό) სიცილიის მეფე, რომელმაც მინოსისაგან გამოქცეული დედალოსი შეიფარა და რომლის ქალიშვილებმა მოკლეს დედალოსის დასასჯელად მოსული მინოსი.

კ ო კ ი ტ ო ს ი, ბერძნ.(Κώκυτος, ό) 1. მიწისქვეშა სამყაროს მდინარე, სტიქსის შენაკადი. 2. მდინარე ეპირში. კოკიტოსს ტარილის მდინარესაც უწოდებენ.

კ ო ლ ო ნ ტ ა ს ი, ბერძნ. (Κολόντας, ό) ერთ-ერთი მითის მიხედვით ხთონოსის მამა.

კ ო ლ ხ ო ს ი, ბერძნ. (Κόλχος, ό) ფაზისის ვაჟი, რომლისაგანაც თითქოს კოლხებმა მიიღეს სახელი.

კ ო მ ო ს ი, ბერძნ. (Κῶμος, ό) ქეიფისა და ღვინის სმის ღმერთი, გამოისახებოდა მთვრალი, ლოყებლაჟდაჟა მამაკაცის, ზოგჯერ ფრთოსანი ყმაწვილის სახით. კომოსს ხშირად თან ახლდა სილენოსი და ეროსი.

კ ო მ პ ი ტ ა ლ ი ე ბ ი, ლათ. (Compitalia) ჭუჩის ლარების პატივსაცემი დღესასწაულები ძველ რომში. იმართებოდა იანვრის თვეში (იხ. ლარები).

კ ო ნ კ ო რ დ ი ა, ლათ. (Concordia — თანხმობა, ზავი) მოქალაქეთა, ქალაქთა, სახელმწიფოთა და სხვათა თანხმობის რომაული ღმერთქალი. ჩვენს ერამდე IV საუკუნეში მას რომში ტაძარი აუგეს. კონკორდიასადმი მიძღვნილი ზეიმები იანვარსა და მარტში იმართებოდა. კონკორდია გამოისახებოდა მოწიფულ, ლამაზ ქალად, ცალ

ხელში სიუხვის რქა, ხოლო მეორეში ზეთის ხილის შტო ან თასი უჭირა.

კონსუსი, ლათ. (Consus) ძველრომაული ღვთაება, მფარველობდა მიწაში ჩათესილი მარაგების აღმოცენებას. მას მიეძღვნეს რომის დიდი ცირკის შუაში მდებარე მიწისქვეშა სამსხვერპლო (ალტარია) ამ ალტარიას აწყენებდნენ ხოლმე მხოლოდ კონსუსიადმი მიძღვნილი ზეიმების — კონსუალიების დროს. ამ დღეს ცხენებს, ჯორებს, ვირებს და სხვა მეშა პირუტყვს სამუშაოდან ათავისუფლებდნენ და ყვავილებით რთავდნენ. გადმოცემის თანახმად კონსუსიადმი მიძღვნილი ზეიმი პირველად რომულუსმა ჩაატარა.

კორა, ბერძნ. (Κόρα, ἡ — გოგონა, ქალიშვილი, პატარძალი) — დემეტრეს ქალიშვილი, ე. ი. პერსეფონე. მის პატივსაცემად იმართებოდა ხოლმე დღესასწაულები — ე. წ. კორაიები.

კორესოსი, ბერძნ. (Κόρεσος, ὁ) დიონისეს ქურუმი (იხ. კალიროე).

კორიბანტი, ბერძნ. (Κορύβας -αντος, ὁ) კორიბანტების ეპონიმი, იასონისა და ფრიგიელ კიბელეს ვაჟი და ქურუმი.

კორიბანტები — კიბელეს ქურუმები. მას შემდეგ, რაც კიბელეს კულტი საბერძნეთში გადავიდა და რეასას შეერწყა, კორიბანტები რეა-კიბელას ქურუმები ხდებიან. მოგვიანებით ისინი კურეტებში აურიეს.

კორონიდა, ბერძნ. (Κορωνίς -ίδος, ἡ) 1. ფლეგიასის ქალიშვილი, ასკლეპიოსის დედა. უყვარდა აპოლონს. კორონიდამ აპოლონი მოკუდავეზე გაცვალა, რის გამოც განრისხებულმა ღმერთმა (ზოგი ვარიანტით არტემიდემ) კორონიდა ისრით განგმირა. 2. ფოკიელი მეფის ქალიშვილი, შეუყვარდა პოსეიდონს და მოსვენებას არ აძლევდა. ერთხელ, როდესაც მას პოსეიდონი დაედევნა, ათენამ გადარჩენის მიზნით ყვავად აქცია. მითი დაამუშავა და გამოიყენა ოვიდიუსმა.

კოსი, ბერძნ. (Κῶς, ἡ) ზოგიერთი გვიანდელი გადმოცემისა და კომენტატორის აზრით ოქროს საწმისად არის ცნობილი არა ნამდვილი ვერძის ტყავი, არამედ პელოპის დედის — კოსის თაოსნობით გაკეთებული ოქროს ქანდაკება, რომელიც კოსმა ინოსაგან განრიდებულ ფრიქსესა და ჰელეს გადასცა საჩუქრად, და შემდეგ ეს ფრიქსემ აიეტს უძღვნა ქალაიოპეს სამაგიეროდ.

კოტისი || კოტიტო — ბერძნ. (Κότυς, ὁ ან Κοτυτώ, ἡ) კიბელეს მონათესაეე თრაკიელი ღმერთი. მის საპატივცემლოდ გამართული დღესასწაულები დიონისე || ბახუსის დღეობების მსგავსი იყო და კოტიტებად იწოდებოდა.

კრეთევსი, ბერძნ. (Κρηθεύς, ὁ) ეოლოსის ძე, ტიროს ქმარი, იასონის ბაბუა.

კრეონტი, ბერძნ. (Κρέων -οντος, ὁ) 1. კორინთოს მეფე, კრეუსას მამა (იხ. მედეა) 2. მენეკევსის ვაჟი, იოკასტეს ძმა (იხ. ანტიგონე, ოიდიპოსი). 3. მეგარეევსის მამა, ამფიტრიონის ცედის ძმა.

კრესფონტე || კრესფონტი, ბერძნ. (Κρεσφόντης, ὁ) არისტომაქეს ვაჟი, ჰერაკლეს შთამომავალი, პელეპონესის ერთ-ერთი დამპყრობელი. შემდეგში მესინიის მეფე. კრესევსის მკვლელი.

კრეტის ხარი, — კრეტის მეფის — მინოსისაგან პოსეიდონისადმი შესაწირავად გამზადებული ჯადოსნური ხარი. როდესაც მინოსმა ამ ხარის ნაცვლად პოსეიდონს თავისი ჯოგიდან გამოყვანილი ხარი შესწირა, გაჯავრებულმა ღმერთმა კრეტის ხარი გაამძვინვარა და მთელი კუნძული გაანადგურებინა. გაშმაგებული ხარი დაიჭირა ჰერაკლემ (მერვე გმირობა) და მეფე ევრისთეევს მიჰგვარა. ატიკური თქმულების თანახმად კი კრეტის ხარი მარათონის მინდორზე გამოვიდა და იქ თეზეევსმა დაიჭირა.

კრეუსა. ბერძნ. (Κρέουσα, ἡ) 1. ერეხთეევსის ქალიშვილი, ქსუთოსის ცოლი, იონის დედა. 2. პრიამოსისა და ჰეკაბეს ქალიშვილი, ასკანიოსის დედა. 3. კორინთოს მეფის — კრეონტის ქალიშვილი. იასონის საცოლე (იხ. მედეა).

კრიოსი, ბერძნ. (Κριός, ὁ) ათამანტის სახელმწიფო საქმეთა მოურავი, რომელსაც მეფე ყოველგვარ საიდუმლოს ანდობდა. მას ძალიან უყვარდა ფრიქსოსი და როცა ათამანტეს განზრახული გაიგო მისი მსხვერპლად შეწირვის შესახებ, ფრიქსოსს და მის და ჰელეს დაეხმარა გაქცევაში. სხვა მითების მიხედვით კრიოსი იყო იმ ოქროს ვერძის სახელი (კრიოს ბერძნულად ვერძს ნიშნავს), რომელმაც ფრიქსოსი კოლხეთში მიიყვანა და რომლის ტყავიდანაც ე. წ. ოქროს საწმისი დაამზადდა.

კრონიდი, ბერძნ. (Κρονίδης, ὁ) ზევსსა და მის ძმებს კრონიდებს უწოდებდნენ.

კრონიები, ბერძნ. (Κρόνια, τά) კრონოსისადმი მიძღვნილი ზეიმები ათენში კრონოსის თვის მეთორმეტე ღღეს.

კრონოსი, ბერძნ. (Κρόνος, ὁ) ძველი, ოლიმპოსმდელი ღვთაება, ურანოსისა და გეას ვაჟი. უმცროსი ტიტანი. მან დაამხო მამის ძალაუფლება და ქვეყნიერებაზე თვით გაბატონდა. მითს საფუძვლად

უდევს კოსმოგონიური ლეგენდა ცისა და დედამიწის გაყოფის შესახებ. კრონოსმა ცოლად შეირთო თავისი და — ტიტანიდი რეა და მისგან შეეძინა შვილები: ჰესტია, დემეტრე, ჰერა, ჰადესი, პოსეიდონი, ზევსი და კენტავრი ქირონი (იხ. ზევსი).

თავიდან, როგორც ჩანს, კრონოსი მიწათმოქმედების ღვთაება უნდა ყოფილიყო. მას თაყვანს სცემდნენ საბერძნეთის სხვადასხვა რაიონში. ოქროს საუკუნეში მშვიდობიანობის საქმეს თურმე კრონოსი განაგებდა.

კრონოსის კულტი ძირითადად ოლიმპიასა და ათენში იყო გავრცელებული. იგი განსაკუთრებული პატივით ღატაკთა და მონათა შორის სარგებლობდა. ელინურ პერიოდში კრონოსის კულტი თანდათანობით დაკნინდა. კრეტაზე იგი ფინიკიურ ღვთაება მოლოქოსთან გააიგივეს. კრონოსს ხშირად დროის ღვთაება ხრონოსში ურევდნენ. იტალიაში კრონოსი სატურნუსთან გააიგივეს. ამ იგივეობის ახსნის მიზნით შეიქმნა ლეგენდა დამარცხებული კრონოსის იტალიაში გაქცევის შესახებ. კრონოსი ხელოვნებაში მოხუცი ზევსის მსგავსად გამოისახებოდა. ლეგენდები კრონოსის შესახებ გამოყენებული აქვს ბევრ ხელოვანს.

კ უ ბ ა, ლათ. (Cuba) აკვნიდან ლოგინში გადაყვანისას ბავშვის მფარველი რომაული ღვთაება.

კ უ პ ი დ ო ნ ი, ლათ. (Cupido — onis) სიყვარულის რომაული ღვთაება. ვენერას ვაჟი (იხ. ეროსი).

კ უ რ ე ტ ე ბ ი, ბერძნ. (Κουρῆτες, οἱ) ღმერთქალ რეას ქურუმები. მას შემდეგ, რაც რეამ კულტი კიბელესას შეერწყო, ისინი რეა-კიბელეს ქურუმებად იქცნენ და ხშირად კორიბანტებში ურევდნენ. ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ქურუმი კურეტები შთამომავალნი იყვნენ რეას მითიური თანამგზავრების — კურეტების, რომლებიც მას თან დაყვებოდნენ ზევსის დასაბადებლად ფარული ადგილის ძებნისას, შემდეგ კი იცავდნენ პატარა ზევსს კრონოსისა და სხვა გარეშე საშიშროებისაგან. თავიდან კურეტები მიწის მასაზრდოებელი ძალების დემონებად ითვლებოდნენ.

— ლ —

ლ ა ბ დ ა კ ო ს ი, ბერძნ. (Λάβδακος, ὁ) თებეს მეფის პოლიდოროსის ვაჟი, კადმოსის შვილიშვილი, ლაიოსის მამა, ოიდიპოსის პაპა,

რომლისაგანაც თებელ მეფეთა უუბედურესი დინასტია მომდინარეობს.

ლ ა ბ ი რ ი ნ თ ი, ბერძ. (Λαβύρινθος, ὁ) ძაე ეწოდებოდა ძველად სასახლეებს, რომელთაგანაც, მრავალი და არეული გამოსასვლელების გამო, მეტად ძნელდებოდა გარეთ გამოსვლა. ძველი მწერლები და ისტორიკოსები იცნობენ ოთხ ლაბირინთს: 1. კრეტის ლაბირინთი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, დედალოსმა ააგო მინოტავრისათვის. 2. ეგვიპტის ლაბირინთი ფაიუმის ოაზისის რაიონში, რომელიც სამიათასამდე ოთახს ითვლიდა. 3. სამოსის ლაბირინთი, რომელიც პოლიკრატეს ბრძანებით უნდა აეგოთ და 4. იტალიის ლაბირინთი, რომელიც, როგორც ჩანს, ეტრუსკების მეფის — პორსენის სამარხი უნდა იყოს. არქეოლოგიური გათხრები ცხადად მეტყველებენ იმაზე, რომ მითებს ლაბირინთების შესახებ რეალური საფუძვლები უნდა ჰქონდეს. მაგალითად კრეტის ლაბირინთზე არსებული მითი კრეტის სახელმწიფოს აყვავების პერიოდში უნდა იყოს შექმნილი (II ათასწლეულში). სიტყვა ლაბირინთის წარმომავლობაზე მეცნიერებაში ორი აზრი არსებობს. ერთნი ვარაუდობენ, რომ ეს სიტყვა წარმოსდგება ორმაგი ცულის ლაბიროსის სახელწოდებიდან, რომლის გამოსახულებანი მრავლად გვხვდება კრეტის ლაბირინთის კედლებზე. ხოლო მეორენი ფიქრობენ, ეს სიტყვა ეგვიპტის მეფის ამენემჰეტ III-ის მეორე სახელიდან (ლამარესი) უნდა მომდინარეობდეს, რომლის ბრძანებითაც ააგეს ეგვიპტის ლაბირინთი. თანამედროვე გაგებით სიტყვა ლაბირინთი გამოხატავს არა მარტო ძნელად გასასვლელ ოთახებსაა თუ მიწისქვეშა დარბაზებს, არამედ აგრეთვე არეულ, გამოუვალ მდგომარეობას, ძნელ სიტუაციას, საიდანაც ძნელია თავის დაღწევა.

ლ ა ბ რ ო ს ი, ბერძნ. (Λάβρος, ὁ) 1. კალიდონის ნადირობის მონაწილე ერთ-ერთი ძაღლის სახელი. 2. აქტეონის ძაღლი, რომელმაც არტემიდესაგან შელად ქცეული აქტეონი დაგლიჯა. (სხვა მითის მიხედვით აქტეონის ძაღლს ლადონი ერქვა).

ლ ა დ ო ნ ი, ბერძნ. (Λάδων, ὁ) 1. ჰესპერიდების ჯადოსნური ვაშლების მცველი დრაკონი. მოკლა ჰერაკლემ. 2. არკადიაში გამდინარე მისი თანამოსახელე მდინარის ღვთაება, ოკეანოსისა და ტეთისის ვაჟი 3. დაფნეს მამა.

ლ ა ე რ ტ ე, ბერძნ. (Λαέρτης, ὁ) ითაკის მეფე, ოდისევსის მამა, ანტიკლეას ქმარი.

ლ ა ვ ე რ ნ ა, ლათ. (Laverna) მომგებიანობის რომაული ღვთაება. მასვე მიიჩნევდნენ ქურდების მფარველად. მიაჩნიათ, რომ თავიდან

იგი ღამის წყვდიადის ღმერთქალი უნდა ყოფილიყო. ლავერნას მიუძღვნეს ჰალა რომის მახლობლად.

ლ ა ვ ი ნ ი ა, ლათ. (Lavinia) აბორიგენთა მეფის ლატინუსის ქალიშვილი, ენეასის მეორე ცოლი, რომის სამხრეთით მდებარე ქალაქ ლავინიის ეპონიმი.

ლ ა ი ო ს ი, ბერძნ. (Λαΐος, ὁ) თებეს მითიური მეფე, კადმოსის შთამომავალი, ლაბდაკოსის ვაჟი, იოკასტეს (ეპიკასტეს) ქმარი, ოიდიპოსის მამა. როდესაც თებეში ძალა-უფლება ხელთ იგდეს ძეთოსმა და ამფიონმა, ლაიოსი განდევნეს და ეს უკანასკნელი პელოპონესში გადასახლდა. აქ მან მოიტაცა პელოფსის ვაჟი — ქრისიპოსი, გააუპატიურა იგი და შეურაცხყოფილმა ყმაწვილმა თავი მოიკლა. ამ დანაშაულის გამო იგი ღმერთებმა დასაჯეს, სიბერეში საკუთარ შვილს — ოიდიპოსს უნებურად მოაკვლევინეს და მის ცოლ-შვილსაც შთამომავლობას უდიდესი უბედურება მოუვლინეს (იხ. ოიდიპოსი).

ლ ა კ ე დ ე მ ო ნ ი, ბერძნ. (Λακεδαίμων, ὁ) ერთ-ერთი პელოპონესის—ტაიგეტესა და ზევსის ვაჟი. ქალაქ ლაკედემონის ეპონიმი.

ლ ა მ ი ა, ბერძნ. (Λαμία, ἡ) ბავშვთა სისხლის მხვრეპელი და მათი მჭამელი ფანტასტიკური ურჩხული, სკილას მშობელი. (მისი სახელით აშინებდნენ ბავშვებს). ზოგიერთი მითი ლამიას ემპიუსაში ურევს. ერთ-ერთი ლეგენდა ლამიას შესახებ მოგვითხრობს: იგი ოდესღაც იყო ლამაზი, მაგრამ ავი დედოფალი, რომელსაც დაეღუპა შვილები და ამის შემდეგ დაიწყო სხვისი ბავშვების ჭამა.

ლ ა მ პ ე ტ ი ე, ბერძნ. (Λαμπετίη, ἡ) ერთ-ერთი ჰელიადი, თავის დასთან —ფაეტუსასთან ერთად მამის ცხენების ფარას მწყემსავდა კუნძულ ტრინაკრიაზე. ორივე დის საბელი წარმოსდგება ბერძნული სიბრწყვიალის, სიკაშკაშის აღმნიშვნელი სიტყვიდან.

ლ ა ო დ ა მ ა ნ ტ ი, ბერძნ. (Λαοδάμας -αντος, ὁ) 1. ეტეოკლეს ვაჟი, თებეს ერთ—ერთი მეფე. დაიღუპა თებებზე ეპიგონთა გალაშქრების დროს. 2. აქილევსის ვაჟი. 3. ანტენორის ვაჟი.

ლ ა ო დ ა მ ი ა, ბერძნ. (Λαοδάμεια, ἡ) 1. ბელეროფონტის ქალიშვილი, სარპედონის დედა. 2. აკასტოსის ქალიშვილი, პროტესილაოსის მეუღლე.

ლ ა ო დ ი კ ე, ბერძნ. (Λαοδίκη, ἡ) 1. ტროელი მეფის ასულე, პრიამოსისა და ჰეკაბეს ქალიშვილი. თეზევსის ვაჟის —აკამანტის სატრფო. მუნიტოსის დედა. გარდაიცვალა დარდისაგან თავისი ვაჟის დაღუპვის გამო. (ზოგი ვარიანტით ჩაყლაპა მიწამ ტროის დაცე-

მის შემდეგ). 2. ფერია, ფორონევსის მეუღლე. 3. აგამემნონისა და კლიტემნესტრას ერთ-ერთი ქალიშვილი. ტრაგედიებში ცნობილია ელექტრას სახელით.

ლ ა ო კ ო ო ნ ი, ბერძნ. (Λαοκόων -όντος, ὁ) ტროელი გმირი. აპოლონის ქურუმი. ტროის ომის შესახებ არსებული ჰომეროსის შემდგომდროინდელ თქმულებებში პირველი ლაოკოონი იხსენიება. ლაოკოონის შესახებ მითი სრულყოფილი სახით გადმოცემულია ვერგილიუსის „ენეიდაში". ლაოკოონი ცდილობდა ბერძნებისაგან ტროელებისათვის ქალაქის კარებთან მიტანილი ხის ცხენი ქალაქში არ შეეტანათ. რადგანაც ღმერთებს ტროის დაცემა სურდათ, ლაოკოონს და მის ორ ვაჟს მიუსიეს ორი უზარმაზარი გველი. გველებმა დაალრჩო ისინი. გველებისაგან ლაოკოონის დახრჩობა ტროელებმა ისე გაიგეს, რომ ატეხილებელი იყო ცხენის ქალაქში შეტანა. ლაოკოონისა და მისი ვაჟების გველებისაგან დახრჩობა ანტიკური ხანის სკულპტორებისათვის საუკეთესო სიუჟეტი იყო. საუკუნეების განმავლობაში. ლესინგმა ცნობილ ტრაქტატში „ლაოკოონი" ამ სკულპტურული ხელოვნების ღირსი ანალიზი მოგვცა.

ლ ა ო მ ე დ ო ნ ტ ი, ბერძნ. (Λαομέδων -οντος, ὁ) ტროის მეფე. ილოსისა და ევრიდაკეს ვაჟი, პრიამოსის, ჰესიონესი და სხვათა მამა. მისი მეფობის დროს ტროას გარს შემოაველეს კედელი, რომელსაც თითქოს პოსეიდონი, აპოლონი და ზოგიერთი მითის მიხედვით ეაკოსი აშენებდნენ (ზოგი ვარიანტით კედელს აშენებდა პოსეიდონი, აპოლონი კი ფარას მწყემსაობდა). როდესაც ლაომედონტმა ორიოე ღმერთს უარი განუცხადა შეპირებულ საზღაურზე, აპოლონმა ტროას შური მოუვლინა, პოსეიდონმა კი ზღვის ურჩხული, რომელიც ანაზღეულად იტაცებდა ადამიანებს და ქვეყანა განადგურების პირამდე მიიყვანა. განაწამებმა ხალხმა სამისნოს მიმართა და მისგან გაიგო, რომ ჭირი იყო პოსეიდონის რისხვის შედეგი და მხოლოდ მაშინ შეწყდებოდა, როცა ტროელები წილნაყარ ნამიერთაგანს სიამოვნებით მისცემდნენ ურჩხულს. წილის ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მსხვერპლად უნდა შეეწირათ ლაომედონტის ქალიშვილი —ჰესიონე. ლაომედონტი იძულებული გახდა ურჩხულისათვის მიეცა საყვარელი ქალიშვილი, მაგრამ ჰერაკლემ ურჩხული მოკლა და ჰესიონე დაღუპვას გადაარჩინა. ლაომედონტმა ჰერაკლეც მოატყუა და არ მისცა ქალიშვილის გადარჩენისათვის შეპირებული ჯადოსნური ცხენები. გაჯავრებულმა ჰერაკლემ ტროაზე გაილაშქრა, აიღო, მოკლა ლაომედონტი და მისი ყველა ვაჟი (პრიამოსის გარდა).

ლაონიტოსი, ბერძნ. (Λαόνυτος, ὁ) ოიდიპოსისა და დედამისის—იოკასტეს ქორწინების შედეგად შობილი ვაჟი, რომელიც ძმასთან ერთად დაიღუპა მინიელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლაონომე, ბერძნ. (Λαονόμη, ἡ) ამფიტრიონისა და ალკმენეს ქალიშვილი, ჰერაკლეს და. ლაპითი პოლიფემის ცოლი.

ლაპითები, ბერძნ. (Λαπίθαι, οἱ) თესალიაში მცხოვრები მითიური ტომები, რომლებმაც არაერთხელ ომუს კენტავრებთან. მათი საბოლოო შეჯახება მოხდა პეირითოოსის ქორწილში. ამ ბრძოლაში კენტავრები საბოლოოდ დამარცხდნენ, მაგრამ ლაპითების სიძლიერეც დაამხო დორიელთა წინამორბედმა — ეგიმიოსმა, რომელსაც ჰერაკლეც ეხმარებოდა. კენტავრებისა და ლაპითების ბრძოლა გამოსახულია ოლიმპიაში მდებარე ზევსის ტაძრისა და პართენონის ფასადზე.

ლარა, ლათ. (Lara) მერკურის სატრფო. რომელიც იუპიტერმა ჭორიკანობისათვის დაამუნჯა (იხ. მუტა).

ლარები, ლათ. (Lares) ძველი რომაელების წარმოდგენით ოჯახის მფარველი ღვთაებები. პენატებისაგან განსხვავებით ლარები ძირითადად სახლთან იყვნენ დაკავშირებულნი. რომაელებს სწამდათ, რომ ლარები მაშინაც კი არ ტოვებენ ძველ ნასახლარს, როდესაც პატრონი სამუდამოდ მიდის იქედან (პენატები თან მიჰყვებიან სხვა ადგილზე გადასახლებულ პატრონს), ლარები თავიანთ პატრონს იცავდნენ არა მარტო სახლში, არამედ მოგზაურობისას, მუშაობის დროს, ომში და—ყველგან. ისინი სარგებლობდნენ დიდი პატივისცემით. ლარების გამოსახულებებს ინახავდნენ სპეციალურ ყუთებში საოჯახო კერიის მახლობლად, პენატების მეზობლად. ყოველი სუფრის გაშლისას ლარებს პატარა ლანგარზე უდებდნენ მათთვის განკუთვნილ კერძებს. მათთვის მსხვერპლის მირთმევა სავალდებულო იყო ყოველი ოჯახისათვის ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე. ამ დროს აუცილებელი იყო ყუთების გახსნა და ლარების გამოსახულებათა ამოღება, რათა მათაც მიეღოთ მონაწილეობა მხიარულებაში. ოჯახის ლარებს გარდა რომაელები აღიარებდნენ ქალაქებისა და სახელმწიფოს მფარველ ლარებსაც. მათ რიცხვში ასახელებდნენ აჟა ლარენციას, რომულუსს, რემუსსა და ტიტუს ტაციუსს. თავისი ლარები ჰყავდა ქალაქის ცალკეულ ქუჩებსაც.

ლარენცია, იგივეა, რაც აჟა ლარენცია.

ლარისა, ლათ. (Larissa) ბერძნ. (Λάρισσα, ἡ) ქალაქ ლარისას ეპონიმი თესალიაში. პოსეიდონის ცოლი, არგოლიდის მეფის პელასგეს დედა.

ლარვები, ლათ. (Larvae) ძველი რომაელების წარმოდგენით გარდაცვლილთა სულები, რომლებიც ვერ ისვენებენ ან თავისი დანაშაულისა და ან სხვისაგან შეურაცხყოფის გამო. ისინი მიწისქვეშეთში ცხოვრობენ, ღამ-ღამობით მიწის ზემოთ ამოდიან და დევნიან მათ შეურაცხმყოფლებს. ლარვებისადმი რწმენა პრიმიტიული ანიმისტური წარმოდგენებიდან უნდა მომდინარეობდეს. ლარვების სახესხვაობები იყვნენ ე. წ. ლემურიები, რომელთა პატივსაცემად მაისის თვეში აწყობდნენ ღამის გართობებს—ლემურიებს. ოჯახის მამა პარმაღს გარეთ ფეხშიშველა გამოვიდოდა, მხრებს ზემოდან ცხრაჯერ გადააგდებდა შავ ცერცვს, რათა ვალი გადაეხადა ლარვებისათვის და ამის შემდეგ მათ გასაგდებად სპილენძის ტაშტებს აახმაურებდნენ. ეს ჩვეულება მიუთითებს რომაულ რელიგიაში შემორჩენილ პირველყოფილ ადამიანთა მაგიურ ელემენტებზე.

ლატინუსი, ლათ. (Latinus) ლათინთა ტომის ეპონიმი. ბერძნული ტრადიციის მიხედვით იგი ოდისევსისა და კირკეს ვაჟია, მითის ერთი ვარიანტი კი მას კირკესა და ტელემაქეს ვაჟად აღიარებს. იტალიელთა წარმოდგენებში ლატინუსი ფავნუსის ვაჟია (იხ. ენეასი).

ლატონა, ლათ (Latona) იგივე ბერძნ. ლეტო, იუპიტერის ცოლი იონიაზე ადრე.

ლაქესისი, ბერძნ. (Λάχεσις, ἡ) ერთ-ერთი მოირა, ბედისწერის ღმერთქალი, ადამიანთა ხვედრის განმსაზღვრელი. იგი არათავს ადამიანის ცხოვრების ძაფს მისი მთელი სიცოცხლის მანძილზე (იხ. მოირები).

ლეანდროსი, ბერძნ. (Λέανδρος, ὁ) აბიდოსელი ჭაბუკი. მას შეუყვარდა აფროდიტეს ჭურუმი—ჰერო. ჰერო სრუტის მეორე მხარეზე ცხოვრობდა და მასთან შესახვედრად ვაჟი ყოველ ღამეს გადასცურავდა ხოლმე ზღვას. შეყვარებულის დასახმარებლად ჰერო კოშკზე შექნიშანს ანთებდა. ერთ ღამეს ქარმა სინათლე ჩააქრო, ლეანდროსს მისამართი აერია და ზღვაში ჩაიხრჩო. დილით ლეანდროსის გვამი ტალღებმა პირდაპირ კოშკის ძირას მიაცურეს და ამისი დამნახველი ჰერო კოშკიდან ზღვაში გადაეარდა. თქმულება მხატერულ ლიტერატურაში გამოიყენეს: მუსეოსმა, ოვიდიუსმა, კუპრინმა და სხვებმა.

ლეარქოსი, ბერძნ. (Λέαρχος, ὁ) ათამანტისა და ინოს ვაჟი, მელიკერტეს უფროსი ძმა. მოკლა მამამისმა ათამანტმა უგონობის ჟამს.

ლედა, ბერძნ. (Λήδα, ἡ) ეტოლიის მეფის ქალიშვილი, ტინდა-

რეოსის მეუღლე. კლიტემნესტრას, ელენეს, კასტოროსინა და პოლიდევკეს დედა. (კლიტემნესტრა და კასტოროსი ქმრისაგან ჰყავდა, ხოლო ელენე და პოლიდევკე ზევსისაგან). ლეგენდის თანახმად ძისი სილამაზით აღტაცებული ზევსი ევროტში მობანავე ლედას გედის სახით გამოეცხადა. ზევსის და ლედას კავშირით დაიბადა პოლიდევკე და ელენე. მითის სხვა ვარიანტის მიხედვით კასტოროსი და პოლიდევკე ტინდარეოსის ვაჟები არიან, ხოლო ელენე ზევსის ქალიშვილია. მითის კიდევ სხვა ვარიანტის მიხედვით ელენე ნემესიდას ქალიშვილია. ზევსისაგან თავის დაღწევის მიზნით ნემესიდა ბატად გადაიქცა, მაგრამ ზევსმაც გედის სახე მიიღო და მაინც დაუკავშირდა ბატადქცეულ სატრფოს. მითი ლედას შესახებ მეტად პოპულარული გახდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მითის სიუჟეტი გამოიყენეს: ლეონარდო და ვინჩმა, კორეჯომ, ვერონეზემ, ტინტორეტომ და სხვებმა.

ლევკა, ბერძნ. (Λευκάς, ἡ) კუნძული, რომელზეც თეტიდამ გადაასვენა ტროის ომში დაღუპული აქილევსი, გააცოცხლა და ელენზე დააქორწინა. კუნძულ ლევკას აგივებდნენ შავ ზღვაში, დუნაის შესართავთან მდებარე პატარა კუნძულთან, რომელზეც აქილევსის სამლოცველო მდებარეობდა.

ლევკადიოსი, ბერძნ. (Λευκάδιος, ὁ) 1. პენელოპეს მამის— იკარიოსის ვაჟი, ტინდარეოსის ძმა. 2. აპოლონის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.

ლევკანე, ბერძნ. (Λευκάνη, ἡ) არგოსელი იოსის მეუღლე, იოს დედა ერთ-ერთი მითის მიხედვით.

ლევკარია, ბერძნ. (Λευκαρία, ἡ) იტალოსის მეუღლე, აეზონოსის დედა.

ლევკე, ბერძნ. (Λεύκη, ἡ) ერთ-ერთი ფერია, ოკეანოსის ქალიშვილი.

ლევკიოსი, ბერძნ. (Λεύκιος, ὁ) 1. ქალაქ ლევკანეს ეპონიმი, ჰეროსი, 2. კალიდონის ნადირობაში მონაწილე ერთ-ერთი ძაღლი.

ლევკიპე, ბერძნ. (Λευκίππη, ἡ) 1. მინიასის ერთ-ერთი ქალიშვილი, რომელიც არ აღიარებდა დიონისეს ღვთაებრივ წარმომავლობას და არ სურდა მის დღესასწაულებში მონაწილეობის მიღება, რისთვისაც ღმერთებმა ის და მისი დები სასტიკად დასაჯეს. 2. ტროის მეფის—ლაომედონტის ცოლი, პრიამოსის დედა. 3. ეტოლიის მეფის — თესტიოსის ცოლი, იფიკლეს დედა. 4. თესტორის ქალიშვილი. (იხ. თესტორია).

ლევკიპოსი, ბერძნ. (Λεύκιππος, ὁ) 1. ენომაოსის ვაჟი, რომელიც ქალის ტანსაცმელში გადაცმული თან დაყვებოდა ფერია დაფნეს თანამგზავრებს, როდესაც მათ გაიგეს, რომ ლევკიპოსი მამაკაცი იყო, განრისხდნენ და მოკლეს იგი. 2. მესანიის მეფე, რომელსაც დიოსკურებმა ასულები მოსტაცეს.

ლევკოთეა, ბერძნ. (Λευκοθέα, ἡ — თეთრი ღმერთქალი) იოს, როგორც ზღვის ღმერთქალის საკულტო სახელი.

ლევკოთოე, ბერძნ. (Λευκοθόη, ἡ) ფერია. აპოლონის სატრფო. აპოლონისაგან შეურაცხყოფილი ცოცხლად ჩაიმარხა მიწაში. აპოლონმა იგი თითქოს იმ მცენარედ გადააქცია, რომლიდანაც მირონს ამზადებდნენ. მითი დაამუშავა ოვიდიუსმა.

ლევკონი, ბერძნ. (Λεύκων, ὁ) ათამანტისა და თემისტოს ვაჟი.

ლევკოსი, ბერძნ. (Λεῦκος, ὁ) 1. ოდისევსის თანამგზავრი ტროის ომში. 2. კრეტაზე მცხოვრები ტალოსის ვაჟი.

ლეთე, ბერძნ. (Λήθη, ἡ) მიწისქვეშა სამყაროს მდინარე.

ლეიტოსი, ბერძნ. (Λήϊτος, ὁ) ალექტრიონის ვაჟი. არგონავტი, ბეოტიელთა ბელადი ტროის ომში. ბრძოლის დროს დაჭრა ჰექტორმა.

ლელეგები, ბერძნ. (Λέλεγες, οἱ) საბერძნეთის ტერიტორიაზე ბერძნების მისვლამდე მცხოვრები ერთ-ერთი განვითარებული ტომი, რომელთა წარმომავლობის, ისტორიისა და ეტიმოლოგიის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ჰომეროსისა და პავსანიას აზრით ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ კარიელების თანაფარდნი, სტრაბონს ისინი ლელეგოს შეფის შთამომავლებად მიაჩნია და ეტიმოლოგიურად λέγειν „ლეგეინ“ ზმნას უკავშირებს. მისი აზრით Λέλεγες (ლელეგეს) იგივეა, რაც συλλεγέντες (სილლეგენტეს), რაც ნაკრებ, ან შერეულ ხალხს ნიშნავს.

ლერნე, ბერძნ. (Λέρνη, ἡ) ჭაობიანი ადგილი არგოლიდაში. გალმოცემის თანახმად აქ ცხოვრობდა ე. წ. ლერნეს ჰიდრა, რომელიც დიდი გაჭირვებით მოკლა ჰერაკლემ.

ლერნოსი, ბერძნ. (Λέρνος, ὁ) ეგეოსტელი გმირი, ნავპოლიოსის შვილი.

ლესტრიგონები, ბერძნ. (Λαιστρύγονες, οἱ) კაცისმჭამელთა მითიური ტომი, რომელსაც შეხვდა ოდისევსი ხეტიალის დროს. მათ დაუმსხვრიეს ოდისევსის თერთმეტი გემი და შეჭამეს მისი თა-

ნაბეზავრები. გადარჩა ერთად ერთი ხომალდი, რომელზეც ოდისევსი იყო.

ლეტო, ბერძნ. (Λητώ, ἡ) კოიოსისა და ფებეს ქალიშვილი, ტიტანიდა, ზევსის ცოლი ჰერაზე ადრე. ზევსისაგან ლეტომ დაბადა აპოლონი და არტემიდე. მიუხედავად იმისა, რომ ლეტო ტიტანიდა იყო, მაინც ოლიმპზე ცხოვრობდა როგორც ზევსის მეუღლე. ძველ ბერძნებს ლეტო წარმოდგენილი ჰყავდათ უწყინარ და მოალერსე, შავ ტანსაცმელში გამოწყობილ ღმერთქალად. ჰომეროსის ჰიმნის მიხედვით ზევსს ლეტო ჰერაზე დაქორწინების შემდეგაც უყვარდა. დაეჭვებული და განრისხებული ჰერა დაედევნა ფეხმძიმე ლეტოს და არ მისცა მიწაზე შობიარების შესაძლებლობა. ბოლოს ზევსის ბრძანებით ზღვაში ამოიზარდა კუნძული დელოსი, ლეტო იქ გადავიდა და შვა აპოლონი და არტემიდე. ერთი მითის მიხედვით ტიტიოსმა შეისურვა ლეტოს გაუპატიურება, მაგრამ მოკლეს აპოლონმა და არტემიდემ.

როგორც თქმულების, ისე კულტის მიხედვით, ლეტო მჭიდროდაა დაკავშირებული შვილებთან — აპოლონთან და არტემიდესთან. მას, როგორც მათ დედას, ეთაყვანებოდნენ. რომში მას ლატონას ეძახდნენ.

ლეტოიდე, ბერძნ. (Λητοΐδης, ὁ) ლეტოს ვაჟი, ე. ი. აპოლონი.

ლიბერა, ლათ. (Libera) ლიბერის მეუღლე. ხშირად აივივებდნენ ხან პროზერპინასთან, ხან კი პერსეფონესთან.

ლიბერი, ლათ. (Liber) მეღვინეობის იტალიური ღვთაება. მას ხშირად დიონისესთან აივივებდნენ.

ლიბერტა, ლათ. (Liberta) მოქალაქეობრივი თავისუფლების ღვთაებრივი განსახიერება ძველ რომში, რომელსაც დაფნის გვირგვინით ქალად წარმოიდგენდნენ. ავენტინუსის ბორცვზე მისი ტაძარიც ააგეს.

ლიბიე, ბერძნ. (Λιβύη, ἡ) ეპაფოსის ქალიშვილი, ბელოსისა და აგენორის დედა. ლიბიის ეპონიმი, ლიბიეს ზევსისაგან შეეძინა ვაჟი — ლელეგოსი, რომელმაც მითის მიხედვით საფუძველი დაუდო ლელეგთა ტომს.

ლიბიტინა, ლათ. (Libitina) ძველიტალიური ხთონიური ღვთაება. ითვლებოდა ყოვლის დამბადებელი და უკანეე წამღები მიწის, ბაღთა და ზვართა ნაყოფიერების, სიკვდილისა და დამარხვის ღმერთქალად. მას, როგორც ნაყოფიერების ღმერთქალს, ხშირად ურევდნენ გენერაში, ხოლო როგორც მიწისქვეშეთში მცხოვრებს,

მას პროზერპინასთან აივივებდნენ. ჰორაციუსის ცნობილ ლექსში „ძუგლი" ლიბიტინა სიკვდილის მაგივრადაა ნახმარი.

ლიგეია, (ბერძნ. (Λίγεια, ἡ — ტკბილადმხმობელი) ერთ-ერთი სირენა (სირინოზი).

ლიდოსი, ბერძნ. (Λυδός, ὁ) ატისის ვაჟი, ლიდიელთა მითიური წინაპარი.

ლიკაიოსი, ბერძნ. (Λύκαιος, ὁ) ზევსის ერთ-ერთი ხელმეტი სახელი.

ლიკაონი, ბერძნ. (Λυκάων -ονος, ὁ) არკადიის მეფე. პელასგესა და ოკეანიდ კვლენეს ვაჟი. ლიკაონს ბევრი ვაჟი შეეძინა, რომლებიც არკადიის მრავალი ქალაქის ეპონიმები არიან. ერთი მითის მიხედვით ლიკაონმა ზევსს ბავშვი შესწირა მსხვერპლად. ამით გაჯავრებულმა ღმერთმა ლიკაონი მგლად აქცია. აქედან მომდინარეობს მისი სახელიც (λύκος, ὁ — მგელი). სხვა მითის მიხედვით ლიკაონმა გამოცდის მიზნით ზევსს ბავშვის შიგნეულით გაუთებული კერძი მიართვა. გამძვინვარებულმა ზევსმა გადააყირავა მაგიდა და დაფერფლა ლიკაონი და მისი ვაჟები (ცოცხალი დარჩა ლიკაონის მხოლოდ ერთი ვაჟი). მითი უნდა ასახავდეს ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას ოლიმპიური რელიგიის გამარჯვების შემდეგ. მითი დაამუშავა და გამოიქენა ოვიდიუსმა. ლიკაონს ეძახდნენ პრიამოსის ერთ-ერთ ვაჟსაც, რომელიც აქილევსმა მოკლა.

ლიკომედე, ბერძნ. (Λυκομήδης, ὁ) 1. კრეონტის ვაჟი, აქაველთა ერთ-ერთი წინამძღოლი. 2. კუნძულ სკიროსის მეფე. მასთან მალავდა თეტიდა აქილევსს. აქილევსისაგან მის ქალიშვილს შეეძინა ვაჟი — ნეოპტოლემოსი. 3. აპოლონისა და პართენოპეს ვაჟი.

ლიკოსი, ბერძნ. (Λύκος, ὁ) 1. დირკეს ქმარი. მოკლეს ანტიოპეს ვაჟებმა: ძეთოსმა და ამფიონმა 2. თებენის მეფის პანდიონოსის ვაჟი. ეგეოსის, ნისოსისა და პალანტოსის ძმა. თებენელი ჭურეშებისლიკომიდების მითიური წინაპარი. ლიკიის ეპონიმი. ამ იგი, გადმოცემის თანახმად, ეგეოსისაგან განდევნის შემდეგ მოვიდა. 3. თებეს მეფე, პოსეიდონის ვაჟი. მოკლა ჰერაკლემ მეგარაზე თავდასხმის გამო.

ლიკურგოსი, ბერძნ. (Λυκοῦργος, ὁ) 1. თრაკიის მეფე, დრიანტის ვაჟი, დიონისეს დაუძინებელი მტერი. გადმოცემის თანახმად მან დიონისე და მისი თანამგზავრები თავისი ქვეყნიდან განდევნა, რისთვისაც იგი ზევსმა დააბრმავა და სიცოცხლე შეუმოკლა. სხვა მითის

მიხედვით ზევსმა ლიკურგოსის ქვეყანაში მიწას ნაყოფის მოცემა შეაწუვეტინა, თვით მეფე დაგიჟდა და საკუთარი შვილი მოკლა. შვილის მკვლელი ლიკურგოსი მთაში განდევნეს და იქ ველურმა ცხენებმა დაგლიჯეს. მითში აღწერილია საბერძნეთში დიონისეს კულტის გავრცელებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი. 2. ნემეოსის მეფე. (იხ. ჰიპსიპილე).

ლიმოსი, ბერძნ. (Λιμός, ή) შიმშილისა და შიმშილით სიკვდილის განსახიერება. ითვლებოდა განხეთქილების ღმერთქალის — ერიდას ქალიშვილად. რომში გააიგივეს ღმერთქალ ფამესასთან. მისი კულტი არ არსებობდა.

ლინკევსი, ბერძნ. (Λυγκεύς, ὁ) 1. აფარეევსის ვაჟი, მესენიელი გმირი, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მხედველობით, მისი მზერა თვით მიწასა და ქვაშიც კი აღწევდა. მითებში ლინკევსსა და მის ძმას ხშირად აფარიდების უწოდებენ (მამამისის სახელის მიხედვით). ძმები მონაწილეობდნენ კალიდონის ნადირობასა და არგონაუტების ლაშქრობაში. განსაკუთრებით ცნობილია აფარიდების ბრძოლა დიოსკურებთან, რომლებმაც მოიტაცეს ლინკევსის საცოლე—ჰილაირე. ამ ბრძოლაში პოლიდევკემ მოკლა ლინკევსი. გადატანითი მნიშვნელობით ლინკევსი ნიშნავს განჭრიან, მორსმჭვრეტელ გუშაგს. 2. ეგვიპტოსის ვაჟი. დანაიდ ჰიპერმნესტრეს ქმარი. (იხ. დანაიდები).

ლინოსი, ბერძნ. (Λίνος, ὁ) 1. უძველესი ბერძენი ყმაწვილი, რომელიც ნარცისუსის, იაკინთოსისა და პილასის მსგავსად ადრევე დაიღუპა. ლინოსი არის სიცხისაგან განადგურებული ბუნების განსახიერება.

არგოსში, მისი კულტის გავრცელების ცენტრში, იგი აპოლონისა და მეფის ქალიშვილის — ფსამანტეს ვაჟად ითვლებოდა. ერთ-ერთი მითის მიხედვით იგი დედამ გადაიგდო, მწყემსებმა აღზარდეს და შემდეგ ძაღლებმა დაგლიჯეს. ამის გამო ფსამატეს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ განრისხებულმა აპოლონმა გასაჭირი მაინც მოუვლინა მთელ მხარეს. ღმერთის გულის მოსაგებლად არგოველებმა ლინოსის საპატივცემულო საზაფხულო ზეიმი დააწესეს.

თებეში გავრცელებული ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ლინოსი ფერია ურანიას ვაჟია. სხვა ვარიანტი მას მამად ზღაპრულ მომღერალსა და მუსიკის დიდ მცოდნეს — ამფიარაოსს მიაჩნევს, რომელიც ჰელიკონის მთაზე ცხოვრობდა გამოქვაბულში. ლინოსი აპოლონს შეეჯიბრა მუსიკაში და გაჯავრებულმა ღმერთმა მოკლა იგი.

გვიანდელი მითების მიხედვით ლინოსი არის ბერძენი მუსიკოსი, რომელიც ჰერაკლეს მუსიკაში ამეცადინებდა. ერთხელ ლინოსი

ჰერაკლეს გაუჯავრდა, ამაყმა მოწაფემ კითარა ჩაარტყა თავში და მასწავლებელი მოკლა. 2. აპოლონისა და კალიოპეს ვაჟი, ორფევსის მასწავლებელი.

ლირიოპე, ბერძნ. (Λιρίοπη, ἡ) ნაიადი, ნარცისუსის დედა.

ლისიანასა, ბერძნ. (Λυσιάνασσα, ἡ) 1. ეპაფოსის ქალიშვილი, პოსეიდონის ერთ-ერთი საყვარელი, რომელთანაც კავშირითაც ბუსირისი დაბადა. 2. პრიამოსის ქალიშვილი. 3. პოლიბოსის ქალიშვილი. ტალაოსის ცოლი.

ლიხასი, ბერძნ. (Λίχας, ὁ) ჰერაკლეს ცოლის მიერ გაგზავნილი მოციქული, ჰერაკლეს მსახური, რომელმაც გმირს მოწამლული, ნესოსის სისხლით გაჟღენთილი ტანსაცმელი მიუტანა.

ლოკროსი, ბერძნ. (Λοκρός, ὁ) ზევსისა და მერას ვაჟი, ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით იგი ამფიონთან და ძეთისთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა თებეს შენებაში. ლელეგთა ლეგენდარული მეფე.

ლოტიდი, ბერძნ. (Λωτίς -ίδος, ἡ) ფერია, რომელიც პრიაპოსისაგან თავდაცვის მიზნით ლოტოსად იქცა.

ლოტოფაგები, ბერძნ. (Λωτοφάγοι, οἱ - ლოტოსის მჭამელები) ლიბიაში მცხოვრები მითიური ტომები. „ოდისეას“ მიხედვით ლოტოსის შემჭმელ ადამიანებს ავიწყდებათ წარსული. ბევრს ეცადნენ ლოტოფაგები მათ ქვეყანაში მოხვედრილი ოდისევსისათვის ლოტოსი ეჭმიათ, რათა გმირისათვის საშიშროდ დაეკარგებინათ, მაგრამ ყურ მოათხრეს. თანამედროვე გაგებით ლოტოფაგების ქვეყანას უწოდებენ ისეთ მოშხიბვლელ მხარეს, სადაც ადამიანებს ყოველგვარი მწუხარება ავიწყდებათ.

ლუა ლათ. (Lua) რომაელთა ერთ-ერთი ძველი ღმერთქალი, სატურნუსის ქალიშვილი. ლუას პატივსაცემად ომის დამთავრების შემდეგ წვავდნენ ამ იარაღს, რომელიც მტერს წაართვეს.

ლუნა, ლათ. (Luna — მთვარე) მთვარის რომაული ღმერთქალი, იგივე ბერძნული სელენე. ლუნას ხშირად ურევდნენ დიანასა და ჰეკატეში. რომში, ავენტინიუსის ბორცვზე, იდგა ღმერთქალ ლუნას ტაძარი, რომელიც გადმოცემის თანახმად, რომის მეფემ — სერვიუს ტულიუსმა ააგო.

ლუპერკალი, ლათ. (Lupercal) ლუპერკუსის ტაძარი — გამოქვაბული პალატინიუმის ბორცვზე.

ლუპერკალიები, ლათ. (Lupercalia) მწყემსებისა და ფარათა დამცველი ღვთაებების საპატივცემო ზეიმები ძველ რომში. დღესასწაული იმართებოდა 15 თებერვალს, იგი, გადმოცემის თანახმად, ჯერ კიდევ რომელუსს დაუწესებია ლუპერკუსის საპატივცემოდ. ლუპერკალიებზე მსხვერპლად სწირავდნენ თხებსა და ვაცებს განსაკუთრებული რიტუალის დაცვით. სამსხვერპლოს წინ მდგომარე ორ ყმაწვილს ჭურუმები შუბლზე მიადებდნენ სისხლიან სამსხვერპლო დანას, შემდეგ კი სისხლის ლაქას რძეში დასველებული შალით წმენდნენ. ამის შემდეგ ჭურუმი ლუპერკალები დაკლულ ცხოველთა ტყავისაგან ამზადებდნენ სარტყლებსა და წინსაფრებს. სარტყლებს ხელში დაიჭერდნენ, წინსაფრებს ჩამოიფარებდნენ. ტაძრიდან გამოცვივდებოდნენ და დარბოდნენ პალაციუმის ბორცვის გარშემო, თუკი წინ ვინმე შეეჩეხებოდათ, ქამრებს დასცხებდნენ. გათხოვილი უშვილო ქალები სიამოვნებით ეცემინებოდნენ ხოლმე, რადგანაც წამდათ, რომ ამრა შემდეგ შვილი ეყოლებოდათ. ლუპერკალიების ქამრებს ფებრუეები ეწოდებოდათ. საფიქრებელია, რომ აქედან მომდინარეობს თებერვლის თვის სახელწოდება. ეს დღესასწაული ასეული წლების განმავლობაში ყოველი წლის 15 თებერვალს იმართებოდა. ლუპერკუსის კულტი დაეცა, მაგრამ კვლავ აღადგინა ავგუსტემ.

ლუპერკუსი, ლათ. იხ. ლუპერკალიები, ლუპერკალი.

ლუცინა, ლათ. (Lucina) იუნონას ერთ-ერთი ზედმეტი სახელი. იგი მხოლოდ ქორწინების მფარველად ითვლებოდა. იუნონა— ლუცინას საპატივცემოდ გათხოვილი ქალები ყოველწლიურად 1 მარტს მართავდნენ ზეიმებს რომში. ამ ზეიმებს მატრონალიები ეწოდებოდა. ლუცინას ზოგჯერ შვილიერება-მშობიარების ღმერთქალადაც მიიჩნევდნენ.

ლუციფერი, ლათ. Lucifer —სინათლის მომტანი) იგივე ბერძნული ეოსფორი ან ფოსფორი — (სინათლის მომტანი) 1. ბევრი ღმერთის გავრცელებული ზედმეტი სახელი. 2. დილის ვარსკვლავის — ვენერას, როგორც მომავალი დღის წინასწარ მაუწყებლის, ზედმეტი სახელი. ლუციფერი, როგორც დამთუკიდებელი ღვთაება. ღმერთქალ ეოსისა და ტიტან ასტრეუსის (ზოგი ვარიანტით კეფალოსის) ვაჟად ითვლებოდა. მოგვიანებით ლუციფერმა დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა და იქცა ბოროტის სინონიმად. 3. შუა საუკუნეებში სატანას (ეშმაკის) ერთ-ერთი სახელი.

მა —მცირეაზიელების ღმერთქალი, ღმერთების დედა. მას აღიარებდნენ აგრეთვე კუნძულ კრეტაზე, სადაც მას ზევსის დედად დაცოლად მიიჩნევდნენ. მისი კულტი კიბელასას ენათესავებოდა, მაგრამ იყო ორგასტიული ხასიათისა და მეტისმეტი ველურობით გამოირჩეოდა. სულას დიქტატურის დროს მისი კულტი რომშიც გადავიდა. მას ხშირად ბელონაში ურევდნენ.

მაგნესი, ბერძნ. (Μάγνης, -ητος, ὁ) 1. ეოლოსისა და ენარეტეს ვაჟი. 2. ზევსის ვაჟი, მაგნესიის ეპონიმი. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე მაგნატი. 3. აიეტის შვილიშვილის—არგოსისა და პერიმელეს ძე, თესალიის გამგებელი.

მაია, ბერძნ. (Μαῖα, ἡ) ატლანტოსისა და პლეიონეს ქალიშვილი. უფროსი პლეიადი. ზევსისაგან დაბადა ჰერმესი. მთების ფერია. რომაელებმა მაია მიწის ძველიტალიელთა ღმერთქალ მაიასთან გააიგივეს, რომლის დღესასწაულები მაისში იმართებოდა. (აქედან მომდინარეობს მაისის თვის სახელწოდება). პირველ მაისს მაიასათვის შესაწირავები მიჰქონდათ. ზოგჯერ მაიას ვულკანის მეუღლედ მიიჩნევდნენ და ბონა დეასთან, ფაუნასთან და სხვასთან აიგივებდნენ.

მაიანდროსი, ბერძნ. (Μαίανδρος, ὁ) ოკეანოსისა და ტეთისის ვაჟი, ღმერთი, რომელსაც აღიარებდნენ მილეტისა და სამოსის რაიონში.

მაიონი, ბერძნ. (Μαίων -ονος, ὁ) 1. ჰემონის ვაჟი, (იხ. ტიდეუსი). 2. ლუკიანეს მიხედვით ჰომეროსის მამა, ან ბაბუა.

მაკარეუსი, ბერძნ. (Μακαρεύς, ὁ) 1. ყმაწვილი, რომელიც საკუთარ დისადმი უძლიერესი ტრფობით განიმსჭვალა, როდესაც ეს მამამ გაიგო, მაკარეუსმა თავი მოიკლა. 2. ლიკაონის ერთ-ერთი ვაჟი.

მაკარია, ბერძნ. (Μακαρία, ἡ) 1. ჰერაკლეს ერთადერთი ქალიშვილი დეიანირესაგან. სამისნომ იწინასწარმეტყველა, რომ ჰერაკლიდები ევრისთეუსზე გაიმარჯვებდნენ და პელეპონესში მშვიდობიანად დაბრუნდებოდნენ, თუკი ადამიანს შესწირავდნენ მსხვერპლად. მაკარიამ გამოთქვა მსხვერპლად შეწირვის სურვილი. მის მოსახსენიებლად მისი სახელი დაარქვეს სოფელ მარათონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს. 2. ლესბოსელი ავლეტიდეს დედა.

მაკისტოსი, ბერძნ. (Μάκιστος, ὁ) ათამანტის ვაჟი, ფრიქსოსის ძმა, მინიელთა ქალაქის — მაკისტოსის დამაარსებელი და ეპონიმი.

მამერტი, ლათ. (Mamers—ertis) ომის ღმერთის —მარსის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი შუა იტალიაში.

მანდრობულოსი, ბერძნ. (Μανδρόβουλος, ὁ) ძუნწი, რომელმაც ქუნძულ სამოსზე აუარებელი განძი იპოვნა და ამისათვის ჰერას ჯერ ოქროს ვერძი შესწირა, შემდეგ — ვერცხლის და შემდეგ სპილენძის. აქედან მომდინარეობს მხატვრული გამოთქმა „საქმე მანდრობულოსისებურად მიდის“. ე. ი. სულ უფრო ცუდად და ცუდად.

მანები, ლათ. (Manes) გარდაცვლილთა გაღმერთებული სულები. რომაული რელიგიის მიხედვით ისინი თავიდან საიქიოს ღვთაებებად ითვლებოდნენ, შემდეგში კი, თითქოს, თავიანთ გვარსა და ოჯახს მფარველობდნენ. მანებს ნათესავები სწირავდნენ წყალს, ღვინოს, რძეს, შავი ცხვრის სისხლს, ღორებს, ხარებს და სხვ., ხოლო უძველეს დროში — კატასაც კი. მანებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები იმართებოდა 13—21 თებერვალს. ამ დღეებში ყველა ტაძარი დაკეტილი იყო და მოქალაქეებს ქორწინება ეკრძალებოდათ. პალაციხუმის ბორცვზე იყო მანებისადმი განკუთვნილი ქვებით დახურული განსაკუთრებული ფორმის ორმო (მანების საცხოვრებელი). წელიწადში სამჯერ (24 აგვისტოს, 5 ოქტომბერს და 8 ნოემბერს) ქვებს გადმოალაგებდნენ და თითქოს მანებს გარეთ უშვებდნენ. მანების მუდმივ, საერთო საცხოვრებლად მიწისქვეშეთი ითვლებოდა და ამიტომ პოეტები მანად ხშირად მიწისქვეშა სამყაროს (ჰადესს, საიქიოს) მოიხსენიებენ ხოლმე.

მანეროსი, ბერძნ. (Μανέρως, ὁ) 1. ეგვიპტის პირველი მეფის ლეგენდარული ვაჟი, რომელიც სილამაზისა და სიძლიერის გაფურჩქვნის ჟამს გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ მანეროსს მუდამ ადიდებდნენ სამგლოვიარო სიმღერებში. ამქამადაც ეგვიპტური სამგლოვიარო სიმღერა მის სახელს ატარებს. გარკვეული აღიარება მანეროსმა საბერძნეთშიც მოიპოვა.

მანია, ლათ. (Mania) მიწისქვეშა სამყაროს ძველიტალიელთა ღმერთქალი, მანების (ზოგჯერ ლარების) დედა ან ბებია. მანიას ცამოსახელებებს ძველ რომში სახლის კარების წინ კიდებდნენ სახლის ბოროტი თვალისაგან დაცვის მიზნით. თანდათანობით მანია საფრთხობელად გადაიქცა და იმით ბავშვებსაც აშინებდნენ ხოლმე. მანიას კულტი ძველთაგანვე ადამიანის მსხვერპლად შეწირვასთან იყო დაკავშირებული. ისტორიულ პერიოდში ადამიანების შეწირვა ნივრისა და ხახვის ბოლქვებით შესცვალეს და მანიას კულტიც თანდათან დაკნინდა.

მანტიკა, ბერძნ. (μαντευτική, ἡ) მკითხაობის ხელოვნება, ღმერთის სურვილის გაგების უნარი. ყველა ძველ ხალხში მანტიკის წარმენის მიზეზი იყო ის, რომ ბუნების ყოველგვარი მოვლენა, თვითეული ადამიანისა თუ სახელმწიფოს ბედი დამოკიდებული ეგონათ ღმერთების ნება-სურვილზე. ძველი ხალხი ფიქრობდა, რომ ღვთაებები თავიანთი ნებისა თუ ცალკეული ადამიანების თხოვნის საფუძველზე, თავიანთ სურვილებს უცხადებდნენ ადამიანებს მრავალგვარი ნიშნის საშუალებით, რომელთა ახსნა—განმარტება სწორედ მანტიკის მოვალეობა იყო. მანტიკა ყველაზე მეტად საბერძნეთსა და რომში იყო გავრცელებული. არც ერთი პიროვნება, არც ერთი სახელმწიფო თუ ქალაქი, რაიმე საქმეს ისე არ დაიწყებდა, თუ სამისნოს არ მიმართავდა და მისგან ნებართვას არ მიიღებდა. საბერძნეთში სამისნოებისა და წინასწარმეტყველების მფარველად და შემწედ აპოლონი ითვლებოდა. ბერძნებს სჯეროდათ, რომ ყველა ღმერთზე უფრო ხშირად სწორედ აპოლონი აჯილდოებდა ადამიანთა ცარკვეულ წარმომადგენლებს წინასწარმეტყველების ნიჭით. წინასწარმეტყველთაგან საბერძნეთში ყველაზე მეტ პატივს სიბილებსა და ბაკიდებს სცემდნენ. (ამ უკანასკნელთ ფერიები მფარველობდნენ). სიბილას წიგნებში ჩამოთვლილია მრავალი წინასწარმეტყველება, რომელიც სიბილებს და ბაკიდებს მიეწერება. ისინი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის ნიშანდობლივ მოვლენებს წინასწარ განსაზღვრავდნენ და უმნიშვნელოვანესი მოვლენების წინასწარ განსასაზღვრელად მხოლოდ მათ მიმართავდნენ. არსებობდა მანტიკისა და წინასწარმეტყველების მრავალი კერძო კრებული, რომელთა მფლობელები რაიმე გასამრჯელოს საფასურად რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ მორწმუნეებს. ყოველივე ამასთან დაკავშირებით ძველად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიზმარსაც. ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქაში მიაჩნდათ, რომ სიზმრების მომვლინებელი ზევსია.

ხალხური რელიგიის თანახმად არსებობდნენ კერძოდ სიზმრების მომვლინებელი დემონებიც. ჰესიოდეს მიხედვით ეს დემონები ნიტის ვაჟები არიან. მოგვიანებით პოეტები მათ ჰიპნოსის შვილებად მიიჩნევდნენ და ცალკეულს თავ-თავის სახელებს არქმევდნენ. ჰომეროსის მიხედვით სიზმრები იმყოფებიან შორეულ დასავლეთში, მიწისქვეშა სამყაროს ჩასასვლელთან ახლოს და იქიდან გამოდიან რქის (მაშინ ასანი სარწმუნონი არიან) ან სპილოს ძვლის ჭიშკრით (მაშინ სიზმრები დაუჯერებელი არიან). სწამდათ, რომ ღმერთები

არა მარტო სიზმრის მომვლინებელ ღმერთებს გზავნიან, არამედ ზოგჯერ თვითონაც მოევლინებიან ხოლმე ადამიანებს ძილის დროს და თავიანთ ნება-სურვილს უცხადებენ. ძველ საბერძნეთსა და რომში არსებობდა სიზმართა ასახსნელი სპეციალური წიგნები; ერთ-ერთმა ასეთმა, არტემიდოროსის მიერ შედგენილმა წიგნმა ჩვენამდეც მოაღწია და დღესაც გავლენა აქვს მორწმუნეთა შორის. მანტიკის ერთ-ერთი სახე იყო ავგურთვე ფრინველთა გადაფრენით მკითხაობა. ასეთი ფრინველები ღმერთთა გამოგზავნილად ითვლებოდნენ. განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ დიდი მტაცებელი ფრინველები და კერძოდ ზევსის მაცნე—არწივი. ფრინველთა გადაფრენის მიხედვით მკითხაობისათვის შეარჩევდნენ ხოლმე დიდ, დაცარიელებისათვის შესაფერის, გაშლილ ადგილს. ალმოსაველთიდან, ჰორიზონტის მარჯვენა მხრიდან, ფრინველთა გამოჩენა კარგის მომასწავებლად მიაჩნდათ, ხოლო მარცხენა მხრიდან — ცუდის ნიშნად.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ციური და ატმოსფერული მოვლენების მიხედვით მკითხაობას. მეხის დაცემა ან გაელვება მიაჩნდათ კეთილის ან ბოროტის ნიშნად იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეზე მოხდებოდა ის. კომეტის გამოჩენა, მზის ან მთვარის დაბნელება ცუდის მაუწყებლად ითვლებოდა. ცარსკვლავების მიხედვით მკითხაობა ძველ საბერძნეთში თითქმის არ იცოდნენ. იგი მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა და ბაბილონელთა ასტროლოგიის გაცნობის შემდეგ შემოიღეს. ფრინველთა გადაფრენისა და ციური მნათობების მიხედვით მკითხაობას ძველ რომში ქურუმ ავგუსტალების კოლეგია ხელმძღვანელობდა. ამას გარდა რომაელები მკითხაობდნენ მსხვერპლთშეწირვის მიხედვითაც—როგორ მოიქცეოდა შესაწირავი შეწირვამდე, როგორი იქნებოდა შეწირული ცხოველის შიგნეულის მდგომარეობა. (განსაკუთრებით ღვიძლის). ხშირად, განსაკუთრებით ომების დროს, მსხვერპლთშეწირვა მხოლოდ იმის ვულისათვისაც ხდებოდა, რომ ეწინასწარმეტყველათ სახელმწიფოს მომავალი და ბედი მიმდინარე ომში. ასეთ საქმიანობას რომში ქურუმთა განსაკუთრებული კოლეგია ე. წ. ჰარუსპიკები ეწეოდნენ.

გარკვეულ შემთხვევაში ღმერთების მინიშნებად ითვლებოდა ცხვირის დაცემინება, კარების ჭრიალი, ჭიხვის ან წყლის დაღვრა, რომელიმე ცხოველის, მაგალითად მეზობლის შავი ძაღლის ეზოში გამოჩენა და სხვ. ჭართველ მორწმუნეთა წარმოდგენით მზის ან მთვარის დაბნელება, კომეტის გამოჩენა, მიწის ძვრა ცუდის მომასწავებელი ნიშნები იყო. ბელურას გაბმული ჭიკჭიკიც არასასიამოვნო მოლოდინს მიუთითებდა, ხოლო ოფოფის ანუ ბუს ეზოში გამოჩენა უბედურებად მიაჩნდათ.

ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე VI საუკუნეში თალესმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მზის დაბნელება კანონზომიერი ბუნებრივი მოვლენაა და არა რაიმე ღვთიური მინიშნება. V საუკუნის კომედიოგრაფი ევპოქრატესი წინასწარმეტყველებს მატყუარა მკვეხარებს უწოდებდა. რომლებიც ბაიბურებენ ბრიყვ დედაკაცებს და ამისათვის ფულს ღებულობენ. რომაელი პოეტი ენიუსიც მკითხაველებს უსინდისო მკვეხარებს უწოდებდა.

მანტო, ბერძნ. (Μαντώ, ἡ) ტირესიას ქალიშვილი. მოფსოსის დედა. მანტოსა და მისი ძმის თუ წინაპრის — მანტოსის სახე მკითხაობის (მანტიკის) პერსონიფიკაცია უნდა იყოს.

მარათონის ხარი, ბერძნ. (Μαραθώνιος ταῦρος, ὁ) იგივე კრეტის ხარი, რომელიც მინოსმა პოსეიდონისათვის შესაწირავად გააშზადა. ერთი მითის მიხედვით, როდესაც ეს ხარი პოსეიდონმა გააშვებინა, იგი დაიპყრა თეზევსმა მარათონის ველზე.

მარგიტესი, ბერძნ. (Μαργίτης, ὁ) ბერძნული თქმულების ერთ-ერთი პერსონაჟი, — სიბრიყვისა და სიყეყეჩის განსახიერება. რომელიც ამასთანავე თავისებურად ჭკვიანადაც ითვლებოდა. იგი გერმანული ოილენშპიგელისა და რუსული ივანუშკასაგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ თავიანთი სიბრიყვით არიან ცნობილნი, ქართული ზღაპრის ნაცარქექიას უფრო წააგავს, რომელიც ხშირად ბრიყვულ, მაგრამ ამავე დროს გონივრულ საქმეებს აკეთებს.

მარონი, ბერძნ. (Μάρων, ὁ) სასიამოვნო ღვინის ჰეროსი, დიონისეს მუდმივი თანამგზავრი.

მარპესა, ბერძნ. (Μάρπεσσα, ἡ) ევენოსის ქალიშვილი, აპოლონის სატრფო. რომელიც პოსეიდონისაგან ნაჩუქარი ჯადოსნური ფრთოსანი ეტლით მოიტაცა იდასმა. მამა ვერ დაეწია ლტოლვილებს და გაწყრებული მდინარეში გადავარდა. აპოლონი დაეწია იდასს და ამ უკანასკნელმა ღმერთთან შებრძოლებაც კი გაბედა. ზევსმა მოჰხუბრები გააშავა და მარპესას ნება მისცა თავისი სურვილით ამოერჩია ქმარი. მარპესამ იდასი ამოარჩია, მარპესა და იდასს შეეძინათ ქალიშვილი კლეოპატრა, რომელიც შემდეგ მელეაგროსის ცოლი გახდა.

მარსი, ლათ. Mars—tis) (იხ. არესი) მარსი ითვლებოდა რომის ლეგენდარული დამაარსებლების რემუსის და რომულუსის მამად.

იუპიტერთან და კვირინუსთან ერთად მარსი იყო რომაელთა ერთ-ერთი უდიდესი ღვთაება. მარსის მთავარ ატრიბუტად ითვლებოდა ციდან ჩამოვარდნილი ფარი (ანცილი). მარსის დღესასწაულის დროს ჭურუმები აწყობდნენ საზეიმო პროცესიას: ფარი ქალაქში გაამოჰქონდათ საზეიმო ვითარებაში. მარსს შესწირეს ადგილი, რომელიც შემდეგ მარსის ველად იწოდებოდა. იმპერიის დასაწყისში აქ ალმართეს ტაძარი. რომაული წლის პირველ თვეს, როცა მარსისადმი მიძღვნილი პირველი ზეიმები იმართებოდა, უწოდეს მარსი (მარტი). მისი სახელი აგრეთვე უწოდეს ერთ-ერთ პლანეტას (მარსი). მარსის წმინდა ცხოველებად ითვლებიან მგელი და კოდალა.

მ ა რ ს ი ა ს ი, ბერძნ. (**Μαρσύας, ὁ**) მდინარე მარსიასის ღვთაება. ფრიგიული სილენი. დიონისეს ერთ—ერთი თანამგზავრი. ლეგენდის თანახმად მარსიასმა იპოვა ათენასაგან გადაგდებული ფლეიტა და აპოლონი გამოიწვია შეჯიბრებაში. მიუხედავად იმისა, რომ მან წააგო, აპოლონი მაინც გაჯავრდა და ცოცხლად გააძრო ტყავი. მისი ტყავი წაიღო და ფრიგიის ქალაქ კელენეს მახლობლად გამოქვაბულში ჩამოკიდა. ამბობენ, თითქოს ეს ტყავი სიბარულისაგან ცახცახებს, როცა ფლეიტის ხმას გაიგონებს. სხვა მითის მიხედვით შეჯიბრებაში გამარჯვებულად მეფე მიდასმა მარსიასი დაასახელა, რისთვისაც გაჯავრებულმა აპოლონმა მეფეს ვირის ყურები გამოაბა (იხ. მიდასი). მარსიასისა და აპოლონის შეჯიბრების სცენას ხშირად იყენებდნენ სახვით ხელოვნებაში.

მ ა ტ რ ა ლ ი ე ბ ი, ლათ. (Matralia) იტალიელთა ღმერთქალის—მატუტას საპატივცემო დღესასწაულები რომში. მატრალიები იმართებოდა ივნისის თვეში, ზეიმზე ქალები ხელში აყვანილი დისშვილებით მიდიოდნენ. მოხა ქალებს დღესასწაულზე არ უშვებდნენ.

მ ა ტ რ ო ნ ა ლ ი ე ბ ი, ლათ. (Matronalia) იუნონასადმი მიძღვნილი დღესასწაულები. იმართებოდა პირველ მარტს.

მ ა ტ უ ტ ა, ლათ. (Matuta) დილის ძველიტალიელთა ღმერთქალი, რომელსაც ხშირად ბერძნულ ლევკოთეასთან აიგივებდნენ. რომში მატუტას დღესასწაულზე დედებს თავის შვილებთან ერთად ხელში აყვანდათ დისშვილები. როგორც მაგალითად ინო ზრდიდა და ატარებდა სემელეს ვაჟს — დიონისეს.

მ ა ქ ა ო ნ ი, ბერძნ. (**Μαχάων, ὁ**) ექიმი, ტროის ომის მონაწილე, ასკლეპიოსისა და ეპიონეს ვაჟი, პოდალეირესის ძმა. მან მოარჩინა მენელაოსი და ფილოქტეტე. ტროის ომის დროს მაქაონი და მისი ძმა ტროელების ექიმები იყვნენ. პარისთან ბრძოლის დროს მაქაონი დაიჭრა და ბრძოლის ველიდან ნესტორმა გამოიყვანა.

ხის შემდგომდროინდელი მითის მიხედვით მაქაონი ტელეფოსის ვაჟმა — ევრიპილემ მოკლა და გვამი ხესტორმა გამოიტანა. გადმოგვცემენ, რომ მისი საფლავის მიწაზე შეხებაც კი კურნავდა ავადმყოფებს. მხატვრულ ლიტერატურაში მაქაონი ექიმს — მკურნალს ნიშნავს.

მ ე გ ა პ ე ნ თ ე, ბერძნ. (**Μεγαπένθης, ὁ**) მენელაოსის ერთ-ერთი ვაჟი, რომელიც ელენეს ტყვეობის ჟამს მენელაოსის ერთ-ერთ მონაჭალთან კავშირით დაიბადა.

მ ე გ ა რ ა, ბერძნ. (**Μέγαρα, ἡ**) კრეონტის ქალიშვილი, თებეს თქმულებების მიხედვით ჰერაკლეს ცოლი. ბოლოს ჰერაკლემ მეგარა იოლაევსს მითხოვა.

მ ე გ ა რ ე ე ს ი, ბერძნ. (**Μεγαρεύς, ὁ**) მეგარიდას მითიური მეფე, ქალაქ მეგარიდას ეპონიმი, პოსეიდონის ვაჟი, ალკათოთოსის ცოლის — ევექმეს მამა. როდესაც მეგარიდას თავს დაესხა კრეტის მეფის-მინოსის ჯარები, წარმოშობით ბეოტიელმა მეგარეევსმა დიდი დახმარება გაუწია აღგილობრივ მეფეს — ნისოსს, რის გამოც მეგარეევსი ნისოსის შემდეგ მეგარიდას მმართველი გახდა.

მ ე გ ე რ ა, ბერძნ. (**Μέγαιρα, ἡ**) ერთ-ერთი ერინია, მრისხანებისა და შურისძიების განსახიერება. წარმოდგენილი ჰყავდათ დედაბრის სახით, თავზე თმების მაგიერად გველები ჰქონდა მოხვეული და ხელში ჩირაღდანი და სატევარი ეჭირა. გადატანითი მნიშვნელობით მეგერას ავ, ბოროტ დედაკაცს უწოდებენ.

მ ე დ ე ა. ბერძნ. (**Μήδεια, ἡ**) ბერძნულ მითებში საყოველთაოდ ცნობილი უდიდესი ჯადოქარი. კოლხეთის მეფის — აიეტის ქალიშვილი. ჰელიოს ღმერთის შვილიშვილი. იასონის, შემდეგ ეგეოს მეფის ცოლი. მედეას მითი დაკავშირებულია არგონავტების ლაშქრობასთან.

როდესაც არგონავტები კოლხეთში მივიდნენ, მეფის ქალიშვილს—მედეას მოეწონა და შეუყვარდა არგონავტთა ხელმძღვანელი — იასონი. სწორედ მედეას რჩევითა და შემწეობით შეასრულა მან აიეტისაგან მიცემული მრავალი, თითქმის შეუძლებელი დავალება. (იხ. არგონავტები).

იასონსა და მედეას შეეძინათ ვაჟები: მერმეროსი და ფერეტესი. რამდენიმე ხნის შემდეგ იასონმა გადაწყვიტა დაქორწინებულიყო კორინთოს მეფის — კრეონტის ქალიშვილ გლავკეზე (ზოგი ვარიანტით კრეუსა), მაგრამ შეურაცხყოფილმა და გამძვინვარებულმა, თავმოყვარე კოლხმა ქალმა ეს არ მოითმინა და თავისი ქმრის ახალ საცოლეს ქორწინების დღეს მომაკვდინებელი საწამლავით გაუღენ-

თიღი ძვირფასი ტანსაცმელი და ნივთები შეუგზავნა, რომლის შენებითაც დაილუპნენ გლაუკე (კრეუსა) და მეფე კრეონტი. ევრიპიდე გვიამბობს, რომ შეურაცხმყოფელი ქმრის კიდევ უფრო გაწწარების მიზნით მედეამ დახოცა მისი და იასონის ორივე ვაჟიშვილი და თეთრთ ჰელიოსისაგან ნაჩუქარი ჯადოსნური ეტლით გაფრინდა.

მითის ზოგი ვარიანტის მიხედვით კორინთოდან გაქცეული მედეა ათენში დასახლდა და ცოლად გაჰყვა მეფე ეგეოსს. მოგვიანებით, როცა მედეამ გადაწყვიტა ახლადგამოჩენილი მემკვიდრის—თეზევსის მოკვლა, იგი ათენიდანაც განდევნეს. გვიანდელი მითების მისედვით, მედეა მას შემდეგ, რაც უცხო ქვეყნებში ველარ ჰპოვა თავშესაფარი, კვლავ კოლხეთში დაბრუნდა, ტახტიდან ჩამოგდებულ მამას შეურიგდა და დაეხმარა სამეფო ტახტის დაბრუნებაში.

ის ფაქტები, რომ მედეა ითვლებოდა ჰელიოს ღმერთის შვილიშვილად, ჰქონდა მკვდრების გაცოცხლების უნარი, გაფრინდა დრაკონებშებმული ეტლით და სხვა მრავალი, მიუთითებს იმაზე, რომ მედეას აღრე ღმერთქალად სთვლიდნენ და შემდეგ გახდა მოკვდავი, მაგრამ სასწაულმოქმედი ადამიანი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მედეას დამახასიათებელი მრავალი ძირითადი თვისება, კოლხი ქალის საყოველთაოდ ცნობილ ნამდვილ ხასიათებს გვაგონებს, რაც მცირედენ ეჭვს მაინც ბადებს მედეას ან მსგავსი პიროვნების ნამდვილად არსებობაზე. ბერძნულ ლიტერატურაში მედეას მითი დაამუშავა ევრიპიდემ, ლათინურში—სენეკამ. მედეას შესახებ ნაწარმოებები შექმნეს კორნელმა და გრილპარცერმა. მედეას სახემ შთააგონა სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის მრავალი დიდოსტატი. მედეას შესახებ ნაწარმოებები შექმნა ქართულ ენაზეც. აკაკი წერეთელმა დაწერა დრამატული პოემა „მედეა". ამავე სახელწოდების ტრაგედია შექმნა ლეონ სანიკიძემ. ბერძნული „მედეა" ქართულად თარგმნა პროფესორმა პანტელეიმონ ბერაძემ და დიდის წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მითს მედეას და იასონის შესახებ მრავალი ახალი დეტალი და ტრაგიკული კონფლიქტი შემატა ევრიპიდემ ტრაგედია „მედეაში". ასეთია მაგალითად შვილების დახოცვის ამბავი. (იხ. არგონავტები, იასონი).

მ ე დ ე ო ს ი, ბერძნ. (Μήδειος, ὁ) იასონისა და მედეას ვაჟი, რომელიც ჭირონმა აღზარდა მთებში.

მ ე დ ო ნ ტ ი, ბერძნ. (Μέδων -οντος, ὁ) 1. პენელოპეს საქმროების მაცნე. მან გაიგო, რომ პენელოპეს საქმროებმა გადაწყვიტეს ტელემაქეს მოკვლა სამშობლოში დაბრუნებისას და ამის შესახებ აცნობა დედამისს — პენელოპეს, მან შვილი გააფრთხილა და დალუპვას გადაარჩინა. ამისათვის დაბრუნებულმა ოდისევსმა შეიბრალა მედონტი სასიკვდილოდ ამოხოცვისას.

2. ოიდევსის ვაჟი, ეანტ მცირის ძმა. მეტოხიელი ბერძნების წინამძღოლი ტროის ომში. აქვე მოკლა ენეასმა.

მ ე დ ო ს ი, ბერძნ. (Μήδειος, ὁ) მედეასა და ეგეოს მეფის ვაჟი, რომელიც თეზევსის ვინაობის გამჟღავნების შემდეგ დედასთან ერთად გაიქცა ათენიდან აზიაში და იქ მრავალი ბარბაროსი დახოცა.

მ ე დ უ ზ ა, ბერძნ. (Μέδουσα, ἡ) 1. ერთ-ერთი გორგონა (იხ. გორგონა). 2. პელიასის ერთ-ერთი ქალიშვილი.

მ ე ლ ა მ პ ო დ ი ‖ მ ე ლ ა მ პ უ ს ი, ბერძნ. (Μελάμπους -ποδος, ὁ) ამითაონის ვაჟი, ბიანტის ძმა. უძველესი წინასწარმეტყველი და ექიმი. საბერძნეთში დიონისეს კულტის დამაარსებელი. ერთხელ, როდესაც იგი ჯერ კიდევ პილოსში ცხოვრობდა, ძილის დროს მოშინაურებულმა გველებმა ისე ამოეხუფთავეს ყურები, რომ ამის შემდეგ შეეძლო ყოველი სულიერის ენის გაგება. ამის გამო მელამპოდს შეეძლო წინასწარმეტყველება, რაც მას მრავალგზის გამოადგა სიცოცხლის მანძილზე.

მელამპოდის ძმას — ბიანტს შეუყვარდა მეფე ნელევსის ქალიშვილი პერო, მაგრამ ნელევსის ბრძანების თანახმად ქალიშვილს უნდა გათხოვილიყო მხოლოდ იმ ვაჟკაცზე, ვინც მას იფიცლეს ხარებს მიუყვანდა. ბევრს ეცადა ბიანტი მოეტაცებინა სანუკვარი ხარები, მაგრამ ვერ შეძლო. ბოლოს მას დაეხმარა მელამპოდი (იხ. ბიანტი). ერთი მითის მიხედვით მელამპოდმა იფიცლეს უმცირესობის მიზეზი და შვილიერებას საშუალება ასწავლა. ამის შემდეგ იფიცლემ მას ხარები აჩუქა. მან ხარები ძმას მიჰგვარა, ბიანტოსმა—ნელევსს და ნელევსმაც მიათხოვა თავისი ქალიშვილი — პერო. რამდენიმე ხნის შემდეგ მელამპოდი არგოსში გადასახლდა, სადაც განკურნა ქალები მძიმე ავადმყოფობისაგან და საშვილიშვილოდ ძმასთან ერთად სახელმწიფოს ნახევარს დაეპატრონა. არსებობს გადმოცემა, რომ მელამპოდმა დაწერა წიგნი, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა წინასწარმეტყველებები. მელამპოდის მიერ მოხდენილი სასწაულების შესახებ საუბარია პოემა „მელამპოდში", რომლის საგულისხმო ავტორი ჰესიოდეა.

მ ე ლ ა ნ თ ე ვ ს ი, ბერძნ. (Μελανθεύς, ὁ) პენელოპეს მოხუცი მონის — დოლოსის ვაჟი. მწყემსავდა ოდისევსის თხებს. როდესაც ოდისევსი პენელოპეს საქმროებს უსწორდებოდა, მელანთევსმა მო-

წინააღმდეგების მხარე დაიკავა და ამისათვის სასტიკად დასაჯა ოდისევსმა.

მელანთო. ბერძნ. (Μελανθώ, ῆ) მელანთოსის და, ოდისევსის მსახური, ფერია. დეკალიონის ქალიშვილი. მელანთოს ხელში ჩაგდების მიზნით პოსეიდონმა დელფინის სახე მიიღო.

მელანთოსი, ბერძნ. (Μέλανθος, ὁ) ანდროპომოსის ვაჟი, კოდროსის მამა, ნელეიდთა გვარის წარმომადგენელი. ერთხანს მეფობდა მესინიაში და იქედან ჰერაკლიდებმა გაბრდევნეს. ამის შემდეგ მელანთოსი ატიკაში გადავიდა. როდესაც თეზევსის შთამომავალმა, ატიკის მეფე თიმეტოსმა უარი განაცხადა ბეოტიის მეფე ქსანთოსთან შებრძოლებაზე, ეს მისია თავს იდო მელანთოსმა. ბრძოლის დროს ქსანთოსს უკანიდან ამოუდგა შავი თხის ტყავში გამოწყობილი დიონისე და ეხმარებოდა. როდესაც მელანთოსმა მოწინააღმდეგეს წაბოძვედრა, შენ მარტო არ შებრძვიო, დიონისე უკან გაბრუნდა და სწორედ ამ დროს დაამარცხა მელანთოსმა ქსანთოსი. ამის მერე მელანთოსი ატიკის მეფე ხდება.

მელანიპე, ბერძნ. (Μελανίππη, ἡ) ელენეს ვაჟის—ეოლოსის ქალიშვილი. პოსეიდონის სატრფო, რომლისგანაც ორი ტყუპი შეეძინა. რადგან ბავშვები უკანონოები იყვნენ, გადაყარეს, მათი დედა კი საპატიმროში ჩაგდეს. გადაყრილი ბავშვები იპოვეს და გაზარდეს მწყემსებმა. როდესაც ყმაწვილები წამოიზარდნენ, დედა საპატიმროდან გათავისუფლეს. (მსგავსი მითები მრავლადაა ცნობილი ბერძნულსა თუ სხვა ხალხების მითოლოგიაში).

მელანიპოსი, ბერძნ. (Μελάνιππος, ὁ) 1. თებელი გმირი, ეპამინონდას პოლინიკეს მომხრეთაგან. ომის დროს ტიდეუსი სასიკვდილოდ დაჭრა და თვით ამფიარაოსის ხელით დაეცა.

2. ულამაზესი ყმაწვილი, რომელსაც შეუყვარდა არტემიდეს ქურუმი-კომეთო. ამაზე გაჯავრებულმა ღმერთქალმა ყმაწვილი მოკლა, ხოლო მის ქვეყანას მოუსავლიანობა მოუვლინა. იმისათვის, რომ ღმერთქალის ფული მოელბოთ და ქვეყანას კვლავ მოსავლიანი წლები დასდგომოდა, სამისნოს წინასწარმეტყველების მიხედვით, ყოველწლიურად არტემიდესათვის თითო ლამაზი ქალ-ვაჟი უნდა შეეწირათ. 3. თეზევსის ვაჟი, რომელმაც ნემეის თამაშობებზე სირბილში გაიმარჯვა.

მელასი, ბერძნ. (Μέλας, ὁ) 1. აიეტის შვილიშვილი, ფრიქსოსისა და ქალკიოპეს ვაჟი, არგოსის, ფრონტოსისა და კვტისოროსის ძმა. 2. პოსეიდონისა და ერთ-ერთი ქიოსელი ფერიის ვაჟი.

მელეაგრიდები, ბერძნ. (Μελεαγρίδες, αἱ) მითიური ფრინველები, რომლებიც თითქოს, მელეაგროსის სიკვდილის გამო სახეშეცვლილი, დამწუხრებული ქალები არიან.

მელეაგროსი, ბერძნ. (Μελέαγρος, ὁ) ენეასისა და თესტიოსის ქალიშვილის — ალთეას ვაჟი, კლეოპატრას (ალკიონეს) ქმარი. არგონავტთა ლაშქრობისა და კალიდონის ნადირობის მონაწილე. ერთხელ მელეაგროსის მამას დაავიწყდა არტემიდესათვის მსხვერპლის შეწირვა და გაჯავრებულმა ღმერთქალმა მის ქვეყანას საშინელი, ე. წ. კალიდონის ტახი მოუვლინა, რომელმაც თითქმის გაანადგურა მთელი სახელმწიფო. როდესაც მელეაგროსი დავაჟკაცდა, კურეტებთან ერთად შეებრძოლა ტახს და მოკლა იგი. პირობის თანახმად მხეცის თავი და ტყავი მას უნდა რგებოდა, ვისაც მეტი დამსახურება ჰქონდა მის მოკვლაში. ამისათვის დიდი ჩხუბი და დავა ატყდა ეტოლიელებსა და კურეტებს შორის. დავაში ეტოლიელები პირველობდნენ მანამ, სანამ მათ მხარეზე მელეაგროსი იბრძოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას ბიძა (დედის ძმა) შემოაკვდა, დედამ საშინლად დაწყევლა და ბრძოლაზე ხელი ააღებინა, გამარჯვების სასწორი კურეტების მხარეზე გადაიხარა. ვერავითარმა ბვეწნა-ვედრებამ ვერ გაჭრა, რომ მელეაგროსი კვლავ დახმარებოდა მოძმეებს. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ეტოლიელების დამარცხება გარდაუვალი შეიქმნა, მელეაგროსი ცოლის თხოვნით კვლავ ბრძოლაში ჩაება, თანამემამულეებს ბრძოლა მოაგებინა, მაგრამ თვითონ დაიღუპა. მას თითქოს გზაში დაეწია ის ერინია, »რომელსაც დედის წყევლა ჰქონდა დესშიც კი ეყურება« და ჰადესს წარიტაცა მელეაგროსი.

გვიანდელი მითის მიხედვით, როდესაც მელეაგროსი შვიდი დღის გახდა, დედამისს მოირები გამოეცხადნენ და უთხრეს, რომ მისი შვილი მოკვდება მაშინვე, როგორც კი ის მეგუზალი, რომელიც ახლა ბუხარში იწვოდა, დაიწვებოდა. ამის გამგონე ალთეამ მეგუზალი მაშინვე გამოიღო ბუხრიდან, ჩააქრო და სკივრში ჩაკეტა.

სხვა მითის მიხედვით ძმების სიკვდილით გამწარებულმა ალთეამ შვილი კი არ დასწყევლა, არამედ სკივრში შენახული მეგუზალი ამოიღო, ცეცხლში ჩააგდო და მელეაგროსიც მაშინვე მოკვდა. მისი სიკვდილის შემდეგ ალთეამ და მელეაგროსის ცოლმა კლეოპატრამ თავი ჩამოიხრჩვეს, დები კი მას ისე მწარედ დასტიროდნენ, რომ მათი მწუხარებით გულაჩუყებულმა და შეწუხებულმა არტემიდემ ისინი ციცრებად აქცია. როდესაც ჰადესში ჰერაკლე ჩავიდა, მისგან ყველა ჩრდილი გაიქცა მელეაგროსსა და მეძუძუს გარდა.

როგორც ჩანს, მითი შექმნილია მატრიარქატის პერიოდში, რო-

დესაც დედისათვის ძმა შვილზე უფრო მახლობლად ითვლებოდა და მისი მოკვლა ასეთ დანაშაულად მიაჩნდათ, რომ დედა ამისათვის წყევლიდა შვილს და სასიკვდილოდ იმეტებდა.

მითი დამუშავებულია ჰომეროსის „ილიადაში“, ევრიპიდესა და სოფოკლეს ჩვენამდე მოღწეულ ტრაგედიებში, ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ და სხვ. ჩვენამდე მოღწეულია ბარელიეფურად გამოსახული მელეაგროსის სიკვდილის სცენა. მელეაგროსის მითზეა შექმნილი რუბენსის ცნობილი სურათები: „მელეაგროსი და ატალანტე“ და „კალიდონის ნადირობა“.

მელეიე, ბერძნ. (Μελείη, ἡ) ოკეანოსის ქალიშვილი, ინაქეს (ინაჭოსის) მეუღლე, ეგიალეესის დედა.

მელიბოია, ბერძნ. (Μελίβοια, ἡ) 1. ოკეანოსის ქალიშვილი, პელასგოსის მეუღლე, ლიკაონის დედა. 2. ნიობესა და ამფიონის ქალიშვილი, რომელიც გადარჩა ნიობეს შვილების ამოხოცვის დროს და არგოსში გაიქცა.

მელიები, ბერძნ. (Μελίαι, αἱ) მელეიური ფერიები, გეასა და ურანოსის ქალიშვილები. როდესაც ურანოსს მოჭრილი სასქესო ორგანოდან სისხლი დადინდა და მიწას (გეას) შეერია, მისგან გიგანტებთან და ერინიებთან ერთად მელიებიც წარმოიშვნენ. მელიებს უწოდებდნენ ოკეანოსის ქალიშვილებსაც. მათ ზოგჯერ ზევსის აღმზრდელ ძიძებად მიიჩნევდნენ.

მელიკერტე, ბერძნ. (Μελικέρτης, ὁ) ათამანტისა და ინოს ვაჟი. ზღვის ღვთაება. მელიკერტეს მითი დაკავშირებულია დიონისეს შესახებ არსებულ ერთ-ერთ მითთან. მელიკარტეს მითიდან ცნობილია, რომ მელიკერტეს დედა ინო ძუძუს აწოვებდა პატარა დიონისეს. ამაზე გაჯავრებულმა ჰერამ მის ქმარს—ათამანტს გონება აუერია და ერთ-ერთი ვაჟიშვილი მოაკვლევინა. გაგიჟებული ქმრისაგან განრიდების მიზნით ინო მელიკერტესთან ერთად ზღვაში გადახტა, სადაც მათ ფერიები მიეგებნენ და დალუპულ გემთა მგზავრების მფარველ ღვთაებებად აქციეს. პალემონის სახელით მელიკერტეს აღიარებდნენ კორინთოში, სადაც არსებობდა ბოსეიდონის, ინო-ლევკოთეასა და მელიკერტე-პალემონის ტაძარი. ბევრ ბერძნულ მონეტაზე გამოსახულია მელიკერტეს გამოსახულებანი, ხშირად იგი დელფინზე მჯდომარე, ან ზღვის ღვთაებებით გარშემორტყმულ ბიჭუნად გამოისახებოდა.

მელისა, II მელიტა, ბერძნ. (Μέλισσα, ἡ— ფუტკარი) ძველი ბერძნები ფუტკარს ღვთაებრივ მწერად მიიჩნევდნენ. მათ ფუტკრების შეთანხმებული ცხოვრება, ახალი ოჯახების გამოყოფა, შრომის

ორგანიზაცია, რთული ფიჭის დამზადება თავიანთ ცხოვრებას აგონებდა. ყოველივე ამის გამო ბერძნებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ფუტკრები მწერებად ქცეული ფერიები არიან. ეპირში, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული მეფუტკრეობა, ფუტკრის წინაპრად მალთეას დას, კრეტის მეფის მელისევსის ქალიშვილს, ფერია მელისას (მელიტას) თვლიდნენ, რომელიც დასთან ერთად ახალშობილ ზევსს რძითა და თაფლით კვებავდა. ფუტკარმა არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგაც. ფუტკრისაგან დამზადებული სანთელი სიწმინდისა და სინათლის განსახიერებაა ქრისტიანული რელიგიის მიხედვით.

მელისევსი, ბერძნ. (Μελισσεύς, ὁ) 1. კრეტის მითიური მეფე- ფერიების: ამალთეასა და მელისას (ადრასტეასა და იდეს) მამა, რომლის გამოქვაბულში რეამ ახლადშობილი ზევსი დამალა, რათა კურეტებს დაეცვათ იგი. 2 ერთ-ერთი კურეტი. 3. ჰელიოსისა და როდოსის ვაჟი.

მელიტევსი, ბერძნ. (Μελιτεύς, ὁ) ზევსისა და ერთ-ერთი ფერიის ვაჟი, რომელიც დედამისმა ჰერას შიშის გამო ტყეში დამალა. ფარულად ზევსი მას თაფლით კვებავდა.

მელპომენე, ბერძნ. (Μελπομένη, ἡ—მომღერალი). ერთ-ერთი ცხრა მუზათაგანი. თავიდან ითვლებოდა საერთოდ სიმღერის, შემდეგ კი — სამწუხარო სიმღერებისა და ტრაგედიის მუზად. მას ჰპატალი ტანის ქალად წარმოიდგენდნენ. გამოწყობილი იყო თეატრალურ ტანსაცმელში. თავზე ეხურა ვაზის შტოსაგან დაწნული გვირგვინი, ერთ ხელში ეჭირა ტრაგიკული ნიღაბი, მეორეში კი ხმალი.

მემნონი, ბერძნ. (Μέμνων -ονος, ὁ) 1. ტიფონისა და ეოსის ვაჟი, აღმოსავლეთ ეთიოპიის, ანუ ასირიის მითიური მეფე, ტროის ომის მონაწილე, პრიამოსის მოკავშირე. ძმამ—ემათიონმა იგი ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ გამეფდა, მაგრამ ჰესპერიდების ბაღში მიმავალმა ჰერაკლემ ბოროტმოქმედი მოკლა და ტახტი კვლავ მემნონს დაუბრუნა. ჰექტორის სიკვდილის მერე მემნონი ტროელების მხარეზე იბრძვის. მან მოკლა ნესტორის ვაჟი ანტილოქოსი, ხოლო თვითონ იგი ანტილოქოსის მეგობარმა აქილევსმა მოკლა. ეოსმა მწარედ დაიტირა თავისი ვაჟი და ზევსს ევედრებოდა, უკვდავი გაეხადა იგი. მემნონის სიკვდილის შემდეგ მისი თანამგზავრები ფრინველებად იქცნენო და მის დასატირებლად ყოველწლიურად მიფრინდებიანო მის საფლავზე—ამთავრებს ლეგენდა.

მემნონს მიეწერება ქალაქ სუზის და სხვა დიდ ნაგებობათა აგება აზიასა და აფრიკაში. არსებობს აზრი, რომ მემნონი და ეგვიპტის უძველესი ფარაონი ამენხოთეპ III ერთი და იგივე უნდა იყოს. მემნონის სახელით ეგვიპტეში, თებეს ახლოს, იდგა ამენხოთეპ III ქანდაკება და მზის ამოსვლისას გამოსცემდა მწუხარე, ნატანჯი ადამიანის გოდების ხმას, ამბობდნენ, ამ ხმით იგი მიესალმებაო თავის დედას— ეოსს.

მემნონიდები, ბერძნ. (Μεμνονίδες, οἱ) მემნონის თანამგზავრები, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ ფრინველებად იქცნენ.

მემფისი, ბერძნ. (Μέμφις -ίδος, ἡ) ცნობილია, რომ ძველი ბერძნები თითქმის ყოველი ქალაქისა და მნიშვნელოვანი ტოპონიმის ეპონიმად რომელსამე მითიურ პიროვნებას მიიჩნევდნენ. ქალაქ მემფოსის ეპონიმადაც მიჩნეულია ნილოსის (შდ. ნილოსის ღვთაების) ქალიშვილი, ეპაფოსის (აპისის) მეუღლე მემფისი, რომლის სახელი, როგორც ვარაუდობენ, „მენნეფერ“ ეგვიპტური სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს.

მენადები, ბერძნ. (Μηνάδες, αἱ) დიონისეს თანამგზავრთა ერთ-ერთი სახელწოდება.

მენეკევსი, ბერძნ. (Μενοικεύς, ὁ) თებელი მეფის—კრეონტის ვაჟი (ზოგი ვარიანტით მამა). შვიდ გმირთა თებეს წინააღმდეგ ლაშქრობისას წინასწარმეტყველმა განაცხადა, რომ თებელები მტერს დაამარცხებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კრეონტა თავის ვაჟს მსხვერპლად შესწირავდა. სამშობლოს კეთილდღეობის მსურველი მენეკევსი თავისი ფეხით ავიდა სამსხვერპლოზე. მითში ასახულია ის, რომ რაიმე დიდი საშიშროების დროს მსხვერპლად სწირავდნენ გაერთიანების მეთაურის შვილს. (შდრ. მითი იფიგენიას შესახებ).

მენელაოსი, ბერძნ. (Μενέλαος, ὁ) ატრევსის ვაჟი, აგამემნონის უმცროსი ძმა. როდესაც ატრევსი გარდაიცვალა, ძმები თიესტემ მაკენიდან განდევნა. ლტოლვილები ტინდარეოსს მიადგნენ მენელაოსმა ცოლად შეირთო ელენე და სპარტის მეფე გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ელენე მოიტაცა პარისმა. აგამემნონის დახმარებით მენელაოსმა შეკრიბა აქაველები და ტროისაკენ გასწია. პრიამოსთან და ოდისევსთან ერთად მენელაოსმა სცადა მშვიდობიანი გზით დაებრუნებინა ცოლი, მაგრამ რაკი გაწბილდა, — ამიტომ ტროას ომი გამოუცხადა. ტროის ალყის დროს მენელაოსმა დიდი გმირობა გამოიჩინა. მიიღო პარისის გამოწვევა ორთაბრძოლაში და

დაამარცხა კიდეც პარისს აფროდიტე მიეშველა და სიკვდილს გადაარჩინა. მენელაოსი კი მიპარვით დაჭრა პანდარეოსმა ახოლონისგან ნაჩუქარი მშვილდით. მენელაოსი იბრძოდა პატროკლეს გვამისთვის და გამოიტანა კიდეც ბრძოლის ველიდან. სხვა გმირებთან ერთად მენელაოსი იმყოფებოდა ტროის ცხენში. მენელაოსმა მოკლა პრიამოსის ვაჟი — დეიფობოსი. ტროის ომის შემდეგ მენელაოსი ელენესთან ერთად სპარტაში დაბრუნდა.

ტროის დაცემის შემდეგ რვა წლის განმავლობაში იხეტიალა ეგვიპტეში, კუნძულ კვიპროსზე და სხვა ადგილებში. ლაკონიაში არსებობდა მენელაოსის კულტი, რაც, როგორც ჩანს, ელენეს კულტის გავლენის მიზეზი უნდა იყოს. მენელაოსის სახემ შთააგონა მრავალი შემოქმედი. გადატანითი მნიშვნელობით მენელაოსს უწოდებენ მოტყუებულ ქმარს.

მენესთევსი, ბერძნ. (Μενεσθεύς, ὁ) (იხ. თეზევსი)

მენი, ბერძნ. (Μήν—Μῆνος, ὁ) ფრიგ.—მთვარის ფრიგიული ღვთაების ბერძნული სახელწოდება. მასვე მიიჩნევდნენ სიკვდილის ვბრძანებელ, მცენარეულობისა და ნაყოფიერების ღმერთად. საბერძნეთში მისი კულტი შესული უნდა იყოს ჩვენს ერამდე IV საუკუნეში. ათენში მას მხოლოდ მონები და უცხოელები აღიარებდნენ. რომში მენის კულტი ატისისაში აირია. მენი გამოისახებოდა უწვერულვაშო ყმაწვილად, რომელსაც მხარზე დაკიდებული ჰქონდა ნამგალა მთვარე და თავზე გამომცხვარი პური ედო. 2. ეგვიპტის მითიური მეფე.

მენიპე, ბერძნ. (Μενίππη, ἡ) ორიონის ქალიშვილი, მეტიოქეს და, აფროდიტემ დები სილამაზით დააჯილდოვა, ათენამ კი ქსოვა ასწავლა. თავისი ხალხი დებს ისე უყვარდათ, რომ საჭირო შემთხვევაში თავისი სურვილით შეეწირნენ მიწისქვეშეთის ღვთაებებს. პერსეფონემ და ჰადესმა დები კომეტებად აქციეს.

მენოიტიოსი, ბერძნ. (Μενοίτιος, ὁ) 1. ერთ-ერთი არგონავტი. ეგინას ვაჟი, პატროკლეს მამა. 2. იაპეტისა და ოკეანიდ კლიმენეს ვაჟი. გამოირჩეოდა მრისხანე ხასიათით. ამის გამო იგი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში ჩააგდეს.

მენსი, ლათ. (Mens—mentis) ადამიანის გონების განსახიერება. ღმერთქალი ძველ რომში, რომელსაც ჩვენს ერამდე III საუკუნეში, ტრაზიმენუსის ტბასთან რომაელთა დამარცხების შემდეგ, ტაძარი აუგეს. ივნისის თვეში კაპიტოლიუმის ბორცვზე იმართებოდა მენსისადმი მიძღვნილი ზეიმები.

მენტესი, ბერძნ. (Μέντης, ὁ) ოდისევსის მეგობარი. ტაფიე-

ლების მბრძანებელი. მისი სახელით ტელემაქეს გამოეცხადა ათენა და ურჩია წასულიყო მამის საძებნელად.

მენტორი, ბერძნ. (**Μέντωρ**, ბ) ალკიმოსის ვაჟი, ოდისევსის მეგობარი. როდესაც ოდისევსი ტროელების წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა, მას თავის ოჯახზე მზრუნველობა დაავალა. მენტორი ზრდიდა ტელემაქეს და წინააღმდეგობას უწევდა თითქმის შეტევაზე გადმოსულ პენელოპეს ხელის მთხოვნელებს. ხშირად ოდისევსის ან ტელემაქეს დახმარების დროს ათენა სწორედ მენტორის სახეს ღებულობდა. გადატანითი მნიშვნელობით მენტორს უწოდებენ მრჩეველს, ხელმძღვანელს. ზოგჯერ ხმარობენ ირონიული მნიშვნელობითაც. ლიტერატურაში სახელი მენტორი გავრცელდა XVII—XVIII საუკუნეებში ფენელონის რომანის „ტელემაქეს თავგადასავლის“ გამოქვეყნების შემდეგ.

მეორედ მოსვლა — მრავალ ხალხში ღრმადაა გამჯდარი რწმენა მეორედ მოსვლის შესახებ. ამ მითის ყველაზე მეტად გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, როცა ადამიანები იმდენად გათამამდნენ და გათავხედდნენ, იმდენად დარწმუნდნენ თავიანთ სიძლიერეში, რომ ღმერთებს დავა და წინააღმდეგობის გაწევა დაუწყეს, განრისხებულმა ღმერთებმა ქვეყანა წყლით დაფარეს. მომავალშიო, ამბობს მითი, თუ ადამიანები კიდევ ვერ იპწავლიან ჭკუას, ღმერთი მეორედ მოავლენს წარღვნას, მაგრამ ამჟამად ცეცხლის სახითო. რელიგიის მიმდევართა გამოანგარიშებით წლებიც კი არის დადგენილი მეორედ მოსვლისა; ცნობილია, რომ რამდენიმე ასეთმა თარიღმა მშვიდობიანად გაიარა, რამაც თვით მორწმუნეებშიც კი შეარყია რწმენა მეორედ მოსვლის შესახებ.

მერა, ბერძნ. (**Μαῖρα**, ჰ) 1. (იხ. ჟარიოსი) 2. ერთ-ერთი ნერეიდა. 3. არეტოსის ქალიშვილი, ლოკროსის დედა.

მერიონესი, ბერძნ. (**Μηριόνης**, ბ) იდომენევსის მეგობარი. იგი ტროის ომში გამოყვანილია შეუდრეკელ მებრძოლად და ტევკროსის მეტოქედ ისრით სროლაში. გვიანდელი მითების მიხედვით ტროის ომიდან დაბრუნებული მერიონესის ხომალდი ქარმა კუნძულ სიცილიაზე გარიყა, სადაც გმირმა კრეტელების სოფელი დააარსა. შესაძლებელია, რომ მითს საფუძვლად ედოს რეალური ამბავი.

მერკური, ლათ. (Mercurius) იუპიტერის ვაჟი, ღმერთების ელჩი და მაცნე, ცბიერების, ვაჭრობისა და მშვენრმეტყველების ღმერთი ძველ რომში. იგივე ბერძნული ჰერმესის ოდნავ შეცვლილი ლათინური სახე. როგორც ვაჭრობის ღმერთის — ჰერმეს-მერკურის გამოსახულებანი ღღესაც გვხვდება ბანკების, სავაჭრო ფირმებისა და გემების ემბლემად. მერკურის სახელთანაა დაკავშირებული პლანეტა „მერკურის“ სახელწოდებაც.

მერმეროსი, ბერძნ. (**Μέρμερος**, ბ) იასონისა და მედეას ვაჟი, ფერეტეს ძმა. მერმეროსი და ფერეტე ხშირად მერმერიდებად იხსენიებიან. როდესაც მედეა იასონის ღალატში საბოლოოდ დარწმუნდა, თავის ვაჟებს საპატარძლოსათვის მოწამლული ნივთები გაატანა, რითაც შეძლო მეტოქისა და მტრის— გლავკესა და კრეონტ მეფის დალუპვა. ამის მერე უმადური ქმრის-იასონის კიდევ უფრო მეტად გამწარების მიზნით, როგორც გადმოგვცემს ევრიპიდე ტრაგედიაში „მედეა“, მედეამ თავისი ხელით დახოცა მერმეროსი და ფერეტე. ფიქრობენ, ეს უკანასკნელი ამბავი ევრიპიდესაგანაა მიმატებული.

მეროპე, ბერძნ. (**Μερόπη**, ჰ) 1. ერთ-ერთი ოკეანიდი, ფაეთონტის დედა. 2. ერთ-ერთი ჰელიადი, ფაეთონტის და 3. ატლანტოსის ქალიშვილი, გლავკოსის დედა, სიზიფოსის მეუღლე. ბერძენთა თანავარსკვლავედში მეროპე ყველაზე მკრთალი და შეუმჩნეველია, რასაც ლეგენდა იმით ხსნის, რომ მისი ყველა და ღმერთებზე გათხოვდა, იგი კი მოკვდავს გაყვა ცოლად და ამის გამო სირცხვილით ველარ ჩნდებოდა. 4. მესანიის მეფის — კრესფონტეს ქალიშვილი. ჰერაკლიდ კრესფონტეს ცოლი. როდესაც პოლიფონტმა მეროპეს ქმარი და უფროსი ვაჟი მოკლა, დადარდიანებულ ქალს ცოლად გაყოლა მოსთხოვა. მოგვიანებით მეროპეს უმცროსმა ვაჟმა — ეპისტოსმა დედასთან თანხმობით პოლიფონტი მოკლა. მითი გამოიყენა ევრიპიდემ. 5. ოიდიპოსის აღმზრდელი, კორინთოს მეფის — პოლიბოსის მეუღლე. 6. დედალოსის დედა, ერეხთევსის ქალიშვილი, 7. ენოპიონის ქალიშვილი, გააუპატიურა ორიონმა.

მეროპი, ბერძნ. (**Μέροψ -οπος**, ბ) 1. კუნძულ კოსოსის მითიური მეფე. 2. ეთიოპიის მითიური მეფე, კლიმენეს ქმარი, ერთი მითის მიხედვით კლიმენემ უღალატა მეროპს და ჰელიოსისაგან შვა ფაეთონტი. 3. ევბელოსის მამა, როდესაც მისი ცოლი მოულოდნელად გარდაიცვალა, მეროპმა თავის მოკვლა გადაწყვიტა. ჰერამ მეროპი ცად აღამაღლა და თანავარსკვლავედად აქცია.

მესტორი, ბერძნ. (**Μήστωρ**, ბ) 1. პერსეევსისა და ანდრომედას ვაჟი, პელოპის ქალიშვილის ქმარი, ჰიპოთოეს მამა. 2. პოსეიდონისა და კლეიტოს ვაჟი.

მესტრა, ბერძნ. (**Μήστρα**, ჰ) თესალიელ ერისიხთიონის ქალიშვილი. უდიდეს სილარიბეში ჩავარდნილი მამა შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, გაყიდა ქალიშვილი მესტრა. პოსეიდონის შემწეო-

ბით მესტრამ შეიძინა სახის ცვალებადობის ნიჭი და კვლავ მამასთან დაბრუნება მოახერხა. ამის შემდეგ, როცა კი გაუჭირდებოდა ერისიხთიონს, ქალიშვილს გაყიდდა. ეს უკანასკნელი კი მიმადლებული ნიჭის წყალობით კვლავ უკან ბრუნდებოდა.

მ ე ტ ა პ ო ნ ტ ი ო ს ი, ბერძნ. (Μεταπόντιος, ბ)მედეას ძმა. საფიქრებელია, რომ მეტაპონტიოსი იყოს აფსირტოსის მეორე სახელი.

მ ე ტ ი დ ა, ბერძნ. (Μῆτις-ιδος, ἡ) ზევსის პირველი ცოლი. ერთ ერთი okეანიდი. თეტიდას ქალიშვილი. ზევსს უწინასწარმეტყველეს, რომ მისგან დაორსულებულ მეტიდას ეყოლებოდა შვილი, რომელიც მამას გადააჭარბებდა სიძლიერით. ამ უსიამოვნო მომავლის თავიდან აცილების მიზნით ზევსმა მთლიანად გადაყლაპა მეტიდა, მაგრამ ჩანასახმა მის თავში განაგრძო განვითარება და ზევსს რამოდენიმე ხნის შემდეგ საშინელი თავის ტკივილი დაეწყო. ჰეფესტომ ჩაქუჩის დარტყმით გახსნა ზევსის თავი და ქვეყანას ათენა ღმერთქალი მოევლინა. ათენას ზევსის თავიდან დაბადების მითი კავშირში უნდა იყოს ათენასთან, როგორც სიბრძნის ღმერთქალთან.

მ ე ტ ი ო ხ ე, ბერძნ. (Μητιόχη, ἡ) ორიონის ქალიშვილი, მენიპეს და.

მ ზ ე. ყველა ერის რელიგიურ წარმოდგენებში მზე ღვთაებადაა მიჩნეული. ბერძნულ მითოლოგიაში იგი (ჰელიოსი, ჰიპერიონი) ოქროს ეტლით ცის კაბადონზე მქროლავ მამაკაცადაა წარმოდგენილი, იგი ყოველდღიურად ამოდის აღმოსავლეთიდან და მოძრაობს დასავლეთისაკენ. ღამეს ჰესპერიაში ათევს, მეორე დილას კი კვლავ ანათებს ქვეყანას სხივებით. ქართველთა წარმოდგენით მზე ქალია (ზოგჯერ ვაჟიც), ადამიანებს შეუძლია მასთან მისვლა და საუბარი, ოღონდაც ეს წინასწარ უნდა ეცნობოს მას, რომ ადამიანი სხივებით არ დაწვას.

მ თ ვ ა რ ე, მთვარეც, ისევე როგორც მზე, თითქმის ყველა ხალხის წარმოდგენაში ღვთაებადაა მიჩნეული, ბერძნები მთვარეს ქალად მიჩნეენ და სელენეს ეძახიან, რომაელები კი ლუნას. ეგვიპტელთა, ფრიგიელთა და აღმოსავლეთის რიგი სხვა ხალხების წარმოდგენით მთვარე მამაკაცია. ფრიგიელები მას მენს უწოდებდნენ ქართველთა წარმოდგენითაც მთვარე მამაკაცია.

მ ი დ ა ს ი — ფრიგიელთა მითიური მეფე, გორდეასისა და კიბელეს ვაჟი. ცნობილი იყო ზღაპრული სიმდიდრით. არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც პატარა მიდასს ჭიანჭველები პირში უგროვებდნენ ხორბლის მარცვალს. ერთი მითის მიხედვით მი-

დასმა გაათავისუფლა სილენე და დიონისეს დაუბრუნა. სამაგიეროდ დიონისე შეპირდა, რომ აუსრულებდა ყველაფერს, რასაც კი მოსთხოვდა. მიდასმა მოისურვა, რომ ყველაფერი, რასაც კი ხელს შეახებდა, ოქროდ ქცეულიყო. ამ სურვილის გაგონებაზე დიონისეს გაეღიმა, მაგრამ თავისი სიტყვა მაინც შეასრულა და ამის შემდეგ ყველაფერი, რასაც კი მიდასი ხელს მოკიდებდა, ოქროდ იქცეოდა. სულ მალე მიდასი იძულებული გახდა ეთხოვა ღმერთისათვის ამ მიმადლებული ნიჭის კვლავ წართმევა, რადგან ყველაფერი და მათ შორის სასმელ-საჭმელიც, რასაც კი ხელს კიდებდა იგი, ოქროდ იქცეოდა და მიდასს შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა. ამ უბედურების აცილებისათვის მიდასს დიონისემ უბრძანა განბანილიყო პაქტოლოსის წყაროს წყლით.

სხვა მითის მიხედვით მიდასი დიონისეს (ზოგჯერ კიბელეს) თანამგზავრია. არსებობს მითი, რომლის მიხედვით მიდასმა განსაჯა აპოლონისა და პანის (ზოგი ვარიანტით მარსიოსის) მუსიკალური შეჯიბრება და გამარჯვება პანს არგუნა. (ამავე მითის სხვა ვარიანტის მიხედვით მოსამართლე იყო არა მიდასი, არამედ ტმოლოსი, რომელმაც გამარჯვება აპოლონს არგუნა) ამის გამო აპოლონმა მიდასს ვირის ყურები ამოუზარდა, რომელსაც დიდის გაჭირვებით მალავდა მეფე ფრიგიული ქუდით. ერთხელ მიდასის დალაქმა მისი ყურები დაინახა, მაგრამ ამისი თქმა, ცხადია, არავისთვის შეეძლო და უთქმელობაც მეტისმეტად აწუხებდა ჭორიკანა მოსამსახურეს. მაშინ დალაქმა ორმო ამოთხარა, შიგ საიდუმლოდ ჩასძახა: მეფე მიდასს გრძელი ყურები აქვსო — და ორმო კვლავ მიწით ამოავსო. ამ ადგილას აღმოცენდა ლერწამი, რომელიც მთელი ქვეყნის საიდუმლოებას წინასწარ გრძნობდა.

მიდასის შესახებ მითი მხატვრულ სატირულ ლიტერატურაში ხშირად იხმარება საიდუმლოს შეუნახველობისა და ენაჭარტალობის აღსანიშნავად.

მ ი თ რ ა, — სინათლისა და სიკეთის ღვთაება ძველ აღმოსავლეთში. მითრას კულტი ინდოევროპული წარმომობისაა. მოგვიანებით მითრა მზის ღმერთადაც აღიარეს. ერთი ლეგენდის მიხედვით მითრა შვა კლდემ და მწყემსებმა აღზარდეს. მითრამ დავაჟკაცების შემდეგ მრავალი გმირობა ჩაიდინა. ჯერ კიდევ ყმაწვილი იგი მზეს შეებრძოლა და ეს ჩხუბი მათი დამეგობრებით დამთავრდა. მითრამ დაიჭირა ღვთაება ორმუზდისაგან შექმნილი პირველი არსება — ხარი, ოქროს ხანჯლით დაკლა და ღმერთს შესწირა, შეწირული მსხვერპლის დაღვრილი სისხლიდან სასარგებლო, ნაყოფისმომცემი მცენარეები აღმოცენდა და ამის შემდეგ დედამიწა ნაყოფისმომცემი გახ-

და. შემდეგ კი მითრა ცად ამაღლდა და იქედან მფარველობდა ადამიანებს. მითრას კულტი საბერძნეთში უკვე მეხუთე საუკუნიდანაა ცნობილი, რომში კი პომპეუსის დროს გავრცელებულა. ჩვ. წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში მითრას კულტი სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ქრისტიანობას, მითრასადმი მიძღვნილი დღესასწაულები მისტერიების ხასიათს ატარებდა: ზეიმები იმართებოდა გამოქვაბულებში, სადაც იდგა მითრას სკულპტურული გამოსახულებები. ქრისტიანობამ ბევრი რამ გადმოიღო მითრას კულტიდან. მითრას დაბადების დღედ ითვლებოდა 25 დეკემბერი (როცა იწყება დღის მატება) ქრისტიანობამაც ქრისტეს დაბადების დღედ 25 დეკემბერი გამოაცხადა. მითრას კულტი თანდათანობით განდევნა ქრისტიანობამ და იგი IV საუკუნიდან დავიწყებას მიეცა.

მ ი ლ ე ტ ო ს ი, ბერძნ. (Μίλητος, ὁ) კრეტელი მოჭალაქე. ითვლებოდა აპოლონის ვაჟად, კავნუსისა და ბიბლიდას მამად. საფიქრებელია, იყოს მცირე აზიის ქალაქის—მილეტის ეპონიმი. მილეტოსი კრეტიდან გაექცა მინოს მეფეს და კარიის სანაპიროზე სოფელი დააარსა. შესაძლოა, რომ მითს საფუძვლად ედოს ისტორიული ამბავი —კრეტის უძველესი კულტურის გავლენა მცირე აზიის კულტურაზე.

მ ი ლ ო ნ ი, ბერძნ. (Μίλων -ωνος, ὁ) ნახევრადლეგენდარული ბერძენი ძალოსანი, რომელიც თითქოს ჩვენს ერამდე VI საუკუნეში ცხოვრობდა. მან თანამედროვეთა დიდი ყურადღება იმით მიიქცია, რომ თავისუფლად ასწია უზარმაზარი ხარი. ერთხელ კი, ოლიმპიურ თამაშობაზე, ხელში აყვანილი ხარით მთელი სტადიონი შემოირბინა, შემდეგ დაჭდა და ერთი დღის განმავლობაში ეს ხარი მთლიანად შეჭამა. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც მილონი ამ დროიდან ეარჯიშობდა ამ ხარის აწევაზე, როდესაც იგი ჯერ კიდევ ხბო იყო—ყოველდღიურად ხბო შეუმჩნეველად მატულობდა წონაში, მილონი კი ყოველდღიურად ვარჯიშის შედეგად თანდათანობით ეგუებოდა მცირეოდენად მეტ დატვირთვას და ასე მიაღწია სასურველ მიზანს—ხარს ისე ათამაშებდა ხელში, როგორც მატარა ბაბოს. თავისუფლად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მითს რეალური საფუძველი ჰქონდეს და მისი შექმნაც ერთგვარი მიზანი იყო ძველი საბერძნეთის პირობებში, სადაც დიდი ყურადღება ექცეოდა სპორტსა და ფიზიკურ სიძლიერეს. თანამედროვე გაგებით მილონს უწოდებენ ძალოსანს, ფიზიკურად ძლიერ ადამიანს.

მ ი მ ა ნ ტ ი, ბერძნ. (Μίμας -αντος, ὁ) 1. ერთ-ერთი გიგანტი, მოკლა არესმა (ზოგი ვარიანტით ზევსმა). 2. ბებრიკი, არგონავტებს მოგზაურობის დროს მოკლა კასტოროსმა. ვერგილიუსის მიხედვით იგი ბებრიკთა მეფის—ამიკოსის ვაჟია. მისივე გადმოცემით იგი ენეასის ერთ-ერთი თანამგზავრია.

მ ი ნ ე რ ვ ა, ლათ. Minerva) გონებისა და შემოქმედებითი უნარის იტალიური ღვთაება. გარდა ამისა იგი ითვლებოდა ხელოსნობის, მკურნალობის, მუსიკის, პოეზიისა და სხვა ამგვართა ღმერთქალად. (იხ. ათენა).

მ ი ნ ი ა დ ე ბ ი, ბერძნ. (Μινυάδης, αἱ) მინიასის ქალიშვილები, რომლებიც დიონისემ მის მისტერიებში მონაწილეობის მიუღებლობის გამო უგონობით დასაჯა. სხვა მითის მიხედვით დიონისემ ისინი მფრინავ თაგვებად (ღამურებად) აქცია.

მ ი ნ ი ა ს ი, ბერძნ. (Μινύας, ὁ) მინიელთა ტომის მითიური დაარსებელი. პოსეიდონის ვაჟი. მიიჩნევდნენ იმ გმირების მამად, რომლებმაც ბეოტიაში თავიანთი სახელობის ქალაქები დააარსეს, თანამედროვე მეცნიერების აზრით მინიელები იმ ტომის პირობითი სახელწოდებაა, რომელიც ჩვენს ერამდე III—II ათასწლეულში კაჭრობას ეწეოდნენ შუა საბერძნეთში.

მ ი ნ ო ს ი, ბერძნ. (Μίνως, ὁ) ზევსისა და ევროპეს ვაჟი, რადამანთისისა და სარპედონის ძმა. პასიფაეს ქმარი, არიადნესა და ანდროგეას მამა. კრეტის მითიური მეფე. მითების მიხედვით მინოსი ითვლებოდა სამართლიან და ბრძენ მეფედ. გვიანდელი თქმულებები კი მას ძრისხანე და ტირან მმართველად მიიჩნევენ, ათენური წარმოშობის მითების მიხედვით მინოსი მატერიკული საბერძნეთის დაუძინებელი მტერია.

მინოსზე გავრცელებულ ლეგენდათა შორის აღსანიშნავია მითი კრეტის ხარზე, მინოტავრზე (იხ. მინოტავრი). მინოსის სიკვდილის მითი დედალოსთანაა დაკავშირებული (იხ. დედალოსი).

კლასიკური მითების მიხედვით მინოსი რადამანთისთან და ეაკოსთან ერთად განსაზღვრავს ჰადესში მცხოვრები აჩრდილების ბედს, სასჯელს ადებს ბოროტმოქმედთა სულებს. მინოსის შესახებ არსებული მითი გამოუყენებია ევრიპიდეს ჩვენამდე მოღწეველ ტრაგედიაში „კრეტელები". მინოსის სახელი ამოკითხულია უძველეს კრეტულ ე. წ. მინოსურ წარწერებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ მინოსი, შესაძლოა, ისტორიულ პიროვნებად მივიჩნიოთ. თანამედროვე მეცნიერებაში მინოსურ კულტურას უწოდებენ ძველ კრეტულ კულტურას, (რომელიც პირველად არქეოლოგმა ევანსმა აღმოაჩინა), რომლის დროსაც თითქოს კრეტის მეფე მინოსი იყო. მინოსურ დაწერილობას უწოდებენ სწორედ ამ პერიოდში აღმოჩენილ, ჯერ

კიდევ საბოლოოდ გაუმიფრავ დამწერლობას, რომელმაც შეიძლება სხვა მრავალ საინტერესო ფაქტთან ერთად მინოსის ისტორიულობაც დაამტკიცოს.

მ ი ნ ო ტ ა ვ რ ი, ბერძნ. (Μινώταυρος, ბ) კუნძულ კრეტაზე მცხოვრები მძვინვარე ურჩხული. იგი ქვეყნად გაჩნდა არაბუნებრივი კავშირის შედეგად. მინოსის მეუღლემ — პასიფაესამ შეიყვარა პოსეიდონისაგან გამოგზავნილი ზღვის ხარი და მისგან შობა არსება, რომელსაც ჰქონდა ადამიანის ტანი და ხარის თავი. იგი ცხოვრობდა დედალოსის მიერ მისთვის აგებულ ლაბირინთში. ლეგენდის თანახმად მინოტავრს ყოველწლიურად (ზოგი ვარიანტით სამ წელიწადში ერთხელ) შესაჭმელად უგზავნიდნენ შვიდ ქალიშვილსა და შვიდ ვაჟს. გაგზავნილთა გარდა იგი ჭამდა ყოველ ცოცხალ არსებას, რომელიც მის ახლოს გამოჩნდებოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ მინოტავრი მოკლა თეზევსმა. მითი მრავალგზისაა გამოყენებული ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

მ ი რ მ ი დ ო ნ ე ბ ი, ბერძნ. (Μυρμιδόνες, ბ) თესალიაში მცხოვრები ერთ-ერთი აქაველი ტომის სახელწოდებაა. არსებობს გადმოცემა, თითქოს ეს ტომი პელევსის წინაძღოლობით ეგინადან გადასახლდა თესალიაში. ზოგიერთი მითის მიხედვით მირმიდონებმა თავიანთი სახელწოდება მიიღეს ზევსისა და ევრიმედუზას ვაჟის მირმიდონისაგან. თუით მირმიდონს კი იმიტომ ეწოდა ეს სახელი, რომ ზევსს ევრიმედუზასთან კავშირის დროს ჭიანჭველას სახე ჰქონდა მიღებული. (მირმიქს — ბერძნ.—ჭიანჭველა). კიდევ სხვა მითის მიხედვით თითქოს კუნძულ ეგინას ძველი მოსახლეობა ჭირმა გაანადგურა და უკაცრიელი კუნძულის მეფის, ეაკოსის თხოვნით ზევსმა ჭიანჭველები აქცია ადამიანებად. მირმიდონები გამოყვანილი ჰყავს ჰომეროსს „ილიადაში“, მათ აქილევსი ხელმძღვანელობს და ისინი მის ყოველ ბრძანებას უყოყმანოდ ასრულებენ. აქედან გამომდინარე მირმიდონის სახელწოდება განზოგადდა და ეწოდება მორჩილ, უფროსის ყოველგვარი სურვილის შემსრულებელ ადამიანს.

მ ი რ ტ ი ლ ო ს ი, ბერძნ. (Μυρτίλος, ბ) ჰერმესისა და კლეობულეს ვაჟი. მეფე ენომაოსის მეეტლე. (იხ ენომაოსი).

მ ნ ე მ ო ს ი ნ ე, ბერძნ. (Μνημοσύνη, ჩ) ურანოსისა და გეას ქალიშვილი. ერთ-ერთი ტიტანიდა. გონებისა და მეხსიერების განსახიერება. ცხრა მუზის დედა. მითის მიხედვით ისინი მან ზევსისაგან დაბადა. იგი ხშირად მუზებთან ერთად გამოისახებოდა. მოღწეულია მნემოსინეს ცალკე გამოსახულებანიც. გადატანითი მნიშვნელობით მნემოსინე გონებას, მეხსიერებას ეწოდება.

მ ო თ ო ნ ი, ბერძნ. (Μόθων, ბ) თავხედების ღმერთი. გადატანითი მნიშვნელობით თავხედი.

მ ო ი რ ა, ბერძნ. (Μοῖρα, ჩ) მოირებს უწოდებდნენ ღვთაებებს, რომლებიც თითქოს ადამიანთა ბედის ძაფს ართავდნენ და გარკვეულ შემთხვევაში წყვეტდნენ მას. ზევსისა და თემიდას ქალიშვილები. ზოგიერთი მითის მიხედვით ღამის ღვთაების — ნიკტისა და ბნელის-გარდაუვალობის — ანანკეს ქალიშვილები. ადრე მიაჩნდათ, რომ ყოველ ადამიანს თავისი მოირა ჰყავდა. (მოირა — ნაწილი, კერძი, კუთვნილი ნაწილი). ასეთ შემთხვევაში ისინი გვანან ბედის მწერალს, რომელსაც თითქმის ყველა ხალხის რწმენაში შეეხვედებით. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ ბედის მწერალს თუ მოირას ენაცვლება ანგელოზი, რომელიც განაგებს ადამიანის ბედს დაბადებიდან გარდაცვალებამდე. საბერძნეთში ოლიმპიური რელიგიის გავრცელების შემდეგ მოირების რიცხვი სამამდე დაიყვანეს. ესენია: ატროპოსი, კლოთო, ლაქესისი. მათთან იყო დაკავშირებული ადამიანის მთელი სიცოცხლე. მოირები წარმოდგენილი ჰყავდათ მოხუც დედაკაცებად, რომლებიც ართავდნენ ცალკეული ადამიანების ბედსა და სიცოცხლის ძაფს. უფრო სწრაფად: კლოთო (ვართავ) სიცოცხლის ძაფს ართავდა, ლახესისი ამ ძაფს ადამიანის ბედსა და სიცოცხლეს ირგვლივ ახვევდა, ხოლო ატროპოსი გარკვეული დროის გავლის შემდეგ ჭრიდა ამ ძაფს და ადამიანის სიცოცხლეც მთავრდებოდა.

მ ო ი რ ი დ ი, ბერძნ. (Μοίρις -ιδος, ბ) ეგვიპტის ლეგენდარული მეფე, რომლის ბრძანებითაც გაითხარა უზარმაზარი სარწყავი აუზი ქალაქ არსინოიას მახლობლად. ამ აუზში გროვდებოდა ნილოსის წყალი, რითაც გვალვების პერიოდში ნათესებს რწყავდნენ.

მ ო ლ ი ო ნ ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Μολιονίδαι, თ) აქტორისა (ან პოსეიდონის) და მოლიონეს ტყუპი ვაჟები—ევრიტე და კთეატოსი. ძმები ბიძას — აეგეასათვის შეებრძოლენ ჰერაკლეს და მისგან დაიხოცნენ. ჰესიოდეს მიხედვით მოლიონიდები კენტავრებიდან გამოიჩეკნენ. დიოსკურებთან ერთად მოლიონიდები ბერძნულ მითოლოგიაში საყოველთაოდ ცნობილი ტყუპები არიან.

მ ო ლ ო ს ი, ბერძნ. (Μόλος, ბ) ენდიმიონის ვაჟი, კალიდონის ბაბუა.

მ ო მ ო ს ი, ბერძნ. (Μῶμος, ბ) ბოროტსიტყვაობისა და დაცინვის განსახიერება. ნიკტის ვაჟი. მითი მოგვითხრობს, რომ მომოსი სიბრაზისაგან მუცელზე გასკდა, რადგანაც აფროდიტეს ვერაფერი ნაკლი უპოვნა და დასაცინი მასალა ვერ იშოვა.

მონეტა, ლათ. (Moneta) იუნონას ზედმეტი სახელი. აქედან მიიღო სახელწოდება მონეტას ეზომ კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე ღმერთქალის ტაძართან.

მორმო, ბერძნ. (Μορμώ, ῆ) ბავშვების შესაშინებლად გამოგონილი რაღაც არსება. (იხ. ალკ).

მორფევსი, ბერძნ. (Μορφεύς, ὁ) სიზმრის მომავლინებელი ფრთოსანი ღვთაება, ჰიპნოსის ვაჟი, ანტიკურ ხელოვნებაში გამოისახებოდა ფრთოსან მოხუცად. გადატანითი მნიშვნელობით მორფევსი ტყბილ სიზმარს ნიშნავს, გამოთქმა „მორფევსის მპრძანებლობის ქვეშ" — სიზმრის დროს. მორფევსიდან მომდინარეობს მორფის სახელწოდება.

მორფოსი, ბერძნ. (Μόρφος, ὁ) ძველებური თქმულების თანახმად მორფოსი იყო ორი მითიური პიროვნების სახელი. ერთი მათგანია ამპიკოსისა და ფერია ქლორიდას ვაჟი — ქალიდონის ნადირობისა და არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე, ხოლო მეორე აპოლონისა და მანტოს ვაჟი — კოლოფონელი წინასწარმეტყველი. მან სწორედ აპოლონისაგან მიიღო წინასწარმეტყველების ნიჭი. ერთერთი მათგანი ეხმარებოდა ლაპითებს კენტავრების წინააღმდეგ ბრძოლაში. გაღმოცემის თანახმად მორფოსი გარდაიცვალა ლიბიაში გველის კბენის გამო. აქ იგი გმირად აღიარეს და სამსხვერპლო აუგეს. ერთი მითის მიხედვით მორფოსი შეეჯიბრა წინასწარმეტყველ კალჩანტს და დაამარცხა კიდეც.

მუზები, ბერძნ. (Μοῦσαι, αἱ) ზეუსისა და მნემოსინეს ქალიშვილები. პირველად მხოლოდ სიმღერის, შემდეგ კი პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ღმერთქალები. ზოგჯერ ისინი ურანოსისა და გეას ქალიშვილებადაც მიაჩნდათ. მუზები შთააგონებდნენ მომღერლებს და კიდეც უყვარდათ ისინი. მაგრამ თუ ვინმე მათთან გაჯიბრებას გაბედავდა, თუნდაც ის მათი საყვარელი პიროვნება ყოფილიყო, სასტიკად სჯიდნენ. ზოგჯერ მუზებს ქარიტებში ურევდნენ და სამს ასახელებდნენ. ესენია: მელეტე, მემე და აიდე—ჩაფიქრება, მახსოვრობა და სიმღერა. ჰომეროსი ასახელებს ხან ერთ, ხან რამოდენიმე მუზას, მაგრამ სახელების გარეშე. ჰესიოდეს მიხედვით მუზები ცხრანი არიან. ესენია: კლიო, ევტერპე, თალია, მელპომენე, ტერფსიქორე, ერატო, პოლიჰიმნია, ურანია და კალიოპე. ისინი აგრეთვე ცეკვასაც მფარველობენ. როგორც სიმღერის ღმერთქალები, მუზები აპოლონს უკავშირდებიან და აპოლონმაც აქედან მიიღო ზედმეტი სახელი მუზაგეთი. მუზებს ზოგჯერ დიონისეს ძიძებად და თანამგზავრებადაც მიიჩნევდნენ. როგორც ჩანს,

მუზების კულტი შექმნეს თრაკიელმა მომღერლებმა პიერიაში. ძველი ბერძნების აზრით მუზების საყვარელ აღგილსამყოფელს წარმოადგენდა ჰელიკონის მთები და პარნასი. პოეტებმა მუზებს ბევრი ზედმეტი სახელი შეარქვეს. მაგალითად პიერიდები, ჰელიკონიდები, პარნასიდები, აონიდები, ჰელიკონის დედოფლები, პარნასის დედოფლები, პარნასელი დები და სხვა. მუზების კულტი გავრცელდა მთელს საბერძნეთში, შემდეგ რომში და შემდეგ მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში. მუზების ტაძრებს მუზეუმებს უწოდებდნენ. აქედან მომდინარეობს დღევანდელი მუზეუმის სახელწოდება.

მუნიტოსი, ბერძნ. (Μούνιτος, ὁ) აკამანტისა და პრიამოსის ქალიშვილ-ლაოდიკეს ვაჟი. მითის მიხედვით მუნიტოსი აღზარდა ჭალიშვილ-ლაოდიკეს ვაჟი. მითის მიხედვით მუნიტოსი აღზარდა ეთრამ. ტროის დაცემის შემდეგ მუნიტოსი აკამანტოსთან ერთად საბერძნეთში დაბრუნდა და ნადირობისას გველის კბენით დაიღუპა.

მუსაიოსი, ბერძნ. (Μουσαῖος, ὁ) მითიური ბერძენი მომღერალი, წინასწარმეტყველი. ორფეოსის საყვარელი მოწაფე (ზოგი ვარიანტით ვაჟი).

მუტა, ლათ. (Muta) იტალიელი ფერია. როდესაც ფერია იუტურნას შეუყვარდა იუპიტერი და იუტურნას დამ — ლარამ უამბო ამის შესახებ იუნონას, განრისხებულმა იუპიტერმა ლარა დაამუნჯა და ამის შემდეგ მას ეწოდება მუტა (მუნჯი). მითი წააგავს ბერძნულ თქმულებას ექოს შესახებ. ოვიდიუსის მიხედვით, მოგვიანებით, მუტას შეუყვარდა მერკური და დაბადა ტყუპები. მუტას ხშირად აიგივებდნენ მდუმარების რომაულ ღვთაება—ტაციტუსთან.

— ნ —

ნავპლოსი, ბერძნ (Ναύπλιος, ὁ) 1. არგიველი გმირი, ლერნოსის ვაჟი. 2. არგონავტ იფიტეს მამა.

ნავლონი, ბერძნ. (ναῦλον, τὸ) ძველი ბერძნების წარმოდგენით ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სული ჰადესში მიდიოდა, მაგრამ დანიშნულ ადგილზე მისვლამდის მას მდინარე სტიქსე უნდა გადაეცურა. მდინარეზე მიცურავეებულთა სულები ბორანით გადაყავდა ქარონს, რისთვისაც თითქოს მგზავრისგან გასამრჯელოს მოითხოვდა. ამ გადასახადს ნაულონი ეწოდებოდა, ამიტომ მიცვალებულებს, თითქოს ქარონისათვის გადასაცემად, პირში მონეტას უდებდნენ ხოლმე.

ნავპლიოსი, ბერძნ. (Ναυπλίος, ὁ) 1. არგოსელი მეზღვაური, ქალაქ ნავპლიას ეპონიმი. პოსეიდონის ვაჟი, პრეტოსისა და დიმასტოსის მამა. 2. ევბეას მეფე, კლიმენეს ქმარი, პალამედის მამა. ზოგი მითის მიხედვით ნავპლიოსი ფილირეს ქმარია, ზოგიერთით— ჰესიონესი. ნავპლიოსი მონაწილეობდა არგონავტების ლაშქრობაში და მოისურვა არგოს მესაჭე გამხდარიყო, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგანაც არგონავტებმა ანკეოსი აირჩიეს (ზოგი ვარიანტით კი — ტიფისი).

ნავსიოთოოსი, ბერძნ. (Ναυσίθοος, ὁ) 1. პოსეიდონისა და პერიბოეს ვაჟი. ფეაკების მეფე, ალკინოოსის მამა. 2. ოდისევსისა და კალიფსოს ვაჟი. როდესაც კიკლოპებმა ფეაკები დაამარცხეს და სამშობლოდან განდევნეს, ნავსიოთოოსის წინამძღოლობით კუნძულ სქერიაზე გადასახლდნენ.

ნავსიკაა, ბერძნ. (Ναυσικάα, ἡ) ფეაკების მეფის—ალკინოოსის ქალიშვილი. ერთხელ მას სიზმარში გამოეცხადა ოდისევსის მფარველი ღმერთქალი ათენა და განუცხადა: მოახლეების თანხლებით მეორე დღესვე ზღვაზე გასულიყო თეთრეულის გასარეცხად. მან, რა თქმა უნდა, დაუჯერა სიზმარს და გავიდა ზღვაზე, საღაც იპოვნა ზღვის ტალღებისაგან გამორიყული ოდისევსი. ყმაწვილ ქალს შეებრალა, მოეწონა და შეუყვარდა განაწამები მშვენიერი ვაჟკაცი, ტანს ჩააცვა და მამის სახლში წაიყვანა. ნავსიკაას ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ოდისევსი ცოლად შეირთავდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ ოდისევსი შინ დაბრუნებას აპირებდა, მიმავალ გმირს დაავალა და თხოვა, არ დაევიწყებინა მისი კეთილისმყოფელი, ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითების თანახმად ნავსიკაა რამოდენიმე ხნის შემდეგ ცოლად შეირთო ოდისევსის ვაჟმა—ტელემაქემ. ზოგიერთი გვიანდელი მითის მიხედვით კი ნავსიკაა მოგვიანებით მაინც ხდება ოდისევსის ცოლი. ნავსიკაას და ოდისევსის შეხვედრის სცენა ზღვის სანაპიროზე მსოფლიო პოეზიის უმშვენიერესი ნიმუშია.

ნაიადები, ბერძნ. (Ναϊάς -άδος, ἡ) წყლის ფერიები ძველ საბერძნეთში. თავისი ნაიადი—ფერია ჰყავდა თვითეულ მდინარეს, ნაკადულს, წყაროს და სხვა. მითების მიხედვით ისინი ზევსის, პოსეიდონის, აფროდიტესა და სხვა უზენაეს ღვთაებათა შთამომავალი არიან. ზოგჯერ ისინი ამა თუ იმ ღმერთის ალმზრდელებად მიაჩნდათ (ზოგჯერ — მეუღლეებადაც კი) ნაიადები ითვლებოდნენ ადამიანებისა და ცხოველებისათვის საკეთის მომტანი ბუნების ძალებისა და ჭორწინების მფარველებად. მათვე მიეწერებოდათ წინასწარმეტყველებისა და ავადმყოფთა განკურნების ნიჭი. ნაიადებს აკავშირებდნენ მუსიკასა და პოეზიასთან. ნაკადულების ბუტბუტს ნაიადების საუბრად მიიჩნევდნენ, გადატანითი მნიშვნელობით ნაკადულის ჩუხჩუხს ახლაც ნაიადების საუბარს უწოდებენ.

ნანა, ბერძნ. (Νάνα, ἡ) ფერია, ფრიგიული მდინარის ღმერთის—სანგარიოსის ქალიშვილი. ატისის დედა.

ნარკისოსი||ნარკისი, ბერძნ. (Νάρκισσος, ὁ) იგივე ნარცისუსი.

ნარცისუსი||ნარცისი, ლათ. (Narcisus) მდინარის ღმერთის — კეფისოსისა და ნაიად ლირიოპეს ვაჟი, ულამაზესი ყმაწვილი. მითის მიხედვით ღმერთებმა იმის გამო, რომ მან უარყო ფერია ეკოს სიყვარული, თავდავიწყებამდე შეაყვარეს საკუთარი გამოსახულება, იგი გამუდმებით უყურებდა წყალში თავის აჩრდილს და სიყვარულით იბნიდებოდა... და სიყვარულისაგან კიდეც გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ იგი ღმერთებმა ყვავილ ნარცისუსად აქცია. გადატანითი მნიშვნელობით ნარცისუსს უწოდებენ თავის თავზე მეტისმეტად შეყვარებულ ადამიანს.

ნაქსოსი, ბერძნ. (Νάξος, ὁ) კუნძულ ნაქსოსის ეპონიმი, ენდიმიონის ვაჟი. ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულის დანსახიერება, რომელზეც, ერთი მითის მიხედვით, თეზევსმა მძინარე არიადნე მიატოვა; აქ იგი დიონისემ იპოვნა და ცოლად შეირთო.

ნეაირა, ბერძნ. (Νέαιρα, ἡ) 1. მომდინარეობს νέος სიტყვიდან (ახალი). ახლადამწვანებული ბუჩქების, გაზაფხულის, ზოგჯერ ახალი მთვარის, საერთოდ სიახლის განსახიერება. 2. ფერია, რომელთანაც, ზოგიერთი მითის მიხედვით, აიეტს აფსირტოსი შეეძინა. 3. ამფიონისა და ნიობეს ქალიშვილი.

ნებროფონოსი, ბერძნ. (Νεβροφόνος, ὁ) 1. იასონისა და ჰიფსიპილეს ვაჟი. 2. აქტეონის ერთ-ერთი ძაღლის სახელი.

ნელევსი, ბერძნ. (Νηλεύς, ὁ) 1. თესალიელი გმირი, პილოსის მეფე. პოსეიდონისა და ტიროს ვაჟი. პელიასის ძმა, ნესტორის მამა. ერთი მითის მიხედვით ტირომ შვილები მიატოვა და ცოლად გაჰყვა იოლკის მეფეს — კრეთევსს. ნელევსსა და პელიასს ზრდილობენ მწყემსები, მათ ძუძუს აწოვებდა პოსეიდონის წმინდა ცხოველი—ცხენი. კრეთევსის სიკვდილის შემდეგ ყმაწვილები ერთიმეორეს შეებრძოლნენ იოლკის სამეფო ტახტისათვის. ნელევსი დამარცხდა, შვსანაიში გაიქცა და ცოლად შეირთო ქლორიდა, რომლისაგანაც შეეძინა 12 ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ნელევსის სიკვდილის შემდეგ პილოსის მეფე გახდა მისი ვაჟი თესტორი. 2. ათენის უკა-

ნასკნელი მეფის — კოდროსის ვაჟი, მილეტისა და ერეტრას მითიური დამაარსებელი.

ნ ე მ ე ა, ბერძნ. (Νεμέα, ἡ) ასოპოსის ქალიშვილი, რომლის სახელთანაც უნდა იყოს დაკავშირებული არგოსული ნემეა, სადაც ე. წ. ნემეური თამაშობანი იმართებოდა ხოლმე. 2. ამ თამაშობათა მფარველი ღმერთქალი.

ნ ე მ ე ი ს ლ ო მ ი, ბერძნ. — ტიფონოსისა და ექიდნეს ნაშობი საშინელი მტაცებელი, რომელმაც მთელი არგოლიდა განადგურების პირას მიიყვანა. მრავალმა ბერძენმა გმირმა სცადა ლომთან შებრძოლება, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ბოლოს იგი ჰერაკლემ შეიმწყვდია გამოქვაბულში და მოახრჩო (ჰერაკლეს პირველი გმირობა). გმირმა ლომი გაატყავა და ტყავი თვითონ ჩაიცვა. ჰერაკლე ხშირად ამ ლომთან ერთადაა გამოსახული.

ნ ე მ ე ს ი დ ა || ნ ე მ ე ს ი ი ნემესია, ბერძნ. (Νέμεσις, ἡ) ბერძნების ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საპატივცემო ღმერთქალი. ჰესიოდეს მიხედვით იგი ნიკტის ქალიშვილია. ნემესიდა პირველად მორალისა და პატიოსნების განსახიერებად ითვლებოდა. მოგვიანებით კი ალიარეს ღმერთად, რომელიც სჯიდა ბუნების კანონზომიერების დამრღვევ ადამიანებს. ნემესიდა თანაბარი სიმკაცრით სჯიდა სხვისი ბედნიერების მომსპობსა და საკუთარი ბედნიერებით გაამაყებულებს (მაგ., მან დასაჯა ნიობე). კიდევ უფრო გვიან ნემესიდა იქცა შურისძიების ღმერთქალად. ერთ-ერთი მითის მიხედვით ნემესიდა ზევსის ცოლი და ელენეს დედაა. ზევსისაგან გაურიდების მიზნით ნემესიდა გადაიქცა სხვადასხვა ცხოველებად, თევზად, ბატად და სხვა, მაგრამ თავს მაინც ვერ უშველა და ბატად ქცეულს გედად ქცეული ზევსი მაინც დაუკავშირდა. ბატად ქცეულმა ნემესიდამ კვერცხი დადო და ამ კვერცხიდან ელენე გამოიჩეკა (მითში ხშირად ნემესიდას მაგივრად ლედაა დასახელებული). ნემესიდას კულტი ხანდახან ერწყმის გეას და აფროდიტეს კულტს. ნემესიდას რომში განსაკუთრებით ჯარისკაცები ალიარებდნენ. ნემესიდა გამოისახებოდა ჩაფიქრებულ, ძალდრტით აღსავსე ქალად. თან ახლდა სხვადასხვა ატრიბუტი. გადატანითი მნიშვნელობით ნემესიდა ნიშნავს დამსახურებულ ბედს, ზოგჯერ შურისძიებას.

ნ ე მ ე უ რ ი თ ა მ ა შ ო ბ ა ნ ი, ბერძნ. — საერთო სახალხო თამაშობა ძველ საბერძნეთში, რომელიც იმართებოდა ნემეის ველზე ზევსის სამსახურთან. თამაშობა ეწყობოდა ოლიმპიადის ყოველ მეორე და მეოთხე წელიწადს. ლეგენდის თანახმად მისი დამაარსებელი იყო ადრასტოსი. სხვა მითის მიხედვით კი თამაშობა დააწესა ჰერაკლემ, ნემეის ლომის მოკვლასთან დაკავშირებით. როგორც ოლიმპიური, ისე ნემეური თამაშობები სიეაქაცისა და ფიზიკური სიძლიერის დემონსტრაცია იყო. გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ ზეთის ხილის ტოტით ან რაიმე სხვა სიმბოლური ან ფასიანი საჩუქრით. ნემეური თამაშობანი განდევნა ქრისტიანობამ და მისმა დღესასწაულებმა.

ნ ე ნ ი ა, ლათ. (Naenia) სამგლოვიარო სიმღერა ძველ რომში, რომელსაც განსაკუთრებული, სპეციალური მოტირალები ასრულებდნენ (შდრ. სვანური ზარი, მოხევური და ფშაო-ხევსურული მოთქმა). მოგვიანებით ეს სამგლოვიარო, ტირილით შესრულებული სიმღერა ღმერთად ალიარეს და რომში ტაძარიც კი აუგეს. მხატვრულ ლიტერატურაში ნენია ხშირად იხსენიება მწუხარე, სამგლოვიარო სიმღერის სინონიმად.

ნ ე ო პ ტ ო ლ ე მ ო ს ი, ბერძნ. (Νεοπτόλεμος, ὁ) აქილევსისა და მეფე ლიკომედოსის ქალიშვილის — დეიდამიას ვაჟი. მენელაოსის ქალიშვილის — ჰერმიონეს ქმარი. ნეოპტოლემოსი დაიბადა კუნძულ სკიროსზე. სამისნომ იწინასწარმეტყველა, რომ მისი მონაწილეობის გარეშე ტროის ომი ვერ დასრულდებოდა. ამიტომ ოდისევსმა და ფენიქსმა იგი ტროაში მიიყვანეს. ნეოპტელემოსი მონაწილეობდა ტროის წინააღმდეგ მიმართულ გადამწყვეტ შეტაკებებში, სწორედ მან მოკლა პრიამოსი და მისი ქალიშვილი — პოლიქსენი მსხვერპლად შესწირა აქილევსის აჩრდილს. ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ნადავლი, ნეოპტოლემოსს წილად ხვდა ჰექტორის ცოლი — ანდრომაქე, რომლისაგანაც შეეძინა ვაჟი — მოლოსოსი. ნეოპტელემოსის სატრფო იყო მენელაოსის ქალიშვილი ჰერმიონე (იხ. ჰერმიონე).

ნ ე პ ტ უ ნ უ ს ი ლათ. (Neptunus) იტალიური ღვთაება. პოსეიდონის მსგავსად იგი იყო ზღვის, ზღვაოსნობის, მეცხენეობისა და ცხენებით შეჯიბრების მფარველი ღმერთი. ნეპტუნუსს რომში ტაძარი აუგეს და 23 ივნისს მართავდნენ მისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს. ნეპტუნუსი, ისევე როგორც პოსეიდონი, ზევსის მსგავსად მოწიფულ, ძლიერ მამაკაცად გამოისახებოდა. ხელში მასაც სამკბილა ეჭირა. ნეპტუნუსს უწოდებენ იმ მეზღვაურს, რომელიც გემით ეკვატორს გადაჭრის. ნეპტუნუსის გამოსახულება ამშვენებს ლენინგრადის საზღვაო-სამხედრო მუზეუმის ფასადს. გადატანითი მნიშვნელობით ნეპტუნუსს უწოდებენ ზღვის სტიქიას.

ნ ე რ ე უ ს ი, ბერძნ. (Νηρεύς, ὁ) ზღვის უძველესი ღვთაება ძველ საბერძნეთში. პონტოსისა და გეას ვაჟი, დორიდას ქმარი,

ნერეიდების მამა. მშვიდი ზღვის განსახიერება, კეთილი, ბრძენი და სამართლიანობის მოყვარე მოხუცი. დაჯილდოებული იყო წინასწარმეტყველების ნიჭით. ნერევსმა უჩვენა ჰერაკლეს გზა ჰესპერიდების ბაღისაკენ. ნერეევს თავისი ქალიშვილები ჰყავდა ეგეოსის ზღვის სიღრმეში აგებულ სასახლეში. ნერევსი გამოისახებოდა ჭკვიან, მშვიდ, წვერიან მოხუცად, ზოგ გამოსახულებებში ნერევსს წვერებად და თმებად წყალმცენარეები ჰქონდა.

ნ ე რ ე ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Νηρεΐδες, αἱ) ზღვის ღვთაების—ნერევსისა და დორიდას ქალიშვილები. ზღვის ფერიები. ჰომეროსის მიხედვით ისინი 34 არიან, სხვა მითების მიხედვით — ასი და — მეტიც. ყველაზე ხშირად კი მათი რიცხვი 50-ია. ნერეიდები ცხოვრობენ ზღვის ფსკერზე, თავიანთი მამის — ნერევსის სასახლეში. იქ ისინი ართავენ ოქროს თითისტარებით, ცეკვავენ ზღვის ტალღების რიტმზე, მთვარიან ღამეს გამოდიან სანაპიროზე და ტრიტონებს ცეკვაში ეჯიბრებიან. ნერეიდები გულმოწყალენი არიან და ხშირად ეხმარებიან მეზღვაურებს და საერთოდ ადამიანებს. ნერეიდები დაეხმარენ, მაგალითად, არგონავტებს, აქილევსსა და სხვებს, ყველაზე შეტად სახელგანთქმული ნერეიდები არიან: პოსეიდონის ცოლი ამფიტრიტე, აქილევსის დედა თეტიდა, აკიდის სატრფო გალატეა და სხვა. ნერეიდებს თაყვანს სცემდნენ განსაკუთრებით კუნძულებისა და ზღვის სანაპიროთა მცხოვრებლები. ნერეიდები გამოისახებოდნენ ულამაზეს ახალგაზრდა ქალებად, გარს ეხვიათ თასაგვარი ზღვაში მობინადრე ურჩხულები და ტრიტონები. ხშირად გამოისახებოდნენ ტრიტონის ან დელფინის ზურგზე მოცეკვავენი. მხატვრულ ლიტერატურაში ნერეიდები ზღვის ტალღების სინონიმია.

ნ ე ს ო ს ი, ბერძნ. (Νέσος, ὁ) 1. კენტავრი. იქსიონისა და ნეფელეს ვაჟი. როდესაც მას მდინარეზე ჰერაკლე და მისი მეუღლე-დეიანირა გადაყავდა, შეეცადა ქალის ხელში ჩაგდებას. განრისხებულმა ჰერაკლემ ნესოსს ლერწეს ჰიდრას სისხლში ამოყლებული ისარი სტყორცნა და სიცოცხლეს გამოასალმა. ჰერაკლესადმი სამაგიეროს მიზღვევის მიზნით მომაკვდავმა ნესოსმა დეიანირას წასჩურჩულა, შეეგროვებინა მისი დაღვრილი სისხლი, რომელიც მას, თუ ეს საჭირო შეიქმნებოდა, ქმრის სიყვარულს დაუბრუნებდა. კარგა ხნის შემდეგ ამისათვის, რომ ჰერაკლეს სიყვარული შეენარჩუნებინა, დეიანირამ მას ნესოსის სისხლით გაპოხილი ტანსაცმელი გაუგზავნა. სწორედ ეს ტანსაცმელი გახდა ჰერაკლეს დაღუპვის მიზეზი — ტანსაცმელმა მოწამლა გმირი და აუტანელი ტკივილების გამო ცეცხლში ჩავარდა. 2. თრაკიელთა ნაკადის ღვთაება, ოკეანოსისა და ტეთისის ვაჟი.

ნ ე ს ტ ო რ ი, ბერძნ. (Νέστωρ, ὁ) პილოსის მეფე. ნელევსისა და ქლორიდას ვაჟი. ევრიდიკეს ქმარი, რომლისაგანაც ჰყავდა შვილი ვაჟი და ორი ქალი. როდესაც ჰერაკლემ ნელევსის შვილები ამოხოცა, ნესტორი შემთხვევით სახლში არ იყო და ამის გამო გადარჩა. ლაპითებისა და კენტავრების ომში ნესტორი იბრძოდა ლაპითების მხარეზე. იგი მონაწილეობდა კალიდონის ნადირობასა და არგონავტთა ლაშქრობაში. ნესტორმა იცოცხლა დიდ ხანს და, ჰომეროსის მიხედვით, ტროის ომის დროს უკვე მესამე თაობას მეფობდა. თავის ვაჟებთან—ანტილოქოსსა და ტრასიმედოსთან ერთად იგი ტროის ომშიც მონაწილეობდა. ბერძენთა ბანაკში ნესტორი ითვლებოდა ერთ-ერთ უმამაცეს და სახელმოხვეჭილ გმირად. მასვე მიიჩნევდნენ მჭევრმეტყველ ორატორად და მეტად ბრძენ მოხუცად, რომლის რჩევასაც ყველა ყურადღებით ისმენდა. ომის დამთავრების შემდეგ ნესტორი გადარჩენილ ვაჟთან ერთად მშვიდობიანად დაბრუნდა თავის სამშობლოში. ლიტერატურაში ნესტორი შეივიდა წელთა სიმრავლით გამობრძმედილი, დაბრძენებული მოხუცის სინონიმად.

ნ ე ფ ე ლ ე, ბერძნ. (Νεφέλη, ἡ — ღრუბელი) ათამანტის პირველი ცოლი, ღრუბელთა ღმერთქალი, ღრუბლის განსახიერება. ფრიქსოსისა და ჰელეს დედა. დედინაცვლისაგან სასიკვდილოდ გახმირული ჰელე და ფრიქსოსი ნეფელემ გადაარჩინა. დედინაცვლისაგან გაბრიდების მიზნით შემოახვია ღრუბლები, ორივენი ოქროს ვერძზე შესვა და კოლხეთში გაგზავნა აიეტ მეფესთან.

ნ ე ქ ტ ა რ ი, ბერძნ. (νέκταρ, τό) ღმერთების სასმელი, რომელიც მათ უკვდავებასა და მარადიულ სიჭაბუკეს ანიჭებდა. ნექტარი, ამბროსიის მსგავსად, მკვდარ სხეულებსაც კი იცავდა გახრწნისაგან. ნექტარი ხშირადაა გაიგივებული ამბროსიასთან და ითვლება სიტკბოს, კეთილგანწყობილების სიმბოლოდ. გადატანითი მნიშვნელობით ნექტარს უწოდებენ საუკეთესო, ძვირფას სასმელს. ნექტარის ან ამბროსიის მიღება ნიშნავს მარადიული სიცოცხლისა და სიტკბოების მოპოვებას. ამჟამად ნექტარს უწოდებენ ყვავილების ტკბილ წვენს.

ნ ე ც ე ს ი ტ ა, ლათ. (Necessitas) ანანკეს ლათინური სახელწოდება. როგორც ბერძნული ანანკე, ლათინური ნეცესიტაც აუცილებლობას, ვალდებულებას, ბედისწერას ნიშნავს.

ნ ი კ ა ი ა, ბერძნ. (Νίκαια, ἡ) ერთ-ერთი ნაიადი, მდინარის ღვთაების — სანგარიოსისა და კიბელეს ქალიშვილი.

ნიკაიოსი, ბერძნ. (Νίκαιος, ὁ) ზევსის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.

ნიკანდრე, ბერძნ. (Νικάνδρη, ἡ) ერთ-ერთი კორინთოელი ფეიქარი, რომელსაც შესრულებული სამუშაოსთვის ალკინოემ გასამრჯელო არ გადაუხადა. ნიკანდრემ ათენას შესჩივლა და ღმერთქალმა დასაჯა უმადური პატრონი.

ნიკე. ბერძნ. (Νίκη, ἡ — «გამარჯვება») 1. გამარჯვების ღმერთქალი. ჰესიოდეს მიხედვით ტიტან პალანტისა და სტიქსის ქალიშვილი. უკვე ჩამოყალიბებულ და განვითარებულ ბერძნულ რელიგიაში ნიკე ზევსისა და ათენას ატრიბუტია. ხშირად ზევსს ან ათენას ხელში უჭირავს ნიკეს ქანდაკება. ნიკე არის არა მარტო პრძოლისა და გამარჯვების ღმერთქალი, არამედ — შეჯიბრებისაც. ათენელი მხედართმთავრები გამარჯვების ჯილდოდ ხშირად ღებულობდნენ ხოლმე ნიკეს ქანდაკებას. ხელოვნებაში ნიკეს წარმოადგენდნენ ახალგაზრდა ფრთოსან ქალად, ხშირად ეტლში მჯდომარედ, თავზე დაფნის გვირგვინით. ნიკეს რომაულ-ლათინური შესატყვისობაა ვიქტორია (victoria—გამარჯვება). 2. ათენას, როგორც გამარჯვების ღმერთქალის ეპითეტი, რომელსაც სპეციალური ტაძარი აუგეს მუგარაში.

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონისათვის ფეხბურთის მსოფლიო ფედერაციამ ჯილდოდ გამარჯვების ღმერთქალის ნიკეს ქანდაკება დაწესა. ვანის გათხრების დროს ქართველმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ნიკეს ქანდაკება.

ნიკიპე, ბერძნ. (Νικίππη, ἡ) 1. პელოპსისა და ჰიპოდამიას ქალიშვილი, სთენელოსის მეუღლე, ალკიონეს, მედუზასა და ევრისთევსის დედა.

ნიკომაქოსი, ბერძნ. (Νικόμαχος, ὁ) ასკლეპიოსის შვილიშვილი, მაქაონისა და ანტიკლეას ვაჟი.

ნიკოსტრატე, ბერძნ. (Νικοστράτη, ἡ) არკადიელი ფერია და წინასწარმეტყველი.

ნიკოსტრატოსი, ბერძნ. (Νικόστρατος, ὁ) მენელაოსისა და ელენეს ვაჟი. ჰომეროსის მიხედვით მენელაოსსა და ელენეს ჰყავდათ მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰერმიონე, მაგრამ ზოგი მითის მიხედვით მათი ვაჟია აგრეთვე ნიკოსტრატოსი.

ნიკტევსი, ბერძნ. (Νυκτεύς, ὁ) თებეს მეფე. ანტიოპეს მამა, რომელმაც მკაცრად დასაჯა ეს უკანასკნელი უკანონო შეილებისა: ამფიონისა და ზეთოსის დაბადების გამო.

ნიკტი, ბერძნ. (Νύξ—Νύκτος, ἡ — ღამე) ღამის განსახიერება.

ჰომეროსის მიხედვით ნიკტი ძლევამოსილი ღმერთქალია, რომელსაც თვით ზევსიც კი ალიარებს. ჰესიოდეს მიხედვით იგი ქაოსის ქალიშვილი და ერებოსის და. ერებოსისაგან მან დაბადა ნათელი ეთერი და ჰემერა. ამათ გარდა, იმის გამო, რომ ნიკტისა და ერებოსის ქორწინება არაკანონიერი იყო, მათი ქორწინების შედეგად წარმოიშვნენ თანატოსი (სიკვდილი), ჰიპნოსი (ძილი), ტყუილი, სიბერე, სიზმრები, ბოროტი დემონები, მწუხარება და ათასი სხვა უბედურება, რომელიც, მითის თანახმად, თან სდევნის და აწუხებს ამ დროიდან ადამიანებს. ნიკტი ცხოვრობს ჰადესში და ყოველდღიურად გამოდის იქიდან დასავლეთის ჭიშკრით. ხელში აყვანილი ჰყავს ხოლმე ჰიპნოსი და თანატოსი. ორფელების აზრით ნიკტი მსოფლიოს არსებობის პირველადი მიზეზია და თავისი თვისებებით სიცვდილის ღვთაებას უახლოვდება. ბერძნული ტრაგედიების მიხედვით შაე ტანსაცმელში გამოწყობილი ნიკტი ვარსკვლავებით მოჭედილ ფრთოსანი ეტლით დაფრინავს ცაში ჰადესიდან ამოსვლის შემდეგ. პერგამის ტაძრის ფასადზე ნიკტი ახალგაზრდა ქალადაა წარმოდგენილი, რომელსაც ხელში სფერო უჭირავს. თასების ფერწერაში ნიკტი ყველაზე ხშირად თანატოსთან და ჰიპნოსთან ერთადაა გამოსახული.

ნილოსი — მდინარე ნილოსის ღვთაება ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით. ოკეანოსის ვაჟი. ელინისტურ პერიოდში ნილოსი დაუკავშირეს იოს შესახებ არსებული მითების ციკლთან. ნილოსის ქალიშვილი ცოლად გაჰყვა იოს ვაჟს, ეპაფოსს და დაბადა ლიბია. ლიბიამ თავის მხრივ წარმოშვა აგენორი და ბელოსი. ბერძნების წარმოდგენით ნილოსი იყო ეგვიპტის პირველი მეფე, რომელმაც აამენა უძველესი სარწყავი სისტემა ეგვიპტეში.

ნიმბუსი, ლათ. (nimbus — ღრუბელი, ნისლი) გმირებისა და ღმერთების თავების ზემოთ მოთავსებული მრგვალი სინათლე, რომელიც ალბათ თავიდან მხოლოდ მზის ღვთაებების ატრიბუტი იყო (სხივები). ბერძნულ ხელოვნებაში იგი ელინიზაციის დაწყების შემდეგ გავრცელდა. რომაელ მხატვრები მას იმპერატორების თავებზეც ათავსებდნენ. ქრისტიანობამ სწორედ აქედან გადაიღო ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქრისტეს, წმინდა მარიამს და საერთოდ ყველა დიდ წმინდანს თავზე ადგას ე. წ. ნათლის გვირგვინი.

ნინოსი, ბერძნ. (Νῖνος, ὁ) ბაბილონის სამეფოს მითიური დამაარსებელი. ასირიელთა ქალაქის — ნინეიას ეპონიმი. ბერძნებს იგი კრონოსის ვაჟად მიაჩნდათ, ზოგი ვერსიის მიხედვით კი ბელოსის შთამომავლად ალიარებდნენ. ნინოსს მიაწერდნენ ომის ხელოვნების გამოგონებას და მთელი აზიის დაპყრობას, ინდოეთის

ცარდა, ყოველივე წარმატებაშიო— გვიამბობს ლეგენდა, მას ეხმარებოდა მისი ცბიერი და მოხერხებული ცოლი-სემირამიდა. ნინოსის სიკვდილის შემდეგ მისი უზარმაზარი სახელმწიფოს მმართველობა ძირმა ცოლმა-სემირამიდამ განაგრძო.

ნიობე, ბერძნ. (Νιόβη, ἡ) თებეს მეფის — ამფიონის მეუღლე, ტანტალოსის ქალიშვილი, პელოპის და. ჰომეროსის გადმოცემით ნიობეს ყავდა 6 ვაჟი და 6 ქალიშვილი. გეიანდელი პერიოდის მწერლები ნიობეს შვილების რაოდენობას მეტს ასახელებენ. ევრიპიდეს მიხედვით ისინი შვიდ-შვიდი არიან, საფოს მიხედვით — ცხრა-ცხრა, პინდარეს მიხედვით— კი — ათ-ათი. თავისი ქარგი შვილებით გაამაყებულმა ნიობემ დასცინა მხოლოდ ორი შვილის— აპოლონისა და არტემიდეს დედას — ღმერთქალ ლეტოს და თებელ ქალებს ურჩია მისათვის მსხვერპლი აღარ შეეწირათ. დედის-ლეტოს სურვილის თანახმად აპოლონმა ამოხოცა ნიობეს ვაჟები, ხოლო არტემიდემ — ქალიშვილები. ოვიდიუსი გადმოგვცემს, რომ აპოლონმა ყმაწვილები დახოცა სპორტულ შეჯიბრებაზე, ხოლო არტემიდემ ქალიშვილები — ძმების საფლავებზე. როდესაც ეს უბედურება ნიობეს ქმარმა გაიგო, თავი ჩამოიხრჩო, ხოლო ზევსისაგან ქვებად ქცეული მიცვალებულები ცხრა დღეს უპატრონოდ ეყარნენ და მხოლოთ მეათე დღეს დაასაფლავეს. მწუხარებისაგან გათანგული ნიობე კლდედ იქცა. ერთი მითის მიხედვით ეს კლდე მოიტაცა გრიგალმა და ნიობეს სამშობლოში — სიპილოსის მთის მწვერვალზე გადაიტანა (მცირე აზიაში). სხვა ვარიანტის მიხედვით გამწარებული ნიობე მამასთან დაბრუნდა და ზევსმა იგი კლდედ თავისაგე სამშობლოში აქცია. ნიობესა და მისი შვილების ტრაგედია გამოიყენა ბევრმა ხელოვანმა. ლიტერატურაში ნიობე მწუხარების, დარდისა და ტანჯვა-განცდის განსახიერებაა.

ნირევსი, ბერძნ. (Νιρεύς, ὁ) აგლაიას ვაჟი. ულამაზესი ვაჟკაცი აქეველთა ბანაკში აქილევსის შემდეგ.

ნისა, ბერძნ. (Νῖσα, ἡ) მითების მიხედვით ადგილი, სადაც ფერიები დიონისეს ზრდიდნენ. სინამდვილეში ეს ადგილი არაა ცნობილი. მოგვიანებით ნისა შეარქვეს მეღვინეობით განთქმულ რამოდენიმე ადგილს.

ნისოსი, ბერძნ. (Νῖσος, ὁ) მეგარას მეფე. პანდიონოსის (ზოგი ვარიანტით არესის) ვაჟი. ნისოსს ჰქონდა მეწამული (ზოგი ვარიანტით ერთი ღერი ოქროს) თმა, რომელზეც დამოკიდებული იყო მისი სიცოცხლე. როდესაც მინოსმა ნისოსის სამეფოს ალყა შემოარტყა, მეფის ქალიშვილს სკილას შეუყვარდა მინოსი და თმის მოჭრით

მამა დალუპა. მინოსმა ქალაქი აიღო და მამის მოღალატე სკილას დახრჩობა ბრძანა. სხვა ვარიანტის მიხედვით სკილა ზღვაში თავისი სურვილით ჩაყარდა იმ ადგილას, საიდანაც მინოსის გემი გავიდა.

ნიტოკრისი, — 1. ეგვიპტის მითიური დედოფალი, 2. ბაბილონის მითიური დედოფალი.

ნოე, (ბიბლ.) ადამის მეათე შთამომავალი. როდესაც ადამიანები ღმერთის რწმენას გადაუდგნენ, ღმერთებმა გადაწყვიტეს წაერღვნათ კაცობრიობა და ამით მოკვდავთათვის „ჭკუა ესწავლებინათ". მაგრამ მთლად დასალუპავად მაინც ვერ გაიმეტეს და ნოეს (ბერძნ. მითების მიხედვით დევკალიონს) შთააგონეს, აეგო კიდობანი, მასში მოეთავსებინა ორივე სქესის ყოველი ცოცხალი არსება და წარღვნის დაწყებისას დაეხურა იგი. ამდენად ნოე ითვლება კაცობრიობის გადარჩენისაგან მხსნელად (იხ. ნოეს კიდობანი).

ნოეს კიდობანი, (ბიბლ.) კიდობანი, რომელიც ღმერთის რჩევით ააგო ნოემ და წარღვნის დაწყებამდე შიგ მოათავსა ორივე სქესის ყველა თითო ცოცხალი არსება. წარღვნა დაიწყო და წყალმა დაფარა მთელი დედამიწა, ყველა და ყველაფერი, გარდა იმისა, რაც ნოემ კიდობანში მოათავსა. კიდობანმა დიღხახს იცურა უკიდეგანო ოკეანეში, ბოლოს კი გაჩერდა არარატის (ათონის, პარნასის) მთის მწვერვალზე, იქ იდგა წარღვნის დამთავრებამდე და ძველი თაობის უკანასკნელი და ახალი თაობის პირველი წარმომადგენლები აქედან შეუდგნენ ახალ ცხოვრებას. მითი ბაბილონური წარმოშობისაა, მსგავსი მითი არსებობს ბერძნულადაც (იხ. დევკალიონი).

ნომია, ბერძნ. (Νομία, ἡ) ფერია, რომელსაც მწვენიერი დაფნისი უყვარდა

ნოტოსი, ბერძნ. (Νότος, ὁ) სამხრეთის ქარის ღვთაება, რომელსაც საბერძნეთში ნისლი და წვიმები მიაჩნდა. ბორეასის, ზეფიროსისა და ევროსის ძმა.

ნუმა პომპილიუსი, ლათ. (Numa Pompilius) რომის ლეგენდარული მეფე, რომელსაც მიაწერენ მრავალი რელიგიური ჩვეულებისა, მთვარის კალენდრის, სხვადასხვა დღესასწაულებისა და ძირითად ქურუმთა კოლეგიის რომში შემოღებას. მანვე შემოიტანა თითქოს რომში რომულუსის, გერიონისა და სხვათა კულტები. ნუმას შთამაგონებელი იყო მისი ცოლი, რომლის წყალობითაც იგი რაღაც მაგიურ ძალას ფლობდა. ავენტინუსის, ბორცვზე ხუმამ დაიჭირა ფაუნუსი და პიკუსი, რომლებმაც მას ასწავლეს, თუ როგორ უნდა განრიდებოდნენ ელვას ცხოველები და ადამიანები. ტიბრის მარჯვენა სანაპიროზე ნუმას საფლავსაც კი აჩვენებდნენ.

ნუმიტორი, ლათ. (Numitor) ლათინური ქალაქის — ალბა ლონგას მითიური მეფე. ენეასის შთამომავალი. მისმა უმცროსმა ძმამ ამილიუსმა ნუმიტორი ტახტიდან ჩამოაგდო და ძალაუფლება თვითონ ჩაიგდო ხელში. მისი ვაჟები დახოცა, ხოლო ქალიშვილი—რეა სილვია ღმერთქალ ვესტას შესწირა. სასწაულებრივად გადარჩენილმა შვილიშვილებმა რემუსმა და რომულუსმა მოკლეს ამულიუსი და პაპას ტახტი დაუბრუნეს. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ნუმიტორმა თვით უშვილა შვილიშვილებს და ისინი აღსაზრდელად მწყემს ფაუსტულუსს მისცა. როდესაც ყმაწვილები გაიზარდნენ, მათი დახმარებით ნუმიტორმა ტახტი დაიბრუნა და მათ აღგილი გადაუყო ქალაქის ასაშენებლად. ამ აღგილზე ძმებმა ქალაქი რომი დააარსეს.

ნუნდინა, ლათ. (Nundina) მეცხრე დღის ღმერთქალი ძველ რომში, რომელსაც მოუხმობდნენ ხოლმე ბავშვის დაბადების მეცხრე დღეს, რათა მისი რჩევითა და თანდასწრებით დაერქმიათ ახალი მოქალაქისათვის სახელი.

— ო —

ოგიგია, ბერძნ. (Ὠγυγίη, ἡ) ფერია კალიფსოს აღგილსამყოფელი და საბრძანებლო კუნძული. ამ კუნძულზე მოხვდა ოდისევსი, იგი შეუყვარდა კუნძულის მბრძანებელს კალიფსოს, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა დაეყოლებინა გმირი და თავის ქმრად გაეხადა. დროებით ოდისევსმაც გაიზიარა კალიფსოს სიყვარული, მაგრამ გმირს სამშობლოსაკენ მიუწევდა გული და მიუხედავად კალიფსოს უდიდესი სურვილისა, რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოემშვიდობა საყვარელ ქალს, დატოვა ოგიგიის ჯადოსნური კუნძული და სამშობლოსაკენ გაემართა. ძველად კუნძული ოგიგია ზღვის ცენტრში ევროპათ („იქ სადაც ზღვისა ჭიპია" ჰომეროსი).

ოგიგოსი, ბერძნ. (Ὠγύγος, ὁ) ბეოტიის ძველ მცხოვრებთა მითიური მეფე. ბეოტოსის ვაჟი. ზოგიერთი მითი მას პოსეიდონის ვაჟადაც მიიჩნევს. ზოგი მითის მიხედვით ელევსინის მამა.

ოდიოსი, ბერძნ. (Ὀδίος, ὁ) ჰალიძონების წინამძღოლი ტროის ომში. ბევრი ბრძოლის შემდეგ ოდიოსს შეეჭიდა აგამემნონი და ეტლიდან ჩამოაგდო იგი.

ოდისეა, ბერძნ. (Ὀδυσσεία, ἡ) ჰომეროსის სახელგანთქმული პოემა. თანამედროვე ლიტერატურაში „ოდისეა" ხიფათებითა და

შემთხვევებით, თავგადასავლებითა და მოულოდნელობებით აღსავსე ამბავს ეწოდება.

ოდისევსი, ბერძნ. (Ὀδυσσεύς, ὁ) ტროის ციკლის თქმულებების ერთ-ერთი უმთავრესი გმირი, კუნძულ ითაკის მითიური მეფე. ლაერტესა და ანტიკლეას ვაჟი. ტროის ომის სახელმოხვეჭილი ვაჟკაცი. „ილიადასა" და „ოდისეას" მთავარი მოქმედი პირი. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითების მიხედვით ანტიკლეას ოდისევსი ლაერტეზე გათხოვებამდე გაუჩნდა. ოდისევსს სახელი დაარქვა პაპამ რაც ჭარბულად გულმოსულს, განრისხებულს ნიშნავს. ერთი ლეგენდის თანახმად, მშვენიერი ელენეს მამას ტინდარეოსს ოდისევსმა ურჩია ფიცი ჩამოერთმია ელენეს საქმროებისათვის, რომ საჭირო შემთხვევაში ყველა დაეხმარებოდა ელენეს მომავალ ქმარს. ამ რჩევის ათვის მადლიერმა ტინდარეოსმა ოდისევსს ცოლად მისცა თავისი ძმის შვილი — პენელოპე. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ოდისევსმა პენელოპე სპარტაში გამარჯვების ჯილდოდ მიიღო.

ტროის ომში ოდისევსმა თავი გამოიჩინა როგორც ვაჟკაცმა, მორჩილმა მეომარმა, გამოცდილმა, მოხერხებულმა და გონიერმა მებრძოლმა. სწორედ მან დაარწმუნა ბერძნები მეათე წელსაც ალყის საჭიროებაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აქილევსის და აგამემნონის შერიგებაში. ოდისევსმა მოიტაცა ტროის მფარველი პალადიუმი. ლეგენდის თანახმად, თითქოს, ყოველგვარ წარმატებაში გმირს ათენა ღმერთქალი ეხმარებოდა.

აქილევსის სიკვდილის შემდეგ ჯარის გადაწყვეტილების თანახმად გმირის საჭურველი ოდისევსს ერგო, როგორც ტროის ომის საუკეთესო გმირს აქილევსის შემდეგ (მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ეს ოდისევსმა ცბიერებით მოახერხა. (იხ. ეანტები). ოდისევსის რჩევით ათენეს ბერძნებმა ტროის ცხენიც. ტროის დაცემის შემდეგ უკან დაბრუნებულ ოდისევსს მრავალი ფათერაკი შეემთხვა და თავგადასავალი გადახდა (იხ. ეოლოსი, კირკე, კალიფსო, პოლიფემოსი, პენელოპე). ათ წელს იხეტიალა მან, ვიდრე საშობლოს მიაღწევდა.

ჰომეროსის შემდგომდროინდელ თქმულებებში ოდისევსი, მხედველ, ცრუ და პირისგამტეხ ადამიანადაა წარმოდგენილი. ტროის ომში წასვლის თავიდან აცილების მიზნით მან თითქოს სიგიჟე მოიგონა და მარილის თესვა დაიწყო.

ოდისევსი თითქოს შემთხვევით შემოაკვდა მის შვილს ტელეგონოსს. ტელეგონოსმა მკვდარი ოდისევსი დედამისთან — კირკესთან წაასვენა. კირკემ იგი გააცოცხლა და უკვდავად აქცია. ოდისევსი არის უძველესი საბერძნეთის ტიპიური მმართველის სახე. შეიძლება

ვიფიქროთ, რომ იგი რეალურად არსებული პიროვნება იყო. ოდისევსის შესახებ არსებული მითები გამოიყენეს სოფოკლემ, ევრიპიდემ და სხვებმა. სახვით ხელოვნებაში ოდისევსი გამოისახებოდა წვეროსან, მრგვალქუდიან მამაკაცად.

ოიდიპოსი, ბერძნ. (Οἰδίπους—ποδος, ὁ) ლაიოს მეფისა და იოკასტეს ვაჟი, თებელი გმირი. ოიდიპოსის დედას მითებში ეპიკასტეს უწოდებენ, იოკასტე კი ტრაგიკოსებმა შეარქვეს. ოიდიპოსის მამას უწინასწარმეტყველეს, რომ მას მოელოდა თავისი შვილის ხელით სიკვდილი. ამ უსიამოვნო ჰოვლენის თავიდან აცილების მიზნით, როდესაც მას ვაჟი დაებადა, ფეხები შეუკრა (οἰδάπους ნიშნავს ფეხებშეკრულს, ფეხებდასიებულს) და მონას გადასცა გადასაგდებად, მაგრამ მონას შეენანა ჩვილი და ალსაზრდელად მისცა მწყემსებს კორინთოში. არსებობს მითის, როგორც ჩანს, უფრო ძველი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მამამ ბავშვი თვით გადააგდო ზღვაში, მაგრამ ტალღებმა იგი ხაპირზე ცოცხალი გარიყეს და სიკორინთის მეფემ შვილად აიყვანა. როდესაც ოიდიპოსი დავაჟკაცდა, დელფოს სამისნომ უწინასწარმეტყველა, რომ მამას მოკლავდა და დედას ცოლად შეირთავდა. ამ საშინელი წინასწარმეტყველებით შეძრწუნებულმა ოიდიპოსმა გადაწყვიტა სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო და სასწრაფოდ გაეცალა კორინთოს. გზად მიმავალ გულამღვრეულ ეიყაცს ერთ-ერთ გზაჯვარედინზე შეეჩეხა ვინმე დიდებული, რომელიც ჯერ შეედავა, შემდეგ შეებრძოლა და შემოაკვდა კიდეც. მასთან ერთად ოიდიპოსმა დახოცა მისი ყველა მხლებელი ერთის გარდა, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ ოიდიპოსი წავიდა თებეში და შესასვლელში მიადგა სფინქსს, რომელიც დარაჯობდა ქალაქის შესასვლელს და შესველის მსურველთ უსვამდა ასეთ კითხვას: «რა არის ისეთი, რაც დილას დგას ოთხ ფეხზე, შუადღისას — ორზე და საღამოს — სამზეო», გამოცანას ვინც ვერ გამოიცნობდა, სფინქსი ყველას ჭამდა. ოიდიპოსმა გამოიცნო ეს გამოცანა—უპასუხა ეს ადამიანიაო, ამით გაანწარებული სფინქსი უფსკრულში გადაიჩეხა. განთავისუფლდა თებე ამ საშინელი ურჩხულისაგან და მადლიერმა თებელებმა გმირს ახლად დალუპულ მეფის ულამაზესი ქვრივი და საშეფო ტახტი შესთავაზეს. ოიდიპოსმა, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მიიღო შენათავაზები ჯილდო და თებეს მეფე გახდა. იოკასტესა და ოიდიპოსის ქორწინების შედეგად დაიბადნენ ვაჟები: ეტეოკლე და პოლინიკე და ქალები: ანტიგონე და ისმენე. (მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ესენი ოიდიპოსს მეორე ცოლისაგან ჰყავდა). კარგახანს იმეფა ოიდიპოსმა თებეში. მაგ-

რამ გარკვეული ხნის შემდეგ ქალაქს შიმშილი და ჭირი მოედო. დელფოს სამისნოს წინასწარმეტყველების მიხედვით ყოველივე ამას მანამ არ მოელებოდა ბოლო, სანამ ქალაქიდან ლაიოს მეფის მკვლელი არ გაძევებოდა. ქალაქის კეთილდღეობით დაინტერესებული, ბუნებით კეთილი ოიდიპოსი მთელი ენერგიით შეუდგა დამნაშავის ძებნას. კარგა ხნის შემდეგ მან მიაკვლია ლაიოსის ამალიდან გადარჩენილ ერთადერთ მოხელეს და მისგან გაიგო უდიდესი საშინელება: რომ ის დიდებული, რომელიც მან რამოდენიმე წლის წინათ გზაჯვარედინზე მოკლა, იყო სწორედ ლაიოს მეფე. ეს გადარჩენილი მოხუცი კი გამოდგა სწორედ ის, რომელსაც მრავალი წლის წინათ ლაიოსმა ფეხებგაკოჭილი ოიდიპოსი გადასცა გადასაგდებად და დაადასტურა, რომ ოიდიპოსი ლაიოსისა და მისი ცოლის იოკასტეს ვაჟი იყო. ამ უბედურებამ ველარ გაუძლო გამწარებულმა, თავგზააბნეულმა გმირმა და თვალები წამოითხარა. იოკასტემ კი გაიგო რა, რომ ახლა წინასწარმეტყველება, თავი ჩამოიხრჩო. ამის შემდეგ დაბრმავებული მეფე გასცილდა თებეს და უგზო-უკვლოდ ხეტიალი დაიწყო. ოიდიპოსის შემდგომი ცხოვრების შესახებ არსებობს მრავალი, სხვადასხვა შინაარსის ლეგენდა. ერთ-ერთი ძათგანი გვიამბობს, რომ მან ცხოვრების უკანასკნელი წლები ისევ თებეში გაატარა. სხვა მითის მიხედვით მამა შვილებმა განდევნეს საშშობლოდან. რისთვისაც მან ისინი დაწყევლა და სწორედ ეს შეიქმნა მათ შორის განხეთქილებისა და მათი დალუპვის მიზეზი. ერთ-ერთი ათენური ლეგენდის თანახმად ოიდიპოსმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები კოლონოსში გაატარა. ზოგიერთი მეცნიერი ოიდიპოსს წინაბერძნულ ღვთაებად მიიჩნევს. სამხრეთ და შუა საბერძნეთში შემორჩენილია ოიდიპოსის კულტის ნიშნები. ჯერ კიდევ კლასიკურ პერიოდში ოიდიპოსის მითი დაამუშავეს და გამოიყენეს სოფოკლემ, სენეკამ და სხვებმა. მითმა შთააგონა კორნელი, ვოლტერი, შილერი და სხვა.

ოკლე, ბერძნ. (Ὀκλῆς, ὁ) ანტიფატოსის ვაჟი, ამფიარაოსის მამა.

ოილეესი, ბერძნ. (Ὀϊλεύς, ὁ) 1. ლოკროსების წინამძღოლი, ეანტ მცირის მამა. 2. ტროელი მეომარი, მოკლა აგამემნონმა.

ოილიადი, ბერძნ. (Ὀϊλιάδης, ὁ) ოილევსის ვაჟი, ე. ი. ეანტ მცირე.

ოინოქაროტი, ბერძნ. (Οἰνοχάρων -οντος, ὁ- ღვინის ქაროტი) ფილიპე მაკედონელის ზედმეტი სახელი, რაც შეარქვეს იმიტომ, რომ იგი, როგორც ქაროტი, თავის მტრებს ხოცავდა მოწამლული ღვინის საშუალებით.

ოკეანე ან ოკეანოსი, ბერძნ. (Ὠκεανός, ὁ) ძველ

ბერძნებს ჰომეროსის ეპოქაშიც კი ეიაჩნდათ, რომ ოკეანოსი იყო ყოველი ღმერთის მშობელი. პესიოდეს „თეოგონიის“ მიხედვით ოკეანოსი ურანოსისა და გეას ვაჟია, კრონოსის ჰიპერიონის და რეას ძმაა. მითების მიხედვით ოკეანოსს ჰყავდა სამიათასი ვაჟი და სამიათასი ქალიშვილი, ე. წ. ოკეანიდები.

იგი ცხოვრობდა წყლისქვეშეთში მდებარე სასახლეში და არასოდეს არ მიდიოდა ღმერთების შეკრებაზე. გვიანდელი მითები ოკეანოსს პოსეიდონთან აიგივებენ. 2. მდინარე, რომელიც გარს უვლის დედამიწას. ძველი ბერძნების წარმოდგენით ოკეანოსიდან გამოედინება ზღვის ყველა დინება, მდინარე, ნაკადული თუ წყარო ოკეანოსიდან ამოდის და ოკეანოსში ჩადის მზე, მთვარე და ვარსკვლავები. მითი, რა თქმა უნდა, შექმნილია ოკეანის შეუცნობელობისა გამო.

ოკიპეტე. ბერძნ. (Ὠκυπέτη, ἡ) ერთ-ერთი ჰარპიას სახელი, თავმანტისა და ელექტრას ქალიშვილი. 2. ერთ-ერთი დანაიდი.

ოკიროე. ბერძნ. (Ὠκυρόη, ἡ) 1. ოკეანოსისა და თეტისის ქალიშვილი, მან ჰელიოსისაგან დაბადა ფაზისი და ამ უკანასკნელმა მოკლა დედა, რადგანაც მეძობაში შეამჩნია, 2. ფერია, მდინარის ღმერთის — იმბრასოსის ქალიშვილი. 3. ფერია, რომელსაც მენელაოსისაგან შეეძინა ტროასთან მებრძოლი გმირი პიპოდამანტი.

ოკნუსი, ლათ. (Ocnus) 1. წინასწარმეტყველ მანტოს ვაჟი. მას მიეწერება ე. წ. მანტიების დაარსება. 2. მოხუცი, რომელსაც არ უნდოდა სიკვდილი და ამისათვის დასაჯეს ღმერთებმა უსასრულო და უშედეგო შრომით. ოკნუსი გრეხდა ბაწარს, რომელსაც დაგრეხისთანავე ჭამდა ვირი.

ოლენოსი, ბერძნ. (Ὤλενος, ὁ) 1. არესის ვაჟი, ზევსის ძიძა, ფერიების მამა, ქალაქ ოლენოსის ეპონიმი. 2. ზევსისა და დანაიდ ანაქსითეას ვაჟი.

ოლიმპიელი, ზევსი ან რომელიმე სხვა მთავარი ღმერთი ძველი საბერძნეთის პანთეონიდან, რომელიც კი ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდა ძველი ბერძნების წარმოდგენით. გადატანითი მნიშვნელობით კაცი, რომელიც ინარჩუნებს მუდმივ სიმშვიდეს მოსალოდნელი საშიშროების ან უბედურების მიუხედავად. აქედან მომდინარეობს გამოთქმა „ოლიმპიური სიმშვიდე“.

ოლიმპიური თამაშობანი — ბერძნული ნაციონალური თამაშობები, რომელსაც ძველ ელადაში უპირველესი ადგილი ეკავა. ხეში იმართებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, როცა მზის საზაფხულო შემობრუნების შემდეგ მთვარე პირველად გაივსებოდა. გადმოცემის თანახმად ოლიმპიური თამაშობები დააწესა

ჰერაკლემ პელოპის ხსოვნის აღსანიშნავად და ზევსს მიუძღვნა. გართობა მიმდინარეობდა 5 დღეს. პირველ დღეს ზევსს მსხვერპლს სწირავდნენ, მეორე დღეს შეჯიბრება იწყებოდა ათლეტიკაში და სხვადასხვა სპორტულ სახეობაში, შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველს ამის შესახებ დროულად უნდა განეცხადებინა შესაბამის ადგილას. ისინი, ვინც შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდნენ, ვალდებულნი იყვნენ ერთი თვის განმავლობაში დარჩენილიყვნენ ქალაქ ოლიმპიაში და ეცარჯიშათ სპეციალური მწვრთნელების შეთვალყურეობის ქვეშ. თამაშის ტრადიცია გრძელდებოდა ახალი წელთაღრიცხვის 394 წლამდე. 1896 წელს ოლიმპიური თამაშობები საერთაშორისო სპორტულ დღესასწაულად იქცა და კვლავ აღიდგინა ძველი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, როგორც ძველად, ახლაც თამაშობები იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ.

ოლიმპიური რელიგია, — გაფურჩქვნის ხანის ბერძნული პოლისების ოფიციალური რელიგია. სახელწოდება წარმოსდგება თესალიაში მდებარე ოლიმპოს მთისაგან, სადაც ბერძნებისა და რომაელების წარმოდგენით ღმერთები ბინადრობდნენ. ღმერთები ოლიმპოს მთაზე ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ, მაგრამ თვითეულს მაინც ჰქონდა საკუთარი სპილენძის, ვერცხლის ან ოქროს სასახლე. ოლიმპიელთა უფროსად ზევსი ითვლებოდა. იგი იყო ღმერთთა და კაცთა მამა. ზევსი საკმაოდ ხშირად მოიწვევდა ხოლმე საერთო კრებას, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც მის სიტყვას ენიჭებოდა. როგორც ჩანს, ოლიმპიური რელიგია კრეტა-მიკენის მმართველობისა და სახელმწიფოებრივი წყობილების განსახიერებაა. ზევსის შემდეგ ძალაუფლების მხრივ მოდიოდნენ პოსეიდონი და ჰადესი — ზევსის ძმები. წყლის სტიქიისა და მიწისქვეშეთის მბრძანებლები. ძმების შემდეგ უფლებამოსილად ითვლებოდნენ მათი დები: — ჰერა, დემეტრე და ჰესტია. კრონიდების შემდეგ მოდიოდნენ ზევსის შვილები: ათენა, აფროდიტე, არტემიდე და აპოლონი. ამათ შემდეგ ჰეფესტო და არესი. ოლიმპიელებს აკუთვნებდნენ აგრეთვე ჰერმესსა და ირიდას, თემიდას, ჰებეს და დიონისეს. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ არტემიდესა და დიონისეს გარდა ოლიმპიური რელიგიის წარმომადგენლები დაეწყებას მიეცნენ. რაც შეეხება დაბალი რანგის ღვთაებებს, მათ განაგრძეს არსებობა, მაგრამ ქრისტიანობამ ისინი ჭინკებად და ეშმაკებად გამოაცხადა.

ოლიმპო, ბერძნ. (Ὄλυμπος, ὁ) ძველი ბერძნების წარმოდგენით ღმერთების სამყოფელი წმინდა მთა თესალიაში. ამ მთას ძველ ქართულ მწერლობაში ულუმბოს უწოდებენ. გადატანითი მნიშვნე-

ლობით ოლიმპოს უწოდებენ ღმერთების კრებულს. ღღეისათვის, უმეტესად ირონიულად, იხმარება მაღალი კლასის წარმომადგენელთა კრების აღსანიშნავად.

ო მ ფ ა ლ ე, ბერძნ. (Ὀμφάλη, ἡ) ლიდიის მეფის — ტმოლოსის ქვრივი, ლიდიის დედოფალი. იფიტოსის მოკვლის გამო ომფალესთან სამ (ზოგი ვარიანტით ერთ) წელიწადს მოსამსახურედ იყო ჰერაკლე. სამსახურის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ — განავრძობს ლეგენდა, ჰერაკლემ ქალის ტანსაცმელი გადაიცვა და ქალურ საქმეებს აკეთებდა, ზოგი მითი ომფალეს ჰერაკლეს მეუღლედ ასახელებს. მცირე აზიაში ომფალეს ქალების მფარველ ღვთაებად მიიჩნევდნენ.

ო მ ფ ა ლ ო ს ი, ბერძნ. (Ὀμφάλος, ὁ — ჭიპი) წმინდა ქვა. ყველაზე მეტად ცნობილი ომფალოსი ინახებოდა დელფოში, აპოლონის ტაძარში, მას დედამიწის ცენტრად||ჭიპად მიიჩნევდნენ. გადმოცემის თანახმად ერთხელ, როცა, თითქოს, ზევსს უნდოდა გაეგო, თუ სად იყო დედამიწის ცენტრი, ერიდროულად აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გაუშვა ორი ერთნაირი სიჩქარის მქონე არწივი. არწივები დელფოში შეხვდნენ ერთიმეორეს და ამის შემდეგ ადამიანებმა დედამიწის ცენტრად დელფო აღიარეს. ზოგიერთი ანტიკური ავტორი ომფალოსს პითონის საფლავის ქვად მიიჩნევდა.

ო ნ ე ი ტ ე ს ი, ბერძნ. (Ὀνείτης, ὁ) ჰერაკლესა და დეიანირეს (ზოგი ვარიანტით მეგარას) ვაჟი.

ო ნ ე ი რ ო ს ი, ბერძნ. (Ὄνειρος, ὁ- სიზმარი) — სიზმრის მომაელინებელი ღვთაება. ზევსმა აგამემნონს მიუგზავნა ონეიროსი და აცნობა, რომ ომი დაეწყოთ ტროელების წინააღმდეგ.

ო პ ს ი, ლათ. (Ops) ნაოსვებისა და ნაყოფიერების რომაული ღვთაება, სატურნუსის მეუღლე. მოგვიანებით, როდესაც სატურნუსი კრონოსთან გაიგივეს, ოპსიც რეა კიბელად მიიჩნიეს და თაყვანს სცემდნენ იუპიტერთან ერთად. კაპიტოლიუმის ბორცვზე ოპსს ჰქონდა იუპიტერთან საზიარო ტაძარი.

ო რ გ ი ე ბ ი, ბერძნ. (Ὄργια, τά) ზოგიერთი ღმერთისადმი მიძღვნილი საიდუმლო რელიგიური პროცესები. ორგიებს უმეტესად მართავდნენ ხოლმე დემეტრეს, პერსეფონეს, აფროდიტეს, დიონისეს და სხვ. პატივსაცემად. პროცესიები იმართებოდა ღამე, მთებში ან ტყიან ველებში, ორგიებს თან ახლდა მუსიკა, ჩირაღდნები და ცეკვები. თანამედროვე გაგებით ორგიებს უწოდებენ დიდ, გაბმულ ლხინს.

ო რ ე ა დ ე ბ ი, ბერძნ. (Ὀρειάδες, αἱ) მთათა||გორაობა ფერიე-

ბი ზოგჯერ მათ სახელებს იმის მიხედვით უწოდებდნენ, თუ რომელ მთასთან იყვნენ დაკავშირებული.

ო რ ე ს ტ ე, ბერძნ. (Ὀρέστης, ὁ) აგამემნონისა და კლიტემნესტრას (ეპიკასტეს) ვაჟი, არგოსული თქმულებების ერთ-ერთი ცნობილი გმირი. როდესაც კლიტემნესტრამ და ეგისთემ (იხ. ეგისთე) აგამემნონი მოკლეს, ორესტე გაიქცა ძის ბიძასთან, ფოკიდის მეფე სტროფიოსთან და დაუმეგობრდა ბიძაშვილ — პილადეს. როდესაც ორესტე დავაჟკაცდა და მამის სისხლის აღება გადაწყვიტა, დელფოს სამისნომ განუზრახვის სისრულეში მოყვანა ურჩია. ორესტე პილადესთან ერთად მართლაც მივიდა სამშობლოში და მოკლა დედამისი და მისი ახალი ქმარი — ეგისთე. დედის მკვლელობისათვის ორესტეს დაედევნენ შურისძიების ძველი ღმერთქალები — ერინიები და ძოსუენებას აღარ აძლევდნენ. ორესტემ დელფოს მიმართა, რათა დახმარებოდა მისი მფარველი აპოლონი. აპოლონმა იგი ათენში გაგზავნა. იქ ათენამ არეოპაგი მოიწვია ორესტეს გასასამართლებლად.

ორესტე თავს იმართლებდა იმით, რომ დედამისმა ჩაიდინა ორმაგი დანაშაული: ერთი და საერთო ის, რომ მოკლა საკუთარი უდანაშაულო ქმარი. მეორე კი ის, რომ ორესტეს მოუკლა მამა, რისათვისაც ორესტე ვალდებული იყო აეღო მამის სისხლი. ერინიები კი ორესტეს უყენებდნენ დედის მკვლელობის ბრალდებას და ხმამაღლა აცხადებდნენ: არ არისო დედის მკვლელობაზე უმძიმესი დანაშაული. რაც შეეხება კლიტემნესტრასაგან აგამემნონის მოკვლას, ის ხომ მისი სისხლით ნათესავი არ იყოო. აპოლონმა განაცხადა, რომ მამა, როგორც სისხლით ნათესავი, უფრო მახლობელიაო, ვიდრე დედა. ამასვე ემატება ის, რომ კლიტემნესტრამ დაარღვია წმინდა ცოლ-ქმრული ურთიერთობა და ხელი აღიმაღლა თავისი ქმრისა და მბრძანებლის წინააშეო. არეოპაგმა კენჭი ყარა და დამსწრენი ორ ბანაკად გაიყვნენ. ორესტეს სასარგებლოდ საკითხი ათენას თანხმობამდლა გადაწყვიტა. აღშფოთებული ერინიების გულის მოლბობის მიზნით ათენამ თავის ქალაქში მათი კულტი დაწესა.

მეორე, ფართოდ გავრცელებულ მითში საუბარია ორესტეს მოგზაურობაზე ტავრიდაში არტემიდეს წმინდა ქანდაკების ჩამოსატანად (ტავრიდაში იგი აპოლონმა გაგზავნა. იხ. იფიგენია). შემდეგ ორესტე მიკენის მეფე გახდა. ამას გარდა მას წილად ხვდა არგოლიდისა და სპარტის სამეფო ტახტიც, რადგანაც ცოლად შეირთო მენელაოსის ქალიშვილი—ჰერმიონე. ორესტე არკადიაში გარდაიცვალა და მისი ნეშტი სპარტაში გადაასვენეს. მითი ფართოდ გამოიყენეს

მწერლებმა და მხატვრებმა. შემორჩენილია რელიეფური გამოსახულება, სადაც არტემიდეს ქურუმი იფიგენია ორესტესა და პილადეს ღმერთქალისათვის შესაწირავად ამზადებს. საყოველთაოდ ცნობილი ესქილეს ტრილოგია „ორესტეა“, სოფოკლეს ტრაგედია „ელექტრა“, ევრიპიდეს „ორესტეა“, „იფიგენია ტავრიდაში“, „ელექტრა“ და სხვა. ორესტეს მითის მიხედვით შეიქმნა მრავალი მუსიკალური ნაწარმოებიც.

ორთროსი, ბერძნ. (Ὄρθρος, ὁ) ტიფონისა და ექიდნეს შვილი, ორთავიანი ქოფაკი, რომელიც გერიონის ფარას დარაჯობდა. თავიდან იგი კერბერისა და ლერნეის ჰიდრას ბიძაშვილად ითვლებოდა. სფინქსის მამა. მოკლა ჰერაკლემ.

ორითია, ბერძნ. (Ὠρείθυια, ἡ) ათენის მეფის — ერეხთევსის ქალიშვილი. მოიტაცა ბორეასმა და ცოლად შეირთო. ბორეასის ფრთოსანი ვაჟების კალაისისა და ძეთოსის დედა.

ორიონი, ბერძნ. (Ὠρίων, ὁ) ბეოტიელი გიგანტი მონადირე ჰირიეევსის (ზოგი ვარიანტით პოსეიდონის ან გეას) ვაჟი. ორიონის შესახებ არსებობს მრავალნაირი, ერთიმეორისაგან განსხვავებული მითი. მეროპეს გაუპატიურებისათვის ორიონი დააბრმავეს. პოსეიდონმა მას მისცა ტალღებზე ფეხით სიარულის უნარი და ბრმა გადავიდა კუნძულ ლემნოსზე. კუნძულზე იგი ჰელიოსმა შეიბრალა და მხედველობა აღუდგინა. ჰელიოსის დას — ეოსს შეუყვარდა ორიონი, რის გამოც გაჯავრდნენ ღმერთები და ორიონი არტემიდეს მოაკვლევინეს. არსებობს მითის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ორიონი არტემიდემ პირადი შეურაცხყოფისათვის მოკლა. ზოგი მითის მიხედვით ორიონი მორიელის კბენით გარდაიცვალა. ორიონი ღმერთებმა თანავარსკვლავედად აქციეს და პლეიადთა თანავარსკვლავედის გვერდით მოათავსეს.

ორკუსი, ლათ. (Orcus) სიკვდილის რომაული ღვთაება, რომელსაც ადამიანთა აჩრდილები მიწისქვეშა სამყაროში მიყავს. ორკუსი ბევრი დეტალით წააგავს ჰადესსა და პლუტონს. ორკუსი იტალიაში, ისევე როგორც ჰადესი საბერძნეთში, იქცა საერთოდ მკვდართა სამყაროს სახელწოდებად.

ორმუზდი და არიმანი, (სპარსული — ახურამაზდი — უბრძნესი ბატონი და ანგრომანი — ბოროტი, მტრული სული). ძველი სპარსელების წარმოდგენით სამყარო გაყოფილია ორ მთავარ ნაწილად: პირველია სიცოცხლის, სიკეთისა და სინათლის სამეფო, ხოლო მეორე სიკვდილის, სიბოროტისა და სიბნელის საბრძანებელია. აქედან პირველს ორმუზდი განაგებს, ხოლო მეორეს — არიმანი. ეს ორი სამეფო და მათი მეთაურები გამუდმებით ებრძვიან ერთიმეორეს. სიბნელე ებრძვის სინათლეს, სიკვდილი სიცოცხლეს, ბოროტი — კეთილს. ბრძოლა ყოველთვის ორმუზდის გამარჯვებით მთავრდება და სამყაროს პირვანდელი სიწმინდე და წესრიგი უბრუნდება. (შდრ. ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია). სპარსელების წარმოდგენით ორმუზდი ყოველი ღმერთისა და მატერიალური სამყაროს შემოქმედია, ხოლო არიმანის ქვეშევრდომი დემონები ადამიანებს ყოველგვარ ავადმყოფობასა და ათასგვარ უბედურებას უგზავნიან. ორმუზდისა და არიმანის კულტი პირველად საბერძნეთში გავრცელდა და იმპერიის პერიოდში რომშიც გადავიდა. რომში ორმუზდი „მარადიული ცის“ — იუპიტერის სახელით მონათლეს, ხოლო არიმანს პლუტონთან და ჰადესთან აიგივებდნენ. ბერძნების აზრით ისინი დაუსრულებელი დროის — ქრონოსისაგან წარმოიშვნენ. ქრისტიანობამ არიმანი ეშმაკთან გააიგივა, ორმუზდი კი ქრისტესთან.

ორნითომანტია, ბერძნ. (Ὄρνις—ფრინველი + μαντεία = ფრინველთა გადაფრენის მიხედვით მისნობა — წინასწარმეტყველება).

ორტიგია, ბერძნ. (Ὀρτυγία, ἡ) არტემიდეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელი, კუნძულ დელოსის ძველი სახელწოდება, სადაც, ლეგენდის თანახმად, დაიბადა ღმერთქალი.

ორფევსი, ბერძნ. (Ὀρφεύς, ὁ) სახელმოხვეჭილი ლეგენდარული თრაკიელი მომღერალი. მდინარის ღმერთის — ეაგროსის (ზოგი ვარიანტით აპოლონისა და კალიოპეს) ვაჟი. ყველაზე მეტად გავრცელებული მითის მიხედვით ორფევსმა გამოიგონა მუსიკა და ლექსის წერა, რის გამოც მას ხშირად აპოლონის ვაჟად მიიჩნევდნენ. ორფევსის მუსიკის ძალა ხეებს ტოტებს ახრევინებდა, ჭვებს აცეკვებდა, მხეცებს ათვინიერებდა. ორფევსი მონაწილეობდა არგონავტების ლაშქრობაში და თავისი ჯადოსნური სიმღერით დიდი სამსახური გაუწია თანამგზავრებს. ერთი მითის თანახმად სწორედ მან მოაშორა თავისი სიმღერის წყალობით არგონავტები სირინოზების კუნძულს და ამრიგად დაღუპვისაგან იხსნა. (ორფევსმა სირინოზებს აჯობა სიმღერაში). როდესაც ორფევსის ცოლი ევრიდიკე გველმა დაკბინა და გარდაიცვალა, ორფევსი ჰადესში წავიდა მას დასაბრუნებლად, მისი მუსიკის ხმებმა თვით კერბერიც კი მოაჯადოვა, ერინიებს ცრემლი მოგვარა და პერსეფონე ისე მოხიბლა, რომ ნება დართო უკანვე წაეყვანა ამ საოცარ არსებას თავისი საყვარელი მეუღლე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ სინათლეზე

ვასელამდის არ შეხებოდა და არც დალაპარაკებოდა მის ახრდილს, თორემ სამუდამოდ დაკარგავდა მას. ცოლის მეტისმეტი სიყვარულის გამო ორფევსმა ეს ვერ შეძლო და მართლაც სამუდამოდ დაკარგა იგი. არსებობს მითის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ორფევსმა შეძლო ევრიდიკეს მიწაზე დაბრუნება.

ორფევსი მოკლა ერთ-ერთმა მენადმა ორგიებში მონაწილეობის მიუღებლობის გამო. არსებობს მითი, რომლის მიხედვითაც ორფევსი ცოლის სიკვდილის შემდეგ აღარ აფასებდა აღარცერთ ქალს და ამიტომ ქალებმა მოკლეს იგი. ორფევსის სიკვდილის მიზეზად სხვა მითები დიონისეს რისხვას ასახელებენ, რადგანაც მომღერალი მხოლოდ აპოლონს ეთაყვანებოდა და დიონისეს არაფრად აგდებდა. ორფევსის თავი და ღვინძლი მენადებმა ხლცაში გადააგდეს. ორფევსის მითი წააგავს ლინოსის მითს, რომელსაც ზოგჯერ მის წინაპრად, მასწავლებლად და ძმად მიიჩნევენ ხოლმე. მითი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ძველად. ჩვენამდე მოღწეულია მხატვრობის რამდენიმე ნიმუში, სადაც ასახულია მითი ორფევსის შესახებ. მითი გამოყენებული აქვს ესქილეს, ევრიპიდეს, შელის, რუბენსს, ოფენბახს, სტრავინსკის; თანამედროვე გაგებით ორფევსს უწოდებენ სახელგანთქმულ, დიდ მუსიკოსს.

ოსა, ბერძნ. (Ὄσσα, ἡ) 1. ბუტბუტის განსახიერება. ითვლებოდა ზევსის მაცნედ. რომში მას ხშირად ფამასთან აიგივებდნენ. მისი კულტი ათენშიც გავრცელდა და ტაძარიც კი აუგეს. 2. მთა შუა საბერძნეთში. როდესაც ალოადებმა ცაში ასვლა და ჰერასა და არტემიდეს სიყვარულის დამსახურება მოისურვეს, გადაწყვიტეს ოსა პელიონის მთაზე დაედგათ, ეს ორივე მთა კი ოლიმპოზე და ამრიგად ასულიყვნენ ცაში, მაგრამ განრისხებულმა აპოლონმა ორივე ისინი მოკლა. (ეს მითი წააგავს ბაბილონის კოშკის მშენებლობის მითს). აქედან მომდინარეობს მხატვრული გამოთქმა: „ოსას ოლიმპოზე დაღგმა" — რაც რაიმე დიდი, გრანდიოზული საქმის გაკეთებას ნიშნავს. ზოგჯერ იხმარება ირონიული მნიშვნელობითაც.

ოსიპაგა, (Ossipaga) ბავშვის ზრდისა და ძვლის გამაგრების მფარველი რომაული ღვთაება.

ოსირისი, — მოკვდავი და ქვლავ გაცოცხლებადი ბუნების ღვთაება ძველ ეგვიპტეში. ბერძნებმა ოსირისი დიონისესთან, ხოლო მისი და და მეუღლე ისიდა დემეტრესთან გააიგივეს. ელინისტურ და რომაულ პერიოდში ოსირისი საკულტო დრამის ცენტრალური ფიგურად იქცა. ნოემბრის დასაწყისში ქურუმები მორწმუნეებს წარმოუდგენდნენ ხოლმე საკულტო დრამას „ოსირისის პოვნა", რომელშიც საუბარი იყო სეტოს-ტიფონისაგან დაგლეჯილი ოსირისის გვამის ნაწილების ძებნაზე, ოსირისის ვაჟისაგან ტიფონის დამარცხებისა და ოსირისის გაცოცხლებაზე.

ოსირისი სიკვდილისა და კვლავ გაცოცხლების შემდეგ მიწის ქვეშა სამყაროს მბრძანებელი გახდა. ოსირისის კულტი კარგა ხანს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ქრისტიანობას.

ოტოსი, ბერძნ. (Ὦτος, ὁ) 1. პოსეიდონის შვილი. ალოევსის ვაჟი. 2. ეპეიელთა წინამძღოლი და აქაველთა მოკავშირე ტროის ომში.

ოქროს ვერძი, ბერძნ. (იხ. ფრიქსე. ჰელე. ოქროს საწმისი, კრიოსი).

ოქროს საუკუნე, ბერძნ. ძველი ბერძნების წარმოდგენით კაცობრიობის ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც ადამიანები ბედნიერად ცხოვრობდნენ, როდესაც არ არსებობდა შური, მტრობა, ომები, არავითარი სიძნელეები, არავითარი გაჭირვება. ოქროს საუკუნეზე მითი ჩამოყალიბებული უნდა იყოს საზოგადოების კლასებად დაყოფის შემდეგ, როდესაც დაიშალა პირველყოფილი თემური წყობილება და გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები. კაცობრიობის ცხოვრების ბედნიერ პერიოდზე მოგვითხრობენ ბაბილონური და ბიბლიური მითები, ლეგენდები ადამიანების ედემის ბაღში ცხოვრების შესახებ, რომლებიც შემდეგ თავიანთი დანაშაულის გამო გაჰოდევნეს იქიდან. მსგავსი მითები არსებობს ჩრავალი სხვა ხალხების მითოლოგიაშიც. ზოგიერთი მითის მიხედვით ბედნიერი და ნეტარი ცხოვრება იყო არა მარტო ძველად, არამედ იგი ახლაც არსებობს რომელიღაც ადგილებში. არსებობს მაგალითად მითი ნეტართა კუნძულის შესახებ, რომელიც მდებარეობს სადღაც მიუვალ მთებს თუ გადაულახავ ოკეანეებს იქით. რომელიც შემდეგ კუნძულ „უტოპიასთან" გააიგივეს.

ოქროს საწმისი, ბერძნ. (Χρυσόμαλον δέρμα, τό). (იხ. არგონავტები). ოქროს ვერძის ტყავი, რომელიც აიეტ მეფის საბრძანებელში ინახებოდა და იცავდა ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი. მოიტაცა იასონმა აიეტ მეფის ქალიშვილის — მედეას დახმარებით. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მითს შეიძლება ჰქონდეს რეალური საფუძველი, რაც იქით აიხსნება, რომ კოლხეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო ოქროს მოპოვების ხელოვნებითა და ოქროს საბადოებით. ანტიკური ხანის ავტორთა აზრით ოქროს საწმისი უნდა ყოფილიყო ან ბეწვისაგან გაკეთებული მდინარის სილიდან ოქროს გამოსაყოფი ნიფთი, ანდა ტრაქტატად ჩამოყალიბებული ოქროს დამზადების ტექნოლოგია, რომლის ხელში ნაგდება შეიძლება, მართლაც, გულით უნდოდათ ბერძნებს და ათასგვარ

ლეგენდებს ჰქმნიდნენ, თითქოს, ყოველივე ეს ადრე მათი კუთვნილება იყო. გადატანითი მნიშვნელობით ოქროს საწმისი ნიშნავს დიდ სიმდიდრეს. ოქროს საწმისის ძებნა ან არგონავტთა მოგზაურობა — რაიმე დიდი სიმდიდრის ძებნას. ბურგუნდიაში, ავსტრიასა და ესპანეთში არსებობდა უმაღლესი ჯილდო „ოქროს საწმისის ორდენი“.

ო ქ რ ო ს წ ვ ი მ ა, ძვ. ბერძნების წარმოდგენით მოულოდნელი გამდიდრების სიმბოლო. არსებობს მითი იმის შესახებ, რომ ოქროს წვიმად ქცეული ზევსი დაუკავშირდა მოკვდავ ქალს — დანაეს, რის შედეგადაც დაიბადა პერსევსი და დანაე, ეს უბრალო ქალი, ღმერთთა და კაცთა მბრძანებლის შვილის, ნაბეერადღმერთის დედა შეიქმნა. ამ მითიდან მომდინარეობს გამოთქმა „ოქროს წვიმა“ უეცარი, მოულოდნელი გამდიდრების აღსანიშნავად.

— პ —

პ ა ვ ო რ ი, ლათ. (Pavor — oris — შიში) მარსის თანამგზავრი. შიშისა და ძრწოლის განსახიერება. იგივე ბერძნული ფობოსი.

პ ა ი ა ნ ი, ბერძნ. (Παιάν -άνος, ბ) 1. მკურნალობის ღმერთი. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითების მიხედვით გაიგივებულია ხან აპოლონთან და ხან ასკლეპიოსთან. ძველთაგან, ხშირად, ექიმებს პაიანის შვილებს უწოდებენ. ჰომეროსის მიხედვით პაიანი ოლიმპიელი ღმერთების სპეციალური მკურნალი ექიმია. 2. თავიდან პაიანს უწოდებდნენ ლოცვით წარმოთქმულ სიმღერას, რომლითაც პაიანს მიმართავდნენ, შემდეგ კი სახელწოდება განზოგადდა და ყოველი ღვთაებისადმი მიმართულ გალობას უწოდეს. განსაკუთრებით ცნობილია ომის დაწყების წინ არესისადმი და ომის დამთავრების შემდეგ აპოლონისადმი მიძღვნილი პაიანები.

პ ა ლ ა დ ა, ბერძნ. (Παλλάς -άδος, ჰ) (ათენას ზედმეტი სახელი (იხ. პალანტი).

პ ა ლ ა დ ი ო ნ ი, ბერძნ. (Παλλάδιον, τὸ) ათენა პალადას გამოსახულება, რომელიც თითქოს ციდან ჩამოვარდა (ქალაქ ილიონის (ტროის) დამაარსებელ ილიოსს ჩამოუგდო ციდან ზევსმა) და ამის შემდეგ ტროაში ინახებოდა, როგორც მისი მიუვალობისა და დაუმარცხებლობის სიმბოლო. სწორედ მისი მოტაცების შემდეგ შესძლეს ბერძნებმა ტროის დამარცხება. ტროის დაცემის შემდეგ

პალადიონის ადგილსამყოფელი თითქოს არგოსი გახდა. ზოგიერთი მითი მის ადგილსამყოფელად სხვა ქალაქებსაც ასახელებს. მითის რომაული ვერსიის მიხედვით ტროაში თითქოს ორი პალადიონი ინახებოდა და მისი დაცემის შემდეგ ერთი მათგანი ბერძნებმა მოიტაცეს, ხოლო მეორე ენეასმა წაიღო იტალიაში. მოგვიანებით პალადიონი საბერძნეთში ზოგად სახელად იქცა და საერთოდ ყოველი შეიარაღებული ღვთაების გამოსახულებას უწოდებდნენ.

პ ა ლ ა ი მ ო ნ ი, ბერძნ. (Παλαίμων, ბ — მოჭიდავე) 1. ინოლევკოთეას ვაჟის — მელიკერტეს ზედმეტი სახელი. 2. ჰერაკლეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.

პ ა ლ ა მ ე დ ე, ბერძნ. (Παλαμήδης, ბ) მეფე ნავპლიოსისა და კლიმენეს ვაჟი. ევბეელი გმირი, რომელსაც მიეწერება ანბანის, ციფრების, მონეტების.. გამოგონება. მოკლა ოდისევსმა. მისი მოკვლის ამბავი და მიზეზი სხვადასხვა მითის მიხედვით სხვადასხვანაირადაა გადმოცემული. ყველაზე მეტად გავრცელებული მითის მიხედვით ოდისევსმა მოისყიდა პალამედეს მონა, რომელმაც თავისი ბატონის საფულეში ოქრო და წერილი ჩადო, წერილით, რომელიც თითქოს პრიამოსს უნდა გადაეცემოდა, პალამედეს ტროელთა ღალატი ბრალდებოდა. როდესაც წერილი ტროელებს ჩაუვარდათ ხელში და მისი შინაარსი გაიგეს, პალამედე ადგილზევე ჩაქოლეს. პალამედემო — გადმოგვცემს ერთი ლეგენდა, სიკვდილის წინ წამოიძახა: „მებრალები შენ სიმართლევ, შენ ხომ ჩემზე ადრე დაიღუპე“. რამოდენიმე ხნის შემდეგ მცირე აზიაში, კუნძულ ლესბოსის პირდაპირ, პალამედეს პატივსაცემად ტაძარი ააგეს.

პ ა ლ ა ნ ტ ი, ბერძნ. (Πάλλας -αντος, ბ) 1. ერთ-ერთი ტიტანთაგანი, კრიოსისა და ევრიბიას ვაჟი, სელენესა და ნიკეს მამა. 2. გიგანტომახიის ერთ-ერთი მონაწილე, დაჭრა ათენამ და შემდეგ ცოცხლად გაატყავა. შემდეგ მისი სახელი („პალანტი“, „პალადა“) ათენას ერთ-ერთ ზედმეტ სახელად იქცა. 3. პანდიონოსის ვაჟი, ეგეოსის ძმა, მოკლა თეზევსმა. 4. იტალიელი გმირი, ევანდრუსის ვაჟი. იბრძოდა ენეასის მხარეზე. მოკლა ტურნუსმა ორთაბრძოლაში. გადმოცემის თანახმად პალატინიუმის||პალაციინიუმის ბორცვი პალანტის სახელს ატარებს.

პ ა ლ ე ს ი, ლათ. (Palles) მწყემსთა და ნახირთა მფარველი ძველიტალიური ღვთაება. პალესისადმი მიძღვნილი ზეიმები, ე. წ. პალილიები||პარილიები იმართებოდა აპრილის თვეში.

პ ა ლ ი კ ე ბ ი, ბერძნ. (Παλικοί, οἱ) ზევსისა და ფერია თალიას ტყუპი ვაჟები. სხვა მითი ამ ყმაწვილებს ჰეფესტოსსა და ეტნეს ვა-

ყებად მიიჩნევს. მათ ეტნის მთის მიდამოებში აღიარებდნენ. სიცილიაში, ქალაქ ლეონტინოსის მახლობლად, იყო პალიკების ტბა (იხ. პალიკების ტბები).

პალიკების ტბები, ბერძნ. ორი ტბა ეტნის მიდამოებში, რომლებთანაც დაკავშირებულია პალიკების მითი. დროდადრო ტბებიდან ამოხეთქავდა ხოლმე ცხელი გოგირდოვანი წყალი, რის გამოც ეს ორი ტბა ღვთაებრივად მიიჩნიეს. ამ ტბებზე ამოწმებდნენ ფიცის სიმტკიცეს: ფიცს დაწერდნენ პატარა ფიცარზე და ტბაში გადააგდებდნენ. თუ ფიცარი არ ჩაიძირებოდა, ფიცს მართლად თვლიდნენ, ხოლო ჩაძირვის შემთხვევაში სიცრუედ მიიჩნევდნენ და ფიცის დამრღვევს ეტნას კრატერში აგდებდნენ.

პალინურუსი, ლათ. (Palinurus) „ენეიდას“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი. ენეასის გემის მესაჭე. სამხრეთ იტალიაში მდებარე მისი თანამოსახელე კონცხის ეპონიმი. ტროიდან გამოქცეული ენეასის თანამგზავრებს ვენერამ უწინასწარმეტყველა, რომ მათგან ერთ-ერთის დაღუპვა აუცილებელი იყო, თუ კი შინ მშვიდობიანად დაბრუნება სურდათ. ამ წინასწარმეტყველების მსხვერპლი სწორედ პალინურუსი გახდა. კერგილიუსის ერთ-ერთი მითის მიხედვით პალინურუსს გემის საჭესთან ძილი მოერია და ზღვაში გადაეარდა. ზღვის ტალღებმა გმირი არ დაახრჩვეს და იტალიის სანაპიროზე გარიყეს, მაგრამ იქ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოკლეს. გადმოცემის თანახმად კონცხს, სადაც მოკლეს და დაასაფლავეს იგი, მისი სახელი უწოდეს. მითში გადმოცემულია ის ძველი ჩვეულება, რომლის მიხედვითაც გასაჭირის დროს მეზღვაურები თავის გადარჩენის მიზნით ერთ-ერთ მეზღვაურს ახრჩობდნენ — მსხვერპლად სწირავდნენ ამა თუ იმ ღვთაებას.

პალორი, ლათ. (Pallor — oris — შიში, მოუსვენრობა) არესის მეეტლე. ბერძნული დეიმოსის იტალიური სახელწოდება.

პამონი, ბერძნ. (Πάμμων, ό) პრიამოსისა და ჰეკაბეს ვაჟი, რომელიც მოკლა ნეოპტოლემოსმა.

პამფილოსი, ბერძნ. (Πάμφιλος, ό) დორიული ტომის — პამფილოსების წინაპარი, ჰერაკლიდთა შთამომავალი.

პანაკეია, ბერძნ. (Πανάκεια, ἡ — ყოვლის განმკურნებელი). ასკლეპიოსის ქალიშვილი. განკურნების ღმერთქალი. გადატანითი მნიშვნელობით ყოველგვარი სენის განმკურნებელი წამალი.

პანდარეოსი, ბერძნ. (Πανδάρεος, ὁ) მილეტელი მოქალაქე, რომელმაც კრეტაზე მდებარე ზევსის ტაძრიდან ოქროს ძაღლის ქანდაკება მოიპარა და ამისათვის ზევსმა სიკვდილით დასჯა, მისი ქალიშვილები კი აფროდიტემ ალზარდა.

პანდემოსი, ბერძნ. (Πάνδημος — ყოველად სახალხო, საყოველთაო). აფროდიტეს, როგორც მგრძნობიარე და ხორციელი სიყვარულის ღმერთქალის, ზედმეტი სახელი. (ზოგჯერ მას პანდემასაც უწოდებდნენ).

პანდია, ბერძნ. (Πανδία, ἡ) ზევსისა და სელენეს ქალიშვილი.

პანდიები, ბერძნ. (Πάνδια, τά) ზევსის საპატივცემო დღესასწაულები ათენში..

პანდიონი, ბერძნ. (Πανδίων, ὁ) 1. ტევკროსის თანამგზავრი. 2. ერეთხევსის, პროკნესა და ფილომელეს მამა. ათენის მითიური მეფე. ეგეოსის მამა, თეზევსის პაპა. 3. კეკროპის ვაჟი, ლიკოსისა და ეგეოსის მამა.

პანდორე, ბერძნ. (Πανδώρη, ἡ) ყველასაგან დასაჩუქრებულს ნიშნავს ქართულად. ზევსის ბრძანების მიხედვით ჰეფესტოსისაგან შექმნილი პირველი მოკვდავი ქალი. ერთი მითის მიხედვით იგი ერთად შექმნეს ჰეფესტომ და ათენამ. პანდორე ზევსმა მოუვლინა ადამიანებს როგორც სასჯელი იმის გამო, რომ პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი წაართვა და მათ მოუტანა. ჰეფესტომ პანდორე თიხისა და წყლისაგან გამოძერწა, ღმერთქალის სახე, ადამიანის ხმა და შესაძლებლობა მისცა. აფროდიტემ პანდორეს სილამაზე აჩუქა, ჰერმესმა — მზაკვრობა, ცბიერება, სიცრუე და მშვენიერმეტყველება; ათენამ ულამაზესი ტანსაცმელი მოუქსოვა. სხვა მთავარმა ღმერთებმაც ყველამ რაღაც საჩუქარი მისცა ახალ ქმნილებას. ზევსმა შეძლო თავისი სურვილის შესრულება და პანდორე ცოლად მისცა პრომეთეს ძმას — ეპიმეთეს. ეპიმეთესაგან პანდორეს შეეძინა ქალიშვილი — პირა (იხ. ეპიმეთე).

ეპიმეთეს ზევსმა აჩუქა თაედახურული ყუთი, რომელშიც დამწყვდეული იყო ადამიანთა შეშაფუთებელი ყოველგვარი უბედურება და ავადმყოფობა. მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, ერთხელ, პანდორეს წაისძლია ქალურმა ცნობისმოყვარეობამ და ყუთი გახსნა. გახსნისთანავე ყუთიდან ამოცვივდა ყველაფერი და მთელს დედამიწაზე გაიფანტა. ისინი ახლაც ტანჯავენ ადამიანებსო, გადმოგვცემენ ძველი ბერძნები. ყუთში ადამიანურ მანკიერებებიდან მხოლოდ იმედი დარჩა, რომლის წყალობითაც, როგორც ამბობენ, დღეს ცხოვრობს ადამიანი. ამ ლეგენდასთან დაკავშირებით შეიქმნა მხატვრული გამოთქმა „პანდორეს ყუთი“, რაც გადატანითი მნიშვნელობით ავადმყოფობათა, უბედურებათა, ჭირ-ვარამის ადგილ-

სამყოფელს თუ გავრცელების ადგილს ეწოდება. პანდორეს მითი გამოყენებული აქვს რუბენსს, რონეს, ვოლტერს...

პ ა ნ დ ო რ ე ს ყ უ თ ი. ბერძნ. იხ. პანდორე.

პ ა ნ დ რ ო ს ო ს ი, ბერძნ. (Πάνδροσος, ἡ) ზოგჯერ პანდროსასაც უწოდებენ ხოლმე. დილის ცვრის ათენელთა ღმერთქალი, კეკროპის ქალიშვილი, ერისიხთიონის და. მან პატარა ერისიხთიონი აღსაზრდელად მისცა ათენა ღმერთქალს. აკროპოლში არსებობდა პანდროსოსის ტაძარი.

პ ა ნ თ ე ო ნ ი, ბერძნ. (Πάνθειον — ყველა ღმერთისა) თავიდან ეწოდებოდა ყველა ღმერთის საერთო დიდ ტაძარს, ყველაზე უძველესი პანთეონი ააგეს ჩვენს ერამდე II საუკუნეში. XVII საუკუნის შემდეგ პანთეონები საყდრად, ეკლესიად, სასაფლაოდ გადააქციეს. რომში აგებულ უძველეს პანთეონში ახლა გამოჩენილ იტალიელებს ასაფლავებენ. პარიზშიც XVIII საუკუნეში აგებული ტაძარი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ პანთეონად აქციეს, სადაც ამჟამად დასაფლავებული არიან ვოლტერი, რუსო, ჰიუგო და სხვა გამოჩენილი ფრანგები. ახლა პანთეონი ნიშნავს ამა თუ იმ ერის ღვთაებათა ერთობლიობას, აგრეთვე გამოჩენილ ადამიანთა სამუდამო განსასვენებელ ადგილს.

პ ა ნ თ ო ო ს ი, ბერძნ. (Πάνθοος, ὁ) აპოლონის ქურუმი, ერთ-ერთი ტროელი უხუცესი. ევფორბოსის მამა.

პ ა ნ ი, ბერძნ. (Πάν, ὁ) ტყეებისა და ჭალების არკადიელთა ღვთაება. ჰერმესისა და დრიოფსის ქალიშვილის — დრიოპეს ვაჟი. სხვადასხვა მითები პანის მშობლებად ასახელებენ ზევსსა და არკადიელ ფერიას — კალისტოს, ჰერმესსა და პენელოპეს, ზევსსა და პენელოპეს. პანი ლეგენდის თანახმად დაიბადა თმით დაფარული, ჰქონდა თხის ჩლიქები, ცხვირი და ქუდი, უცნაური შვილის ნახვით შეშინებულმა დედამ იგი დაბადებისთანავე მიატოვა, მაგრამ საკოდავი ყრმა ჰერმესმა შეიბრალა და ოლიმპოზე წაიყვანა; ბავშვის ხილვაზე გულიანად იცინეს ღმერთებმა, მან ყველა მათგანში სიბრალული და სიყვარული დაიმსახურა, თავიანთთან დაიტოვეს და პანი უწოდეს. ბერძნულში პან ნიშნავს ყველას. (ბერძნების აზრით მას ყველა ღმერთის სიყვარულის გამო ეწოდა პანი) ზოგი მეცნიერი კი ფიქრობს ეს სახელწოდება ინდოევროპული Pa (პა)-დან (რაც ნიშნავს მწყემსს) უნდა მომდინარეობდეს.

ბერძნების წარმოდგენით პანი მხიარული ღმერთია, იგი დაეხეტება მთებსა და ტყეებში, ცეკვავს ფერიებთან ერთად, უკრავს თა-

ვისსავე გამოგონილ სალამურზე. პანს ზოგჯერ რატომღაც განცალკევებაც უყვარს ხოლმე და მაშინ კი არ მოსწონს როდესაც ვინმე მყუდროებას დაურღვევს. როდესაც ამ დროს მასთან ვინმე მივა, პანი საშინელ ყვირილს ატეხავს და სიმყუდროვის დამრღვევს ე. წ. „პანიკურ შიშს“ მოჰგვრის ხოლმე (აქედან პანიკა). ძველი ბერძნების წარმოდგენით მას შეუძლია გააქციოს თვით შეიარაღებული მეომრებიც კი, რის გამოც ზოგიერთი ლეგენდის თანახმად პანი ომში დამხმარე ღვთაებადაც მიაჩნიათ. ბერძნებს პანის ჩარევის შედეგი ეგონათ საღამინთან და მარათონთან მოპოვებული დიდი გამარჯვება. არსებობს გადმოცემა სელენესა და პანის მეგობრობის შესახებ, სელენესო, გადმოცემის თანახმად, ძალიან უყვარდა, როდესაც პანი სალამურზე უკრავდაო. პანის შესახებ ერთ-ერთი ლეგენდა გვიამბობს: პანს უყვარდაო ფერია სირინგა, ეს უკანასკნელი მას არ თანაუგრძნობდა და მისგან თავის დაღწევის მიზნით სირინგა მდინარე ლადონში დაიმალა და იქ ლერწმად გადაიქცაო. გაწბილებულმა პანმა თითქოს ერთი ლერწამი მოჭრა, მისგან სალამური გააკეთა და ზედ ნაღვლიან მელოდიებს დაამღერებდა ხოლმე. თითქოს პანმა შემდეგ სხვებსაც ასწავლა სალამურის გაკეთება და დაკვრა.

ფერია ექოსაგან პანს შეეძინა ქალიშვილი იინგა. პანს მიუძღვნეს გამოქვაბული აკროპოლში (ათენში). ათენელები ყოველწლიურად იხდიდნენ პანისადმი მიძღვნილ ზეიმებს. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც პანს ჰქონდა წინასწარმეტყველების ნიჭიც და სწორედ მან შეასწავლა წინასწარმეტყველობა აპოლონსაც. პანის მთავარი სამლოცველოები იყო: არკადიაში, ტრეზენსა და ოროპაში; მას შესწირავს მუხა და ფიჭვი, მასვე მსხვერპლად სწირავდნენ ძროხებს, თხებს, ბატკნებს, თაფლს, რძეს, ყურძნის აყიდოს და სხვა. საერთო ბერძნული რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ პანი დიონისეს ერთ-ერთ თანამგზავრად მიიჩნიეს, რის გამოც დროთა განმავლობაში პანს საკუთარი ნიშნები დაეკარგა და მისი სახელიც განზოგადდა. შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს დიონისეს ჰყავდა რამდენიმე პანი.

მისტიკოსების შრომების მიხედვით პანი ერთიანი სამყაროს სიმბოლოდ მიაჩნდათ, მისი ფლეიტისა თუ სალამურის ხმა კი — ციური სფეროების მოძრაობის შედეგად გადმოცემულ ხმაურად.

გარეგნული შესახედაობისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვით პანს ხშირად აიგივებდნენ, რაც თხის მწყემსს ნიშნავს. ამ აიგივებასთან რაღაც საერთო უნდა ჰქონდეს მეგრულ ოჩო —

კოჩს (ვაც კაცს) და ოჩოპინტრეს (ამ უკანასკნელის პირველი ნაწილი ვაცს ნიშნავს, მეორე კი გაურკვეველია).

რომში პანის კულტი ადგილობრივი ღვთაებების კულტს შეერწყო. ჩვენამდე მოღწეულია პანის მრავალი ანტიკური ქანდაკება. ამჟამად ფართოდაა გავრცელებული გამოთქმა „გარდაიცვალა დიდი პანი". ეს გამოთქმა მომდინარეობს პლუტარქეს შრომებში შემორჩენილ თქმულებიდან: ერთხელ მგზავრებს პელეპონესიდან იტალიაში მიმავალ გემზე თითქოს შემოესმათ ასეთი გამოძახილი — „გარდაიცვალა დიდი პანი"! ამჟამად გამოთქმას ხმარობენ არა თუ მარტო დიდი პიროვნების გარდაცვალების აღსანიშნავად, არამედ რაიმე ისტორიული მოვლენის — რაიმე ცვლილების გამოსახატავად.

პარალოსი, ბერძნ. (Πάραλος, ή, ό) ათენელი გმირი, რომელსაც მიეწერება გემისა და ზღვაოსნობის გამოგონება. მის პატივსაცემად ათენში მთავრობის გემს პარალოსი ერქვა. პარალოსს უწოდებენ საკრალური და სახელმწიფოებრივი ექსკურსიებისათვის განკუთვნილ გემს.

პართენიონი, ბერძნ. (Παρθένιον, τὸ) არკადიასა და არგოლიდას შორის მდებარე მთა, სადაც პერაკლემ კერინიის შველი დაიჭირა. იქ მდებარეობდა პანის სამლოცველო. გადმოგვცემენ, რომ ეს სამლოცველო იმ ადგილზეა აგებული, სადაც, თითქოს, პანი შეხვდა ათენელთა ელჩს მარათონთან გამარჯვების შემდეგ.

პართენონი, ბერძნ. (Παρθενών, ὁ) ათენა ღმერთქალის მთავარი ტაძარი ათენში, რომელიც, როგორც ირკვევა, დაასრულეს 432 წელს ჩვენს ერამდე. ტაძარს აშენებდა იქტინოსი და კალიკრატე ფიდიასის ხელმძღვანელობით. ტაძარი აგებულია თეთრი მარმარილოთი. შუა საუკუნეებში პართენონის ტაძარი სამხედრო საწყობად გადააკეთეს. მას 1687 წელს ბომბი დასცეს და მასში დაცული დენთიც ააფეთქეს, ამ აფეთქებამ უდიდესი ზარალი მიაყენა ტაძარს და ამრიგად მსოფლიო ხელოვნებას. შეკეთებული ტაძარი XIX საუკუნეში ბარბაროსულად გაძარცვეს ინგლისელებმა. მრავალგზის შეცვლილი სახის მიუხედავად პართენონი დღესაც მწახველების გაოცებასა და აღტაცებას იწვევს. სახელწოდება პართენონი ათენა ღმერთქალის ეპითეტიდან მომდინარეობს. ათენას, როგორც მარადიული სიქალწულისა და უმანკოების განსახიერებას, ხშირად ქალიშვილს (ბერძნ. Παρθένος — ქალიშვილს ნიშნავს ქართულად) უწოდებენ. აქედან მომდინარეობს მისი კუთვნილი ტაძრის სახელწოდებაც.

პართენოპე, ბერძნ. (Παρθενόπη, ἡ) ერთ-ერთი სირინოზის

სირენი. ქალაქ ნეაპოლის ძველი სახელწოდების—პართენოპეს ეპონიმი ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი მითის მიხედვით იმის გამო, რომ ოდისევსმა (ზოგი ვარიანტით ორფეუსმა) სირინოზების კუნძულს ისე ჩაუარა, რომ მათი სიმღერით არ მოიხიბლა. პართენოპე დებთან ერთად ზღვაში გადავარდა და ჭიუხად იქცა.

პართენოპაიოსი, ბერძნ. (Παρθενοπαῖος, ὁ) ქალწულის შვილს ნიშნავს ქართულად. თებეს წინააღმდეგ გალაშქრებულ შვიდ გმირთაგან ერთ-ერთი. ყველაზე მეტად ცნობილი მითის მიხედვით პართენოპაიოსი მაინც მელეაგროსისა და ატალანტეს ვაჟია.

პართენოსი, ბერძნ. (Παρθένος, ἡ — ქალიშვილი) 1. ათენას ზედმეტი სახელი, საიდანაც მომდინარეობს ათენას მთავარი ტაძრის — პართენონის სახელიც. 2. ქრიზოთემიდას ქალიშვილი. პართენოსსა (პართენასა) და მის დას მამამ ანდრო მიწაში ჩაფლული ღეინიანი ქვევრის დარაჯობა. ერთხელ, როდესაც დებმა დაიძინეს, ის ადგილი ღორებმა გადათხარეს და ღვინის ჭურჭელი დაამსხვრიეს. მამის შიშით ქალიშვილები ზღვაში გადაცვივდნენ, მაგრამ აპოლონის შემწეობით გადარჩნენ და კუნძულ ხერსონესზე გადასახლდნენ, სადაც ისინი ადგილობრივ ღმერთებად აღიარეს. 3. აპოლონისა და ქრიზოთემიდას ქალიშვილი. იგი ადრევე გარდაიცვალა და აპოლონმა ქალიშვილის თანავარსკვლავედად აქცია.

პარისი, ბერძნ. (Πάρις -ιδος, ὁ) ტროელი მეფესწული. პრიამოსისა და ჰეკაბეს ვაჟი. პარისის დაბადებამდე რამოდენიმე დღით ადრე ჰეკაბემ ნახა სიზმარი — თითქოს შობა ცეცხლი, რომელმაც ფერფლად აქცია მთელი ტროა. მას უწინასწარმეტყველეს, რომ იგი დაბადებდა ვაჟს, რომელიც მშობლიური ქალაქის დაქცევის მიზეზი შეიქმნებოდა. დაბადებისთანავე მშობლების ბრძანების თანახმად პარისი იდას მთაზე გადააგდეს, რათა იქ მზეცებს შეეჭამათ, მაგრამ მზეცებმა არ შეჭამეს პატარა პარისი, პირიქით, მას ძუ დათვი ძუძუს აწოვებდა. შემდეგ ბიჭუნა მწყემსმა იპოვნა და თავის შვილებთან ერთად ზრდიდა. პარისი თავისი ძმობილებისაგან სილამაზითა და ფიზიკური სიძლიერით გამოირჩეოდა. ერთხელ, ჯერ კიდევ პატარა პარისმა ფარაზე მზეცების თავდასხმის დროს ისეთი გმირობა გამოიჩინა, რომ მას ალექს—ანდრე (მამაკაცთა მიმბაძველი) უწოდეს. პარისმა ცოლად შეირთო მკურნალი და წინასწარმეტყველი ქალი მდინარის ღმერთის — კებრენოსის ქალიშვილი. წინასწარმეტყველება აგრეთვე, პარისის მიერ (ამ) ხის განხეთქილების (გამო)

აფროდიტეს დახმარებით უპირველეს ყოვლისა პარისმა შესძლო დაერწმუნებინა დედ-მამა იმაში, რომ ის ნამდვილად მათი შვილი და ამდენად სახელმწიფო ტახტის მემკვიდრე იყო, შემდეგ კი მან მართლაც მოიტაცა ისევე აფროდიტეს დახმარებით სპარტის მეფის მენელაოსის ცოლი — ქვეყნად ულამაზესი ელენე, რაც მართლაც, როგორც ადრე სამისნომ განაცხადა, ტროის დაცემის უმთავრესი მიზეზი შეიქმნა. ტროის ციკლის თქმულებებში პარისი ტროის ომის დროს მშიშარა და უვარგის მეომრადაა გამოყვანილი. ბერძნებს იგი ეზიზღებათ, როგორც სხვისი ცოლის მიმტაცებელი და ამოდენა ომის ატეხვის მთავარი მიზეზი, ტროელებს კი იგი ეჯავრებათ, როგორც მათი მშობლიური ქალაქის დაცემისა და ამოდენა უდანაშაულო სისხლის დაღვრის მიზეზი. ტროის ომში პარისმა აპოლონის დახმარებით მაინც შეძლო აქილევსის მოკვლა, მაგრამ ისიც იქვე განიგმირა ფილოქტეტეს მოწამლული ისრით. ჭრილობებისაგან განაწამებმა პარისმა დახმარებისათვის მიმართა პირველ ცოლს — მაგრამ მან, შეურაცხყოფით გაეებულმა, ყურადღება არ მიაქცია მის მუდარას და პარისი გარდაიცვალა. ამის შემდეგ დაღონებულმა ქალმა თავი ქმრის მკვლელად ჩათვალა და თვითონაც აღესრულა თვითმკვლელობით.

ანტიკურ ხელოვნებაში პარისი უწვერო, ლამაზ ყმაწვილად გამოისახებოდა, თავზე ფრიგიული ქუდი ეხურა. თანამედროვე გაგებით, პარისს უწოდებენ ულამაზეს მამაკაცს.

პარნასი, ბერძნ. (Παρνασ(σ)ός, ბ) მთიანეთში ფოკიდაში, ძველი ბერძნების რწმენით მუზებისა და აპოლონის ადგილსამყოფელი. პარნასის მთის ძირას მდებარეობდა დელფოს სამისნო და აპოლონის ტაძარი. გადატანითი მნიშვნელობით პარნასი პოეტების გაერთიანებას, თავყრილობას ეწოდა, პარნასელები კი — პოეტებს. ხშირად ლექსებს პარნასის ყვავილებს უწოდებენ, ხოლო მუზებს პარნასელ დებს.

პასიფაესა, ბერძნ. (Πασιφάεσσα, ჩ — ყოვლის ან ყველასათვის მანათობელი) 1. კრეტის მეფის — მინოსის მეუღლე, ჰელიოსის ქალიშვილი ან შვილიშვილი. კირკეს და, ანდროგეას, მინოტავრის, ფედრასა და არიადნეს დედა. 2. ლაკონიელი წინასწარმეტყველი, რომელიც შემდეგ ღმერთადაც აღიარეს. ატლანტოსის ქალიშვილი. ზოგჯერ კასანდრასთან აიგივებდნენ.

პატროკლე, ბერძნ. (Πατροκλῆς, ბ) ტროის ომის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, აქილევსის საუკეთესო მეგობარი, მენეტიოსის ვაჟი. სიყმაწვილეში, ერთ-ერთი შეჯ[illegible]ს დროს, პატროკლეს

შემოაკვდა თავისი მოწინააღმდეგე და მამასთან ერთად ფთიაში გაიქცა, სადაც გაიცნო და დაუმეგობრდა აქილევსს. ამის შემდეგ ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ. აქილევსთან ერთად მონაწილეობდა პატროკლე ტროის ომში და როდესაც მისმა მეგობარმა, აგამემნონთან წაჩხუბების გამო, უარი განაცხადა ომში კვლავ მონაწილეობის მიღებაზე, მისი მხარე, რა თქმა უნდა, პატროკლემაც დაიჭირა. როდესაც ტროელებმა მეტისმეტად შეავიწროეს ბერძნები და მის თანამემამულეებს გარდაუვალი დამარცხება მოელოდათ, პატროკლემ უდიდესი მეგობრული მოკრძალებითა და მორიდებით თხოვა აქილევსს, რათა მისათვის მაინც მიეცა ომში მონაწილეობის უფლება და ეთხოვებინა მისი ღვთაებრივი აბჯარი. აქილევსმა პატროკლეს შეუსრულა სათხოვარი. დიდი ბრძოლის შემდეგ პატროკლემ განდევნა ბერძენთა მოწინააღმდეგენი, მაგრამ ბოლოს თვითონაც დაეცა ჰექტორის ხელით მოკლული. მისი გვამი მოიტაცეს ბერძნებმა და შესაფერისი პატივით დაკრძალეს, აქილევსის აბჯარი კი ხელში ჩაუვარდა მტრებს (იხ. აქილევსი). გადმოცემა პატროკლეს შესახებ შემონახულია „ილიადაში". ჩვენამდე მოაღწია პატროკლეს რამოდენიმე გამოსახულებამ. განსაკუთრებით ცნობილია მარმარილოს ჯგუფური ქანდაკება, სადაც მენელაოსს ხელში უჭირავს პატროკლეს გვამი.

პაუპერტასი, ლათ. (Paupertas—tatis) სიღარიბის განსახიერება და ღვთაება ძველ რომში. იგივე ბერძნული პენია. აქედან მომდინარეობს სიტყვა პაუპერიზმი და პაუპერები.

პაფია, ბერძნ. (Παφία, ჩ) პაფოსელი ღმერთქალი, ე. ი. აფროდიტე. პაფიას რწმენა — აფროდიტესადმი სამსახური, ე. ი. სიყვარული. პაფიას შვილები — ამური, ეროსი.

პეგასი, ან პეგასოსი, ბერძნ. (Πήγασος, ბ) ჰერესევსის მიერ მოკლული გორგონა მედუზას გვამიდან დაბადებული ჯადოსნური ცხენი, ქრისაოროსის ძმა. ერთ-ერთი უძველესი მითის მიხედვით პეგასი აიჭრა ოლიმპოზე და ზევსს ცეცხლი მოსტაცა. მითი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ბელეროფონტის თქმულებასთან, რომლის მიხედვითაც მას პეგასი ღმერთებმა აჩუქეს. ამ მითის მიხედვით პეგასი ფრთოსანი ცხენია. მიუხედავად ამისა, უძველესი სახვითი ხელოვნების ნიმუშებში იგი ყველგან უფრთებოდაა წარმოდგენილი. ჩვეულებრივ პეგასს განთიადის ღმერთქალ ეოსთან აკავშირებდნენ და ერთ-ერთ თანავარსკვლავედად მიიჩნევენ. (თითქოს ბელეროფონტის სიკვდილის, შემდეგ პეგასი ცად ამაღლდა და პეგასის თანავარსკვლავედად [illegible]ცა). ჩვენს ერამდე III საუკუნეში ალექსანდ-

ლი

რიელმა მეცნიერებმა პეგასი პოეტთა ცხენად მიიჩნიეს. პეგასის მითი უკავშირდება მუზების შესახებ არსებულ იქმულებასაც. თით-ქოს, ერთხელ, როდესაც მუზები თავიანთ საბრძანებელში მღეროდნენ, მათი სიმღერებით აღტაცებული პელიკონის მთა იმოდენა გაიზარდა, რომ წვერი ცას მიაბჯინა, მაგრამ პოსეიდონის ბრძანებით მას პეგასმა ფლოქვი დაჰკრა და კვლავ ძველ დონემდე დაადაბლა. ფლოქვის დაკვრის ადგილას გამობეთქა წყარომ, რომელიც ჰიპოკრენეს (ცხენის წყაროს) სახელით გახდა ცნობილი. გადატანითი მნიშვნელობით პოეზიაში ფეხის შედგმასა და გამარჯვებას პეგასის შეკაზმვას უწოდებენ. საერთოდ პეგასი პოეტური შთაგონების სიმბოლოა. პეგასის მსგავსია ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში ფართოდ ცნობილი რაში, რომელიც, როგორც პეგასი, ფრინავს, საუბრობს და აზროვნებს კიდეც.

პ ე ი თ ო, ბერძნ. (Πειθώ —ვარწმუნებ) აფროდიტესა და ჰერმესის თანამგზავრი. დარწმუნების ხელოვნების განსახიერება და ღმერთქალი. პეითოს ზოგჯერ აფროდიტესაც უწოდებენ. ზოგჯერ მას ერთ-ერთ ქარიტადაც მიიჩნევენ. პეითოს კულტი უმთავრესად გავრცელებული იყო ათენსა და სიკიონში. პეითოს რომში სვადას უწოდებდნენ.

პ ე ი რ ი თ ო ო ს ი ან პ ი რ ი თ ო ს ი, ბერძნ. (Πειρίθοος, ბ) იქსიონის ვაჟი, ლაპითების მეფე, თეზევსის მეგობარი და თანამებრძოლი. პეირითოოსმა ცოლად შეირთო ჰიპოდამია. მათი ქორწილის დროს მთვრალი კენტავრი — ევრიტიონი შეეცადა ჰიპოდამიას მოტაცებას. კენტავრის თავხედობით აღშფოთებულმა პეირითოოსმა თეზევსთან ერთად კენტავრების წინააღმდეგ გაილაშქრა. ასე დაიწყო კენტაურებისა და ლაპითების ცნობილი ომი. თეზევსთან ერთად პეირითოოსი მონაწილეობდა კალიდონის ნადირობაში. ამაძონებთან (ამორძალებთან) ბრძოლაში, ელენეს მოტაცებაში და სხვა. ჰიპოდამიას სიკვდილის შემდეგ მეგობრებმა პერსეფონეს მოტაცება სცადეს, მაგრამ ცდა წარუმატებლად დამთავრდა და ისინი მიწისქვეშეთში დატოვეს. პეირითოოსის კულტი ძირითადად ატიკაში იყო გავრცელებული. პეირითოოსის გამოსახულებანი გვხვდება პართენონის ფრონტონებსა და თასების მხატვრობაში. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით მიწისქვეშეთში იძულებით დატოვებული მეგობრები ჰერაკლემ გათავისუფლა.

პ ე ლ ა ს გ ი ა, ბერძნ. (Πελασγία, ჩ) ჰერას ერ-ერთი ზედმეტი სახელი კუნძულ სამოსზე, რის გამოც მას ზოგ-ეგობელასგურ ღვთა-

ებად მიიჩნევენ ხოლმე. ჰერას პელასგიას უწოდებენ თესალიაშიც.

პ ე ლ ა ს გ ი კ ო ს ი, ბერძნ. (Πελασγικός, ბ) ზევსის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი დოდონაში. ამიტომაც ზევსს ზოგჯერ პელასგთა ღვთაებად მიიჩნევენ.

პ ე ლ ა ს გ ო ს ი, ბერძნ. (Πελασγός, ბ) 1. ლიკაონის მამა. პელასგების მითიური წინაპარი, გადმოცემის თანახმად არკადიაში პირველად ის დასახლდა. 2. ინაქოსის ვაჟი. მრავალი არგოსელი გმირის სახელი, რომელთაც არკადიული თქმულებები მიუწათმოქმედების გამოგონებასა და დემეტრეს კულტის გავრცელებას მიაწერენ. თესალიას, აგრეთვე არკადიასაც, ზოგჯერ კი მთელ პელეპონესს პელასგოსის მიხედვით პელასგიას უწოდებენ.

პ ე ლ ე ვ ს ი, ბერძნ. (Πηλεύς, ბ) თესალიელი გმირი. ეგინას მეფის ეაკოსისა და ენდეიდის ვაჟი. მისმა ძმამ — ტელამონმა და მან მოკლეს ძმა — ფოკოსი. განრისხებული მამისაგან განრიდების მიზნით ისინი სამშობლოდან გადაიხვეწნენ. პელევსი თესალიაში დასახლდა ფთიის მეფე ევრიტოსთან და მისი ქალიშვილი ცოლად შეირთო. კალიდონის ნადირობისას პელევსს ევრიტოსი შემოაკვდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო. ამჯერად ის მისმა ძველმა მეგობარმა იოლკოსის მეფე აკასტოსმა შეიფარა. აკასტოსის ცოლმა შეიყვარა პელევსი, მაგრამ პელევსმა, რა თქმა უნდა, მას თანაგრძნობა არ გაუწია. სიყვარულითა და თავმოყვარეობით გაბოროტებულმა ქალმა პელევსს ცილი დასწამა, ქმარს მოახსენა, რომ თითქოს მას პელევსი მოსვენებას არ აძლევდა. განრისხებულმა აკასტოსმა პელევსი უდაბნოში უიარაღოდ დატოვა, რათა მხეცებს დაეგლიჯათ იგი, ან შიმშილისაგან დაღუპულიყო. შემთხვევით გადარჩენილმა პელევსმა რამოდენიმე ხნის შემდეგ იოლკოსი დაიპყრო და აკასტოსი მოკლა. ერთი მითი პელევსისა და თეტიდას ქორწინების შესახებაც გვეამბობს: თითქოს ღმერთებმა თაიანთი სურვილით მიათხოვეს ღმერთქალი მოკვდავ პელევსს, ხოლო მითის სხვა ვარიანტის მიხედვით გმირმა ზღვის ღმერთქალი გამოქვაბულში ჩაკეტა და ძალაობით დაიმორჩილა. ამ ქორწინების შედეგად დაიბადა აქილევსი. მითში ასახულია ღმერთების მოკვდავებთან ცოლ-ქმრული დამოკიდებულების ბერძნულ მითოლოგიაში საკმაოდ გავრცელებული მოტივი, რითაც ბერძენ ღიდგუაროვნებს სურდათ დაემტკიცებინათ თავიანთი ღვთაებრივი წარმომავლობა.

პელევსი მონაწილეობდა არგონავტების ლაშქრობაში, ტროის ომში, კალიდონის ნადირობაში. პელევსი გარდაიცვალა ღრმად მო-

ხუცებული კუნძულ კოსოსზე. ანტიკურ ხელოვნებაში პელეუსი ხშირად თეტიდასთან ჭიდილში გამოისახებოდა.

პ ე ლ ი ა დ ე ბ ი, ბერძნ. — პელიასის შთამომავლები: აკასტოსი, ალკესტიდა და სხვა.

პ ე ლ ი ა ს ი, ბერძნ. (Πελίας, ό) იასონის ბიძა. პოსეიდონისა და ტიროს ვაჟი, ნელევსის ძმა. აკასტოსის, ალკესტიდასა და სხვათა მამა. იოლკოსის მფლობელი (თესალიაში). გადმოცემის თანახმად ტირომ პოსეიდონისაგან დაბადა ტყუპები — ნელევსი და პელიასი და ამის შესახებ არაყის გააგებინა — ბავშვები ბეღის ანაბარა გადაყარა. ბავშვები გადარჩნენ და გაიზარდნენ. როდესაც ტყუპები დავაჟკაცდნენ, დედა მონახეს და გაჭირვებისაგან იხსნეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნელევსი მესანიაში დასახლდა და დასაბამი მისცა პილოსელ მეფეებს, ხოლო პელიასი მშობლიური ქალაქის მმართველად დარჩა. ერთი ძველი მითი პელიასს არგონავტების ლაშქრობასთანაც აკავშირებს.

ტიროს ამით გარდა შვილები ჰყავდა კრეთევსისაგან, რომლებიც თესალიის ქალაქების მმართველები გახდნენ. პელიასმა იოლკოსი რომ დაიპყრო, ესონი (ტიროს ვაჟი) ტახტიდან ჩამოაგდო. როდესაც ესონის ვაჟი — იასონი გაიზარდა, პელიასს გამოეცხადა მემკვიდრეობის მისაღებად, პელიასმა უარი კი არ უთხრა. მაგრამ მოსთხოვა ჯერ კოლხეთიდან ოქროს საწმისი ჩამოეტანა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა იგი სამეფო ტახტის ღირსეული მემკვიდრე. იასონმა პელიასის დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. მაგრამ პელიასმა მაინც უარი განუცხადა პირობის შესრულებაზე (პელიასს ეგონა იასონი იქ დაიღუპებოდა და სწორედ ამიტომ მისცა ასეთი დავალება). მაშინ იასონის ცოლმა, სასწაულმოქმედმა კოლხმა ქალმა — მედეამ პელიასის ქალიშვილებს შთააგონა, რომ მას შეეძლო მათი მოხუცი მამის გაახალგაზრდავება. ამისათვის კი — მედეას სიტყვით — საჭირო იყო მოხუცის დანაკუწება და დიდ ქვაბში მოხარშვა. პელიასის ქალიშვილები მართლაც ასე მოიქცნენ. მოტყუებულმა პელიასის შვილებმა იასონი და მედეა, რა თქმა უნდა, იოლკოსიდან გააძევეს. (მითის საკმაოდ გავრცელებული ვარიანტის მიხედვით იასონი და მედეა არა თუ გააძევეს, არამედ თვით მათ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება). იოლკოსის მეფე ამის შემდეგ პელიასის ვაჟი აკასტოსი გახდა.

პ ე ლ ი ო ნ ი, ბერძნ. (Πήλιον, τό) მთა შუა საბერძნეთში, რომელთანაც მრავალი მითია დაკავშირებული. მაგალითად, გიგანტებმა მოისურვეს პელიონისა და ოსას ოლიმპოზე შედგმა, რათა მათი საშუალებით ცამდის მიეღწიათ. ხსენებული მითების მიხედვით ეს გიგანტებმა კი არა, არამედ ალოადებმა მოისურვეს, რათა არტემიდესა და ჰერას სიყვარული მოეპოვებინათ, მაგრამ ამ თავხედობისათვის ისინი აპოლონმა მოკლა. პელიონი ნახსენებია არგონავტების თქმულებაში. არგო სწორედ პელიონის მთაზე მოჭრილი ხეებით ააგეს. პელიონის მთის ერთ-ერთ გამოქვაბულში ცხოვრობდა, თითქოს, კენტავრი ქირონი.

პ ე ლ ო პ ე ა, ბერძნ. (Πελόπεια, ή) 1. თიესტეს ქალიშვილი, ატრევსის შეუღლე. ეგისთეს დედა. 2. პელიასის ერთ-ერთი ასული.

პ ე ლ ო პ ი დ ე, ბერძნ. (Πελοπίδης, ό) პელოპის ვაჟი ან შთამომავალი.

პ ე ლ ო პ ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Πελοπίδαι, οἱ) პელოპიადებსაც უწოდებენ ზოგჯერ. — პელოპის შთამომავლები.

პ ე ლ ო რ ე ვ ს ი, ბერძნ. (Πελλωρεύς, ό) ერთ-ერთი სპარტთაგანი, რომელსაც ზოგჯერ პელოროსს, ზოგჯერ კი პელორსაც უწოდებენ. ერთი ლეგენდის თანახმად არესმა და ათენამ მისცეს დრაკონის კბილების ნახევარი აიეტს, ნახევარი კი — კადმოსს, კადმოსმა დათესა კბილები, მათგან მეომრები აღმოცენდნენ, რომელთაგან ერთ-ერთის პელორევსი ეწოდა.

პ ე ლ ო პ ი, ბერძნ. (Πέλοψ -οπος, ό) ლიდიელი გმირი, მცირე აზიის მმართველის — ტანტალოსის ვაჟი, ნიობეს ძმა, პიტოდამიას ქმარი, ატრევსის მამა, ელიდისა და არგოსის მეფე, პელეპონესის ეპონიმი.

ერთი მითი გვიამბობს, რომ ტანტალოსმა საკუთარი ვაჟი — პელოპი ნაკუწებად დაჭრა და სუფრაზე მიართვა თავის ოჯახში მიწვეულ ოლიმპიელებს. ღმერთებმა გაიგეს რაშიც იყო საქმე და უცვეულ ოლიმპიელებს. ღმერთებმა გაიგეს რაშიც იყო საქმე და უცნაურ კერძს ხელი არ ახლეს. მხოლოდ ქალიშვილის დაკარგვით გაბრუებულმა დემეტრემ ვერ მიაქცია ყურადღება ამ ამბავს და ხორცის ერთი ნაჭერი შეჭამა. ადამიანის მსხვერპლის უარმყოფელმა ღმერთებმა ჰერმესს პელოპის გაცოცხლება დაავალეს. ჰერმესმა მართლაც შეაკოწიწა ყმაწვილის ნაჭრები, დემეტრესაგან შეჭმული ნაჭრის – ბეჭის ერთი ნაწილის მაგივრად სპილოს ძვალი გამოიყენა, დიდ ქვაბში ჩადო და ხარშვა დაუწყო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ქვაბიდან გაცოცხლებული პელოპი წამოდგა, მაგრამ ბეჭზე თეთრი ნიშანი ეტყობოდა. გადმოცემის თანახმად პელოპის ყველა შთამომავალს ამის გამო ბეჭზე თეთრი ლაქა ჰქონდა. ტანტალოსის ასეთი მოქმედების მიზეზად ადრე ღმერთებისადმი მის დიდ პატივისცემას მიიჩნევდნენ, შემდეგ კი მიიჩნიეს, რომ ეს ყოველივე

ტანტალოსმა ღმერთების გამოცდის მიზნით გააკეთა, მაგრამ ამისათვის იგი მათ ჰადესში ჩაგდებით დასაჯეს. მითის ეს ვარიანტი იმ ეპოქაში უნდა შექმნილიყო, როდესაც თანდათანობით იკრძალებოდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვის უძველესი ტრადიცია.

პელოპმა ცოლად შეირთო პისის მეფის ენომაოსის ქალიშვილი—ჰიპოდამია. როდესაც პელოპი სახელმწიფოს მმართველი გახდა, პირობის თანახმად სახელმწიფოს ნახევარი მირტილოსისათვის უნდა მიეცა (იხ. ენომაოსი), მაგრამ პელოპს ეს არ სურდა და ამიტომ მირტილოსი კლდის ქიმიდან ზღვაში გადააგდო და დაღუპა. გადმოცემის თანახმად სიკვდილის წინ მირტილოსმა დაწყევლა პელოპი და მთელი მისი შთამომავლობა. თითქოს მირტილოსის წყევლა მართლა აუხდა პელოპს. პელოპს ჰიპოდამიასაგან შეეძინა ატრევსი, თიესტე, ალკათოოსი, ოლიმპიაში არსებობდა პელოპის კულტი. მითი გადმოგვცემს, რომ პელოპი დიდი ხნის მეფობის შემდეგ ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა და დიდი პატივითაც დაასაფლავეს. თითქოს მისი დაკრძალვების ცერემონიალი დაედო საფუძვლად ოლიმპიურ თამაშობებს.

პ ე ნ ა ტ ე ბ ი, ლათ. (Penates) წინაპართა განმასახიერებელი უძველესი, მფარველი ღვთაებები ძველ რომში, რომელთა კულტი ჯერ კიდევ რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე ჩანს შექმნილი. რომაელები აღიარებდნენ როგორც საერთო რომაულ, ისე საოჯახო პენატებს. მათი წარმოდგენით ოჯახის პენატები იცავდნენ მის ერთიანობას, სიმშვიდესა და სიკეთეს. ამიტომაც, არ იქნებოდა რომის არც ერთ ოჯახში რაიმე დღესასწაული, რომ პენატებისათვის მსხვერპლი არ შეეწირათ. რაც შეეხება საზოგადოებრივ პენატებს, ისინი იცავდნენ მთელი რომაელი ხალხის ერთიანობასა და კეთილდღეობას. საეროო პენატების თაყვანისცემის ადგილად ითვლებოდა ვესტას ტაძრის ის საკრალური ნაწილი, რომელსაც პენუსი ეწოდებოდა, რომლის სახელწოდებაც პენატებთან დაკავშირებული ჩანს. რომაელებს არ ჰქონდათ დადგენილი, თუ რომელი ღვთაებები ითვლებოდნენ პენატებად. თვითეულ ოჯახს ჰყავდა რაიმე ვენიმე მფარველი ღვთაება და უმთავრესად პენატებს სწორედ მათ უწოდებდნენ. ქალაქ პომპეის ერთი ფრესკის მიხედვით ირკვევა, რომ სახელმწიფოებრივ პენატებად ძირითადად ითვლებოდნენ: ვესტა, იუპიტერი, ვულკანი, ვენერა და დიოსკურები. საოჯახო პენატებს კერიის მახლობლად კედელზე გამოსახავდნენ. გადატანითი მნიშვნელობით პენატი ნიშნავს მშობლიურ კერას, ოჯახს.

პ ე ნ ე ლ ო პ ე, ბერძნ. (Πηνελόπη, ἡ) იკარიოსისა და ფერიბოეს ქალიშვილი, ოდისევსის ცოლი, ტელემაქეს დედა. გადმო-

ცემის თანახმად პენელოპე ოდისევსს ცოლად მისცა მისმა ახლო ნათესავმა. სხვა ვარიანტით კი პენელოპე ოდისევსს წილად ერგო შეჯიბრებაში გამარჯვების ჯილდოდ. პენელოპე „ოდისეას“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირია. იგი ქალური დიდებულების, ერთგული მეუღლის იდეალია. ოცი წლის განმავლობაში მან ათასგვარი ხერხი გამოიგონა ახირებული ადგილობრივი დიდებულების თავიდან მოსაცილებლად, რომლებიც ყოველდღიურად დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ერთ-ერთ მათგანს ცოლად გაჰყოლოდა. პენელოპეს პირობის თანახმად, ერთ-ერთ ღირსეულ საქმროს ქალი მხოლოდ მის მერე გაჰყვებოდა, როდესაც დაასრულებდა თავისი მამამთილის — ლაერტეს ცხედარზე გადასაფარებელ სუდარის ქსოვას, რადგანაც, თითქოს მან ოდისევსს პირობა მისცა, რომ მამამისს ღირსეულად დაასაფლავებდა.

პენელოპე რასაც დღე ქსოვდა, ღამე არღვევდა და საქმეს დასრულება არ უჩანდა. იგი ფიქრობდა, იქნებ ამასობაში ოდისევსიც გამოჩნდესო. დიდი ხნის შემდეგ მსახურმა ქალმა გასცა პენელოპეს საიდუმლო და საქმეროებმა აიძულეს დაესრულებინა ქსოვა. მაშინ ჰკვიანმა ქალმა მეორე პირობა მისცა აბეზარ საქმეროებს: ცოლად გაყვებოდა იმ რჩეულ ვაჟკაცს, რომელიც მისი პირველი ქმრის ოდისევსის მშვილდით სროლაში გაიმარჯვებდა. (მან კარგად იცოდა, რომ მისი ქმრის გოლიათურ მშვილდის ლარს ვერცერთი მათგანი ვერ მოზიდავდა). სწორედ გადამწყვეტ დღეს ოდისევსიც გამოჩნდა და მისი მეუღლისა და მის შეურაცხმყოფლებს სამაგიერო გადაუხადა — ერთიანად ამოხოცა ისინი. ოდისევსის შინ დაბრუნების სცენა ერთ-ერთი ულამაზესი ლირიკული ადგილია „ოდისეაში“.

გვიანდელი მითები პენელოპეს სახეს სხვანაირად წარმოგვიდგენენ.

თითქოს ოდისევსის სიკვდილის შემდეგ პენელოპე ტელეგონოსს მისთხოვდა და მისგან ვაჟი იტალოსი შეეძინა. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით პენელოპემ ოდისევსს უღალატა, ჰერმესი შეიყვარა და მისგან შეეძინა ვაჟიშვილი პანი. (სხვა ვარიანტის მიხედვით პანი პენელოპეს საქმროების საერთო შვილია. შდრ. πᾶν (პან)—ყველა). თითქოს ხეტიალიდან დაბრუნებულმა ოდისევსმა განდევნა მოღალატე ცოლი, რომელიც სპარტაში გადაიხვეწა. გვიანდელი მითები იმდენადაა განსხვავებული, რომ შეიქმნა აზრი შეორე პენელოპეს არსებობის შესახებ — თითქოს ეს იყო ლაკონიელი ფერია, ჰერმესის ცოლი და პანის დედა. გვიანდელი მითები ნაკლებად გაურკვეველია და პენელოპე მაინც ერთგული, ქმრისმოყვარული და იდეალუ-

რი ცოლის გამსახიერებად დარჩა, პენელოპეს შრომა კი დაუსრულებელი სამუშაოს სინონიმად იქცა.

პენთევსი, ბერძნ. (Πενθεύς, ὁ) კადმოსის შვილიშვილი, თებეს ერთ-ერთი მეფე. სურდა მოეშლევინებინა ქალებისათვის დიონისესადმი პატივისცემა. ამისათვის იგი დაგლიჯეს ბაკხელებმა, როცა ლებშიც დედამისიც ერია.

პენთესილეა, ბერძნ. (Πενθεσίλεια, ἡ) ამაძონების (ამორძალების) დედოფალი. ტროის ომში ეხმარებოდა ტროელებს და მოკლა აქილევსმა. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით იგი აქილევსმა კი არ მოკლა, არამედ ტყვედ წაიყვანა და შემდეგ ცოლად შეირთო.

პენია, ბერძნ. (Πενία, ἡ) სიღარიბის განსახიერება და ღვთაება ძველ საბერძნეთში. ხშირად მას ომის ღმერთის არესის შვილად მიიჩნევდნენ.

პერგამოსი, ბერძნ. (Πέργαμος, ὁ) ანდრომაქეს ვაჟი. ქალაქ პერგამოსის მითიური დამაარსებელი და ეპონიმი. ქალაქ პერგამოსში მდებარეობდა პერგამოსის ცნობილი სამისნო.

პერგუსი, ლათ. (Pergus) ტბა სიცილიაში, რომლის მახლობლადაც თითქოს ჰადესმა პერსეფონე მოიტაცა.

პერდიკი, ბერძნ. (Πέρδιξ -ικος, ὁ) გარეულ მამალს, კაკაბს ნიშნავს ქართულად. დედალოსის ნათესაი და მოწაფე, რომელმაც მასწავლებელს აჯობა ხელოსნობასა და მოხერხებაში. მას მიეწერება ხერხის, ფარგლის, სამეთუნეო ჩარხის და სხვა იარაღთა გამოგონება. თავისი მოსწავლის ასეთი წარმატებით გაჯავრებულმა დედალოსმა მას ხელი ჰკრა და ტაძრის სახურავიდან გადმოაგდო, მაგრამ პერიდიქსი არ დაიღუპა და გარეულ მამლად გადაიქცა. ერთი მითის თანახმად ამ ფრინველს ხერხის მინამსგავსი ხმა ჰქონდა. მითი დაამუშავა ოვიდიუსმა „მეტამორფოზებში".

პერვიგილიები ლათ. (Pervigilium) რელიგიური რიტუალები, რომლებიც იმართებოდა როგორც რომში, ისევე საბერძნეთში სხვადასხვა ღვთაების პატივსაცემად. საბერძნეთში პერვიგილიები იმართებოდა დემეტრეს, პერსეფონესა და დიონისეს, ხოლო რომში ბონა დეასა და ვენერას საპატივცემოდ. ჩვენამდე მოღწეულია უცნობი ავტორის ნაწარმოები „ვენერას პერვიგილიები".

პერიბოია, (Περίβοια, ἡ) 1. მეროპეს ერთ-ერთი სახელი. 2. ფერეა. იკარიოსის ცოლი, პენელოპეს დედა. 3. ტელამონის მეორე ცოლი, ეაკოსის დიდის დედა. 4. ჰიპონოეს ქალიშვილი, ენევსის მეორე ცოლი, ტიდეუსის დედა.

პერიკლიმენოსი, ბერძნ. (Περικλύμενος, ὁ) პილოსის მეფის — ნელეევსის ვაჟი, ნესტორის ძმა, არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე. პოსეიდონმა მისცა სასურველი სახის მიღების უნარი. როდესაც ჰერაკლემ ნელეუსის ვაჟები ამოხოცა, ერთი მათის მიხედვით პერიკლიმენოსი არწივად იქცა და გმირს შეებრძოლა, მაგრამ ჰერაკლემ ისიც მოკლა, თუმცა არა როგორც ნელეევსის ვაჟი, არამედ როგორც თავდამსხმელი მტაცებელი ფრინველი. მითი დაამუშავა ოვიდიუსმა „მეტამორფოზებში".

პერიმედე, ბერძნ. (Περιμήδη, ἡ) 1. გრძნეული კოლხი ქალი, საფიქრებელია, იყოს იგივე მედეა. 2. ნელევსის ქალიშვილი, ფიხევსის ცოლი, ევროპეს დედა.

პერიმელე, ბერძნ. (Περιμήλη, ἡ) ადმეტოსის ქალიშვილი, ევმელოსის და, მაგნესის დედა.

პერიფანტოსი, ბერძნ. (Περίφαντος, ὁ) ატიკის მითიური მეფე, რომელიც შემდეგ კეკროპმა შესცვალა. პერიფანტოსი ძალიან უყვარდა აპოლონს და თითქოს ხალხიც, როგორც ზევსს, ისევე თვე პატივს სცემდა. ამაზე ზევსი განრისხდა და თავისი მოკვდავი მეტოქე არწივად აქცია.

პერიფეტე, ბერძნ. (Περιφήτης, ὁ) ჰეფესტოს ვაჟი. მოკლა თეზევსმა.

პერმესელი ქალიშვილები, ბერძნ. ზოგჯერ პერმესელ დედოფლებსაც უწოდებენ ხოლმე, — მუზების ზედმეტი სახელი მდინარე პერმესის მიხედვით, რომელიც ჰელიკონის მთიდან გამოედინება.

პერო, ბერძნ. (Πηρώ, ἡ) ნელევსის ქალიშვილი, ნესტორის და, ბიანტოსის ცოლი, მელამპოდოსის რძალი. არგონავტების — ტალაოსის, არეიოსისა და ლაოდიკეს დედა.

პერსე, ბერძნ. (Πέρση, ἡ) ოკეანიდი, ერთი მითის მიხედვით ჰელიოსის მეუღლე. აიეტის, პასიფაესა და კირკეს დედა.

პერსევსი, ბერძნ. (Περσεύς, ὁ) ზევსისა და დანაეს ვაჟი, ანდრომედას ქმარი. არგოსელ თქმულებათა ერთ-ერთი მთავარი გმირი. ყველაზე მეტად გავრცელებული მითის მიხედვით არგოსის მეფეს (ზოგი ვარიანტით მეფისწულს) უწინასწარმეტყველა სამისნომ, რომ მის ქალიშვილს დანაეს ეყოლებოდა ვაჟი, რომელიც პაპას მოკლავდა და ტახტს წაართმევდა. ამ უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით მეფე აკრისიოსმა ქალიშვილი კოშკში ჩაამწყვდია, მაგრამ მას მაინც დაუკავშირდა ზევსი (ოქროს წვიმის სახით)

და დანაშ პერსეუსი დაბადა. მეფის ბრძანების თანახმად ახალდაბადებული დედასთან ერთად ყუთში ჩასვეს და ზღვაში გადააგდეს. ყუთი ზღვის ტალღებმა კუნძულ სერიფოსზე გარიყა და დედაშვილი დაღუპვისაგან მეთევზე დიქტისმა იხსნა. კუნძულის მეფეს — დიქტისის ძმას — პოლიდექტეს თავდაპირველ განზრახვაში არ შეუყვარდა დანაე, მაგრამ ვერაფრით მოიშორა უკვე მოზრდილი პერსეუსი (იგი ზღაპრული სიჩქარით იზრდებოდა). მისი თავიდან მოცილების მიზნით მან პერსეუსს გორგონა-მედუზას თავის მოტანა დაავალა, რომლის მარტო შეხედვაც კი ყველაფერს ქვად აქცევდა. ათენასა და ჰერმესის დახმარებით პერსეუსმა მიაღწია სამი დის — გრაების ადგილსამყოფელამდე, რომელთაც სამივეს ერთად ჰქონდათ მხოლოდ ერთი თვალი და ერთი კბილი. პერსეუსმა მათ ესეც მოსტაცა და დაბრუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეჰპირდა, თუ მისცემდნენ მფრინავ ქოშებსა და უჩინმაჩინის ქუდს. (ჰადესის ჯადოსნური ჩაჩქანსა და ჯადოსნურსავე ტომარას). გრაებმა პერსეუსს სურვილი შეუსრულეს და გზაც კი მიასწავლეს გორგონა-მედუზასაკენ. (ზოგი ვარიანტის მიხედვით პერსეუსს მფრინავი ქოშები და უჩინმაჩინის ქუდი ფერიებმა მისცეს). ასე შეიარაღებული პერსეუსი მივიდა მედუზასთან და თავი მოაჭრა. უკან დაბრუნებისას პერსეუსმა აფრიკას გადაუარა მფრინავი ქოშების შემწეობით. გორგონას მოკვეთილი თავიდან სისხლი წვეთავდა, წვეთები მიწას ეცემოდნენ და გველებად იქცეოდნენ. თითქოს გველებმა აფრიკა უდაბნოდ აქციეს (საჰარის უდაბნო). ფრენისას პერსეუსმა გადაუფრინა ზღვის ურჩხულის შესაჭმელად განწირულ, კლდეზე მიჯაჭვულ ანდრომედას. გმირმა განწირული ქალი შენიშნა, მიწაზე დაეშვა. ურჩხული მოკლა და ანდრომედა ცოლად შეირთო. როდესაც პერსეუსი კუნძულზე დაბრუნდა, დედა ტაძარში გამოქვეყნილი დახვდა — თურმე პატიოსანი ქალი აბეზარ მეფეს ემალებოდა. პერსეუსმა მეფეს გორგონას თავი დაანახა და ქვად აქცია. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით პერსეუსმა ქვად აქცია ანდრომედას მამა კეფევსიც, რომელიც ცდილობდა გმირი მოეტყუებინა და ქალიშვილი ცოლად არ მიეცა. გაბარჯღვებულმა პერსეუსმა მფრინავი ქოშები და უჩინ-მაჩინის ქუდი პატრონს დაუბრუნა, ხოლო გორგონა მედუზას თავი ათენა ღმერთქალს მიართვა. ამის შემდეგ პაპის სანახავად პერსეუსი არგოსში წავიდა და თამაშის დროს მართლაც შემთხვევით შემოაკვდა იგი. ანდრომედასაგან პერსეუსს შეეძინა ერთი ქალიშვილი და ექვსი ვაჟი. მათ შორის პერსესი, რომელიც სპარსელების წინაპრად ითვლებოდა. პერსეუსს თვლიდნენ მიკენის დამაარსებლად. როგორც ჩანს,

პერსეუსის მითში შემორჩენილია თქმულება მზისა და სიბნელის ღვთაებაზე, რომელმაც სიბნელე დაამარცხა.

პერსეუსის კულტი გავრცელებული იყო სერიფოსსა და ათენში. გვიანდელი მითების მიხედვით ღმერთებმა პერსეუსი თავის მახლობლებთან ერთად ცად ალამაღლეს და თანავარსკვლაყედად აქციეს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით პერსეუსი აღმოსავლური წარმოშობისაა, ზოგი კი მას მიკენელ გმირად მიიჩნევს და ამის დასასაბუთებლად მითის მოქმედ პირთა სახელებს იყენებს. სოფოკლემ და ევრიპიდემ ამ მითის მიხედვით შექმნეს ტრაგედიები „ანდრომედა".

პერსესი, ბერძნ. (Πέρσης, ბ) 1. ტიტანი, კრიოსის ვაჟი, ასტერიოსის ძმარი, ჰეკატეს მამა. 2. პერსეუსისა და ანდრომედას ვაჟი.

პერსეპტოლისი, ბერძნ. (Περσέπτολις, ბ) ტელემაქესა და ნესტორის ქალიშვილის — პოლიკასტეს ვაჟი.

პერსეფონე, ბერძნ. (Περσεφόνη, ჩ) ზევსისა და დემეტრეს ქალიშვილი. ჰადესის (პლუტონის) ცოლი, ითვლებოდა მიწისქვეშეთის, მიწის წიაღის ღვთაებად. მისი კულტი პელოსში ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში უნდა არსებულიყო. თვითონ სახელწოდება პერსეფონე მის წინაბერძნულ წარმოშობაზე მიუთითებს. მას შემდეგ, რაც ბერძნები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოვიდნენ, პერსეფონე კორასთან გააიგივეს. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითების მიხედვით პერსეფონე ჰადესმა მოიტაცა და ცოლად შეირთო. მიწისქვეშეთში ჩაყვანისას ჰადესმა პერსეფონეს ძალით ჩააყლაპა ურწყვის ცოლ-ქმრული ურთიერთობის სიმბოლო — ბროწეულის ორეული მარცვლები. რამოდენიმე ხნის შემდეგ დემეტრემ მოალბო ჰადესის გული და ქალიშვილი კვლავ თავისთან დაიბრუნა, მაგრამ იმ პირობით, რომ წელიწადის გარკვეულ პერიოდს იგი მაინც ჰადესთან გაატარებდა. მითის ამ ვარიანტის მიხედვით პერსეფონე მცენარეულობის ღვთაებად წარმოგვიდგება. თითქოს ბუნება მაშინ კვდება (ან იძინებს), როდესაც პერსეფონე ჰადესთანაა (ზამთრობით).

არსებობს მითის სხვა ვარიანტი, რომლის მიხედვით პერსეფონე დემეტრეს ქალიშვილი კი არ არის, არამედ მიწისქვეშა მდინარის ღვთაების შთამომავალი, მრისხანე და პოროტი მბრძანებელია.

გვიანდელი მითების მიხედვით პერსეფონე ზევსის ცოლი დაძგრევსის დედაა. მოგვიანებით იგი გეასთან, რეასთან, ჰეკატესთან, ისიდასთან და სხვა ღმერთქალებთან გააიგივეს. რომში პერსეფონეს პროზერპინა უწოდეს და ლიბერასთან გააიგივეს. როგორც მიწისქვეშა სამყაროს ღმერთქალი, პერსეფონე გამოისახებოდა ჰადე-

სის გეურდით... ცალ ხელში ლარიდანი ეჭირა, მეორეში კი ბროწეულის ნაყოფი. როგორც ნაყოფიერების ღმერთქალი კი, პერსეფონე გამოისახებოდა ახალგაზრდა, ლამაზ ქალიშვილად, ხელში ეჭირა პურის თავთავები ან ყვავილთა თაიგული.

პეტეოსი, ბერძნ. (Πετεώς, ὁ) აიენის მითიური მეფე, რომელიც ეგეოსმა სამეფოდან განდევნა და ფოკიდაში გააქცია.

პიანეფსიები, ბერძნ. (Πυανέψια, τά) აპოლონის, როგორც მზის ღმერთისადმი მიძღვნილი ყოველწლიური დღესასწაულები. ძველ საბერძნეთში ყოველ შემოდგომაზე აპოლონს, როგორც მზისა და სინათლის ღვთაებას, დიდი ზეიმითა და პატივით აცილებდნენ იმ მიზნითა და იმედით, რომ მომავალი წლისათვის კვლავ დაბრუნებულიყო თავის კეთილსმყოფელებთან და თავისი მკურნალობით გახაფხულით მოეყვანა.

პიგმალიონი, ბერძნ. (Πυγμαλίων, ὁ) 1. კვიპროსის ლეგენდარული მეფე და მოქანდაკე. მან შექმნა მრავალი ქანდაკება, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო ულამაზესი გალატეას უმშვენიერესი ქანდაკება, რომელიც პიგმალიონს ძალიან უყვარდა. აფროდიტეს შეებრალა სიყვარულით გაგიჟებული ხელოვანი და ქანდაკება გააცოცხლა. სიხარულით აღტაცებულმა პიგმალიონმა გალატეა ცოლად შეირთო. გალატეასთან ბნიშვნელობით პიგმალიონს უწოდებენ თავის შემოქმედებაზე, თავის ქმნილებაზე შეყვარებულ ადამიანს. 2. ტროის ლეგენდარული მეფე, დიდონეს ძმა, პიგმალიონმა მოკლა თავისი სიძე სიქევსი ამ უკანასკნელის სიმდიდრის ხელში ჩაგდების მიზნით.

პიგმეები, ბერძნ. (Πυγμαῖοι, οἱ) ჭიდრის კაცების მითიური ტომი. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან — პიგმე — რაც სახოს ერთეულს წარმოადგენდა ძველ საბერძნეთში (ისევე როგორც წყრთა ჭართულში). ე. ი. პიგმე არის წყრთის ტოლა ადამიანი. „ილიადას“ მიხედვით პიგმეები ცხოვრობენ სამხრეთით, ოკეანის სანაპიროზე და ყოველწლიურად ეომებიან ჩრდილოეთიდან მიფრენილ წეროებს. ვეიახდელი ავტორები პიგმეების ადგილსამყოფელად ინდოეთს მიიჩნევენ. თანამედროვე მეცნიერთა აზრით პიგმეები უნდა იყვნენ ეკვატორიალურ ქვეყნებში მცხოვრები ველური პატარა ტანის ტომები, ე. წ. ჯუჯები. საგულისხმოა, რომ დღესათვის სამხრეთის ქვეყნებში მცხოვრებ პიგმეებს მრავალი უცნაურობანი ახასიათებთ. პიგმე ზოგჯერ გაღატანით იხმარება (ირონიულად) ფიზიკურად თუ გონიერულად პატარა ადამიანის აღსანიშნავად.

პიერუსი, ლათ. (Pierus) მაკედონიელი მოქალაქე, რომელმაც თავის ცხრა ქალიშვილს ცხრა მუზის სახელი დაარქვა. ერთი თქმულების მიხედვით პიერუსი ნამდვილი ცხრა მუზის მამა იყო. საყურადღებოა ისიც, რომ მუზებს პიერიელებს უწოდებდნენ.

პიეტატა, ლათ. (Pietas—tetis) სიწმიდისა და სათხოების განმასახიერებელი რომაელი ღმერთქალი. უპირველესად მას შვილებისაგან მშობელთა პატივისცემის მფარველად მიიჩნევდნენ. რომში პიეტატას ტაძარიც კი აუგეს. რომაელი მწერლები ამ ტაძრის აგებას უკავშირებენ ანტიოქოს III-ზე რომაელთა გამარჯვებას. უკავშირებენ მითსაც, რომლის მიხედვითაც სათნო რომაელმა ქალიშვილმა საკუთარი ძუძუთი გამოკვება შიმშილისაგან სიკვდილის პირს მიმდგარი დედა (ზოგი ვარიანტით მამა). რუბენსმა ამ მითის მიხედვით შექმნა სურათი „რომაელის მამისმოყვარეობა“. პიეტატას გამოსახულებები ძირითადად მონეტებზეა შემორჩენილი. იგი მოწიფულ ქალად გამოისახებოდა.

პითიო, ბერძნ. (Πυθία, ὁ, ἡ) აპოლონის დელფოური სამისნოს ქურუმი. (აპოლონის ამ ტაძარს პითიონიც ეწოდებოდა).

პითო, ბერძნ. (Πυθώ, ἡ) პარნასის წინაბერძნული სახელწოდება. აქ მდებარეობდა აპოლონის დელფოური ტაძარი და სამისნო.

პითონი, ბერძნ. (Πύθων -ωνος, ὁ) გველისაგან ნაშობი საშინელი გველი. ერთხელ, როდესაც აპოლონი ტაძრის ასაგებად აღგილს ეძებდა, მიადგა ერთ ველს, გადაწყვიტა აქ აგო ტაძარი, მაგრამ ეს აღგილი პითონის საბრძანებელი გამოდგა. აპოლონმა მოკლა პითონი და ტაძარი მაინც იქ აიშენა. (მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ამ აღგილებს ფლობდა არა პითონი, არამედ დელფინი, რის გამოც შემდეგ აქ აგებულ ტაძარს დელფის სამისნო ეწოდა). დელფის ამ ტაძრის ქურუმებს კი პითიები ეწოდებოდათ. ზოგიერთ აღგილებში დელფის დღესასწაულები მიიჩნიეს აპოლონის მიერ პითონის მოკვლის აღსანიშნავ საზეიმო ცერემონიალად.

პიკუსი, ლათ. (Picus) მიწდომრთა და ტყეთა რომაული ღვთაება. იგი ადამიანებს მომავალს უწინასწარმეტყველებდა. სატურნუსის ვაჟი, ფავნუსის მამა, პომონას ქმარი, ლაციუმის პირველი მეფე. პიკუსმა უარყო კირკეს სიყვარული და გაბრისხებულმა თავმოყვარე ქალმა შეურაცხმყოფელი კლდედ აქცია.

მოგვიანებით პიკუსს გამოსახავდნენ ხეზე ან ხის ბოძზე შემომჯდარ კოდალად, რომელიც თითქოს ადამიანებს მომავალს აუწყებდა.

პ ი ლ ა დ ე, ბერძნ. (Πυλάδης, ბ) ფოკიდელი მეფის ვაჟი, აგამემნონის ნათესაკი, ორესტეს გულითადი მეგობარი, იზრდებოდა ორესტეს მამის — აგამემნონის სახლში. ორესტესთან ერთად იმოგზაურა პილადემ ტაერიდაში არტემიდეს წმინდა ქანდაკების ჩამოსატანად და იქვე იპოვნეს მეგობრებმა ორესტეს და იფიგენია (იხ. იფიგენია). პილადემ ცოლად შეირთო ორესტეს და ელექტრა. გადატანითი მნიშვნელობით პილადე გულითად მეგობარს ეწოდება.

პ ი ლ ა ი ო ს ი, ბერძნ. (Πύλαιος, ბ) პელასგების წინამძღოლი ტროის ომში, ტროელების მოკავშირე.

პ ი ლ ე მ ე ნ ე, ბერძნ. (Πυλαιμένης, ბ) პაფლაგონების წინამძღოლი ტროის ომში, ტროელი გმირი. მოკლა მენელაოსმა.

პ ი ლ უ მ ნ უ ს ი, ლათ. (Pilumnus) მიწათმოქმედების ძველიტალიური ღვთაება, რომელიც თითქოს ხორბლის დაფქვის პროცესსაც განაგებდა. მოგვიანებით პილუმნუსი მოსავლიანობის ღმერთად აღიარეს. პილუმნუსი თავის ძმა პიკუსთან ერთად ახალშობილთა და მშობიარეთა ღვთაებადაც მიაჩნდათ.

პ ი ნ დ ო ს ი, ბერძნ. (Πίνδος, ბ) ეპირისა და თესალიის საზღვარზე მდებარე მთაგრეხილი, რომელიც აპოლონის ერთ-ერთ სამფლობელოდ მიაჩნდათ და პოეზიის თავშესაფარს უწოდებდნენ.

პ ი რ ა, ბერძნ. (Πύρρα, ჭ) პანდორესა და ეპიმეთეს ქალიშვილი, დევკალიონის მეუღლე, შეიძლება მასთან იყოს დაკავშირებული ლესბოსური ქალაქის — პირას სახელი.

პ ი რ ა მ ო ს ი, ბერძნ. (Πύραμος, ბ) ამავე სახელწოდების მდინარის ღვთაება მცირე აზიაში. არსებობს თქმულება პირამოსისა და მდინარის ფერია თისბეს შესახებ. ამ თქმულების მიხედვით პირამოსისა და თისბეს დაჭორწინებას ეწინააღმდეგებოდნენ მშობლები. შეყვარებულებს შორის მხოლოდ ერთი კედელი იყო და ამ კედელში არსებული ბზარის საშუალებით უზიარებდნენ შეყვარებულები ერთიმეორეს თავიანთ გულის ნადებს. ერთხელ მათ მოახერხეს და პაემანი დანიშნეს მდინარის პირას. პაემანის ადგილას თისბე ცოტა ადრე მივიდა, მაგრამ იქ უცებ ლომი შენიშნა, შეშინებულს მანდილი გადაუვარდა და გამოიქცა. ცოტა მოგვიანებით მისულმა პირამოსმა იპოვნა თავისი სატრფოს მანდილი, ეგონა ლომმა დაგლიჯაო და დაუფიქრებლად იქვე მოიკლა თავი. ამის შემდეგ ხელმეორედ მისულმა თისბემ პირამოსის გვამი ნახა და თვითონაც ზედ დააკვდა. მითი ფართოდ გავრცელდა ძველ საბერძნეთსა და რომში. ოვიდიუსის მიერ დამუშავებულმა ამ მითმა შემდეგში დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ ლიტერატურაზე.

პ ი რ ი ფ ლ ე გ ე თ ო ნ ტ ი, ბერძნ. (Πυριφλεγέθων -οντος, ცეცხლმოდებული). მიწისქვეშა სამყაროს ცეცხლმოდებული კუპრის მდინარე, რომელშიც დამნაშავეებს ყრიან ჰადესის განმგებელნი.

პ ი რ ო ს ი, ბერძნ. (Πύρρος, ბ) აქილევსისა და დეიდამიას ვაჟი. ნეოპტოლემოსის გვიანდელი სახელი. ნეოპტოლემოსის ეს სახელი გავრცელდა ელინიზმისა და რომის პერიოდში.

პ ი ს ი დ ი კ ე, ბერძნ. (Πεισιδίκη, ჭ) 1. ერთი მითის მიხედვით პელიასისა და ანაქსიბიას ერთ-ერთი ქალიშვილი, რომელმაც მედეას რჩევით თავის დებთან ერთად გაახალგაზრდავების მიზნით დაკუწა და მოხარშა მამა პელიასი. 2. ეოლოსისა და ენარეტეს ქალიშვილი, სიზიფოსის და.

პ ი ს ტ ო რ ი, ლათ. (Pistor –oris –მეწისქვილე, მეპურე) იუპიტერის ზედმეტი სახელი. სახელწოდება გალების თაყვანისმცემლებთანაა დაკავშირებული. როდესაც გალებმა კაპიტოლიუმს ალყა შემოარტყეს და რომაელებს შიმშილით ამოხოცვა, ანდა მტრების ხელში ჩავარდნა ელოდებოდათ, მეომრებს საზღვარში იუპიტერი გამოეცხადა და უბრძანა, რათა გალებისათვის გადაეგდოთ, რაც მათთვის ყველაზე ძვირფასი იყო. რომაელთა მეთაურებმა მოითათბირეს, რაც კი ფქვილი ჰქონდათ გამოაცხვეს და მტრებს დაუშინეს. მტერმა იფიქრა, ჩვენ რომაელების დამორჩილებას შიშმილით ვაპირებთ და თურმე ამით პური თავზე საყრელი ჰქონიათ და ალყას რაღაც აზრი აქვსო. გალებმა კაპიტოლიუმს ალყა მოხსნეს და რომაელები გადარჩნენ. სწორედ ამ ლეგენდით სურდათ ეხსნათ რომში იუპიტერ „მეპურის“ სამსხვერპლოს არსებობა.

პ ი ტ ა ნ ე, ბერძნ. (Πιτάνη, ჭ) პოსეიდონის სატრფო, ევაღნეს დედა.

პ ი ტ თ ე ე ს ი, ბერძნ. (Πιτθεύς, ბ) თეზევსის პაპა, ეთრას მამა, პელოპისა და ჰიპოდამიას (ზოგი ვარიანტით დიას) ვაჟი.

პ ლ ა ნ ე ტ ე ბ ი, ბერძნ. (πλάνης -ητος — მოხეტიალე). ძველმა ბერძნებმა ადრევე შეამჩნიეს და განასხვავეს „მოძრავი“ პლანეტები „უძრავებისაგან“ და მათ მოხეტიალენი შეარქვეს. პლანეტებს უმთავრესად ღმერთთა სახელებს უწოდებდნენ. მაგ. მერკური, მარსი, იუპიტერი, ვენერა, სატურნი და სხვა. ძველი ბერძნების წარმოდგენით პლანეტებზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანების ბედი.

პ ლ ა ნ ქ ტ ე ე ბ ი, ბერძნ. (Πλαγκταί, αἱ) მითიური, მოძრავი კლდეები, რომლებიც, თითქოს, პერიოდულად ეჯახებოდნენ ერთი-

მეორეს და არც ერთ სულიერს თავიანთ შორის არ ატარებდნენ. იგიც სიმპლეგადები.

პ ლ ე ი ა დ ე ბ ი, ბერძნ. (Πλειάδες, αἱ) ატლანტოსისა და ოკეანიდ პლეიონეს 7 ქალიშვილი. ერთ-ერთი მითის მიხედვით ერთი დის ჰიადის გარდაცვალების გამო დამწუხრებულმა დებმა თავი მოიკლეს და ღმერთებმა ისინი თანავარსკვლავედად აქციეს. სხვა მითის მიხედვით ორიონის დევნით განწყობილმა დებმა ღმერთებს შემწეობა შესთხოვეს; ღმერთებმა ისინი ჯერ მტრედებად და შემდეგ ვარსკვლავებად აქციეს. დოდონაში, სადაც მტრედები წმინდა ფრინველებად ითვლებოდნენ, მითის ასეთი ვარიანტი არსებობდა: თითქოს, მტრედებად ქცეული პლეიადები ზევსს ამბროსიას უზიდავდნენ. ერთხელ, როდესაც მათ ოლიმპოზე ამბროსია მიჰქონდათ და სიმპლეგადებს შორის გაიფრინეს, ბოლო მათგანი კლდეებში მოყვა და დაიღუპა. ზევსმაც, განაგრძობს ლეგენდა, ეს მტრედი სხვა მტრედთ შესცვალა. მოგვიანებით პლეიადები ციურ ფერიებად მიიჩნიეს და მათთან გაიერთიანეს მაია, ელექტრა და ტაიგეტე. მეშვიდე პლეიადის შესახებ არსებული მითი ცდილობს ახსნას, თუ რატომ არის თანავარსკვლავედის შვიდ ვარსკვლავთა შორის მეშვიდე ვარსკვლავი სხვებთან შედარებით ფერმკრთალი. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით თითქოს იმიტომ, რომ მეშვიდე მტრედადქცეული პელიადი სიმპლეგადებს შორის დაიღუპა და ზევსმა იგი შესცვალა სხვა მტრედით. მითის მეორე ვარიანტის მიხედვით კი იმიტომ, რომ მეშვიდე პელიადი მოკვდავს გაჰყვა ცოლად, ამიტომ ერიდება, იმალება და დედამიწიდან კარგად არ ჩანს.

რომაელები პლეიადებს ყურგილიებს უწოდებდნენ. გადატანითი მნიშვნელობით პლეიადებს უწოდებენ გამოჩენილ ადამიანთა ჯგუფს. (პლეადა). ამ მნიშვნელობით ეს ტერმინი პირველად იხმარეს ალექსანდრიელმა მეცნიერებმა 7 ცნობილი ტრაგიკოსის საერთო სახელის აღსანიშნავად.

პ ლ ე ი ო ნ ე, ბერძნ. (Πληϊόνη, ἡ) ერთ-ერთი ოკეანიდი, ატლანტოსის ცოლი, პლეიადების დედა.

პ ლ ე ი ს თ ე ნ ე, ბერძნ. (Πλεισθένης, ὁ) პელოპისა და ჰიპოდამიას ვაჟი, ატრევსისა და თიესტეს ძმა, აეროპეს ქმარი, არგოსის მეფე. ზოგიერთი მითის მიხედვით პლეისთენე აგამემნონისა და მენელაოსის მამაა. ზოგჯერ მას ატრევსის ვაჟადაც მიიჩნევენ.

პ ლ ე ი ს თ ე ნ ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Πλεισθενίδαι, οἱ) პლეისთენეს შთამომავალნი.

პ ლ ე ი ს ტ ო რ ო ს ი, ბერძნ. (Πλείστορος, ὁ) არაკეული ღვთაება.

პ ლ ე ქ ს ა ვ რ ე, ბერძნ. (Πληξαύρη, ἡ) ოკეანოსის ერთ-ერთი ქალიშვილი.

პ ლ უ ტ ო ნ ი, ბერძნ. (Πλούτων, ὁ) ჰადესის მეორე სახელი.

პ ლ უ ტ ო ს ი, ბერძნ. (Πλοῦτος,ὁ) სიმდიდრის ბერძნული ღვთაება. თავიდან პლუტოსი და პლუტონი ერთი და იგივე ღვთაება უნდა. ყოფილიყო. ის მოსავლიანობას მფარველობდა. ჰესიოდესთან პლუტოსი უკვე დამოუკიდებელი ღვთაებაა. მითის მიხედვით იასონი დეტრეს დაუკავშირდა სამგზის გადახნულ მინდორზე. ამ კავშირის შედეგად დაიბადა პლუტოსი. ზოგი მითის მიხედვით პლუტოსი ეირენეს შვილია. ყველაზე მეტად ცნობილია პლუტოსის სიმბოლური გამოსახულებანი: ყმაწვილის ხელში უჭირავს სიუხვის რქა, ხოლო პლუტოსი ხელში უჭირავს ეირენეს. არისტოფანეს პლუტოსი ბრმად ყოფს გამოყვანილი, რაც იმისი სიმბოლური გააზრებაა, რომ სიმდიდრე ბრმად, შეუსაბამოდ ნაწილდება.

პ ო დ ა ლ ე ი რ ი ო ს ი, ბერძნ. (Ποδαλείριος, ὁ) ასკლეპიოსის ვაჟი, მაქაონის ძმა. აქაველთა ჯარის ექიმი ტროის ომში.

პ ო დ ა რ გ ე, ბერძნ. (Ποδάργη, ἡ) იხ. ჰარპიები.

პ ო დ ა რ კ ე, ბერძნ. (Ποδάρκης, ὁ) პრიამოსის ბერველი სახელი, პროტესილაოსის უმცროსი ძმა.

პ ო ი ა ნ ტ ი, ბერძნ. (Ποίας -αντος, ὁ) არგონავტი. თაებაკოსის ვაჟი. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით პოიანტმა ისარი მოახვედრა ტალოსს ტუსლში და მოკლა.

პ ო ი ნ ე, ბერძნ. (Ποινή, ἡ) შურისძიების ერთ-ერთი ღმერთქალი.

პ ო ლ ე მ ო ს ი, ბერძნ. (Πόλεμος, ὁ) ომის განსახიერება, ბრძოლის ღმერთი, არესის თანამგზავრი, ფორკოსის ვაჟი, ენიოს ძმა.

პ ო ლ ი ბ ო ს ი, ბერძნ. (Πόλυβος, ὁ) 1. ანტენორის ვაჟი, ეგვიპტელთა წინამძღოლი, 2. ეურიმაქოსის მამა, პენელოპეს ჭაბრობის ერთ-ერთი პრეტენდენტი.

პ ო ლ ი დ ა მ ა ნ ტ ი, ბერძნ. (Πολυδάμας ,αντος, ὁ) ტროელი გმირი, ჰექტორის მეგობარი, „ილიადაში" ერთ-ერთი მოქმედი პირი. იგი მკაცრად ილაშქრებდა ჰექტორის ერთმმართველურ — მბრძანებლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

პ ო ლ ი დ ა მ ნ ა, ბერძნ. (Πολύδαμνα, ἡ) ეგვიპტელი გრძნეული ქალი, ბერძნული მითოლოგიის ცნობილი პერსონაჟი, სამწუხლებრივი წამლების დამამზადებელი.

პოლიდევკე, ბერძნ. (Πολυδεύκης, ბ) ზევსისა და ლედას ვაჟი. კასტორის ტყუპის ცალი, არგონავტი. პოლიდევკეს ხშირად ტრიდარეოსის ვაჟადაც მიიჩნევდნენ და პოლიდევკესა და კასტორს ტინდარიდებს უწოდებდნენ. პოლიდევკესა და კასტორს მიეწერება ათენა აზიელის ერთ-ერთი ტაძრის აგება.

პოლიდექტე, ბერძნ. (Πολυδέκτης, ბ) კუნძულ სერიფოსის მეფე, რომელმაც შეიკედლა პერსევსი და დანაე. პერსევსმა შემდეგ იგი ქვად აქცია (იხ. პერსევსი).

პოლიდორა, ბერძნ. (Πολυδώρα, ჩ) მელეაგროსის ქალიშვილი, პროტესილაოსის ცოლი. როდესაც პროტესილაოსი ტროის ომში დაიღუპა და ამის შესახებ პოლიდორამ გაიგო, თავი მოიკლა.

პოლიდოროსი, ბერძნ. (Πολύδωρος, ბ) 1. თებეს მეფე, კადმოსისა და ჰარმონიას ვაჟი. ლაბდაკოსის მამა. 2. პრიამოსის და ჰეკაბეს უმცროსი ვაჟი. ჰომეროსის დროინდელ მითში საუბარია იმაზე, რომ ტროის დაცემის შემდეგ პრიამოსმა პოლიდოროსი განძეულებით დატვირთა და ხერსონესის მმართველ პოლიმესტორთან გაგზავნა. პრიამოსის განძეულებით აღტაცებულმა პოლიმესტორმა პოლიდოროსი მოკლა და ზღვაში გადაგდო. (მითის ერთი ვარიანტის მიხედვით პოლიმესტორის ცოლმა პოლიდოროსი საკუთარი ვაჟით შესცვალა და ამდენად ჭაბუკი სიკვდილს გადაარჩინა). როდესაც ჰეკაბემ შვილის სიკვდილი გაიგო, პოლიმესტორს სამაგიერო მიუზღო — ამოხოცა მისი შვილები და თვით მას თვალები წამოთხარა. მითი დაამუშავა ევრიპიდემ ტრაგედიაში „ჰეკაბე“ და და ოვიდიუსმა „მეტამორფოზებში“.

პოლიეიდოსი, ბერძნ. (Πολύειδος, ბ) დიონისეს ჭურუმი, კორინთელი ექიმი და წინასწარმეტყველი, მანტოს მამა. პოლეიდოსმა თითქოს გადაარჩინა თაფლიან ჭურჭელში ჩაეორდნილი მინოსის ვაჟი.

პოლიმედე, ბერძნ. (Πολυμήδη, ჩ) ერთ-ერთი მითის მიხედვით იასონის დედა. ავტოლიკოსის ქალიშვილი.

პოლიმელა, ბერძნ. (Πολυμήλα, ჩ) იასონის დედა ჰესიოდეს მიხედვით.

პოლიმესტორი, ბერძნ. (Πολυμήστωρ, ბ) ხერსონესის მბრძანებელი (იხ. პოლიდოროსი).

პოლინეიკე, ბერძნ. (Πολυνείκης, ბ) ოიდიპოსისა და იოკასტეს ვაჟი, ეტეოკლეს ძმა, «შვიდთა თებეს წინააღმდეგ ლაშქრობის» მონაწილე (იხ. შვიდნი თებეს წინააღმდეგ).

პოლიტე, ბერძნ. (Πολίτης, ბ) ტროელი მეფისწული. პრიამოსისა და ჰეკაბეს ვაჟი. მან სახელი მოიხვეჭა სწრაფი სირბილით. იგი მოკლა ნეოპტოლემოსმა ტროის ომში. ოდისევსის ერთ-ერთი თანამგზავრი, სხვებთან ერთად კირკემ ისიც ღორად აქცია.

პოლიფემე, ბერძნ. (Πολυφήμη, ჩ) ავტოლიკოსის ასული, იასონის დედა ჰეროდორეს მიხედვით.

პოლიფემოსი, ბერძნ. (Πολύφημος, ბ) 1. კიკლოპი, პოსეიდონის ვაჟი. ხეტიალის დროს ოდისევსი თავის 12 თანამგზავრთან ერთად პოლიფემოსის გამოქვაბულში მოხვდა, სადაც ცალთვალა გოლიათი თავის ცხვრის ფარასთან ერთად ცხოვრობდა. პოლიფემოსმა, როდესაც თავის საბრძანებელში დაუპატიჟებელი სტუმრები ნახა, უზარმაზარი ლოდით ჩაკეტა გამოქვაბულის კარები, ოდისევსის 6 თანამგზავრი ჩაყლაპა და დანარჩენების შესაჭმელად მეორე დღისათვის ემზადებოდა. როდესაც მას ოდისევსი გამოეცხადა და პოლიფემოსმა სახელი ჰკითხა, ოდისევსმა უთხრა „არავინ“ მქვიან. შემდეგ მოტყუებით იგი ღვინით დაათრო, დაბრმავა და უზარმაზარი მუგუზლით ერთადერთი თვალი წამოთხარა. როდესაც გამწარებულმა პოლიფემოსმა თანამოძმე კიკლოპებს დასახმარებლად მოუხმო და მათ ჰკითხეს: ვინ წამოგთხარა თვალიო, პოლიფემოსმა უპასუხა: არავინო. კიკლოპებმა პოლიფემოსის ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს. დილას დაბრმავებული და განრისხებული პოლიფემოსი გამოქვაბულის კარებში ჩადგა და ყოველ გამსვლელ ცხვარს ზურგზე ეხებოდა, რომ მტრები არ გაპარვოდნენ. მაშინ ოდისევსმა თანამგზავრები ყოჩებს მუცელზე ამოაკრა, თვითონაც ყველაზე დიდ ყოჩს ამოეკრა და ასე, ეშმაკობით დააღწიეს თავი გამძვინვარებულ პოლიფემოსს. ამ ამბით განაწყენებული პოლიფემოსის მამა პოსეიდონი დიდხანს დევნიდა ოდისევსსა და მის თანამგზავრებს.

გვიანდელი მითების მიხედვით პოლიფემოსს უყვარდა ულამაზესი ნერეიდა — გალატეია, რის გამოც იგი დევნიდა აკიდს და მოკლა კიდეც უზარმაზარი ლოდის ტყორცნით, მაგრამ ღმერთებმა აკიდი მდინარედ აქციეს.

2. ერთ-ერთი ლაპითი. ლაპითების კენტავრების წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილე. ჰერაკლეს დის ქმარი. არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე. ჰერაკლესთან ერთად წავიდა პოლიფემოსი ჰილასის საძებნელად და ამრიგად მასთან ერთად ჩამორჩა არგონავტებს. მცირე აზიაში იგი მოკლეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა — ხალიბებმა.

პოლიფრონი, ბერძნ. (Πολύφρων, ბ) პოლიდოროსის ძმა. ქალაქ ფერეს უსასტიკესი ტირანი.

პოლიქსენე, ბერძნ. (Πολυξένη, ჩ) ტროელი მეფის ასული, პრიამოსის და ჰეკაბეს ქალიშვილი. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითები გადმოგვცემენ, რომ თითქოს აქილევსი აპოლონის ტაძარში პოლიქსენესთან შესახვედრად მივიდა და სწორედ მაშინ მოკლა პარისმა. ტროის აღების შემდეგ პოლიქსენე ტყვედ ჩაიგდეს აქაველებმა და ჰელესპონტის ევროპულ სანაპიროზე გადაიყვანეს. აქ მათ აქილევსის აჩრდილი გამოეცხადათ და მოითხოვა პოლიქსენე მისთვის მსხვერპლად შეეწირათ. პოლიქსენეს შეწირვა აქილევსის ვაჟს — ნეოპტოლემოსს დაევალა. მითი გამოიყენა ევრიპიდემ ტრაგედიაში „ჰეკაბე“.

პოლიჭო, ბერძნ. (Πολυχώ, ჩ) ლემნოსელთა დედოფლის — ჰიფსიპილეს ძიძა.

პომონა, (Pomona) ნაყოფის რომაული ღვთაება, ბაღ-ვენახების ღმერთის — ვერტუმნუსის სატრფო. ვერტუმნუსი მოხუცის სახით მივიდა პომონასთან და დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო ცოლად გაჰყოლოდა ვერტუმნუსს. პომონამ მიიღო რჩევა და მართლაც მისთხოვდა ვერტუმნუსს. მითის სხვა ვარიანტის მიხედვით პომონა პიკუსის ცოლია.

პონოსი, ბერძნ. (Πόνος, ბ) ერიდას ვაჟი, შრომის განსახიერება.

პონტიფიკები, ლათ. (Pontifex—fices-იდან) ქურუმთა კოლეგია ძველ რომში, რომელიც განაგებდა მთელი სახელმწიფოს რელიგიურ ცხოვრებას და თვალ-ყურს ადევნებდა ღმრთისმსახურებას. ამ კოლეგიის შექმნა მიეწერება რომის მეფეს — ნუმა პომპილიუსს. თავიდან კოლეგია სულ ოთხი წევრისაგან შედგებოდა და მათ უმაღლესი პონტექსი ხელმძღვანელობდა. 300 წელს ჩვენს ერამდე კოლეგიას კიდევ ოთხი წევრი მიამატეს, ხოლო დიქტატორმა სულამ მათი რაოდენობა 15-მდე გაზარდა. იმპერიის პერიოდში მთავარ პონტექსად იმპერატორი ითვლებოდა და თავისი სურვილის მიხედვით ცვლიდა წევრთა რაოდენობას. ამ დროისათვის უკვე არსებობდნენ მცირე პონტიფიკებიც, რომლებიც დამხმარეების ან გადამწერის მოვალეობას ასრულებდნენ.

პონტიფიკების მოვალეობას რელიგიის მეთვალყურეობის გარდა კალენდრების შედგენა და მეთვალყურეობა შეადგენდა. მათზე უფლებამოსილად მხოლოდ სენატი და სახალხო კრება ითვლებოდა. რომის კოლონიებშიც არსებობდნენ განსაკუთრებული პონტიფიკები,

მაგრამ ისინი რომის პონტიფიკებს ნაწილობრივ მაინც ემორჩილებოდნენ.

პონტოსი, ბერძნ. (Πόντος, ბ — ზღვა) გეას ნაშობი ღმერთი. ზღვის განსახიერება. ჰესიოდეს მიხედვით პონტოსს მამა არ ჰყავდა. პონტოსის და მიწის კავშირის შედეგად დაიბადნენ: ნერევსი, თავმანტი, კეტო, ევრიბია. ოლიმპიურ რელიგიაში პონტოსი მეორეხარისხოვან ღვთაებად ითვლებოდა. შავი ზღვის ეპონიმი.

პორთევსი, ბერძნ. (Πορθεύς, ბ) კალიდონის მეფე. აგრიოსის, მელანთოსისა და ტიდევსის მამა.

პორტუნუსი, ლათ. (Portunus) იანუსის მონათესავე. მგზავრთა მფარველი ძველრომაული ღვთაება. მოგვიანებით იგი ნავსადგურების ღვთაებად მიიჩნიეს და მელიკერტეს დაუკავშირეს. გამოისახებოდა გასაღებით ხელში. აგვისტოს თვეში რომში იმართებოდა ხოლმე პორტუნუსისადმი მიძღვნილი ზეიმები.

პორფირიონი, ბერძნ. (Πορφυρίων, ბ) ერთ-ერთი გიგანტი.

პოსეიდონი, ბერძნ. (Ποσειδῶν, ბ) ზღვის ღმერთი, კრონოსისა და რეას ვაჟი, ზევსის, ჰადესის, ჰერას, დემეტრესა და ჰესტიას ძმა. ამფიტრიტეს ქმარი. პოსეიდონის შვილებად ითვლება რამდენიმე ზღვის ურჩხული და გმირი: ტრიტონი, ამიკოსი, ანტეოსი, სკირონი, ოტოსი, ეფიალტოსი, კიკლოპი პოლიფემოსი და სხვ. მითების მიხედვით პოსეიდონი და ამფიტრიტე ზღვის ფსკერზე ცხოვრობდნენ, მათი ქვეშევრდომები იყვნენ ნერეიდები, ტრიტონები, ჰიპოკამპები და ზღვის სხვა ფანტასტიკური არსებანი. სამკბილას დარტყმით პოსეიდონი ხერეტდა კლდეებს და წარმოშობდა ქარბუქებს. მითების მიხედვით აპოლონთან ერთად პოსეიდონმა ააშენა ტროის კედლები; ძენწ ლაომედონტზე გაჯავრებულმა მის სამეფოს ურჩხული მიუგზავნა. ეს ურჩხული შემდეგში ჰერაკლემ მოკლა. პოსეიდონი ედავებოდა ათენას ატიკის მფლობელობაზე და თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად სამკბილას დარტყმით კლდეზე სამ ჭავლად წყარო წარმოადინა, მაგრამ ათენამ მაინც აჯობა. პოსეიდონი გამუდმებით დევნიდა გმირ ოდისევსს თავისი შვილის — პოლიფემოსის დაბრმავების გამო.

პოსეიდონი ითვლებოდა ცხენთა მფარველ ღვთაებად, მის საპატივცემოდ იმართებოდა ჯირითები. სიტყვა პოსეიდონი „მიწის მეუღლეს“ ნიშნავს. პოსეიდონის ეფიტეტები ენოსიგეი (მიწის მრყეველი) და გეოხი (მიწის მპყრობელი) გვაფიქრებინებს, რომ იგი პირველად იყო მიწის და არა ზღვის ღვთაება. პოსეიდონი განაგებდა

მიწის ნაყოფიერებას და თავიდანვე მიწის ნესტის ღვთაებად ითვლებოდა.

ოლიმპიური რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ პოსეიდონს მხოლოდ ზღვებისა და საერთოდ წყლის სტიქიის მბრძანებლობა არგუნეს და ამის შემდეგ მან დაჩრდილა ზღვათა სხვა ღვთაებანი. მიუხედავად იმისა, რომ ზევსი პოსეიდონზე ძლევამოსილი ღვთაებაა, პოსეიდონი მას მაინც არ ემორჩილება ხშირ შემთხვევაში. ერთხელ ჰერასა და ათენასთან ერთად იგი აჯანყდა კიდეც ზევსის წინააღმდეგ. პოსეიდონის კულტი ძირითადად გავრცელებული იყო მცირე აზიის იონურ მოსახლეობაში და კუნძულებზე. იქ იგი იონიელთა ტომის საკუთარ ღმერთადაც ითვლებოდა. მატერიკულ საბერძნეთში პოსეიდონის ტაძრებს ძირითადად კონცხებზე აგებდნენ. ცხენს გარდა პოსეიდონის წმინდა ცხოველებად ითვლებოდნენ დელფინი და ხარი. ხეთაგან მას მიუძღვნეს ნაძვი. რომში პოსეიდონის კულტი ნეპტუნისას შეერწყა.

პრესბონი, ბერძნ. (Πρέσβων, ბ) აიეტის შვილიშვილი, ფრიქსოსის ვაჟი.

პრეტოსი, ბერძნ. (Προῖτος, ბ) ნავპლიოსის ძე, ლერნოსის მამა.

პრიამოსი (პრიამე), ბერძნ. (Πρίαμος, ბ) ტროის უკანასკნელი მეფე, ლაომედონტის უმცროსი ვაჟი. ტროის აღებისა და დახოცის დროს ჰერაკლემ დახოცა ლაომედონტი და მისი ვაჟიშვილები. ცოცხალი მხოლოდ ერთი — პოდარკოსი გადარჩა. იგი გამოისყიდა მისმა დამ ჰესიონემ და ამის შემდეგ მას პრიამოსი ეწოდა. პრიამოსმა რამოდენიმე ცოლი შეირთო და ჰყავდა ორმოცდაათი ვაჟი და მრავალი ქალიშვილი. ყველა მისი ვაჟი და ქალიშვილი (ქმრებთან ერთად) ცხოვრობდა მის სახლში. ჰომეროსის ჰოემაში აღწერილი პრიამოსის სახლი ტიპიური, ძველი დროისათვის დამახასიათებელი დიდი ოჯახია. პრიამოსის მთავარი მეუღლე იყო ჰეკაბე, რომელთანაც ჰყავდა შვილები: ჰექტორი, პარისი, დეიფობოსი, ჰელენი, პოლიტოსი, ტრიოლოსი, კრეუსა, ლაოდიკე, პოლიქსენე და კასანდრა. პრიამოსს ტროის ომში უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია. „ილიადას“ ბოლო სიმღერაში აღწერილია პრიამოსის მისვლა აქაველებთან შვილის გვამის გამოსასყიდად. მოხუცის მწუხარებით შეწუხებულმა აქილევსმა დაუბრუნა მას შვილის გვამი. პრიამოსის გარდაცვალების შესახებ საუბარია ევრიპიდეს ტრაგედიაში „ტროელი ქალები“ და ვერგილიუსის „ენეიდაში“. ტროის აღებისას ზევსის სამსხვერპლოში მიმალულმა პრიამოსმა თავისი

ოვალით უყურა ნეოპტოლემოსისაგან მისი უკანასკნელი ვაჟის მოკვლას. გამწარებული მამა მიეშველა შვილს, მაგრამ ნეოპტოლემოსმა ისიც მოკლა. მოხუცი პრიამოსის გამოსახულებანი ხშირად გვხვდება ანტიკურ ხელოვნებაში. პრიამოსი ზოგად სახელად იქცა მრავალტანჯული მოხუცის აღსანიშნავად. გადატანითი მნიშვნელობით პრიამოსს ზოგჯერ მრავალი შვილის მამას, დიდი ოჯახის პატრონს უწოდებენ.

პრიაპოსი, ბერძნ. (Πρίαπος, ბ) დიონისეს (ზოგჯერ აფროდიტეს) ვაჟი. ბაღების, მინდვრების, თხებისა და ცხვრების ფარათა მფარველი ღვთაება. ითვლებოდა აგრეთვე მევენახეობისა და მეთევზეობის მფარველად. პრიაპოსი თავიდან უნდა ყოფილიყო მცირე აზიის, ჰელესპონტის სანაპიროს, ადგილობრივი ღვთაება (ჰომეროსი და სხვა ძველი ავტორები მას არ იხსენიებენ), მაგრამ მოგვიანებით პრიაპოსის კულტი გავრცელდა მთელს საბერძნეთსა და იტალიაში. ამის შემდეგ პრიაპოსი გახდა ტკბილი განცდების ღვთაება. პრიაპოსის გამოსახულება (ხის ან ქვის) ჩვეულებრივ იდგა ხოლმე ვენახებსა და ბაღებში. გამოისახებოდა გრძელ ტანსაცმელში გამოწყობილ წვერიან მამაკაცად. გადატანითი მნიშვნელობით პრიაპოსს ტკბილ განცდას უწოდებენ.

პრიამა, ლათ. (Prima) რომულუსისა და ჰერსილიას ქალიშვილი.

პროზერპინა, ლათ. (Proserpina) პერსეფონეს ლათინური შესატყვისი.

პროიტოსი, ბერძნ. (Προῖτος, ბ) აბანტის ვაჟი, არგოლიდის მითიური მეფე, აკრისიოსის ძმა. მითის მიხედვით აბანტის სიკვდილის შემდეგ ძმები ერთმანეთს შეებრძოლნენ სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად. დამარცხებული პროიტოსი ლიკიის მეფე იობატესთან გაიქცა, მისი ქალიშვილი ცოლად შეირთო და სიმამრის დახმარებით კვლავ შეუტია ძმას. დიდხანის ბრძოლის შემდეგ ძმები შერიგდნენ: — აკრისიოსი არგოსს დაჯერდა, ხოლო პროიტოსმა ტირინთოს მმართველობა მიიღო. შესაძლებელია მითი ისტორიული სინამდვილიდანაც მომდინარეობდეს. ძველი ბერძნების რწმენით თითქოს სწორედ ამ ძმების შეტაკებების დროს გამოიგონეს ფარი. ერთ-ერთი ლეგენდა გვიამბობს, რომ პროიტოსის ქალიშვილებმა უარი განაცხადეს დიონისეს კულტის აღიარებაზე და ღმერთებმა ამისათვის უგონობით დასაჯეს ისინი. მათ განსაკურნებლად მამამ მელამპოდი მოიწვია, მაგრამ მან გასამრჯელოდ სახელმწიფოს მესამედი მოსთხოვა და პროიტოსი იძულებული გახდა უარი განეცხადებინა მისთვის. ქალიშვილების ავადმყოფობა გადამდები აღმოჩნდა და სხვა ქალებიც დაავადა. მეფემ კვლავ მოიწვია მელამპოდი და ახლა მან სახელმწი-

ფოს ორი მესამედი მოსთხოვა. პროიტოსმა შეასრულა მელამპოდის სურვილი და მანაც განკურნა ქალები. შემდეგ მელამპოდი და მისი ძმა პროიტიდებზე დაქორწინდნენ.

პროკნე, ბერძნ. (Πρόκνη, ἡ) ძეგჭსიპესა და პანდიონის ქალიშვილი, ფილომელას, ერეხთევსისა და ბუტოსის და. თრაკიის მეფე — ტერევსის მეუღლე. პროკნესთან ფოკიდაში გადასახლდა მისი და ფილომელა. აქ ტერევსმა იგი ძალით გააუპატიურა და დანაშაულის დასამალავად მას ენა ამოკვეთა, მაგრამ ქალმა ტანსაცმელზე ამოქარგა თავისი მძიმე თავგადასავალი და ამის საშუალებით გააგებინა ახლობლებს. ქმარზე გაჯავრებულმა პროკნემ მოკლა თავისი ვაჟი იტისი და მისი ხორცი აჭამა მამამისს — ტერევსს. როდესაც ტერევსმა ეს გაიგო, განრისხდა და ორივე დის მოკვლა განიზრახა, მაგრამ ზევსმა პროკნე ბულბულად აქცია, ფილომელა კი მერცხლად. პროკნეს თქმულება ტიპიური ეტეოლოგიური მითია. ბულბულის გალობა ხალხმა დედის ტირილად აღიქვა, მერცხლის ჭყივილი კი — მენჯის ლუღლუღად. როგორც სხვა ბევრი მითი, ასევე ეს მითიც კანიბალისტური ხასიათისაა. მითი დაამუშავა სოფოკლემ ტრაგედიაში „ტერევსის ტაბლა“ და ოვიდიუსმა „მეტამორფოზებში“.

პროკრიდა, ბერძნ. (Πρόκρις -ιδος, ἡ) ათენის მეფის — ერეხთევსის ქალიშვილი. კეფალოსის ცოლი (იხ. კეფალოსი).

პროკრუსტე, ბერძნ. (Προκρούστης, ὁ) ავაზაკ დამასტოსის ზედმეტი სახელი. ქართულად ნიშნავს გამჭიმავს, გამწელავს. მოკლა თეზევსმა (იხ. პროკრუსტეს ლოგინი).

პროკრუსტეს ლოგინი,—ავაზაკ დამასტოსის (პროკრუსტეს) საწოლი ლოგინი, რომელზეც იგი შეპყრობილ მგზავრებს აწვენდა; თუ შეპყრობილი ლოგინის სიგრძეზე მეტი აღმოჩნდებოდა, ზედმეტ ნაწილს წააჭრიდა, ხოლო მოკლეს გაჭიმავდა და ლოგინის სიგრძეს გაუთანაბრებდა. ლეგენდის გათვალისწინებით შეიქმნა გამოთქმა—„პროკრუსტეს ლოგინი“, რომელიც იხმარება ზომის, ჩაკეტილობის, ტრაფარეტულობის აღსანიშნავად.

პრომეთე, ბერძნ. (Προμηθεύς, ὁ) წინასწარმეტყველს ნიშნავს ქართულად. ტიტანი. იაპეტისა და ოკეანიდ აზიის (ზოგი ვარიანტით კლიმენეს, თემიდას) ვაჟი. ეპიმეთესა და ატლანტოსის ძმა, დევკალიონის მამა. მითებში პრომეთე ღმერთებთან შებრძოლ და ადამიანების ინტერესების დამცველ გმირადაა გამოყვანილი. ღმერთებისაგან ტიტანების დამარცხების შემდეგ პრომეთე ადამიანების მხარეზე დადგა. ზევსის მოტყუების მიზნით პრომეთემ დაკლული ხარის ხორცი ორად გაყო, ერთ მხარეზე საუკეთესო ხორცის

ნაჭრები გადაალაგა, ზემოდან ტყავი და კუჭი დაადო, ხოლო მეორე მხარეზე ძვლები მოაგროვა და ზემოდან ქონები დაალაგა. შემდეგ ზევსს შეეკითხა, თუ რომელ ნაწილს აირჩევდა. ხარბმა ზევსმაო, გადმოგვცემს ლეგენდა, ქონიანი ნაწილი აირჩია და ის კი არ იცოდა, რომ ქვეშ მხოლოდ ძვლები იყო დალაგებული. მითის შექმნის მიზეზი უნდა იყოს იმ ტრადიციის ახსნა, მსხვერპლის შეწირვის დროს რომ ღმერთებისათვის მხოლოდ ძვლებს წვაენენ, ქარგს კი თავისთვის იტოვებენ. პრომეთეს საქციელით გაჯავრებულმა ზევსმა ადამიანებს ცეცხლი წაართვა, მაგრამ პრომეთე ავიდა ოლიმპოზე, ცეცხლი ღერწმის ღეროში ჩადო, ოლიმპოდან გამოიტაცა, ადამიანებს გადასცა და მისი შენახვა ასწავლა. ამის შემდეგაც, განაგრძობს ლეგენდა, ადამიანები დარაჯობდნენ ცეცხლს და შას ჩაჩრობისაგან იცავდნენ. ზევსი ამ ამბავმა კიდევ უფრო გააჯავრა და ჰეფესტოს უბრძანა შეექმნა ულამაზესი ქალი პანდორე და პრომეთეს ძმისათვის — ეპიმეთესათვის მიეცა. მიუხედავად იმისა, რომ პრომეთემ მრავალჯერ გააფრთხილა ძმა ზევსისაგან არ მიეღო არავითარი საჩუქარი, ლამაზი ქალით მოხიბლულმა ეპიმეთემ სიხარულით მიიღო იგი, რითაც, მითის თანახმად, ადამიანებს მოუვლინა მანამდე უცნობი მრავალი ავადმყოფობა და ტანჯვა-წამება. ამასთანავე, ღმერთების სურვილების წინააღმდეგ წასვლისათვის, ზევსმა ბრძანა, რომ პრომეთე მიეჯაჭვათ კავკასიონის მთის ერთ-ერთ კლდეზე. მიჯაჭვულ გოლიათთან ყოველდღე მიფრინდებოდა არწივი და გმირს გულღვიძლს უძიძგნიდა, მაგრამ ღამ-ღამობით მტანჯველი წყლული ისევ შეშდებოდა. პრომეთეს ტანჯვა ათასწლობით გრძელდებოდა და არც მიეცემოდა ალბათ დასასრული, რომ ისევ ზევსის სურვილის თანახმად მტაცებელი ჰერაკლეს არ მოეკლა. მითი გვეუბნება, რომ ზევსმა ის თავისი ვაჟის — ჰერაკლეს განდიდების მიზნით გააკეთა. გვიანდელი მითების მიხედვით პრომეთემ არა თუ მარტო ცეცხლი დაუბრუნა ადამიანებს, არამედ საერთოდაც იხსნა ისინი გადაშენებისაგან. ერთი მითის მიხედვით ადამიანებზე გაჯავრებულმა ზევსმა გადაწყვიტა მოესპო ეს უვიცი და რეგვენი არსებანი, მაგრამ პრომეთემ მაშინვე ადამიანებს სხვადასხვა ხელობა და მეცნიერება ასწავლა და ამის შემდეგ ზევსმა შეცვალა გადაწყვეტილება. ერთი სხვა მითის მიხედვით პრომეთემ ადამიანები მიწისა და წყლისაგან თვითონ გააკეთა და მოსალოდნელი წარღვნისაგან გადარჩენის მიზნით მათ გეშის აგება ასწავლა. (ოვიდიუსი). პრომეთეს კულტი საბერძნეთის ბევრ ქალაქში იყო გავრცელებული. ათენში მას ჰეფესტოსა და ათენაზე არანაკლებ პატივს სცემდნენ. პრომეთეს პატივსაცემად იმართებოდა დღესასწაულები ე. წ. პრომეთიები,

ცერემონიალი იყო ჩირაღდნებით სირბილი, რაც ცეცხლის მოტაცების სიმბოლური გამოსახვა უნდა იყოს. ძველთაგანვე პრომეთეს სახელ მრავალი ხელოვანის ყურადღება მიიქცია. ესქილეს ამ თემაზე მრავალი ნაწარმოები დაუწერია, მაგრამ ჩვენამდე ერთადერთმა „მიჯაჭვულმა პრომეთემ“ მოაღწია. მითთანაა დაკავშირებული მხატვრული გამოთქმა „პრომეთეს ცეცხლი“, რაც რაიმე დიდი და ძვირფასისაკენ მისწრაფების აღსანიშნავად იხმარება. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები აღტაცებაში მოყავდა პრომეთეს დიდებულ სახეს, უდრეკ ხასიათსა და ძლიერ ბუნებას. მარქსის სიტყვით პრომეთე ყველაზე მეტად დიდებული წმინდანი და წამებულია ფილოსოფიის ისტორიაში. პრომეთეს მითი გავრცელებული იყო მთელს ხმელთაშუა ზღვის აუზში და კავკასიაშიც, სადაც იგი ამირანის შესახებ თქმულებას შეერწყო მრავალი საერთო ნიშნისა და დეტალის გამო. საფიქრებელია, რომ ამირანისა და პრომეთეს მსგავსება სრულებითაც არ იყო შერწყმის შედეგი, შესაძლოა ორივე ეს გმირი თავიდანვე ერთი მითოლოგიური პირი იყო და სხვადასხვა გარემოში სხვადასხვა სახელი ეწოდა. დღეისათვის პრომეთე || პრომეთეოსი ზოგად სახელად იქცა და დიდის, ძლიერისა და ზეაღმატებულის სიმბოლოდ იხმარება.

პ რ ო ტ ე ვ ს ი, ბერძნ. (Πρωτεύς, ბ) ზღვის ღვთაება, პოსეიდონის ქვეშევრდომი, შეეძლო მიეღო სასურველი სახე. გადმოცემის თანახმად იგი ცხოვრობდა ეგვიპტის მახლობლად კუნძულ ფაროსზე, სადაც პოსეიდონის ხელაპებს — ზღვის ძაღლებს მწყემსავდა. პროტევსის ცოლი იყო ზღვის ქვეშის ღმერთქალი ფსამატა. ზღვის სხვა ღვთაებებისამებრ პროტევსსაც შეეძლო წინასწარმეტყველება. როდესაც მენელაოსი ტროიდან ბრუნდებოდა, ეგვიპტეში მოხვდა და პირქარის გამო სამშობლოში ვერარ ბრუნდებოდა, მაშინ პროტევსის ქალიშვილმა ეიდოთეამ მენელაოსს ასწავლა, თუ როგორ დაეჭირა მამამისი და ეთქმევინებინა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალება. მენელაოსმა შეიპყრო მძინარე პროტევსი და მიუხედავად იმისა, რომ იგი გადაიქცა ხან ლომად, ხან გველეშაპად, ხან ჯიქად, ხან მდინარედ, მაინც არ გაუშვა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა იძულებული მენელაოსისათვის საშინრო რჩევა მიეცა და უწინასწარმეტყველა ტროაზე გალაშქრებულ სხვა გმირთა მომავალიც.

კლასიკურ პერიოდში ბერძნები პროტევსს ეგვიპტის უძველეს მეფედ მიიჩნევდნენ, გაჩნდა მითები იმის შესახებაც, თითქოს პროტევსი თრაკიაში მეფობდა.

პ რ ო ტ ე ს ი ლ ა ო ს ი, ბერძნ. (Πρωτεσίλαος, ბ) ერთ-ერთი

თესალიური ტომის მეფე. იფიკლეს ვაჟი, ტროის ომის მონაწილე. მიუხედავად იმისა, რომ ნაწინასწარმეტყველები იყო—ვინც ბერძენთაგან პირველი გადავიდოდა ტროის მიწაზე, აუცილებლად დაიღუპებოდა, პროტესილაოსი მაინც პირველი გადახტა გემიდან და მართლაც მოკლა ჰექტორმა. პროტესილაოსის ცოლი ლაოდამია ღმერთებს შეევედრა, რათა ქმარი ცოტა ხნით მაინც დაებრუნებინათ მისთვის საიქიოდან. ღმერთებმა მისი თხოვნა მოისმინეს, მაგრამ როდესაც ქვლავ მოვიდა პროტესილაოსის საიქიოში წასვლის დრო, ლაოდამიაც თან წაყვა. მითი პროტესილაოსის დაბრუნების შესახებ დაამუშავა ლუკიანემ.

პ რ ო ფ ა ნ უ ს ი, ლათ. (Profanus) პროფანებს უწოდებდნენ ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობდნენ ღვთის მსახურებაში. სიტყვა პროფანუსი უწმინდურს, არაწმინდას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით პროფანს უწოდებენ ისეთ ადამიანს, რომელიც მონაწილეობას არ ღებულობს არაფერში, — არ ესმის ცხოვრების ავანჩავანი.

პ ტ ე რ ე ლ ა ო ს ი, ბერძნ. (Πτερέλαος, ბ) პოსეიდონის შვილიშვილი (ზოგჯერ ვაჟიშვილი). ტაფიელების მეფე. მითის მიხედვით პტერელაოსის ვაჟებმა ომი დაიწყეს არგოლიდის ხელში ჩასაგდებად. ამფიტრიონმა გაანადგურა ტაფიელები, მაგრამ პტერელაოსი მაინც ვერ დაამარცხა მანამ, სანამ მას თმაში ერია პოსეიდონისაგან მიცემული ოქროს თმის ერთი ღერი. ამფიტრიონის შეყვარებულმა, — პტერელაოსის ქალიშვილმა შამაქ ამოაცალა ოქროს თმა და ამით სასიკვდილოდ განწირა.

პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს ი, ბერძნ. (Πτολεμαῖος, ბ) 1. პერსევსის ვაჟი, ევრიმედონტის მამა. 2. მაკედონიის მეფე.

პ უ დ ი ც ი ც ი ა, ლათ. (Pudicitia) მორცხვობას, უმანკოებას ნიშნავს ქართულად. იტალიელთა ღმერთქალი, სიქალწულისა და ქალის გულწრფელობის განსახიერება. მისი კულტი პატრიარქატის ეპოქაშია შექმნილი და რომის სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირდება. რომში პატრიციებისა და პლებეებისათვის პუდიციციას სხვადასხვა ტაძარი არსებობდა.

— რ —

რ ა დ ა მ ა ნ თ ი ს ი, ბერძნ. (Ῥαδάμανθυς, ბ) მიწისქვეშა სამყაროს ანუ ელისიის ველის ერთ-ერთი მოსამართლეთაგანი. ზევსისა და ევროპეს ვაჟი. ალკმენეს მეორე ქმარი. მინოსის ძმა.

რ ე ა, ბერძნ. (Ῥέα, ἡ) დედა ღმერთქალი. ურანოსისა და გეას ქალიშვილი (ზოგჯერ გეასთანაც აიგივებდნენ). კრონოსის ცოლი. კრონიდების დედა. რეას უძველეს საკულტო ადგილად ითვლებოდა კრეტა, სადაც, გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთ გამოქვაბულში მან შვა და აღზარდა ზევსი. კრონოსს რომ ახლადდაბადებული ზევსის ტირილის ხმა არ გაეგონა და ჩვეულებისამებრ არ ჩაეყლაპა, კურეტები ბავშვის ყოველ წამოტირებაზე ფარებზე იარაღის ცემით დიდ ხმაურს ასტეხავდნენ ხოლმე. ზოგი მეცნიერის მოსაზრებით შეიძლება მითი იმიტომაც იყოს წარმოშობილი, რომ აეხსნათ რეას დღესასწაულზე დამკვიდრებული ჩვეულება, რაც სამხედრო თამაშობებითა და ფარებზე ხმლების ცემით გამოიხატებოდა. მოგვიანებით რეას კულტი შეერწყა მცირეაზიური ღვთაების კიბელეს კულტს და ჩვეულებრივ მასთან ერთად იხსენიებოდა ხოლმე. ჩვენს ერამდე III საუკუნეში რეას კულტი რომშიც გავრცელდა, იქ მას დიდი დედა შეარქვეს. ხეთაგან რეა კიბელას შესწირეს მუხა და ნაძვი, მისი მუდმივი თანამგზავრი კი ცხოველთაგან ლომი გახდა. ყველაზე ხშირად რეა კიბელა ეტლში მჯდომარედ გამოისახებოდა. ბერძნულ რელიგიაში რეა კიბელას არასოდეს ჰქონია დამოუკიდებელი ტაძარი და ჩვეულებრივ კრონოსთან ან ზევსთან ერთად გამოისახებოდა. ათენში რეასა და მისი ქმრის კრონოსის პატივსაცემად ე. წ. კრონიები იმართებოდა.

რ ე ა ს ი ლ ვ ი ა, ლათ. (Rea Silvia) რომის მითიური დამაარსებლების: რემუსისა და რომულუსის დედა. ერთი ფართოდ გავრცელებული მითის მიხედვით რეა სილვია ენეასის შთამომავლის, ალბა ლონგას მეფის — ნუმიტორის ქალიშვილია. ნუმიტორს ტახტი წაართვა მისმა ძმა ამულიუსმა და ეშინოდა რა ძმის შთამომავლებისაგან შურისძიებისა, ბრძანა ნუმიტორის ვაჟი მოეკლათ, ხოლო რეა სილვია ვესტას ქურუმი გახადა. მიუხედავად ამისა (იხ. ვესტალები) რეა სილვიამ მაინც გააჩინა მარსისაგან შვილები, ტყუპები, რომულუსი და რემუსი. განრისხებული ამულიუსის ბრძანების თანახმად რეა სილვია უნდა ჩამოეხრჩოთ (ზოგი ვარიანტით ციხეში ჩაესვათ) ხოლო ტყუპები მდინარე ტიბრში გადაეყარათ. ასეც მოიქცნენ, მაგრამ მარსმა სამიენი გადაარჩინა. სხვა მითის მიხედვით რეა სილვიაც ტიბრში გადააგდეს თუ განაწამები თვით გადავარდა, მაგრამ მდინარის ღმერთმა — ტიბერეუსმა გადაარჩინა და ცოლად შეირთო.

რ ე დ ი კ უ ლ უ ს ი, ლათ. (Rediculius) მტრის უკან დასახევად

მაიძულებელი რომაული ღვთაება, რომელსაც საკუთარი ტაძარიც ჰქონდა ესკვილინის ველზე.

რ ე კ ა ს ი, ბერძნ. (Ῥέκας, ὁ) დიოსკურების მეეტლე, ჰენიოხეების (სვანების) ერთ-ერთი შორეული წინაპარი.

რ ე მ ი ან რ ე მ უ ს ი, ლათ. (Remus) რომულუსის ძმა (იხ. რომულუსი).

რ ე ს ო ს ი, ბერძნ. (Ῥῆσος, ὁ) ენეასის ვაჟი, თრაკიის მეფე. ტროელების მოკავშირე. რესოსს ჰყავდა ჯადოსნური თეთრი ცხენები, რომლებზეც დამოკიდებული იყო ტროის ბედი — თუკი ცხენები ტროაში შეაღწევდნენ, მტრები ქალაქის აღებას ვეღარ შესძლებდნენ. ოდისევსმა და დიომიდემ ჯაშუშის საშუალებით შეიტყვეს ტროას მოახლოებული რესოსის ბანაკის ადგილ-სამყოფელი, ძილის დროს თავს დაესხნენ, ჯარი ამოხოცეს, რესოსიც მოკლეს და ცხენები გაიტაცეს.

რ ი პ ე ი ს მ თ ე ბ ი, ბერძნ. (Ῥιπαῖα -ῶν, τά) ჰიპერბორების ქვეყანაში მდებარე მთები, რომლებიც დედამიწის უკიდურეს ჩრდილოეთად მიაჩნდათ და სხვადასხვა ხასიათის მითებს უკავშირებდნენ. შემდეგში მას აიგივებენ ხან ალპებთან და ხან ურალთან.

რ ო ბ ი გ ო, ლათ. (Robigo) ძველიტალიური ბოროტი ღვთაება, რომელიც ძველი რომაელების რწმენით ყანებში მოსავალს აავადებდა. იგი წარმოდგენილი ჰყავდათ წითელ ძაღლად ან მგლად. აპრილის თვეში, ხვნა-თესვის დაწყების წინ, მისი გულის მონადირების მიზნით, რობიგოს მსხვერპლს სწირავდნენ. შესაწირავად უმთავრესად ცხვარს ან წითელ ძაღლს იყენებდნენ.

რ ო დ ა, ბერძნ. (Ῥόδα, ἡ) კუნძულ როდოსის ეპონიმი, პოსეიდონის ქალიშვილი.

რ ო დ ო პ ე, ბერძნ. (Ῥοδόπη, ἡ) ფერია. პერსეფონეს თანამგზავრი.

რ ო დ ო ს ი, ბერძნ. (Ῥόδος, ἡ) მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კუნძული. თითქოს ამ კუნძულზე დაიბადა ფერია როდა და სწორედ მისი სახელი ეწოდა კუნძულს. როდოსთან სხვა მრავალი მითიცაა დაკავშირებული.

რ ო ი კ ო ს ი, ბერძნ. (Ροῖκος, ὁ) სამოსის ტაძრის ლეგენდარული ამშენებელი.

რ ო ი ო, ბერძნ. (Ῥοιώ, ἡ) აპოლონის სატრფო. აპოლონისაგან მას შეეძინა ვაჟი. როდესაც მამამ ქალიშვილის ორსულობა გაიგო, იგი ყუთში ჩაკეტა და ზღვაში გადააგდო. ტალღამ, აპოლონის სურვი-

ლის თანახმად, ყუთი კუნძულ დელოსზე გარიყა და როიომ იქ მოიშობიარა.

რ ო მ ა, ლათ. (Roma) 1.ქალაქ რომის ერთ-ერთი ეპონიმი, ენეასის (ზოგი ვარიანტით ასკანიოსის, ან ოდისევსისა და კირკეს) ვაჟი. ზოგი მითის მიხედვით იგი რომის სახელმწიფოს განსახიერებაა. მისი კულტი მჭიდრო კავშირში იყო რომის იმპერატორებთან.

რ ო მ ა ნ ო ს ი, ბერძნ. (Ῥωμανός, ὁ) ოდისევსისა და კირკეს ძე. რომის დამაარსებელი ზოგიერთი გვიანდელი წყაროს მიხედვით.

რ ო მ უ ლ უ ს ი, ლათ. (Romulus) რომის მითიური დამაარსებელი, მისი პირველი მეფე. რეა სილვიასა და მარსის ვაჟი, რემუსის ტყუპისცალი. როდესაც ამულიუსმა ალბა ლონგას ტახტიდან თავისი ძმა ნუმიტორი ჩამოაგდო (იხ. რეა სილვია), ბრძანა ნუმიტორის შვილიშვილები ტიბრში გადაეყარათ. ტიბრმა მარსის სურვილის თანახმად ბავშვები ნაპირზე გამორიყა. ისინი ძუ მგელმა თავისი ძუძუთი გამოკვება, შემდეგ კი Იწყვემსმა ფაუსტულუსმა და მისმა ცოლმა აკა ლარენციამ აღზარდეს. როდესაც ტყუპები დავაჟკაცდნენ, ამილიუსი მოკლეს, პაპას ტახტი დაუბრუნეს და იმ ადგილზე, სადაც ისინი მდინარემ გამორიყა და ძუ მგელმა ძუძუ აწოვა, ქალაქი ააშენეს. ქალაქის შენებლობის დროს ძმებს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. რომულუსმა რემუსი მოკლა და ახლად დაარსებული ქალაქის მბრძანებლად თვითონ დაჯდა. რომულუსმა მ-ს საბრძანებელში მეზობლები—საბინიელები მიიწვია. ქეიფის დროს რომაელმა ყმაწვილებმა, რომლებიც რომულუსს ჰყავდა გაფრთხილებული, საბინიელი ქალები მოიტაცეს და ცოლებად შეირთეს. ამ ამბავმა დიდად აღაშფოთა საბინიელები, მაგრამ საბინიელმა ქალებმა ისინი დაამშვიდეს. საბინიელების მოტაცება ანტიკური სახვითი ხელოვნების ხშირი სიუჟეტია. ლეგენდის მიხედვით კარგა ხანს მეფობის შემდეგ რომულუსი ცოცხლადვე ცად ამაღლდა და რომაელებმა კვირინიუსის სახელით აღიარეს. რომულუსის კულტი ძირითადად რომში იყო გავრცელებული.

რ უ მ ი ნ ა, ლათ. (Rumina) ძუძუთა ბავშვის მფარველი რომაული ღვთაება. რომში რუმინას ტაძარი იდგა იმ ლეღვის ხესთან, რომლის ჩრდილშიც თითქოს ძუ მგელი რემუსსა და რომულუსს ძუძუს აწოვებდა. რუმინა მოგვიანებით აკა ლარენციასთან გაიგივეს.

—ს—

ს ა ბ ა კ ო ს ი, ბერძნ. (Σαβάκως, ὁ) ეთიოპიის მითიური მეფე.

ს ა ბ ა ქ ტ ე, ბერძნ. (Σαβάκτης, ὁ) გამტეხს, დამამსხვრეველს

ნიშნავს ქართულად. მეთუნეთა დამამზარალებელი ერთ-ერთი ბოროტი დემონი, რომელიც იწვევდა გამოწვის პროცესში ღუმელში მყოფი ჭურჭლის დაბზარვა-დამსხვრევას. საბაკტეს გარდა მეთუნეებს ემტერებოდნენ სმარაგოსი, ომოდამოსი და სხვა. პირველი ბზარებს აჩენდა ცხელ ჭურჭელზე, ხოლო ბოლო ორი სველსა და ნედლ ჭურჭელს აზიანებდა. ამიტომაც ბერძნები სანამ ჭურჭლის ქეთებას ან გამოწვას შეუდგებოდნენ, ამ დემონებს ევედრებოდნენ, რათა შეებრალებინათ ისინი და რაც შეიძლებოდა ნაკლები რაოდენობის ნაკეთობა დაეზიანებინათ.

ს ა ბ ა ზ ი ა, — თრაკიულ-ფრიგიული ღვთაება, რომლის სახელწოდებაც მხსნელს, უფალს უნდა ნიშნავდეს. მოგვიანებით იგი დიონისესთან გაიგივეს. ზოგჯერ მას ებრაელების ღვთაება საბაოთშიც ურევდნენ. საბასიას ფრიგიელები „უმაღლეს მეუფეს“ უწოდებდნენ. მოგვიანებით იგი ზევსისა და პერსეფონეს ვაჟად ითვლებოდა. საბერძნეთში საბასიას კულტი ჩვენს ერამდე V საუკუნეში გადავიდა, რომში კი — უფრო გვიან, სადაც იგი იუპიტერის კულტს შეერწყო. საბასიასადმი მიძღვნილ ზეიმებზე მონაწილეებს ხელში ეპირათ გველი, რაც ზევსისა და პერსეფონეს მისტიურ შეუღლებას აღნიშნავდა. (გადმოცემის თანახმად, როდესაც ზევსი პერსეფონეს დაუკავშირდა, ზეკნს გველის სახე ჰქონდა მიღებული). საბასია ითვლებოდა კეთილი სულის და უკვდაეების უნარის მიმნიჭებელ ღვთაებად. საბასიამ მრავალი ღვთაების ნიშანთვისება გაიერთიანა და კარგა ხანს სეროზულ წინააღმდეგობას უწევდა ქრისტიანობას. საბასიას კულტი რომში, როგორც უცხოური, დევნას განიცდიდა. ჩვენამდე მოღწეულია საბასიას მრავალი გამოსახულება. იგი წვერიანი მამაკაცია, ფრიგიული ტანსაცმლითა და ქუდით, ერთი ფეხი დაჭერილი აქვს ცხვრის თავზე, ხელები კი მაღლა აქვს აღმართული. მოღწეულია ბრინჯაოს ქანდაკებაც, რომლის მიხედვითაც საბასიას მაღლა აწეულ ხელზე სამი თითი აქვს გაშლილი, ხოლო დანარჩენები მოკეცილი.

ს ა ბ ი ი, ბერძნ. (Σάβος, ὁ) საბინიელთა ტომის ეპონიმი, ღმერთ სანკუსის ვაჟი. მითის ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით საბოსი ლაკედემონური წარმოშობისაა.

ს ა ლ ა ც ი ა, ლათ. (Salatia) ღია, ტრიალი ზღვისა და ზღვის წყლის რომაული ღვთაება. ნეპტუნუსის ცოლი, ტრიტონების დედა სალაცია ზოგჯერ ვენერას ეფიტეტიცაა.

ს ა ლ ი ე ბ ი, ლათ. (Salii—orum) მარსის ქურუმთა ორი კოლეგია ძველ რომში, რომლის დაარსებაც მეფე ნუმა პომპილიუსს მიეწერებოდა. თვითეულ კოლეგიაში 12 კაცი ირიცხებოდა, მათ პატრიციებიდან ირჩევდნენ. მარსის თვის (მარტის) დასაწყისში ისინი

საზეიმო ცეკვა-თამაშით მთელ ქალაქს შემოიელიდნენ და წმინდა ფარებზე (ანცილებზე) ხმალს ცემდნენ. ამ ფარებიდან ერთ-ერთი თითქოს ციდან იყო ჩამოვარდნილი (იხ. ანცილი). ცეკვასთან ერთად მღეროდნენ ძველ ჰიმნებს, რომელთა სიტყვების მნიშვნელობა კლასიკურ პერიოდში უკვე აღარავის ესმოდა. ამის გამო, ფიქრობენ, რომ ეს ჩვეულება ძალზე ძველი წარმოშობისაა და იმ დროიდან უნდა მომდინარეობდეს, როდესაც ცეკვა-თამაში ადამიანებისათვის წარმატებისა და გამარჯვების მომავლინებელ რიტუალად მიაჩნდათ.

სალმაკიდა, ბერძნ. (Σαλμακίς-ίδος, ἡ) ფერია (იხ. ჰერმაფროდიტე).

სალმონევსი, ბერძნ. (Σαλμωνεύς, ὁ) ერთ-ერთი გმირი. ელიდის ქალაქ სალმონიას ეპონიმი, ეოლოსის ვაჟი, ტიროს მამა. სალმონევსმა მოისურვა ზევსისათვის მიებაძა. ქუხილის ხმის გამოცემა მან ქვების რახარუხითა და ეტლის გრიალით მოინდომა, ხოლო ელვისა — ჩირაღდნის საშუალებით. ასეთი თავხედობისათვის იგი ზევსმა მოკლა და ჰადესში ჩააგდო.

სალუტა, ლათ. (Salus—utis) რომაელი ხალხის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის განმასახიერებელი რომაელთა ღმერთქალი, რომლის ტაძარი აღმართული იყო კვირინალიის ბორცვზე. სალუტას გამოსახულება ფორტუნასას წააგავდა. მისი ჭანდაკების ფერხთით ხშირად სფერო იდო, ხელში სამსხვერპლო თასი ეჭირა.

სანკუსი, ლათ. (Sancus) თავდაპირველად საბინიური ცის ღვთაება. შემდეგ კი, რომში, მოლაპარაკებისა და ცოლ-ქმრული ურთიერთგაგების ღმერთად აღიარეს და დიოს ფიდიუსი უწოდეს. რომში, კვირინალიის ბორცვზე, მას ტაძარიც კი აუგეს. მის პატივსაცემად ზეიმებიც იმართებოდა.

საოსისი, ბერძნ. (Σάωσις, ἡ) ქალაქ ბიბლოსის ლეგენდარული დედოფალი.

სარპედონი, ბერძნ. (Σαρπηδών -ονος, ὁ) ლიკიის მეფე, ზევსისა და ევროპეს ვაჟი, მინოსისა და რადამანთისის ძმა, სხვა მითის მიხედვით ბელეროფონტის შვილიშვილი, ზევსისა და ლაოდამიას ვაჟი. ტროელების მოკავშირე. მოკლა პატროკლემ. გვიანდელი მითების მიხედვით თითქოს ზევსმა სარპედონს სიცოცხლე გაუხანგრძლივა (სამი თაობისოდენა);

გვიანდელი მითების მიხედვით ეს სარპედონი უნდა იყოს იგივე ლიკიის მეფე.

სატირები, ბერძნ. (σάτυροι, οἱ) დაბალი რანგის ტყის ღვთაებები, ნაყოფიერების დემონები, დიონისეს ოჯახის წარმომადგენლები. მითების მიხედვით სატირები ზარმაცები, ხუმრები და ნადიმების მოყვარულები არიან. ისინი ჩვეულებრივ თამაშობენ ან ცეკვავენ. სატირები ტყე-ტყე დაეხეტებიან და ფერიებთან ერთად ფერხულებს მართავენ. ძველი ბერძნების აზრით არსებობდნენ უფროსი და უმცროსი სატირები. სატირების მუდმივი ატრიბუტებია: ტარსები, ფლეიტები, ტიკები ან ღვინით სავსე სხვა ჭურჭლები. ანტიკური პერიოდის აღრეული გამოსახულებების მიხედვით სატირები ნახევრად თხები — ნახევრად ადამიანები არიან, აქვთ წაწვრილებული, თხისმაგვარი ყურები, თხის ან ცხენის კუდები და თხისმაგვარი ცხვრები. კლასიკურ პერიოდში მათ თანდათან მოაშორეს ცხოველური ნიშნები. თანამედროვე გაგებით სატირი ნიშნავს მთვრალსა და ხუმარა ადამიანს. აქედან მომდინარეობს სიტყვა „სატირა“ და „სატირიკოსი“.

სატურნალიები, ლათ. (Saturnalia) სატურნუსის პატივსაცემად გამართული დღესასწაულები ძველ რომში (იხ. სატურნუსი).

სატურნუსი ან სატურნი, ლათ. (Saturnus) ნათესების ძველიტალიელთა ღმერთი. ადრევე გაიგივეს კრონოსთან. ამასთან დაკავშირებით სატურნუსის ცოლიც — ნათესებისა და მოსავლის რომაელთა ღმერთქალი — ოპსიც რეასთან გაიგივეს. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მითის მიხედვით ზევსთან წაჩხუბების შემდეგ ღმერთთა მამამ სატურნუსი ოლიმპოდან დაითხოვა. ამის შემდეგ სატურნუსი ლაციუმში მივიდა, იანუსისაგან ძალაუფლება მიიღო და იტალიის უძველესი მეფე გახდა. მას მიეწერება იტალიაში მიწათმოქმედების, მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო სხვა საქმიანობათა შემოღება. სატურნუსთანაა დაკავშირებული წარმოდგენები ოქროს საუკუნეზე — თანასწორუფლებიანობის, მშვიდობიანობისა და უდიდესი დოვლათის ეპოქაზე. კაპიტოლიუმის ბორცვის ძირას სატურნუსის სამლოცველო მდებარეობდა, რომლის დაარსებას ზოგი იანუსს მიაწერს, ზოგი კი—ჰერკულესს. შემდეგში სატურნუსსაც და ოპსსაც თავ-თავისი ტაძარი აუგეს. სატურნუსის პატივსაცემად ყოველი წლის 17—19 დეკემბერს ზეიმები იმართებოდა, მას სატურნალიებს უწოდებდნენ. იმპერიის პერიოდში ამ ზეიმს შვიდ დღეს აგრძელებდნენ. ამ დღეებში მოსახლეობა ყოველგვარი მოვალეობისა და შეკვეთებისაგან თავისუფლდებოდა. მოწაფეებს არ სჯიდნენ არავითარი საქციელისათვის, არიგებდნენ და იყოფდნენ საჩუქრებს, ყველგან სუფევდა საერთო მხიარულება. ოქროს საუკუნის მოსაგონებლად მონები 19 დეკემბერს თავისუფლებად ითვლებოდნენ. მეტიც, მათ თავიანთი ბატონები ემსახურებოდნენ. ქრის-

ტიანულმა რელიგიამ მრავალი რამ დამახასიათებელი გადმოიღო სატურნალიებიდან.

სეკურიტატა, ლათ. (Securitas—alis) სახელმწიფოსა და მოსახლეობის უშიშროების განმასახიერებელი რომაული ღვთაება, გამოისახებოდა სვეტების გვერდით ფეხებგადაჯვარედინებულ, მჯდომარე ქალად. მას მარჯვენა ხელი მაღლა ჰქონდა აწეული. მისი ბუდმიევი ატრიბუტებია სკიპტრა, დაფნა, სიუხვის რქა, ზეთის ხილის ტოტი.

სელენე, ბერძნ. (Σελήνη, ἡ — მთვარე) ჰიპერიონის ქალიშვილი, ჰელიოსის და, მთვარის ღმერთქალი და მისი განსახიერება. სელენეს ზოგჯერ მენსაც უწოდებენ, მისი კულტი აღმოსავლეთიდან შემოსული ჩანს. სელენეს წარმოშობის შესახებ არსებული მითი მას მზესთან აკავშირებს. სელენეს ატრიბუტებია დიდრონი ფრთები და თავზე ოქროს გვირგვინი. თითქოს სელენე დაჭრის ცაზე მშვენიერი, ბრწყინვალე ეტლით, რომელშიც წყვილი თოვლისფერი ცხენია შებმული (ერთი ვარიანტის მიხედვით ეტლში ხარებია შებმული, რომელთა რქები ნამგალა მთვარის სიმბოლური გამოსახულებაა). ცის ტატნობის გადავლის შემდეგ სელენე ოკეანეში იმალება. ერთი მითის მიხედვით სელენეს ზევსი უყვარდა და მასთან ურთიერთობით ჰანდიასი გააჩინა.

ყველაზე მეტად ცნობილია სელენესა და ულამაზესი ყმაწვილის — ენდიმიონის სიყვარულის შესახებ არსებული მითი. ენდიმიონმა ღმერთებს უკვდავება სთხოვა, ღმერთებმა სურვილი აუსრულეს, ოღონდ მუდამ მძინარე უნდა ყოფილიყო... ცაზე მოგზაურობისას სელენე შეაჩერებდა თავის ეტლს, ჩამოვიდოდა გამოქვაბულში, სადაც ენდიმიონს ეძინა გამუდმებული ძილით და მწუხარედ ტკბებოდა მისი ღვთაებრივი სილამაზით. თითქოსდა ამ უცნაურმა, როგორღაც ცალმხრივმა სიყვარულმა მისცა სელენეს (მთვარეს) მწუხარე, ნაღველიანი სახე. მითის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით სელენე მაინც ახერხებდა ენდიმიონთან კავშირს და მისგან შეეძინა 50 ქალიშვილი, რაც ბერძნული წელიწადის 50 თვის განმასახიერებელი უნდა იყოს. სელენეს მიუძღვნეს გაზაფხულის ბუნიობის დღე. ძველთაგანვე ადამიანთა ცხოვრების სიაყვარგეს აკავშირებდნენ სელენეს (მთვარის) სახის ცვალებადობასთან. ახალი მთვარის დროს, როდესაც მას ნამგლის ფორმა აქვს, იკრძალება მრავალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რაც შეიძლება მართლაც იყოს დაკავშირებული ატმოსფეროში მთვარის ფაზებისა და ამდენად განათების ცვალებადობაზე. მზისა და მთვარის კულტი კლასიკურ პერიოდში არაბერძნულად — ბარბაროსულად მიაჩნდათ. შემდეგ სელენე არ-

ტემიდესთან, როგორც მთვარის ღმერთქალთან, გააიგივეს. სელენეს აიგივებდნენ აგრეთვე ჰეკატესთან (პოეზიაში ხშირად მთვარეს ჰეკატეს ეძახიან) და პერსეფონესთან. საფოს სელენე წარმოდგენილი ჰყავს ლამაზ ქალად, რომელსაც ხელში ჩირაღდანი უჭირავს და წინ მიუძღვის ვარსკვლავებს. სელენე ხელოვნებაში უმეტესად ეტლში ან ცხენზე მჯდომარედაა გამოყვანილი.

სემელე, ბერძნ. (Σεμέλη ან Σεμέλα, ἡ) თებეს მეფის — კადმოსის ქალიშვილი, ზევსის სატრფო, დიონისეს დედა. ზოგიერთ მეცნიერს სემელე ძველ, ფრიგიული მიწის ღმერთქალად მიაჩნია. არსებობს მითი იმის შესახებ, ჰერას წყალობით, თუ როგორ აქცია ზევსმა ფერფლად სემელე (იხ. დიონისე). როდესაც დიონისე გაიზარდა, დედამისი ჰადესიდან გამოიყვანა, თითონ უწოდა და ოლიმპოს მთაზე უკვდავთა შორის მისცა სამყოფელი. თებეში არსებობდა სემელეს კულტი. მითი სემელესაგან დიონისეს დაბადების შესახებ ფართოდაა გამოყენებული ხელოვნებაში.

სემირამიდე, — ასირიის დედოფლის — შამურამატის (IX ს. ჩვენს ერამდე) გაბერძნულებული სახელწოდება; მისი სახელი მრავალ ლეგენდასთანაა დაკავშირებული. ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის შემდეგ სემირამიდეს შესახებ არსებული მითები თანდათან გადადიან სიყვარულისა და ნაყოფიერების ღმერთქალებზე: — დერკეტოსა და ასტარტეზე. სემირამიდეს მიეწერება მრავალრიცხოვანი არხების, ქალაქების (მათ შორის ბაბილონის) დაარსება, მასვე მიეწერება ცნობილი არქიტექტურული ძეგლების, კერძოდ კი ფართოდ ცნობილი ე. წ. ჩამოკიდებული ბაღების გაშენება. ეს, სემირამიდეს ბაღებად ცნობილი, ე. წ. ჩამოკიდებული ბაღები, სინამდვილეში აშენეს ბაბილონში VI საუკუნეში მეფე ნაბუქოდონოსორის ხელმძღვანელობით, მისი ცოლის — მიდიის მეფის ქალიშვილისათვის. სემირამიდეს მიაწერდნენ ვაჟკაცურ სიმამაცესა და ძალ-ღონეს. მან მრავალი ომი გადაიხადა, მან და მისმა ქმარმა მთელი აზია დაარბიეს და ინდოეთსაც მისწვდნენ.

ლეგენდის თანახმად სემირამიდე ღმერთქალ დერკეტოს ქალიშვილია. თითქოს დედამ მიატოვა ახალშობილი და ობოლ ჩვილს მტრედები კვებავდნენ მოპარული რძით. როდესაც სემირამიდე გაიზარდა, ცოლად შეირთო მეფე ნინოსის ეზოშირმა ონესოსმა. სემირამიდე მეტად მახვილგონიერი იყო და თავისი ქმარი ხშირად გამოუვალი მდგომარეობიდან გამოუყვანია კეთილი რჩევებით. როდესაც ნინოსი ბაქტრიის წინააღმდეგ ომობდა, სემირამიდე ერთ-ერთ არმიას მეთაურობდა. ამ არმიამ მისი უშუალო მეთაურობით დაამარცხა და აიღო ბაქტრიის დედაქალაქი. სემირამიდეს სილამაზით, მახვილგონიე-

რებითა და მამაცობით მოხიბლულ ნინოსს მეტად შეუყვარდა სემირამიდე და ევეზირს სთხოვა, სემირამიდე მე დამითმე ცოლად და სამაგიეროდ ჩემს ქალიშვილს მოგათხოვებო. როდესაც ონესოსმა ამაზე უარი განუცხადა, ნინოსი მას საშინელი სატანჯველით დაემუქრა, ამით შეშინებულმა ევეზირმა თავი მოიკლა. ამის შემდეგ ნინოსმა მაინც შეირთო სემირამიდე და მისგან ნინიასი შეეძინა. მალე ნინოსიც გარდაიცვალა და ტახტის ხელმძღვანელობა სემირამიდემ გაიგრძო. მას ომი ჰქონდა მიდიასთან, ეთიოპიასთან, ინდოეთთან და სხვა ქვეყნებთან. მისი გარდაცვალების შესახებ არსებობს საკმაოდ ლამაზი მითი, რომლის მიხედვითაც იგი კი არ მოკვდა, არამედ როდესაც სიკვდილის დროს მოუწია, მტრედად იქცა და ცაში გაფრინდა, იქ კი ღვთაებად გადაიქცა. დიდი სახელმწიფოს დამაარსებელთა და ხალხისათვის სათაყვანებელ ადამიანთა ღვთაებად ქცევის მითები საკმაოდ ბევრია ყველა ხალხის მითოლოგიაში. სემირამიდეს ბაღი კარგახანია პოეტური ლექსიკის კუთვნილება გახდა.

სენექტუტა, ლათ. (Senectus—utis) სიბერის განმასახიერებელი რომაული ღვთაება, ნიკტისა და ერებოსის ქალიშვილი. რომაელი მწერლების წარმოდგენით სენექტუტა ცხოვრობდა მიწისქვეშა სამყაროს შესასვლელ კარებთან.

სერაპისი ან სერაპიდი, ბერძნ. (Σέραπις -ιδος, ὁ) ელინისტური ეგვიპტის ერთ-ერთი უშნიშვნელოვანესი ღმერთი, ხშირად მას სერაპიდასაც ეძახიან. მისი კულტი გავრცელდა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ბერძნული და ეგვიპტური რელიგიური წარმოდგენების შერწყმის შედეგად. სერაპისის კულტი მოგვაწვდის ეგვიპტური ღმერთების: ოსირისისა და ბაკის კულტებს შეერწყო. სერაპისს მიეკუთვნა ადრეთვე მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების განმასახიერებელი ღვთაების ფუნქციები. მასვე შეერწყო ბერძნული ღმერთების: ჰადესის, ასკლეპიოსის, აპოლონისა და სხვათა ზოგიერთი ნიშანი, სერაპისის კულტი ფართოდ გავრცელდა მთელს რომის იმპერიასა და ბაქტრიაში. სერაპისის ტაძრებს სერაპეუმები ეწოდებოდა. ჩვენს ერამდე III საუკუნეში ალექსანდრიაში ააგეს სერაპისის უზარმაზარი ტაძარი, რომელსაც ჰქონდა უშველებელი დარბაზი ბიბლიოთეკისათვის, რომლებიც გათვალისწინებული იყო 40000-ზე მეტი გრაგნილისათვის. ეს უმშვენიერესი ტაძარი ქრისტიანმა ფანატიკოსებმა დააქციეს ახალი წელთაღრიცხვის 391 წელს. სერაპისი ზევსის და ჰადესის მსგავს, მოწიფულ, ძლიერ ვაჟკაცად გამოისახებოდა, რომელიც გამოწყობილი იყო ბერძნულ ტანსაცმელში, თავზე ედგა ხილით სავსე კალათა.

სვადა, ლათ. (Suada) დარწმუნების ხელოვნების განმასახიერებელი და მფარველი რომაული ღვთაება, იგივე ბერძნული პეითო.

სთენებოია, ბერძნ. (Σθενέβοια, ἡ) არგოსის მეფის — პრეტოსის ცოლი. მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტანჯავდა ბელეროფონტისადმი ცალმხრივი და უიმედო სიყვარული.

სთენელოსი, ბერძნ. (Σθένελος, ὁ) 1. კაპანეუსის ვაჟი. დიომედეს მეეტლე. 2. პერსეევსის ვაჟი, ევრისთევსის მამა. ჰერაკლეს თანამებრძოლი ამაძონებთან ომში.

სთენო, ბერძნ. (Σθενώ, ἡ) ერთ-ერთი გორგონა.

სიბილა, ბერძნ. (Σίβυλλα, ἡ) ლეგენდარული წინასწარმეტყველი ქალი, რომლის სახელის მიხედვითაც წინასწარმეტყველ ქალებს ეწოდათ სიბილები. პირველი სიბილა იყო დარდანოსის ქალიშვილი. რომში დიდი პატივით სარგებლობდა ე. წ. კუმის სიბილა, რომელსაც „სიბილას წიგნების“ სახელით ცნობილი ნაშრომების შექმნა მიეწერება. გადმოცემის თანახმად მან რომის მეფეს — ტარკვინიუს ამაყს შესთავაზა ეყიდა მისი წიგნები, მაგრამ როდესაც მისგან უარი მიიღო, სამი წიგნი დაწვა და კვლავ შესთავაზა წიგნების ყიდვა. მეფემ არც ახლა იყიდა მისი წიგნები და სიბილამ კიდევ სამი წიგნი დაწვა. ამის შემდეგ ავგურების რჩევით ტარკვინიუსმა იყიდა დარჩენილი სამი წიგნი და კაპიტოლიუმის მთაზე მდებარე ტაძარში შეინახა. სიბილას წიგნები თითქოს ბალმის ფოთლებზე დაწერილი წინასწარმეტყველებანი იყო. წიგნები დიდას საიდუმლოებით ინახებოდა და მხოლოდ და მხოლოდ უაღრესად სანდო ქურუმებისათვის იყო ხელმისაწვდომი. სიბილას წიგნებს შემდეგ მიამატეს ლათინურ ენაზე დაწერილი ე. წ. ტიბრის სიბილას წიგნები და ძმების მარციუსების წინასწარმეტყველებანი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე იუპიტერის ტაძრის ქვის კედლებში ინახებოდა, ჩვენამდე მაინც ვერ მოაღწია. იგი დაიღუპა ხანძრის დროს ჩვენს ერამდე 84 წელს.

სიბილას წიგნები, ლათ. (იხ. სიბილა).

სიზიფოსი, ბერძნ. (Σίσυφος, ὁ) ეოლოსისა და ენარეტეს ვაჟი. მეროპეს ქმარი. გლავკეს მამა, ბელეროფონტის პაპა. კორინთოს დამაარსებელი და მეფე. ზოგი მითის მიხედვით ოდისევსის მამა. ჰომეროსის პოემების მიხედვით იგი იყო ცბიერი, მოხერხებული და პატიოსანი ყაჩაღი.

სიზიფოსის მოხერხებულება-სიცბიერის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი მითი: ერთხელ მან მოტყუებით დაიჭირა სიკვდილის ღმერთი თანატოსი და დაამწყვდია. ამ ხნის განმავლობაში ადამიანები აღარ იხოცებოდნენ, მაგ-

რამ რამოდენიმე ხნის შემდეგ თანატოსი არესმა გაათავისუფლა. თანატოსმა სამაგიეროს გადახდის მიზნით სიზიფოსიც თან წაიყვანა ჰადესში. სანამ სიზიფოსი ჰადესს გაემგზავრებოდა, ცოლი გააფრთხილა, რომ არ გადაეხადა დასაფლავების რიტუალები და მსხვერპლი არ შეეწირა ღმერთებისათვის. როდესაც სიზიფოსმა რამოდენიმე დღე დაჰყო ჰადესში, ჰადესის მბრძანებლებს შესთხოვა, ცოტა ხანს კვლავ გაეშვათ მიწაზე, რათა თავისი ცოლისათვის მოენახიებინა ღმერთებისადმი უპატივცემლობა. ღმერთებმა დაუჯერეს სიზიფოსს და მართლაც გამოუშვეს ცოლთან, მაგრამ სიზიფოსი უკან აღარ დაბრუნდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ მის წასაყვანად ჰერმესი გამოგზავნეს ღმერთებმა; ტყუილის თქმისათვის სიზიფოსი დასაჯეს, მას მაღალ მთაზე უზარმაზარი ლოდი უნდა აეგორებინა. სიზიფოსი აგორებს ლოდს, აგორებს, ის, ისაა რომ აიტანს მწვერვალზე და გაიფიქრებს ახლა კი დავისვენებო, და... ლოდი ხელიდან გაუცურდება, კვლავ ჭალაში ჩაგორდება და სიზიფოსიც იძულებულია ისევ შეუდგეს მომქანცველ შრომას. „სიზიფოსის შრომა“ გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს მძიმე, დაუსრულებელ, უშედეგო და უსარგებლო შრომას. სიზიფოსის თემაზე ტიციანმა შექმნა მხატვრული ტილო „სიზიფოსი“.

სილევსი, ბერძნ. (Σιλεύς -έως, ὁ) ლიდიელი ან თესალიელი ყაჩაღი, რომლის მოკვლა ჰერაკლეს ერთ-ერთ მეორეხარისხოვან გმირობად ითვლება. სილევსს ჰქონდა დიდი ვენახი. იგი თავს დაეცემოდა მგზავრს, დაიჭერდა, იძულებით ამუშავებდა თავის ზვრებში და შემდეგ კლავდა. ომფალოსთან სამსახურის დროს ჰერაკლემ გაანადგურა სილევსის ზვრები და თვით იგი კი მოკლა. მითის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით იფიტოსის მოკვლისათვის ჰერაკლე ემსახურებოდა არა ომფალოსს, არამედ თვით სილევსს.

სილენოსი, ბერძნ. (Σιληνός ან Σειληνός, ὁ) დემონი, ჰერმესის ან პანის ვაჟი. დიონისეს აღმზრდელი და ზედამხედველი. ძველი ბერძნების წარმოდგენით იგი მუდამ მთვრალი, მხიარული და კეთილი ხასიათის მელოტი მოხუცი იყო. იგი იყო სქელი, როგორც რუმბი. გამუდმებული სიმთვრალის გამო სილენოსი ისე გასუქდა, რომ სიარული აღარ შეეძლო და სატირებს ხელით ან ვირით დაყავდათ. მას უყვარდა მუსიკა და სიმღერა. შეეძლო წინასწარმეტყველება, როცა მას მძინარს ნახავდნენ, შეკოჭავდნენ და აიძულებდნენ ეწინასწარმეტყველებინა მათთვის მომავალი. რუმბთან ერთად სილენოსის ატრიბუტებია: თასი, სუროს გვირგვინი, ტირსი და ვირი. ელინიზმის ეპოქაში სილენოსი მრავალი სილენოსისა და სატირების მამად მიიჩნიეს. მოგვიანებით კი ისინი (სილენები და სატირები) საერთოდ განასხვავეს ერთიმეორისაგან. სილენოსი, როგორც სატირების მამა, თავიდან ფეხებამდე თმით დაფარულ მოხუცად გამოისახებოდა. საყოველთაოდაა ცნობილი მარმარილოს ჯგუფური ქანდაკება, სადაც მთვრალ სილენოსს ხელში პატარა დიონისე უჭირავს.

სილვანუსი, ლათ. (Silvanus) იტალიური ტყის ღვთაება (იხ. ფავნუსი).

სილვიუსი, ლათ. (Silvius) იტალიელი გმირი. ენეასის ან ასკანიოსის ვაჟი. ენეასის უფროსმა ვაჟმა იულიუსმა (ასკანიოსმა) სილვიუსს ალბა ლონგას აშენების შემდეგ ჭალაჭ ლავინიუსის მმართველობა დაუთმო. იულიუსის სიკვდილის შემდეგ სილვიუსი ალბა ლონგასაც განაგებდა და სილვიუსების სამეფო დინასტიის წინაპრად იქცა. ზოგი მითი სილვიუსის შთამომავლად მიიჩნევს რომის ლეგენდარულ დამაარსებლებს: რემუსსა და რომულუსს.

სიმპლეგადები, ბერძნ. (Συμπληγάδες, ἄδος — ჯახებადები) პონტოს ზღვის შესასვლელში მოცურავე მოძრავი მითიური კლდეები, რომლებიც სასწრაფოდ ეჯახებოდნენ ერთი მეორეს, თუკი მათ შორის რაიმე არსება აღმოჩნდებოდა. მას შემდეგ, რაც არგომ სიმპლეგადებს გაასწრო, კლდეებმა მოძრაობა შეწყვიტეს.

სინონი, ბერძნ. (Σίνων, ὁ) ჰომეროსის შემდგომდროინდელი თქმულების გმირი, ოდისევსის ნათესავი. როდესაც ბერძნები ანაზდად გასცილდნენ ტროას და მის კარებთან ხის ცხენი მიატოვეს, სინონმა ვერაგულად ურჩია ტროელებს, ცხენი ქალაქში შეეგორებინათ. სინონის თავგადასავალი აღწერილია ვერგილიუსის „ენეიდაში“.

სინოპე, ბერძნ. (Σινώπη, ἡ) ერთ-ერთი ფერია. ასოპოსის ქალიშვილი. სინოპის ეპონიმი.

სინოპეტე, ბერძნ. (Σινωπεύς, ὁ, ἡ) კრეტელი მამაკაცი, რომელმაც სრულიად შემთხვევით დაინახა მობანავე შიშველი არტემიდე და ღმერთქალმა იგი ამის გამო ჭალად აქცია.

სირინოზები || სირენები, ბერძნ. (Σειρῆνες, αἱ) იტალიის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრები მითიური ქალიშვილები, რომლებიც თავიანთი უტკბესი სიმღერით ატყვევებდნენ მგზავრებს და შემდეგ კლავდნენ. მათ სხეულის ზემო ნაწილი ქალებისა ჰქონდათ, ქვემო კი — ფრინველებისა. ითვლებოდნენ ფორკოსისა და კეტოს ან აქელოოსისა და სტეროპეს ქალიშვილებად. ჰომეროსი სულ ორ სირინოზს ასახელებს, მოგვიანებით კი ერთიც მიამატეს. „ოდისეას“ მიხედვით ისინი კუნძულ სკილასა და კარიბდეს კუნძულს შორის მდებარე პატარა კუნძულზე ცხოვრობენ. მათ კუნძულთან ჩავლისას

ქარკეს რჩევით ოდისევსმა თავის თანამგზავრებს ყურები სანთლით ამოულესა, თვითონ კი თავი გემის ანძაზე მიაკვრევინა, რათა სირინოზების მღერით მოხიბლული, როგორც ყველა, ზღვაში არ გადავარდნილიყო. ამიტომაც ოდისევსი იყო პირველი მოკვდავი, რომელმაც სირინოზების ხმა გაიგონა და კვლავ ცოცხალი დარჩა. ამით გამწარებული სირინოზები ზღვაში ჩაცვივდნენ და კლდეებად იქცნენ.

სხვა მითი სირინოზების დაჩოცვას არგონავტებთან და ორფევსთან აკავშირებს. თითქოს არგონავტებმა მშვიდობიანად გაუარეს კუნძულს, რადგანაც ისინი ორფევსის ჰანგებმა უფრო მოხიბლა. მითი მთავრდება იმით, რომ თითქოს დამარცხებული სირინოზები კლდეებად იქცნენ.

სხვა მითების მიხედვით სირინოზები ულამაზესი ზღვის ქალები არიან, რომელთაც ფრინველთა ფეხები მას შემდეგ აქვთ, რაც ეს განრისხებულმა დემეტრემ ბრძანა, რადგანაც ისინი ვერ მიეშველნენ ჰადესის მიერ მოტაცებულ პერსეფონეს. მითის სხვა ვარიანტის მიხედვით სირინოზებმა თვით მოითხოვეს ფრინველთა ფეხები, რათა უფრო მალე მიშველებოდნენ თავიანთ მეგობარ პერსეფონეს. ნახევრად ფრინველ ნახევრად ადამიანის გამოსახულება ბერძნულმა რელიგიამ აღმოსავლეთიდან ისესხა. სირინოზები (სირენები) მოგვიანებით ბოროტ დემონებად იქცნენ. გადატანითი მნიშვნელობით სირენას უწოდებენ ლამაზ ქალთა მშვენიერ ხმებს. სირენა ეწოდება აგრეთვე რაიმეს მაუწყებელ, დანადგარების საშუალებით გამოცემულ წერილ, მაგრამ შორს მიმავალ ხმას. ქარგ მომღერალზე იტყვიან: სირინოზის ხმა აქვსო. ქართველების წარმოდგენაში სირინოზი არის ფრინველი, რომელსაც საუცხოო, მომაჯადოებელი სიმღერები შეუძლია.

სირიოსი, ბერძნ. (Σείριος, ბ) თანავარსკვლავედი „დიდი ქოფაკი" — ყველაზე მეტად კაშკაშა ვარსკვლავი. როდესაც ეს ვარსკვლაკი გამოჩნდება, ბერძნების წარმოდგენით იმ წელს ცხელი ამინდები იქნება. ამის გამო ეგვიპტელების მსგავსად ბერძნებმაც დაიწყეს ამ ვარსკვლავისადმი, როგორც ღმერთისადმი პატივისცემა და მსხვერპლის შეწირვა, რათა მისი გული მოელბოთ და მასაც არ დაეზიანებინა ნათესები; ადამიანები და ცხოველები. კლასიკური პერიოდის მითებში ნათქვამია თითქოს იკარიოსის, ორიონისა ან პროკრიდეს ჯადოსნური ძაღლი იქცა სირიოსად.

სირინგა, ბერძნ. (Σύριγξ-ιγγος, ჰ) ნაიადა, რომელსაც პანი

სდევდა და მისგან განრიდების მიზნით ლერწმად იქცა. ამ ლერწმისაგან პანმა გამოჭრა მწყემსური საკრავი — სალამური (სირინგა).

სიუხვის რქა, (იხ. ამალთეა) გეას, ტიხეს, ფორტუნას, პლუტოსის, ეირენეს და კიდევ ზოგ ღმერთთა ატრიბუტი, სიმდიდრისა და დოვლათის სიმბოლო.

სკამანდროსი, ბერძნ. (Σκάμανδρος, ბ) 1. ჰექტორისა და ანდრომაქეს ვაჟი, რომელსაც ტროელებმა ასტიანაქტი შეარქვეს. 2. ტროელი გმირი, სტროფიოსის ვაჟი, მოკლა მენელაოსმა.

სკვითე || სკვითი, ბერძნ. (Σκύθης, ბ) სკვითების ტომის წინაპარი და ეპონიმი. ჰერაკლესა (ზევსისა) და ექიდნეს ვაჟი. როდესაც ჰერაკლე იმ ქვეყნიდან წამოვიდა, რომელსაც შემდეგ სკვითია ეწოდა, ეკიდნეს თავისი მშვილდი დაუტოვა და დაუბარა, მისთვის გადაეცა სამეფო ტახტი, ვინც მის მშვილდს იხმარდა. ეს მოახერხა სწორედ მისმა შვილმა სკვითემ, ქვეყნის მმართველი გახდა და სახელმწიფოს თავისი სახელი უწოდა. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით სკვითები ცხოვრობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე. მეცნიერთა ერთი ჯგუფი სკვითებს, იგივე შკვითებს, მეგრულ სიტყვა შკვითთან (შეიდი) აკავშირებს.

სკილა, ბერძნ. (Σκύλλα, ჰ) 1. ფორკოსისა და ჰეკატეს ქალიშვილი, ჰომეროსის მიხედვით იგი იყო ექვსთავიანი, გრძელკისრებიანი და თორმეტფეხიანი მყეფარი ურჩხული. თვითეულ პირში მას სამი რიგი კბილები ჰქონდა. გვიანდელი მითების მიხედვით იგი ცხოვრობდა სიცილიასა და იტალიას შორის მდებარე სრუტის სანაპიროზე ერთ-ერთ გამოქვაბულში. მის მოპირდაპირე მხარეზეო, მოგვითხრობს ლეგენდა, ცხოვრობდა მეორე ურჩხული ქარიბდა და მათ შორის მეზღვაურთა გაელა დიდ სიფრთხილეს, მამაცობასა და თავგანწირვას მოითხოვდაო. ოდისევსმა ძლივს მოახერხა ამ საშიშარი ადგილის გავლა, რასაც მისი ექვსი თანამგზავრი შეეწირა. მითი, შესაძლებელია, შეიქმნა იმის გამო, რომ ამ სრუტეში არის წყალქვეშა კლდეები — მეჩეჩები და წყლის საკმაოდ ჩქარი დინება, რაც აფერხებდა და ზოგჯერ ღუპავდა კიდეც მაშინდელ მეზღვაურთა არც თუ ისე კარგად გამართულ ხომალდებს. გადატანითი მნიშვნელობით გამოთქმა „სკილა და ქარიბდა" ნიშნავს ორმხრივ საშიშროებას. 2. მეგარის ერთ-ერთი მეფის ქალიშვილი. მან მინოს მეფის სიყვარულის გამო მამა გასწირა, მაგრამ სამართლიანმა მინოსმა მამის მკვლელი არ დაინდო და ზღვაში გადააგდო. სკილა ამის შემდეგ კლდედ იქცა.

სკირონი, ბერძნ. (Σκίρων, ბ) ლეგენდარული ყაჩაღი, რო-

მელიც შეპყრობილ მგზავრს აიძულებდა ფეხი დაებანა მისთვის. თავის საქმეს რომ მორჩებოდა, წაკუზულ მგზავრს ხელს ჰკრავდა და ზღვაში აგდებდა. დამხრჩვალი ადამიანების ლეშს იქ ჩასაფრებული გიგანტი კუ ჭამდა. ყაჩაღი მოკლა თეზევსმა.

სმარაგოსი, ბერძნ. (Σμάραγος, ὁ) თიხის ჭურჭლის გამოწვის პროცესში დამამსხვრეველი დემონი (იხ. საბაკტოსი).

სმინთევსი, ბერძნ. (Σμινθεύς, ὁ) აპოლონის ეპითეტი ან ეპიკლესი, უნდა მომდინარეობდეს ან ქალაქ სმინთის სახელწოდებიდან, ანდა სიტყვა სმინთოსიდან (σμίνθος, ὁ), რაც თაგვს ნიშნავს. აპოლონი ითვლებოდა (გარკვეულ დროს სხვადასხვა ადგილებში) მინდვრის თაგვების გამანადგურებელ ღვთაებად.

სმირნა, ბერძნ. (Σμύρνα, ἡ) ერთ-ერთი მითის მიხედვით ადონისის დედა.

სოლი, ლათ. (Sol — მზე) მზის ღმერთი ძველ რომში; იგივე ბერძნული ჰელიოსი. ჰიპერიონის ვაჟი. ლუნასა და ავრორას ძმა. მოგვიანებით გაიგივეს აპოლონთან.

სპარტები, ბერძნ. (σπαρτοί, οἱ — დათესილები) კადმოსის მიერ დათესილი დრაკონის კბილებიდან აღმოცენებული მეომრები.

სტატანუსი, ლათ. (Statanus) ბაღშვის პირველი ნაბიჯების მფარველი რომაული ღვთაება.

სტენტორი, ბერძნ. (Στέντωρ, ὁ) ბერძენი მოქალაქე, ტროას ომის მონაწილე, რომელიც ძალიან მაღალი, ძლიერი ხმით გამოირჩეოდა, ხმის სიძლიერეში ჰერმესს შეეჯიბრა და ამ შეჯიბრებაში დაიღუპა.

სტერკუსი, ლათ. (Stercus — ნაკელი) მინდორთა გამანოყიერებელი ნაკელის რომაული ღვთაება. სტერკუსი პირველად სატურნუსის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი იყო, შემდეგ კი ივი დამოუკიდებელ ღვთაებად მიიჩნიეს და მცენარეთა ნაყოფის მომცემ ღმერთად აღიარეს. მითი გვიამბობს, რომ მას მინდორ-ყანების განოყიერება ჰერაკლემ ასწავლა, თვით მან კი აეგეასაგან ისწავლაო.

სტეროპი, ბერძნ. (στέροπ -οπος, ἡ— კაშკაში, ელვა) 1. კეფევსის ქალიშვილი, რომელსაც ჰერაკლემ გორგონა-მედუზას თავი აჩუქა. სტეროპმა ამით მოიგერია მტრები. 2. მდინარის ღმერთის — აქელოოსის ცოლი, სირინოზების დედა.

სტეროპე, ბერძნ. (Στερόπης, ὁ) ერთ-ერთი კიკლოპი.

სტიმულა, ლათ. (Stimula) რომაული ღმერთქალი, რომელიც მოზეიმე ბაკხელებს გამოაფხიზლებდა ხოლმე — სტიმულს აძლევდა

ასაბობოქრებლად (აქედან სტიმული). სტიმულას ზოგჯერ სემელესთან აიგივებდნენ. ტიბრის შესართავში იყო სტიმულას სახელობის ჭალა.

სტიმფალიდები, ბერძნ. — არკადიაში მდებარე სტიმფალოსის ტბის მახლობლად მცხოვრები სპილენძისფრთებიანი, მითიური ფრინველები, რომელთა ფრთები ისრებივით ერჩობოდა ყველაფერში და ხმალსავით ჭრიდა. ისინი ადამიანთა ხორცით იკვებებოდნენ და დიდ საფრთხეს უქმნიდნენ მახლობლად მცხოვრებთ. ეს ფრინველები ამოხოცა ჰერაკლემ. (მისი მეხუთე გმირობა).

სტიქსი, ბერძნ. (στύξ—στυγός, ἡ,— „საშინელი") ერთ-ერთი ოკეანიდი, მიწისქვეშეთში გამავალი ერთ-ერთი მდინარის ფერია, მისი სახელის მიხედვით მიიღო მდინარე სტიქსმა სახელწოდება. სტიქსის წყალზე დაფიცება უწმინდესად ითვლებოდა როგორც ადამიანებისათვის, ისე ღმერთთათვისაც. თუ რომელიმე ღმერთი სტიქსის წყალზე ტყუილად დაიფიცებდა, ერთი წლის განმავლობაში ეძინა და საშინელ სიზმრებით იტანჯებოდა და 9 წლის განმავლობაში არ დაიშვებოდა ღმერთების ბუნებასა და ქვეყნებზე. მდინარე სტიქსი სიმდვილეში მიედინება არკადიაში და უზარმაზარი კლდიდან ჩქერად ეშვება უფსკრულში. მისი წყალი მომწამლავად ითვლებოდა და სწორედ ეს შეიძლება იყოს მისი მკვდართა სამყაროს მდინარედ მიჩნევის მიზეზი.

სუმანუსი, ლათ. (Sumanus) ღამის ელვის რომაული ღვთაება. ერთხელ კაპიტოლიუმის ბორცვზე მდგომარე იუპიტერის ქანდაკებას ღამით მეხი დაეცა და თავი მოსტეხა. ბუნების მრისხანებით შეძრწუნებულმა რომაელებმა ეს რომელიღაც ღმერთის რისხვად მიიჩნიეს, ამ ღმერთად სწორედ ეს მეხი || ელვა ჩასთვალეს და იუპიტერისაგან განსხვავებით აღიარეს ღამის ჰექა-ქეხილის ღვთაებად. მას დიდი ცირკის მახლობლად ტაძარი აუგეს და სუმანუსი უწოდეს.

სფინქსი, ბერძნ. (Σφίγξ—Σφιγγός, ἡ მგუდავი) ლომისტანიანი და ქალისთავიანი ფრთოსანი ურჩხული. პითონისა და ექიდნეს ან ჭიმერასა და ქოფაქ ორტოსის შვილი. სფინქსი ცხოვრობდა თებეს ერთ-ერთ მთავარი შესასვლელის მახლობელ კლდეზე და გამვლელ-გამომვლელს გამოცანას ეუბნებოდა. გამოცანის შინაარსი ასეთი იყო: რა იყო ისეთი არსება, რომელიც დილას ოთხი ფეხით დადიოდა, შუადღისას ორით და საღამოს სამით. გამოცანის გამომცნობი არავინ ჩანდა და ამიტომ სფინქსი უწყალოდ ანადგურებდა მოსახლეობას. რამოდენიმე ხნის შემდეგ, როცა ქალაქი თებე თითქმის გაანა-

ხვერა სფინქსმა, თებეს ოიდიპოსი მოევლინა, სფინქსს გამოცანა ამოუხსნა — უთხრა: ეს ხომ ადამიანიაო, გამწარებული სფინქსი თავისით გადავარდა უფსკრულში. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით სფინქსი თვითონ კი არ გადავარდა, არამედ მოკლა ოიდიპოსმა. სფინქსის სახე ბერძნებმა ეგვიპტიდან შემოიტანეს. ეგვიპტეში სფინქსს უფრთებოდ გამოსახავდნენ. გადატანითი მნიშვნელობით, დღეისათვის, სფინქსი უცნაურ, გამოუცნობ ადამიანს თუ გამოცანას ნიშნავს.

სქერია, ბერძნ. (Σχερία, ἡ) ფეაკების კუნძული, სადაც ფეაკები გადასახლდნენ კიკლოპებისაგან შევიწროების შემდეგ. ძველად სქერიად კუნძულ კერკირას მიიჩნევდნენ. თანამედროვე მეცნიერთა აზრით კი იგი მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია.

— ტ —

ტაგეტი, ლათ. (Tages—etis) ეტრუსკული ღვთაება, გენიუსის ვაჟი, იუპიტერის შვილიშვილი. ტაგეტი შესახედავად პატარა ბიჭუნა იყო, გონება კი ბრძენი კაცისა ჰქონდა, იგი ადამიანებს მოულოდნელად გამოეცხადებოდა ხოლმე. ერთხელ ქალაქ ტარკვინიუსის მახლობლად შრომაში გართულმა მხვნელმა უეცრად შენიშნა იგი, ყვირილი ატეხა და ამ ყვირილზე მოცვივდნენ ეტრუსკები. ამბობენ, რომ ტაგეტმა მათ ასწავლა ცხოველების შიგნეულის მიხედვით მკითხაობა და მერე უცებ გაქრა. გადმოცემის თანახმად ტაგეტისაგან ნასწავლები მკითხაობის წესები შემდგომ თითქოს ჩაიწერეს და შთამომავლობას გადასცეს.

ტავრობოლიები, ბერძნ. (Ταυρόβολος, ბ-დან) წესჩვეულება ძველ საბერძნეთში, რომელიც ხარის მსხვერპლად შეწირვით გამოიხატებოდა.

ტავრობოლოსი, ბერძნ. (Ταυροβόλος — ხარებზე მონადირე) არტემიდეს ზედმეტი სახელი.

ტაიგეტე, ბერძნ. (Ταϋγετη, ἡ) ატლანტოსისა და პლეიონეს ქალიშვილი, ერთ-ერთი პლეიადი, ევრიტოსის დედა.

ტალაოსი, ბერძნ. (Ταλαός, ბ) ბიანტოსისა და პეროს ვაჟი. არგოსელი გმირი. ერთ-ერთი არგონავტი. ადრასტოსის მამა.

ტალარიები, ლათ. (Talaria—ium) მფრინავი ჭოშები; მერ-

კურის ერთ-ერთი ატრიბუტი, რომლის საშუალებითაც მას ფრენა შეეძლო.

ტალასიონი, ლათ. (Talassion —onis) ქორწინების რომაული ღვთაება, რომელსაც მოუხმობდნენ ხოლმე პატარძლის საქმროს სახლში შეყვანისას.

ტალასიონი იყო რომულუსის ერთ-ერთი საუკეთესო თანამებრძოლი და ამიტომაც ხვდა წილად მოტაცებულ საბინიელ ქალთაგან ულამაზესი. როდესაც ეს მზეთუნახავი საქორწინო დარბაზში შეჰყავდათ, სხვა მომტაცებელთაგან დაცვისა და მათი დამშვიდების მიზნით გაიძახოდნენ ეს ქალწული ტალასიონის კუთვნილებაო. ხალხი თითქოს ერთხმად გაიძახოდა: „ტალასიონ!“, „ტალასიონ!“.

მიიჩნდათ, რომ სწორედ ამის შემდეგ დაიწყეს რომაელებმა სარძლოს სახლში შეყვანისას „ტალასიონის“ ძახილი, რომელიც უკვე საზოგადო საჩელად, შემდეგ კი ღვთაებად იქცა.

ტალთიბიოსი, ბერძნ. (Ταλθύβιος, ბ) აგამემნონის მაცნე.

ტალოსი, ბერძნ. (Τάλως, ბ) 1. სპილენძის გოლიათი, რომელიც ზევსმა (ზოგი ვარიანტით ჰეფესტომ) აჩუქა ევროპეს (ზოგი ვარიანტით მინოსს) რათა კრეტის დამცველად გამოეყენებინა. ტალოსი დღეში სამჯერ უვლიდა გარშემო მთელ კუნძულს და თუკი ვინმე უცხოს დაინახავდა, უზარმაზარ ქვებს დაუშენდა და უკანვე გააბრუნებდა. თუ ვინმე მასთან შებრძოლებას გაბედავდა, მაშინ იგი ცეცხლში ჩახუტებოდა, სპილენძის ტანს გაივარვარებდა, მომხდურს ეკვეთებოდა და შეხებისთანავე კლავდა. ტალოსის სასიკვდილო ერთადერთი წერტილი იყო მის ჭუსლზე დატანებული პატარა ხვრელი, რომელშიც სამსჭვალი იყო შერჭობილი. თუ ვინმე მას გამოაძრობდა ან ზუსტად მასზე მახვილს მოახვედრებდა, გოლიათი აუცილებლად დაიღუპებოდა. როდესაც კრეტაზე არგონავტები მივიდნენ, მედეამ ჯადოს საშუალებით დაძინა გოლიათი, მერე სამსჭვალი გამოაძრო, ტალოსი სისხლისაგან დაიცალა და გარდაიცვალა. სხვა თქმულების მიხედვით ტალოსი მოკლეს პენატებმა ჰერაკლეს მშვილდიდან ჭუსლში ნასროლი ისრით. ტალოსის ჭუსლი ძალიან წააგავს აქილევსის ჭუსლს და არ შეიძლება მასთან რაიმე საერთო არ ჰქონდეს. ტალოსი უმთავრესად გამოისახებოდა მონეტებზე, ფრთოსან ყმაწვილად, მომხდურთათვის ქვების სროლის მომენტში. 2. დედალოსის ნათესავი და მოწაფე. რომელმაც მას ოსტატობაში აჯობა და ამისათვის მოძღვარმა აკროპოლის კლდიდან გადმოაგდო.

ტანტალოსი, ბერძნ. (Τάνταλος, ბ) ფრიგიის ან ლიდიის მეფე. ზოგიერთი მითის მიხედვით იგი არგოსის ან კორინთოს მეფეა.

ზევსის ვაჟი, პელოპისა და ნიობეს მამა, ატრევსისა და თიესტეს პაპა. ტანტალოსმა ღმერთების დიდი პატივისცემა დაიმსახურა და მოკვდავთ შორის უდიდესი ბედნიერება ხვდა წილად. მას ღმერთებმა ნება დართეს ღმერთთა თათბირებსა და ქეიფებს დასწრებოდა ოლიმპოს მთაზე. შემდეგ გაამაყებულმა ტანტალოსმა აწყენინა კეთილისმყოფელ ღმერთებს და ამისათვის იგი ჯოჯოხეთში ჩააგდეს. სხვადასხვა მითი ტანტალოსის დანაშაულად სხვადასხვა რამეს ასახელებს. ვერსიები ასეთია: 1. თითქოს მან ადამიანებს გაანდო ღმერთთა საიდუმლო გადაწყვეტილებები. 2. თითქოს ღმერთების მაგიდიდან ნექტარი და ამბროსია მოიპარა და ადამიანებს დაურიგა. 3. იმიტომ, რომ გაეგო ღმერთებს მართლაც შეეძლოთ თუ არა ყველაფრის ხილვა და გაგება, მოკლა თავისი ვაჟი პელოპი და მათ მისი ხორცი აჭამა. 4. დამალა პანდარევსის მიერ ზევსის ტაძრიდან მოპარული ოქროს ძაღლი და სხვა.

1. ერთი მითის მიხედვით, თითქოს, ტანტალოსი მიწისქვეშეთში ყელამდე წყალში იდგა, წყურვილით იტანჯებოდა და დალევა არ შეეძლო —, თუკი წყალს დასალევად წაეტანებოდა, წყალი მაშინვე მისგან შორს გარბოდა. აწუხებდა შიმშილიც, თუმცა მის თავზე ხილით დახუნძლული ტოტები იყო გადმოკიდებული, მაგრამ როგორც კი მოსაწყვეტად ხელს ასწვდა, ტოტები მაშინვე განერიდებოდნენ. მითის მეორე ვერსიის მიხედვით ტანტალოსი ჩავარდნილი იყო მარადიულ შიშში. იგი ეკიდა ჰაერში მოქანავე კლდის ქვეშ, რომლის ჩამოვარდნა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, მაგრამ კლდე არ ვარდებოდა და ტანტალოსი სიკვდილის მოლოდინში გამუდმებით იტანჯებოდა.

სოფოკლემ დაწერა ტრაგედია „ტანტალოსი". გადატანითი მნიშვნელობით „ტანტალოსის სასჯელი" ნიშნავს რაიმის მეტისმეტად სურვილს, მაგრამ მის მიუღწეველობას, ან კიდევ გამუდმებულ, მტანჯველ შიშს. 2. თიესტეს ერთ-ერთი ვაჟი, მოკლა ავგამემნონმა.

ტარტაროსი || ტარტაროზი, ბერძნ. (Τάρταρος, ბ) მიწის უღრმესი წიაღი ჰესიოდეს მიხედვით. იგი ჰადესის უღრმესი ნაწილია და დედამიწის პირიდან ისევეა დაშორებული, როგორც ცა. მას გარს აკრავს სამმაგი სიბნელე და რკინის კედელი. (ზოგი ვარიანტით სამმაგი სპილენძის კედელი). ტარტაროსს აქვს პოსეიდონისაგან გაკეთებული სპილენძის კარები. ტარტაროსის ირგვლივ გამუდმებით ბობოქრობს ქარბუქი. ტარტაროსში პირველად ჩაყარეს კრონოსი და დამარცხებული ტიტანები. მათ ასხელოვანი გოლიათები — ჰეკატონხეირები დარაჯობენ. ტარტაროსი ზოგჯერ ჰადესთანაცაა გაიგივებული. ქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენაში ტარტაროსს ცელის ჯოჯოხეთი, ჰადესს კი საიქიო. საიქიოში ყველა მიდის, ჯოჯოხეთში კი დიდი დამნაშავეები ხვდებიან. ტარტაროზი ხშირად ბოროტ არსებადაა მიჩნეული, იგი ეშმაკების მეთაური და წინამძღოლია.

ტაციტა, ლათ. (Tacita) მდუმარებისა და სიწყნარის რომაული ღვთაება.

ტეგეიური ზეიმი, — აპოლონისადმი მიძღვნილი ზეიმი ქ. ტეგეაში, როდესაც აპოლონი და არტემიდე გაიზარდნენ, გადაწყვიტეს, რომ ყველა ის, ვინც ხელი შეუშალა მათი დედის— ლეტოს მომშობიარებას ან საერთოდ რაიმე შეურაცხყოფა მიაყენა მას, სასტიკად დაესაჯათ. როდესაც აპოლონი და არტემიდე ტეგეაში მივიდნენ, ერთ-ერთმა მოქალაქემ — სკეფროსმა აპოლონს საუბარი დაუწყო. მის დამნაშავე ძმას — ლეიმონოსს ეგონა ძმა ღმერთთან მიჩივისო და მოკლა იგი. ამისათვის მკვლელი მოკლა არტემიდემ. ტეგეიურ ზეიმებზე სწორედ ამ სცენას განასახიერებდნენ ხოლმე.

ტევთრანტი, ბერძნ. (Τεύθρας -αντος, ბ) 1. ტროის ომის მონაწილე, ბერძენი მეომარი. მოკლა ჰექტორმა. 2. მისიის უძველესი მეფე. ტელეფოსის წინაპარი.

ტევკროსი, ბერძნ. (Τεῦκρος, ბ) 1. ფრიგიელთა მდინარის ღმერთის — სკამანდროსისა და ფერია იდეიას ვაჟი, ტროის პირველი მეფე. მისი სახელის მიხედვით ტროელებს ტევკრებსაც უწოდებდნენ. 2. ტელამონისა და ჰესიონეს ვაჟი, ეანტოს დიდის ალალი ძმა. ტროის ომში გამოიჩინა თავი საუკეთესო მოისრობით. სამშობლოში, კუნძულ სალამინზე დაბრუნებისას იგი დაწყევლა და სამშობლოდან გააძევა მამამ იმისათვის, რომ არ მიეშველა გასაჭირში ჩავარდნილ ძმას და სამაგიერო არ გადაუხადა ძმის მკვლელს. აპოლონის რჩევით განდევნილი ტევკროსი კუნძულ კვიპროსზე დასახლდა.

ტეთისი, ბერძნ. (Τηθύς, ჩ) ტიტანიდა. ურანოსისა და გეას ქალიშვილი, ოკეანოსის და და მეუღლე. ოკეანიდებისა და მდინარეთა ღვთაებების დედა. კერძოდ, „თეოგონიას" მიხედვით ტეთისმა ოკეანოსს უშვა ბობოქარი მდინარეები: ნილოსი, ალფეოსი და ღრმამორევიანი ერიდანოსი; აგრეთვე ლამაზტალღებიანი ისტროსი (დუნაი), ფაზისი, რესოსი და ვერცხლივით ელვარე აქელოოსი. ტეთისმა და ოკეანოსმა შეიფარეს ზევსისაგან დევნილი ჰერა, რის გამოც მოც ამის მერე ჰერა მათი ხშირი და სასურველი სტუმარი იყო. ოკეანოსი და ტეთისი წყლის სტიქიას განასახიერებდნენ, რის გამოც მათ ჩვეულებრივად საერთო სამლოცველოებს უშენებდნენ.

ვიანებით ტეთისი ძიდასთან გაიგივეს. პოეზიაში ტეთისს ზღვას უწოდებენ. გეოლოგები ტეთისს უწოდებენ უძველეს ოკეანეს, რომლის ნარჩენები ხმელთაშუა, შავი და კასპიის ზღვებია.

ტეკმესა, ბერძნ. (Τέκμησσα, ἡ) ფრიგიის მეფის ქალიშვილი, რომელიც ტყვედ ჩაიგდო ეანტოს დიდმა და შემდეგ ცოლად შეირთო.

ტელამონი, ბერძნ. (Τελαμών -ῶνος, ὁ) 1. ეაკოსის ვაჟი, პელევსის ძმა, გლავკეს ქმარი (შემდეგ პერიბოიას და ჰესიონეს ქმარი). ეანტოს დიდის მამა, არგონავტების ლაშქრობის მონაწილე. ჰერაკლეს თანამგზავრი ტროასა და ამორძალების (ამაძონების) წინააღმდეგ ბრძოლაში. აქ მან მოკლა „ეაქკაცთ შემმუსვრელი, უბიწო მელანიპოსი". მონაწილეობდა კალიდონის ნადირობაშიც. როდესაც ჰერაკლემ ტროა აიღო, ტელამონს ნადავლში წილად ხვდა ჰესიონე, რომელიც მან ცოლად შეირთო და მისგან ტევკროსი შეეძინა. როდესაც არგონავტები ტროადას მიადგნენ, ჰერაკლემ ქალაქში გაგზავნა თავისი ძმა იფიკლე და ტელამონი შეპირებული ფაშატებისა და ჰესიონეს წამოსაყვანად. ლაომედონტმა მოციქულები საპყრობილეში ჩასვა და მოკვლა დაუპირა, მაგრამ ლაომედონტის ერთ-ერთმა ვაჟმა, სამართლიანმა პრიამოსმა, ტყვეების მხარე დაიჭირა, მათ საპყრობილეში ხმლები შეუტანა და ლაომედონტის განზრახვაც აღწყვა. ტყვეებმა მცველები ამოხოცეს და თავს უშველეს. ეანტოს დიდსა და ტევკროსს ტელამონიდებს უწოდებენ.

ტელეგონე||ტელეგონოსი, ბერძნ. (Τηλέγονος, ὁ) (შორისაგან შორს დაბადებული). ოდისევსისა და კირკეს ვაჟი. იგი კირკემ ოდისევსის სამშობლოში გამგზავრების შემდეგ დაბადა. როდესაც ყმაწვილი წამოიზარდა, დედის რჩევით მამის მოსანახულებლად წავიდა. ტელეგონოსი რომ ითაკაზე გადაეცდა, წინ, როგორც უცხოელს, ოდისევსი შეეგება და ჩხუბი დაუწყო. ტელეგონოსმა დაჭრა ოდისევსი და იგი ამ ჭრილობით გარდაიცვალა. როდესაც ტელეგონოსმა გაიგო, რომ მისგან მოკლული მამაკაცი მისი მამა იყო, ძალიან ეწყინა, მაგრამ რაღას გააწყობდა. დაღონებულმა შვილმა აიღო მამის გვამი და დედასთან — კირკესთან წაიღო. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ტელეგონოსმა შემდეგ ცოლად შეირთო პენელოპე.

ტელემაქე||ტელემაქოსი, (ბერძნ. (Τηλέμαχος, ὁ) ოდისევსისა და პენელოპეს ვაჟი, რომელსაც ოდისევსის ტროას ომში გამგზავრების შემდეგ ზრდიდა მენტორი. როდესაც ტელემაქე წამოიზარდა, მოითხოვა დედის საქმროების სახლიდან გაძევება, რისთვისაც მათ მისი მოკვლა გადაწყვიტეს. ათენას რჩევით უკვე დავაქა-

ცებული ტელემაქე მამის საძებნელად წავიდა. ათენამ მენტორის სახე მიიღო. ტელემაქეს გაჰყვა და ყოველგვარ გასაჭირში ეხმარებოდა. მისივე რჩევით ტელემაქე შინ დახლართული გზით დაბრუნდა, რითაც თავიდან აიცდინა დედამისის საქმროების მიერ ჩაფიქრებული ბოროტი განზრახვა. უკან დაბრუნებულ ტელემაქეს მამა უკვე საშობლოში დახვდა. ტელემაქემ ნახა მამა და დაეხმარა „სასიძოების" ამოხოცვაში. გვიანდელი მითების მიხედვით მამის სიკვდილის შემდეგ ტელემაქემ ცოლად შეირთო კირკე, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი — ლატინუსი. სხვა მითების მიხედვით ტელემაქემ ცოლად შეირთო ფეაკთა მეფის — ალკინოოსის ქალიშვილი ნავსიკაა. ზოგიერთი მითი ტელემაქეს ცოლად ნესტორის ქალიშვილ პოლიკასტესაც ასახელებს. ზოგი მითის მიხედვით ტელემაქემ მოკლა კირკე და მისი ქალიშვილი კასიფონე შეირთო ცოლად. დედის მკვლელობით განრისხებულმა კასიფონემ ტელემაქეც მოკლა.

ტელემოსი, ბერძნ. (Τήλεμος, ὁ) კიკლოპებში მცხოვრები წინასწარმეტყველი, რომელმაც პოლიფემოსს ოდისევსისაგან დაბრმავება უწინასწარმეტყველა.

ტელესფოროსი, ბერძნ. (Τελεσφόρος, ὁ) გამოჯანმრთელების დემონი. გამოისახებოდა ჩვეულებრივ ასკლეპიოსთან ერთად.

ტელეონტი, ბერძნ. (Τελέων -οντος, ὁ) 1. არგონავტ (ევრიბატეს) ერიბოტესის მამა. 2. არგონავტ ბუტესის მამა.

ტელეფასა, ბერძნ. (Τηλέφασσα, ἡ) აგენორის ცოლი, კადმოსის დედა.

ტელეფოსი, ბერძნ. (Τήλεφος) ჰერაკლესა და ავგეს ვაჟი. ახალშობილი ტელეფოსი გადააგდეს, მაგრამ მაინც გაიზარდა და დიდხანს, მრავალი განსაცდელის გამოვლის შემდეგ იპოვა დედა, რომელიც ცოლად ჰყავდა მისიის მეფე ტევთრანტს. შემდეგში ტელეფოსი ტევთარენტის მემკვიდრე გახდა.

ტელეფოსის შესახებ არსებობს ასეთი მითი: როდესაც ტროის ომში მიმავალი ბერძნები შეცდომით მისიაში მიეიდნენ, მათ შეებრძოლა ტელეფოსი და აქილევსმა დაჭრა იგი. დრო გადიოდა და ტელეფოსის ჭრილობა კი არ ხორცდებოდა. ტელეფოსმა სამისნოსაგან გაიგო, რომ მისი ჭრილობის მოშუშება შეიძლებოდა მხოლოდ აქილევსის მიერ იმავე ხმლის შეხებით. ტელეფოსი დახმარებისათვის მიკენში გაემგზავრა აგამემნონთან. მეფე აგამემნონმა დაარწმუნა აქილევსი, რომ საჭირო იყო მისი ხმლის შეხება ტელეფოსის გადასარჩენად. სამაგიეროდ ტელეფოსმა ბერძნებს ასწავლა ტროამდის მისასვლელი გზა, თვითონ კი ომში მონაწილეობა არ მიიღო იმის გა-

მო, რომ პრიამოსი მისი ნათესავი იყო. პერგამში არსებობდა ტელეფოსის კულტი. იქ იგი ეროვნულ გმირად და ატალიდების დინასტიის წინაპრად ითვლებოდა. ესქილემ, სოფოკლემ და ევრიპიდემ ტელეფოსის სახე გამოიყენეს თავიანთ ტრაგედიებში. პერგამის ტაძრის ფასადზე გამოსახულია სცენები ტელეფოსის მითიდან.

ტ ე ლ უ რ ა, ლათ. (Tellus –uris) ტელუსი ანუ ტელურა ეწოდებოდა ძველიტალიურ მიწის ღვთაებას, რომელსაც ხშირად ტერა მატერსაც უწოდებდნენ (terra mater—დედამიწა). მას ზოგჯერ მიწისძერის ღვთაებადაც მიიჩნევდნენ. ტელურა ბერძნულ გეასთან იყო გაიგივებული, ითვლებოდა სიცოცხლისა და სიკვდილის ღმერთქალად. როგორც ნაყოფიერებისა და ქორწინების ღმერთქალი, ტელურა ცერერას უახლოვდებოდა.

ტ ე ლ ფ უ ს ე, ბერძნ. (Τελφοῦσα, ἡ) ბეოტიაში მდებარე მისი თანამოსახელე წყაროს ფერია. მის სახელს უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე არკადიის ქალაქ ტელფუსას სახელწოდება.

ტ ე ლ ხ ი ნ ე ბ ი, ბერძნ. (Τελχῖνες, οἱ) ზღვის დემონები, პონტოსისა და გეას ვაჟები, პოსეიდონის თანამგზავრები. ზოგიერთი მითის მიხედვით მათ აღზარდეს პოსეიდონი. ტელხინები ზღვიდან ერთერთ კუნძულზე გადავიდნენ. აქ ტელხინების დამ — გალიამ შეიყვარა პოსეიდონი და მისგან დაბადა ქალიშვილი როდა, რომლის სახელსაც ამის შემდეგ ატარებს ეს კუნძული. ტელხინებმა ასწავლეს როდოსელებს მადნის მოპოვება და ლითონის დამუშავება, ღმერთთა ქანდაკებების შექმნა, წისქვილით სარგებლობა და სხვა. ტელხინებს შეეძლოთ მოეყვანათ წვიმა და მიეღოთ სასურველი სახე. ტელხინები ხშირად ზიანს აყენებდნენ ღმერთებსა და ადამიანებს. კაცთა მოდგმის მტრები—ტელხინები გადაჭარბებულად ასველებდნენ მიწას წყლით და მოსავლიანობას ამცირებდნენ. ამის გამო ისინი ამოხოცა აპოლონმა და ზეესმა. სხვა მითის მიხედვით ღმერთებმა ჩაძირეს ტელხინების კუნძული. გადარჩენილი ტელხინები სხვადასხვა კუნძულებზე გადასახლდნენ.

ტ ე მ ე ნ ო ს ი, ბერძნ. (Τήμενος, ὁ) არისტომაქეს ვაჟი, არგოსის მეფე. მაკედონიის მეფეთა დინასტიის მითიური წინაპარი.

ტ ე ნ ა რ ე ს მ ი წ ა, ბერძნ. (Ταίναρίη χθών) კონცხი ლაკონიაში, სადაც ძველი ბერძნების წარმოდგენით, პოსეიდონის მღვიმეზე გავლით, იწყებოდა ჰადესში ჩასასვლელი გზა.

ტ ე რ ა მ ა ტ ე რ ი, ლათ. (Terra Mater—დედამიწა) იხ. ტელურა.

ტ ე რ ე ე ს ი, ბერძნ. (Τηρεύς, ὁ) ფრიგიის მეფე, არესის ვაჟი, პროკნეს მეუღლე (იხ. პროკნე).

ტ ე რ მ ე რ ო ს ი, ბერძნ. (Τέρμερος, ὁ) ყაჩაღი, რომელიც მგზავრებს იქერდა და თავების დახეთქვით ხოცავდა. ამავე მეთოდით იგი მოკლა განრისხებულმა ჰერაკლემ.

ტ ე რ მ ი ნ ა ლ ი ე ბ ი, ლათ. (terminalia) ძველ რომში ნუმა პომპილიუსის მიერ შემოღებული დღესასწაულები ტერმინუსის პატივსაცემად, რომელიც 23 თებერვალს — რომაული წელიწადის ბოლო დღეს იმართებოდა. ამ დღეს რომაელები მიდიოდნენ სასაზღვრო ნიშნებთან, წმინდა ქვებთან, წმინდა ნიშებთან, მიჰქონდათ მსხვერპლი და დროს მხიარულად ატარებდნენ (იხ. ტერმინუსი).

ტ ე რ მ ი ნ უ ს ი, ლათ. (Terminus) საზღვრებისა და სასაზღვრო ნიშნების რომაული ღვთაება. ითვლებოდა აგრეთვე წმინდა ქვების, ბოძების, ადგილებისა და სხვათა ღვთაებად. გადმოცემის თანახმად ტერმინუსის კულტი რომში გაავრცელა ნუმა პომპილიუსმა, ტაძარიც აუგო და დღესასწაულებიც, ე. წ. ტერმინალიებიც დაუწესა. მითი წარმოშობილი უნდა იყოს იმის გამო, რომ რომში საზღვრებისა და სასაზღვრო ნიშნების შებილწვა ან შელახვა უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა. ტერმინუსთანაა დაკავშირებული სიტყვა „ტერმინი“.

ტ ე რ ფ ს ი ხ ო რ ა, ბერძნ. (Τερψιχόρα, ἡ) ცეკვის მოყვარულს ნიშნავს ქართულად. ცეკვის, ზოგჯერ ჯგუფური სიმღერის, ხორუმის მფარველი მუზა. გამოისახებოდა ახალგაზრდა ქალიშვილად, ხელში ლირა ეჭირა. მოცეკვავეებს ხშირად ტერფსიხორებს უწოდებენ ხოლმე.

ტ ი ბ ე რ ი ნ უ ს ი, ლათ. (Tiberinus) მდინარე ტიბრის ღვთაება. გადმოცემის თანახმად იგი ალბების მეფე იყო, მდინარე ამბულაში დაიხრჩო და ამის შემდეგ ამ მდინარეს ტიბრი || ტიბერინუსი ეწოდა. სხვა მითის მიხედვით ტიბერინუსმა გადაარჩინა მდინარეში გადაგდებული რეა სილვია. მდინარე ტიბრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომაელი ხალხის ცხოვრებაში; ამიტომაც მას ხშირად ლოცვებით მიმართავდნენ და აღმერთებდნენ. ტიბერინუსისადმი მიძღვნილი ზეიმები იმართებოდა წელიწადში სამჯერ: 8 დეკემბერს, 7 ივნისსა და 27 აგვისტოს. 7 ივნისი მეთევზეთა დღეობა იყო. ჩვენამდე მოღწეულ ტიბერინუსის ქანდაკებათაგან საუკეთესოა გამოსახულება, რომელსაც ხელში ნიჩაბი და სიუხვის რქა უჭირავს, ძუ მგელი, რემუსი და რომულუსი თან ახლავს.

ტ ი დ ე ე ს ი, ბერძნ. (Τυδεύς, ὁ) ენეასისა და პერიბოეს ვაჟი,

დიომედეს მამა, ერთ-ერთი თებეზე გალაშქრებულ შვიდ გმირთაგან. ტიდევსს თავისი ნათესავი შემოაკვდა და იძულებული შეიქმნა პოლინიკესთან ერთად მეფე ადრასტოსთან გაქცეულიყო. არგოსში ყოფნისას მან ცოლად შეირთო მეფის ქალიშვილი დეიფილე და სიმამრთან ერთად გაილაშქრა თებეს წინააღმდეგ. იგი თებეში მეფე ეტეოკლესთან ელჩის სახით მივიდა, რამოდენიმე თებელი ორთაბრძოლაში გამოიწვია და დაამარცხა. უკან დაბრუნებისას მას 50 თებელმა ალყა შემოარტყა და მოკვლას უპირებდნენ, მაგრამ მან ყველა ამოხოცა მაიონს გარდა. ამის შემდეგ ტიდევსი სასიკვდილოდ დაჭრა მელანიპოსმა. სიკვდილის პირს მიმდგარს მას ათენა გამოეცხადა და სურდა მისთვის უკვდავება მიენიჭებინა, მაგრამ ეს გაიგო მისმა მტერმა — ამფიარაოსმა და შხაკვრული განზრახვით გაუგზავნა მას მისი დამჭრელის — მელანიპოსის თავი. გაცოფებული ტიდევსი გაება მტრისაგან დაგებულ მახეში: მან გაჰპო მელანიპოსის თავი, ტვინი ამოიღო და შეჭამა. ამ სურათის მხილველი ათენა მეტისმეტად განრისხდა და თავის განზრახვაზე ხელი აიღო. ტიდევსი დაასაფლავა მისმა მადლიერმა მაიონმა.

ტითონოსი, ბერძნ. (Τιθωνός, ბ) ტროის მეფის — ლაომედონტის ვაჟი, ფრიგიის მეფე. ეოსის ქმარი, პრიამოსის ძმა, მემნონის მამა. მას შემდეგ, რაც ტითონოსი ეოსის საყვარელი ქმარი გახდა, ეოსი ღმერთებს შეევედრა მისი ქმარიც უკვდავი გაეხადათ (იხ. ეოსი).

ტინდარეოსი, ბერძნ. (Τυνδάρεος, ბ) სპარტის ერთ-ერთი მეფის ან პერიეროსისა და გორგოფონეს ვაჟი. ძმისაგან განდევნილი ტინდარეოსი სპარტიდან ეტოლიაში გაიქცა თესტიოსთან, ომებში მიეხმარა და მისი ქალიშვილი — ლედა ცოლად შეირთო. მოგვიანებით ჰერაკლეს შემწეობით მან კვლავ დაიბრუნა სპარტის ტახტი. ლედასაგან ტინდარეოსს შეეძინა ქალიშვილები: კლიტემნესტრა და ელენე (ზოგი ვარიანტით ფილონოე), ვაჟები: კასტოროსი და პოლიდევკე. უფრო მეტად გავრცელებული მითის მიხედვით ელენე და პოლიდევკე ზევსისა და ლედას შვილები იყვნენ. მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ტინდარეოსზე აფროდიტე გაჯავრდა, რადგანაც მან დაივიწყა მისთვის მსხვერპლის შეწირვა. სწორედ ამიტომ შეიქმნა უბედო მისი ორივე ქალიშვილის ელენესა და კლიტემნესტრას ჭორწინება.

ტირენოსი, ბერძნ. (Τυρρηνός, ბ) 1. ლიდიის მეფის ვაჟი, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, იტალიის დასავლეთ სანაპიროზე ლიდიელთა კოლონია დააარსა. 2. პელასგური ტომის წარმომადგენელი ლიდიაში. ტირენიელი მოქალაქე.

ტირესია, ბერძნ. (Τειρεσίας, ბ) ევერესისა და ფერია ქარიკლოს ვაჟი, მანტოს მამა. ცნობილი ბრმა წინასწარმეტყველი, ვისი სახელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ოიდიპოსის მითთან და თებეური წარმოშობის სხვა მითებთან. ტირესიამ ახალგაზრდობისას დაინახა ორი გველი და ერთი მათგანი მოკლა, რომელიც თურმე დედა გველი ყოფილიყო და ტირესია ქალად იქცა. შვიდი წლის შემდეგ ქალმა ტირესიამ კვლავ მოკლა გველი და ახლა მამაკაცად გადაიქცა. ამის შემდეგ ზევსმა და ჰერამ ტირესიას მისცეს ასეთი შეკითხვა: ქალისათვის მეტი ბედნიერება მოაქვს სიყვარულს თუ მამაკაცისათვის. ტირესიამ უპასუხა ქალისათვისო და განრისხებულმა ჰერამ იგი დააბრმავა. სხვა მითის მიხედვით ტირესია დააბრმავა არა ჰერამ, არამედ ათენამ, რადგანაც მან ღმერთქალი ტიტეული დაინახა. კიდევ სხვა მითების მიხედვით ღმერთებმა ტირესია იმიტომ დააბრმავეს, რომ იგი ადამიანებს ღმერთთა საიდუმლოებებს უმჟღავნებდა. ტირესიას დედა ქარიკლო ბევრს ევედრა ღმერთებს, რათა მისი შვილისათვის სინათლე დაებრუნებინათ. ღმერთებმა სინათლის წართმევის სამაგიეროდ ყოველგვარი ფრინველის ენის გაგების უნარით დააჯილდოვეს ტირესია და მისცეს კვერთხი, რომელიც მას მუდამ ზუსტ მგზნურობას უწევდა. პირადად ზევსმა იგი წინასწარმეტყველების ნიჭით და დიდხანს სიცოცხლით დააჯილდოვა. მითების თანახმად ტირესია ძალიან დიდხანს ცხოვრობდა. იგი მოესწრო კადმოსისაგან ქალაქ თებეს დაარსებასაც და მის საბოლოოდ დაცემასაც. ტირესიამ მომავალი უწინასწარმეტყველა ოიდიპოსს, ეპიგონებს, ოდისევსსა და სხვა მითოლოგიურ პერსონაჟებს. თებეს დაცემის შემდეგ ტირესია დელფოს სამისნოსაკენ გაეშურა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. ტირესიას სახე ხშირად გვხვდება ბერძენ და სხვა ხალხების ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ტირო, ბერძნ. (Τυρώ, ჩ) სალმონევსის ქალიშვილი, ნელევსისა და პელიასის დედა. მდინარის ღმერთის — ენიპევსის სატრფო. პოსეიდონმა მიიღო ენიპევსის სახე. ტიროს დაუკავშირდა და მან შობა პელიასი და ნელევსი. ტირომ ახალშობილები გადაყარა, მაგრამ ბავშვები გადარჩნენ.

ტისამენოსი, ბერძნ. (Τισαμενός, ბ) ორესტესა და ჰერმიონეს ვაჟი. არგოსის მითიური მეფე, დაიღუპა ჰერაკლიდებთან ბრძოლაში.

ტისიფონე, ბერძნ. (Τισιφόνη, ჩ) ერთ-ერთი ერინია.

ტიტანები, ბერძნ. (Τιτᾶνες, ბ) ურანოსისა და გეას შვილები, ძველი ღვთაებანი. ტიტანებად ითვლებოდნენ ოკეანოსი, ჰიპე-

რიონი, კოოსი, იაპეტი, კრონოსი... ტიტანებმა მხარი დაუჭირეს კრონოსს ურანოსის წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ მათი დახმარებით წაართვა კრონოსმა ძალა-უფლება ურანოსს და ტარტაროსში ჩაყრილი თავისი ძმები, კიკლოპები და ჰეკატონხეირები გაათავისუფლა. როდესაც კრონოსმა ძალა მოიკრიბა, ესენი ისევ ტარტაროსში ჩაყარა, რადგანაც ეშინოდა ახლა მათ მისთვის არ წაერთმიათ ძალაუფლება. ტიტანებმა ცოლად შეირთეს თავიანთი დები — ტიტანიდები. ოკეანოსმა — ტეთისი, კოოსმა — ფებე, ჰიპერიონმა — თეია, იაპეტმა — კლიმენე, თვით კრონოსმა კი რეა. როდესაც ზევსმა კრონოსის ძალა-უფლება დაამხო, ტიტანები ახალი ღმერთების წინააღმდეგაც აღსდგნენ. ბრძოლები ოტრისისა და ოლიმპოს მთებზე გაიმართა. ოლიმპიელთა მხარე კიკლოპებმა და ჰეკატონხეირებმა დაიჭირეს და ტიტანები დამარცხდნენ. ტიტანომახიის შემდეგ ოლიმპიელებმა განიმტკიცეს ძალა-უფლებები. გვიანდელ მითებში ტიტანები გააიგივეს გიგანტებთან. სწორედ ამიტომაა, რომ „ტიტანომახიის“ ნაცვლად დამკვიდრდა სახელწოდება „გიგანტომახია“. დამარცხებული ტიტანები ტარტაროსში ჩაყარეს. გვიანდელი მითების მიხედვით ისინი შეურიგდნენ ღმერთებს და ნეტართა კუნძულზე დასახლდნენ. ტიტანების მითი ფართოდაა გამოყენებული ხელოვნებაში (რუბენსი, ფოიერბახი, როსინი და სხვ).

ტიტანიდები, ბერძნ. (Τιτανίδες, αἱ) ტიტანების დები. ურანოსისა და გეას ქალიშვილები. ტიტანიდებს ზოგჯერ ტიტანთა შვილებსაც უწოდებენ.

ტიტიოსი, ბერძნ. (Τιτυός, ὁ) გოლიათი. ზევსისა და ორქომენის ქალიშვილის — ელარეს ვაჟი. (ჰომეროსის მიხედვით გეას ვაჟი). ზევსმა გაჯავრებულ ჰერასაგან განრიდების მიზნით ელარე მიწაში დამალა, სადაც დაბადა მან ტიტიოსი. ჰერამ გაიგო და დევნა დაუწყო ზევსის უკანონო შვილს. მას ღმერთთა დედოფალმა ლეტოსადმი მწველი სიყვარული ჩაუნერგა. გოლიათმა ლეტოს გაუპატიურება სწორედ მაშინ მოინდომა, როდესაც ღმერთქალი დელფოს სამისნოში მიემგზავრებოდა. ამისათვის განრისხებულმა ზევსმა ტიტიოსს მეხი დასცა და ქვესკნელში ჩააგდო. სხვა მითის მიხედვით ამავე მიზეზის გამო ტიტიოსი მოკლეს აპოლონმა და არტემიდემ. „ოდისეაში“ მიხედვით ამის შემდეგ ტიტიოსი ჰადესში მიწაზე გართხმული იწვა და ორი სავაე გამუდმებით უკორტნიდა ღვიძლს. ევბეაში არსებობდა ტიტიოსის კულტი. პერგამის ტაძრის დიდ ფასადზე ტიტიოსი გამოსახულია მოკლეფრთებიან, კუდიან და ბრჭყალებიან არსებად, რომელსაც ლეტო ჩირაღდნით ცეცხლს უკიდებს.

ტიფონი, ბერძნ. (Τυφών -ῶνος, ὁ) გეასა და ტარტაროსის უმცროსი ვაჟი. ტიფონი დაიბადა ღმერთების მიერ ტიტანების დამარცხების შემდეგ. ტიფონს ჰქონდა ასობით გველის თავი და თვითეულიდან ცეცხლს აფრქვევდა. ტიფონს შეეძლო სხვადასხვა თავიდან მრავალგვარი ხმის გამოცემა. მაგალითად, ღმერთის ღაღადების, ძაღლის ყეფის, ლომის ღრიალის, გველის სისინის და სხვა. იგი ითვლებოდა; ლერნეს ჰიდრას, ორთავიან ქოფაკ ორთროსის, ქიმერების, ჯოჯოხეთის ქოფაკ კერბერის, ნემეიური ლომის, პრომეთეს მძიმგნელი არწივის, თებეს სფინქსის და სხვა საშინელი ურჩხულების მამად. ტიფონი ერთხელ ზევსსაც კი შეებრძოლა, მაგრამ კაცთა და ღმერთთა მამამ იგი დაამარცხა და ტარტაროსში ჩააგდო. ჰომეროსის მიხედვით ტიფონი ცხოვრობდა მცირე აზიაში, არიმების მხარეში — მიწისქვეშეთში, სადაც იგი ზევსმა მეხის დარტყმით ჩააგდო. ტიფონს კავკასიასთანაც აკავშირებენ. ერთი მითის მიხედვით მას ზევსმა მეხი კავკასიის მთებში დასცა და მისი თავიდან გამოდენილი ცხელი სისხლისაგან წარმოიშვნენ ოქროს საწმისის მცველი დრაკონები.

მითის ერთი ვარიანტის მიხედვით ტიფონი წევს ეტნის მთის ფსკერზე, დრო და დრო აფრქვევს ცეცხლს და არყევს დედამიწას. ზოგჯერ იგი დედამიწაზედაც ამოდის ხოლმე რომელიმე ვულკანის კრატერიდან.

გვიანდელი მითები გვიამბობენ, რომ ოლიმპიელებმა ველარ გაუძლეს ტიფონის თავდასხმებს და ეგვიპტეში გაიხიზნენ. აქ ისინი სხვადასხვა ცხოველებად იქცნენ, რომ ტიფონს ვერ მიეგნო. ერთ-ერთი შეჯიდების დროს ტიფონმა დაამარცხა თვით ზევსიც კი. კიდურებიდან ძარღვები ამოაცალა და სიკვდილის პირას მიგდებული ღმერთთა და კაცთა მბრძანებელი კილიკიის ერთ-ერთ გამოქვაბულში ჩაამწყვდია. ჰერმესმა და პანმა ტიფონს მოპარეს ზევსის ძარღვები, კვლავ ჩაუგდეს თავიანთ მბრძანებელს და ტიფონთან საბრძოლველად განაწყვეს. ზევსმა ხელახლა შეუტია ტიფონს და დაამარცხა.

ელინისტურ პერიოდში ტიფონი გააიგივეს სიკვდილისა და უბედურების ღმერთ სეტოსთან, რომელმაც მოკლა საკუთარი ძმა ოსირისი. ტიფონი მიწისქვეშა ძალებისა და ვულკანური მოვლენების განსახიერება უნდა იყოს. ტიფონი გამოისახებოდა ხან მამაკაცის თავიან, ხან გველის მრავალთავიან ურჩხულად.

ტიხე, ბერძნ. (Τύχη, ἡ) შემთხვევის, ბედისა და ბედნიერების ღმერთქალი, ოკეანოსისა და ტეთისის ქალიშვილი (ზოგი ვარიანტით ზევსის ქალიშვილი). გამოისახებოდა ახალგაზრდა ქალად, ერთ ხელში გემის საჭე ეპირა, მეორეში — სიუხვის რქა. ტიხეს კულტი განსა-

კუთრებით ელინისტურ ეპოქაში გავრცელდა, მას ხშირად რომაულ ფორტუნასთან აიგივებდნენ.

ტლეპოლემოსი, ბერძნ. (Τληπόλεμος, ბ) ჰერაკლესა და ასტიოქეს ვაჟი. იგი ჰერაკლეს სახლში აღიზარდა. ერთ-ერთი დავის დროს მას შემოაკედა ჰერაკლეს ბიძა და კუნძულ როდოსზე გაიქცა, სადაც იგი მეფე გახდა. იგი მონაწილეობდა ტროის ომში ბერძნების მხარეზე. მოკლა სარპედონმა ტროის კედლებთან.

ტმოლოსი, ბერძნ. (Τμῶλος, ბ) ომფალეს ქმარი, ტანტალოსის მამა. ლიდიაში გამდინარე მისი თანამოსახელე მდინარის ღვთაება. როდესაც აპოლონი და პანი მუსიკაში ერთმანეთს შეეჯიბრნენ, მსაჯად ტმოლოსი ჰყავდათ.

ტოტემიზმი, — გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი რელიგიის ერთგვარი ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ზებუნებრივი ძალებისადმი რწმენა და სამსახური. ძველი ადამიანების წარმოდგენით ესა თუ ის გვარი რაიმე ცხოველთან, მცენარესთან ან საგანთანაა დაკავშირებული. იმ ცხოველს, მცენარეს ან საგანს, რომელთანაც თავის წარმოშობას აკავშირებს ესა თუ ის გვარი, ტოტემი ეწოდება. ტოტემის ხორცის ჭამა ან ტოტემური მცენარის მოჭრა სასტიკადაა აკრძალული. ერთი ტოტემიდან მომდინარე გვარის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ ერთიმეორეზე დაქორწინება. ტოტემიზმის გადმონაშთები გვხვდება ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებშიც.

ტრინაკრია, ბერძნ. (Τρινακρία, ჩ — სამ მწვერვალოსანი) სიცილიის ძველი სახელწოდება. ჰომეროსის მიხედვით ჰელიოსის კუთვნილი მითიური კუნძული. სიცილიად იგი ისტორიულ პერიოდში მიიჩნიეს.

ტრიპტოლემოსი, ბერძნ. (Τριπτόλεμος, ბ) დემეტრეს მითებთან დაკავშირებული გმირი. გვიანდელი მითების მიხედვით ტრიპტოლემოსი ელევსინის მეფის — კელევსისა (ზოგი ვარიანტით ელევსინოსის, ტროქილოსის) და მეტანირეს ვაჟია. მოკვდავი ქალის სახით დემეტრე ძიძაობდა ტრიპტოლემოსს და უნდოდა იგი უკვდავი გაეხადა, ამიტომ ღამღამობით ცეცხლში აელებდა. როდესაც ეს დედამ დაინახა, კივილი მორთო და ალმა მთლიანად შთანთქა ყმაწვილი. ზოგი მითის მიხედვით ამ დროს ბავშვი არ დაღუპულა, მაგრამ უკვდავება კი დაკარგა. (შდრ. თეტიდა და აქილევსი). მაშინ დემეტრემ ტრიპტოლემოსს ხორბლის მარცვლები მისცა და მიწათმოქმედება ასწავლა დემეტრესაგე ნაზუქარ ეტლში ტრიპტოლემოსმა დრაკონები შეაბა და მთელ დედამიწაზე დაიწყო მოგზაურობა; სადაც კი

შეიდოდა, ყველას ასწავლიდა ხორბლის დათესვისა და მოყვანის წესებს. მგზავრობისას მას ყოველგვარი საშიშროებისაგან დემეტრე იცავდა. როდესაც ტრიპტოლემოსი ელევსინში დაბრუნდა, კელევსმა სახელმწიფო გადასცა. ტრიპტოლემოსი დემეტრეს ქურუმი გახდა და ელევსინში მისი კულტი დაამკვიდრა. სიკვდილის შემდეგ იგი კიდევ უფრო განადიდეს. ათენში, აკროპოლის დასაყრდენთ მხარეზე, ტრიპტოლემოსის ტაძარი ააგეს. აჩვენებდნენ მინდორს, რომელიც თითქოს პირველად ტრიპტოლემოსმა გადახნა და ხორბლის პირველი მოსავალი მოიყვანა. ტრიპტოლემოსს მიეწერებოდა აგრეთვე გეთნის გამოგონება. ტრიპტოლემოსი გამოისახებოდა ბიჭად, ზოგჯერ წვერიან მამაკაცად, ხელში ეჭირა სკიპტრა ან თავთავების კონა და ღვინის კათხა. ცნობილია რელიეფური გამოსახულება, სადაც დემეტრე ტრიპტოლემოსს ხორბლის მარცვლებს გადასცემს. მოღწეულია დრაკონებშებმულ ეტლში მჯდომარე ტრიპტოლემოსის გამოსახულებაც. სოფოკლემ დაწერა ტრაგედია „ტრიპტოლემოსი“.

ტრიტონი, ბერძნ. (Τρίτων, ბ) წინაბერძნული, ზღვის უძველესი დემონი. პოსეიდონისა და ამფიტრიტეს ვაჟი. ცხოვრობდა მათთან ერთად ზღვის ფსკერზე ოქროს სასახლეში. ტრიტონს ჰქონდა ადამიანის ცხვირი, გაბიერი, მზეცისკბილებიანი პირი, მწვანე თმები, ფეხების მაგივრად დელფინის კუდი. თითქოს მას ხელში ნიჟარა ეჭირა და მისი საშუალებით პოსეიდონის ბრძანების თანახმად აწუნარებდა და აღელვებდა ზღვას. ტრიტონის შესახებ არსებული თქმულებები გვიამბობენ, რომ იგი შეეჯიბრა ჰერაკლეს, ორთაბრძოლაში შეერკინა დიონისეს, ძილის დროს მას თავი მოკვეთეს ტანაგრიელებმა მათი პირუტყვის მოპარვის გამო და სხვა. როგორც ღიბიაში მდებარე თანამოსახელე ტბის ღვთაება, ტრიტონი დაკავშირებულია არგონავტებთან. მან ასწავლა არგონავტებს, თუ როგორ უნდა გამოსულიყვნენ ამ ტბიდან. ამის ხმაზე გარბოდნენ შეშინებული გიგანტები, ხოლო მედუდუკე ენევსი, რომელმაც ტრიტონთან შეჯიბრება გაბედა, ამ შეჯიბრებაში დაიღუპა. ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნიდან ერთი ტრიტონის მაგივრად მრავალი ტრიტონი წარმოიდგინეს. ტრიტონი პოსეიდონთან, ნერეიდებთან ან ზღვის სხვა ღვთაებებთან ერთად გამოისახებოდა. მოგვიანებით ასეთი გამოსახულებები საკმაოდ გავრცელდა. ტრიტონები შემდეგ სხვადასხვანაირად წარმოიდგინეს. მაგ., თევზის კუდითა და ცხენის ფეხებით.

ტროილოსი, ბერძნ. (Τρωΐλος, ბ) პრიამოსის ვაჟი, ზოგი მითი მას აპოლონის ვაჟად მიიჩნევს. ერთი მითის მიხედვით თითქოს ტროილოსი ტყვედ წაიყვანა აქილევსმა და მისი ბრძანებით დაახრჩ-

ვეს. სხვა მითის მიხედვით ტროილოსი მოკლა თავისმა ცხენმა. ტროილოსის მითი გამოიყენეს შექსპირმა, ბენუა დე სენტ-მორმა, ჩოსერმა და სხვ.

ტ რ ო ი ს ო მ ი, ბერძნ. ადრე მითიურად მიჩნეული, შემდეგ კი ისტორიულად დადასტურებული ომი ბერძნებსა და ტროელებს შორის, რომელიც დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის XIII—XII საუკუნეში მოხდა. ამ ომის შესახებ ყველაზე მეტი ცნობები ჰომეროსის პოემებშია შემონახული. მითის მიხედვით ომის გამომწვევი მიზეზი გახდა ტროის მეფისწულის — პარისის მიერ სპარტის მეფის — მენელაოსის ცოლის — უმშვენიერესი ელენეს მოტაცება. ტროის ომს პელევსისა და თეტიდას ქორწინებას უკავშირებენ. (იხ. განხეთქილების ვაშლი). „ილიადას“ მიხედვით ბერძენთა ლაშქარი 100000 ჯარისკაცსა და 1186 გემისაგან შესდგებოდა. მთელ ამ არმიას მენელაოსის ძმა, მიკენის მეფე — აგამემნონი მეთაუროობდა. ომი ათ წელიწადს გაგრძელდა. მოქიშპეთა ბედი და მდგომარეობა პერიოდულად იცვლებოდა. დიდი ხნის განმავლობაში ბერძნებს ალყაში ჰყავდათ მათზე რაღაცნაირივად ბევრად ნაკლები ტროელები, მაგრამ ქალაქის ქედლებისა და ტროელთა ხასიათის სიმტკიცის გამო ქალაქის დამორჩილება მაინც ვერ შესძლეს. ტროელთა მთავარსარდალი იყო პრიამოსის ვაჟი — ჰექტორი. დიდი ხნის ბრძოლისა და თავგადასავლების შემდეგ აქილევსმა მოკლა ჰექტორი (იხ. აქილევსი). ომის ბედზე გადამწყვეტი როლი ითამაშა ოდისევსმა (იხ. ოდისევსი). მისი რჩევით ააგეს ხის ე. წ. ტროის ცხენი (იხ. ტროის ცხენი), რამაც საბოლოოდ გასტეხა ტროელები. საუკუნეების განმავლობაში ჰომეროსის პოემებში მონათხრობი ყველა ამბავი და მათ შორის ტროის ომიც, მხოლოდ პოეტური ფანტაზიის შედეგი ეგონათ, მაგრამ უკანასკნელი ორი საუკუნის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ბევრი რამ ჰომეროსის პოემებში და მათ შორის ცნობები ტროის ომის შესახებ, ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება. ტროის ომთანაა დაკავშირებული დღეისათვის უკვე განზოგადებული გამოთქმები: „აქილევსის ქუსლი“, „დანაელთა საჩუქარი“, „კასანდრას წინასწარმეტყველება“, „განხეთქილების ვაშლი“ და სხვა.

ტ რ ო ი ს ც ხ ე ნ ი, ბერძნ. ტროის ომის მეათე წელს ბერძნების მიერ ოდისევსის წინადადებით აგებული უზარმაზარი ხის ცხენი, რომელშიც ჩასხდნენ რჩეული ბერძენი ვაჟკაცები. ბერძნებმა ხის ცხენი მიაგორეს ტროის კარებთან და თითქოს ომს თავი მიანებესო, ჯარები უკან გააბრუნეს. ტროელებმა ეს ღმერთების მიერ მიძღვნილ საჩუქრად მიიღეს, დაუჯერეს ცბიერ ტყვე სინონის რჩევას და ლაო-

კოონის წინასწარმეტყველების მიუხედავად ცხენი დიდის გაჭირვებით ქალაქში შეაგორეს. ღამით, როდესაც ტროელებმა ღრმა ძილს მისცეს თავი, ცხენიდან მეომრები გამოვიდნენ, თავიანთ ჯარს ქალაქის გალავნის კარები გაუღეს და ტროია მიწასთან გაასწორეს. გადატანითი მნიშვნელობით დანაელთა (ბერძნებს დანაელებსაც უწოდებდნენ) საჩუქარი ნიშნავს მტრისაგან მიძღვნილ რაიმეს, რითაც იგი მოწინააღმდეგეს მახეს უგებს.

ტ რ ო ს ი, ბერძნ. (Τρώς, ბ) ფრიგიის მეფის—ერიხთონიოსის ვაჟი, დარდანოსის შვილიშვილი, განიმედეს მამა. ტროის მითიური დამაარსებელი.

ტ რ ო ფ ო ნ ი ო ს ი, ბერძნ. (Τροφώνιος, ბ) ორქომენის მეფის — ერგინოსის ვაჟი, აგამედეს ძმა. ძმები ითვლებოდნენ მითიურ, სახელმოხვეჭილ მშენებლებად. მათ მიეწერება აპოლონის (დელფოში) და პოსეიდონის ტაძრების, ავგეასა და პირიევსის საგანძურთსაცავებისა და სხვათა მშენებლობა. ძმებმა პირიევსის საგანძურთსაცავში ისე დაატანეს ერთი ქვა, რომ შეიძლებოდა მისი შეუმჩნევლად გამოღება და კვლავ ჩადება. ისინი ღამ-ღამობით მიდიოდნენ საგანძურთსაცავთან და სიმდიდრეს იპარავდნენ. როდესაც აგამედე ხაფანგში გაება, იმისათვის, რომ არ გამქღავნებულიყვნენ, ტროფონიოსმა თავი მოაჭრა და გაიპარა. ასეთი საქციელისათვის იგი მიწამ ჩაყლაპა. ერთი მითის მიხედვით, როდესაც ძმებმა აპოლონის ტაძარი ააგეს, ამისათვის გასამრჯელო მოითხოვეს. ღმერთი შეპირდა, რომ გადაუხდიდა მე-შვიდე დღეს. ძმები მეშვიდე დღის განთიადისას ძილში გარდაიცვალნენ.

ტ რ ო ქ ი ლ ო ს ი, ბერძნ. (Τροχίλος, ბ) ერთი ჭითის მიხედვით ტრიპტოლემოსის მამა.

ტ უ რ ნ უ ს ი, ლათ. (Turnus) რუტულების მეფე, დაუნუსისა და ფერია ვენილიას ვაჟი. ენეასის მეტოქე. მოკლა ენეასმა.

— უ —

უ დ ა ი ო ს ი, ბერძნ. (Οὐδαῖος, ბ) კადმოსის მიერ დათესილი დრაკონის კბილებიდან აღმოცენებულ ხუთ მეომართაგან ერთ-ერთი (იხ. კადმოსი).

უ ლ ი ქ ს ი, ლათ. (Ulixes) ოდისევსის ლათინური სახელი.

ულუმპო, ბერძნ. (Ὄλυμπος, ὁ) იგივე ოლიმპო, მთა, რომელზეც თითქოს ღმერთები ცხოვრობდნენ (იხ. ოლიმპო).

ურანია, ბერძნ. (Οὐρανία, ἡ) 1. აფროდიტეს, როგორც წმინდა, ამაღლებული სიყვარულის ღმერთქალის ეპითეტი. სახელწოდება ურანია ციურს ნიშნავს. 2. ასტრონომიის მუზა. გამოისახებოდა ლამაზ, ახალგაზრდა ქალად. ხელში ეჭირა ცის სფერო.

ურანიდები, ბერძნ. (Οὐρανίδαι, οἱ) ურანოსის შთამომავლები, ე. წ. ტიტანები. ურანიდად განსაკუთრებით ცნობილია კრონოსი.

ურანოსი, ბერძნ. (Οὐρανός, ὁ) ცის განმასახიერებელი უძველესი და უზენაესი ღვთაება, ზოგიერთი მითის მიხედვით ურანოსი გეამ შვა, ზოგის მიხედვით კი იგი მისი მეუღლეა. ურანოსისა და გეას ქორწინების შედეგად დაიბადნენ ტიტანები, კიკლოპები, ჰეკატონხეირები... გადმოცემის თანახმად ურანოსმა თავისი შვილები მიწაში ჩაყარა და მაღლა აღარ უშვებდა. შვილების ტანჯვამ გეა აღელვა და კრონოსს ურჩია მამის წინააღმდეგ აღმდგარიყო. მისი რჩევით კრონოსი ჩაუსაფრდა მამას, ცელით მოაჭრა სასქესო ორგანო და მამაკაცობა დააკარგვინა. მიწაზე დაცემული ურანოსის სისხლის წვეთებისაგან წარმოიშვნენ ერინიები და გიგანტები. ხოლო ზღვაში მოხვედრილისაგან — აფროდიტე. (ზოგი მითის მიხედვით ამავე წვეთებისაგან წარმოიშვნენ ფეაკებიც, რომლებსაც ამის გამო ხშირად ურანოსისა და გეას შთამომავლებად მიიჩნევენ). გვიანდელი მითების მიხედვით ურანოსიც და გეაც ნიკტის შვილები არიან. ურანოსი ითვლებოდა ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები ატლანტების პირველ მეფედ. თავის ხალხს მან სხვადასხვა მეცნიერება შეასწავლა, სიკვდილის შემდეგ ცად ამაღლდა, განდიდდა და თანდათანობით ცასთან გაიგივეს.

დიოდორეს მიხედვით ურანოსს სულ 45 შვილი ჰყავდა. აქედან 18 ტიტიასაგან და მათ ტიტანები ეწოდათ (ტიტია გეას პირველ სახელად მიაჩნიათ). ურანოსის ქალიშვილები იყვნენ ბასილეია, კიბელა და რეა. ურანოსის უშუალო მემკვიდრედ ბასილეია ითვლებოდა, რომელიც ცოლად გაჰყვა ჰიპერიონს. გადმოცემების თანახმად ურანოსსა და გეას (ცასა და მიწას) უდიდეს ღვთაებად მიიჩნევდნენ კოლხები. ურანოსის ძლიერება კრონოსმა დაამხო და ეს უკანასკნელი შემდეგ ზევსმა შესცვალა. ასე რომ ურანოსი ითვლება უძველეს, პირველ ღმერთად, თანმიმდევრობით მეორე კრონოსია, მესამე კი— ზევსი. ზევსის გამარჯვებით დამყარდა ოლიმპიური რელიგია და მოიკვეთა მთელი ანტიკური სამყარო, მაგრამ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს ზევსის ძლიერებაც დაამხო ქრისტიანულმა რელიგიამ, რომელიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდან გადავიდა.

—ფ—

ფაბულინი, ლათ. (Fabulin) ბაგშვის პირველი საუბრის მფარველი რომაული ღვთაება.

ფაეთონტი, ბერძნ. (Φαέθων -οντος, ὁ) ჰელიოსისა და ოკეანიდ კლიმენეს ვაჟი (ფაეთონტს მეტსახელად ეძახდნენ აგრეთვე აიეტის ვაჟს — აფსირტოსს). ფაეთონტი ქართულად „მბრწყინავს“ ნიშნავს; ეს სახელი კოლხებმა სილამაზის გამო შეარქვეს აფსირტოსს.

ერთხელ ფაეთონტი შეეხვეწა მამამის — ჰელიოსს, რომ ერთი დღით ეთხოვებინა თავისი ეტლი. მამას დაფიცებული ჰქონდა, რომ შვილს ყველაფერს შეუსრულებდა, და იძულებული გახდა მისი ეს აკვიატებული სურვილიც შეესრულებინა. ყმაწვილმა ცხენებს თავი ვერ დაუჭირა, აღვირი მოუშვა და მზის ეტლმა დედამიწის ჰახლოსლად გაიქროლა. ამით გამოწვეულმა საშინელმა სიცხემ დაშრო მდინარეები და მრავალ ადგილას ხანძარი გააჩინა. დედამიწის გადარჩენის მიზნით ზევსმა ფაეთონტს ელვა დაარტყა და მოკლა. აალებული ფაეთონტი მდინარე ერიდანოსში ჩავარდა. ფაეთონტის დებმა — ჰელიადებმა დიდხანს მწარედ იტირეს საყვარელი ძმა და შემდეგ ალვის ხეებად გადაიქცნენ. მათი ცრემლებისაგან მარგალიტები წარმოიქმნენ. მითმა მიიქცია ბევრი შემოქმედის ყურადღება. ევრიპიდემ დაწერა ტრაგედია „ფაეთონტი“, რომელმაც ჩვენამდე ფრაგმენტებად მოაღწია.

ფაეთუსა, ბერძნ. (Φαέθουσα, ἡ) ჰელიოსის ქალიშვილი, ლამპეტიას და, მწყემსი ტრინაკრიაზე.

ფაუნუსი, ლათ. (Faunus) ტყეთა და მინდორთა რომაული ღვთაება, მწყემსთა და ფარათა მფარველი, პიკუსისა და პომენას ან კონეტას ვაჟი. ლატინუსის მამა. მას პანს ამსგავსებდნენ. თითქოს ისიც დაეხეტებოდა ტყე-ველში და ადამიანებს აშინებდა. იგი მფარველობდა მიწის ნაყოფიერებას და მოსავლიანობას. ფაუნუსს წინასწარმეტყველების ნიჭიც ჰქონდა. მისი სამისნოები ტყეებში მდებარეობდა. ვისაც სურდა საკუთარი მომავალი გაეგო, ფაუნუსის ცხვრის ტყავს შეწირავდა, იმ ღამეს შეწირული ცხვრის ტყავ-

ში დაეძინა და სიზმარში ყველაფერს ნახავდა. მოგვიანებით ეგონათ, რომ რამოდენიმე ფავნუსი არსებობდა. დეკემბრის თვეში ფავნუსის საპატივცემოდ დღესასწაულები იმართებოდა (ე. წ. ფაუნალიები), ხოლო 15 თებერვალს, მის, როგორც ფარათა დამცველის საპატივცემოდ გამართულ დღესასწაულებს, ლუპერკალია ეწოდებოდა (lupus — ლუპუს — მგელი). ფავნუსს მსხვერპლად სწირავდნენ თხებს, რძეს, ღვინოს. ფავნუსი წარმოიდგინებოდა თხისფეხებიან, ახალგაზრდა მამაკაცად.

ფ ა მ ა, ლათ. (fama—მითქმა-მოთქმა) მითქმა—მოთქმის, ჭორის განსახიერება.

ფ ა მ ე ს ი, ლათ. (fames — შიმშილი) შიმშილის რომაული ღვთაება. ბერძნული ლიმოსის ლათინური შესატყვისი.

ფ ა ნ ტ ა ზ ი ა, ლათ. (phantasia) ოვიდიუსის მიხედვით ძილის ღმერთის — ჰიპნოსის ვაჟი. მორფეოსის, იკელოსისა და ფობეტორის ძმა. თავისი ძმებისაგან განსხვავებით, იგი მძინარს ევლინება უსულო საგნის — ქვის, ხის, მიწის, წყლის და სხვათა სახით.

ფ ა რ მ ა კ ე ბ ი, ბერძნ. (**φάρμακες, οἱ**) ფარმაკები ეწოდებოდა იმ ადამიანებს, რომლებსაც თითქოს მსხვერპლად სწირავდნენ ღმერთებს (ათენში, კოლოფონში, აბდერაში) ტარგილიონის თვეში (მაისის ბოლო და ივნისის დასაწყისი). აპოლონის დღესასწაულზე მსხვერპლად შესაწირად მიჰყავდათ ხოლმე ორი ბოროტმოქმედი — უმეტესად ქალი და კაცი. განწირულებს ყვავილებით რთავდნენ და ფლეიტის აკომპანიმენტის ქვეშ ქალაქიდან აძევებდნენ. სცემდნენ ჯოხებით, ანდა აგდებდნენ ზღვაში, მაგრამ გადაგდებისთანავე ამოჰყავდათ ზღვიდან.

ფ ა ს ი ა ნ ე, ბერძნ. (**ἡ Φασιανὴ θεός**) — ფაზისელი ღმერთქალი. რეა-კიბელეს ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.

ფ ა ს ი ს ი || ფაზისი, ბერძნ. (**Φᾶσις -ιδος, ὁ**) 1. მითიური ქალაქი კოლხეთში, რომელიც ბევრი მონაცემით ემთხვევა ქალაქ ფოთს. სინამდვილეში ფასისი არსებობდა ძველი აიის სახელმწიფოში, მაგრამ რატომღაც, როგორც თვით აია, ისევე ქალაქი ფასისიც მითიურად მიაჩნდათ. 2. მდინარე კოლხეთში. 3. ჰელიოსის ვაჟი, კოლხოსის მამა. მდინარე რიონის || ფაზისის ღვთაება.

ფ ა ტ უ მ ი, ლათ. (Fatum) ბედის განსახიერება. ბედისწერის ღვთაება, რომელიც ბერძნულ მოირას უახლოვდება. როგორც მოირა, ფატუმიც ადამიანის ბედს მისი დაბადებისთანავე განსაზღვრავდა ხოლმე. ჭართულად — ბედის მწერალი.

ფ ა უ ნ ა, ლათ. (Fauna) ტყეთა და მინდორ-ველთა რომაული

ღმერთქალი, ფავნუსის ცოლი (ან და). მისი კულტი ხშირ შემთხვევაში ერევა ხოლმე ბონა დეას კულტში. ფაუნას სახელთანაა დაკავშირებული ცხოველთა სამყაროს სახელწოდება — „ფაუნა“.

ფ ა უ ს ტ უ ლ უ ს ი, ლათ. (Faustulus) აკა ლარენციას ქმარი. მწყემსი, რომელმაც იპოვა და აღზარდა რომის ლეგენდარული დამაარსებლები რემუსი და რომელუსი.

ფ ე ა კ ე ბ ი, ბერძნ. (**Φαίακες, οἱ**) კუნძულ სქერიაზე მცხოვრები მითიური ხალხი, რომლებთანაც მოხვდა ოდისევსი კალიფსოდან წამოსვლის შემდეგ. ისევე, როგორც კიკლოპები და გიგანტები, ისინიც ღვთიური წარმომავლობის იყვნენ. მათ ხშირად ურანოსის სასქესო ორგანოდან დაღვრილი სისხლის წვეთებიდან წარმოშობილად მიიჩნევდნენ. თითქოს მათთან ქეიფობდნენ ხოლმე ღმერთები. ფეაკები ოდესღაც სხვაგან ცხოვრობდნენ, მაგრამ კიკლოპებს მეტისმეტად შეუწუხებიათ და უხსოვარ დროს მეფე ნავსითოოსის ხელმძღვანელობით სქერიაზე გადასულან.

ოდისევსი დიდი პატივით მიიღეს ფეაკებმა, დაასვენეს, გაართვეს და საშობლოში თავიანთი საუკეთესო გემით გამოისტუმრეს. ოდისევსის გამარჯვებით განაწყენებულმა პოსეიდონმა ოდისევსის მიმყვანი გემი და მისი მეზღვაურები კლდედ აქცია.

ფ ე ბ ე, ბერძნ. (**Φοίβη, ἡ**) 1. ტიტანიდა, კოიოსის ცოლი, ლეტოსა და ასტერიას დედა. აპოლონისა და არტემიდეს ბებია. ზოგი მითის მიხედვით ითვლებოდა აპოლონის დელფოური სამანოს დამაარსებლად. ეს ტაძარი, გადმოგვცემს მითი, ფებემ აჩუქა შვილიშვილს. 2. ლევკიპეს ქალიშვილი, იდასის საცოლე. მოიტაცეს დიოსკურებმა.

ფ ე ბ ო ს ი, ბერძნ. (**Φοῖβος, ὁ** — „კაშკაშა“) აპოლონის ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.

ფ ე ბ რ ი ს ი, ლათ. (febris — ტიფი) ტიფის, მალარიის განსახიერება და ღვთაება ძველ ლაციუმში. რომში ფებრისის სამი სამსხვერპლო იყო. განაწამები ადამიანები სამსხვერპლოზე მიდიოდნენ, ღმერთს მსხვერპლს სწირავდნენ და ევედრებოდენ, უკანვე წაეღო ავადმყოფობა და მიეცა მათთვის ჯანმრთელობა.

ფ ე ბ რ უ ა რ ი, ლათ. (februaris) რომაული წელიწადის უკანასკნელი თვე (იხ. ლუპერკალიები).

ფ ე ბ რ უ უ ს ი, ლათ. (Februus) პლუტონს ეტრუსკები ფებრუუსს უწოდებდნენ.

ფ ე დ რ ა, ბერძნ. (**Φαίδρα, ἡ**) მინოსისა და პასიფაეს ქალიშვილი, არიადნეს და. თეზევსის მეორე ცოლი, დემოფონტესა და აკალი, არიადნეს და. თეზევსის მეორე ცოლი, დემოფონტესა და აკა-

მანტის დედა. ფედრას თაყდაეწყებამდე შეუყვარდა თავისი გერი ჰიპოლიტოსი (იხ ჰიპოლიტოსი), მაგრამ ჰიპოლიტოსმა მას არ უთანაგრძნო და ფედრამ თავი მოიკლა. მითი მრავალგზისაა გამოყენებული მსოფლიო ხელოვნებაში.

ფელიციტა||ფელიციტატი, ლათ. (felicitas—atis—ბედნიერება). წარმატებისა და ბედნიერების განმასახიერებელი რომაელთა ღმერთქალი. იგი ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ფორტუნას ჰგავს.

ფემიოსი, ბერძნ. (Φήμιος, ὁ) «ოდისეაში» მოხსენიებული კუნძულ ითაკაზე მცხოვრები მითიური მომღერალი.

ფემონოე, ბერძნ. (Φημονόη, ἡ) აპოლონის ქალიშვილი და დელფოს სამისნოს პირველი ქურუმი. მას მიეწერება ძველ ბერძნულ პოეზიაში ფართოდ გავრცელებული ლექსთ საზომის — ჰექზამეტრის გამოგონება. ფემონოე შემდეგ განზოგადდა და ქურუმი ქალების საერთო სახელი გახდა.

ფენიქსი, ბერძნ. (Φοῖνιξ -ικος, ὁ) 1. ევროპეს მამა ან ძმა. ფინიკიელების ეპონიმი და მითიური წინაპარი. 2. თესალიელი მოხუცი, რომელმაც აქილევსს ომის ხელობა და მშვენიერმეტყველება ასწავლა. 3. მითიური ფრინველი, რომელიც ძველი ბერძნების წარმოდგენით ხუთას წელიწადში ერთხელ მოფრინდებოდა ხოლმე არაბეთიდან ეგვიპტეში. ერთ-ერთი მითის მიხედვით, როდესაც ფენიქსი 500. 1461 თუ 7006 წლის გახდა, თავი დაიწვა, ფერფლიდან გაახალგაზრდავებული აღსდგა და კვლავ განაგრძო ცხოვრება. ფენიქსი წარმოდგენილი ჰყავდათ მოოქროსფრო—მოალისფრო ფრთებიან არწივად. ახლანდელი გაგებით ფენიქსი მარადისობას, განახლებას ნიშნავს.

ფერეტე, ბერძნ. (Φέρης -ητος, ὁ) 1. იასონისა და მედეას ვაჟი. 2. კრეთევსის ვაჟი. თებეს მითიური დამაარსებელი.

ფერიები, — ბუნების ძალთა და მოვლენათა განმასახიერებელი მეორეხარისხოვანი ღვთაებები. განასხვავებდნენ მდინარეთა, წყაროთა, ზღვათა, ნაკადულთა ფერიებს (ოკეანიდები, ნერეიდები, ნაიადები და სხვა). მთათა ფერიებს ორეადები ეწოდებოდათ, სათიბებისას-ლიმონიადები, ხეებისას — დრიადები და სხვა. არსებობდნენ აგრეთვე ცალკეულ ადგილთა ფერიები.

ჰომეროსის მიხედვით ისინი ზევსის ასულები იყვნენ. ჰესიოდეს მიხედვით კი მთათა და ხეთა ფერიები გეამ დაბადა. მითების მიხედვით ფერიები ადიან ოლიმპოზე, მონაწილეობენ ღმერთების ბჭობასა და ქეიფებში, მათთან ერთად ატარებენ დროს, მათი საყვარლები და ზოგჯერ ცოლებიც ხდებიან. ხშირად ესა თუ ის ფერია რომელიმე

მთავარი ღმერთის ატრიბუტია. ფერიები ლამაზია და ტკბილ ცხოვრებას ეწევიან: მღერიან, ცეკვავენ, უყვართ, კამათობენ და სხვა. ისინი, მართალია, უკვდავნი არ არიან, მაგრამ ხანგრძლივად კი ცხოვრობენ. ხეთა ფერიები (დრიადები), მაგალითად, ხის სიკვდილთან ერთად იღუპებიან. ფერიების კულტი ფართოდ გავრცელდა ძველ რომსა და საბერძნეთში. მათზე წარმოდგენა და მათდამი რწმენა არ გამქრალა კარგახანს ანტიკური საბერძნეთის დაცემის შემდეგაც. ფერიათა ტაძრები და სამლოცველოები თავიდან მიეარდნილ ადგილებში შენდებოდა, შემდეგ კი დიდ ქალაქებშიც დაიწყეს აშენება. ფერიებს გამოსახავდნენ ლამაზ, ახალგაზრდა, ნახევრად შიშველ ქალებად.

ფერონია, ლათინ. (Feronia) გაზაფხულისა და ყვავილების იტალიელთა ღმერთქალი. ითვლებოდა განთავისუფლებულ მონათა მფარველად. რომში მისი კულტი ფლორას, ლიბერასა და ვენერას კულტს შეერწყო. ეტრურიაში, სორაქტეს მთის მახლობლად, წმინდა ჰალაში, აღმართული იყო ფერონიას ტაძარი. ღმერთქალს მსახურპალად პირველ ხილს სწირავდნენ. ფერონიას სამლოცველოს მახლობლად ბაზრობები იმართებოდა.

ფეტიშიზმი, პორტ., ფრ. (Fetichisme) უსულო საგანთა გაღმერთება. საგანს, რომელსაც მიაწერენ რაიმე ზებუნებრივ თვისებებს, ფეტიში ეწოდება. ფეტიშიზმი ფართოდ იყო გავრცელებული თითქმის ყველა ხალხის რელიგიაში. მცირე აზიაში კიბელესა და ასტარტეს კულტის ჩამოყალიბება თავიდან ქვებთან იყო დაკავშირებული. ასევე ეთაყვანებოდნენ საბერძნეთსა და რომში ქვებს (ბაიტილიოსი, ომფალოსი). ცხოველთა რქებს, სახნისს, იარაღს და სხვა.

ფეციალები, ლათ. (fetiales) ქურუმთა კოლეგია ძველ რომში, რომლის მოვალეობას შეადგენდა რელიგიურ წეს-ჩვეულებათა გავრცელება და დაცვა, ომის გამოცხადება და ზავის დადება სახელმწიფოებს შორის. ფეციალებს ირჩევდნენ ცხობილი, მდიდარი ოჯახებიდან. ისინი სხვა სახელმწიფოებთან ელჩის მოვალეობასაც ასრულებდნენ. ომის გამოცხადება შემდეგნაირად ხდებოდა: ფეციალთაგან ერთ-ერთი წავიდოდა მოწინააღმდეგეთა ბანაკში და მოითხოვდა დაეკმაყოფილებინათ რომაელთა პრეტენზიები. უარის შემთხვევაში ფეციალი მიეიდოდა საზღვართან და მტრის ტერიტორიაზე სისხლიან ხმალს გადააგდებდა, რის შემდეგაც ომი საჭართლიანად ითვლებოდა. ზავის დადების დროს ერთ-ერთი ფეციალი ქვის დანით დაკლავდა ღორს. (ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს კოლეგია შექმნილი უნდა იყოს ქვის ხანაში). კოლეგიის ჩამოყალიბება მიეწერება მითი-

ურ მეფეს-ნუმა პომპილიუსს ანდა ანკ მარციუსს. ფეციალები არსებობდნენ არა მარტო რომში, არამედ იტალიის სხვა ქალაქებშიც.

ფ ი დ ე ს ი, ლათ. (fides—სინამდვილე, რწმენა) გულწრფელი ფიცის განმასახიერებელი რომაელთა ღმერთქალი. რომში არსებობდა ფიდესის უძველესი ტაძარი, გადმოცემის თანახმად იგი ააშენა ენეასის ქალიშვილმა რომამ, ან მეფე ნუმა პომპილიუსმა. ფიდესს წარმოადგენდნენ მოხუც დედაკაცად, რომელსაც ხელში თავთავები და ხილი ეჭირა.

ფ ი ლ ა მ ო ნ ი, ბერძნ. (Φιλάμμων -ωνος, ὁ) არგონავტს ქმარი. ჰომეროსამდელი მუსიკოსი და პოეტი, აპოლონის ვაჟი, მომღერალ თამირისის მამა.

ფ ი ლ ე მ ო ნ ი და ბ ა ვ კ ი დ ე, ბერძნ. (Φιλήμων ὁ, Βαυκις -ιδος, ἡ) ფრიგიაში მცხოვრები ცოლ-ქმარი, რომელთაც სიბერეში ღვთაებრივი მიიღეს განგებ მოხუც მგზავრებად ქცეული ზევსი და ჰერმესი. ამისათვის ღმერთებმა მრავალი ბედნიერება მოუვლინეს მოყვარულ და სტუმართმოყვარე ცოლ-ქმარს. მათ ღმერთებმა დიდი ხნის სიცოცხლე და ბოლოს ერთდროულად სიკვდილის შესაძლებლობა უბოძეს. მათი ქოხი დიდებულ ტაძრად აქციეს.

თითქოს, როდესაც ზევსმა ქვეყნიერებას წარღვნა მოუვლინა, შეიბრალა მხოლოდ ფილემონი და ბავკიდე. სიკვდილის შემდეგ ღმერთებმა ცოლ-ქმარი მუხად და ცაცხვად აქციეს. ბავკიდესა და ფილემონის ტკბილ, ცოლ-ქმრულ სიყვარულს უძღვნა ოვიდიუსმა. შემდეგშიც ხშირად გვხვდება მათი სახე მხატვრულ ლიტერატურაში.

ფ ი ლ ი რ ა, ბერძნ. (Φιλύρα, ἡ) კრონოსის საყვარელი ფერია, კენტავრ ქირონის დედა, ოკეანოსის ქალიშვილი, რეას შიშით კრონოსმა ფილირა ცხენად აქცია. ფილირა დაეხმარა თავის ვაჟს აქილევსისა და იასონის აღზრდაში.

ფ ი ლ ო მ ე ლ ა, ბერძნ. (Φιλομήλα, ἡ) (იხ. პროკნე). გადატანითი მნიშვნელობით ფილომელა ბულბულს ნიშნავს.

ფ ი ლ ო ნ ო ე, ბერძნ. (Φιλονόη, ἡ) იობატესის ქალიშვილი. ერთ-ერთი მითის მიხედვით ბელეროფონტის ცოლი.

ფ ი ლ ო ქ ტ ე ტ ე, ბერძნ. (Φιλοκτήτης, ὁ) თესალიელთა ერთ-ერთი ქალაქის მეფე. დემონასეს ვაჟი. მომაკვდავმა ჰერაკლემ ფილოქტეტეს გადასცა თავისი იარაღი, რისთვისაც მადლიერმა მეფემ გმირის გვამის დასაწვავი კოცონი აანთო. ფილოქტეტე ბერძენ მეფეებთან ერთად მიემართებოდა ტროის წინააღმდეგ, მაგრამ გზაში გველმა უკბინა, ჭრილობა არ ხორცდებოდა, საშინელ სუნს გა-

მოსცემდა და ამიტომ თანამგზავრებმა ქუნძულ ლემნოსზე მიატოვეს. ტროის ომის მეათე წელს წინასწარმეტყველებმა განაცხადეს, რომ ტროელებს ვერ დაამარცხებდნენ, სანამ არ მიიღებენ ჰერაკლეს იარაღს. მაშინ ფილოქტეტესთან წაიყვანეს ოდისევსი და დიომედე (ან ოდისევსი და ნეოპტოლემოსი), ფილოქტეტე მიიყვანეს ტროასთან და იქ განკურნა ექიმმა მაჭაონმა. განკურნების შემდეგ ფილოქტეტე ომში ჩაება და კიდეც მოკლა პარისი. ტროის დაცემის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და შემდეგ კი იტალიაში გადასახლდა. მითი გამოიყენეს ესქილემ, ევრიპიდემ, სოფოკლემ. ჩვენამდე მხოლოდ სოფოკლეს ტრაგედიამ მოაღწია.

ფ ი ნ ე ე ს ი, ბერძნ. (Φινεύς, ὁ) თრაკიის ქალაქ სალმიდესის მეფე. აგენორის (ზოგი ვარიანტით ფენიქსის) ვაჟი, რომელმაც აპოლონისაგან წინასწარმეტყველების ნიჭი მიიღო. როდესაც გასცილდა პირველ ცოლს,—ბორეასის ქალიშვილ კლეოპატრას, ცოლად შეირთო დარდანოსის ქალიშვილი იდოია. ახალი ცოლის დაჟინების გამო ფინეევსმა დააბრმავა თავისი ორი შვილი, რისთვისაც ზევსი განრისხდა მასზე და განუცხადა აერჩია ან სიკვდილი, ან სიბრმავე. ფინეევსმა უკანასკნელი აირჩია, მაგრამ ახლა ჰელიოსი განრისხდა, როგორ გაბედაო მოკვდავმა აირჩიოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჩემი დაუნახაობაო და ფინეევსს პარპიები მიუგზავნა, რომლებიც უბედურს საჭმელს პარავდნენ ან უბილწავდნენ და ბუჩავი მარადიული შიმშილით მტკად იტანჯებოდა. სხვა მითის მიხედვით ფინეევსი დააბრმავეს უარყოფილი ცოლის ძმებმა ძეთოსმა და კალაისმა. მითის გაურკვეველებული ვარიანტის მიხედვით პირიქით, ბორეადებმა განდევნეს ჰარპიები და გაათავისუფლეს ფინეევსი სატანჯველისაგან. მითი ფ. ენგელსს მატრიარქატის გადმონაშთად მიაჩნია.

ფ ლ ა მ ი ნ ე ბ ი, ლათ. (Flamen—inis) გადმოცემის თანახმად მეფე ნუმა პომპილიუსისაგან დაწესებული ქურუმთა კოლეგია ძველ რომში. ისტორიულ პერიოდში ფლამინებს უმაღლესი პონტიფიკი ნიშნავდა. კოლეგია შედგებოდა სამი უმაღლესი და თორმეტი პლებეური ფლამინისაგან. მათ ძირითად მოვალეობას ღმერთთათვის მსხვერპლის შეწირვის საქმის მოგეყარება წარმოადგენდა. ფლამინებს არ შეეძლოთ შეხებოდნენ ცხენს, იარაღს, ცხვარს, ძაღლს, ხორცს, სუროს, ცერცვს, ცომს. არ შეეძლოთ ფიცის ძიცემა, დასაფლავებებზე დასწრება და საერთოდ იმ სახლში გაჩერება, სადაც მიცვალებული განისვენებდა. ეს აკრძალვები ვრცელდებოდა იუნონას ქურუმ ქალებზეც. თუ დამნაშავე ფლამინის სახლში შევიდოდა, მას ვერ დასჯიდნენ.

ფლეგეთონტი, ბერძნ. (Φλεγέθων -οντος, ბ) ქვესკნელის ერთ-ერთი მდინარე, იგივე პურიფლეგეთონტი.

ფლეგიასი, ბერძნ. (Φλεγύας, ბ) ფლეგიების მეფე (ბეოტიაში). არესისა და ქრიზეს ვაჟი. კორონიდეს მამა. კორონიდემ აპოლონთან ქალშირით ასკლეპიოსი დაბადა და განრისხებულმა ფლეგიასმა დელფოში აპოლონის ტაძარი დაწვა. ამის გამო იგი, ერთი ვარიანტის მიხედვით, ზევსმა მოკლა, მეორეთი კი — გამძვინვარებულმა ხალხმა. ღმერთებმა სიკვდილს არ დააჯერეს ფლეგიასი და ჰადესშიც დიდი სასჯელი დაადეს. იგი მიდიოდა მოქანაქე ქლდეების ქვეშ, რომელთა ჩამოქცევა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, მაგრამ არც იქცეოდა და განწირული მარადიულ შიშს განიცდიდა.

ფლორა, ლათ. (Flora) ყვავილებისა და ახალგაზრდობის მფარველი იტალიელთა ღმერთქალი. ფლორას კულტი ერთ-ერთი უძველესი კულტია. იგი ხშირად ბერძნულ ქლორიდასთანაა გაიგივებული. ფლორას პატივსაცემად 28 აპრილს და 3 მაისს იმართებოდა დღეობები, ე. წ. ფლორალიები, რომლის დროსაც ეწყობოდა მხიარული თამაშობები. ხალხი ირთვებოდა ყვავილებით (ჩვეულებრივ ვარდებით) და რთავდნენ ცხოველებსაც. ქალები იცმევდნენ ფერად ტანსაცმელს. დღესასწაული წააგავდა დღევანდელი ყვავილების დღესასწაულს, ანტიკურ ხელოვნებაში ფლორა ჩვეულებრივ ახალგაზრდა, ლამაზ ქალად გამოისახებოდა, რომელსაც ხელში ყვავილები ეჭირა და მთლიანად იყო დაფარული ყვავილებით, (ან და გამოისახებოდა ყვავილების მიმოფანტვის მომენტში).

ფლორალიები, ლათ. (Floralia) ფლორასადმი მიძღვნილი დღესასწაულები ძველ იტალიაში (იხ. ფლორა).

ფობეტორი, ბერძნ. (Φοβήτωρ, ბ —საფრთხობელა) ოვიდიუსის მიხედვით ძილის ღმერთის — ჰიპნოსის ვაჟი. ფანტაზიისა და მორფეოსის ძმა. თუ ფანტაზია ადამიანებს ძილში უსულო საგნად ევლინება და მორფეოსი ადამიანად, ფობეტორი ცხოველის ან ფრინველის სახეს ღებულობს.

ფობოსი, ბერძნ. (Φόβος, ბ) არესისა და აფროდიტეს ვაჟი (რომაული პავორი). სახელი ფობოსი ქართულად შიშს ნიშნავს.

ფოკოსი, ბერძნ. (Φῶκος, ბ) ეაკოსის (ან პოსეიდონის) და ფსამატეს ვაჟი. ფოკიდას ეპონიმი. მოკლეს საკუთარმა ძმებმა ტელამონმა და პელეამა. ამისათვის ისინი განიდევნენ სამშობლოდან.

ფოლოსი, ბერძნ. (Φόλος, ბ) კენტავრი, სილენესა და ერთ-ერთი მელიადის ვაჟი. როდესაც ჰერაკლე ერიმანთოსის ტახზე ნადირობდა, გმირი სიამოვნებით მიიღო ფოლოსმა თავის გამოქვაბულში და ღვინით გაუმასპინძლდა. ღვინია სუნზე ლოთი კენტაერები მოცვივდნენ და თავს დაესხნენ გმირს. განრისხებულმა ჰერაკლემ ამოხოცა ისინი. გახურებული ბრძოლის დროს ფოლოსმა თვით მოირტყა ფეხში მოწამლული ისარი და სასიკვდილოდ დაიჭრა. ჰერაკლემ იგი დიდი პატივისცემით დაკრძალა. სიკვდილის შემდეგ ფოლოსი ღმერთებმა თანავარსკვლავედად აქციეს.

ფონსი ||ფონტი, ლათ. (Fons— fontis) წყაროებისა და შადრევნების (ფანტანების) რომაელი ღვთაება, იანუსისა და წყაროთა ფერია— იუტურნას ვაჟი. რომში არსებობდა ფონსის ტაძარი და საშუალებრძლო. 13 ოქტომბერს ფონსისადმი მიძღვნილი ზეიმები იმართებოდა. ზეიმის დროს ჭებს გვირგვინებით რთავდნენ და ყვავილებს ჰყრიდნენ წყაროებში.

ფორბანტი, ბერძნ. (Φόρβας -αντος, ბ) როდოსულ თქმულებათა გმირი, ლაბითისა და ორსინომეს ვაჟი, რომელიც საბისხოს ბრძანების თანახმად კუნძულ როდოსზე მივიდა, რათა კუნძულის საშინელი გველებისაგან გაეთავისუფლებინა. ამ კუნძულზე არსებობდა ფორბანტის კულტი.

სხვა მითის მიხედვით ფორბანტი თესალიიდან ელიდაში მივიდა და იქაური მეფის და ცოლად შეირთო. მისგან ფორბანტს შეეძინა აქტორი და ავგეა. ფორბანტი მიეხმარა მეფეს პელოპის წინააღმდეგ ბრძოლაში და სახელი გაითქვა როგორც საუკეთესო მოკრივემ. ფორბანტი ერთხანს ყაჩაღობდა დელფოს ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე, რისთვისაც დაშრა აპოლონმა.

ფორკინი, ბერძნ. (Φόρκυν -υνος, ბ) ზღვის ღვთაება, პონტოსისა და გეას ვაჟი, ნერევსის და თაუმანტის ძმა. კეტოს ძმა და მეუღლე. გრაების, დრაკონ ლადონის, გორგონების, ჰესპერიდების, სკილას მამა.

ფორნაკი||ფორნაქსი, ლათ. (Fornax— acis- კერა) კერიისა და პურის ცხობის რომაელთა ღმერთქალი. ახალი მოსაელის პირველად გამოცხობის დროს იმართებოდა მისადმი მიძღვნილი ზეიმები. კულტის სიძველეზე მიუთითებს დღესასწაულის დროს პურის ეზოში, ღია კერაზე გამოცხობის ჩვეულება.

ფორონევსი, ბერძნ. (Φορωνεύς, ბ) არგოსის მეფე, ინაჭოსის ვაჟი, ლაოდიკეს ქმარი, გალმოცემის თანახმად მან არგოსელებს ასწავლა მიწათმოქმედება და ცეცხლის გამოყენება. არგოსში მანვე დააწესა ჰერას კულტი. მის პატივსაცემად არგოსელებმა თავიანთ თავს ფორონიდები უწოდეს.

ფორტუნა, ლათ. (Fortuna) ბედნიერების, შემთხვევისა და წარმატების რომაელთა ღმერთქალი. თავიდან იგი მიწათმოქმედების ღვთაება უნდა ყოფილიყო, მფარველობდა მოსავალსა და ნაყოფიერებას, ითვლებოდა ქალთა მფარველ ღმერთქალადაც. არსებობდა სხვადასხვა სახის ფორტუნა. ფორტუნა გამოისახებოდა ლამაზ ქალად, ხელში ეჭირა სიუხვის რქა, საიდანაც ჰყრიდა მონეტებს. იგი ხშირად თვალებახვეული გამოისახებოდა. ახლა ფორტუნას უწოდებენ ბედს, ბედნიერებას, ფორტუნას თავთავს კი—შემთხვევით ბედნიერების მოპოვებას.

ფოსფორი, ბერძნ. (Φωσφόρος, ბ — სინათლისმატარებელი) საღამოს ვარსკვლავის ღვთაება, პლანეტა ვენერას ერთ-ერთი ზედმეტი სახელი (იხ. ლუციფერი).

ფრიქსე||ფრიქსოსი, ბერძნ. (Φρίξος, ბ) ათამანტისა და ღრუბელთა ღმერთქალის — ნეფელეს ვაჟი. ჰელეს ძმა (იხ. ჰელე). როდესაც ათამანტმა მეორე ცოლი —ინო შეირთო, დედინაცვალმა გერები შეიძულა და მოახერხა (იხ. ინო), რომ ფრიქსოსი და ჰელე მსხვერპლად შეეწირათ ღმერთებისათვის, მაგრამ დედამ —ნეფელემ შვილებს ღრუბლები შემოახვია, ოქროს ვერძზე შესვა და კოლხეთში გაგზავნა აიეტ მეფესთან. შედარებით გვიანდელი კომენტატორები გადმოგვცემენ, რომ ნეფელეს ოქროს ვერძით კი არ გაუგზავნია შვილები კოლხეთში, არამედ ნაიათ, და თან გაუტანებია პელოპის დედის კოსის მიერ ნაშუქარი ოქროს ქანდაკება. ფრიქსოსს ოქროს ვერძის ტყავი კი არა, სწორედ ეს ქანდაკება მიურთმევია აიეტისათვის. (იხ. ქალკიოპე).

ფსიქე, ბერძნ. (ψυχή, ἡ) ადამიანის სულის განსახიერება. ჩვეულებრივ გამოისახებოდა პეპლად, სახ პეპლისფრთებიან ახალგაზრდა გოგონად. ფსიქეს ასეთი გამოსახულებანი გვხვდება ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე და მეოთხე საუკუნიდან. უფრო ადრე ფსიქე ფრინველად ჰყავდათ წარმოდგენილი. ფსიქეს ზოგჯერ ზეაღმავალ კვამლადაც მიიჩნევდნენ და წარმოსახავდნენ. აპულეუსის მიერ „ოქროს ვირში“ მოცემული ლეგენდის მიხედვით ფსიქე ერთ-ერთი მეფის ლამაზი ქალიშვილია, რომელიც სილამაზით თვით აფროდიტეს ეტოლება. ამით განაწყენებულმა ღმერთქალმა ფსიქეს დასჯა გადაწყვიტა და თავისი ვაჟი ამური (ეროსი) მიუგზავნა. ეროსი დაატყვევა ფსიქეს სილამაზემ და მასთან ურთიერთობა გააბა, ოღონდ ისე, რომ არ დაენახა ქალიშვილს, ამიტომ მასთან ღამ-ღამობით დადიოდა. ფსიქეს დებს შეეხარბათ ფსიქეს ბედნიერება და შთააგონეს დას, რომ აუცილებლად უნდა დაენახა სინათლეზე

ეროსი. ასე მოიქცა ფსიქე, მაგრამ ეროსი იმ წამსვე გასცილდა და გადაიკარგა. დიდხანს იტირა და იდარდა ფსიქემ დაკარგულ სიყვარულზე, მაგრამ ეროსი აღარსად ჩანდა. ბოლოს ისევ და სამუდამოდ დაუკავშირდა ფსიქე ეროსს. ზევსმა ფსიქეს უკვდავება აჩუქა. ფსიქესა და ეროსის მითმა მრავალი ხელოვნის“ ყურადღება მიიქცია.

ფსიქოპომპი, ბერძნ. (ψυχοπομπός, ბ — სულთა გამცილებელი) ჰერმესის ერთ-ერთი საკულტო სახელი, რომლის მოვალეობადაც ითვლებოდა გარდაცვლილთა სულების ჰადესში მიცილება.

ფურიები, ლათ. (Furiae) რომაელთა მიწისქვეშა სამყაროს დემონები, იგივე ბერძნული ერინიები. ითვლებოდნენ შურისძიებისა და სინდისის ქეჯნის ღვთაებებად. გადატანითი მნიშვნელობით ფურია ავ დედაკაცს ნიშნავს.

—ქ—

ქალკიოპე, ბერძნ. (Χαλκιόπη, ἡ) აიეტის ქალიშვილი, მედეას და, ფრიქსოსის მეუღლე, არგოსის, მელასის, ფრონტისისა და კატაორეს დედა. ზოგიერთი ავტორის ცნობით ფრიქსემ აიეტს ქალკიოპეს სანაცვლოდ მისცა კოსის მიერ გაკეთებული ოქროს ქანდაკება (შემდეგ ოქროს საწმისად წოდებული). (იხ. კოსი, აიეტი, ფრიქსე).

ქალკომედუზა, ბერძნ. (Χαλκομέδουσα, ἡ) ლაერტეს დედა.

ქაოსი, ბერძნ. (Χάος, τό) ცარიელი სივრცე, რომელიც ძველი ბერძნების წარმოდგენით სამყაროს შექმნამდე არსებობდა. ქაოსისაგან წარმოიშვნენ გეა, ერებოსი, ეროსი, ტარტაროსი, ნიკტი და სხვა. ორფელების წარმოდგენით ქაოსი ქრონოსის—მარადისობის შვილია. მათ ქაოსი წარმოდგენილი ჰქონდათ უფსკრულად, რომელშიც სიბნელე, ღამე და ნისლი ბინადრობდა. დროთა განმავლობაში, მოძრაობის შედეგად ნისლებმა კვერცხის სახე მიიღო. შემდეგ ორად გაიყო, ერთისაგან წარმოიშვა ცა, ხოლო მეორისაგან დედამიწა. ახლანდელი მნიშვნელობით ქაოსი ნიშნავს უწესრიგობას, არევდარევას.

ქარიბდა, ბერძნ. (Χάρυβδις, ἡ) ურჩხული—ესინიის სრუტეში მდებარე საშიში გასასვლელი, რომელსაც რაღაც ურჩხულად წარმოიდგენდნენ(იხ. სკილა).

ქარიკლო, ბერძნ. (Χαρικλώ, ή) 1. აპოლონის ან ოკეანოსის ქალიშვილი, კენტავრ ქირონის ცოლი. 2. ფერეის, წინასწარმეტყველ ტირესიას დედა.

ქარიტები, ბერძნ. (Χάριτες, αί) თავიდან ნაყოფიერების ღმერთქალებად ითვლებოდნენ. მოგვიანებით კი სილამაზის, მხიარულებისა და ქალის მიმზიდველობის ღმერთქალებად აღიარეს. ქარიტები ზევსისა და ევრინომეს (ან ჰერას) ქალიშვილებად ითვლებოდნენ, ჰომეროსის მიხედვით ისინი ბევრნი არიან, ჰესიოდე კი მხოლოდ სამს ასახელებს. ესენია: ეფროსინე (მხიარულება), თალია (ფერი) და აგლაია (ბრწყინვალება). მოგვიანებით ქარიტები უზენაეს ღვთაებათა გამცილებლებად და ამალის წევრებად ითვლებოდნენ; ისინი თან ახლდნენ ჰერმესს, აფროდიტეს, დიონისეს და სხვებს. რომში ქარიტებს გრაციები უწოდეს. ორქომენში ქარიტებს ყოველგვარი აღამიანური ნიშნის გარეშე, უბრალოდ ქვის სვეტად გამოსახავდნენ. შემდეგ მათ გრძელ ქიტონაში გამოწყობილ ქალებად, ხოლო კიდევ უფრო გვიან (III ს. ჩვენს ერამდე) ულამაზეს შიშველ ქალებად წარმოიდგენდნენ და გამოსახავდნენ. გადატანითი მნიშვნელობით ქარიტებს უწოდებენ ლამაზ ქალთა ჯგუფს. გამოთქმას ხშირად ირონიული მნიშვნელობაც აქვს.

ქარონი, ბერძნ. (Χάρων, ό) ერებოსისა და ნიკტის ვაჟი. ჰომეროსის შემდგომდროინდელი მითების მიხედვით ქარონი ცხოვრობდა მიწისქვეშეთში და მდინარე სტიქსზე გადაყავდა მიცვალებულთა სულები. ლეგენდების თანახმად ქარონს სულები ჰადესის ქარამდე მიყავს და იქ ართმევს გასამრჯელოს მეგზურობისა და მომსახურებისათვის. ამის გამო ძველად საბერძნეთში მიცვალებულებს პირში მონეტებს უდებდნენ; მითის წარმოქმნა, შესაძლებელია, განაპირობა იმან, რომ ძველად სწამდათ, თითქოს საქაოსი და საიქიოს შორის მდინარე თუ ზღვა მდებარეობდა და მასზე გადასვლა არ შეიძლებოდა დამხმარის გარეშე. ქარონის კულტი მოგვიანებით ეტრუსკებშიც გაუვიდეს და სიკვდილის ღმერთთან გაიგივეს. ქარონის კულტი ბოლოს რომშიც გავრცელდა. ვერგილიუსის აღწერის თანახმად ქარონი შუხყიანი, ჭაღარა, თვალუბრიალა მამაკაცია. დანტეს მიხედვით იგი ჯინკაა. ქარონის სახე მრავალმხრივაა გამოყენებული ხელოვნების სხვადასხვა სფეროში.

ქიმერა, ბერძნ. (Χίμαιρα, ή) ლომისთაიანი, თხისტანიანი და დრაკონისკუდიანი ცეცხლსმფრქვეველი ურჩხული. ჰესიოდეს მიხედვით ქიმერა ტიფონისა და ექიდნეს შვილია. მას სამი თავი აქვს: ლომის, თხისა და დრაკონის. სხვადასხვა მითის მიხედვით ქიმერა

ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილას. მაგ. ლიკიაში, ფრიგიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში და სხვ. ბელეროფონტის შესახებ არსებულ მითში საუბარია იმაზე, რომ მან ქიმერა მოკლა ლიკიაში, კრაგის მთაზე. ვერგილიუსის მიხედვით ქიმერა ჰადესის შესასვლელთან ბინადრობს. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე ქიმერები ფანტასტიკურ არსებებად არიან გამოსახულნი.

ქიონე, ბერძნ. (Χιόνη, ή) 1. ბორეასის ქალიშვილი. პოსეიდონის საყვარელი. ეუმოლპოსის დედა. ქიონემ ახლადშობილი ევმოლპოსი ზღვაში გადაავდო, მაგრამ პოსეიდონმა გადაარჩინა. 2. მეფე დედალიონის ქალიშვილი. აუტოლიკოსისა და მოშლერად ფილამონის დედა. ქიონე მოკლა არტემიდემ იმისათვის, რომ მან გამოაცხადა არტემიდაზე უფრო ლამაზი ვარო. 3. პრიამოსის დედა.

ქლორიდა, ბერძნ. (Χλωρίς -ίδος, ή) 1. ყვავილების ღმერთქალი, იგივე რომაული ფაუნა. 2. ორქომენის მეფის ასული, ნელეუსის ცოლი, ნესტორის დედა.

ქრიზე, ბერძნ. (Χρύσης, ό) 1. აპოლონის ქურუმი. ქრიზეიდას მამა. როდესაც აგამემნონმა ქრიზეიდა ტყვედ ჩაიგდო, ქრიზე დიდი საჩუქრით მიადგა მიკენის მეფეს ქალიშვილის გამოსასყიდად, მაგრამ მას აგამემნონმა ქალიშვილი არ დაუბრუნა. პირიქით, შეურაცხყოფაც კი მიაყენა. ქრიზემ აპოლონს შესთხოვა დაესაჯა მისი შეურაცხმყოფი და აპოლონმაც მოჰფინა ბერძენთა ჯარს საშინელი სენი.

ქრიზეიდა, ბერძნ. (Χρυσηΐς -ΐδος, ή) აპოლონის ქურუმის ქრიზეს ქალიშვილი. ტროის დამარცხებისა და აღების დროს ქრიზეიდა, როგორც სამსეფო ნადავლი, შეხვდა აგამემნონს. აგამემნონმა მხოლოდ მამის დაუბრუნა ქრიზეს ქალიშვილი, როცა აპოლონმა ჭირი გაავრცელა ბერძენთა ჯარში (იხ. ქრიზე). გადმოცემის თანახმად, თითქოს, შემდეგ ქრიზემ თავისი სურვილით დაუბრუნა აგამემნონს ქრიზეიდა აგამემნონის მისადმი კარგად მოპყრობის გამო. აგამემნონისაგან ქრიზეიდას შეეძინა ვაჟი, რომელსაც მამის სახელი უწოდა და რომელიც შემდეგში ორესტესა და პილადეს დაეხმარა.

ქრისიპოსი, ბერძნ. (Χρύσιππος, ό) პელოპისა და ფერიბოიას ვაჟი, რომელიც მამას ჰიპოდამიასთან შეძენილ ვაჟებზე — სიოქეს ვაჟი, ატრეუსსა და თიესტეზე მეტად უყვარდა. ქრისიპოსი მოკლეს ატრეუსმა და თიესტემ დედის რჩევით. სხვა მითის მიხედვით ულამაზესი ყმაწვილი ქრისიპოსი მოიტაცა და გააუპატიურა მეფე ლაიოსმა, რისთვისაც იგი მკაცრად დასაჯა ჰერამ — მის სამეფოს სფინქსი მიუგზავნა, ლაიოსი კი საკუთარ შვილს — ოიდიპოსს მოაკვლევინა. ოიდიპოსთან და მის შთამომავლობასთან დაკავშირებული მრავალი უბე-

დერებაც მითებს ლაიოსის ჩადენილი დანაშაულის სამაგიეროდ მიაჩნიათ.

ქრისოთემიდე, ბერძნ. (Χρυσόθεμις -ιδος, ἡ) აგამემნონისა და კლიტემნესტრას ქალიშვილი, იფიგენიასა და ლაოდიკეს (ელექტრას) და.

ქრომიოსი, ბერძნ. (Χρομίος, ὁ) 1. ნელევსის ვაჟი, ნესტორის ძმა. 2. პრიამოსის ვაჟი.

ქრონოსი, ბერძნ. (Χρόνος, ὁ —დრო) დროის განმასახიერებელი ღვთაება ძველ საბერძნეთში. ორფელების მიხედვით იგი ზევსისა და გეას მსგავსად მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი საწყისია. ცეცხლი, ჰაერი და წყალი, რომლისაგანაც ღმერთებმა შემდეგ მრავალი რამ შექმნეს, სწორედ ქრონოსმა დაბადა. ზოგჯერ ქრონოსს ქრონოსთან აიგივებენ. რომში ქრონოსი სატურნუსთან გააიგივეს და ამის გამო ისიც დროის განმასახიერებელ ღმერთად იქცა. ქრონოსი გამოისახება მოხუცად, რომელსაც ხელში ცელი უჭირავს, რაც დროისაგან ყველაფრის მოცელვის, მოსპობის სიმბოლური გამოსახულებაა. ამ სახელწოდებიდანაა ქრონიკა, ქრონოლოგია და სხვ.

ქსანთოსი, ბერძნ. (Ξάνθος, ὁ —თეთრთმიანი) 1. ბერძნული მითების მიხედვით ერთ-ერთი გმირის სახელი, 2. თეთრთმიანი ცხენების ეფიტეტი. „ილიადაში" ქსანთოსადაა წოდებული აქილევსის და ჰექტორის ცხენები.

ქსუთოსი, ბერძნ. (Ξοῦθος, ὁ) ელინისა და ფერია ორსეიდას ვაჟი. დოროსისა და ეოლოსის ძმა. თესალიიდან ათენში გადასახლდა და ერეხთევსის ქალიშვილი კრეუსა ცოლად შეირთო. მითში ასახულია ბერძნების ჩრდილოეთიდან მოსვლის ტრადიციული ისტორია.

ქურუმები, ბერძნ. — წარმართულ კულტთა მსახურები. აღმოსავლური რელიგიისაგან განსხვავებით საბერძნეთის ყოველ ქალაქს შეეძლო მსხვერპლის შეწირვის, მონათვლის, შენდობისა და სხვა რელიგიური აქტის თვითონვე გადაწყვეტა. ყოველივე ამას ასრულებდნენ ქურუმები. ქურუმებს ირჩევდნენ კენჭის ყრით, ან პირდაპირ ნიშნავდნენ ერთი ან რამოდენიმე წლით. ქურუმები პასუხისმგებელ პირებად ითვლებოდნენ სახელმწიფოში. ჭურუმობა ზოგჯერ მემკვიდრეობითაც გადადიოდა. ელინისტურ ეპოქაში ქურუმობის მოპოვება ფულითაც გახდა შესაძლებელი. ქურუმი უნდა ყოფილიყო ყოველგვარ ცეცდ საქმიანობაში ეჭვმიუტანელი, სულიერად და ფიზიკურად უნაკლო. ჭურუმთა გარკვეულ ჯგუფებს ზოგი რამ

ჩვეულებრივი ეკრძალებოდათ. მაგ. არტემიდეს ქურუმები ვალდებულნი იყვნენ შეენარჩუნებინათ სიქალწულე, პოსეიდონის ქურუმებს არ ჰქონდათ თევზის ჭამის უფლება, ქურუმთა გარკვეულ წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ ბანოში შესვლა. ქურუმთა შემოსავალს წარმოადგენდა შეწირული ცხოველების ხორცის ნაწილი და მორწმუნეთა საჩუქრები. სახელმწიფო რელიგიურ კულტს ხელმძღვანელობდნენ არა ქურუმები, არამედ სხვა მაღალი თანამდებობის პირები (მაგ. ათენში არხონტი ბასილევსი). რომში არსებობდა ქურუმთა რამოდენიმე კოლეგია. საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში ბერძენ ქურუმებთან შედარებით მათ ბევრად მეტი უფლებები ჰქონდათ. ისინი ითვლებოდნენ სახელმწიფოს თანამდებობის პირებად, განაგებდნენ კალენდარს, იცავდნენ კანონებს, ჰქონდათ უდიდესი უფლებები საგარეო საქმეებში, იყვნენ სენატის წევრები. რომის ქურუმთა უმაღლეს კოლეგიებს განეკუთვნებოდნენ: პონტიფიკები, ფლამინები, ვესტალები, ავგურები, პარუსპიკები, სალიები, ლუპერკალები და სხვა. რომაელ ქურუმთა უფლება-მოვალეობათაგან ბევრი რამ ისესხა ქრისტიანულმა რელიგიამ და მისმა მსახურებმა. გადატანითი მნიშვნელობით ქურუმი ნიშნავს რაიმე საქმისათვის თავდადებულ ადამიანს.

მაგ. ბახუსის ქურუმს ლოთს უწოდებენ, არესის ქურუმს—ომის მოყვარულს, აფროდიტეს ქურუმს—გარეგნული სილამაზის მოტრფიალეთ, ათენას ქურუმს— სიბრძნის მოყვარულს, მუზების ქურუმს—პოეტს, მორფეოსის ქურუმს—ძილის მოყვარულს.

—შ—

შვიდნი თებეს წინააღმდეგ—არგოსელთა შვიდი მხედართმთავარი, რომლებიც პოლინიკეს მეთაუროზით თავს დაესხნენ თებეს. პოლინიკესა და მის ძმას — ეტეოკლეს, პირობის თანახმად, რიგ-რიგობით უნდა ემართათ თებე. როდესაც პოლინიკეს გამეფების რიგი დადგა, ეტეოკლემ პირობა დაარღვია და ძმას ტახტი ალარ დათმო. პოლინიკე ცხოვრობდა არგოსში, სიმამრთან, მეფე ადრასტოსთან; პოლინიკემ სიმამრს სთხოვა ძმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაჰყოლოდა. მიუხედავად ამფიაროსის წინასწარმეტყველებისა, რომ თებეს ლაშქრობაში ადრასტოსის გარდა ყველა გმირი

დაიღუპებოდა, ბრძოლა მაინც გაიმართა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ორივე მთავარი მოქიშპე—პოლინიკეც და ეტეოკლეც დაიხოცნენ. მაშინ პოლინიკეს სიმამრმა დახმარებისათვის მიმართა ამორძალებს||ამაძონებს და ათენის მეფე თეზევსს. თებელებს გაუჭირდათ და სამისნოს მიმართეს. ტირესიამ იწინასწარმეტყველა, რომ თებელები მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებენ, თუ თებეს ახალი მმართველის-კრეონტის ვაჟს მენეკევსს არცსს შესწირავენ. მიუხედავად იმისა, რომ მამამ ურჩია შვილს გაქცეულიყო ქალაქიდან, პატრიოტმა ყმაწვილმა თავისი სურვილით მიიტანა თავი სამსხვერპლოზე სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამის შემდეგ თებელებმა გაიმარჯვეს და მოწინააღმდეგეთა მეთაურები ზედიზედ დაიღუპნენ. გადარჩა მხოლოდ ადრასტოსი და წინასწარმეტყველი ამფიარაოსი, რომელსაც ზევსმა უკვდავება აჩუქა და ცაში წაიყვანა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ადრასტოსის მეთაურობით, თებეს წინააღმდეგ კვლავ გაილაშქრეს შვიდ დაღუპულ გმირთა ვაჟებმა და გამარჯვებასაც მიაღწიეს. იხ. ეპიგონები. მითი ფართოდაა გამოყენებული ლიტერატურაში.

— ც —

ცენტავრები, ლათ (Centaurus) იგივე ბერძნ. კენტავრები.

ცერბერი. ლათ. (Cerberus) იგივე ბერძნ. კერბერი.

ცერეალიები, ლათ. (Cerealia) ცერერასადმი მიძღვნილი დღესასწაულები ძველ რომში. იმართებოდა აპრილის თვეში.

ცერერა, ლათ. (Ceres—eris) სატურნუსისა და რეას ქალიშვილი, იუპიტერის და, პროზერპინას დედა. მინდვრების, მიწათმოქმედებისა და ხორბლის მარცვლის მფარველი რომაული ღმერთქალი.

ცეფეუსი. ლათ. (Cefeus) იგივე ბერძნული კეფევსი.

ციკლოპი. ლათ. (Cyclops) იგივე ბერძნული კიკლოპი.

ცინთია, ლათ. (Cynthia) იგივე ბერძნული კინთია. არტემიდეს (დიანას) ერთ-ერთი ზედმეტი სახელი.

ცირცეა, ლათ. (Circe) იგივე ბერძნული კირკე.

— ძ —

ძაგრევსი, ბერძნ. (Ζαγρεύς, ὁ) რამდენიმე მითის მიხედვით დიონისეს პირველად ერქვა ძაგრევსი.

ძევქსიპე, ბერძნ. (Ζευξίππη, ἡ) ერთ-ერთი ხაიადი, პანდიონის მეუღლე. 2. პრიამოსის დედა. 3. პროკნესი და ფილომელას დედა, იგივე ზეუქსიპე.

ძეთოსი, ბერძნ. (Ζήθος, ὁ) 1. ზევსისა და ანტიოპეს ვაჟი. ამფიონის ქმარი. 2. ბორეასისა და ორითიას ვაჟი. კალაისის (კალაიდეს) ძმა. ერთ-ერთი ბორეადი. კალაისთან ერთად იგი მოკლა ჰერაკლემ იმისათვის, რომ მან არგონავტებს ურჩია მიეტოვებინათ ჰერაკლე, რომელიც მილასის საძებნელად იყო წასული.

— ხ —

ხალიბი, ბერძნ. (Χάλυψ -υβος, ὁ) არესის ვაჟი, ძველქართველური ტომის ხალიბების წინაპარი. ხალიბებმაო—გადმოგვცემს ლეგენდა,— აღმოაჩინეს რკინის მადანი და დაიწყეს მისი დამუშავება.

ხალკოდონტი, ბერძნ. (Χαλκώδων -οντος, ὁ) აბანტების მითიური მეფე. ევბეის უძველესი მოსახლეობის მბრძანებელი. მის შთამომავლებს ხალკოდონიტებს (ქალკოდონიტებს) უწოდებენ.

ხთონია, ბერძნ. (Χθονία, ἡ) 1. არგოსის მეფის—ფორონევსის ქალიშვილი. მან არგოლიდაში (პერმიონეში) თავის ძმასთან—კლიმენოსთან ერთად დააარსა დემეტრეს სამლოცველო. სხვა მითების მიხედვით ხთონია არგოსელი კოლოსტასის ქალიშვილია. თითქოს კოლონტასმა არ მიიღო მასთან მგზავრის სახით სტუმრად მისული დემეტრე, რისთვისაც განრისხებულმა ღმერთქალმა მის სახლს ცეცხლი წაუკიდა და გულცივი მასპინძელი შიგ გამოიწვა. ხთონია კი, რომელმაც რამოდენიმეჯერ სთხოვა მაშას სტუმარი მიეღოთ, გადარჩინა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ხთონიამ დემეტრეს ქება-რუმბაობა—გადმოგვცემს მითის ერთი ვერსია. 2. ათენის მეფის—ერეხთევსის ქალიშვილი. ერეხთევსმა ხთონია მსხვერპლად შესწირა

ღმერთებს. ᲘᲛ. გეას, დემეტრეს, პერსეფონეს, ჰეკატესა და მიწის სხვა ღვთაებათა ეფიტეტი.

ᲮᲗᲝᲜᲘᲝᲡᲘ, ბერძნ. (Χθόνιος, ბ) ერთ-ერთი სპარტთაგანი.

ᲮᲗᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲐᲜᲘ, ბერძნ. მიწის ღვთაებები, მიწისქვეშეთის მფლობელი ღმერთები. ისინი განაგებენ მიწის ნაყოფიერებას. ხთონიურ ღვთაებებად ითვლებოდნენ ჰადესი (პლუტონი), პერსეფონე, დემეტრე, გეა, დიონისე, ჰეკატე, ერინიები, თანატოსი, ჰიპნოსი, მიწისქვეშა სამყაროს მოსამართლეები: ეაკოსი, მინოსი და რადამანთისი. ხთონიურ ღვთაებებს მსხვერპლად სწირავდნენ მხოლოდ შავი ფერის ცხოველებს. მსხვერპლთშეწირვა ხდებოდა გვიან საღამოს, სამსხვერპლო იყო დაბალი.

ᲮᲠᲘᲡᲐᲝᲠᲘ, ბერძნ. (Χρυσάωρ -ορος, ბ) პოსეიდონისა და მედუზას ვაჟი. ეჭიდნეს მამა.

— ჰ —

ᲰᲐᲓᲔᲡᲘ, ბერძნ. (Ἀΐδης ან Ἅιδης, ბ. ჩ) 1. მიწისქვეშა სამყაროს და მიცვალებულთა სულების მბრძანებელი, კრონოსისა და რეას ვაჟი. ზევსის, პოსეიდონისა და დემეტრეს ძმა. როდესაც სამმა ძმამ სამყარო გაიყო, ჰადეს მიწისქვეშეთი და მიცვალებულთა შეუფლება ერგო. ჰადესი ითვლებოდა აგრეთვე წიაღისეული სიმდიდრისა და მიწის ნაყოფიერების ღვთაებად. ჰადესის შესახებ უმთავრესად გავრცელებული მითი გადმოგვცემს, რომ მან მოიტაცა თავისი დისშვილი, მიწათმოქმედების ღმერთქალ დემეტრეს ქალიშვილი—პერსეფონე და ცოლად შეირთო. (იხ. პერსეფონე). ზევსმა აიძულა ჰადესი დემეტრესათვის დაებრუნებინა ქალიშვილი, მაგრამ პერსეფონემ მთლიანად მაინც ვერ მიატოვა ჰადესი, რადგანაც მას ჰადესმა გადააყლაპა ბროწეულის მარცვლები. რის გამოც ისე განმტკიცდა მათ შორის ცოლ-ქმრული სიყვარული, რომ პერსეფონე თვითონ ვეღარ სთმობდა მიცვალებულთა შეუფეს. შეთანხმების თანახმად პერსეფონე წლის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ატარებდა დედამიწაზე დედასთან, ამ პერიოდში მიწა მოსავალს იძლეოდა. მითების ძიხედვით ჰადესს ჰქონდა მეზარადი, რომლის მორგების შემდეგ იგი უხილავი ხდებოდა. (აქედან მისი სახელი ἀ-ϊδής — უხილავი). თითქოს, როდესაც ჰერაკლე მიწისქვეშეთში ჩავიდა, დაჭრა შესახელელში მოდარაჯე ჰადესი და ეს უკანასკნელი ოლიმპოს გაემართა

ჭრილობის განსაკურნებლად. ჰადესს მახვერპლად სწირავდნენ შავ ხარებს. რომში ჰადესი გაიგივეს სიკვდილისა და ქვესკნელის ძველიტალიურ ღვთაებებთან: ორკუსთან და დიტუსთან. ხელოვნებაში ჰადესი ზევსის მსგავსად ძლიერ, დასრულებულ, ტახტზე მჯდომარე მამაკაცად გამოისახებოდა, ხელში ეჭირა ორკბილა, ხშირად თან ახლდა პერსეფონეც, მის ფერხთით იწვა კერბერი. 2. საიქიოს, მიცვალებულთა სამეფოს ბერძნული სახელი, რომელსაც ზოგჯერ ტარტაროსსა და ზოგჯერ ერებოსსაც უწოდებდნენ. რომაელები მას ორკოსს ეძახოდნენ. ძველი ბერძნების წარმოდგენით ჰადესი იმყოფებოდა სადღაც შორეულ დასავლეთში, ან და მიწისქვეშეთში. იქ სულები განაგრძობენ ჩვეულებრივ ცხოვრებას.

მითების მიხედვით ჰადესის მბრძანებლები არიან ჰადესი და მისი ცოლი პერსეფონე. მამაკაცთა სულებს ჰადესი განაგებს, ქალებისას კი — პერსეფონე. ჰადესში მისვლისას შესაფერისი ადგილის მისაღებად მიცვალებულთა სულები ვალდებულნი არიან წარსდგნენ მოსამართლეების წინაშე. ეს მოსამართლეებია: მინოსი, ეაკოსი და რადამანთისი; ისინი ღმერთებს დაუყენებიათ ამ თანამდებობაზე. ჰადესში გაუდინება დავიწყების მდინარე ლეთე, რომლის ერთი ყლუპიც კი საკმარისია, რომ ყველაფერი წარსული, მიწა და მიწიური ცხოვრება დავიწყებას მიეცეს. ჰადესში იტანჯებიან დაშნაშაენიც.

ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ, ბერძნ. (Ἁρμονία, ჩ) არეისა და აფროდიტეს ქალიშვილი, კადმოსის მეუღლე. ჰარმონიასა და კადმოსის ქორწილს ყველა ღმერთი დაესწრო. კადმოსმა ახალგაზრდა მეუღლეს მიართვა პეფუსტოს ნახელავი ძვირფასი, ჯადოსნური სამკაულები. ბოლოს ეს სამკაულები დელფოს საპისნოს შესწირეს.

ᲰᲐᲠᲞᲘᲔᲑᲘ, ბერძნ. (Ἅρπιαι, αἱ) თოვლის, ფანტელებისა და ქარ-ბუქის ღვთაებანი. მტაცებელი გოგოჩიტები. ჰესიოდეს მიხედვით ჰარპიები ფრთოსანი ღმერთქალები არიან. მოგვიანებით ჰარპიები წარმოიდგინეს ქალისთავიან ფრთოსან ურჩხულებად. არგონავტების შესახებ თქმულების მიხედვით ჰარპიები გაჯავრებულმა ზევსმა დასჯილ ფინევსს მიუჩინა. ჰარპიები მას პარაეენ ან უბილწავენ საჭმელს და ბრმა დაშნაშავე ლამისაა შიმშილით დაილუპოს. ჰარპიები ფინევსს ბორეადებმა მოაშორეს. გადატანითი მნიშვნელობით ჰარპია აც დედაკაცს ნიშნავს.

ᲰᲐᲠᲞᲝᲙᲠᲐᲢᲔ, ბერძნ. (Ἁρποκράτης, ბ) ძველეგვიპტური ღმერთის ჰორას ბერძნული სახელი, ოსირისისა და ისიდას ვაჟი, იგი პირთან მიტანილი თითით გამოისახებოდა. შემდეგში ბერძნებმა და რომაელებმა მისი ასეთი გამოსახულება დუმილის სიმბოლოდ

მიიჩნიეს, დუმილის ღმერთად აღიარეს და პარპოკრატე უწოდეს. პარპოკრატე გამოისახებოდა ლოტოსის კოკორზე მჯდომარე გვირგვინიან ყმაწვილად, ხელში ეჭირა სიუხვის რქა. პარპოკრატეს ატრიბუტებია ნიახვი, ლომი, შველი და მორიელი. პარპოკრატეს სწირაულებენ პირველ ქორფა მწვანილს, ლოტოსის ყვავილებს და თევზს.

ჰარუსპიკები, ლათ (haruspex-იდან) გულთმისანი ქურუმები ძველ რომში, რომლებიც ცხოველთა შიგნეულის მიხედვით მკითხაობდნენ. გაუმოცების თანახმად ეს ხელოვნება მათ ეტრუსკებისაგან ისწავლეს. განსაკუთრებულ შემთხვევებში რომის სენატიც კი მიიწვევდა ხოლმე რჩეული ჰარუსპიკებს.

ჰებე, ბერძნ. (Ἥβη, ἡ) სიყმაწვილის ღმერთქალი, ზევსისა და ჰერას ქალიშვილი, რომელსაც ღმერთებისათვის ოლიმპოზე ნექტარი და ამბროსია მიჰქონდა. იგი ითვლებოდა ჰერაკლეს ცოლად, რომლისაგანაც შეეძინა ორი შვილი. ჰებეს კულტი გავრცელებული იყო პელეპონესში, მისი წმინდა ხეა კვიპაროსი. გადმოცემით, თუ მონა ჰებეს ტაძარში შესვლას მოახერხებდა — თავი სუფლდებოდა. რომში ჰებე სიყმაწვილის რომაულ ღმერთქალ იუვენტუტასთან გაიგივეს. ჰებე ხელოვნებაში ახალგაზრდა ქალიშვილად გამოისახებოდა. თავზე ედგა ყვავილების გვირგვინი და ხელში ოქროს თასი ეჭირა. ზოგ გამოსახულებაში ჰებე ძეძეს აწოვებს ზევსის არწივს.

ჰეკაბე, ბერძნ. (Ἑκάβη, ἡ) იგივე ჰეკუბა. ფრიგიის მეფის ქალიშვილი, პრიამოსის მეუღლე; ჰექტორის, პარისის, ჰელენის, პოლიქსენეს, კასანდრას... დედა. ტროის დაცემის შემდეგ ჰეკაბე ტყვედ წაიყვანა ოდისევსმა. საბერძნეთისაკენ მიმავალმა ჰეკაბემ თრაკიის სანაპიროზე ნახა თავისი ვაჟის — პოლიდოროსის გვამი. პოლიდოროსი დიდძალი განძით თრაკიის მეფე პოლიმესტორთან გაგზავნეს რამდენიმე ხნის წინათ. როდესაც პოლიმესტორს ტროის დაცემის ამბავი გაეგო, პოლიდოროსი მოეკლა და განძი მიეთვისებინა. ჰეკაბემ შეძლო სამაგიერო მიეზღო შვილის მკვლელისათვის, — მან ამოსოკა პოლიმესტორის შვილები და თვით მას თვალები დათხარა. ერთი მითის მიხედვით ჰეკაბე ბრბომ ჩაქოლა, მაგრამ ღმერთებმა იგი ძაღლად აქციეს. ჰეკაბეს ძაღლად ქცევის მითი გვაფიქრებინებს, რომ მისი კულტი ჰეკატესაში აირია. ამ უკანასკნელის წმინდა ცხოველი ხომ ძაღლია. ჰეკაბეს ტრაგიკულმა სახემ შთააგონა მრავალი მწერალი (ევრიპიდე, შექსპირი, დანტე და სხვ.).

ჰეკაერგე, ბერძნ. (Ἑκαέργη, ἡ) ბორეასის ქალიშვილი. გადმოცემის თანახმად მან დააწვინა არტემიდეს კულტი კენძულ დელოსზე.

ჰეკალე, ბერძნ. (Ἑκάλη, ἡ) ღარიბი, სტუმართმოყვარეობით განთქმული დედაბერი, რომელმაც გაჭირვების ჟამს შეიფარა ახალგაზრდა თეზევსი.

ჰეკატე, ბერძნ. (Ἑκάτη, ἡ) ძველაღმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდან შევიდა. ჰესიოდეს მიხედვით იგი ტიტან პერსესა და ტიტანიდ ასტერიას ქალიშვილია. ზოგი მითი მას ზევსისა და ჰერას, ზოგი კი — ზევსისა და დემეტრეს ქალიშვილად მოიხსენიებს. ჰესიოდეს მიხედვით იგი მიწის, ზღვისა და ზეცის მპყრობელი, ადამიანის შრომის მფარველი ძლევამოსილი ღმერთქალი იყო. თითქოს ჰეკატე ეხმარებოდა მშობიარეს, დედებს, ქვინიღა და ამრავლებდა სიმდიდრეს, მფარველობდა მონადირეებსა და მეთევზეებს, ხელს უწყობდა პირუტყვის გამრავლებას, შეზღაურებს უკმაუნიდა ზურგის ქარს, ამარჯვებინებდა შჯიბრებაში, სასამართლოში, შაირობაში... თვით ღმერთებიც განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ მას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ტიტანთა შთამომავლად ითვლებოდა, ტიტანების დამარცხების შემდეგ ზევსმა მაინც არ წაართვა ძალა-უფლებები. ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან ჰეკატეს მიიჩნევდნენ ამრდილების, ლამეულ მოჩვენებების, ზმანებათა და ჯადოქრობის ღმერთქალად. ივი შემდეგ პერსეფონესთან გააიგივეს. ჰეკატე ხშირად არტემიდესაც ერეოდათ. არტემიდეს მსგავსად ისიც მიიჩნიეს ნადირთა მეუფედ. რამდენიმე საერთო ნიშნის გამო ჰეკატე ზოგჯერ მთვარის ღვთაება სელენაშიც ერეოდათ. ჰეკატეს წმინდა ცხოველია ძაღლი, მას მსხვერპლად სწირაულნენ ლეკვებს. ჰეკატეს სამლოცველოები იყო ეგინაზე, არგოსში, ელევსინში, სიცილიაში; ეგინაზე ჰეკატესადმი მიძღვნილი მისტერიებიც იმართებოდა. გზაჯვარედინებზე დგამდნენ ჰეკატეს საძთავით გამოსახულებებს, მისი ქანდაკებები ჰქონდა თითქმის ყოველ ოჯახს. ჰეკატე გამოისახებოდა ლაშაზ ქალად, ხელში ეჭირა ჩირაღდანი. ჩირაღდანს გარდა მისი ატრიბუტებია: ძაღლი, გველი, გასაღები, ხანჯალი... პერგამის სამსხვერპლოსფასადზე ჰეკატე სამთავიან და ექვსხელიან არსებადაა გამოსახული, შეიარაღებულია ფარითა და ხანჯლით.

ჰეკატომბე, ბერძნ. (ἑκατόμβη, ἡ) ასი ხარის ან სხვა ცხოველის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება ძველ საბერძნეთში. გადატანითი მნიშვნელობით ჰეკატომბე ნიშნავს დიდი მსხვერპლის გაღებას, ომს, ჭირს, სახიფათს.

ჰეკატონხეირები, ბერძნ. (ἑκατόγχειρες, οἱ) მიწისქვეშა ძალთა განმასახიერებელი ასხელაოვანი და ორმოცდაათთავიანი ბუმბერაზები. ჰესიოდეს მიხედვით ისინი გეასა და ურანოსის შვილები არიან. ტიტანებთან ომის დროს ჰეკატონხეირები ოლიმპიელებს ეხმარებოდნენ და ოლიმპიელებმა სწორედ მათი მეშვეობით გაიმარჯვეს. გამარჯვების შემდეგ ჰეკატონხეირები დარაჯობენ ტარტაროსში ჩამწყვდეულ ტიტანებს.

ჰელე, ბერძნ. (Ἕλλη, ἡ) ათამანტისა და ნეფელეს ქალიშვილი, ფრიქსოსის და. როდესაც ათამანტმა მეორე ცოლი შეირთო, დედინაცვალმა შეიძულა გერები, ჰელე და ფრიქსოსი. ავი დედინაცვლისაგან განრიდების მიზნით ნეფელემ ღრუბელთა ბურუსი შემოახვია შვილებს, ჯადოსნურ ოქროს ვერძზე შესვა და კოლხეთში გაისტუმრა აიეტ მეფესთან. (იხ. ფრიქსოსი). მგზავრობისას ჰელე ვერძიდან გადმოვარდა, ფრიქსოსმა ვერ უშველა და დაიხრჩო. მას შემდეგ ამ ზღვას, რომელშიც ჰელე დაიხრჩო, ჰელესპონტი ეწოდება. ჩვენამდე მოაღწია გამოსახულებამ, ჰელე წელამდე წყალშია და თანდათანობით იძირება, ფრიქსოსი ხელს უწვდის, მაგრამ ვერ წვდება, ისინი მხოლოდ თითებით ეხებიან ერთმანეთს.

ჰელიადები, ბერძნ. (Ἡλιάδης = Ἡλιάδαι, οἱ) მზის შვილები, ჰელიოსისა და ოკეანიდ კლიმენეს ქალიშვილები, ფაეთონტის დები. მათ ისე მწარედ განიცადეს ძმის დაღუპვა და ისე გაშეძმებით ტიროდნენ, რომ ღმერთებმა ეერხეებად||ალვისხეებად აქციეს, რომელთა ფოთლებიც მარად ნაღვლიანად შრიალებენ. ჰელიადთა ცრემლებისაგან ზურმუხტები||მარგალიტები წარმოიშვნენა— გადმოგვცემს ლეგენდა.

ჰელენი, ბერძნ. (Ἕλλην -ηνος, ὁ) პირასა და დევკალიონის ვაჟი (იხ. ელინი).

ჰელიკე, ბერძნ. (Ἑλίκη, ἡ) 1. ფერია. ენოპიონის მეუღლე, ლიკაონის ქალიშვილი. მითის მიხედვით იგი იყო ულამაზესი კრეტელი ფერია, რომელიც ზევსს შეუყვარდა. ამის გამო გაჯავრებულმა ჰერამ იგი დათვად აქცია, ზევსმა კი ვარსკვლავად გარდაქმნა და ცაზე მოათავსა (დიდი დათვის ვარსკვლავი). სხვა მითის მიხედვით ეს იყო არა ჰელიკე, არამედ კალისტო.

ჰელიკონი, ბერძნ. (Ἑλικών, ὁ) ჰელიკონი და კითერონი იყვნენ განსხვავებული ხასიათების ორი ძმა. ჰელიკონი იყო კეთილი და მშობლების მეტისმეტად მოყვარული, კითერონი კი ბოროტი და ანჩხლი. მან ჯერ მამა მოკლა და შემდეგ მზაკვრულად ძმა გადააგდო კლდიდან, მაგრამ თვითონაც თან გადაყვა. ღმერთებმაო, გადმოგვცემს ლეგენდა, ისინი მთებად აქციეს. თითქოს კითერონზე დასახლდნენ ერინიები, ჰელიკონზე კი — მუზები. მუზებს ამიტომ ხშირად ჰელიკონიადებს უწოდებენ ხოლმე.

ჰელიკონიოსი, ბერძნ. (Ἑλικώνιος, ὁ) პოსეიდონის ერთერთი ზედმეტი სახელი აქაელთა ქალაქ ჰელიკეს მიხედვით, სადაც მისი ტაძარი და ქანდაკება მდებარეობდა.

ჰელიოსი, ბერძნ. (Ἥλιος, ὁ) მზის ღმერთი ძველ საბერძნეთში, ტიტან ჰიპერიონისა და თეიას ვაჟი, სელენეს და ეოსის ძმა. ფაეთონტისა და ჰელიადების მამა. კლასიკურ პერიოდში ჰელიოსი მზის სხივის, სიბრძნავის და სინათლის ღვთაება იყო. ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნეში ჰელიოსი აპოლონთან გააიგივეს. მითების მიხედვით ჰელიოსი ყოველდღიურად აღმოსავლეთიდან მობრძანდებოდა ეტლით, რომელშიც შებმული იყო ცეცხლისმფრქვეველი ცხენები და სალამოს დასავლეთით ეშვებოდა ოკეანეში. ღამით ჰელიოსი დედამიწას შემოუვლიდა ნავით და დილით კვლავ აღმოსავლეთიდან აღმობრწყინდებოდა. კუნძულ ტრინაკრიაზე ჰელიოსის ქალიშვილები მის ხარებს (იხ. ჰელიოსის ხარები) მწყემსავდნენ. ჰელიოსის ტაძრები იყო კორინთოში, არგოსში, ელიდაში. მისი კულტის ცენტრი კი კუნძული როდოსი იყო. რომაელებმა ჰელიოსი სოლთან გააიგივეს (sol— მზე). მისი ტაძარი აღმართული იყო კვირინალიაზე. ხელოვნებაში ჰელიოსი გამოისახებოდა ეტლში მჯდომარე, თავზე ნათლის გვირგვინიან, ან მზის დისკო დადგმულ მამაკაცად. ჰელიოსი ზოგ გამოსახულებაში ფეხზე დგას ეტლში, ერთ ხელში მათრახი უჭირავს, მეორეში კი დედამიწის ბურთი.

ჰელიოსის ხარები, — ჰელიოსს ჰყავდა ხარების შეიდი ჯოგი, რომელშიც შედიოდა 350 ხარი. ხარებს მწყემსავდნენ მისი ქალიშვილები კუნძულ ტრინაკრიაზე. თვითეული ხარი, როგორც ირკვევა, წლის თითო დღის განსახიერებაა (ბერძნული კალენდრის მიხედვით წელიწადი 350 დღისაგან შესდგებოდა). ტირესიამ ურჩია ოდისევსს და მის თანამგზავრებს, რომ, არამც და არამც ხელი არ ეხლოთ ჰელიოსის ხარებისათვის, მაგრამ როდესაც ოდისევსი და მისი თანამგზავრები კუნძულ ტრინაკრიაზე მოხვდნენ, მეტისმეტი შიმშილის გამო იძულებული გახდნენ დაეკლათ და შეეჭამათ რამოდენიმე ხარი. ამიტომ მათი გემი განრისხებულმა ღმერთებმა ნამსხვრევებად აქციეს და მხოლოდ ოდისევსი გადაურჩა დაღუპვას. მითი ჰელიოსის ხარების შესახებ იმ ეპოქას ასახავს, როდესაც წმინდა ცხოველთა მოკვლა აკრძალული იყო.

ჰელოროსი, ბერძნ. (Ἕλωρος, ὁ) 1. მეფე, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ამავე სახელწოდების მდინარე სიცილიაში.

2. ისტროსის ვაჟი, ტელეფოსის თანამებრძოლი. მელანიპოსის მამა.

ჰემერა, ბერძნ. (Ἡμέρα, ἡ — დღე) დღის სინათლის განმასახიერებელი ღმერთქალი. ჰესიოდეს მიხედვით იგი ნიკტისა და ერებოსის ქალიშვილია, ეთერისა და განთიადის ღმერთქალის—ეოსის და.

ჰემონი. ბერძნ. (Ἥμων -ονος, ὁ) კრეონტ მეფის ვაჟი, ანტიგონეს საქმრო, როდესაც ჰემონმა ანტიგონეს სიკვდილი გაიგო, თვითონაც თავი მოიკლა.

ჰემატაპოროსი, ბერძნ. (Ἑπτάπορος, ὁ) მდინარის ღმერთი მისიაში. ოკეანოსის ვაჟი.

ჰერა, ბერძნ. (Ἥρα, ἡ) წინაბერძნული ღვთაება. გვიანდელი მითების მიხედვით კრონოსისა და გეას უფროსი ქალიშვილი, ზევსის და და მეუღლე, რომელთა კავშირიც ერთი მითის მიხედვით სამას წელს საიდუმლოდ მიმდინარეობდა. შემდეგ ზევსმა ჰერა თაეის მეუღლედ და ღმერთთა დედოფლად გამოაცხადა. ჰესიოდეს მიხედვით ჰერა ზევსის მეშვიდე ცოლი იყო. ზევსთან ერთად იგი ელევს, ქალა-ქუხილისა და ღრუბელთ მბრძანებელია. იგი უგზავნის ადამიანებს წვიმას და მოსავალს. ჰერას მოსამსახურეებია: ჰორები და ირიდა. ჰერას სახემ თანდათან შთანთქა მსგავს ღმერთქალთა ძველი კულტები. ჰერა გახდა ქორწინებისა და ცოლ-ქმრული სიყვარულის მფარველი ღმერთქალი. (აქედან მომდინარეობს მისი ზედმეტი სახელი გამელია), ფენმძიმეთა და მშობიარეთა ღვთაება. ჰერამ ზევსისაგან შობა ჰებე, ჰეფესტო და არესი. ზოგიერთი მითის მიხედვით არესი არ არის ზევსის შვილი. თითქოს ჰერამ ჩაისუნთქა ყვავილთა არომატი და ამის გამო, უბიწოდ ჩაესახა არესი. მითების მიხედვით ჰერა მკაცრი, მორჭმული და ეჭვიანი მეუღლე იყო. იგი უმოწყალოდ სდევნიდა და სჯიდა მეტოქეებს. ჰერას სძულდა ჰერაკლე და ზევსის სხვა შვილები, არაერთგზის ცდილობდა მათ დაღუპვას. ერთხელ ზევსმა ჰერაკლეს დევნის გამო დასაჯა კიდეც ჰერა: ცის თაღზე ჯაჭვით ჩამოკიდა და ფეხებზე გრდემლები მიაბა. ჰერას სწირავდნენ ბროწეულს (ცოლქმრული სიყვარულის სიმბოლოს), გუგულს, ფარშავანგს, ყვავს. ჰერას კულტის სამშობლოდ პელეპონესი ითვლება. ჰერას ტაძრები იყო მიკენში, არგოსში, სპარტაში, კორინთოში, სამოსზე და სხვა ადგილებში. არგოსში ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ჰერასადმი მიძღვნილი დღესასწაულები. რომში ჰერა იუნონასთან გაიგივეს. (იხ. იუნონა). ხელოვნებაში ჰერა გამოისახებოდა მაღალ, ლამაზ ტანის, დიდებული, წარმოსადეგი, მკაცრი შესახედაობის, თავზე გვირგვინდადგმულ ქალად.

ჰერაკლე ბერძნ. (Ἡρακλῆς, ὁ) ბერძენი სახალხო გმირი. ჰერაკლეს ნამდვილი სახელი იყო ალკიდი. ჰერაკლე მას უწოდა დელფოს საპისნიმ და ნიშნავს „წარმატებათა მომპოვებელს ჰერას ჯიბრზე.“ ჰერაკლეს მამაა ზევსი, დედა კი—ალკმენე. ჰერაკლე ყველაზე უფრო პოპულარული ბერძენი გმირია. მისი გმირობის შესახებ მღეროდნენ მთელს ელადაში.

ალკმენემ შვა ტყუპები: ჰერაკლე და იფიკლე. ჰერამ ჩვილ ჰერაკლეს მიუგზავნა ორი უზარმაზარი მგუდავი გველი, რათა აკვანშივე მოეხრჩოთ მისთვის საძულველი არსება, მაგრამ მოხდა პირიქით, პატარა გოლიათმა თვითონ დაახრჩო გველები. ამფიტრიონმა ჰერაკლეს ასწავლა ეტლის მართვა, კასტოროსმა — ხელჩართული ჩხუბი, ავტოლიკოსმა — ჭიდაობა, ევრისთევსმა — ისრის სროლა და ლინოსმა — მუსიკა, კენტაურმა ქირონმა კი — მეცნიერება. როდესაც ლინოსმა სიზარმაცისათვის ჰერაკლე დატუქსა, ამაყმა მოსწავლემ შეურაცხყოფა არ აიტანა, მასწავლებელს კითარა დაარტყა და მოკლა. მისი სიძლიერით შეშინებულმა ამფიტრიონმა ჰერაკლე კითერონზე გაგზავნა ფარის სამწყემსავად. იქ მწყემსობისას ჰერაკლემ მოკლა კითერონის საშინელი ლომი და მისი ტყავი ტანსაცმლად გამოიყენა. 18 წლის ჰერაკლე თებეში დაბრუნდა, იქ იგი შეიდავა ორქომენის მეფის ელჩებს, რომლებიც თებელებისაგან სამარცხვინო ხარკს მოითხოვდნენ, დაამარცხა ისინი და აიძულა, თვით ებაღდათ თებელებისათვის ორჯერ მეტი ხარკი, ვიდრე ისინი მათგან მოითხოვდნენ. მადლობის ნიშნად თებეს მეფემ — კრეონტმა ჰერაკლეს მიათხოვა თავისი ქალიშვილი მეგარა.

დელფოს საპისნოს დადგენილებით გმირს უნდა შეესრულებინა 12 გმირობა. (ჰერამ ჰერაკლეს უგრონობა მოუვლინა და გონებაარეულმა გმირმა მოკლა ორი საკუთარი და ორიც იფიკლეს შვილი. გონს მოსულმა გმირმა შეასრულა თორმეტი გმირობა) 1. ხელით დაახრჩო ნემეის ლომი, 2. მოკლა ლერნეს ჰიდრა. 3. ცოცხლად დაიჭირა არკადიის გამანადგურებელი ტახი. 4. შეიპყრო კერინიის შველი. 5. ამოხოცა სპილენძის ფრთებიანი საოცარი სტიმფალიდები. 6. ევრისთევსის ქალიშვილს მოუპოვა იპოლიტეს ჯადოსნური ქამარი. 7. გაასუფთავა ავგეას თავლები. 8. სძლია ალისმფრქვეველ კრეტის ბუღას. 9. მოკლა მეფე დიომიდე, რომელიც ადამიანებს შესაჭმელად აძლევდა სოლმე კაციამჭამელ ჰაქ ცხენებს. 10. მოიტაცა გერიონის ძროხები. ამ საშთავიანი გოლიათის ძროხების მოტაცების შემდეგ აღმართა, ე. წ. ჰერაკლეს (ჰერკულესის) სვეტები. აქეე დაამარცხა მან ანტეოსი. 11. ხელთ იგდო ჰესპერიდების ვაშლი, რაც გმირს ატლანტმა მოუტანა. სამაგიეროდ ჰერაკლეს ხელით ეპირა ცის თაღი. 12. დაიჭირა, შეკოჭა და ევრისთევსს მიჰგვარა ჰა-

დესის საშინელი მცველი, სამთავიანი ქოფაკი კერბერი (სხვა ვარიანტის მიხედვით ჰერაკლე ჩავიდა ჰადესში, რათა გამოეყვანა ადმეტოსის მეუღლე ალკესტიდა და გმირი თეზევსი, ამის გამო ჰადესის შესასვლელში შეებრძოლა და დაჭრა თვით ღმერთი ჰადესი). ამ გმირობების შესრულების შემდეგ დაბრუნდა თებეში და უარი თქვა მეგარას ქმრობაზე, რადგანაც მისი აზრით ამის წინააღმდეგნი იყვნენ ღმერთები.

გმირმა მონაწილეობა მიიღო კალიდონის ნადირობასა და არგონავტთა მოგზაურობაში. შემდეგ იგი შეებრძოლა ტროელთა მეფე ლაომედონტს, რომელმაც გმირს აწყენინა, როდესაც იგი იპოლიტეს ქამრის ხელში ჩაგდების შემდეგ უკან ბრუნდებოდა. გმირმა აიღო ტროა, ხოლო ლაომედონტი თავის შვილებთან ერთად (პრიამოსის გამოკლებით) ამოხოცა. შემდეგი შეტაკება ჰერაკლეს ჰქონდა პილოსის მეფე ნელევსთან, რომლის ყველა თანამებრძოლი გაანადგურა მისი ვაჟის ნესტორის გარდა.

ზევსმა ჰერაკლე უკვდავად აქცია, ოლიმპოზე წაიყვანა და ცოლად შერთო ჰებე. ზოგიერთი მითი მოგვითხრობს ჰერაკლეს სკვითების ქვეყანაში ბრძოლასა და პრომეთეს განთავისუფლებაზე. ზოგი მითის მიხედვით ჰერაკლე გიგანტომახიაშიც მონაწილეობდა. ჰერაკლეს კულტი გავრცელებული იყო როგორც საბერძნეთის, ისე რომის მრავალ ადგილებში. ჰერაკლე ითვლებოდა პალესტრებისა და გიმნაზიების მფარველად. სიკიონში გმირის პატივსაცემად იმართებოდა დღესასწაულები ე. წ. ჰერაკლიები. მსგავსი დღესასწაულები იმართებოდა თებეში, კოსოსზე, მენდოსზე და სხვაგან. ჰერაკლეს წმინდა მცენარედ ითვლებოდა ოქროსფერი ალვის ხე. ზეთის ხილი, სურო. მასვე სწირავდნენ ცხელ სამკურნალო წყლებს. როგორც ჩანს, ჰერაკლე პირველად დორიელთა გმირი იყო. როდესაც დორიელებმა პელეპონესი დაიპყრეს, იგი არგოსელი პერსევსის შთამომავლად გამოაცხადეს, რათა ომით მოპოვებული ქვეყანა თავიანთ კანონიერ სამფლობელოდ ჩაეთვალათ. ჰერაკლე იყო უშიშარი, მამაცი, პრინციპული და თავმდაბალი... იგი ებრძვის თვით ღმერთებსაც კი, ებრძვის ბუნების მრისხანე მოვლენებს, ადამიანთა მტრებს, ურჩხულებს. ჰერაკლე წმინდა და ხალასია მეგობრობაში, იგი მხოლოდ ჰერასაგან უგონოდ ქმნილი იდენს დანაშაულებს და გონს მოსვლის შემდეგ დამამცირებელი სამსახურით ისყიდის მას.

იტალიაში ჰერაკლეს კულტი ბერძენმა კოლონიზატორებმა შეიტანეს და ჰერკულესი უწოდეს, გმირს მიაწერეს ახალი გმირობები, რომლებიც მან თითქოს იტალიაში ჩაიდინა. ჰერაკლემ აკრძალა ადამიანების მსხვერპლად შეწირვის საბინიური ჩვეულება.

ცეცხლთაყვანისმცემლობა. მრავალი რომაული პატრიციელთა გვარი ჰერაკლეს თავის წინაპრად მიიჩნევდა. ჰერაკლე შემდეგ მეზღათა წინამძღოლადაც ალიარეს. ხელოვნებაში ჰერაკლე უმეტესად გამოიხახებოდა ბავშვად, რომელიც ახრჩობდა ჰერას მიგზავნილ გველებს. გამოისახებოდა აგრეთვე ძლიერ მამაკაცად ლომის ტყავით, რომელიც ისვენებს მძიმე თავგადასავლების მერე. ჰერაკლეს მითები გადმოიყენეს სოფოკლემ, ევრიპიდემ და სხვებმა. თანამედროვე გაგებით ჰერაკლე (ჰერკულესი) ნიშნავს ძლიერ, ღონიერ მამაკაცს. „ჰერკულესური შრომა" — რაიმე დიდ შრომას.

ჰ ე რ ა კ ლ ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Ἡρακλεῖδαι, οἱ) ჰერაკლეს მრავალრიცხოვანი შთამომავალი. ყველაზე მეტად ცნობილნი არიან ჰერაკლეს ვაჟის—ჰილასის შთამომავლები, რომლებიც ტროის ომამდე პელეპონესში შეიჭრნენ მამის სამეფოს დასაბრუნებლად.

პელეპონესის ასაღებად გაილაშქრა ჰილასმა, მაგრამ მისი ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ასი წლის შემდეგ ჰილასის შვილიშვილი კვლავ შეიჭრა პელეპონესში, მაგრამ ისიც დაიღუპა. პელეპონესის დაბრუნება მოახერხა მხოლოდ არისტომაქოსის ვაჟმა.

ჰ ე რ კ უ ლ ე ს ი, ლათ. (Hercules) იხ. ჰერაკლე.

ჰ ე რ კ უ ლ ე ს ი ს ს ვ ე ტ ე ბ ი || ჰ ე რ ა კ ლ ე ს ს ვ ე ტ ე ბ ი. ჰერკულესის სვეტები ორი მოპირდაპირე მაღალი კლდის ძველი სახელწოდება გიბრალტარის სრუტეში. ფინიკიელები მას მელიკერტეს სვეტებს უწოდებენ. მითის მიხედვით ჰერაკლემ შემოიარა მთელი ევროპა და ლიბია (აფრიკა) და მოგზაურობის აღსანიშნავად დატოვა ე. წ. ჰერკულესის||ჰერაკლეს სვეტები. გადატანითი მნიშვნელობით ჰერკულესის სვეტებამდე მისვლა ნიშნავს სასურველ მიზნამდე, ბოლო წერტილამდე მისვლას, ჰერაკლეს სვეტები მაშინ ქვეყნის დასასრულად ითვლებოდა, რომლის იქითაც მიედინებოდა მხოლოდ უკიდეგანო მდინარე—ოკეანე.

ჰ ე რ მ ა, ბერძნ. (Ἑρμα, τό) მოგზაურთა და მგზავრთა მფარველი ღვთაების, ჰერმესისადმი მიძღვნილი სვეტი, რომელზედაც მოთავსებული იყო წვეროსანი ჰერმესის გამოსახულება. შედარებით გვიან კი წვეროსანი ჰერმესის გამოსახულება ყმაწვილმა, უწვეროსმა ჰერმესმა შეცვალა. მოგვიანებით ჰერმას უწოდებდნენ ჩვეულებრივ სვეტს, რომელსაც მაღლა მამრობითი სქესის ნიშანი ჰქონდა. ატიკაში ჰერმებს დგამდნენ შარა გზებზე ყოველი ათასი ნაბიჯის შემდეგ. ჰერმებზე ზოგჯერ სხვადასხვა ხასიათის წარწერებსაც ათავსებდნენ ხოლმე (უფრო ხშირად წარწერებს ომში დაღუპულთა შესახებ). არაიშვიათად ჰერმებზე ათავსებდნენ ჰერმესისა და ათენას,

აპოლონისა და არტემიდეს და სხვა ღვთაებათა ორმაგ გამოსახულებებს.

ჰერმაფროდიტოსი, ბერძნ. (Ἑρμαφρόδιτος, ὁ) ჰერმესისა და აფროდიტეს ვაჟი. არაჩვეულებრივი სილამაზის ყმაწვილი. მას ზრუნიდნენ ნაიადები. ფერია სალმაკიდას მეტისმეტად შეეყვარდა იგი და ქალის თხოვნით ღმერთებმა მასთან შეაერთეს ერთ არსებად. ამრიგად შეიქმნა ორსქესიანი არსება. მედიცინაში ჰერმაფროდიტი ეწოდება ადამიანს, რომელსაც აქვს ორივე სქესისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ჰერმესი, ბერძნ. (Ἑρμῆς, ὁ) ძველი არკადიული ღვთაება, რომელიც შემდეგ ოლიმპიელებს მიაკუთვნეს. პლეიად მაიასა და ზევსის ვაჟი. ჰერმესი განასახიერებდა ბუნების ყოვლისშემძლე ძალას. თავიდან იგი მესაქონლეობის ღმერთად ითვლებოდა და მწყემსთა მფარველობა ევალებოდა. ჰერმესმა პირველად მოითხოვა ადამიანებისაგან მსხვერპლის ცეცხლზე შეწვა და ასწავლა მათ სამსხვერპლოზე ცეცხლის ანთება. ამ თვალსაზრისით ჰერმესი პრომეთესაც უახლოვდება. ზოგიერთი მითის მიხედვით ჰერმესი წაიგვა მიწისქვეშა ღვთაებებს, იგი აცილებს ჰადესში მიცვალებულთა სულებს (ჰერმესი ფსიხოპომპი). მიცვალებულის შესახებ ამბობდნენ: „ჰერმესმა წარიტაცაო მისი სული". თავისი ჯადოსნური კვერთხით ჰერმესს შეეძლო ღმერთი თუ ადამიანი დაეძინებინა და სურვილისამებრ გაეღვიძებინა. თანდათანობით ჰერმეს სხვა ფუნქციებიც მიაკუთვნეს. იგი ითვლებოდა ოლიმპიელი ღმერთების მაცნედ, ზევსის მოამბედ, ელჩთა, მაცნეთა და მათი ხელშეუხებლობის მფარველად. იგი მიაჩნდათ მგზავრთა და მოგზაურთა შემწედაც. ჰერმესი იყო აგრეთვე ვაჭართა და ვაჭრობის ღმერთი. მითების მიხედვით ჰერმესი არის აგრეთვე დახელოვნებული ქურდი. ჰომეროსის ჰიმნებში საუბარია იმაზე, თუ როგორ მოიტაცა მან აპოლონის ხარების ჯოგი. თავის ვაჟს — ავტოლიკოსს მან გადასცა გაიძვერობის უნარი. ჰერმესმა კუს ბაკანზე ლარები გაჭიმა და ლირა გააკეთა. ჰერმესი ითვლებოდა აგრეთვე შეჯიბრებებისა და გიმნასტიურ თამაშობათა მფარველად. ელინისტურ პერიოდში ჰერმესი გაიგივეს ძველგვიანტურ სიბრძნის ღმერთთან—ტოტთან და მაგიურობის მფარველად ითვლებოდა. სიტყვა ჰერმესიდან მომდინარეობს თანამედროვე გამოთქმა ჰერმეტიული. რომაელებმაც გადაიღეს ჰერმესის კულტი და მას მერკური ეწოდეს. ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნის დასაწყისში რომში ააშენეს მერკურის უდიდესი ტაძარი. მერკური ძირითადად ვაჭართა მფარველად ითვლებოდა. ჰერმესის გამოსახულება იცვლებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო მისი კულტი. როგორც მწყემსთა და პირუტყვთა მფარველს, მას ხშირად გამოსახავდნენ კრიალით მხარზე. არქაულ ხელოვნებაში ჰერმესი მოსულია გრძელწვერა მამაკაცია. ელინისტურ და კლასიკურ პერიოდში ჰერმესს ხშირად ქიტონში გამოწყობილად გამოსახავდნენ, მას თავზე ახურავს ფრთიანი ჩაჩქანი, ხელში კი გველშემოვლებული კვერთხი უჭირავს. ზოგჯერ ჰერმესის გამოსახულებას პატარა ფრთებიც აქვს. ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნიდან ჰერმესი გამოისახებოდა უწვერულვაშო ყმაწვილად. როგორც ვაჭართა და ვაჭრობის ღმერთს, ჰერმეს ახლაც გამოსახავენ საბაჟო გუმბეზე, ბანკებზე და სხვა.

ჰერმიონე, ბერძნ. (Ἑρμιόνη, ἡ) სპარტის მეფის მენელაოსისა და მშვენიერი ელენეს ქალიშვილი, ჰომეროსის მიხედვით ტროის ალებისას იგი ნეოპტოლემოსს შეპირდა ცოლად გაყოლას და გახდა კიდეც მისი მეუღლე. ჰომეროსის შემდგომდროინდელი თქმულებები კი გვიამბობენ, რომ ჰერმიონე ორესტეს დანიშნული იყო. ორესტე ნეოპტოლემოსის ჩამოშორების მიზნით დელფოსელებს მოელაპარაკა, რათა მოეკლათ ნეოპტოლემოსი. ზოგიერთი მითის მიხედვით იყო პირიქით: ჰერმიონე ცოლად გაჰყვა ორესტეს და ნეოპტოლემოსი ცდილობდა მის მოტაცებას. იგი მართლაც ორესტემ მოკლა დელფოში. ჰერმიონეს ორესტესაგან შეეძინა ვაჟი ტისამენი, რომელსაც თავს დაესხნენ ჰერაკლიდები პელოპონესში.

ჰერმოსი, ბერძნ. (Ἕρμος, ὁ) მდინარის ძველი ღვთაება მცირე აზიაში. ტეთისისა და ოკეანოსის ან ზევსის ვაჟი. შეიძლება აქედან მომდინარეობდეს ლიდიის ადგილების ჰერმოკაპელეიას და ჰერმოპოლოსის სახელი.

ჰერო, ბერძნ. (Ἥρω, ἡ) 1. ერთ-ერთი დანაიდი. 2. პრიამოსის ერთ-ერთი ქალიშვილი. 3. აფროდიტეს ქურუმი. ლეანდროსის სატრფო.

ჰეროსი, ბერძნ. (ἥρως, ὁ — გმირი, მფლობელი, მბრძანებელი) მიცვალებულის სული, რომელიც გარკვეულ დროს ცოცხლებს მოევლინებოდა ხოლმე. ჰეროსებად ძირითადად ითვლებოდნენ გამორჩეულ ადამიანთა, გმირ წინაპართა, ბელადთა, გოლიათთა სულები. შემდეგ კი ცნება ჰეროსი გაფართოვდა. ჰეროსებს პირველად ჰესიოდემ უწოდა ნახევრად ღმერთები. ჰეროსების კულტი ჩვეულებრივ დაკავშირებული იყო ვინმეს საფლავთან და ხთონიურ ხასიათს ატარებდა. ბერძენთა რწმენით ჰეროსები განაგრძობდნენ ოდნავ განსხვავებულ სიცოცხლეს სიკვდილის შემდეგ და ზემოქმედებდნენ ცოცხალ ოჯახებზე თუ მთელ პოლისებზე. ჰეროსები ითვლებოდნენ

ღმერთთა და ადამიანთა შუამავლებად, ადამიანთა მფარველებად, უბედურებათა და ბოროტებათა განმარიდებლად. ისინი ანადგურებდნენ დემონებსა და ურჩხულებს, ანთავისუფლებდნენ მათგან კეთილ ადამიანებს. ჰეროსები საშიშნიც არიან ადამიანებისათვის, თუკი მათ არ დააფასებენ და არ აღიარებენ. რომისა თუ საბერძნეთის მრავალი წარჩინებული გვარი ამა თუ იმ ჰეროსს თავის წინაპრად აღიარებდა. ჰეროსთა საფლავები სასწაულმოქმედებად ითვლებოდა და საკულტო ადგილებს წარმოადგენდა. სწორედ ჰეროსთა კულტის წყალობით ხდებოდა ბერძენ თუ რომაელ დიდ პიროვნებათა გაღმერთება; ჰეროსთა მრავალი ნიშანი ქრისტიანობამ გადაიტანა წმინდანებზე.

ჰ ე რ ს ე, ბერძნ. (Ἕρση, ἡ) კეკროპისა და აგლავროსის ქალიშვილი. სხვა მითის მიხედვით აგლავროსი და პანდორე მისი დები არიან, კიდევ სხვა მითის მიხედვით აგლავროსი კეკროპის ქალიშვილია.

ჰ ე რ ს ი ლ ი ა, ლათ. (Hersilia) რომაელთა მიერ მოტაცებული ერთ-ერთი საბინიელი გმირი ქალი, რომულუსის მეუღლე. მათ შეეძინათ ქალიშვილი პრიმა და ვაჟი ავილიუსი. რომულუსის ცად ამაღლების შემდეგ ჰერსილიაც მას გაჰყვა და მასაც თაყვანისცემა დაეწყეს.

ჰ ე ს ი ო ნ ე, ბერძნ. (Ἡσιόνη, ἡ) 1. ტროის მეფის—ლაომედონტის ქალიშვილი. ლაომედონტთან მსახურობდნენ პოსეიდონი და აპოლონი. ამათ ააშენეს ტროის კედლები. ძუნწმა მეფემ ღმერთებს შეპირებული გასამრჯელო არ მისცა და გაჯავრებულმა პოსეიდონმა მას სამაგიერო გადაუხადა, მის ქვეყანაში გაგზავნა ურჩხული, რომელმაც მუსრი გაავლო ამ მხარეს. ქვეყანა რომ ამ საშინელებისაგან განთავისუფლებულიყო, როგორც სამისნომ იწინასწარმეტყველა, საჭირო იყო მსხვერპლად შეეწირათ მეფის ასული ჰესიონე. ჰერაკლემ მოკლა ურჩხული და ქალიშვილი გადაარჩინა. მეფემ არც ჰერაკლეს სცა პატივი, ამიტომ გმირმა აიღო ტროა, მეფე ლაომედონტი მოკლა და მისი ყველა შთამომავალი (პრიამოსის და ჰესიონეს გარდა) დახოცა. ჰერაკლემ ჰესიონე მიათხოვა ტელამონს.

ჰ ე ს პ ე რ ო ს ი, ბერძნ. (Ἕσπερος, ὁ —საღამოს ვარსკვლავი) იგივე ლათინური ვესპერი — საღამოს ვარსკვლავის ღვთაება. კეიქსისა და ჰესპერიდების მამა, ატლანტოსის ვაჟი, ზოგჯერ კი ძმა. როგორც საღამოს ვარსკვლავს, ვენერას ერთ-ერთ ზედმეტ სახელად ჰესპეროსსაც უწოდებდნენ. როგორც დილის ვარსკვლავს, ბერძნები ამ პლანეტას უწოდებდნენ ეოსფორს ან ფოსფორს, რომაელები კი — ლუციფერს. ძველად კარგახანს არ იცოდნენ, საღამოს ვარსკვლავი ვენერა და დილის ვარსკვლავი ცისკარი რომ ერთი და იგივე პლანეტაა. ჰესპეროსის სახელი ხშირად გვხვდება პოეზიაში.

ჰ ე ს პ ე რ ი დ ე ბ ი, ბერძნ. (Ἑσπερίδες, αἱ) ჰესპეროსის ქალიშვილები (ზოგი ვარიანტით ატლანტოსისა და ფერია ჰესპერიდასი). ჰესპერიდების ბაღში ხარობდა საუცხოო ოქროს ვაშლი, რომელიც გეამ აჩუქა ჰერას ქორწილის დღეს. ჰესპერიდები ცხოვრობდნენ თავიანთ ბაღში, დედამიწის სფეროს უკიდურეს დასავლეთში, მათ ბაღს გველეშაპი ყარაულობდა. ჰერაკლემ მოკლა გველეშაპი (დრაკონი) და ვაშლის რამოდენიმე ნაყოფი წამოიღო (ჰერაკლეს XI გმირობა). სხვა მითის მიხედვით ეგვიპტის მეფე ბუსირისმა მოისურვა ჰესპერიდების მოტაცება და ამ განზრახვის განხორციელება პიტიებს დაავალა. ყაჩაღები ჰესპერიდებს თავს დაესხნენ თავიანთ ბაღში. ჰერაკლემ ამოხოცა თავდამსხმელები და ჰესპერიდები იხსნა. მადლიერების ნიშნად ჰერაკლეს ჰესპერიდებმა აჩუქეს ოქროს ვაშლის ნაყოფი. შუა საუკუნეების ქრისტიანმა მოაზროვნეებმა ჰესპერიდების ბაღი ქვეყნიურ სამოთხედ მიიჩნიეს. განმარტავდნენ რა ჰესპერიდების ბაღს, როგორც ამქვეყნიურ სამოთხეს, ცდილობდნენ ანტიკური მითის ბიბლიურ თქმულებებთან დაკავშირებას.

ჰ ე ს ტ ი ა, ბერძნ. (Ἑστία, ἡ) ოჯახის ცეცხლის, კერიის ღმერთქალი. კრონოსისა და რეას ქალიშვილი. ზევსის, პოსეიდონის, ჰადესის, ჰერასა და დემეტრეს და. ჰესტიას კულტი ფართოდ გავრცელდა რომში, იქ მას ვესტა ეწოდებოდა (იხ. ვესტა)

ჰ ე ფ ე ს ტ ო ‖ ჰ ე ფ ე ს ტ ო ს ი, ბერძნ. (Ἥφαιστος, ὁ) ცეცხლისა და სამჭედლო საქმიანობის ღმერთი, ზევსისა და ჰერას ვაჟი. სხვა ღმერთებისაგან განსხვავებით ჰეფესტო თავის ცხოვრებას მხიარულებასა და ღრეობა-ქეიფებში კი არ ატარებს, არამედ — ფიზიკურ შრომაში. თავიდან ჰეფესტო მიწისქვეშა ცეცხლის ღვთაებად ითვლებოდა. როგორც სამჭედლო საქმიანობის მფარველს, ჰეფესტოს აღიარებდნენ სამრეწველო ცენტრებში. ათენში ჰეფესტოს კულტი იმდენად ახლოს იყო ჰერას კულტთან, რომ მათ საერთო ტაძარიც კი ჰქონდათ. ჰეფესტოს დღესასწაულებზე ჩვეულებად ჰქონდათ ესტაფეტის გამართვა. ყმაწვილები ერთიმეორეს გადასცემდნენ ხოლმე ჩირაღდნებს. კუნძულ ლემნოსზე ჰეფესტოს ჯანმრთელობის მომცემ ღვთაებად მიიჩნევდნენ. სწამდათ, რომ ჰეფესტოსადმი ვედრება დაიცავდა ადამიანების უგონობისა, სისხლის დენისა და გველების დაკბენისაგან. დაბადებიდან ჰეფესტო სუსტი და ულამაზო იყო. მითის მიხედვით ასეთი ულამაზო შვილის დაბადებით გაჯავრებულმა ჰერამ (ზოგი ვარიანტით ზევსმა) იგი ოლიმპოდან გადმოაგდო და

ამის შემდეგ სამუდამოდ კოჭლი დარჩა. მშობლებისაგან გადაგდებული ჰეფესტო აღზარდეს ვერცხლისფეხება თეტიდამ და ევრინომემ ოკეანის ბნელ ჯურღმულებში. როდესაც ჰეფესტო გაიზარდა და ხელოსნობაში გაიწაფა, დაამზადა ჯადოსნური, ულამაზესი ოქროს ტახტი. ვინც ამ ტახტზე დაჯდებოდა, ჰეფესტოს თანხმობის გარეშე ვეღარ ადგებოდა. ეს ტახტი ჰეფესტომ თავის უარმყოფელ დედას—ჰერას აჩუქა და ჰერამაც სიამოვნებით მიიღო ძვირფასი საჩუქარი. როდესაც ჰერამ ტახტიდან წამოდგომა მოისურვა, ვერაფრით ვერ შეძლო. ჰეფესტომ იგი ტახტიდან წამოაყენა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰერამ თავის შვილად აღიარა და ოლიმპიელთა რიგებში შესვლის თანხმობა მისცა. შერიგების შემდეგ ჰეფესტოს ყოველთვის დედის მხარე ეჭირა, როცა კი ზევსსა და ჰერას შორის განხეთქილება იჩენდა თავს. სწორედ ამისათვის, ერთხელ, გაჯავრებულმა ზევსმა ჰეფესტო ოლიმპოდან კუნძულ ლემნოსზე გასტყორცნა. ამ მითის მიხედვით ჰეფესტო ამის შემდეგ დაკოჭლდა. ჰეფესტომ ღმერთებს ოლიმპოს მთაზე აუგო შესანიშნავი ოქროს სასახლეები.

ჰეფესტოს საუცხოო ნახელავთა შორის აღსანიშნავია: ზევსის კეერთხი და ეგიდე, დიონისეს ტირსი, აქილევსის საჭურველი, ჰელიოსის ეტლი და სხვა. მან გამოძერწა მიწისაგან პანდორე. მან თავის დამხმარედ ოქროსგან შექმნა ორი მონა. „ილიადას“ მიხედვით ჰეფესტოს ცოლია ერთ-ერთი ქარიტთაგანი, „ოდისეას“ მიხედვით კი — აფროდიტე. ჰესიოდეს მიხედვით ჰეფესტოს ცოლია უმცროსი ქარიტი აგლაია. როგორც ჩანს, ჰეფესტოს კულტი ლემნოსური წარმოშობისაა, რომელმაც შემდეგ მიიღო ზოგადბერძნული ხასიათი. რომში ჰეფესტო ცეცხლის ადგილობრივ ღმერთთან — ვულკანუსთან გაიგივეს. ვულკანუსის კულტის ადგილად ითვლებოდა ე. წ. ვულკანალი. ეს იყო ფორუმის მაღლა გაშლილი მოედანი, სადაც სენატის შეკრებები იმართებოდა. რომში 23 აგვისტოს აღნიშნავდნენ ვულკანუსის დღესასწაულს, ე. წ. ვულკანალიას. ჰეფესტო გამოისახებოდა ძლიერ, კუნთმაგარ მჭედლად, რომელსაც ხელში ექირა ურო ან გაზი. „ოდისეას“ მიხედვით ჰეფესტომ სპეციალურად გამზადებული ბადით დაიჭირა თავისი ცოლი აფროდიტე და მისი საყვარელი, ომის ღმერთი არესი, რომლებიც ტრფიალებით ყვნენ გართულნი.

ჰე ჭ ტ ო რ ი, ბერძნ. (Ἕκτωρ -ορος, ὁ) ტროელი გმირი, პრიამოსის უფროსი ვაჟი, ანდრომაქეს ქმარი, ასტიანაქტის მამის—პატროკლეს მკვლელი. ტროის ომში იყო ტროელთა ხელმძღვანელი. პეტროკლეს გარდა მან მოკლა პროტესილაოსი. იბრძოდა ეანტთან და დიომიდესთან ერთად. ჰექტორი ცნობილია როგორც თავისი

სამშობლოს მამაცი და კეთილშობილი დამცველი, მეუღლის ვულწრფელი მოყვარული (ანდრომაქესა და ჰექტორის იდეალური სიყვარული საყოველთაოდაა ცნობილი), კეთილი და სათნო მამა. ისევე, როგორც ტროის ომის სხვა მონაწილეთა უმრავლესობა, ჰექტორიც შეიძლება იყოს ისტორიული პიროვნება. ჰექტორის სრული სახე მოცემულია ჰომეროსთან.

ჰ ე ქ ტ ო რ ი დ ი, ბერძნ. (Ἑκτορίδης, ὁ) ჰექტორის ვაჟი ე. ი. ასტიანაქტი ან სკამანდროსი.

ჰ ი ა დ ე ბ ი, ბერძნ. (Ὑάδες, αἱ) შვიდი ფერია, ატლანტის შვიდი ქალიშვილი. მითის ვარიანტების მიხედვით ისინი ერეხთეევსის, კადმოსის ან ოკეანოსის ქალიშვილებადაც ითვლებიან. ძველი მწერლების მიხედვით ჰიადების რიცხვი მერყეობს სამიდან შვიდამდე. გადმოცემის თანახმად მათ ისე უწარეტ დაიტირეს ნადირობისას დაღუპული ძმა ჰიასი, რომ ზევსმა ისინი ვარსკვლავებად აქცია და ცაზე მოათავსა. საბერძნეთში ამ თანავარსკვლავედის გამოჩენა წვიმების პერიოდის დაწყებას უკავშირდებოდა (ჰიადი წვიმოვანს ნიშნავს).

ჰ ი ა ს ი, ბერძნ. (Ὑας -αντος, ὁ) ჰიადების ერთადერთი ძმა, რომელიც დაიღუპა ნადირობის დროს.

ჰ ი გ ი ა, ბერძნ. (Ὑγίεια, ἡ) ჯანმრთელობის დამცველი ღმერთქალი. ასკლეპიოსის ქალიშვილი. მისი კულტი გვიანდელი წარმოშობისა ჩანს. ჰიგია გამოისახებოდა ახალგაზრდა, ტუნიკში გამოწყობილ ქალად. თავზე ჯიღა ედგა, ხელში თასი და გველი ეჭირა. ჰიგიას გველს თასიდან საჭმელს აძლევდა. აქედან მომდინარეობს ფარმაცევტიულ დაწესებულებათა ემბლემა — თასი და გველი. მისი სახელიდანვე მომდინარეობს სიტყვა ჰიგიენა.

ჰ ი დ რ ა, ბერძნ. (Ὕδρα, ὁ, ἡ) ვრავალთავიანი წყლის გველი. ლერნეს ჰიდრას ჰქონდა ასი თავი, თუ მას ვინმე შეებრძოლებოდა და თავს მოჭრიდა, მის მაგივრად ახალი ამოდიოდა. როდესაც ჰერაკლემ ეს შენიშნა, ცეცხლი აანთო და მოჭრილი თავის ადგილს ცხელი შანთით უთუთქავდა. ამის შემდეგ ჰიდრა თანდათან დაუსტდა და როდესაც ჰერაკლემ საბოლოოდ თავიც მოაჭრა, მოკვდა. დატანითი მნიშვნელობით ჰიდრა ნიშნავს მრავალთავიან ურჩხულს. ამ მნიშვნელობით ჰიდრას ხშირად ვხვდებით სხვადასხვა სახის ლიტერატურაში.

ჰ ი ლ ა ს ი, ბერძნ. (Ὕλας, ὁ) ჰერაკლეს საჭურველთმტვირთველი, არგონავტების ლაშქრობაში მეფის ვაჟი, ჰერაკლეს თანამგზავრი არგონავტების

რობაში. როდესაც არგო მისიის სანაპიროზე იდგა, ჰილასი წყლის მოსატანად წავიდა წყაროზე. წყაროს ფერიებს მოეწონათ მშვენიერი ყმაწვილი და ფსკერზე ჩაიყვანეს.

ჰიმნევსი, ლათ. (Himneus) ქორწინების ღმერთი ძველ რომსა და საბერძნეთში. აპოლონისა და ერთ-ერთი ფერიას ვაჟი. მითის ვარიანტი მას დიონისესა და აფროდიტეს ვაჟად მიიჩნევს. ჰიმნევსს მოუხმობდნენ ხოლმე ქორწილების დროს ჰიმნებით. ერთხელ, როდესაც ზღვის ყაჩაღებმა მუზები მოიტაცეს, ჰიმნევსმა გაათავისუფლა ისინი და ერთ-ერთი მათგანი ცოლად შეირთო. ხელოვნებაში ჰიმნევსი ყვავილებით შემკულ ლამაზ ვაჟად გამოისახებოდა, ხელში ჩირაღდანი ეჭირა. გადატანითი მნიშვნელობით ჰიმნევსი ქორწილს ან ქორწინებას ეწოდება.

ჰიპერბორეოსი, ბერძნ. (Ὑπερβόρεος, ὁ) უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრები მითიური პიროვნება, რომლის სახელითაცაა ცნობილი მთელი მისი ქვეყანა. მისი მითი დაკავშირებულია აპოლონის კულტთან. აპოლონისა და არტემიდეს დედამ — ლეტომ ჰიპერბორეოსი მიწაში დაბადა. დელფოში გადასახლებამდე თითქოს აპოლონი ჰიპერბორეებში ცხოვრობდა და ამის შემდეგაც პერიოდულად ესტუმრებოდა ხოლმე მათ. ჰიპერბორეებთან იგი ინახავდა მოწამლულ ისრებს, რითაც შემდეგ კიკლოპები ამოხოცა. ფიქრობენ, რომ აპოლონის დელფოური სამისნო დააარსეს ჰიპერბორეოსმა. ანტიკურ პერიოდში ჰიპერბორეოსის ქვეყანა ნეტართა კუნძულად მიიჩნიეს. ამ ქვეყანაში თითქოს განსაკუთრებით სასიამოვნო კლიმატი იყო, იქ მზე წელიწადში მხოლოდ ერთხელ ტოვებდა მცხოვრებლებსა და ისიც ცოტა ხნით. იქ მიწა ყოველწლიურად რამოდენიმე მოსავალს იძლეოდა. მაცხოვრებელნი დაჯილდოებულნი იყვნენ ხანგრძლივი სიცოცხლის უნარით. ცხოვრობენ მარად მხიარულად და მშვიდობიანად სათიბებსა და ჭალებში. როდესაც აქაური მცხოვრებლები სიცოცხლით იღლებიან, შეიკობიან ყვავილებით, შედიან ზღვის თბილ წყალში და ეძლევიან უმტკივნეულო და სასიამოვნო დასასრულს. ძველად მათ მიაწერდნენ მაგიურობასაც. თითქოს მათ შეეძლოთ ფრენა, მიწის წიაღში მიმალული ყოველგვარი საუნჯის გაუპრავებლად მონახვა და სხვა.

ჰიპერესიოსი, ბერძნ. (Ὑπερήσιος, ὁ) არგონავტების: ასტერიოსისა და ამფიონის მამა. აქაველთა უძველესი მეფე.

ჰიპერიონი, ბერძნ. (Ὑπερίων, ὁ) ტიტანი, ურანოსისა და გეას ვაჟი, თეიას მეუღლე. ჰელიოსის, სელენესა და ეოსის მამა. ჰიპერიონს ზოგჯერ ჰელიოსსაც ეძახიან.

ჰიპერმნესტრა, ბერძნ. (Ὑπερμνήστρα, ἡ) ერთ-ერთი დანაიდი, მან არ შეისმინა მამის ბრძანება და სიცოცხლე შეუნარჩუნა საყვარელ ქმარს — ლინკეუსს (იხ. დანაიდები, ლინკეუსი).

ჰიპნოსი, ბერძნ. (Ὕπνος, ὁ —ძილი) ძილის განმასახიერებელი ღვთაება, ნიკტის ვაჟი, სიკვდილის ღმერთის—თანატოსის ძმა. ჰიპნოსს თვით ღმერთებიც კი ემორჩილებოდნენ. გამოისახებოდა ფრთოსან, მძინარე ყმაწვილად, ჰიპნოსის სახელიდან მომდინარეობს სიტყვა „ჰიპნოზი“.

ჰიპოდამია, ბერძნ. (Ἱπποδάμεια, ἡ) 1. ელიდის მეფის ენომაოსის ქალიშვილი. მეფეს უწინასწარმეტყველეს, რომ ქალიშვილის გათხოვება მას უბედურებას მოუტანდა (იხ. ენომაოსი). 2. აქილევსის ტყვე ქალი, რომელიც მას აგამემნონმა წაართვა. 3. ქალიშვილი, რომლის ჭორწილზედაც დაიწყო ლაპითების ბრძოლა კენტავრების წინააღმდეგ.

ჰიპოკრენე, ბერძნ. (Ὑπποκρήνη, ἡ—ცხენის წყარო) ბეოტიაში, ჰელიკონის მწვერვალზე არსებული წყარო, რომელიც მითის მიხედვით წარმოიშვა ფრთოსანი ცხენის — პეგასის ფლოქვის დარტყმის შედეგად. წყაროს წყალს თითქოს ჰქონდა პოეტების შთაგონების ჯადოსნური ძალა. გადატანითი მნიშვნელობით სწორედ ამიტომ ჰიპოკრენე ნიშნავს პოეტური შთაგონების წყაროს.

ჰირიევსი, ბერძნ. (Ὑριεύς, ὁ) მითიური ბეოტიელი მეფე, რომელიც გამთქმული იყო უდიდესი საგანძურით და რომელსაც ტროფონიოსმა და აგამედემ საგანძურთსაცავი აუგეს.

ჰიფსიპილე, ბერძნ. (Ὑψιπύλη, ἡ) კუნძულ ლემნოსის დედოფალი. თოანტის ქალიშვილი. თოანტის მეფობის დროს ლემნოსელმა ქალებმა აფროდიტეს აწყენინეს და განრისხებულმა ღმერთქალმა მათ ისეთი მომწამვლელი სუნი გაუჩინა, რომ ქმრები ახლოსაც ვეღარ ეკარებოდნენ. ასე გაგრძელდა დიდხანს. გამწარებულმა ქალებმა გადაწყვიტეს ამოეხოცათ თავიანთი ქმრები და ყველა მამაკაცი, ვინც კი მათ კუნძულზე ცხოვრობდა. ჰიფსიპილემ შეიბრალა, გადაარჩინა და გააპარა მამა. როდესაც ქალებმა მთლიანად ამოხოცეს ლემნოსელი მამაკაცები, ძალაუფლება ხელთ იგდო მეფის მემკვიდრე ჰიფსიპილემ და ლემნოსელი ქალების მმართველი გახდა. როდესაც არგონავტები მივიდნენ ლემნოსზე, ჰიფსიპილემ შეიყვარა იასონი და მისგან ორი ვაჟი დაბადა. მალე არგონავტების გამგზავრების შემდეგ ქალებმა გაიგეს, რომ ჰიფსიპილეს მოხუცი მამა შეუბრალებიათ და მისი ჩამოხრჩობა გადაწყვიტეს. როდესაც ეს ჰიფსიპილემ გაიგო,

გაქცევით უშველა თავს, მაგრამ გზაში პირატებმა დაიჭირეს და მიჰყიდეს ნემეოსის მეფე — ლიკურგოსს მონად (ზოგი ვარიანტით თებეს მეფე ლიკოსს). ლიკურგოსმა დაავალა ჰიფსიპილეს მისი ვაჟის ძიძაობა. მისი უყურადღებობის გამო ყმაწვილი გველმა დაახრჩო. განრისხებულმა მეფემ გადაწყვიტა მონა ქალის მოკვლა, მაგრამ ჰიფსიპილეს თავისმა ვაჟებმა მოუსწრეს, სიკვდილს გადაარჩინეს და მასთან ერთად საბერძნეთში გაემგზავრნენ.

ჰომონოია, ბერძნ. (Ὁμόνοια, ἡ) თანხმობისა და ურთიერთგაგების ღმერთქალი ძველ საბერძნეთში.

ჰონორი, ლათ. (Honor—oris — დიდება, პატივი) პატივისცემისა და დიდების განმასახიერებელი რომაული ღვთაება, რომელსაც ვირტუტასთან ერთად აღიარებდნენ. ჰონორი გამოისახებოდა ახალგაზრდა ყმაწვილად, რომელსაც ხელში სიუხვის რქა და ხმალი ეჭირა. აქედან მომდინარეობს სიტყვა „ჰონორარი".

ჰორა კვირინა, ლათ. (Hora quirina) კვირინუსის ცოლი (იხ. ჰერსილია).

ჰორები, ბერძნ. (Ὧραι, αἱ) წელიწადის დროთა ცვალებადობის წარმმართველი ღმერთქალები, ბუნების წესრიგის დამცველი ღვთაებანი. ჰომეროსის მიხედვით ისინი ზევსის მსახურები არიან. ისინი ალებენ და ხურავენ ცის კარებს, ბერძნები ასახელებდნენ ჯერ ორ, შემდეგ სამ და საბოლოოდ წელიწადის ოთხ დროს და ამასთან დაკავშირებით იცვლებოდა ჰორათა რაოდენობაც. გაზაფხულის ჰორას ერქვა ტალოსი (აყვავებული), ზაფხულისას კარპოსი (ნაყოფი)... ჰორები ითვლებოდნენ აფროდიტეს თანამგზავრებად. ჰესიოდეს მიხედვით ისინი ზევსისა და თემიდას ქალიშვილები არიან, ესენია: ევნომია (კანონიერება), დიკე (სამართლიანობა) და ეირენე (მშვიდობა). ჰორების კულტი გავრცელებული იყო ათენში, კორინთოში, არგოსში და საბერძნეთის სხვა ადგილებში. ერთ-ერთმა ჰორამ— ეირენემ (ლათ. პაქსმა) უდიდესი აღიარება მოიპოვა ძველ რომში. ჰორები გამოისახებოდნენ სხვადასხვა ხილის ტოტებით მორთულ ახალგაზრდა, ლამაზ ქალებად.

გამოყენებული ლიტერატურა და ლექსიკონები

1. ვერგილი, „მედეა". (ვ. ბურაძის თარგმანი) თბილისი, 1962 წ.
2. ელადის მუზა—(რ. მიმინოშვილის თარგმანი) თბილისი, 1963 წ.
3. ელინური მითები, მოთხრობილი ალ. მაქაბერიძის მიერ, ნაწ. 1—2, თბილისი, 1938, 1949 წწ.
4. ნ. კუნი —ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები. თბილისი, 1965 წ.
5. ალ. მაქაბერიძე — ტროიის ომი, თბილისი, 1937 წ.
6. ად. როდოსელი, „არგონავტიკა" — (ა. ურუშაძის თარგმანი) გამომც. „მეცნიერება", თბილისი, 1970 წ.
7. ა. ურუშაძე — ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1964 წ.
8. ვ. ქავთარაძე, — ბერძენი და რომაელი ავტორები, თბილისი, 1962 წ.
9. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1950, ტ. II. 1949, თბილისი.
10. იე. ყაუხჩიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1. თბილისი, 1960 წ.
11. Ботвинник,.—мифологический словарь, Москва, 1965.
12. Дворецкий и Королкова—Латинско-русский словарь, Москва, 1949.
13. Дворецкий—Древнегреческо-русский словарь, 1—2, Москва, 1958.
14. Кун, Н. А.—легенды и мифы древней Греции, Москва, 1955.
15. Любкер—Реальный словарь классических древностей, СПБ, 1885.
16. Словарь атеиста— Москва, 1964.
17. Шульц—Латинско-русский словарь, СПБ, 1885.
18. Lexikon der Antike, 1971 Leipzig.
19. Pape, Wörterbuch der griechischen Eigennamen. Dritte Auflage—Braunschweig, 1884.
20. Pauly's-Real-encyclopedie der classischen Altertumswissenschaft,B. I-X.
21. Roscher—Ausfuhrliches Lexikon der griechischen und romischen Mythologie, Leipzig, 1884—1887, B. I-II.
22. The Oxford classical Dictionary, Oxford, 1950.